

<https://www.facebook.com/groups/ELLIB/>

ნ. ჯანაშია



ტაღეირანი

## ტალეირანი

ევგენი ტარლე

აკადემიკოს ე. ტარლეს ამ წიგნში მოთხრობილია ცნობილი ფრანგი დიპლომატის შარლ-მორის ტალეირან-პერიგორის ცხოვრება და მოღვაწეობა. დიდი ხანია ტალეირანის სახელი, ერთად აღებული ჭკუის, გაიძვერობის, ეშმაკობის, მოხერხებულობისა და ფლიდობის სიმბოლოდ გადაიქცა. ტალეირანი საფრანგეთის ისტორიის უმძაფრეს ხანაში - დიდი ბურჟუაზიული რევოლუციის, ნაპოლეონისეულ ეპოპეის, რესტავრაციის ეპოქაში - მოღვაწეობდა. მაშინდელი მოვლენების უშუალო მონაწილე, იგი ერთ-ერთი მთავარი მოქმედი პირი იყო. ემსახურებოდა რამდენიმე მთავრობას და ყველანი გასცა და გაყიდა რიგ-რიგად: ჯერ ბურბონები, მერე რევოლუცია, დირექტორია, შემდეგ ნაპოლეონი, მერე ისევ ბურბონები. ეცნობით სახეს ბურჟუაზიული დიპლომატიკისას, რომელმაც არ იცის რა არის მრწამსი, პრინციპები, პირადი სარგებლობის სურვილით მოქმედებს ყოველთვის, არ ერიდება არავითარ სიმდაბლეს, არავის და არაფერს მიზნის მისაღწევად. მაგრამ ავტორს არც იმის აღნიშვნა ავიწყდება, ტალეირანმა, რომელიც იმხანად აღმავალ ბურჟუაზიულ კლასს ფეოდალური წყობილების განადგურებაში ეხმარებოდა, თავისი მოღვაწეობის ობიექტური შედეგებით, ძირითადად, დადებითი ისტორიული როლი რომ შეასრულა.

## თავი პირველი

### ტალეირანი - ადრეული ბურჟუაზიული პერიოდის დიპლომატი

ვიდრე ამ ადამიანის ცხოვრებისა და დამახასიათებელი თვისებების შესახებ თხრობას დავიწყებთ, აღვნიშნოთ, რით განსხვავდებოდა ტალეირანისეული დიპლომატია მისი წინამორბედების, ამ ხელოვნების ძველი ვირტუოზების ტრადიციული მოღვაწეობისაგან. რამდენიმე სიტყვით ეს განსხვავება შეიძლება ასე გამოვხატოთ: ტალეირანი იყო აღმავალი ბურჟუაზიული კლასის დიპლომატი კაპიტალის ძლევამოსილი შეტევის, ფეოდალურ-მემამულური წყობილების მსხვერვისა და

ახალდაწყებული ბურჟუაზიული ბატონობის პერიოდში. პირველმა სწორედ ტალიერანმა განსჭვრიტა, რა მიმართულებით უნდა შეცვლილიყო ძველი დიპლომატიური წესები.

უნდა ითქვას, რომ დიპლომატიის ახალი ისტორიის ზუსტი შესწავლა, არსებითად, შესაძლებელი ხდება მხოლოდ XIV-XV საუკუნეებიდან. დიდი „ეროვნული“ სახელმწიფოების წარმოქმნისა და მათი თანდათანობითი გაძლიერების შემდეგ, როცა პირველად შეიქმნა პირობები სახელმწიფოებს შორის მსხვილმანი გარეგანი შეჯახებებისა. ადრეულ შუა საუკუნეებში, ხელმწიფე-მემამულეებს შორის წვრილ ფეოდალურ შეხლა-შემოხლათა ხანაში, დიპლომატია, ამ სიტყვის ზუსტი აზრით, ფეოდალურ ევროპაში თითქმის არ არსებობდა. იმის გამო, რომ ცენტრალური სამეფო თუ საიმპერატორო ხელისუფლებისაგან ფეოდალები ფაქტიურად სრულიად დამოუკიდებელნი იყვნენ, შუა საუკუნეებში (XV-XVI საუკუნეებამდე) ევროპა რამდენიმე ათას ჯუჯა „სახელმწიფოსაგან“ შემდგარ კონგლომერატს წარმოადგენდა. ეს სახელმწიფოები ერთმანეთს განუწყვეტლივ ეკინკლავებოდნენ და ისევ ურიგდებოდნენ, იყო მათი გაუთავებელი დავა-შერიგება. და ეს იმ ერთადერთი მიზნით, რომ როგორმე ზედმეტი გოჯი მიწა მიეთვისებინათ, ან მეზობელი ციხე-კოშკი გაეძარცვათ, ან კიდევ უცხო სოფლის პირუტყვი გამოეტაცათ.

უფრო გვიან, XIV-XVII სს., სოციალურ-ეკონომიური ცვლილებების შედეგად ყალიბდება მსხვილი სახელმწიფოები, ბურჟუაზია უკვე თავს ზევით სწევს და აქა-იქ (ჰოლანდიაში, მერე ინგლისში) გარკვეულ გავლენას ახდენს მოვლენათა მსვლელობაზე, ფართოდ იშლება ევროპულ სახელმწიფოთა ბრძოლა ზღვის გადაღმა მდიდარი ქვეყნების დასაპყრობად. ამერიკის, ინდოეთის, ინდონეზიის დაპყრობა და დანაწილება დღის წესრიგში დგება. მოქიშპე სახელმწიფოებს შორის ჩაღდება ბრძოლა ევროპაში პირველობის მოსაპოვებლად.

ასეთ ვითარებაში მოქნილი დიპლომატია, როგორც მიწების მიტაცების საშუალება და როგორც ომის ხელსაყრელ პირობებში მომზადების „ინსტრუმენტი“ - მეტოქე სახელმწიფოთა თვალში მძლავ იარაღად იქცა. მაგრამ სწორედ ამ რევოლუციის წინა ბოლო საუკუნეების დიპლომატიის ისტორია გვაძლევს იმ ძველი მართებული გამოთქმის შესანიშნავ დადასტურებას, რომ ხშირად „მკვდარი ცოცხალს იჭერს“, რომ ძველი წესები უცებ როდი უთმობს ადგილს ახალ მეთოდებს, რომ ხშირად მუშაობის ძირითადი პირობები დიდი ხანია შეცვლილია, მაგრამ მომუშავეთ არა სურთ ან არ ძალუბთ ამის გაგება.

ავიღოთ ძველრეჟიმული დიპლომატიის ყველაზე მკაფიო წარმომადგენლები: გენიოს შვედს - XVII ს. პირველი ნახევრის პერიოდის კანცლერს აქსელ ოქსენშენრუს და რიშელიეს თუ გამოვაკლებთ, რით არის რომ გვაოცებს XVIII საუკუნის შუა ხანების საფრანგეთის მინისტრი შუაზელი, ან გრაფი ვერჟენი, ან ავსტრიის ნიჭიერი კანცლერი კაუნცი, რომ აღარაფერი ვთქვათ საშუალო ადამიანებზე? ყველა ისინი, დიდ სახელმწიფოთა პოლიტიკის ხელმძღვანელები, ერთთავად ისე იქცევიან, როგორც ადრინდელი მაიორდომები - „პალატის მერები“, ან ძველი ფეოდალ-მემამულეების კეთილი, ყოჩაღი და მუყაითი მოურავები. სახელმწიფოს მუდმივი, ხანგრძლივმოქმედი ისტორიული მოთხოვნილებანი მათთვის თითქმის ნიადაგ უცხოა. ეს არის თავისი მბრძანებლის დღევანდელი კაპრიზებისა და გუნება-განწყობილების ამყოლი ხალხი. ამავე დროს სიტყვები: „სამეფო კარი“ და „მთავრობა“ ყოველთვის და ყოველმხრივ ერთნაირად ესმით, ისევე, როგორც სიტყვები „სამეფო კარი“ და „სახელმწიფო“. ისინი ემსახურებიან აბსოლუტურ მონარქს, მაგრამ მხოლოდ იმდენად, რამდენადაც თვით ეს აბსოლუტური მონარქი ემსახურება თავად-აზნაურობას, არისტოკრატიულ, მსხვილმიწათმფლობელურ ზედაფენას. ვაი ასეთ მონარქს, თუ ის ოდნავ მაინც მოინდომებს ამ ხაზიდან გადახვევას. როცა ავსტრიის იმპერატორმა, იოსებ II განიზრახა მხოლოდ, ბატონყმობას შეხებოდა, მისმა დიპლომატებმა უღალატეს და გაყიდეს იგი. როცა პორტუგალიის მთავრობის მეთაურმა, მინისტრმა პომბალმა სცადა მეტად ზომიერი ბურჟუაზიული რეფორმები გაეტარებინა, პორტუგალიელმა დიპლომატებმა ფარულად მისი პოლიტიკის დასამარება იწყეს, თანაც ინგლისელებსა და ესპანელებს თვალნათლივ ანიშნებდნენ, კარგი იქნებოდა ამ თავგადასდებული რეფორმატორის აღკვეთაო. სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკა არისტოკრატიულ საგვარეულოთა მტკიცე მემკვიდრეობრივი და სრული მონოპოლიური გამგებლობის ქვეშ აღმოჩნდა. არისტოკრატიის წარმომადგენლებიც, ბუნებრივია, დიდხანს ისე უყურებდნენ ამ მონოპოლიას, როგორც სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკის მძლავრი ძალებით თავისი კლასის ინტერესების დაცვის უებარ საშუალებას.

და აი, ჯერ რევოლუციის ხანაში, მერე იმავე რევოლუციის წიადიდან გამოსული საფრანგეთის სამხედრო დიქტატორის დროს, დიქტატორისა, რომელიც მალე უკვე ევროპის მბრძანებელიც შეიქნა დიადი ისტორიული დრამის ერთ-ერთ წამყვან როლში სცენას უაღრესად გამჭრიახი, ნატიფი, ნიჭიერი არისტოკრატი ევლინება, რომელიც იმთავითვე სავსებით უტყუარად განსჭვრეტს საკუთარი კლასის გარდაუვალ პოლიტიკურ დაღუპვას და პირადად მისთვის უცხო, ანტიპათიურ ბურჟუაზიული კლასის სრულ მომავალ გამარჯვებას. მან წინდაწინვე იცის, რომ ამ ბრძოლაში ათასგვარი შეფერხება იქნება, უკუსვლები, ხელახალი გარღვევები,

მრავალი ბედუკუდმართობა, და მუდამ წინასწარ გრძნობს მოსალოდნელ შეტევას და სწორედაც საზღვრავს თითოეული ასეთი შეტაკების ბედს. ამგვარი ალღოს წყალობით იგი მუდამ ახერხებს დროულად მიემხროს მომავალ გამარჯვებულს და თავისი გამჭრიახობისათვის მუდამ უხვ ნაყოფსაც იმკის. რა არის „მრწამსი“ - თავადმა ტალეირანმა მხოლოდ ყურმოკვრით იცოდა, რა არის „სინდისი“ - ესეც ნაცნობთა წრეში თუ გაეგონა ხანდახან, და ფიქრობდა, რომ ადამიანის ბუნების ეს კურიოზული თავისებურებები, შესაძლოა, ძალზედაც სასარგებლო იყოს, მაგრამ არა იმისთვის, ვისაც ეს გააჩნია, არამედ მისთვის, ვისაც მათ პატრონთან უხდება იქონიოს საქმე. „უფრთხილდი გულის პირველ მოძრაობას, რადგან იგი, ჩვეულებრივ, ყველაზე უფრო „კეთილშობილურია“, - ასწავლიდა იგი ახალგაზრდა დიპლომატებს. მათვე შეაგონებდა: „ენა იმისთვისა აქვს ადამიანს, რომ თავისი აზრები არ გამოთქვას“.

ტალეირანმა გასცა და ფულზე, ან სხვა რამ სარგებელზე გაჰყიდა რიგ-რიგად ყველა, ვისაც კი სამსახური გაუწია; ეგ არის მხოლოდ, საკუთარი დედა არ გაუყიდა (ისიც, ერთი ჟურნალისტის გამოთქმით, რომელიც ტალეირანს ემტერებოდა, მხოლოდდამხოლოდ იმიტომ, რომ მუშტარი არ მოინახა). ერთადერთი, ვისაც, არსებითად, არ უღალატა - იყო საიმედოდ გამარჯვებული, პირადად მისთვის უცხო ბურჟუაზიული კლასი; არ უღალატა სწორედ იმიტომ, რომ ბურჟუაზიის გამარჯვება ურყევად მტკიცედ მიაჩნდა. როცა 1814 წელს მორიგი გამცემლობა ჩაიდინა და ბურბონებს მიემხრო, მაშინაც კი მთელი ძალით ცდილობდა როგორმე ჩაეგონებინა შეუგნებელი ემიგრანტ-თავადაზნაურობისათვის, რომ ისინი მხოლოდდამხოლოდ იმ პირობით შეძლებდნენ ხელისუფლების შენარჩუნებას, თუ საკუთარი ხელით განახორციელებდნენ რევოლუციის შემდეგდროინდელი ბურჟუაზიისათვის საჭირო პოლიტიკას. მხოლოდ იშვიათად, წამიერი პირადი მოსაზრებით, როიალისტ რეაქციონერებს ისიც ბანს აძლევდა.

მაგრამ ახალი, ბურჟუაზიული პერიოდის ადამიანი, მარტო იმის გამო კი არ აღმოჩნდა ტალეირანი, რომ, ყველა მთავრობის გამყიდველი, განუხრელად ემსახურებოდა და ხელს უწყობდა ყოველივე იმის განმტკიცებას, რასაც მსხვილმა ბურჟუაზიამ რევოლუციის პერიოდში მიაღწია და რის შენარჩუნებასაც ნაპოლეონის დროს და ნაპოლეონის შემდეგ ლამობდა. თვით წესებითაც, თავისი მოქმედების მეთოდებითაც, ტალეირანი ახალი, ბურჟუაზიული პერიოდის დიპლომატი იყო. ტერმინით - „საფრანგეთი“, იგი ჯგუფობრივი ინტერესების მქონე არისტოკრატიულ „კარს“, ან ფეოდალური პრივილეგიების მქონე თავად-აზნაურობას კი არ აღნიშნავდა, არამედ ახალ, რევოლუციის მიერ შექმნილ ბურჟუაზიულ სახელმწიფოს, მისი ძირითადი საგარეო პოლიტიკური მოთხოვნილებებითა და ამოცანებით. მან იცოდა, რომ ყველა

ეს სატრფიალო და უცნაური სასახლისეული ინტრიგა, მთელი ეს მასკარადული გზავნა ემისრებისა და საიდუმლო თანამშრომლებისა. ეს იმედები, დამყარებული - ამისა და ამის მიჯნურ ქალზე ან ამა და ამ მონარქის რელიგიურ ცრურწმენაზე, XVIII საუკუნის დიპლომატიის მთელი ეს ხრიკები და თავშექცევა თუმცა ახლაც წარმატებით შეიძლება გამოიყენო, მაგრამ ისიც იცოდა, იმნაირი დრო დადგა, რომ შინაც და გარეთაც საჭიროა მეტი ანგარიში გაუწიო ბანკირს, ვიდრე მეფის ფავორიტ ქალს, საბირჟო ობლიგაციებს და არა ხელთნაგდებ ინტიმურ ბარათს; დუელებს, სადაც იბრძვიან საბაჟო ტარიფებით და არა რაპირებით. ამისადა მიხედვით ტალეირანიც უშუალოდ სიტყვიერი განცხადებებით, ნოტებით, მემორანდუმებით, ოფიციალურად აკრედიტებული დიპლომატიური წარმომადგენლების გაგზავნით მოქმედებდა და ამასთან ცდილობდა მოწინააღმდეგეზე გავლენა მოეხდინა ან (მაგრამ უკვე იშვიათად) სამხედრო მოქმედებისათვის მზადყოფნის დემონსტრაციით, როცა ეს მოსახერხებელი იყო, ან ამა თუ იმ სახელმწიფოსთან დაახლოების მიზნით ოსტატურად და დროულად განხორციელებული მანევრით. ამ მხრივ ჩინებული ოსტატი იყო. ბურჟუაზიული სახელმწიფოს მსახური ტალეირანი განსხვავდებოდა ძველი სკოლის დიპლომატებისაგან, რომლებსაც აბსოლუტურად არ ესმოდათ, რომ XIX საუკუნის პირველი ნახევარი ბევრით არაფრით ჰგავდა XVIII საუკუნის არა მარტო შუა ხანას, არამედ მიწურულსაც კი. ტალეირანი სრულებით არ ჰგავდა რუსეთის კანცლერს კარლ ვასილის ძე ნესელოვსაც, რომელსაც იმით მოჰქონდა თავი, რომ მთელი თავისი სიცოცხლე ნიკოლოზ I ერთგული ყმა და ლაქია იყო.

ტალეირანი არც ბისმარკსა ჰგავს. ბისმარკს არ ჰქონდა ბოლომდე დაძლეული ბურჟუაზიული ეპოქის დიპლომატიისათვის დამახასიათებელი ზოგიერთი უაღრესად მაგნე ილუზია. ის მაგალითად დიდხანს ფიქრობდა (და ამბობდა), რომ საფრანგეთ-რუსეთის კავშირი აბსოლუტურად შეუძლებელია, რადგან მეფე და „მარსელიოზა“ ვერ მორიგდებიანო. და როცა კრონშტადტის რეიდზე 1891 წელს ალექსანდრე III ფეხზე მდგომმა ქუდმოხდილმა მოისმინა „მარსელიოზა“, უკვე გადამდგარი ბისმარკი მხოლოდ მაშინ მიხვდა თავის საბედისწერო შეცდომას. ის ოდნავადაც ვერ დაამოშმინა ღრმავაროვანმა განმარტებამ, ამ ინციდენტს რომ მოაყოლა რუსეთმა - მეფეს თურმე მხედველობაში ჰქონდა არა სიტყვები, არამედ ფრანგული რევოლუციური ჰიმნის მომხიბვლელი მუსიკალური მოტივი. ტალეირანი არასოდეს არ დაუშვებდა ასეთ შეცდომას: ის წინასწარ გაითვალისწინებდა რუსეთ-გერმანიის ხელშეკრულების დარღვევის შესაძლებელ ფაქტს, დროულად და ზუსტად გამოარკვევდა რუსეთის ხაზინის მოთხოვნილებას, აგრეთვე საფრანგეთის ბანკში არსებულ ვალუტას და კრონშტადტამდე უკვე ორიოდ წლით ადრე განსჭვრეტდა,



რომ მეფე უყოყმანოდ იგრძნობდა და შეამკობდა „მარსელიოზას“ მუსიკალურ სიმშვენიერეს.

რამდენადაც ტალეირანი თავისი მუდამ ანგარი სუბიექტური მოტივებისაგან დამოუკიდებლად ბურჟუაზიული კლასის გამარჯვების განმტკიცებას უწყობდა ხელს, ამდენად იგი ობიექტურად დროდადრო დადებით, პროგრესულ ისტორიულ როლს ასრულებდა. მისი პირადი თვისებები ზიზღნარევ აღშფოთებას იწვევდა. ბევრს იგი რაღაც „ბოროტების სულად“ ეჩვენებოდა. საფრანგეთის აკადემიის წევრი ბრიფო საერთო ხარხარში სარკასტულად ამტკიცებდა, თითქოს, როცა სიკვდილის შემდეგ ჯოჯოხეთს ჩასული ტალეირანი სადარბაზოდ წარუდგა, ეშმაკს ეთქვას მისთვის: „ჩემო კარგო, მადლობელი ვარ თქვენი, მაგრამ გამოტყდით, რომ თქვენ, ცოტა არ იყოს, უფრო შორსაც კი წახვედით, ვიდრე ამას ჩემი ინსტრუქციები ითვალისწინებდა!“

ტალეირანის სახელს დიდი გულმოდგინებით ახსენებენ პირველი მსოფლიო ომის შემდეგ, და ყველაზე ხშირად სწორედ თანამედროვე დიპლომატების კრიტიკოსები. „არცა რცხვენია ჟორჟ ბონეს, დიდი ტალეირანის სავარძელში მჯდომს, რომ ასე სამარცხვინოდ მოატყუებინა თავი ჰიტლერს!“ - წაიკითხავდით საფრანგეთის რადიკალურ პრესაში 1939წ. იანვარში. აქ სულ ყველაფერი უმართებულოა. ჯერ ერთი, საგარეო საქმეთა მინისტრი დალადიეს კაბინეტში ჟორჟ ბონე, სულაც არ ყოფილა „მოტყუებული“ ჰიტლერის მიერ. მან შეგნებულად და სრული მზადყოფნით შეჰკრა პირი ჰიტლერთან და განზრახ დაეხმარა მას. ბონემ, ხოლო შემდეგ ლავალმა, საფრანგეთი უბრალოდ მიჰყიდეს გერმანელ ფაშისტებს. მეორეც, ჟორჟ ბონეს საქციელის თანამედროვე კრიტიკოსს ასე ესმოდა (ან არ სურდა გაეგო), რომ ტალეირანი ცხოვრობდა და მოღვაწეობდა კაპიტალიზმის მზარდი აღმავლობის პერიოდში, საფრანგეთის ბურჟუაზიული კლასის აყვავების პერიოდში, როცა ამ კლასს ჯერ კიდევ შეეძლო და სწადდა თავისი ინტერესებისა და პრეტენზიების დაცვა სხვა ქვეყნების ბურჟუაზიის წინაშე, თავის ხელთ არსებული ყველა საშუალებით: ხან ცეცხლითა და მახვილით, ხან დიპლომატიური ხელოვნებით. მაშინ ამ კლასის დასახმარებლად მოეშურებოდნენ ყველაზე მძლე მეომრები, ყველაზე ბრწყინვალე დიპლომატები, ყველაზე საჭირო ტალანტები პოლიტიკური მოღვაწეობის ყველა სფეროდან - მისკენ ეშურებოდნენ ნაპოლეონები და ტალეირანები. ახლა კი ეს არის კლასი, რომელიც უცხო ბურჟუაზიასთან ბრძოლაზე კი არა, უფრო ხშირად მასთან კავშირზე ფიქრობს, რათა ერთობლივად დაარტყას საერთო მტერს - ბურჟუაზიის შესაცვლელად მოწოდებულ პროლეტარიატს. აქ საქმე მარტო გონებრივ შესაძლებლობათა მასშტაბურ განსხვავებაში როდია, ის როდია მთავარი, რომ

დიპლომატიური ხელოვნების დარგში შორსმჭვრეტელობის, მოხერხებულობისა და მოქნილობის მხრივ ჟორჟ ბონეს, ან რეინოს, ან დალადიეს, გინდ ლეონ ბლუმის ან ბიდოს შედარება ტალეირანთან დაახლოებით იგივეა, რაც, მაგალითად, პოეზიის დარგში, ტრედიაკოვსკის პუშკინთან შედარება. თავიდათავი ის სხვადასხვა დავალებებია, რასაც მძლავრი, ახალგაზრდა, მტაცებლური, ხარბი ბურჟუაზია ამღევდა თავის მსახურთ XIX ს. დასაწყისში და რასაც მიხრწნილი, ლაჩარი, აღსასრულის მგრძნობი, გამდიდრებული, ცხოვრებამოყირჩებული და თავისი საფულეს დაკარგვის შიშით ერთიანად მოცახცახე ბურჟუაზია ამღევს მათ ამჟამად.

არ შეიძლება დიპლომატიური გამარჯვების მოპოვება მოსთხოვო იმ კაცს, რომელსაც, უკეთეს შემთხვევაში, ასეთი სიტყვებით ულოცავდნენ გზას: „თავი მოაჩვენე, თითქოს მტერთან - ჰიტლერთან იბრძოდე, მაგრამ გახსოვდეს, რომ ერთობ მაგარი ცემაც არ გვმართებს მისი, რადგან, ვაითუ, მართლაც დაენარცხოს ძირს, და მაშინ უმისოდ რაღა გავაწყოთ მსოფლიო რევოლუციასთან?“ ან როცა მას ჩააგონებენ, ისე დაიჭიროს თავი, თითქოს მეგობრული კავშირი ჰქონდეს საბჭოთა სახელმწიფოსთან, მაგრამ დაე ახსოვდეს, რომ ასეთი კავშირი ზოგიერთი უმძლავრესი ბირჟისათვის არასასიამოვნოა და ამიტომ სსრკ-ის მიმართ, ყოველ შესაძლებელ შემთხვევაში, მტრობა და თავხედობაც კი გამოიჩინოს. ცბიერებათა, უსასრულო და მრავალფეროვან მოტყუებათა ტრადიციები, რაღაც სრული უსინდისობით, ყველაზე საზეიმო ტრაქტატებისა და დაპირებების ასოსა და არსის მუხანათური დარღვევით განირჩევიან - ტალეირანისაგან ნაანდერძევი მთელი ეს დიპლომატიური ავლადიდება არხეინად გადადის ბურჟუაზიული დიპლომატიების თაობიდან თაობაზე. და უკვე ამიტომ საფუძველმოკლებული არ არის სურვილი საბჭოთა მკითხველისა, რომელმაც არ უნდა დაივიწყოს კაპიტალისტურ გარემოცვის შესახებ, გაიცნოს ტალეირანის ისტორიული პიროვნება და მისი ბიოგრაფია.

მაგრამ ამ მართლაც აბსოლუტურად ამორალურ პიროვნებას რომ ეცნობა, მკითხველს უნდა ახსოვდეს, რომ ისტორიამ გაუვალი უფსკრული წარმოშვა ტალეირანის მოღვაწეობის ობიექტურ შედეგებსა და მისი დღევანდელი ნაბოლარების მზაკვრობათა შედეგებს შორის. „სოციალური დაკვეთა“, რაც ერთ დროს საფრანგეთის ბურჟუაზიამ ტალეირანს მისცა, თავისი შინაგანი არსებით ისტორიულად პროგრესული იყო. „სოციალურმა დაკვეთამ“, რაც მან ტალეირანის ჩამომავლებს მისცა და ამღევს, პირდაპირ მიიყვანა ფაშიზმის მხეცური დესპოტიზმის უფსკრულამდე. ტალეირანი ბურჟუაზიას ფეოდალური შუასაუკუნეების დასამარებაში ეხმარება - და მას წარმატებანი ელოდა. მისმა გვიანდელმა, მეორე მსოფლიო ომის წინადროინდელმა მემკვიდრეებმა, იმავე ბურჟუაზიის გადასარჩენად



ისტორიის უკუღმა შებრუნება სცადეს და მთელი თავისი ძალ-ღონით ეხმარებოდნენ ფაშისტ ბარბაროსებს, რომლებიც თავხედურად აღადგენდნენ დიდი ხნის დამპალი, იმავე შუასაუკუნეების ყველაზე მახინჯ მხარეებს. რა გასაკვირია, თუ ეს ნაბოლარები თავიანთ უიმედო გზაზე მხოლოდ მარცხსა და შერცხვენას აწყდებოდნენ. ტალეირანს ორი ძირითადი რწმენა გააჩნდა, რომლებიც მისთვის გზის გამკვლევი შუქურის როლს ასრულებდნენ. ხელმძღვანელობდა რა ამ მოსაზრებებით, იგი თანმიმდევრულად სჩადიოდა, პირადად მისთვის მუდამ ხელსაყრელ გამცემლობას. აი როგორ შეიძლება ამ რწმენათა ფორმულირება:

პირველი: ფეოდალური წყობილების შენარჩუნება ან რესტავრირება XVIII საუკუნის მიწურულისა და XIX საუკუნის დამდეგის საფრანგეთში აბსოლუტურად შეუძლებელია. ამიტომ უღალატა ლუდოვიკო XVI მონარქიას და 1789 წელს ბურჟუაზიულ რევოლუციას მიემხრო; მერე ხელმეორედ უღალატა ბურბონებს და 1830 წ. ივლისის ძლევამოსილი რევოლუციის შემდეგ ლუი-ფილიპეს ბურჟუაზიულ მონარქიას მიეკედლა.

მეორე: მსოფლიო მონარქიის შექმნა დაპყრობითი ომების გზით, ყველა ევროპული მონარქიის საფრანგეთის თვითმპყრობელისადმი დამორჩილება - განუხორციელებელი, აბსურდული წამოწყებაა, რაც საფრანგეთს ჩავარდნითა და კატასტროფით ემუქრება. ამიტომ უღალატა მან ნაპოლეონს ჯერ (1808-1813) ფარულად, ხოლო შემდეგ (1814 წ.) აშკარადაც და იმპერატორის მტრების მხარეზე გადავიდა.

როგორც რეალური ისტორიული ვითარების შეფასება, ეს ორივე ძირითადი მოსაზრება ტალეირანისა, საბოლოო ჯამით, სწორი იყო და მოვლენათა ნამდვილი მსვლელობითაც გამართლდა. თვითონაც, უნდა შევნიშნოთ, ამ მოსაზრებათა მეშვეობით ცდილობს მთელი თავისი პოლიტიკური ბიოგრაფიის ახსნას. მხოლოდ ამ დროს თავმდაბლად სდუმს იმაზე, რომ არასოდეს თავის ამ ორ იდეას პირდაპირი ბრძოლის გზით არ ემსახურებოდა, არამედ მუდამ ხანგრძლივი, საიდუმლო ძირგამომთხრელი საქმიანობით, რისთვისაც უხვ ჯილდოს იღებდა მათგან, ვის სასარგებლოდაც ამ ძირგამომთხრელ საქმიანობას აწარმოებდა, მაგრამ არც ერთ ამქვეყნიურ სიკეთეს არ იკლებდა იმათგანაც, ვისაც იმავ დროს ნაღმებს უდებდა ფეხქვეშ, ვისაც ღალატობდა, ჰყიდდა და თუ შემთხვევა მიეცემოდა, განზრახავდა კი უბნევდა გზაკვალს თავისი მუდამ ანგარი რჩევებით.

რაც უფრო შორდებოდა შთამომავლობა ტალეირანის ეპოქას, მით მეტი ყურადღებით ჩერდებოდა ახალ თაობათა აზრი ტალეირანის ორი აღნიშნული მოსაზრების

ისტორიულად დამტკიცებულ სისწორეზე, მით უფრო ივიწყებდნენ მისი მოქმედების მეთოდებს, პირადი ყოფაქცევის სამარცხვინო სტიმულებს, ყოველივეს აბსოლუტურ იგნორირებას, რაც კი სინდისს მოგვაგონებს. ტალეირანის მოსაზრებების საბოლოო გამარჯვების პრესტიჟი და მუდმივი პირადი წარმატებანი ყოველთვის და განსაკუთრებით, სიცოცხლის ბოლო ხანებში, ერთობლივად როგორღაც მაღლა სწევდა ამ კაცის ავტორიტეტს ბურჟუაზიული მასის თვალში, არა მარტო საფრანგეთში, არამედ მთელ ევროპასა და ამერიკაშიაც.

## თავი მეორე

### ტალეირანი „ძველი წყობილების“ და რევოლუციის ხანაში

თავად ტალეირანის პიროვნება კაცობრიობის ხსოვნაში იმ ადამიანებითაა გარშემორტყმული, რომელიც, მართალია, ისტორიას თავის ნებაზე არ წარმართავდნენ (როგორც ეს დიდხანს ეგონათ იდეალისტური და, განსაკუთრებით, ე. წ. „საგმირო“ სკოლის ისტორიკოსებს), მაგრამ იმდროინდელი დიადი ისტორიული ძვრების ცოცხალი გამოხატულებანი და უშუალო მოქმედი პირები არიან.

დახასიათება, რომლის მოცემასაც აქ შევეცდებით, არ ისახავს მიზნად და არც შეიძლება ისახავდეს იმ მოვლენათა სრული სახით ჩვენებას, რომლებიც ტალეირანის პიროვნების ისტორიული მნიშვნელობის განმსაზღვრელ მასალებს იძლევა.

ჩვენ ყურადღების ცენტრში ვსვამთ საკითხს ბურჟუაზიული ლიტერატურის მიერ ფრანგი დიპლომატის ისტორიული როლის უზომოდ გაზვიადების მიზეზებზე და იმაზე, თუ რა ადგილს აკუთვნებს მას ფაქტიურად ისტორიაში იმ მასალების ოდნავ მაინც მეცნიერული ანალიზი, რომლებიც მოვლენებში მის პირად მონაწილეობას ეხება.

შეუძლებელია, უწინარეს ყოვლისა, გვერდი ავუაროთ ერთ საინტერესო ფაქტს: შეიძლება რიგ გამოჩენილ ადამიანთა დასახელება, რომლებიც ხან აღიარებდნენ ტალეირანის შესანიშნავ გონებრივ მონაცემებს, ხან უარყოფდნენ. დაწყებული

ნაპოლეონით, რომელსაც მიაჩნდა, რომ ტალეირანი მეტად გამოსადეგი, მეტად ნიჭიერი და მარჯვე იყო, მაგრამ ნამდვილი სახელმწიფოებრივი ჭკუა და აზრის გაქანება მას არ ახასიათებდა. ლუი ბლანით, პალმერსტონით და გერცენით გაგრძელებული, რომ აღარაფერი ვთქვათ კარლ მარქსზე - ყველა ეს შესანიშნავი, ერთიმეორისაგან სრულიად განსხვავებული ადამიანი, ჟამდაჟამ იძულებული ხდებოდა განეცხადებინა დაახლოებით ის, რაც ასე მკაფიოდ გამოთქვა ენგელსმა სტატიაში „დასაწყისი ავსტრიის დასასრულისა“, რომელშიც მან ტალეირანი, მეტერნიხთან და ლუი-ფილიპესთან ერთად, „ჩვენი საშუალო დროების“ შესაფერ ერთ-ერთ „საშუალო“ ადამიანად აღიარა, თუმცაღა ისინი „გერმანელი ბიურგერის თვალში ის სამი ღვთაებაა, რომელნიც ოცდაათი წლის მანძილზე ისე განაგებდნენ მსოფლიო ისტორიას, როგორც თოჯინების თეატრსო“[1].

გერცენი კი ენგელსთან თითქმის ერთდროულად და მისგან სრულიად დამოუკიდებლად წერდა თავის დღიურში 1853 წ. ივნისში: „ტალეირანმა, ბოლოსდაბოლოს, დაამტკიცა, რომ გაიძვერობა არ ნიშნავს გენიოსობას.“[2] მაგრამ გერცენი აშკარად შეცდა, როცა იმავე დღიურში დასძინა, მხოლოდ სხვა ადგილას (ისევ ტალეირანის გამო): „გაიძვერობა დიპლომატიაში საზიზღარ ჩვევად დარჩა, იგი შეუძლებელია!“[3] მაგრამ, ვაი რომ, დღესდღეობითაც იგი ფრიად „შესაძლებელი“ რჩება. ახალგაზრდა გერცენს ჯერ ისევ რომანტიზმი და ოპტიმიზმი ალაპარაკებდა, უფრო გვიან ამას არ იტყოდა.

იგივე მოაზროვნენი და გამოჩენილი ადამიანები სხვა დროს და სხვა საბაზით ტალეირანის გონების შესახებ სხვა აზრს გამოთქვამენ, აღიარებენ ფრანგი დიპლომატის მახვილ და ფართო გაქანების ჭკუას, მის საოცარ შორსმჭვრეტელობას. იგივე გერცენი ტალეირანს ისე ახსენებს, როგორც მაღალნიჭიერი დიპლომატის სინონიმს.[4]

რაშია ამ საპირისპირო შეხედულებათა საიდუმლოება? უწინარეს ყოვლისა, რა თქმა უნდა, აქ ადგილი აქვს ისტორიულ მოვლენებში ტალეირანის პირადი როლის შეუსაბამო გაზვიადების წინააღმდეგ მიმართულ ბუნებრივ რეაქციას. როცა ტალეირანს აღარებდნენ რომელიმე მართლაც „საშუალო“ დრუენ დე ლუისს, ნაპოლეონ III მინისტრს, მარქსი მწარედ დასცინოდა ხსენებული მინისტრის აღფრთოვანებულ თაყვანისმცემლებს, რომლებიც დრუენ დე ლუისის ტალეირანთან გატოლებას ბედავდნენ[5]. მაგრამ როცა მარქსი და ენგელსი ამოიკითხავდნენ, ტალეირანი და მეტერნიხი - „დმერთებია“, რომლებიც საკუთარი ნების მიხედვით ქმნიდნენ მსოფლიო ისტორიასო, მაშინ ისინი, ბუნებრივია, კანონიერ მოთხოვნილებას გრძნობდნენ, რაც შეიძლება მძაფრად დაეხასიათებინათ ეს

„ღმერთები“. ან როცა ნაპოლეონს მორიდებით ანიშნებდნენ, ბრძენი ტალეირანის გარეშე ფონს ვერ გახვალთო, იმპერატორი, რომელსაც მრავალწლიანი პირადი დაკვირვებით ჰყავდა შესწავლილი თავისი მორჩილი კარისკაცი და რომელმაც იცოდა, რომ არც ერთი შემოქმედებითი ინიციატივის ავტორი იმპერიის არც სამინაო, არც საგარეო პოლიტიკის დარგში ტალეირანი არ ყოფილა, გრძნობდა, ისევე როგორც შემდგომში სხვები, საჭიროებას, კუთვნილი ადგილი მიეჩინა თავისი „დიდებული“ მინისტრისათვის. მაგრამ საგნები შედარების გზით შეიცნობა და, მსგავსად იმისა, როგორც შემდგომში მარქსს სასაცილოდ არ ჰყოფნიდა ის, რომ ჩვეულებრივი დიპლომატის დრუენ დე ლუისის ტალეირანთან შედარებას ბედავდნენ, ასევე ნაპოლეონმა სიკვდილის წინ თქვა, ტალეირანი ყველაზე ჭკვიანი იყო იმ მინისტრებს შორის, რომლებიც კი ოდესმე მყოლიაო. ტალეირანის მშრალი, უემოციო, რაღაცნაირი მკვდარი ბუნებისათვის უცხო იყო შემოქმედებითი სულისკვეთება. უცხო იყო იდეური, ფართო, არა ვიწრო პირადული სტიმულები. და უკვე ამიტომ ნამდვილი სახელმწიფოებრივი გონების კაცად მისი მიჩნევა ყოველად შეუძლებელია. „დიადი აზრები დიად გრძნობისაგან წარმოსდგება“, - სთქვა XVII საუკუნეში ლარომფუკომ. არავითარი „დიადი გრძნობები“, თავისი გეგმებისა და მისწრაფებების სახელმძღვანელოდ, ტალეირანს თავის დღეში სახსენებლადაც არა ჰქონია, თუ, რა თქმა უნდა, მისი პირადი, კარიერისტული მოსაზრებებით ნაკარნახევ გეგმებსა და მიზნებზე არ ვილაპარაკებთ. მაგრამ არ გააჩნდა რა „დიადი გრძნობები“, სამაგიეროდ დაჯილდოებული იყო მძლავრი, მუდამ ფხიზელი, სავსებით შეუმცდარი თავდაცვის ინსტინქტით, რის წყალობითაც მუდამ დროულად იჩენდა ხოლმე საჭირო სიფრთხილეს. ამ ინსტინქტით ტალეირანი იგებდა, სად იყო დღევანდელი ძალა, სად და ვის ხელთ იქნებოდა ძალა ხვალ, და უმაღლესი უყოყმანოდ დგებოდა მის მხარეზე. რაკი თავის კარიერას სწორედ პოლიტიკაში ქმნიდა, ეს ინსტინქტური წინასწარჭვრეტა ყველაზე საიმედო (ანუ პირადად მისთვის სასარგებლო და საშიშროებისაგან პირადად მის დამზღვევ) პოლიტიკურ გზისკენ უბიძგებდა.

რადგან იგი ცხოვრობდა დიდი ბურჟუაზიული რევოლუციის პერიოდში, მერე იმპერიის ხანაში, შემდეგ სულ უფრო მზარდი ბურჟუაზიის წინააღმდეგ ფეოდალურ-თავადაზნაურული რეაქციის მიერ წარმოებული უიმედო ბრძოლის დროს, ბოლოს ლუი ფილიპეს დროს, როცა მსხვილმა ბურჟუაზიამ უკვე საბოლოოდ გაიმარჯვა, მან - თავადმა ტალეირანმა, ოტენის ეპისკოპოსმა - უგანა თავის კლასს, რომლის განწირულობასაც მიხვდა და ჩადგა უცხო კლასის სამსახურში, რომელიც ისტორიის ბატონ-პატრონი უნდა გამხდარიყო.

ტაღეირანის ბიოგრაფიის მაგალითზე მეტად ადვილია იმ ბრძოლის ეტაპების დაკვირვება, რასაც მიმავალი კლასი თავის შემცვლელ კლასთან მართავს. ადვილი და მოსახერხებელია სწორედ იმიტომ, რომ ვერავითარი ყოყმანის, სინდისის ქენჯნის, მონანიების ნასახსაც კი ვერ შენიშნავთ ამ კაცის ხანგრძლივ არსებობაში. მიიჩნევდა რა ისტორიას ძალთა განუწყვეტელ თამაშად, ტაღეირანი მხოლოდ გაკვირვებითა და აგდებით უყურებდა მათ, ვინც მყისვე კი არ გადარბოდა გამარჯვებულის მხარეზე, არამედ ერთხანს კიდევ ჩერდებოდა და თავს ვერ აღწევდა ტაღეირანისათვის სრულიად გაუგებარ მერყეობას. მისი ღალატი, ერთი მხარიდან მეორეზე გადასვლა, ყველა ეს მანიპულაცია, რაც უბრალო ოსტატობით, „ბრძოლის, საბედისწერო ფიქრის გარეშე“ კეთდებოდა - ყველაფერი ეს მკაფიო საფეხურებს წარმოადგენდა ბურჟუაზიის „ქმნადობის“ ისტორიაში იმ დროიდან მოყოლებული, როცა ამ ბურჟუაზიამ სიიესის პირით პირველად თქვა, „ყველაფერი“ უნდა ვიყოთ, იმ მომენტამდე, როცა კაზიმირ პერიემ და გიზომ საზეიმოდ მიულოცეს მას ამ მიზნის მიღწევა.

შემოქმედებითი, კონსტრუქციული ჭკუა ტაღეირანს სრულიად არ გააჩნდა; ამ მხრივ ის ახლოსაც ვერ მივა მის ისეთ თანამედროვეებთან, როგორებიც იყვნენ, მაგალითად, ტიურგო - საფრანგეთში, მ. სპერანსკი - რუსეთში, ან ჯორჯ კანინგი - ინგლისში, უფრო რჩეულ ადამიანებზე რომ აღარაფერი ვთქვათ. აღნიშნული მოღვაწეები ტაღეირანისაგან განსხვავდებოდნენ არა მარტო იმით, რომ ერთგულნი იყვნენ ერთი გარკვეული იდეისა, უანგაროდ ემსახურებოდნენ იმას, რასაც, სწორად თუ არასწორად, სახელმწიფოსთვის საკეთილდღეოდ მიიჩნევდნენ, არამედ იმითაც, რომ უნარი ჰქონდათ ინიციატივა გამოეჩინათ საკანონმდებლო საქმეებში, ახალი გეგმები წამოეყენებინათ და განეხორციელებინათ შინაგანი და საგარეო პოლიტიკის დარგში, ახალი გზები გაეკვალათ სამმართველო მექანიზმის სახეცვლილებათა მიზნით. არავითარი ამგვარი რამ ტაღეირანს სრულებით არ ახასიათებდა. უდიდესი ეშმაკობა, გასაოცარი თანდაყოლილი ტაქტი, სინატიფე, ინსტინქტური ალღო, ადამიანების შეცნობის უნარი (განსაკუთრებით მტრების) - აი რით შეეძლო დაეკვებნა მას, თუმცა შევნიშნავთ: ალექსანდრე I, მაგალითად ვერასოდეს ვერ უგებდა და ხშირად ხათაბალაშიც გახვეულა.

არც ცნობილი ფრანგი კრიტიკოსი და ლიტერატურის ისტორიკოსი სენტ-ბევია გადაჭარბებით აღტაცებული თავადის სიბრძნით. მოაგონებდა რა მკითხველს ტაღეირანის მცდარ წინასწარმეტყველებას 1823 წ. ფრანგი ჯარების ესპანეთზე გალაშქრებასთან დაკავშირებით, სენტ-ბევი წერდა: „როცა ბ. ტაღეირანზე, როგორც სავსებით უცოდველ ბრძენკაცზე ლაპარაკობენ, მეტად იოლად ივიწყებენ მის სიტყვას

(1823 წ. ომზე). მაგრამ ეს საერთოდ ასეა წინასწარმეტყველებათაგან ხალხი მხოლოდ ისეთებს იხსენებს, რომლებიც გამართლდა“.[6]

გაცილებით ნაკლებ ღალატობდა ტალეირანს წინასწარხედვა, როცა საქმე მის კარიერას ან მის უშუალო ინტერესებს ეხებოდა, თუმცა აქაც აწყდებოდა ხანდახან ფათერაკს. საკმარისია გავიხსენოთ, როცა 1815 წ. (ასი დღის შემდეგ) ლუდოვიკო XVIII მარტოოდენ მანევრირების მიზნით დაემუქრა, გადავდგებო, მეფემ - არც აცია, არც აცხელა - წამსვე დაჰყაბულდა გადადგომაზე და უზომოდ განცვიფრებული და შეწუხებული ტალეირანი მთელი თხუთმეტი წლით ჩამოაშორა ყოველგვარ პოლიტიკურ მოღვაწეობას.

ზემოთ ტიურგო ვახსენეთ. ტიურგო, ტალეირანის უფროსი თანამედროვეც ხომ მიხვდა (ტალეირანზე გაცილებით ადრე), რომ საფრანგეთის მონარქია სიკვდილს იმზადებდა, რაკი თავის ისტორიულ ბედს სულ უფრო მჭიდროდ აკავშირებდა თავად-აზნაურების ბედ-იღბალთან, რომელსაც არ სურდა თავისი პრივილეგიების დათმობა. ტიურგოსაც მიაჩნდა, რომ მზარდი ბურჟუაზია - ეს ის კლასი იყო, რომელსაც მომავალი ეკუთვნოდა და თავის საკანონმდებლო პროექტებსა და თავის ადმინისტრაციულ პრაქტიკაში ისეთ გზას დაადგა, რომელიც საფრანგეთისა და მონარქიისათვის მხსნელად მიაჩნდა, ხოლო როცა მისდამი მტრულად განწყობილმა თავადაზნაურულ-სასახლისეულმა რეაქციამ მარია-ანტუანეტას მეთაურობით დაჯაბნა და გასტეხა ტიურგო, იგი გადადგა, გადასახლებაში წავიდა და თავისი ხანმოკლე (1774-1776) მინისტრობის შემდეგ საბოლოოდ ჩამოშორდა სახელმწიფო საქმეებს. მაგრამ განა შეიძლება იმის წარმოდგენა, რომ გადაყენების მუქარით ტიურგო უცებ დედოფალსა და მის გარემომცველ სასახლისეულ ხროვას მიმხრობოდა, საკუთარი შეხედულებებისათვის ეღალატნა და უმაღლეს საწინააღმდეგო აზრებზე გაება ღალადი, და ყოველივე მხოლოდ იმიტომ, რომ თანამდებობა და აქედან გამომდინარე შემოსავალი არ დაეკარგა?

გადის ზუსტად ორმოცი წელი ტიურგოს გადადგომიდან. რახანია იგი სამარეში განისვენებს, რახანია თავმოკვეთილია მეფეცა და დედოფალიც, მრავალი მათი გარშემომყოფიც. მიწყნარდა რევოლუციისა და ნაპოლეონისეული ეპოპეის ქუხილი. ჩვენს წინაშე 1814 წ. პარიზია. ტახტზე კვლავ ახალდაბრუნებული ბურბონები სხედან. მათ ირგვლივ შვილები და შვილიშვილებია იმათი, ვინც ისე იოლად და ისე ზარზეიმით მოიშორა ტიურგო. ისინი ჯგუფდებიან უკვე არა მარია-ანტუანეტას, არამედ თავადაზნაურული რეაქციის დამთხვეული ფანატიკოსის, მარია-ანტუანეტაზე უფრო მავნისა და უგუნურის, მეფის ძმის - კარლ დ' არტუას გარშემო. გარემოებათა წყალობით პირველ ადგილზე სახელმწიფოში ბურბონებს ხვდებათ



თავადი ტალეირანი, რომელიც ტიურგოს მსგავსად, დარწმუნებულია, რომ ერთადერთი ხსნა დინასტიისათვის - ეს არის თავადაზნაურულ-ფეოდალური რეაქციისათვის ზურგის შექცევა და არა თავადაზნაურული, არამედ ბურჟუაზიული მონარქიის გზით წასვლა. ამ გზით ცდილობს კიდეც იგი მოქმედებას. მაგრამ სხვა ფორმებში კვლავ მეორდება 1776 წ. კრიზისი... სამეფო კარზე რეაქციონერები მომაგრდნენ. ტალეირანი არჩევანის წინაშეა: გადადგეს, ან დამორჩილდეს. და მაშინვე უკან მიაქვს ყველაფერი, რასაც ამ წუთს ლაპარაკობდა, და ალექსანდრე I სამარცხვინო წერილსა სწერს, რომელიც რუსთა ხელმწიფეს თხოვს, ნუ დაიჭინებ კონსტიტუციით საფრანგეთის უზრუნველყოფასო... მკითხველი ქვევით იპოვის ამ წერილის ანალიზს, - აქ ჩვენ მხოლოდ ის განსხვავება გვინდოდა გვეჩვენებინა, რაც, ერთი მხრივ, სახელმწიფო კაც ტიურგოსა და მეორეს მხრივ, გაიძვერა და ანგარ კარიერისტ ტალეირანს შორის არსებობდა.

თავად ტალეირანს უბრალოდ მატყუარას კი არ ეძახდნენ, არამედ „ტყუილების მამას“. მართლაც, არასოდეს არავის არ გამოუჩენია ისეთი ხელოვნება ჭეშმარიტების შეგნებულად დამახინჯებისა, ისეთი უნარი, ამ დროს დარბაისლურ-დაუდევრული, დაუინტერესებელი ადამიანის გამომეტყველება და აუღელვებელი სიმშვიდე შეენარჩუნებინა, რაც მხოლოდ ყველაზე უბიწო, ყველაზე ალალ სულს თუ შეიძლება ახასიათებდეს, არავის მიუღწევია ისეთი სრულყოფისათვის გაჩუმების ხერხის გამოყენებაში, როგორსაც ამ თავისებურად არაჩვეულებრივმა ადამიანმა მიაღწია. მის მოქმედებათა ის დამკვირვებლები და კრიტიკოსებიც კი, რომლებიც მას ყოველგვარი სიფლიდის მოარულ კოლექციად თვლიდნენ, თითქმის არასოდეს არ უწოდებდნენ პირფერს. ეს ეპითეტი როგორღაც არ უდგებოდა, ძალზე უფერული და სუსტი ჩანდა. ტალეირანი ყოველი ფეხის გადადგმაზე ისეთ რამეებს აკეთებდა, რისი დამალვაც, არსებითად, შეუძლებელი იყო გარემოებათა თვით ბუნების გამო: ამერიკელ რწმუნებულებს ჯერ ორი მილიონი ფრანკი ქრთამი გამოართვა ლუიზიანის გაყიდვის გამო წარმოებული წინასწარი მოლაპარაკების დროს, ხოლო შემდეგ, როცა ჯერი უშუალოდ გაყიდვაზე მიდგა - გაცილებით მეტი; თითქმის ყოველდღიურად იღებდა ქრთამებს ურიცხვ გერმანულ თუ არაგერმანულ წვრილ და მსხვილ ხელმწიფეთა და მპყრობელთაგან, ბანკირებისა და კარდინალებისაგან, მოიჯარეებისა და პრეზიდენტებისაგან: 1807 წ. მოითხოვა და მიიღო ქრთამი პოლონელი მაგნატებისაგან, იყო ფაქტიური მკვლელი ჰერცოგ ენგიენის, ვისკენაც ოსტატურად მიმართა ნაპოლეონის მზერა და რისხვა; გასცა და გაყიდა ჯერ კათოლიკური ეკლესია რევოლუციის სასარგებლოდ, შემდეგ რევოლუცია ნაპოლეონის სასარგებლოდ, მერე ნაპოლეონი ბურბონების სასარგებლოდ, ბოლოს ბურბონები ორლენელების სასარგებლოდ; ყველაზე მეტი დახმარება გაუწია ბურბონებს მათს რესტავრაციაში,

მათი დამხობის შემდეგ კი ხელს უმართავს „ბარიკადების მეფეს“ - ლუი-ფილიპეს, რათა საფრანგეთის ახალი მეფე სასწრაფოდ სცნოს ინგლისის მთავრობამ და მთელმა დანარჩენმა ევროპამ, და ასე შემდეგ დაუსრულებლად. მთელი მისი ცხოვრება - დაუსრულებელი წყება იყო ღალატობათა და გამცემლობათა, ამასთან, მისი ეს საქმენი გრანდიოზულ ისტორიულ მოვლენებთან იყო დაკავშირებული, ღია მსოფლიო არენაზე ხდებოდა, მუდამ (არც ერთი გამონაკლისი არ არსებობს) აშკარად ანგარი მიზნით იყო ნაკარნახევი და უშუალო მატერიალური სარგებლობა მოჰქონდა პირადად მისთვის. ტალეირანი არც თუ პატარა მიხვედრილობის კაცი გახლდათ და არასოდეს ფიქრობდა, რომ, ასე ვთქვათ, ჩვეულებრივი, გაცვეთილი პირფერობა საკმარისი აღმოჩნდებოდა, რათა „მჭამელი“ დიდხანს დარჩენილიყო - „ჭმული“ ამა თუ იმ აქტის ასრულების შემდეგ. მთავარი იყო დაინტერესებული პირის მოტყუება საქმის მომზადებისა და მისი მსვლელობის დროს. უამისოდ წამოწყების წარმატებით განხორციელებაზე ფიქრიც კი ზედმეტი იქნებოდა. სამაგიეროდ თვითონ წარმატება ისეთი მტკიცე უნდა იყოს, რომ თავადი სავსებით დაზღვეულ იქნეს მოტყუებულთა მხრივ შურისგებისაგან, როცა მისი ოინები გამოაშკარავდება. რაც შეეხება ეგრეთ წოდებულ „საზოგადოებრივ აზრს“, ან მით უმეტეს - „შთამომავლობის მსჯავრს“ და სხვა ამგვარ მგრძნობიარობას, თავადი ტალეირანი ამგვარი რამეების მიმართ სრულ გულგრილობას იჩენდა, და სავსებით გულწრფელად, - ამაში არავითარი ეჭვის შეტანა არ შეიძლება.

აი სწორედ ამ თვისებას უშუალოდ მივყავართ იმ პოზიციის განხილვასთან, რაც თავადმა ტალეირანმა, ბენევენტელმა მთავარმა, საფრანგეთის ყველა და ევროპის თითქმის ყველა ორდენის კავალერმა, დაიკავა იმ განმეორებითი იერიშების წლებში, რასაც მისი მშობლიური საზოგადოებრივი კლასი - თავად-აზნაურობა - განიცდიდა იმ დროს რევოლუციური ბურჟუაზიის მხრიდან.

ტალეირანი დაიბადა იმ ჟამად, როცა ახალგარდაცვლილი იყო მონტესკიე და ახალგამოსულნი იყვნენ სარბიელზე ფიზიოკრატები, როცა ვოლტერის სახელი უკვე ქუხს და სცენას ჟან-ჟაკ რუსო ევლინება, როცა დიდროსა და დალამბერის გარშემო უკვე ნელ-ნელა ჩამოყალიბდა ენციკლოპედიის მთავარი შტაბი. ხოლო გარდაიცვალა 1838 წელს, ბურჟუაზიის სრული და განუყოფელი გამარჯვებისა და ბატონობის ეპოქაში. მთელი მისი ცხოვრება ძალა-უფლებისათვის ბურჟუაზიის შეუპოვარი ბრძოლისა და ფეოდალური წყობის ნაბოლარები - ხან სუსტი, ხან გააფთრებული - თავდაცვის ფონზე მიმდინარეობდა, რომაულ-კათოლიკური ეკლესიის მერყეობის ფონზე, რომელიც ხან მომაკვდავი ფეოდალური წყობილების წარმომადგენლებისაკენ იხრებოდა, ხან მძლე ბურჟუაზიული დამპყრობლებისაკენ, ჯერ რომ გილიოტინით

მოქმედებდნენ საფრანგეთში, შემდეგ ნაპოლეონის დიადი არმიით - საფრანგეთის გარეთ. თავად-აზნაურობის, ბურჟუაზიის, ეკლესიისა და მესაკუთრე გლეხობის გარდა რომ არის კიდევ ერთი (დამშეული და ამიტომ საშიში) ადამიანთა კლასი, რომელიც 1789 წ. აპრილიდან, ფაბრიკანტების - რეველიონისა და ანრიოს - განადგურების შემდეგ, 1795 წ. პრერიალამდე მრავალჯერ გამოსულა თავისი საცოდავი, ტროგლოდიტების გამოქვაბულებიდან და სენტ-ანტუანის, სენ-მარსელის უბნებიდან, მუფარტის ქუჩის ლატაკური სხვენებიდან, რომელსაც, საკუთარი სიცოცხლის ფასად, შეიარაღებული ჩარევით არა ერთხელ მიუცია მოვლენებისათვის ახალი, მოულოდნელი მიმართულება - თავადმა ტალეირანმა ეს კარგად იცოდა. ისიც იცოდა, რომ 1795 წ. (განსაკუთრებით 4 პრერიალის შემდეგ) ეს საშიში (მისი ინტერესებისათვის) დამშეული ხალხი საბოლოოდ გასტეხეს, იარაღი აჰყარეს და მათსავე ბუნაგებში შეჰყარეს, ამასთან გამარჯვება ისეთი მყარი აღმოჩნდა, რომ თვით 1830 წ. 26 ივლისამდე, ოცდათხუთმეტი წელიწადის განმავლობაში, მას - ტალეირანს - შეეძლო ისინი თითქმის სრულიად არ მიეღო მხედველობაში თავისი „სერიოზული“, ე.ი. კარიერისტული, მოსაზრებებისა და ანგარიშის დროს. ეს მტკიცედ შეითვისა. იცოდა აგრეთვე, რომ 1830 წ. 26 ივლისის შემდეგაც, ოცდათხუთმეტწლიანი გაშეშებისაგან უეცრად გამორკვეულ და წინანდებურადვე მოშიშშილე ამ „ურჩხულს“ მხოლოდ ორიოდ კვირა უნდა ჰფერებოდა ასე თუ ისე. მაგრამ რომ უკვე იმავე 1830 წ. 9 აგვისტოდან კვლავ გამოჩნდნენ ის ნაცნობი ელემენტები, ვისთანაც „პატიოსან და რიგიან კაცს“, მხოლოდ თავისი კარიერითა და შემოსავლით დაინტერესებულს, ყოველთვის შეუძლია საერთო ენა გამონახოს და მოურიგდეს: გამოჩნდა ახალი მეფე და ახალი სამეფო კარი, მაგრამ წინანდელი ბანკირებითა და წინანდელი ოქროთი. და ყველაფერი ისევ რიგზეა, ყოველივე ისევ სვეკეთილად მიმდინარეობს თვით მშვიდობიანად აღსრულებამდე, რაც 1838 წ. ხდება, რასაც ერთადერთს შეეძლო ამ ბრწყინვალე კარიერის შეწყვეტა და რასაც ამიტომ, როგორც ცნობილია, გულუბრყვილო-ირონიული წამომახილი მოჰყვა მაშინვე: „ნუთუ თავადი ტალეირანი მოკვდა? საინტერესოა, რისთვის დასჭირდა ამჯერად ეს მას!“ ასე წინასწარგამიზნული და მოფიქრებული, მუდამ კარიერისტულ მოსაზრებებთან შეხამებული ეჩვენებოდათ მის თანამედროვეებს მისი თითოეული მოქმედება, რასაც საბოლოო ჯამით, პირადად მისთვის მუდამ წარმატება მოჰქონდა.

ამგვარად, ზემოაღნიშნული იშვიათი მომენტების გამოკლებით, მუშათა კლასი, როგორც გადამწყვეტი პოლიტიკური ძალა, ტალეირანს შეეძლო ჯერჯერობით მხედველობაში არ მიეღო. გლეხობა, ე.ი. მისი ის ნაწილი, რომელიც სერიოზულ ძალას წარმოადგენდა, პოლიტიკაში აქტიურ მონაწილეობას არ იღებს და გაჰყვება მათ, ვინც საკუთრების დაცვის მომხრე და ფეოდალურ უფლებათა აღდგენის

წინააღმდეგია. მხოლოდ მოგვიანებით რწმუნდება ის საბოლოოდ, რომ სოციალურ ძალთა თამაშში ეკლესიას მარტოოდენ დამხმარე, და არა დამოუკიდებელი მნიშვნელობა აქვს. თუმცადა უკვე 1789 წლიდან თავის ყველაზე სერიოზულ ნაბიჯებს ისე დგამს, რომ წამყვანი, გადამწყვეტი როლის შესრულების უნარმქონედ ეკლესიას ფაქტიურად აღარც სახავს.

თავად-აზნაურობა და ბურჟუაზია - აი მოვლენათა ცენტრში მყოფი ორი ძალა. თითოეულ მათგანს, გამარჯვების შემთხვევაში, შეუძლია აგრეთვე დაგაფრქვიოს ოქრო და ტიტულები, ლენტები და ვარსკვლავები, მოგცეს მამულები და სასახლეები, ფუფუნება და ძალაუფლება. მთავარია ანგარიშში არ მოტყუვდე, ძველი ინგლისური სპორტული გამოთქმისა არ იყოს, კარგ ბედაურზე დასვა არჩევანი.

ტალეირანს გაუმართლა არჩევანმა.

თავადი შარლ-მორის ტალეირან-პერიგორი 1754 წ. 2 თებერვალს მოევლინა ქვეყანას, პარიზში; მეტად დიდგვაროვან, არისტოკრატიულ ოჯახში. მისი მშობლების წინაპრები სამეფო კარზე იყვნენ უკვე X საუკუნიდან, პირველი კაპეტინგების დროიდანვე.

ბავშვობა უსიხარულო ჰქონდა. ბიჭუნა არავის უყვარდა. არავინ არავითარ ყურადღებას არ აქცევდა. დედა შეეცადა, რაც შეიძლება მალე მოეცილებინა თავიდან, რათა მაღალი საზოგადოების ქალს თავის სიამ-ლალობაში ხელისშემშლელი არ ჰყოლოდა.

ბავშვი პარიზის მახლობლად მიმასთან გააბარეს და დროებით გადაავიწყდათ კიდეც მისი არსებობა. პირველი ოთხი წელიწადი პატარა შარლმა ამ უცხო ქალის ხელში გაატარა, რომელიც დიდად თავს არ იწუხებდა მასზე ზრუნვით. ერთხელ, შინიდან რომ გადიოდა, ბავშვი მაღალ კომოდზე შესვა და იქვე მიავიწყდა. პატარა გადმოვარდა და ისე მაგრად დაიშავა ფეხი, რომ სამუდამოდ დაკოჭლდა, თანაც კოჭლობდა ისე, რომ ფეხის ყოველ გადადგმაზე მთელი ტანით მკვეთრად იხრებოდა გვერდზე. ამის შემდეგ სიცოცხლის ბოლომდე თავისი განუშორებელი ყავარჯნის შემწეობით დადიოდა, და სიარული მისთვის საკმაოდ მტანჯველ პროცესს წარმოადგენდა. მოტეხილი მარჯვენა ფეხი რაღაც საგანგებოდ გაკეთებულ, მომრგვალო ბუდის მსგავს, ტყავის ჩექმაში ჰქონდა მუდამ.

მიძის შემდეგ მშობლებმა იგი თავიანთ ძველ ნათესავთან, ქალბატონ შალესთან, გადაიყვანეს. ბავშვმა აქ იგრძნო პირველად თავის სიცოცხლეში, რომ უყვარდათ, და სულ მალე ძალიან შეეთვისა მოხუც (ძალუას. „ის იყო პირველი ქალი ჩვენს ოჯახში, რომელიც სიყვარულით მომეკიდა, ის პირველი იყო აგრეთვე, რომელმაც განმაცდევინა, თუ რა ბედნიერებაა, შეგიყვარდეს. ღმერთო, მიაგე მის სულს ჩემი მადლობის სამაგიერო... დიახ, ის ძლიერ მიყვარდა,“ - წერდა ტალეირანი, უკვე სამოცდახუთი წლის მოხუცი, - „რამდენჯერ მომგონებია სინანულით, რამდენჯერ მიგრძენია მწარედ, თუ რა ძვირფასია ადამიანისათვის, როცა საკუთარ ოჯახში გულწრფელად უყვართ“.

მთელი თავისი ბავშვური უშუალოებით მიეჯაჭვა იგი მოხუც ქალს, მაგრამ ბედმა მხოლოდ წელიწადნახევარს არგუნა მასთან ყოფნა - ექვსი წლისა სამუდამოდ გაჰყარეს მოხუცს, ერთადერთ არსებას, ვისაც ტალეირანი უყვარდა და ვინც ტალეირანს უყვარდა თავის ბავშვობაში. იზრდება და, როგორც ჩანს, უფრო მძაფრი ხდება მასში განაწყენების შეგნება. უსულგულო მშობლების მიერ ბედის ანაბარად მიტოვებული ყრმის სიმწარე, და მოგონება ბავშვობისა, საიდანაც ფიზიკური ზადიც გამოჰყვა, რაღაც სამუდამო სულიერ ტრავმად დარჩა ამ კაცის გულში. მისი სიტყვაძუნწობის მიუხედავად, ამის დანახვა არც ისე ძნელია.

მშობლებმა გადაწყვიტეს ძალუასგან მოცილებული ბავშვი პარიზში, კოლეჯში მიეხარებინათ. მათ იმდენი ცნობისმოყვარეობაც კი არ გამოიჩინეს, რომ ჩვიდმეტი დღე დილიჟანსში ნანჯღრევ შვილისათვის შეეველოთ თვალი: „ჩემი მშობლების ძველი მსახური დ'ანჟერის ქუჩაზე, სადილიჟანსო ბიუროში მელოდებოდა. იქიდან პირდაპირ კოლეჯში წამიყვანა... დღის თორმეტ საათზე უკვე კოლეჯის სასადილოში ვიჯექი“, - იგონებს ტალეირანი.

მას არც რა ოდესმე დავიწყნია და არც რა ოდესმე უპატიებია. „ის, თუ როგორ გადის ჩვენი სიცოცხლის პირველი წლები, მთელ ჩვენს ცხოვრებაზე ახდენს გავლენას, და მე რომ გადაგიშალოთ ჩემი ახალგაზრდობის ისტორია, ბევრი რამ ნაკლებად გაგაკვირვებდათ ჩემში“, - ეუბნებოდა, უკვე მოხუცობაში მყოფი, დედოფალ ჟოზეფინას სეფექალს, ქალბატონ დე რემიუზას.

იგი სრულ პანსიონზე ცხოვრობდა და კვირაში მარტო ერთხელ მიდიოდა მშობლების სახლში. როცა თორმეტი წლისა ყვავილით გახდა ავად, მშობლებმა არც მამინ ინახულეს. „მე თავს გარიყულად ვგრძნობდი. არავინ მყავდა ნუგეშისმცემი, - იგონებს ის, - მე არა ვჩივი ამის გამო“. არ ჩივის იმიტომ, რომ, მისი სიტყვით, სწორედ

მარტოობის ამ გრძნობამ და გულჩათხრობილობის ჩვეულებამ შეუწყო ხელი მისი აზრის ძალისა და სიმწიფის გამომუშავებას.

სწავლაში დიდი გულმოდგინება არ გამოუჩენია, მაგრამ თხუთმეტი წლისამ მაინც დაამთავრა კოლეჯი და სენ-სულპისის ეკლესიასთან არსებულ სასულიერო სემინარიაში გადავიდა. მშობლებმა გადაწყვიტეს აბატი გამოეყვანათ, რადგან დაზიანებული ფეხის გამო სამხედრო სამსახურისთვის არ გამოდგებოდა.

მას გული არ მისდიოდა სასულიერო წოდებაზე, ჭირვით ეჯავრებოდა გრძელკალთებიანი შავი ანაფორა, კოლეჯიდან გამოსვლისთანავე რომ გადააცვეს, მაგრამ სხვა გზა არ იყო. სასულიერო წოდება კვება-პატივის საშუალებას წარმოადგენდა თავად-აზნაურთა ისეთი შვილებისათვის, რომლებიც რაიმე მიზეზის გამო სამხედრო სამსახურისთვის უვარგისნი იყვნენ და რომლებსაც საკმაო ფული არ ჰქონდათ, რაიმე საპატიო და მომგებიანი ადგილი „ეყიდათ“ სამოქალაქო უწყებაში.

ასე დასრულდა ყრმობა და დადგა სიჭაბუკის წლები. ცხოვრების ასპარეზზე ტალეირანი გულცივი და სკეპტიკოსი გამოვიდა. არვის ენდობოდა, არვინ უყვარდა. სისხლხორცეულად ყველაზე ახლობელი ადამიანები უგულო ეგოისტები აღმოჩნდნენ მის მიმართ. მარტო თავის თავზე, ამასთან არა თავის ფიზიკურ ძალებზე, არამედ მარტო საკუთარ ჭკუა-გონებაზე ამყარებდა ყმაწვილი მთელ თავის იმედებს. მოკვდა მისი საყვარელი მოხუცი ძალუა, მასთან ერთად ჩაქრა ბავშვობის უსიხარულო წლების ერთადერთი ნათელი მოგონებაც. ირგვლივ მხოლოდ უცხო ადამიანები ეხვია, დაწყებული მისი მშობლებიდან, რომლებიც ყველაზე უცხონი იყვნენ მისთვის. ხოლო უცხო ადამიანი - ეს არის კონკურენტი, მტერი, მგელი: თუ მას შენი სისუსტე უჩვენე, მაგრამ - მორჩილი იარაღი, თუ შესძლებ ძლიერი იყო, ე.ი. თუ მასზე ჭკვიანი იქნები.

ასეთი იყო ის სახელმძღვანელო აზრი, რითაც ტალეირანი ცხოვრების შარაგზაზე გავიდა.

შედგა თუ არა ფეხი ცხოვრებაში, პირველივე ნაბიჯებით გამომჟღავნა ის ძირითადი თვისებები, რომლებიც სამარემდე თან გაჰყვა. ოცდაერთი წლისა ზუსტად ისეთივე იყო მორალური თვალსაზრისით, როგორიც ოთხმოცდაოთხი წლის. იგივე სიმშრალე სულის და ქვაგული, სრული გულგრილობა ყოველივე იმისადმი, რაც მის პირად ინტერესებს არ შეეხება და იგივე დასრულებული, აბსოლუტური ამორალიზმი; იგივე მიდგომა ადამიანებისადმი: ბრიყვი დაიმორჩილე და გამოიყენე, ჭკვიანი და ძლიერი ეცადე მოკავშირედ გაიხადო, მაგრამ ერთიცა და მეორეც შენი იარაღი უნდა იყოს, თუ

შენ მათზე მართლა ჭკვიანი ხარ, - იყავ მტაცებელთან მუდამ, და არა მის მსხვერპლთან, გზადღეს ხელმოცარული, აღმერთე წარმატება!

სენ-სულპისის სემინარია რომ დაასრულა და სასულიერო წოდებას ეზიარა, ტალეირანმა შემოსავლიან სააბატოს დაუწყო მუშაობა, ჯერჯერობით კი სასიყვარულო თავგადასავლებში გადაეშვა. ამ თავგადასავლებს სათვალავი არ ჰქონდა. მართალია, ტალეირანი ბრწყინვალე გარეგნობას სულაც ვერ დაიჩემებდა, სახიჩარიც იყო, მაგრამ ქალებს თავისი ყოველისმძლე ბასრი გონებითა და ჭკუამახვილობით ინადირებდა, და მერე, ქალები კი არ სტოვებდნენ მას, თვითონ სტოვებდა მათ პირველი, შემდეგ კი ისინი ამბობდნენ, ამ ახალგაზრდა აბატის შემდგომ ყველა დანარჩენები მოსაწყენნი იყვნენო.

ნაცნობობა საუკეთესო არისტოკრატიულ წრეებთან ჰქონდა. ყოველი ქალი მისთვის მხოლოდ ტკობის ან სარგებლობის იარაღს წარმოადგენდა - მეტს არაფერს. თავის სიცოცხლეში მარტო ერთხელ შეხვდა - ისიც სიბერის ჟამს - ვისაც ხანგრძლივად მიეჯაჭვა: ეს იყო მისი ნათესავი, ჰერცოგის ქალი დინო. ახალგაზრდობაში და სიმწიფის ხანაში ამგვარი სიყვარულის საგანი მას არ გააჩნდა. „რად ხართ აგრე ნაღვლიანი? - ჰკითხა მას ერთხელ ლუდოვიკო XV ფავორიტმა ქალმა, ქალბატონმა დიუბარიმ, როცა ტალეირანი სხვა წარჩინებულ ახალგაზრდებთან ერთად მის სალონში იმყოფებოდა - ნუთუ არც ერთი სამიჯნურო თავგადასავალი არ გაგაჩნიათ? - „ეჰ, ქალბატონო - ამოიოხრა ტალეირანმა პასუხად, - პარიზი - ეს ისეთი ქალაქია, სადაც გაცილებით იოლი საშოვნია ქალი, ვიდრე კარგი სააბატო!“

მაგრამ მისი ოხვრა ხანგრძლივი არ ყოფილა. უკვე 1775 წელს, 21 წლის ჭაბუკი, გახდა რეიმსის აბატი, კარიერა სწრაფი ტემპით წავიდა წინ.

მალე რეიმსის გენერალური ვიკარიუსი ხდება. ის ხან რეიმსში ცხოვრობს, ხან პარიზში; სამღვდელოება ეკლესიის დელეგატთა კრებებზე ავლენს, სადაც გადასახლებაზე და ეკლესიასთან დაკავშირებულ სხვა ფინანსურ საკითხებზე წარმოებს მთავრობასთან მოლაპარაკება. ტალეირანი ლალ და უდარდელ ცხოვრებას ეწევა, ახალ-ახალ სატრფიალო კავშირებს აბამს და იმასაც ახერხებს, ქალები თავისი სასულიერო კარიერის დასაჩქარებლად გამოიყენოს. სამეფო კარზე ახალგაზრდა აბატის შანსები მაღალია: ის გავლენიან პირთა კეთილგანწყობის მოპოვების ოსტატი გახლდათ და მასსა და ჩვეულებრივ კარიერისტებს შორის განსხვავება ის იყო, რომ მას დიდი ხნით ადრე შეეძლო გამოეცნო, რომელი არაგავლენიანი პირი უთუოდ გახდებოდა გავლენიანი გარკვეული დროის შემდეგ. ამიტომ წინასწარვე შლიდა ბადეს და იწყებდა მანევრირებას.

რევოლუციის წინ, 1788 წ. 2 ნოემბერს, მეფე ლუდოვიკო XVI ხელი მოაწერა ბრძანებას, რომლის ძალითაც ქალაქ რეიმსის გენერალური ვიკარიუსი შარლ-მორის ტალეირან-პერიგორი ოტენის ეპარქიის ეპისკოპოსად ინიშნებოდა.

რევოლუციამ ბრწყინვალე კარიერის კეთებაში მოუსწრო ტალეირანს. მან, თუმცაღა ძველი და მეტად არისტოკრატიული, მაგრამ გადარიბებული გვარის ჩამომავალმა, ნამდვილ სერიოზულ კავშირ-ნაცნობობის უქონლად, ოცდათოთხმეტი წლის ასაკში უკვე ეპისკოპოსობას, კარდინალობის კანდიდატობას მიაღწია. საზოგადოებაში ყოველგვარი სახსრების გარეშე ფეხშედგმულმა, მრავალნაირი და საკმაოდ მნიშვნელოვანი, მაგრამ საკმაოდ საეჭვო შემოსავალიც გაიჩინა, რომელსაც მარჯვე ფინანსური სპეკულაციებით ავსებდა. ესეცაა, რომ თავისი მდგომარეობით ტალეირანი უკმაყოფილოა. როგორც ვთქვით, სასულიერო წოდება მხოლოდ იმის გამო მიიღო, რომ უბედურმა შემთხვევამ სამუდამოდ დააკოჭლა და სამხედრო სამსახურისთვის გამოუსადეგარი გახადა. მთელი არსებით ეჯავრებოდა სამღვდელთა წოდება და ყველაფერს აკეთებდა, რათა თავისი თავისა და სხვებისთვისაც დაევიწყებინა უცნაური ჩაცმულობა, რომელიც უნდა ეტარებინა. ის ცხოვრობდა მაღალი წრის კაცის ცხოვრებით, ჰქონდა რამდენიმე სატრფიალო კავშირი არისტოკრატ და არაარისტოკრატ მანდილოსნებთან; ეწეოდა ნაწილობრივ კარისკაცის, ნაწილობრივ ბირჟის სპეკულანტის ცხოვრებას; მაგრამ ფულის მშოვნელობის მიუხედავად (რასაც იქვე ფლანგავდა ქალებში, ქეიფებში და ბანქოში), არავითარი რამდენადმე მტკიცე, უზრუნველყოფილი კაპიტალი რევოლუციის დაწყებამდე არა ჰქონია. ამას გარდა, იმ დროისთვის უკვე გახმაურდა ერთი მეტად არასასიამოვნო და შემაშფოთებელი ფაქტი; ნაცნობები, ბოლოსდაბოლოს, მიხვდნენ, ვისთანაც ჰქონდათ საქმე ამ ახალგაზრდა და წარმატებული ეპისკოპოსის სახით. „ესაა კაცი ხარბი და თახსირი, მდაბალი ინტრიგანი, მას ესაჭიროება სიბინძურე და ესაჭიროება ფული. ფულზე გაჰყიდა ღირსება და მეგობარი. ფულის გულისთვის სულსაც გაყიდდა - და სწორადაც მოიქცეოდა, რადგანაც ნეხვის გროვას ოქროზე გაცვლიდა“, - ასე ლაპარაკობდა მასზე რევოლუციამდე ორი წლით ადრე, 1787 წელს, მირაბო, რომელსაც ბედნიერება ჰქონდა ტალეირანის ძვირადღირებული სამსახურით ესარგებლა. მსგავსი გამოხმაურებანი სხვაც მრავალია. არავინ უარყოფდა ამ ადამიანის დიდ ნიჭს, მაგრამ არც არავის ეპარებოდა ეჭვი მის სრულ მზადყოფნაში, არ მორიდებოდა არავითარ სიმურდლეს საკუთარი სარგებლობის გულისთვის.

რისკენ ილტვოდა? რა სჭარბობდა მასში? პატივმოყვარეობა თუ ანგარება?

თანამედროვეთა უმრავლესობა აცხადებდა, ანგარებაო, და დოკუმენტები,



რომლებსაც ჩვენ ამჟამად ვიცნობთ, მაგრამ რომლებსაც ისინი არ იცნობდნენ, სავსებით ადასტურებს ამას. „უწინარეს ყოვლისა - შორს სიღარიბე“, ეს რჩევა-აფორიზმი არაერთხელ წარმოუთქვამს ტალეირანს. მიდიან ბურბონები, მიდიან დანტონები და რობესპიერები, მიდიან დირექტორიები და ბონაპარტები, მაგრამ მიწები და სასახლეები და ფრანკები (თუ ისინი ოქრონაჭედია) - რჩებიან. მიწებსაც და ფრანკებსაც რომ განსაცდელი ექმნება (იშვიათად ხოლმე), განსაკუთრებით სანამ საკუთარ ჯურღმულებშივე არ შეურეკიათ და არ განუიარაღებიათ სენტ-ანტუანის გარეუბნის ხალხი, ეს ტალეირანს კარგად ესმოდა; მაგრამ სწორედ ამიტომ ეჭვი არ ეპარებოდა, რომ ყოველ შემთხვევაში, მის სიცოცხლეში მაინც, ყოველთვის შესძლებდნენ ამ მისთვის საშიში ადამიანების უკან, „გამოქვაბულებშივე“ შერეკვას. მაშასადამე, ამაზე ფიქრიც არა ღირს და პრაქტიკული მიზნებისათვის იმ აზრით უნდა იხელმძღვანელო, რომ მიწები და ფრანკები მარადიული სიკეთეა, ხოლო ტიტულები და მინისტრთა სავარძლები - წარმავალი.

ძალა-უფლებას დიდი ღირებულება აქვს ტალეირანის თვალში. ძალა-უფლებას, ფულებს რომ იძლევა, ეს მთავარი დანიშნულებაა მისთვის. რასაკვირველია, ძალა-უფლებასთან გარეგანი პატივისა და ძლიერების სასიამოვნო შეგრძნებაცაა დაკავშირებული, მაგრამ ეს უკვე მეორე პლანზე დგას.

იგივე ითქმის ქალების შესახებაც, რომლებშიც ზოგიერთი ბიოგრაფი ტალეირანის მეორე ძირითად ვნებას ხედავს. ქალი, უმთავრესად, იმითაა კარგი, რომ მისი დახმარებითა და პროტექციით იოლად და ყველაზე უფრო მალე აღწევს სასურველ (ე.ი. შემოსავლიან) ადგილზე მოხვედრას. მართალია, ფიქრობდა ის, ქალები, ამას გარდა, თავისთავადაც მრავალ საუცხოო წუთებს გვგვრიანო, მაგრამ მისთვის ესეც მეორე პლანზე იდგა.

ძალა-უფლებაცა და ქალებიც, უწინარეს ყოვლისა, საჭიროა, რათა გამდიდრებას მიაღწიო. ფული, ფული - სხვა ყველაფერი მისით მოვა. და თუ ყურადღებით დავუკვირდებით ტალეირანის რჩევებსა და მოქმედებებს, დავინახავთ, რომ ამ ძირითადი პრინციპებისათვის მას არც არასოდეს უღალატნია, რასაც ვერავითარ შემთხვევაში ვერ ვიტყვით ვერც ერთ მის დანარჩენ პრინციპზე.

აი რევოლუციის წინა ეპოქა, მისი ცხოვრების პირველი ოცდათხუთმეტი წელიწადი. ცნობილია ტალეირანის კლასიკური თქმა: „ვისაც 1789 წლამდე არ უცხოვრია, ის არ იცნობს ცხოვრების მთელ სიამეს“. მართალია, ტალეირანს, მისდა სამწუხაროდ, არავითარი ძალა-უფლება არ გააჩნდა, რეპუტაციაც საეჭვო საქმოსნისა ჰქონდა, თუ უბრალოდ თაღლითისა არა, მაგრამ ეს ხელს არ უშლიდა ცხოვრების სიამეთა

განცდაში სამაგიეროდ, უხვად იყვნენ ქალები, და თუ უხვად არა, ბლომად იყო ფულები: ქალები მისი კარიერისათვის ზრუნავდნენ, შველოდნენ თბილ ადგილებზე გამრომას მთავრობასთან კათოლიკური სამღვდელოების მიერ ანგარიშსწორებითი ბალანსის დარგში; უადვილებდნენ საჭირო ცნობების მოპოვებასა და კავშირ-ურთიერთობის გაბმას ბირჟის, იჯარების, გამოსყიდვებისა და სპეკულაციების სამყაროში; წარმატებას უქმნიდნენ გავლენიან სალონებში.

რაც შეეხება რეპუტაციას - ამთავითვე უნდა შევნიშნოთ, ეს საკითხი ტალეირანს ნაკლებად აწუხებდა. და გარდამავალ ეპოქებში, როცა ფეოდალურ-თავადაზნაურული კლასი სულ უფრო და უფრო იძულებული ხდება არა მარტო ანგარიში გაუწიოს ბურჟუაზიის მოძალებას, არამედ თავის სამსახურშიც აიყვანოს, მსახურეულთა წოდებაშიც ჩართოს ახალი საზოგადოებრივი გენების წარმომადგენლები, ისეთ ეპოქებში, როგორიც იყო რევოლუციის წინა უკანასკნელი ათწლეულები XVIII საუკუნის საფრანგეთში, ან XIX საუკუნის ბოლო და XX საუკუნის დასაწყისი რუსეთში - ეს ლამის განზრახი ყოყოჩობა „საზოგადოებრივი აზრის“ აბუჩად აგდებით, მეტად დამახასიათებელ და თითქმის ყოველდღიურ მოვლენად იქცევა, და სწორედ განწირული, მიმავალი არისტოკრატიული კლასისათვის. ღირს კი საზოგადოებრივი აზრისთვის ანგარიშის გაწევა, როცა ამ აზრს ვიღაც ვიგინდარა რაზნოჩინელები წარმოადგენენ? ისეთი გულახდილი ცინიზმი ბატონდება, როგორიც სავსებით წარმოუდგენელი იყო უწინ. ქურდობით ლუდოვიკო XIV დროსაც ქურდობდნენ, და საკმაოდ გაბედულადაც. მაგრამ მხოლოდ ლუდოვიკო XVI დროს, ბასტილიის აღებამდე ხუთი წლით ადრე მოხდა, რომ გენერალურმა კონტროლიორმა კალონმა, როცა მას შეეკითხნენ: „როგორ გეყოთ გამბედაობა სამეფო ფინანსების მართვა-გამგეობა გეკისრათ, როცა თქვენი პირადი საქმეებისათვის ვერ მოგივლიათო?“ გაბედა ხმამაღლა იუმორით ეპასუხნა: „სწორედ ამიტომ მოვკიდე ხელი სამეფო ფინანსების მართვას, რომ ჩემი საკუთარი ფინანსები მეტისმეტად ამეწეწაო“. ხაზინის ქურდობა და მექრთამეობა პირდაპირ გაფურჩქნილი იყო რუსეთში ალექსანდრე I დროსაც და ნიკოლოზ I დროსაც, მაგრამ მხოლოდ 1881 წ. 1 მარტიდან 1917 წ. 28 თებერვლამდე არსებულ შუალედში გახდა შესაძლებელი შემდეგი კლასიკური დიალოგი (რომელიც სამთო დეპარტამენტის დირექტორმა კ. სკალკოვსკიმ შემოუნახა შთამომავლობას); მოიჯარე: „თქვენო აღმატებულებაჲ, მე თქვენ მოგართმევთ სამ ათასს - და მამაზეცვიერიც კი ვერას შეიტყობს ამის შესახებ“. მისი აღმატებულება: „მომეცით ხუთი ათასი და მოუყევით, ვისაც გენებოთ“.

რევოლუციისწინა ეპოქებისათვის დამახასიათებელ ასეთ ატმოსფეროში გაიზარდა ტალეირანი. ვისი რიდი უნდა ჰქონოდა? სპეკულანტები, ბირჟაზე მოთამაშენი, შემსყიდველები, მაკლერები - მთელი ეს ბრბო, Rue Vivienne-ზე რომ ირეოდა და ვისზეც ასე დამოკიდებული იყო ახალგაზრდა აბატი, შემდეგ ეპისკოპოსი - თავის აფიორებში, ჭკუისა და ნიჭის უმაღლეს გამოხატულებას ოსტატურ თაღლითობაში ხედავდა. მირაზო, რომელმაც ასე გასწირა ტალეირანი, არც თავად ყოფილა ანგელოზი, სასახლეში ყველაფერი ყიდვა-გაყიდვისა და გაცვლის საგანს წამოადგენდა. ერთადერთი უსიამოვნო გარემოება, ეს იყო აბატის გრძელკალთებიანი, სამულველი ტანსაცმელი და ხანდახან უფულობაც: ფული კი მოცვიოდა, მაგრამ როგორც მოდიოდა, ისევე მიდიოდა, თუ უფრო სწრაფად არა. გაბმულ ქეიფებს, ქალებს, ღვინოს და კარტს ყოველთვის ვერ აუდიოდა. განსაკუთრებით ის აზრი იყო მომშხამველი, რომ ამ სამულველ ტანსაცმელს, ჯერ ერთი, ნორმალურ პირობებში, მთელს შენს სიცოცხლეში ვერ მოიცილებდი, მეორეც, ეს რომ დასაშვებიც ყოფილიყო კანონიკური უფლებით, სულერთია გაუმართლებელი იყო ბიუჯეტური თვალსაზრისით: ოტენის ეპისკოპოსისათვის, ხვალინდელი კარდინალისთვის, გაცილებით იოლი და მოსახერხებელი იყო ფულის ხვეჭა, ვინემ უბრალო თავად ტალეირანისთვის. აი ეს მართლაც ადარდებდა ხანდახან ტალეირანს. მაგრამ ასეთი წუთები იშვიათად ეწვეოდა ხოლმე. „ცხოვრების სიამეს“, საბოლოო ჯამით, ამით არა აკლდებოდა რა.

და აი იგრიალა რევოლუციამ.

განჭვრიტა თუ არა რევოლუცია ტელეირანმა? რევოლუციის მოახლოება მასზე ნაკლებ გამჭირახმა ადამიანებმაც დაინახეს, მაგრამ ცოტა ვინმემ თუ იწინასწარმეტყველა. თუნდაც ზოგადად, რევოლუციის შემდგომი განვითარება და, განსაკუთრებით, მისი ფორმები; კაზოტის ყბადაღებული მისნობა მეფის ოჯახის სიკვდილით დასჯისა და მეფის მთელი მეგობარ-არისტოკრატების დაღუპვის შესახებ, შემდეგაა შეთხზული, თუმცაღა ისტორიკოსი იპოლიტ ტენი მოხიბლული იყო ამ მისნობით, ხოლო ტენამდე ლერმონტოვის შთაგონების წყაროც გახდა („გიჟურ ნადიმზე იჯდა იგი ჩაფიქრებული“) ნადიმები, რომელთა ასე ხშირ სტუმარს წარმოადგენდა ტალეირანი, არავითარ ავბედით წინასწარმეტყველებებს არ დაუმძიმებია. აგერ უკვე 1789 წ. გაზაფხულმა მოატანა, და ეს ადამიანები, ლალი და უდარდელი ცხოვრებით განებივრებულნი, იმის მაგიერ, რევოლუციის საშიშროება სცნონ, ფიქრობენ, ეგაა, განათლებულ პირებს სასახლისეულ რეაქციონერებთან და მათ მთავარ მფარველთან, დედოფალ მარია-ანტუანეტასთან, საინტერესო პაექრობა გაუჩაღებიათ, ერთმანეთს სხვადასხვა ამაღლებულ და პოპულარულ თემებზე

მჭევრმეტყველებაში ეჯიბრებიანო. რევოლუცია, აგრეთვე, უწინარეს ყოვლისა, ადგილების, პენსიების და მინისტრთა პორთფელების გადანაწილებააო, ფიქრობენ ისინი. მერე კი, როცა გაზაფხულის ბოლოს არდადეგები მოაწყვეს, გენერალური შტატების წევრები დასასვენებლად თავთავიანთ სოფლებსა და კომპეკში წავლენ, იქ კი გაბედნიერებული მოსახლეობა ლიბერალურ გმრობათა ჯილდოდ მათ დაფნის გვირგვინებით შეამკობს. თვით მოღვაწეობა გენერალური შტატებისა, რომლებიც 1789 წ. 5 მაისს მოიწვიეს ვერსალში, სულაც არ ეჩვენებოდათ, თითქოს გამწვავებულ ან მით უმეტეს, შეიარაღებულ ბრძოლის ვითარებაში მიმდინარეობდეს.

მაგრამ ძალიან მალე, სხდომათა დაწყების პირველივე კვირების განმავლობაში, ტალეირანისათვის ნათელი ხდება, რომ ახლოვდება ისეთი დრო, როცა ორ სკამს შუა ჯდომა უსარგებლოცაა და საშიშიც, როცა ყველაზე დიდი მოხერხება - ეს არის სწორედ საკითხის რაც შეიძლება მკაფიოდ დაყენება. მესამე წოდება რომ აშკარად სჭარბობდა და გაცილებით უფრო ძლიერი იყო ორ დანარჩენ წოდებაზე, როგორც გენერალურ შტატებში, ისე მათ გარეთაც - ამას პირველ დღეებშივე მიხვდა ტალეირანი; ამიტომაც, როგორც თვითონ ამბობს, „რჩებოდა ერთადერთი გონივრული გადაწყვეტილება - დაგეთმო მანამდე, სანამ ამას ძალით გაიძულებდნენ და სანამ ჯერ კიდევ შეიძლებოდა ეს დათმობა დამსახურებად ჩათვლიდა“. აქედან გამომდინარე, ისიც პროგრესულ პოზიციას ემხრობა, მან დაიკავა პოზიცია ეპისკოპოსისა, რომელსაც სურს ხალხის მეგობარი, პრივილეგიების მტერი და ჩაგრულთა დამცველი იყოს. ის კი არა, პირველ ხანებში მტკიცე უარიც განაცხადა, როცა მეფის კარმა ჩუმად ქრთამი შეაძლია. ამ მისთვის მართლაც რომ გმირულ და მის ბიოგრაფიაში სავსებით უჩვეულო უართან დაკავშირებით, ტალეირანს შემდეგ შესანიშნავ სიტყვებს მიაწერენ: „საზოგადოებრივი აზრის სალაროში მე ვიპოვი გაცილებით მეტს, ვიდრე თქვენ მთავაზობთ. სამეფო კარისაგან ფულების აღება ამიერიდან მხოლოდ დაღუპვას უქადის ადამიანს.“

ტალეირანმა უყოყმანოდ დატოვა დასაღუპად განწირული ხომალდი - უფრო ზუსტად, ხომალდის ის ნაწილი, სადაც აქამდე ასე განცხრომითა და არხეინად ცხოვრობდა, და ჯერხნობით უფრო უშიშარ სადგომში გადაბარგდა: ვერსალში სამღვდელოების დარბაზიდან მესამე წოდების დარბაზში გადავიდა.

მაგრამ მოვლენები თავის გზით ვითარდებოდა. ბასტილიის აღება მეხივით დაეცა: ცხადი გახდა, რომ სამეფო კარის უაღრესად საშიში პოლიტიკა, პოლიტიკა უძალო, მაგრამ აშკარად გაბოროტებული წინააღმდეგობისა, დღის წესრიგში რევოლუციასა და კონტრრევოლუციას შორის ხელისუფლებისათვის შეიარაღებული ბრძოლის საკითხს აყენებდა. წყალი ხომალდის ცალკეულ სადგომებს კი აღარ ნთქავდა,

მთლიანად ხომალდს ემუქრებოდა დაუყოვნებლივ ჩაძირვით. საჭირო იყო სასწრაფო და, მასთან, მყარი, საბოლოო გადაწყვეტილების მიღება.

ტალეირანს მტკიცედ ესმოდა, რომ საჭირო იყო ძველი რეჟიმის დაუყოვნებლივ ნგრევა და ბურჟუაზიის მიერ წამოყენებული ყველა რევოლუციის გატარება, მაგრამ აუცილებელი იყო, მისი აზრით, ეს „თვითონ“ გაეკეთებინათ: მთავრობას ბურჟუაზიის საქმე უნდა ეკეთებინა ისე, რომ საჭე ხელიდან არ გაეშვა. რევოლუციური პროცესი ტალეირანისათვის, მისი სიცოცხლის დასაწყისიდან დასასრულამდე, არსებითად, სავსებით მიუღებელი, მტრული, დამლუპველი დარჩა. აჯანყებული მასის ხელში ძალაუფლების განუყოფელ გადასვლას არასოდეს, არც ერთი წუთით, გულწრფელი თანაგრძნობით არ მოჰკიდებია, არასოდეს მთელი არსებით არ შერიგებია. ამ მხრივ ის არასოდეს არავითარი ახალი იდეებით, ახალი პერსპექტივებით, გამათავისუფლებელი და „გამათანაბრებელი“ ოცნებებით არ ყოფილა გატაცებული, ზოგიერთი სხვა არისტოკრატისა, მაგალითად, ლაფაიეტის, კაროშფუკო-ლიონკურის ან მონმორანსის მსგავსად, რომლებსაც რევოლუციის წინა წლებში ეს სწრაფწარმავალი გატაცებები ჰქონდათ ხოლმე. ზიზლი და შიში - სხვა გრძნობა არასოდეს ჰქონია ტალეირანს აჯანყებული მასის მიმართ.

მაგრამ გამჭირაზი და ნათელი გონების პატრონი ტალეირანი ხედავდა, რომ სისუსტისა და ძალადობის, დამთმობლობისა და ჯიუტობის მონაცვლეობით პოლიტიკა ყველაზე საშიში იყო შესაძლებელ პოზიციებს შორის. ხოლო შიში მოახლოებული მძაფრი, სისხლიანი გადატრიალების წინაშე ისე მძლავრი იყო მასში, მძულვარება ლალ-უდარდელი ყოფის პირობების მოსპობისადმი - ისეთი დიდი, რომ ტალეირანი, ვიდრე მტრის მხარეზე გადავიდოდა, შეეცადა - პირველად და უკანასკნელად თავის სიცოცხლეში - აშკარა ბრძოლა გაემართა მტერთან. შემდეგ აღარასოდეს დამართნია ეს. ბასტილიის აღებიდან ორი დღის შემდეგ, როცა პარიზი რევოლუციური ნაციონალური გვარდიის ხელშია უკვე, ხოლო მეფე ვერსალიდან პარიზს ჩამოსასვლელად ემზადება, რათა კმაყოფილება გამოთქვას მომხდარი ამბების გამო და ქუდი სამფეოვანი კოკარდით დაიმშვენოს, - 16 და 17 ივლისის ღამეს მარლის სასახლეში გამოცხადდება ოტენის ეპისკოპოსი, თავადი ტალეირანი, და მეფის ძმის, გრაფ დ'არტუას ნახვას ითხოვს. კარლ დ'არტუას უკვე მაშინაც იცნობდნენ ისეთ კაცად, რომელიც მეფის ოჯახის წევრებს შორის ყველაზე მეტად ემხრობოდა რევოლუციისათვის ენერგიულ სამხედრო წინააღმდეგობას. საუბარმა ორ საათზე მეტი გასტანა.

ტალეირანი დაჟინებით მოითხოვდა, დაუყოვნებლივ აშკარა საომარი მოქმედება დაეწყოთ, ყველაზე საიმედო ჯარის ნაწილები მოეხმოდ და ბრძოლა გაემართათ, ესლა

რჩება გადარჩენის ერთადერთ შანსადო, ირწმუნებოდა ის. კარლი ამბობდა, მეფე არ დათანხმდებაო. ტალეირანი არ ეშვებოდა, ურჩევდა, ახლავე გააღვიძეთ მეფე და დაარწმუნეთ, წინააღმდეგობას მიმართოსო.

გრაფი დ'არტუა ლუდოვიკო XVI გასაღვიძებლად გაემართა მაგრამ, როცა დაბრუნდა, ტალეირანს ამცნო, მეფემ გადაწყვიტა დაუთმოს რევოლუციურ ნაკადს და არავითარ შემთხვევაში ხალხის არც ერთი წვეთის დაღვრას არ დაუშვებსო. ორივე მოსაუბრემ იქვე მიიღო გადაწყვეტილება. „რაც შემეხება მე, - თქვა გრაფმა დ'არტუამ - ჩემი გადაწყვეტილება მტკიცეა: ხვალ დილით მივემგზავრები, ვტოვებ საფრანგეთს“. ტალეირანმა ჯერ იფიქრა, ხელს ავალდებინებ ამ განზრახვაზეო, საუბრის ბოლოს კი განუცხადა: „თქვენო უმაღლესობავ, ასეთ შემთხვევაში, როცა მეფე და პრინცები მონარქიის ინტერესებს და თავიანთ პირად ინტერესებსაც ბედის ანაბარად ტოვებენ, თითოეულ ჩვენგანს ისლა დარჩენია, ჩვენ - ჩვენს საკუთარ ინტერესებზე ვიფიქროთ“. კარლმა ტალეირანს შესთავაზა, ემიგრაციაში გაჰყოლოდა, მაგრამ ტალეირანმა უარი უთხრა.

ტალეირანს სძაგდა ბურბონები, ეს უსუსური, უგუნური, ლაჩარი და მოუქნელი ადამიანები, რომლებსაც არც იმის სურვილი ჰქონდათ, წინასწარ დაენახათ საშიშროება, არც ბრძოლა სურდათ, როცა სხვა გამოსავალი აღარ რჩებოდა. ლუდოვიკო XVI მას მუდამ ეჯავრებოდა და ეჯავრებოდა სწორედ იმიტომ, რომ ხსენებული მეფე „იყო გულადი, როგორც დედაკაცი მშობიარობის ჟამს[7]“

ყველა ბურბონი შემდეგ ასეთივე „საპატივცემულო“ შეიქნა მისთვის: კარლოს X, რომელსაც მუდამ ჩერჩეტ კაცად სთვლიდა, ლუდოვიკო XVIII, რომელიც თავისი სიმხდალით უფროს ძმას, გილიოტინაზე დაღუპულ ლუდოვიკოს აღემატებოდა.

ტალეირანი დარჩა. დარჩა, რა თქმა უნდა, არა იმიტომ, რომ გადაერჩინა ის, რისი გადარჩენაც კიდევ შეიძლებოდა, როგორც ამას წერდა და ლაპარაკობდა შემდეგ. ამ შემთხვევაში ის ისევე აშკარად, ისევე უსირცხვილოდ, ისეთივე დარბაისლური სიდინჯითა და ცხოვრებისაგან დაბრძენებული ისეთივე ფილოსოფოსის გამომეტყველებით ცრუობს, როგორც ყოველთვის და ყველგან, საცა კი საქმე მისი საქციელის მოტივირებას ეხება.

არავინ და არც არა გადაურჩენია რა ტალეირანს არც რევოლუციის, არც ნაპოლეონის დროს; პირიქით, სულ მზად იყო, ხელი ეკრა ადამიანებისათვის, როცა ეს მისთვის ხელსაყრელი იყო, გილიოტინისკენ ან ვენსენის თბრილისაკენ (საითაც, მაგალითად, სწორედ მან უბიძგა ენგიენის ჰერცოგს 1804 წ. მარტში). ტალეირანი იმიტომ დარჩა საფრანგეთში, რომ მათხოვრული ემიგრანტული ცხოვრება აეცდინა, რომ

მდგომარეობის ახალ მეუფეებთან საერთო ენის გამონახვას ცდილიყო, „ხელახლა შეკაზმული“, დავარდნილი ცხენი ახალ ტაიჭზე შეეცვალა. იმ მომენტიდანვე, როცა გრაფმა დ' არტუამ თავის ძმასთან ღამეულ საუბრის შემდეგ ტალეირანს განუცხადა, სამეფო ხელისუფლება უარს ამბობს შეიარაღებულ ბრძოლაზეო, ტალეირანი გაემიჯნა ბურბონებს და გამარჯვებულთა მხარეზე გადავიდა.

ტალეირანი წამსვე ვარაუდობს: მართალია ბურჟუაზიამ გაიმარჯვა, მართალია ბურჟუაზიამ ერთი დაკვრით შემუსრა თავადაზნაურულ-აბსოლუტისტური წყობილება, მაგრამ ზოგ-ზოგ რამეში მას კიდევ გამოადგებიან ჩემისთანებიო. ის იმედოვნებს, რომ თუ ძვირფას დროს ხელიდან არ გაუშვებს, თავის მომსახურებას მეტად სარგებანად გაჰყიდის. და არა მარტო იმიტომ, რომ ჭკვიანი თავი აბია, არამედ იმიტომ, რომ ამ თავს ჰფარავს ეპისკოპოსის მიტრა. აღმოჩნდა, რომ ამ უკვე მოდიდან გამოსულ თავსახურს თურმე არც რევოლუციის დროს დაუკარგავს თავისი საცვლელი ღირებულება. საქმე ისაა, რომ სწორედ იმხანად, 1789 წ. ზაფხულის ბოლოს და შემოდგომაზე, დამფუძნებელი კრება მეტად შეწუხებულია მტკივნეული ფინანსური საკითხით: უნდა გამოეშვათ დიდძალი ქაღალდის ფული, რომლისთვისაც მინიმალური უზრუნველყოფა მაინც უნდა მოენახათ. ასეთ უზრუნველყოფად გამოდგებოდა ის უზარმაზარი მიწის ფონდი, კათოლიკური ეკლესია რომ ფლობდა საფრანგეთში. საჭირო იყო სამღვდელოებისაგან მისი ჩამორთმევა და ხაზინაში ჩარიცხვა. აი აქ იჩინა თავი სიძნელებმა.

ჯერ-ერთი, როგორ დაარღვიონ კერძო საკუთრების შეუვალი და წმიდათაწმიდა პრინციპი. მოზეიმე ბურჟუაზიამ ეს იმდენჯერ და ისეთი მჭევრმეტყველებით გამოაცხადა, დაამტკიცა, დანერგა და ქებათა-ქებით შემოსა, ამავე დროს მას ისე ეშინოდა, აქამდე მისი მოკავშირე მასები ბასტილიის იერიშის შემდეგ მანუფაქტურებს, სახლებსა და ზარაფხანებს არ მისეოდნენ, რომ ყოველთვის, როცა საკითხი თუნდაც შორეულად შეეხებოდა ქონებრივი ხასიათის ცვლილებებს, კრებას უეცრად აზრთა სხვადასხვაობა იპყრობდა, შეინიშნებოდა მერყეობა, უთანხმოება, ერთგვარი დაბნეულობა და გაუბედაობა. ხომ არ გამოიწვევდა ეს მაცდუნებელი მაგალითი საერთოდ ყველა მიწების გადანაწილების მოთხოვნას, ბიძგს „აგრარული კანონისაკენ“, მიწის რეფორმისაკენ ძმათა გრაქების სტილში, რომელთა სახელსაც იმხანად ისეთი შემფოთებით ახსენებდნენ? მეორეც, ექსპროპრიაცია ეხებოდა დიდ, საუცხოოდ ორგანიზებულ წოდებას. სწორედ იმ სასულიერო წოდებას, რომელიც თუმცა მრავალი მტკიცე ძაფით იყო დაკავშირებული ძველ რეჟიმთან, მაგრამ აქამდე უდიდესი სიფრთხილით მოქმედებდა, რევოლუციის მტრების მხარეზე როდი გადასულა, და მიუხედავად იმისა, სოფლად მნიშვნელოვანი გავლენა ჰქონდა. ჯერ

არსად იყო შემჩნეული კონტრევოლუციურ პროპაგანდაში გლეხებს შორის. ცხადია, ბურჟუაზიულ კანონმდებლებს არც ის უნდოდათ, ეს ვეება, ათასხუთასწლიანი ორგანიზაცია ასე უცბად გადაემტერებინათ. ეკლესიისგან ჩამორთმეული მიწები რომ მაშინვე გლეხოებისთვის გადაეცათ, ასეთ შემთხვევაში კიდევ ექნებოდათ საფუძველი ეფიქრათ, რომ მატერიალური სარგებლობა, რასაც გლეხოება მიიღებდა, უვნებელს გახდიდა ნაწყენ-გაღიზიანებული სამღვდელოების კონტრევოლუციურ აგიტაციას.

მაგრამ საქმეც ისაა, რომ ამ მიწების დარიგება სულაც არ იყო განზრახული: მიწები ხაზინის გამგებლობაში უნდა გადასულიყო, ხაზინა კი თავის მხრივ საჯარო ვაჭრობით მათ გაყიდვას უზრუნველყოფდა. საშიში და მეტად მაცდუნებელი ხასიათის ძალადობა კერძო საკუთრების პრინციპისადმი, სამღვდელოების გადასვლა კონტრევოლუციურ ბანაკში - აი რა პერსპექტივები წარმოუდგა შემინებულ დამფუძნებელ კრებას თვალწინ.

არავითარი სხვა გამოსავალი, ამ კოლოსალური მიწის სიმდიდრის კონფისკაციის გარდა, არ ჩანდა. როგორ გაეკეთებინათ ისე, რომ მიწები ხაზინას წაეღო და ამავე დროს არავითარ კონფისკაციასაც ადგილი არ ჰქონოდა?..

აი სად გამოადგა ტალეირანს ეპისკოპოსის სამოსელი და მოძღვრის კვერთხი: აი აქ იყო რომ მიხვდა: თავისთავად ეძლეოდა შემთხვევა (რაღა თქმა უნდა, უკვე უკანასკნელი ასეთი შემთხვევა), აეღო ამ ლამაზ, მაგრამ ერთობ მოძველებულ ნივთებში იმაზე გაცილებით მეტი, რასაც მათში თუნდაც ყველაზე უფრო მდიდარი ანტიკვარული მაღაზია გაიმეტებდა.

მონარქიული პროვოკაციის - სამეფო ოჯახის ვერსალიდან პარიზში გადმოსვლის - საპასუხოდ პარიზელი ხალხის აჯანყებამ 1789 წ. 5 და 6 ოქტომბერს, რევოლუციური მოძრაობის ახალმა და ელვარე ტრიუმფმა - ყოველივე ამან ბოლო მოუღო ტალეირანის უკანასკნელ ყოყმანს, თუ მსგავსი რამ კიდევ შემორჩა ბასტილიის აღების შემდეგ. 9 ოქტომბერს, დამფუძნებელ კრებაში საეკლესიო მიწების ნაციონალიზაციის შესახებ წინადადებით გამოსვლის წინააღმდეგ, თავის ყოფილ მეგობარ ქალს, ქალბატონ ლამბესკს, ტალეირანი შესანიშნავ წერილსა სწერს, რომელშიც რევოლუციის მხარეზე გადასვლას ამართლებს[8]. „მე მგონია, თქვენ ხშირად უნდა მკიცხავდეთ, მაგრამ მაინც ვბედავ ფიქრს, რომ შემიძლია თავი ვიმართლო. ასე მუდამ: ჩემზე ან ძლიერ ცუდად ლაპარაკობენ, ან ძლიერ კარგად“. (აქ კი თავადი ტალეირანი მაგრად სცდება: მის შესახებ არავის ულაპარაკნია არასოდეს არც „ძლიერ კარგად“ და არც თუ უბრალოდ კარგად). „ერთი ჭეშმარიტება უნდა შეიგნოთ: რევოლუცია, რომელიც ამჟამად ხდება საფრანგეთში, აუცილებელია ისეთი



წესრიგის დროს, როგორშიც ჩვენ ვცხოვრობთ და ეს რევოლუცია, საბოლოო ჯამით, სასარგებლო აღმოჩნდება. ახლანდელი შფოთი და უბედურება იმითაა გამოწვეული, რომ ერთნი ლამობენ ხელი შეუშალონ ასეთებს, ხოლო მეორენი - დააჩქარონ. თავად-აზნაურობამ და სამღვდელოებამ წარმოიდგინეს, რომ ძველი ცრურწმენები კვლავაც სარგებლობას მოუტანს მათ, და რომ საფრანგეთში მხოლოდ მომთხოვნელობა შეიცვალა იმ ადამიანთა, რომელნიც მათ წოდებას არ ეკუთვნოდნენ. ფორმებს რომ აუხირდნენ, ამით შესაძლებლობა მისცეს (მოწინააღმდეგეებს), საქმე არსებითად განეხილათ. პირველი დავა რომ წააგეს, უფრო ცხოველი და უფრო მნიშვნელოვანი ჩხუბი წამოიწყეს. პირველ ორ წოდებას მარტო ვნებები გააჩნდა. ამიტომ მათ არც შეეძლოთ მოქმედების გეგმა შეედგინათ და ამ გეგმის შესაბამისად ემოქმედნათ. მესამე წოდება თავის უფლებებზე იმაღლებდა ხმას, ისინი მას გააჩნდა და გამარჯვებაც მისი უნდა ყოფილიყო. ყველაფერი, რაც მოხდა, მოხდა ომის ვითარებაში. მოცემული პოზიციის დროს შეუძლებელი იყო ექვი შეგპარვოდა იმაში, რაც მოხდა. ამიტომ აუცილებელი გახდა გარკვეული შეხედულების გამომუშავება, ამასთან, იმდენად გაბედულისა, რამდენადაც ამას გარემოება მოითხოვდა. საჭირო იყო უსაფუძვლო მოთხოვნილებათა და პირობითობის ვიწრო წრის გარღვევა, რათა გაცილებით უფრო ფართოდ შეგეხედა ურთიერთობებისათვის და შევხვედროდით ახალ ეპოქას, რომელსაც ვესწრაფით“. არვის ეხერხებოდა ისე ბუნდად წერა, როგორც ტალეირანს, როცა საჭიროდ მიაჩნდა. მაგრამ შემდეგ ამ თავისებურ აღსარებას უფრო ემატება სინათლე: „მაშინ ნახევარგადაწყვეტილებების მიღება (prendre des demi-partis) საშიში იყო სუსტი ადამიანებისათვის და სასიცოცხლო იმათთვის, ვინც თავის თავს უფრო აფასებდა.

ერთადერთი საქციელი, რასაც ერთგვარი პატივისცემის ღირსად თვლიდნენ, იყო აზრის ხმამაღლა გამოთქმა. ყოველივემ, რაც შემდეგ მოხდა, თვალი ვერ აუხილა იმათ, ვისაც არა სურს ხედავდეს. ჯერაც ისეთი ილუზიებით საზრდოობენ, რომელნიც უკვე დანაშაულებრივი გახდა, ჯერაც ქიმერებს დასდევენ, რა არი თავი დაიმშვიდონ ამ დამამწუხრებელ სინამდვილეში, რომელსაც შეუძლებელია წინ აღუდგე. კვალდაკვალ მიჰყვნენ (მოძრაობას), ძალა არ შესწევთ და ჩნდება პრეტენზია მისი შეჩერებისა. ჯერაც, შესაძლოა, ვერ გაგვეღწიოს იმ უბედურებებისაგან, რაც უკვე გამოგვაცდევინა ამ განწყობილებამ, რომელიც იმდენადვე ბალღურია, რამდენადაც სასტიკი. მოვა დრო, ქალბატონო, როცა მე ჯეროვნად დამაფასებენ...

...რა თქმა უნდა, თქვენ გეტყვიან, რომ მე ძლიერ ცუდად მოვექეცი სამღვდელოებას. აი პასუხიც: მე ძალიან კარგად მოვექეცი მას; დარწმუნებული ვარ, ერთადერთი

შესაძლებელი საშუალება ვიპოვე, რათა იმ საშინელი მდგომარეობისაგან მეხსნა, რაც სამღვდელოების თითქმის აბსოლუტურ მოსპობას ედრებოდა“.

ამგვარი მსჯელობით ტალეირანი ყოველ შემთხვევისათვის ხელახლა იზღვევს თავს (ან ფიქრობდა, ხელახლა ვიზღვევო) სამღვდელოებისა და არისტოკრატიის თვალში. მაგრამ საღი და მკაფიო შეფასება სამეფო კარის და ორი პრივილეგირებული წოდების უგუნური პოლიტიკისა, რამაც 5 და 6 ოქტომბრის აფეთქება გამოიწვია, მეტად ნიშანდობლივია ტალეირანისათვის.

1789 წ. 10 ოქტომბერს, დილას - დამფუძნებელ კრებას, ხოლო საღამოს - მთელ პარიზს, თავბრუ დაახვია მოულოდნელმა, ზეადმტაცმა და გასაოცარმა ცნობამ. ნუ იტყვით, აკი ამ ცოდვილ საუკუნეშიც ცოცხალი ყოფილა ქრისტეს წმინდა მცნებანი, ჭეშმარიტ ნეტარებას მორჩილებასა და სიღარიბეში ხედვიდეთო, რომ გვაგალებს! საკურთხევის უმაღლეს მსახურთ, ადამიანის სულის მოძღვართ, ყოველგვარი გარეგანი ზედდაწოლის გარეშე, ოდეს მოყვასისადმი უანგარო სიყვარულით აღმრულებმა ისურვეს, ყველაფერი, რაც აზადიათ, სამშობლოს სასარგებლოდ გაიღონ, გაიხსენეს მათ, რომ უპოვარ და ნახევრადშიშველ მეთევზეების, პალესტინელ აპოსტოლების პირდაპირი მემკვიდრენი არიან და ნებაყოფლობით დათმეს მთელი თავიანთი მიწები! მუქთად! უსასყიდლოდ! მერედა ვინ არის ამ გმირობის ჩამდენი, ღირსი უნეტარეს ღვთისკაცის სახელისა? თავმდაბალი ეპისკოპოსი ოტენისა, იგივე (ეროზაში) თავადი ტალეირან-პერიგორი! დიახ, სწორედ მან, ისე რომ სიტყვაც არ უთქვამს სხვა სასულიერო პირებისათვის, საკუთარი გულმხურვალე გატაცებით აღტკინებულმა წინადადება შეიტანა დამფუძნებელ კრებაში -წაეღო ხაზინას საეკლესიო მიწები და ამ კანონის მზა პროექტიც იქვე წარმოადგინა. განმარტებით ბარათში აღნიშნული იყო, რომ საეკლესიო საკუთრება არა ჰგავს ჩვეულებრივ კერძო საკუთრებას, რომ სახელმწიფოს თავისუფლად შეუძლია დაეუფლოს მას და რომ ეს ღონისძიება „შერწყმულია საკუთრების მკაცრ პატივისცემასთან“. „წინააღმდეგ შემთხვევაში, ამ ღონისძიებას უკუვაგდებდით“, - უშიშრად დასძენდა პრინციპული ავტორი.

ყველა ეს შენიშვნა, მაგრამ, რაც მთავარია, სასულიერო წოდება კანონპროექტის ავტორისა, პირდაპირ მისწრება იყო რევოლუციური ბურჟუაზიისათვის. ეს იყო სწორედ ის, რასაც ასე საჭიროებდნენ: ეკლესია თვითონ იღებდა ინიციატივას თავის თავზე; ამიერიდან საქმე ეხებოდა არა კონფისკაციას, არამედ ნებაყოფლობით შემოწირულობას.

ისიც მართალია, რომ ერთგვარი შეუსაბამობა იგრძნობოდა: ოტენის ეპისკოპოსს უკვე დიდი ხანია მოპოვებული ჰქონდა ისეთი მორალური რეპუტაცია, როგორიც ნაკლებად შეეფერებოდა აი ამგვარ ძველთაძველ ღვთისმოსავ წმინდანსა და უფლის მოსაგრეს. რომელიც ეკლესიას ქრისტიანული სიღატაკისკენ მოუწოდებდა. ცნობილი იყო, მაგალითად, რომ ახალგაზრდობის წლებზე თუ არაფერს ვიტყვით, თვით იმ მომენტში, რომლის შესახებაც ლაპარაკია, ოტენის ეპისკოპოსის სახელზე ორი სატრფიალო კავშირი ირიცხებოდა ერთდროულად და რომ ეს კავშირნი რთულად, მაგრამ მჭიდროდ იყვნენ გადახლართულნი მის ფინანსურ საქმეებთან, ისე რომ მნელად გაარჩევდი, ვისგან ვის რამდენი მიჰქონდა და იღებდა. ამბობდნენ (კამილ დემულენი ბეჭდავდა კიდეც თავის გაზეთში ამის შესახებ პროზად, სხვა ჟურნალისტები კი ლექსად), რომ ოტენის ეპისკოპოსი, რომელიც დღისით ეროვნულ დამფუძნებელ კრებაში ილწვის საკანონმდებლო საქმეებისათვის, სადამოშობით, თავისი გადამღლევი საკანონმდებლო მუშაობის შემდეგ, ბანქოს სათამაშო კლუბებში და სხვა უფრო საექვო ადგილებში ისვენებს, სადაც დიდ ფულზე და დიდად აზარტულადაც თამაშობს ბანქოსო. ყოველივე ეს სავსებით სწორი იყო. ოტენის ეპისკოპოსის მტრებს არ სურდათ გაეგოთ, რომ ბანქო - არასაიმედო საქმეა. რომ სერიოზულმა ადამიანებმა (ტალეირანი კი - ეს იყო. უწინარეს ყოვლისა, კაცი სერიოზული და დაკვირვებული თავისი ჯიბის საკითხში) სხვა უფრო საიმედო შემოსავალზე უნდა იფიქრონ და რომ სწორედ ამით აიხსნება ორი ოპერაცია, რომლებსაც დაახლოებით იმავე ხანებში მიმართა კანონმდებელმა ეპისკოპოსმა: ჯერ - ერთი, ესპანეთის ელჩს, რომელიც პარიზში იყო ჩამოსული საფრანგეთთან მოლაპარაკების განსახლებლად, ყურადღება მიაპყრობინა იმ გარემოებაზე, რომ ის, ტალეირანი, სხვა უამრავი საქმეების გარდა, ნაციონალური კრების დიპლომატიური კომიტეტის წევრიცაა და ესპანეთის ელჩმა ამ ცნობის საპასუხოდ ტალეირანი დაასაჩუქრა ასი ათასი ამერიკული დოლარით, ნიშნად ესპანეთის მთავრობის პატივისცემისა მისი სულიერი თვისებებისადმი; მეორეც, იმავე 1789წ. შემოდგომაზე, თავის საყვარელს, გრაფის ასულს ფლაოს, ტალეირანმა ძვირფასი ყელსაბამი გამოსთხოვა, რომელიც ხელად პარიზის ლომბარდში დააგირავა ოთხმოცდათორმეტ ათას ლივრად.

ორივე ოპერაცია საქვეყნოდ გახმაურდა და საზოგადოებრივი აზრი ამას ისე შეხვდა, რომ არავითარი თანაგრძნობა არ გამოუჩენია ოტენის ეპარქიის მღვდელმთავრის პრაქტიკული ტალანტებისადმი.

მაგრამ დამფუძნებელი კრებისა და ყველაფრისათვის ტონის მიმცემი ბურჟუაზიული საზოგადოებრივი აზრის წარმომადგენელთა დიდ უმრავლესობას ტალეირანი ახლა

(დროებით) ცამდე აჰყავდა. სამსახური, საეკლესიო მიწების საკითხში გაწეული მის მიერ, გაზვიადებასაც კი განიცდიდა. ის ხელმძღვანელ კანონმდებელთა პირველ რიგებში აღმოჩნდა ერთბაშად. იმ ადამიანებსაც კი, რომლებსაც არაფერი სწამდათ ტაღლირანის გულწრფელობისა, მიაჩნდათ, რომ უყოყმანოდ დააგდო თავისი ძველი გზები და რომ რევოლუციას შეუძლია ამიერიდან სრული ნდობა გამოუცხადოს. სამაგიეროდ, არისტოკრატთა და, განსაკუთრებით, სამღვდელოების გააფთრებას საზღვარი არ ჰქონდა. „უნიჭო, პაწია ჭკუისა და ვეება თვითკმაყოფილების მქონე, ბირჟის თაღლითი კალონის დროს, წესიერების შემრყვნელი თავის სერალში“, - ასეთი გახლდათ უწინ ოტენის ეპისკოპოსი; „ახლა კი ის გულცივია ზიზღისადმი, ქურდობას ასწავლის, ფიცისგამტეხობას, განხეთქილებებს თესავს და იმავ დროს მშვიდობის მაცნედ მოაქვს თავი“, ასე ასხამდა ხოტბას (ლექსად) კონტრრევოლუციური გაზეთი „Les Actes des Apotres“ ტაღლირანს საეკლესიო ქონების სეკვესტრთან დაკავშირებით.

სამაგიეროდ დამფუძნებელ კრებაში ამ მომენტიდან ტაღლირანის პოპულარობა სწრაფად იზრდება.

ტაღლირანის კარიერა პარლამენტში ბრწყინვალედ ვითარდება. მას ავალებენ მოხსენებებს უმნიშვნელოვანეს საკითხებზე. ბოლოს, როგორც რევოლუციის ერთგულ და გულმხურვალე მოღვაწეს, დამფუძნებელი კრება 1790 წ. თებერვალში პირველხარისხოვანი მნიშვნელობის პოლიტიკურ საქმეს ანდობს. პროვინცია კიდევ უფრო მეტად განიცდის ყოველგვარი კონტრრევოლუციური ბროშურების, ფურცლების, ლექსების და პამფლეტების მოზღვავებას, ვიდრე პარიზი. ამიტომ ტაღლირანს დაავალბენ, მიმართოს, ასე ვთქვათ, ფრანგ ერს სიტყვით, რათა დამფუძნებელი კრების სახელით მხნეობა შემატოს მოქალაქეებს და რევოლუციური ენთუზიაზმი გააღვივოს მათში. ტაღლირანმა დაუყოვნებლივ შეასრულა ეს დავალება და შეასრულა პირნათლად; „დეპუტატები ტიროდნენ, ტაშს უკრავდნენ, გულაჩუყებულები და აღფრთოვანებულნი იყვნენ“. ეს მოხდა 10 თებერვალს, ხოლო 16 თებერვალს დამფუძნებელი კრების თავმჯდომარედ ირჩევენ. „რევოლუციონერი“ ეპისკოპოსი არავითარ ყურადღებას არ აქცევდა როიალისტურ და ნახევრად როიალისტურ ორგანოებსა და პამფლეტებს, რომლებშიც მას გააფთრებით ესხმოდნენ თავს, და მტკიცედ მიაბიჯებდა წინ.

ფედერაციის დღესასწაულის წინ ტაღლირანის პოპულარობა არაჩვეულებრივად გაზრდილი; გაზეთები აღნიშნავდნენ: გამვლელები, ქუჩაში რომ ხვდებიან მას, ჩერდებიან და მხურვალედ ესალმებიანო.

ხალხის მასა შეიტყობს, ტალეირანი ამა და ამ მეჯლისზეაო, მიაშურებენ, ფანჯრების ქვეშ იკრიბება და ხმამაღალი შემახილებით მოუხმობს, და როდესაც ფანჯარაში ტალეირანი გამოჩნდება (ხელმარცხნით მას სიიესი უდგას, ხელმარჯვენით - მირაბო), ოვაცია ერთბაშად იზრდება და „ყვირილისა და ტაშისცემის გრიალად“ იქცევა[9]. ამ მომენტში ის ყველაზე პოპულარულია, სახელგანთქმულ ტრიბუნს მირაბოსაც კი ჩრდილავს... რევოლუციურად განწყობილი ადამიანები აღფრთოვანებით იმეორებენ ტალეირანის მგზნებარე რევოლუციურ სიტყვას, რომელიც ორჯერ - 7-8 ივნისს წარმოთქვა, და მხარი დაუჭირა 1790 წ. 14 ივლისის პარიზში ფედერაციის ზეიმის მოწყობის დეკრეტს.

1790 წ. ტალეირანს ერთიანი მეტრული სისტემის პროექტის შემუშავება დაავალეს. რასაც ძველებური, მოუხერხებელი, ქვეყნის სხვადასხვა ნაწილის მიხედვით განსხვავებული ზომითი სისტემა უნდა შეეცვალა. ასეთ პროექტს უკვე იმუშავებდნენ ინგლისში და ტალეირანსაც განზრახული ჰქონდა რეფორმის ინგლისელ ინიციატორთან რიგს-მიულერთან ერთად ემუშავა.[10] მაგრამ ვილიამ პიტს არ ექაშნიკა ეს რეფორმა. ეგეც რომ არა, სულ ერთია იგი წინაღმდეგი იყო ფრანგ რევოლუციონერებთან რაიმენაირად დაახლოებისა, თუნდაც ეს დაახლოება წმინდა მეცნიერულ და ტექნიკურ ნიადაგზე მომხდარიყო. ამრიგად, საქმე ჩაიშალა. ტალეირანი მეტად გაგვინაწყენეს. მას უკვე მოესწრო ძალზე ოპტიმისტურად გაემხნევიბინა დამფუძნებელი კრება ორივე ქვეყანას შორის მეცნიერული და დიპლომატიური კავშირის დამყარების პერსპექტივით.

მეტრული სისტემა საფრანგეთში გატარდა, მაგრამ მოგვიანებით, როცა ტალეირანი უკვე დიდი ხანია ემიგრაციაში იმყოფებოდა. როგორც ქვევით დავინახავთ, სწორედ ამ საგანზე მოლაპარაკების განახლება მოიმიზეზა ტალეირანმა, როცა 1792 წელს თავისთვის საზღვარგარეთული პასპორტი დასტყუა დანტონს.

ახალ გზაზე შემდგარი და დამფუძნებელი კრებისათვის მოღვაწე ოტენის ეპისკოპოსი არავითარ ყურადღებას არ აქცევდა მისდამი მტრულად განწყობილი პრესის ლანძღვა-გინებას. მისთვის ახლა მნიშვნელოვანი იყო ახალი პატრონების აზრი, იმ ახალი პატრონებისა, რომლებიც ისევე სმაგდა, როგორც სმაგდა თავისგანვე მიტოვებული არისტოკრატები და ეპისკოპოსები. მეტიც, ახლებს ჩუმჩუმად კიდევ დასცინოდა: ისინი აღიზიანებდნენ თავიანთი მანევრებით, ენითა და ტონით, სრულიად უცხო ცხოვრების წირით. მაგრამ მათ ხელში იყო ძალაუფლება და, მაშასადამე, ფულიც. ტალეირანი არასდროს არ ბრწყინავდა ორატორული ხელოვნებით, თუმცაღა, არც თუ მაინცდამაინც მიუწევდა გული აბობოქრებული ტრიბუნებისაკენ. იგი შეცოცდა სხვადასხვა კომიტეტებში. დიპლომატიურში,

ფინანსურში - სადაც შეიძლებოდა წყნარად და განსაკუთრებული რისკის გაუწევლად მოეთხო ხელი. „იცით, - ასწავლიდა ის შემდგომ ბარონ ვიტროლს, - არასდროს არ უნდა იყო ღარიბი, il ne faut pas etre pauvre diable. რაც შემეხება მე, - ყოველთვის მდიდარი ვიყავი“. თვით ლუდოვიკოები და ნაპოლეონები სანდონი არ არიან, მაგრამ ოქროს რგოლები, რომლებზედაც მათი პორტრეტებია ამოჭრილი, სავსებით და ყოველგვარ გარემოებაში სანდოა. ასეთი იყო მუდამ თავად ტალეირანის ცხოვრების სახელმძღვანელო პრინციპი.

სამღვდელოებას და თავად-აზნაურობას გაშმაგებით შესძულდა იმ ინიციატიური როლისათვის, რომელიც საეკლესიო ქონების რეკვიზიციის საქმეში გამოიჩინა. მაგრამ ისინი უძლურნი იყვნენ და ამიტომ ტალეირანისათვის არავითარ ინტერესს არ წარმოადგენდნენ. ეროვნულ კრებაში გამარჯვებულმა ბურჟუაზიამ დემონსტრაციულად უძღვნა მადლობა ოტენის ეპისკოპოსს, რომლისგანაც ასე დროულად მიიღო შველა: აირჩია ნაციონალური კრების პრეზიდენტად, როგორ უკვე ვთქვით. ტალეირანი თავბრუდამხვევი სისწრაფით მიიწევდა წინ.

ფედერაციის გრანდიოზულ დღესასწაულზე (1790 წ. 15. ივლისს, ბასტილიის აღების პირველ წლისთავზე) ტალეირანი გამოჩნდა თავის ეპისკოპოსის სამოსელში იმპოზანტურად გამოწყობილი, სასულიერო პირების თანხლებით, რომელნიც ეკლესიის ახალ წყობას ემხრობოდნენ. თავის პიროვნებით ის ანსახიერებდა ქრისტიანული ძმობისა და რევოლუციური ძმობის შეერთებას ერთ ჰარმონიულ მთლიანობად. ის აღმოჩნდა მოქმედების ცენტრში, საზეიმოდ აკურთხა მეფის ოჯახი, ეროვნული გვარდია, ეროვნული კრების წევრები, მის წინაშე ქუდმოხრილ ხალხის ურიცხვი გროვა, პარაკლისი გადაიხადა საკურთხეველთან, რომელიც უზარმაზარ მოედნის შუაგულში აეგოთ. ქრისტეს ამ უმორჩილესმა მონამ, ამ არისტოკრატმა, ესოდენ უანგაროდ მოღვაწემ სამშობლოს აღორძინებისათვის, ამ დღეს ლამის გულაჩუყებამდე მიიყვანა გარსმოჯარული ზღვა ხალხი.

სხვათა შორის, თვითონ ტალეირანიც მუდამ სიამოვნებით იგონებდა ამ დღეს და აი რად: განთავისუფლდა თუ არა საღამო ხანს, დრო აღარ დაუკარგავს, პირდაპირ სამორინეში გაექანა და ისეთი იღბალი დაეცა, რომ ბანკი მოხსნა. ამის შემდეგ მხიარულ სადილზე გაემართა ნაცნობ მანდილოსანთან (გრაფის ცოლ ლავალთან). სადილის შემდეგ ისევ წავიდა ბანქოს სათამაშოდ, ოღონდ ამჯერად სხვაგან, და აქ უკვე პირდაპირ საოცარი რამ მოხდა, რაც იშვიათად მოსწრებია ბანქოს ისტორიას: მან ხელმეორედ მოხსნა ბანკი! „მე ქალბატონ ლავალთან მივბრუნდი მაშინ, რომ ოქრო და ბანკის ბილეთები მენახვებინა მისთვის. სულ ერთიანად ნადავლით ვიყავი გამოტენილი. სხვათა შორის, შლიაპაც კი სავსე მქონდა“. ასეთი აღფრთოვანებით

უამბობდა ამ ბედნიერ შემთხვევას ლეგიტიმისტ ბარონ ვიტროლს მრავალი წლის შემდეგ, როცა საუბარი 1790 წ. 14 ივლისის რევოლუციური ძმობის დღესასწაულის შესახებ ჩამოვარდა.[11]

მალე ტალეირანს ისევ გამოადგა ეპისკოპოსის მიტრა: მან ეპისკოპოსებად აკურთხა ეკლესიის ახალი წყობისადმი ფიცმიცემული მღვდლები, რომელთა კურთხევა აკრძალა პაპმა და რომლებიც სხვა ეპისკოპოსებს არ სურდათ ეკურთხებინათ.

პაპმა ამის საპასუხოდ ეკლესიისაგან განკვეთა ტალეირანი. მაგრამ განკვეთილს ყურიც არ შეუბერტყავს და თავის საქმეს განაგრძობდა. მან მედგრად და საქვეყნოდ უარჰყო პაპის უფლება საფრანგეთის სამღვდელოების მიერ ეკლესიის ახალი წოდებისათვის ფიცის მიცემის აკრძალვისა. წარუდგინა კრებას (1791 წ. შემოდგომაზე) ვრცელი მოხსენება სახალხო განათლების შესახებ, შედგენილი რევოლუციის მოთხოვნილებების შესაბამისად. და გააკეთა რა ყველაფერი თავისი კარიერისათვის, რის გაკეთებაც შეიძლებოდა ეპისკოპოსად ყოფნით კრებაში, როგორც იქნა, ბოლოსდაბოლოს, სამუდამოდ მოიცილა ეპისკოპოსის სამოსელი: პაპისმიერი განკვეთა ხომ, არსებითად, მის მუდმივ წადილს შეადგენდა, თავი დაედწია სასულიერო წოდებისათვის და ერისკაცობას ზიარებოდა.

სულ მალე ტალეირანის სამსახური რევოლუციას იმ ასპარეზზე დასჭირდა, სადაც ტალეირანს ბედმა არგუნა თავისი ისტორიული სახელი მოეხვეჭა - დიპლომატიურ ასპარეზზე. საფრანგეთის მთავრობას უკვე 1791 წ. დასასრულიდან აფიქრებდა მონარქიულ ევროპასთან მოსალოდნელი ომი. 1792 წ. ტალეირანი ლონდონს მიავლინეს, დაერწმუნებინა ვილიამ პიტი, ნეიტრალური დარჩენილიყო მომავალ შეტაკების დროს. „ინგლისთან დაახლოება ქიმერა როდია, - მაშინვე განაცხადა ტალეირანმა, - ორი მეზობელი ერი, რომელთაგან ერთი თავის კეთილდღეობას ძირითადად ვაჭრობაზე აფუძნებს, ხოლო მეორე - მიწათმოქმედებაზე, საგანთა ურყევი ბუნებით მოწოდებულია თანხმობისათვის, ურთიერთგამდიდრებისათვის“.

ლონდონში ლამის ხიშტებით შეხვდნენ. ფრანგ ემიგრანტებს სძულდათ და სმაგდათ „ეს ინტრიგანი, ქურდი და გაკრეჭილი ბერი“. პიტი თუმც ნაკლებ ებოდიშებოდა ემიგრანტებს, მაგრამ სამაგიეროდ სამეფო ოჯახი გეორგ III მეთაურობით და ინგლისის მთელი არისტოკრატია დიდად უწევდნენ ანგარიშს. დედოფალი, რომელსაც აუდიენციის დროს ტალეირანი ყველა საჭირო ცერემონიის დაცვით, თავდახრილი სამ ტემპში მიეახლა, გატრიალდა და წავიდა. ლონდონის ქუჩებში საფრანგეთის წარგზავნილს ხან ხმადებლა, ხან ხმამაღლა აგინებდნენ. მასზე და მის თანამგზავრებზე თითოთ უჩვენებდნენ. მაგრამ აქაც, საერთაშორისო არენაზე,

ტაღეირანმა აჩვენა, აჩვენა პირველად, თუ რა უბრალო დიპლომატიურ ინტრიგანს წამოადგენდა. მას ისეთი მეფური სიდიადით ემარჯვებოდა არ შეემჩნია ის, რის შემჩნევაც არ სურდა, შეეძლო ისე მშვიდად და დაუდევრად ელაპარაკა და მოქცეულიყო მაშინ, როცა სჭირდებოდა. ისე არტისტულად განესახიერებინა თავისი ღრმა მორალური სიმართლის შეგნება, რომ ამ წკიპურტებსა და გამოხდომებს სად შეეძლო მისთვის ნირი ეცვლევინებინათ! მისია თითქმის წარმატებით შეასრულა, ყველა შემთხვევაში, ინგლისის გამოლაშქრება წელიწადზე მეტი ხნით გადაიწია, ინგლისელები, სხვათა შორის, საფრანგეთის წარმომადგენლის თვით პიროვნებასაც განაცვიფრა. ერთხმად აღიარეს, რომ ის სრულიად არა ჰგავს ფრანგს. იყო ცივი, თავდაჭერილი. ლაპარაკობდა ამაყად, ცოტას და განზრახ ბუნდოვნად; ძალზე ეხერხებოდა სხვისთვის ყურის გდება და მოწინააღმდეგის ოდნავი გაუფრთხილებლობის თავის სასარგებლოდ გამოყენება.

1792 წ. ივლისის პირველ რიცხვებში ტაღეირანმა უკვე დაამთავრა თავისი მისია ლონდონში და პარიზს დაბრუნდა. გავიდა ერთი თვე მისი დაბრუნებიდან და 10 აგვისტოს, თავისი თხუთმეტსაუკუნოვანი არსებობის შემდეგ, დაეცა საფრანგეთის მონარქია.

მოდით ისეთი მრისხანე დრო, რომ ყოფილი ეპისკოპოსის მთელი მოხერხებულობა შესაძლოა უძლური გამომდგარიყო თავის გადასარჩენად. რა თქმა უნდა, ტაღეირანმა იმ წამსვე ითავა შეედგინა ნოტა, რომელსაც დიდი ბრიტანეთის მთავრობისათვის საფრანგეთის რესპუბლიკად გამოცხადება უნდა ემცნო. „მეფე ძალულად ძირს უთხრიდა კონსტიტუციას, რომელშიც მას ასეთი მშვენიერი ადგილი მიაკუთვნეს. პირდაპირ სკანდალური სიუხვით იღვრებოდა ოქრო მეფის ხელიდან და ხდებოდა მოსყიდვები, რომ ჩაეხშოთ ან შეენელებინათ მისი შემაშფოთებელი მგზნებარე პატრიოტიზმი“. ასე ალალ რევოლუციონერივით ბოლმამორეული ლაპარაკობდა ტაღეირანი თავის ნოტაში და ლუდოვიკო XVI ჩამოგდებას გამართლებას უძებნიდა უცხო სახელმწიფოების, პირველ რიგში, ინგლისის თვალში.

და თითქმის სწორედ იმავე დღეს, როდესაც ეს მკაცრი რევოლუციური პათოსით გამსჭვალული ნოტა დაწერა, ტაღეირანმა უკვე გადადგა პირველი ნაბიჯები, დაუყოვნებლივ უკანმოუხედავად საზღვარგარეთ მოსაკურცხლად. გამოცხადდა დანტონთან და საზღვარგარეთული პასპორტი მოსთხოვა იმ საბაბით, რომ აუცილებელია ინგლისთან შეთანხმების მიღწევა სიგრძისა და წონის საერთო ერთეულების მისაღებადო. მოტივი კურიოზულად ყალბი და აშკარად მოგონილი იყო. მაგრამ აბა რას წარმოიდგენდა დანტონი, თუ ემიგრირებას აპირებდა ინგლისში სწორედ ის ადამიანი, რომელმაც ხუთიოდე დღის წინ ნოტა გაუგზავნა ინგლისს



პირადი ხელმოწერით, სადაც ისეთი შეუვალობით დაასაბუთა მონარქიის დამხობის სრული აუცილებლობა და რევოლუციის იმ გაღრმავების უცილობელი სისწორე და საფუძვლიანობა, 10 აგვისტოს რომ მოხდა. დანტონი დათანხმდა. პასპორტი საბოლოოდ გაფორმებული იქნა 7 სექტემბერს, ხოლო რამდენიმე დღის შემდეგ ტალეირანი ინგლისის ნაპირზე გადმოვიდა.

პატარა დაგვიანება - და მისი თავი ეშაფოტიდან დაგორდებოდა იმავე 1792 წელს. ამის მტკიცება სავსებით კატეგორიულად შეიძლება: საქმე ისაა, რომ მეფის ცნობილ „რკინის კარადაში“, რომელიც რევოლუციური მთავრობის ბრძანებით იქნა გაღებული, აღმოჩნდა ორი დოკუმენტი, დამამტკიცებელი იმისა, რომ ტალეირანი მეფეს ჯერ კიდევ 1791 წ. გაზაფხულზე ფარულად სთავაზობდა თავის სამსახურს. ეს იყო მაშინვე, როგორც კი მირაზო გარდაიცვალა. ტალეირანს მაშინ ყველა საფუძველი გააჩნდა იმედი ჰქონოდა, რომ სწორედ მას შეახვედრებდნენ იმ გასამრჯელოს, რომელსაც მსგავსი ფარული სამსახურისათვის მირაზო იღებდა. რა თქმა უნდა, ტალეირანი მეფის მოტყუებას ვარაუდობდა. გარიგება რატომღაც ჩაიშალა, მაგრამ კვალი დარჩა. თუმცა ძალზე სუსტი (ტალეირანი ზედმიწევნით ფრთხილი იყო); და როგორც ვთქვით, კიდევ გამჟღავნდა. კონვენტის 1792 წ. 5 დეკემბრით ტალეირანის წინააღმდეგ ბრალდება აღიძრა, ინგლისიდან გამოგზავნილმა ახსნა-განმარტებამ ვერაფერი უშველა, და იგი ოფიციალურად გამოაცხადეს ემიგრანტად.

გარკვეული სახით ეს ტალეირანის ცხოვრების დამსხვრევას წარმოადგენდა - ან ჩანდა მაინც ასე.

გზა საფრანგეთისაკენ მისთვის მოჭრილი იყო თუ სამუდამოდ არა, ყოველ შემთხვევაში, მეტად დიდი ხნით. ფული თან 750 გირვანქა სტერლინგი ჰქონდა, და არავითარი შემოსავალი არ იყო მოსალოდნელი. ლონდონს ჭიანჭველებივით მოსდებოდნენ ემიგრანტი როიალისტები. მათ არ დააყოვნეს პრესის საშუალებით განეცხადებინათ, ოტენის ყოფილმა ეპისკოპოსმა თავისი საქციელით დაიმსახურა, რესტავრაციის შემთხვევაში უბრალოდ კი არ ჩამოვახრჩოთ, არამედ „ურმის თვალზე გავაკრათო“; მაგრამ ლონდონში სხვაგვარი ტიპის ემიგრანტებიც იყვნენ - „1789 წლის ადამიანები“, როგორც მათ უწოდებდნენ - ისინი უფრო შემწყნარებლურად უყურებდნენ ტალეირანს, ასე რომ, შედგა პატარა წრე, სადაც იგი მიიღეს. ბოლოსდაბოლოს დამშვიდებულ ცხოვრებას ეწია და როგორც ყოველთვის, არც ახლა დასტყობია რაიმე დაბნეულობის ან დაჩაგრულობის ნასახიც კი. ემიგრანტი როიალისტები, მათი გონებრივი სილატაკის გამო, სულით და გულით ეჯავრებოდა. კერძოდ იმ გრანდიოზული ამბების სრული, ბალღური შეუმეცნებლობის მიზეზით, საფრანგეთში რომ დატრიალდა.

ტალეირანისათვის უკვე მაშინ (და უფრო ადრეც, ბასტილიის აღებისთანავე) იყო ნათელი, რომ რანაირი სიურპრიზებიცა და ცვლილებანიც არ უნდა დაჰხდებოდა საფრანგეთს, ერთი რამ სავსებით დამტკიცებულია: ძველი ფეოდალურ-თავადაზნაურული რეჟიმი იმ სახით, რა სახითაც ის 1789 წლამდე არსებობდა, უკვე აღარასდროს დაბრუნდებოდა. მეტიც: აღარ დაბრუნდებოდა არც ერთი ასე თუ ისე მისთვის დამახასიათებელი ნიშანი, და ეს მაშინაც კი, თუ რაიმე განგებით ბურჰონების დინასტია აღდგენას ეღირსებოდა. მაგრამ ჯერჯერობით მას ბურჰონების დაბრუნების არავითარი იმედიც არა ჰქონდა.

ამიტომ ტალეირანი აინუნშიაც არ აგდებდა ემიგრანტი როიალისტების გაშმაგებულ თავდასხმებს და ბრაზიან გამოხდომებს, რომლებსაც ფრანგული გინების ლექსიკონი მთლიანად შემოეცლებოდათ, როგორც კი სიტყვა საძაგელ „გაკრეჟილ ბერზე“ ჩამოვარდებოდა. ტალეირანის აზრით: ეს თეთრი ემიგრანტები მიცვალებულთა გვამებია, რომელთა დაფვლა რატომღაც დავიწყნიათ, ეგაა და ეგ. მაგრამ ზოგიერთი, და საგრძნობი უსიამოვნების მიყენება მისთვის ირიბი გზით ემიგრანტებს მაინც შეეძლოთ და ეს შესაძლებლობა არც გაუშვიათ ხელიდან.

ერთ მშვენიერ დღეს (ეს იყო 1794 წ. იანვარში) ინგლისის მთავრობამ უბრძანა სასწრაფოდ დაეტოვებინა ინგლისი და სადაც უნდოდა წასულიყო. მაგრამ სად? მონარქიულ კონტინენტურ ევროპაში ვერ გამოჩნდებოდა, იქ მისი სახელის ხსენება მეტ ბრაზს იწვევდა, ვიდრე ინგლისში, ხოლო ემიგრანტებს, მის მტრებს, იქ მეტი გავლენა ჰქონდათ, ვიდრე ლონდონში. რჩებოდა ამერიკა და ტალეირანიც ფილადელფიისაკენ გაემართა. ნორჩი და ჯერ ისევ უცნობი ახალი ქვეყანა თავისთავად ტალეირანს იოტის ოდენადაც არ აინტერესებდა. „ჩავედი იქ, ახალი საგნები, რომლებითაც ჩვეულებრივ დაინტერესებულია მოგზაური, მხოლოდ ზიზღს მაგრძნობინებდა. მიძნელდებოდა მცირეოდენი ცნობისმოყვარეობა მაინც აღმეძრა ჩემში“. ნიშანდობლივია, თუ რა თვითკმაყოფილებით აცხადებს ის ამას, მაგრამ კიდევ უფრო ნიშანდობლივი ისაა, რომ ამ სიყრმითვე დაცლილ სულს მართლაც არასოდეს და არავის მიმართ არა ჰქონია „ცნობისმოყვარეობა“ - არც საგნების მიმართ, არც ადამიანებისადმი, თუ ისინი მის საკუთარ მატერიალურ მოსაზრებებთან და ინტერესებთან არ იყვნენ დაკავშირებული. ამიტომაც ის ასე სიტყვაძვირი და უღიმღამოა იმ შემთხვევაში, როცა უხდება იმგვარ რამეებზე ილაპარაკოს, რასაც პირადად მასთან დამოკიდებულება არ ჰქონია.

1942 წ. ვაშინგტონში გამოქვეყნდა ადრე გამოუცემელ დოკუმენტების კრებული - ტალეირანის წერილები და მემუარები, რომლებიც ამერიკაში მისი ყოფნის 1794-1796 წ. წ. პერიოდს ეხება.[12] ეს დოკუმენტები თავისი პოლიტიკური მოღვაწეობის

ანალიზის თვალსაზრისით დიდ ინტერესს არ შეიცავს, უფრო საყურადღებოა, როგორც XVIII საუკუნის ბოლო წლების შეერთებული შტატების ეკონომიური და ფინანსური ურთიერთობის ისტორია. ერთი რამ უდავოა: ტალეირანს ეგონა გაცილებით ხანგრძლივ მოუხდებოდა ამერიკაში ყოფნა, ვიდრე ეს სინამდვილეში აღმოჩნდა. დოკუმენტები მთლიანად ეკონომიური და ფინანსური საკითხებისადმი და კომბინაციებისადმი მიძღვნილი; ტალეირანს აშკარად სურს სპეკულირება მიწების ყიდვა-გაყიდვით, ევროპაში ამერიკელი კაპიტალისტების მიზიდვით; ამ მიზნით ზოგ მათგანთან საგულდაგულო საქმიან მიწერ-მოწერასაც კი მართავს. დოკუმენტები გვიჩვენებს, რა საფუძვლიანად გარკვეულა ტალეირანი, თუ მომგებიანად რა პირობებში უნდა დაგებანდებინა კაპიტალი მიწებით სპეკულაციის დროს ამერიკაში. ის განჭვრეტს, რომ ამერიკა ევროპის მანუფაქტურული საქონლისა და ფაბრიკატების გასაღების მდიდარი ბაზარი გახდება, იმიტომ, რომ მისი აზრით, ამერიკის მრეწველობა თავისი შედარებით ნელ წინსვლაში კიდევ დიდხანს ვერ გაუსწორებს ნაბიჯს სწრაფად მზარდ მოსახლეობას და ფუფუნებისადმი მიდრეკილების განვითარებას გაბატონებულ კლასში.[13]

შეერთებული შტატების პოლიტიკურ წრეებთან დაახლოება ტალეირანმა ვერ მოახერხა. ვაშინგტონმა არ ისურვა მისი მიღება. მას საკმაოდ ბევრი რამ ჰქონდა გაგებული ტალეირანის მრავალგვარ სათნოებათა შესახებ პარიზში მყოფ ამერიკის პრეზიდენტის, გუბერნატორ მორისის კარგად ცნობილი წერილების მეშვეობით. გულმხურვალე ქომაგი და ჩვენი თანამედროვე აღფრთოვანებული თაყვანისმცემელი ტალეირანისა - ანა დოდი ცდილობს ვაშინგტონის უარი უმთავრესად დიპლომატიური ხასიათის მიზეზებით ახსნას: სახელდობრ, საფრანგეთის ოფიციალური წარმომადგენლის (კონვენტისაგან) ფოშეს პროტესტით, რასაც გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებს.[14] ასე იყო თუ ისე, სახელგანთქმულმა პრეზიდენტმა თავი შეიკავა ცდუნებისაგან და უარი თქვა გაეცნო ოტენის ყოფილი ეპისკოპოსი, ვისი ამერიკული და საბირჟო თავგადასავლები დიდი ხანია ცნობილი იყო მისთვის. ტალეირანის ყველა ცდა ამაო აღმოჩნდა.

ამერიკაში ის ენერგიულად ჩაება მიწების სხვადასხვაგვარ სპეკულაციაში, და როგორც ჩანს, წარმატებითაც. მაგრამ საფრანგეთის პოლიტიკა სულ უფრო მეტად იქცევდა ტალეირანის ყურადღებას. ამერიკის ეკონომიკის საკითხები თანდათან დავიწყებას ეძლევა. და მხოლოდ მას შემდეგ, რაც გამეფდა დირექტორია, „ახალი მდიდრებით“, აჟიოტაჟითა და გამდიდრების კულტით, ბარასებით, ტალიენებით, მტაცებელი მოიჯარადრებითა და ბანკირ უვრარებით, დაჰკრა სამშობლოში დაბრუნების დიდი ხნის ნანატრმა ზარმა. ტალეირანს ისე მოაბეზრა თავი ამერიკამ,

მხოლოდ შემთხვევას ელოდა, მოლაპარაკება გაეხა რევოლუციურ მთავრობასთან სამშობლოში დაბრუნების ნებართვის გამოსათხოვად. რა თქმა უნდა, ამაზე ფიქრი მხოლოდ 9 თერმიდორის, განსაკუთრებით, 1 პრერიალის შემდეგ შეეძლო, როცა წარუმატებელ აჯანყებას მუშათა გარეუბნების განიარაღება მოჰყვა 1795 წ. ზაფხულის დასაწყისში. ის დიდ ცდაშია და უკვე 1795 წ. 4 სექტემბერს საფრანგეთში დაბრუნების ნებართვას იღებს. აქ ძლიერ დაეხმარა სწორედ ის სიძულვილი, რითაც ემიგრაციაში იყო გარემოცული. მოახსენებდა რა კონვენტს ტალეირანის შესახებ 1795 წ. 4 სექტემბრის სხდომაზე, შენიშნა თქვა: „მე გთხოვთ მისთვის რესპუბლიკის სახელით, რომელსაც კიდევ გამოადგება თავისი ნიჭითა და შრომით, მე გთხოვთ გამომდინარე თქვენი სიძულვილიდან ემიგრანტებისადმი, რომელთა მსხვერპლი გახდებოდა იგი თქვენსავით, იმ არამზადებს რომ გაემარჯვათ“.

მიიღო თუ არა (იმავე 1795 წ. ნოემბერში) ამ ამბის ცნობა, ტალეირანი სასწრაფოდ შეუდგა თავისი ამერიკული საქმეების ლიკვიდაციას და ევროპაში გასამგზავრებლად შეემზადა. მხოლოდ 1796 წ. 20 წ სექტემბერს ჩააღწია მან პარიზს.

დაიწყო მისი ცხოვრების ახალი ეპოქა, იმავდროულად მსოფლიო ისტორიის ახალი პერიოდი იწყებოდა. „რევოლუცია დამთავრდა საფრანგეთში და ეკვეთა ევროპას“ – ამბობდნენ ერთნი, „რევოლუციამ გადმოლახა თავისი ნაპირები“ – ამბობდნენ მეორენი. ალპებს გადაღმა უკვე ჰქუხდა ახალგაზრდა დამპყრობლის ბონაპარტეს სახელი, რომელსაც ფეოდალურმა ევროპამ შემდგომად „ამხედრებული რობესპიერი“ უწოდა. მოსალოდნელი იყო უდიდესი ცვლილებები საფრანგეთშიც და ევროპაშიც. ბურჟუაზიული რევოლუცია, საფრანგეთში გამარჯვების შემდეგ, ემზადებოდა ძალაში დატოლებოდა აბსოლუტისტურ ევროპას, ნახევრადფეოდალურ წყობილებას, რომელსაც განზრახული ჰქონდა ძვირად დაეთმო თავისი სიცოცხლე. ისტორიის ავანსცენაზე არმიები გამოდიან, ორატორები ადგილს გენერლებს უთმობენ. ბურჟუაზიულმა რევოლუციამ უკუაგდო მტრები საფრანგეთის საზღვრებიდან და ახლა მტერს მის საკუთარ ტერიტორიაზევე სდევნიდა. რევოლუციური ომი თანდათან დამპყრობლური ომებით იცვლებოდა. ტალეირანს წუთითაც არ შეპარვია ეჭვი, ვის დარჩებოდა გამარჯვება ფეოდალური გადანაშთების წინააღმდეგ ბურჟუაზიის ამ ბრძოლაში. კიდევ ამიტომ ჩამოვიდა საფრანგეთში ამერიკიდან. დადგა მისი საათი.

სწორედ იმავე 1796 წ. ერთ უძილო ღამეს, იტალიის დამპყრობელი, გენერალი ბონაპარტი, როგორც თვითვე აღიარებს შემდგომ, პირველად ჰკითხავდა თავის თავს: ნუთუ სულ „ამ ადვოკატებისათვის“ უნდა იბრძოდეს? იმავე დროს, შორეულ პარიზში, ახლადდაბრუნებული თავადი ტალეირანი, რომელსაც ტერორის

პერიოდში მთელი ქონება ჩამოართვეს და გაუყიდეს, და რომელიც ახლა იმ ფულის ბუჩულებსდა ხარჯავს, ამერიკაში მიწების წვრილმან სპეკულაციით რომ იშოვა - პატიებული ემიგრანტი თავადი ტალეირანი ზვერავს ახალ მეუფეებს, რესპუბლიკის ხუთ დირექტორს და ისიც საგონებელშია: მონახოს ახალი პატრონი თუ „ამ ადვოკატებით“ დაკმაყოფილდეს, მიუხედავად მათი უხეირობისა? გადაწყვიტეს, საჭიროა, უწინარეს ყოვლისა, დღევანდელ ბატონთა კეთილგანწყობის მოპოვება, მერე კი ახალ მბრძანებელზე შეიძლება ფიქრი. ქვეყანა რომ სამხედრო დიქტატურისაკენ მიექანებოდა - ამას ტალეირანი ნათლად ხედავდა.

ყოველ შემთხვევაში, ჯერ საჭირო იყო თავისი სამსახურის დირექტორიისათვის შეთავაზება. აქ კი საქმე გაჯახირდა. გამომჟღავნდა არასასიამოვნო ამბავი: მეტად გახმაურებული აღმოჩნდა, გარკვეული აზრით, ოტენის ყოფილი ეპისკოპოსის რეპუტაცია. „სპილენძისშუბლიანი და გულგაყინულიო“ - წერდა მასზე ლებრენი ლექსად. ხოლო პროზაში ისეთ სილაღემდე მიდიოდნენ მასზე ლაპარაკის დროს, იძულებულნი ხდებოდნენ ყველაზე უფრო ფერადოვანი ეპითეტები პრესაში მარტო პირველი ასოთი და რამდენიმე წერტილით აღენიშნათ: საბეჭდი ქაღალდი უძლური იყო აეტანა მის კრიტიკოსთა გრძნობების მოზღვაება. ყველაზე ცუდი რამ მისი კარიერისათვის იყო ის, რომ თვით დირექტორიის ხუთი წევრიდან სამი მათგანი მას თვლიდა მექრთამედ, მეოთხე მათგანი - ქურდად და მექრთამედ. „ტალეირანი უცხო სახელმწიფოების ფარულ სამსახურში იმყოფება!“ - გაიძახოდა რებელი დირექტორიის სხდომებზე. - არასოდეს არ მოსწრებია ქვეყანას უფრო ზნედაცემული, უფრო საშიში არსება“. დანარჩენი ოთხი წევრი ამ სიტყვებს სრულიად უპროტესტოდ ისმენდა. ან კი როგორ შეეძლო პროტესტის გამოთქმა, ვთქვათ, თუნდაც იმავე პატიოსანსა და დარწმუნებულ კარნოს, როცა თვითონვე ამბობდა ჩვენი გმირის შესახებ: „ტალეირანს სწორედ იმიტომ სძაგს აგრე ადამიანები, რომ მას ბევრი უმუშავნია თავისი თავის შესწავლაზე... ის თეთრეულივით იცვლის პრინციპებს“.

ტალეირანის უპატიოსნობაზე ლაპარაკი უკვე ამ წლებში მოსაწყენ ცნობილ ამბად, ყელში ამოსულ ანბანურ ჭეშმარიტებად ითვლებოდა.

სტენდალის რომანის „ლუსიენ ლევენის“ ერთ-ერთი მოქმედი პირი ასე არიგებს ჭკუას თანამოსაუბრეს: „თქვენ არ გაგაჩნიათ საკმაოდ სქელი კანი იმისათვის, რომ საზოგადოებამ ზიზღი ვერ გაგრძნობინოთ. მაგრამ ამას ეგუებიან, საჭიროა მხოლოდ პატივმოყვარეობის სხვა გზით წარმართვა. აი თავადი ტალეირანი. ამ ცნობილი ადამიანის მიხედვით იმისი თქმა შეიძლება, რომ როცა ზიზღი ყბადაღებულ ჭეშმარიტებად იქცევა, მას მხოლოდ ბრიყვნი ამჟღავნებენ“[15].

იაკობინელები გილიოტინისაგან შემთხვევით გადარჩენილ მოღალატედ თვლიდნენ ტალეირანს, შემდგომ თერმიდორელებიც სწორედ ასეთივე შეხედულებისა გახდნენ მასზე. „უგულო, უსინდისო, უსირცხვილო, უზნეო... მეტისმეტად საზიზღარი, რომ შიშის გამოწვევა შეეძლოს“, - ასე ლაპარაკობდა მასზე ბუასი დ'აგლა, რომელსაც „Melanges“ -ის დოკუმენტების გამომცემელი ლაკურ-გაიე რატომღაც „პირველი პრერიალის გმირს“ ეძახის[16].

რა „გმირობას“ ხედავს ლაკურ-გაიე ბუასი დ'აგლას საქციელში, რომელიც კონვენტში თავმჯდომარეობდა პირველი პრერიალის დღეს, ძნელია მიხვდე. თავისი ჩვენებებით, რაც სამხედრო კომისიას მისცა, ბუასი დ'ანგლამ ხელი შეუწყო სასიკვდილო განაჩენი გამოეტანათ რომისათვის, ბურბოტისათვის, სუბრანისათვის და სხვა ჭეშმარიტი „გმირებისათვის პირველი პრერიალისა“, მაგრამ არავითარი სხვა დამოკიდებულება გმირებისა და გმირობისადმი არც პირველ პრერიალის ჰქონია, არც მის შემდეგ. ბუასი დ'აგლას მიერ მოცემულ დახასიათებაში ყველაფერი სწორია, გარდა ბოლო მტკიცებისა: მართალია, ტალეირანი მეტისმეტ ზიზღს იწვევდა, მაგრამ მან დაამტკიცა თავისი ცხოვრებით, რომ შიში მის წინაშე არა თუ შეიძლებოდა, საჭიროც იყო. ეს გახლდათ ფრთხილი, თვალმახვილი, მომთმენი მტაცებელი, საშიში თავისი გამჭრიახი გონებითა და შორსმხედველობით, თავისი უნარით: რადიკალური ალლოთი ეპოვა სწორი ტაქტიკა ყველაზე უფრო დახლართულ შემთხვევებსა და თავსამტკრევ კომბინაციებში. თერმიდორელებმა და შემდეგ მათ მიერ შექმნილმა დირექტორიამ ტალეირანის ეს თვისებები მალე საკუთარ თავზე გამოსცადეს. და დირექტორიის წევრები ამას თითქოს წინასწარ გრძნობდნენ.

მთელ თავის იმედებს ტალეირანი ბარასზე ამყარებდა. ბარასმა იცოდა, ტალეირანი ყველაფრის ჩამდენი კაცია, მაგრამ ისიც იცოდა, რომ მთავრობას ძლიერ ესაჭიროებოდა კარგი, მოხერხებული დიპლომატი, ესაჭიროებოდა ადამიანი, რომელსაც გაჭიანურებული მოლაპარაკებებისა და უძნელესი ხასიათის სიტყვიერ პაექრობათა წარმოების უნარი გააჩნდა. ბარასს ესმოდა, რომ ეს ურთულესი დიპლომატიური ფუნქცია სწორედ ის სამსახურია, ის ტექნიკა და სპეციალობაა, რასაც ახლა, 1797 წ. კოლოსალური მნიშვნელობა აქვს და ექნება ახლო მომავალში, და რის თავის თავზე აღებასაც ვერ შეძლებენ ვერც „ადვოკატები“, ვერც გენერლები. აღარ ვილაპარაკებ დაწვრილებით (ყოველივე ეს ცნობილია და სისტემაშიც კი გახლავთ მოყვანილი წვრილმანებისა და სატრფიალო ხასიათის ჭორებისადმი ფრანგული ისტორიოგრაფიის ძველისძველი სიყვარულის გამო), არ შევხები იმასაც, როგორ დაეხმარა ტალეირანს ამ საქმეში ქალბატონი სტალი, მისი ყოფილი საყვარელი, ტალეირანი ამისათვის როგორ ელაქუცებოდა და ფეხქვეშ ეგებოდა არა მარტო ამ

ქალს, არამედ ამ ქალის საყვარელს (იმ მომენტში) ბენჟამენ კონსტანსაც, როგორ ემუდარებოდა იგი ქალბატონ სტალს, გული მოეღბო ბარასისთვის და დაერწმუნებინა ყოყმანში ჩავარდნილი დირექტორი, რომ მას, ტალეირანს არავითარი საარსებო საშუალება აღარ გააჩნია, რომ თუ არ დანიშნავენ საგარეო საქმეთა მინისტრად, იძულებული გახდება ახლავე სენაში გადავარდეს, რადგან ჯიბეში სულ ათიოდე ლუიდორიდა აქვს შემორჩენილი და ა.შ. „Il m'a dit, qu'il allait se jeter a la Seine, si vous ne le faites pas desidement minister des affaires etrangeres“.

ბარასს არ დაუმაღლავს თავისი სტუმარი ქალისთვის (მან იმ ცხარე დღეებში, შვიდჯერ თითქმის ზედიზედ მიაკითხა), რომ ქალბატონ სტალის მეგობარს მთელი დირექტორია ისე უყურებდა, როგორც გამოუსწორებელ თაღლითს, და რომ საერთოდ მან, სტალმა, ამ დაჟინებით თავი მოაბეზრა ბარასს. ქალბატონმა სტალმა ყოველი ეს მოისმინა და ორი დღის შემდეგ მერვედ მიაკითხა. ბოლოსდაბოლოს, გავლენიანმა ბარასმა, დარწმუნებულმა, ტალეირანი გამოადგებოდათ და რომ მისი შემცვლელი არ მოიძებნებოდა, დააჩქარებინა გადაწყვეტილება, და დირექტორიაში მართლაც დასვა საკითხი ტალეირანის დანიშვნის შესახებ. კამათის შემდეგ სამი ხმა დანიშვნის მომხრე აღმოჩნდა, ორი წინააღმდეგი.

როცა ეს ამბავი ბენჟამენ კონსტანმა ტალეირანს ახარა, მას თავისი ხანგრძლივი სიცოცხლის მანძილზე თითქმის პირველად და უკანასკნელად პირდაპირ თავგზა აებნა სიხარულისაგან. მივარდა და გადაეხვია კონსტანს, კარეტაში კი, რომლითაც კონსტანთან და ერთ თავის ამფსონთან ერთად უმაღლეს ბარასთან გავარდა მაღლობის სათქმელად, მთელი გზა, თითქოს არც კი გრძნობდა თუ ვინმე უსმენდა, შეშლილივით ერთსა და იმავე ფრაზას იმეორებდა: „ჩვენია ადგილი! მან უნდა მომცეს უზარმაზარი ქონება! („Nous tenons la place! Il faut y faire une fortune immense, une fortune immense, une fortune immense!“).

ასეთი იყო ის მამოძრავებელი ზამზარა, ის ძირითადი ნერვი მოქმედებისა, გულის სიღრმეში მიმაღული ის სახელმძღვანელო მოტივი, რაც ტალეირანმა მაშინვე აღნიშნა, როგორც კი საფრანგეთის რესპუბლიკის მინისტრად თავისი დანიშვნის ამბავი შეიტყო, აღნიშნა სტიქიურ პაროქსიზმამდე ასულ სიხარულის ჟამს, თავის სიცოცხლეში ერთადერთხელ დაივიწყა რა თავისივე საკუთარი წესი, რომ: „ენა იმისთვის აქვს ადამიანს, თავისი აზრები არ გამოთქვას“. ის მოხვდა ისეთ ადგილზე, სადაც იოლია მათხოვარი მილიონერად იქცეს, - აი მისი მოღვაწეობის ნამდვილი პათოსი. ამ მეოთხედი საათის განმავლობაში იგი სავსებით გულწრფელი და გულახდილი იყო. ცხადია, გონს მალე მოვიდა. უკვე მეორე დღეს, 1797 წ. 18 ივლისს, მიიღო რა ოფიციალური ქაღალდი თავისი დანიშვნის შესახებ, თავადი ტალეირანი

სავსებით გამოერკვა და თავს მოერია საგარეო საქმეთა სამინისტროს მოსამსახურეების წინაშე. მთხოვნელებისა და დიპლომატიური კორპუსის წინაშე იდგა თავის ლამაზ ყავარჯენზე დინჯად დაყრდნობილი, მშვიდი და ოდნავ ქედმაღალი დიდებული, გულცივი სახელმწიფო მოღვაწე: დიდი, ძლევამოსილი, ევროპის მაზანზარებელი სახელმწიფოს კანონიერი წარმომადგენელი, სრულუფლებიანი წარმომადგენელი საფრანგეთის დიდი რევოლუციისა, ყველა ამ ინგლისელ გეორგებს, რუს პავლეებსა და ავსტრიელ ფრანცებს რომ ეომებოდა, მაგრამ რაც მთავარია - ადამიანი ღრმად და გულმშვიდად დარწმუნებული თავის უბიწოებაში და იმაში, რომ ვინმე შურიანი ცილს თუ სწამებენ მას, ეს ვერავითარ შემთხვევაში ვერ შებღალავს მის ზნეობრივ სიმშვენიერეს. ყოველგვარი გარეგნული წარმატება მუდამ ასე აძლიერებდა მასში ამ ნათელ და დიად სიმშვიდეს. და ყოველი გამარჯვების შემდეგ თითქოს ეუბნებოდა თავის მაგინებლებს და საერთოდ მთელ გარემომცველ საზოგადოებას: „თვითონ ხედავთ ახლა, რა კარგი ვარ!“

ამრიგად ის მინისტრია, ის ნამდვილი ძალა და ხელისუფლება! გადარჩენილი არისტოკრატები თუ საფრანგეთში დაბრუნებული ემიგრანტები ერთხანს შიშში იყვნენ, შური არ ეძია მათზე ამ ადამიანს, რომელსაც ასე ლანძღვა-გინებით იკლებდნენ, გამმაგებული სიძულვილით მტრობდნენ და, ერთ დროს, ინგლისიდანაც კი განდევნეს, როგორც ზემოთ დავინახეთ. ფიქრობდნენ, რომ მას, როგორც მთავრობის წევრს, არაფრად უღირს სამაგიერო გადაუხადოს თავის მტრებს. მაგრამ არავითარი დევნა არ დაუწყია, თუმცა ამის სრული შესაძლებლობა ჰქონდა. ესეც მისი დამახასიათებელი თვისებაა: ის სულაც არ იყო შურისმგებლური ბუნებისა, მას, - სრული, დამთავრებული ამორალიზმის პატრონს - შეეძლო გამრჯედ წაემუშავა და სრულიად უდანაშაულო ადამიანი თუნდ ცოცხლადაც დაემარხა, თუკი ამას ოდნავ მაინც მოითხოვდა კარიერისტული გეგმები. მაგრამ თითსაც არ გაანძრევდა, რათა დაესაჯა თავისი მოსისხლე მტერი, რასაკვირველია, თუ ამიერიდან ამ მტერს მისთვის ზიანის მიყენება აღარ შეეძლო. შურისძიება თავისთავად არავითარ სიამოვნებას არ აგრძნობინებდა, უბრალოდ გართობის მიზნითაც კი არ იზიდავდა, რადგან მართლაც არ შეეძლო ნამდვილი სიძულვილი, მხოლოდ ზიზღი შეეძლო. ის, რაც მოგვიანო დროის რომანტიკოსთა არაბუნებრივ გმირებთან ყალბ ფრაზეზად ჟღერს ასე ხშირად, ტალეირანში ნამდვილ რეალურ სინამდვილეს წარმოადგენდა, თუმცა ზიზღისა და სიძულვილის შესახებ არასდროს არავითარი ტირადები არ წარმოუთქვამს. მას იმწამსვე ავიწყდებოდა მტრები, როგორც კი გზიდან ჩამოეცლებოდნენ. მაგრამ თუ გზას გადაუღოზავდნენ, ან განზე გაისროდა, ან გასრესდა, შემდეგ კი ისევ ივიწყებდა. ახალ მინისტრს ჰქონდა კიდევ სხვა, მისთვის უფრო საინტერესო საზრუნავი და მისწრაფებანი. მინისტრად გახდომის თითქმის



პირველივე დღეებიდანვე დიპლომატიურ კორპუსში გაფაციცებით ადევნებდნენ თვალყურს იმას, თუ რას აკეთებდა საფრანგეთის საგარეო პოლიტიკის ახალი ხელმძღვანელი.

დირექტორიის ეპოქაში, დირექტორ ბარასის თავაწყვეტილი ქეიფების წლებში, მტაცებელ ფინანსისტ უვრარის გაქანებული სპეკულაციის დროს, ხაზინის მსხვილ და წვრილ ქურდთა ორგიების ხანაში, თითქოს ძნელი იყო გაგეკვირვებინა ვინმე მექრთამეობით, ქრთამების სიხშირითა და სიუხვით. მაგრამ ტალეირანმა მაინც შესძლო გაეოცებინა თავისი თანამედროვეები, თუმცა ისინი დიდი ხანია გადაჩვეულნი იყვნენ ამ მხრივ განცვიფრებას. ის იღებდა ქრთამებს პრუსიისაგან, იღებდა ესპანეთისაგან, იღებდა პორტუგალიისა და შვედეთის შტატებისაგან, კოლონიებისა და მეტროპოლიებისაგან, მატერიკებისა და კუნძულებისაგან, იღებდა ევროპისა და ამერიკისაგან, სპარსეთსა და თურქეთისაგან, იღებდა ყველასაგან, ვინც ასე თუ ისე დამოკიდებული იყო საფრანგეთზე, ან საჭიროებდა საფრანგეთის დახმარებას, ან ეშინოდა საფრანგეთის. მაგრამ ვინ არ საჭიროებდა მაშინ საფრანგეთის დახმარებას, ვის არ ეშინოდა მისი? ქრთამებს უზარმაზარს იღებდა, თითქოს ცდილობდა კიდევ, არ აწყენინონ, მაგალითად, დიდ სახელმწიფოს იმით, რომ პატარა ქრთამი მოითხოვაო. ასე რომ, მყისვე მიახვედრა პრუსიის ელჩი: სამას ათას ლივრაზე ნაკლებს ოქროთი მისგან არ აიღებდა. ავსტრიისგან - კომპოფორმის ზავთან დაკავშირებით - მილიონი აიღო, ესპანეთისაგან - მეგობრული განწყობილებისათვის - მილიონი, ნეაპოლის სამეფოსაგან - ნახევარი მილიონი. მისი თანამედროვე პრესა არაერთგზის ცდილობდა მიახლოებით მაინც გამოეანგარიშებინა, რამდენი აიღო ტალეირანმა ქრთამების სახით თავისი მინისტრობის პერიოდში. მაგრამ მისდამი მტრულად განწყობილი ეს მოანგარიშებები ჩვეულებრივ იღლებოდნენ ანგარიშით, იზნეოდნენ, და ჩერდებოდნენ მის მიერ საქმეთა მართვის მართოდენ პირველ წლებზე. მაგალითად, წერდნენ, რომ 1797-1799 წ. წ. ტალეირანმა მიიღო ცამეტნახევარ მილიონზე მეტი ფრანკი ოქროთი (სახელდობრ 13.650.000) მაგრამ ეს პირველი ორი წელი ხომ, შეიძლება ითქვას, ბავშვურ თამაშს წამოადგენდა მომდევნო წლებთან შედარებით, როცა ტალეირანი განაგრძობდა მინისტრად ყოფნას.

ქრთამები გამდიდრების ერთადერთი საშუალება როდი იყო. თავისი საყვარლებისა და მეგობრების მეშვეობით, ტალეირანი თითქმის წაუგებლად თამაშობდა ბირჟაზე: მან ხომ წინასწარ იცოდა, როგორ აეგებოდა უახლოესი პოლიტიკური მომავალი. ტალეირანი წინასწარ ჭვრეტდა მის მიერ მომზადებული ან წინდაწინ მარტო მისთვის ცნობილ პოლიტიკური აქტების გავლენას ბირჟაზე და ამის შესაბამისი მითითებანი

შემდეგ ოქროს ნაკადად უბრუნდებოდა ბირჟიდან. ბოლოს, მექრთამეობისა და ბირჟაზე თამაშის გარდა, არსებობდა შემოსავლის მესამე წყაროც: მორიგებანი. ტალეირანს უამრავი აგენტი ჰყავდა თავის განკარგულებაში, რომლებიც საფრანგეთისაგან დამოკიდებულ ვასალურ ან ნახევრადვასალურ ქვეყნებში დაძრწოდნენ და იქ ამა თუ იმ საქონლისა თუ სურსათ-სანოვავის მიწოდებაზე მმართველ პირებთან მორიგებას აწარმოებდნენ. ამასთან დაკავშირებით ესპანეთში მოხდა კურიოზული შემთხვევა. როცა იქ პარიზიდან ჩასულმა ვიღაც ვიგინდარებმა ესპანეთის მეფეს ლამის შანტაჟური ქარაგმებით და დამუქრებებით დაუპირეს სხვადასხვა მორიგებაზე თანხმობის გამოძალვა, საფრანგეთის ელჩმა, ადმირალმა ტრიუგემ, დარწმუნებულმა, გარეწრები საკუთარი რისკითა და გამბედაობით მოქმედებენო, ესპანეთიდან გამოყარა. მაგრამ მალე ტრიუგე იძულებული გახდა დარწმუნებულიყო, რომ ამ დაზარალებული საქმოსნების უკან დგას დიდებული პიროვნება თვით საფრანგეთის რესპუბლიკის მინისტრის თავად ტალეირან-პერიგორისა. ელჩი არასაკმაო გამჭრიახობისათვის გადააყენეს, ხოლო არამზადები ხანმოკლე დროით ჩრდილში ყოფნის შემდეგ კვლავ ამობრწყინდნენ მადრიდში.

იკითხავენ: ნუთუ ევროპის საქმეების საერთო მიმართულებაზე მართლაც ზეგავლენას ახდენენ ეს ქრთამები და მოსყიდვები? ცხადია, არა. არ იყო საჭირო ტალეირანის ჭკუა და ეშმაკობა იმის მისახვედრად, რომ, მაგალითად, თუ გენერალმა ბონაპარტმა იტალია დაიპყრო, აღარასგზით არ შეიძლება აიძულო დირექტორია ან გენერალი უცებ დიდსულოვნად გაათავისუფლონ თავიანთი ნადავლი კლანჭებიდან. ანდა თუ ინგლისის წინააღმდეგ საომრად საფრანგეთი ფლოტით დახმარებას მოითხოვს ესპანეთისაგან, საფრანგეთის მთავრობა არავითარ შემთხვევაში ხელს აღარ აიღებს თავის მოთხოვნაზე. ტალეირანმა იცოდა, რომ უბრალო ცდასაც კი, მოქმედების აშკარად არახელსაყრელი რჩევა მიეცა საფრანგეთის მთავრობისათვის, უკეთეს შემთხვევაში იმწამსვე მისი სამსახურიდან დათხოვნა მოჰყვებოდა. უარეს შემთხვევაში - სიკვდილით დასჯა. მას არც არასოდეს (1808 წლამდე) გაუკეთებია და არც ცდილა გაეკეთებინა ამგვარი სულელური და საშიში რამ. ქრთამებს იღებდა ხელშეკრულებების, შეთანხმებებისა და ოქმების რომელიმე მეორე ან მესამეხარისხოვანი პუნქტების მხოლოდ ღმობიერად რედაქტირების გულისათვის; ამა თუ იმ ნოტაში მეტისმეტად ზუსტი და მკაცრი ფორმულირების გამოტოვებისათვის, „დახმარების“ შეპირებისათვის ისეთ საკითხში, რომელიც, კარგად იცოდა, მის ჩაურევლადაც უკვე გადაწყვეტილია საფრანგეთის უმაღლესი ხელისუფლების მიერ, გადაწყვეტილია პრინციპში მთხოვნელისათვის დამაკმაყოფილებლად. ქრთამს აძლევდნენ რომელიმე რეალიზაციის დაჩქარებისათვის; იმისთვის, რომ სამი თვით ადრე მოახდინონ იმ ტერიტორიის

ევაკუაცია, რომლის ევაკუაციას საფრანგეთი უკვე დათანხმდა, იმისთვის, რომ ნახევარი წლით ადრე მიიღონ სუბსიდია, რომლის მიცემასაც საფრანგეთი უკვე შეპირებულია და ა.შ. მხოლოდ 1808 წ. ერფურტის დღეებიდან დაადგა იგი ნამდვილი სახელმწიფოებრივი ღალატის გზას, ამ სიტყვის ზუსტი მნიშვნელობით.

ფსიქოლოგიური თვალსაზრისით საინტერესოა აღინიშნოს, რომ ტალეირანს უნდოდა გამოემჟღავნებინა - და ამჟღავნებდა კიდეც - მკაცრ ეთიკას ქრთამის გამღებლებთან თავის ურთიერთდამოკიდებულებაში: თუ აიღე - შეასრულე; თუ არ შეგიძლია - უკან დააბრუნე ქრთამი. მაგალითად, როცა ნაპოლეონმა, რომელიც ვარშავაში იყო საზამთროდ დაბანაკებული, 1807 წ. იანვარში ტალეირანს დამოუკიდებელი პოლონეთის აღდგენის პროექტის მომზადება უბრძანა, მინისტრმა პოლონელ მაგნატებს მაშინვე ოთხი მილიონი ფლორინი ოქროთი მოსთხოვა. მათ წილგროვებით სასწრაფოდ შეკრიბეს ოთხი მილიონი და დათქმულ ვადაში მოიტანეს. სამაგიეროდ ტალეირანი შეპირდა, საქმეს უთუოდ მონდომებითა და სინდისიერად გააკეთებდა. მართლაც, მან წარუდგინა იმპერატორს მოხსენება, რომელშიც ღრმა გრძნობით ლაპარაკობს მიუტევებელ შეცდომაზე საფრანგეთისა, რომელმაც ერთ დროს პოლონეთის დაყოფა დაუშვა, და იმაზე, რომ მისი უდიდებულესობის პროვიდენციული ვალდებულებაა აღადგინოს ეს უბედური ქვეყანა. მაგრამ საქმე ისე შებრუნდა, ნაპოლეონს, რომელმაც წელიწადნახევრის შემდეგ ზავი დადო ალექსანდრე I, აღარ შეეძლო იმის გაკეთება პოლონელებისათვის, რის გაკეთებას ადრე მართლაც აპირებდა. მაშინ ტალეირანმა დააბრუნა ოთხი მილიონი. მართალია, ეს გმირული ჟესტი შეიძლება აიხსნას შიშითაც, განაწყენებულ და მოტყუებულ პოლონელებს იმპერატორის ყურამდე არ მიეტანათ მთელი ეს ამბავი. ატყდებოდა უსიამოვნება...

ყოველ შემთხვევაში, ტალეირანი ფრთხილად და გონივრულად აგვარებდა ამ ბნელ საქმეებს და არასდროს ოდნავადაც არ შეეცდებოდა ზეგავლენა მოეხდინა მოვლენების მსვლელობაზე საფრანგეთის ძირითადი, ან თუნდაც რამდენადმე მაინც მნიშვნელოვანი პოლიტიკური ინტერესების საზიანოდ. მაგრამ არც ერთ ხელსაყრელ დიპლომატიურ შემთხვევას ხელიდან არ გაუშვებდა, თავისი კონტრაგენტებისათვის მეტნაკლებად დამრგვალებული თანხა არ წაეგლიჯა. ზოგჯერ (პირველ ხანებში) საქმე, სხვათა შორის, სკანდალამდეც კი მიდიოდა. ეს მაშინ, როცა თავადი ტალეირანი ისეთ ხალხს გადაეყრებოდა, ვინც შედარებით ახალნაზიარები იყო ევროპის ძველ ცივილიზაციას. მაგალითად, 1798 წელს ასეთი არასასიამოვნო ისტორია მოხდა. პარიზში (ჯერ კიდევ 1797 წ. შემოდგომიდან) სპეციალური ამერიკელი რწმუნებულები იმყოფებოდნენ, ამერიკელი გემთმეპატრონების

კუთვნილი ფულადი თანხების გამოსათხოვად ჩამოსულნი; მაგრამ საქმეს საშველი აღარ დაადგა. ტალეირანი აჭიანურებდა საქმეს, რწმუნებულებთან თავის აგენტებს გზავნიდა, რომლებიც აწარმოებდნენ რა მოლაპარაკებას ინგლისურ ენაზე, განუცხადეს მოუსაზრებელ ამერიკელებს, რომ მინისტრი მათგან ჯერ „ტკბილეულს“ მოელის; the sweetness, ასე თარგმნეს მათ „les douceurs“. „ტკბილეული“ ისეთი უზარმაზარი რაოდენობით გახდა საჭირო, რომ ამერიკელთა მოთმინებამ ბოლოსდაბოლოს იფეთქა. დეპუტატებმა არა მარტო მიმართეს ფორმალური საჩივრით შეერთებული შტატების პრეზიდენტს, თავიანთ უშუალო უფროსს, არამედ თვით პრეზიდენტმა გაიმეორა ეს ბრალდებანი 1798 წ. 3 აპრილის კონგრესისადმი გაგზავნილ მიმართვაში. ამ ამბავთან დაკავშირებით ამერიკელმა წარმომადგენლებმა საყვედურით მოიგონეს ტალეირანის ამასწინანდელი ემიგრაცია. „ეს ადამიანი, რომელსაც ჩვენ უაღრესად კეთილი მასპინძლობა გავუწიეთ, საფრანგეთის მთავრობის სწორედ ის მინისტრია, რომელთანაც გამოვცხადდით და რომელსაც მხოლოდ სამართლიანობას ვთხოვდით. და ამ უმადურმა ჩვენმა სტუმარმა, ამ ღვთისაგან განდგომილმა ეპისკოპოსმა, უსირცხვილოდ გამოგვძალა ორმოცდაათი ათასი გირვანქა სტერლინგი „ტკბილეულისათვის“, the sweetness, ორმოცდაათი ათასი გირვანქა სტერლინგი - თავისი ბიწიერების დასაკმაყოფილებლად“.

მოხდა არნახული სკანდალი. ყველაფერი ეს დაიბეჭდა. ტალეირანმა დაუდევრად და ქედმაღლურად გასცა პასუხი, მთელი ეს ამბავი ვიღაც-ვიღაცა მატყუარებსა და ამერიკელი რწმუნებულების „გამოუცდელობას“ გადააბრალა.[17] ამის შემდეგ მინისტრმა უკვე ხელი ჩაიქნია „ტკბილეულზე“ და სასწრაფოდ დააკმაყოფილა მათი მოთხოვნები. მაგრამ ეს უსიამოვნებანი მხოლოდ ამგვარ მოუქნელ ჯიუტ პურიტანელ ველურებთან მოსდიოდა ხოლმე, მისისიპიდან კლდოვან მთებამდე რომ ბინადრობდნენ. ევროპელები გაცილებით მომთმენნი იყვნენ და გაურბოდნენ სკანდალს, თუმცა მათი მდგომარეობაც უფრო საშიში იყო: ატლანტის ოკეანე როდი იცავდა მათ საფრანგეთისაგან.

უზარმაზარი თანხების სწრაფ ხვეჭასთან ერთად ტალეირანს სხვაც ჰქონდა საზრუნავი. მაშინ მას არ უნდოდა ბურბონების დაბრუნება. მართალია, „ურმის თვალზე გაკვრისა“ არ ეშინოდა, რითაც ემუქრებოდნენ ემიგრანტები, მაგრამ იმას კი ხვდებოდა, რა არახელსაყრელი და საშიშია მისთვის რესტავრაცია. ამიტომ, როცა ბურჟუაზიულმა რევოლუციამ ნაწილობრივ რესტავრაციულ მეოცნებეობის ფორმის მიღება იწყო, იგი სიხარულით მიესალმა 18 ფრუქტიდორის მოვლენებს: როიალისტების უეცარ დაპატიმრებას, მათ გადასახლებას და როიალისტური პარტიის განადგურებას. მას სჭიროდა ამ რეაქციის სხვა ფორმა - მონარქია ან თუნდაც

დიქტატურა, მაგრამ უბურბონებოდ, ე.ი. მას ესაჭიროებოდა იგივე, რაც  
ესაჭიროებოდათ თუ საჭიროდ ეჩვენებოდათ იმ მომენტში „ახალ მდიდრებს“ და  
მიწის ახალ მესაკუთრეებს, მთელ ახალ ბურჟუაზიას: წყობილება, რომელიც მათ  
დაიცავდა არა მარტო ბაბეფისაგან, არა მარტი პრერიალელებისაგან, არამედ ახალ  
რობესპიერისგანაც და რომელიც იმავე დროს შეუძლებელს გახდიდა ფეოდალურ  
რეაქციას, რევოლუციამდელი სოციალურ-ეკონომიური წესების რესტავრაციის ცდას.

როდესაც ბონაპარტის გამარჯვებებმა ავსტრია იძულებული გახადა 1797 წ. 20  
აპრილს ლეობენში საზავო ხელშეკრულებაზე მოეწერა ხელი, ტალეირანი, რომელმაც  
დიდი ხანია განჭვრიტა ძლევამოსილი გენერლის „შესანიშნავი ხვედრი“, ამერიკაში  
საფინანსო საქმეებში გაცნობილ თავის იქაურ „მეგობარს“ ოლივს სწერს: „აგერ მალე  
საბოლოო ზავიც დაიდება, რადგან პრელიმინარული პირობები ხელმოწერილია,  
მერე რა ჩინებული ზავი! და ეგ ჩვენი ბონაპარტიც, ჰო რა კაცია! ჯერ 28 წლისაც არ  
არის და უკვე ბრწყინავს ყველა სახის დიდებით: ომის, ზავის, ზომიერების,  
კეთილშობილების დიდებით. მას ყველაფერი აქვს“. და გახარებული იტყობინება,  
რომ „პარიზი სავსებით მშვიდაა“ და რომ ერთი წლის შემდეგ შეიძლება აქ კარგი  
საქმეები აკეთო (ე.ი. ისპეკულანტო), რადგან „კაპიტალი იწყებს გარედან დენას“  
საფრანგეთში.[18]

ტალეირანის წინაშე ბრწყინვალე მომავალი იშლებოდა. ძველი, რევოლუციამდელი  
და ახალი, რევოლუციის შემდეგდროინდელი, ფულიანი ბურჟუაზია, რომელმაც  
პარიზის პლემურის მასების უკანასკნელი ცდები დათრგუნა, იარაღი აჰყარა რა სენტ-  
ანტუანის და სენტ-მარსელის გარეუბნებს 1794 წ. პრერიალში, ზეიმობდა გამარჯვებას  
როგორც თავის მემარცხენე, ისე თავის მემარჯვენე მოწინააღმდეგეებზეც. და  
იმავედროულად უკვე ამოდიოდა ვარსკვლავი ახალგაზრდა დამპყრობლისა,  
რომელსაც ბედმა არგუნა მსხვილი ბურჟუაზიის მისწრაფებებისა და ინტერესების  
გამომხატველი გამხდარიყო. ტალეირანი გრძნობდა, რომ დადგა მისი საათი, რომ  
პოლიტიკური აღზევა - ეს მისთვის პირდაპირი გზა პირადი გამდიდრებისაკენ -  
არც ისე შორსაა.

და სულ უფრო ყურადღებიანი და მლიქვნელური, სულ უფრო მოწიწებული და  
გულითადი ხდება საქმიანი წერილები, რომლებსაც ტალეირანი უგზავნის ალპებს  
გადაღმით მეომარ ახალგაზრდა გენერალს. უკვე 1797 და 1798 წ. წ. ტალეირანი მას  
სწერს არა როგორც მინისტრი გენერალს, რესპუბლიკის ერთ-ერთი არმიის მეთაურს,  
არამედ უფრო ვით ერთგული ქვეშევრდომი, რომელიც თავის მონარქზეა  
შეყვარებული. მან ერთ-ერთმა პირველმა გამოიცნო ბონაპარტი და მიხვდა, რომ ეს  
უბრალოდ ძლევამოსილი ხმალი კი არ არის, არამედ რაღაც გაცილებით უფრო

რთული და ძლიერი რამაა. მიხვდა, რომ ეს ადამიანი „ადვოკატებზე“ ძლიერია და რომ ამიტომ საჭიროა დროზე გამოაბას თავისი დანჯღრეული ნავი გაშლილ ზღვაში გამავალ ამ დიდ ხომალდს. აქ ზედმეტი არ იქნება ორიოდ სიტყვით მაინც ზოგადად დავახასიათოთ ტალეირანის ნაპოლეონთან ურთიერთდამოკიდებულება, მით უმეტეს, რომ მისი მემუარების მნიშვნელოვანი ნაწილი ნაპოლეონის ერთმმართველობის ეპოქას ეხება. რა თქმა უნდა, ტალეირანის საკუთარი განცხადებები შეგვიძლია განზე გადავდოთ: ისინი მხოლოდ იმას გვაუწყებენ, რა ასპექტშიც სურს იმპერატორთან თავის დამოკიდებულების ჩვენება, სხვას არაფერს. ვნახოთ ფაქტები და გარეშე პირთა დაკვირვებანი.

უეჭველია, ტალეირანმა ბევრ სხვა მათგანზე ადრე გამოიცნო, რა ნიჭს, რა შესაძლებლობებს ფლობდა ეს ახალგაზრდა პირქუში სარდალი, ასეთი დაუჯერებელი გამარჯვებებით რომ დაიწყო თავისი სამხედრო კარიერა. რა უნდა ყოფილიყო თითქოს საერთო ამ ორ ადამიანს შორის? ერთი - ნატიფი, ნებიერი წარმომადგენელი ძველი არისტოკრატისა, მეორე - გადარიბებულ აზნაურთა ნაშიერი ყაჩაღთა შორეულ, ველურ კუნძულიდან. ერთს - მუდამ აქვს შესაძლებლობა (ემიგრაციის პერიოდის გარდა) სანადიმო ან ბანქოს სათამაშო მაგიდასთან ერთი საღამოს განმავლობაში მეტი ფული გაფლანგოს, ვინემ მეორე თავისი ღარიბული ყაზარმული ცხოვრების რამდენიმე წლის მანძილზე დახარჯავს. ერთისთვის ყველაფერი ფულებსა და სიამეში, სიბარიტობაშია მოქცეული, გარეგნული პატივიც კი მეორეხარისხოვან საქმედ ითვლება; მეორისთვის სახელი და ხელისუფლება, უფრო სწორად, მუდმივი მისწრაფება სახელისა და ხელისუფლებისაკენ, ცხოვრების ძირითად მიზანს შეადგენს. ერთს ორმოცდასამი წლის ასაკში ყველაზე ბიწიერ ნაკლთა თითქმის უნაკლო კოლექციად რაცხდნენ, მაგრამ საგარეო საქმეთა მინისტრი გახლდათ. მეორეს შესანიშნავი სარდლის სახელი ჰქონდა მოხვეჭილი და ოცდარვა წლისა უკვე იყო ვრცელი და მჭიდროდ დასახლებული ქვეყნების დამპყრობი და ავსტრიის მძლეველი. ხოლო გაუმაძღარი პატივმოყვარეობა უფრო ღრმადა და ღრმად ითრევდა. ერთისთვის პოლიტიკა იყო „მეცნიერება შესაძლებელის შესახებ“, ხელოვნება - მიგედწია შესაძლებელ შედეგებს შორის საუკეთესოსათვის რაც შეიძლება ძალის ნაკლები დახარჯვით; მეორისთვის - ერთადერთი რამ, რითაც მოიკოჭლებდა მისი არაჩვეულებრივი გონება, პოლიტიკა იყო იმის გაგების სრული უუნარობა, სად თავდება შესაძლებელი და სად იწყება ქიმერა. მაგრამ საერთოც მრავალი რამ ჰქონდათ. ჯერ ერთი, იმ მომენტში, როცა ისტორიამ ისინი ერთიმეორეს შეახვედრა, ორივენი ერთი მიზნისკენ ისწრაფოდნენ: ბურჟუაზიული დიქტატურის დამყარებისაკენ, რაც მიმართული იქნებოდა ახალი ბაბეფის წინააღმდეგაც და ახალი რობესპიერის წინააღმდეგაც, პრერიალის განმეორების წინააღმდეგ და მასთან ერთად

ძველი რეჟიმის აღდგენის ყოველგვარი ცდების წინააღმდეგაც. მართალია, აქ იყო განსხვავებაც, მაგრამ ამან კიდევ უფრო დაახლოვა ისინი: ბონაპარტს თვითონ უნდოდა თავისი თავი დიქტატორად, და არა ვინმე სხვა; ტალეირანმა კი კარგად იცოდა, რომ თვითონ ვერავითარ შემთხვევაში ვერ მოხვდება ამ ადგილას, უბრალოდ არც ძალა ეყოფა ასეთი ადგილისთვის, და არც სჭირდება, მაგრამ სამაგიეროდ შეუძლია გახდეს ბონაპარტის ერთ-ერთი პირველი მსახურთაგან, და მიიღოს სანაცვლოს იმაზე გაცილებით მეტი, რაც „ადვოკატებმა“ შემლეს მიეცათ მისთვის აქამდე. მეორეც, აახლოვებს ამ ორ ადამიანს ზოგიერთი გონებრივი საერთო ნიშანთვისებაც: მაგალითად, ზიზღი ადამიანებისადმი, აბსოლუტური ეგოიზმი და ეგოცენტრიზმი, სრული უგულებელყოფა ყოველგვარი „მორალური“ კონტროლისა თავისი მისწრაფებების მიმართ, საკუთარი წარმატების რწმენა, მშვიდი - ტალეირანში, უთმენარი და მღელვარე - ბონაპარტში. ბონაპარტის ემოციური ცხოვრება იყო ინტენსიური, გარეშე დამკვირვებლებს ხანდახან ეჩვენებოდათ, მასში რაღაც ვულკანური ბოზოქრობდა, რომელსაც ის ძლივს აკავებდა. ტალეირანში კი ყველაფერი მიმკვდარებული ჩანდა, გაცივებული და გაყინული. ყველაზე კრიტიკულ წუთებში თავადი ძლივძლივობით სცრიდა სიტყვებს, განსაკუთრებით ინდიფერენტული გამოიყურებოდა. ეგებ თვალთმაქცობდა ამ დროს? ასეთ შემთხვევაში ის არტისტულად თამაშობდა თავის როლს და თავის თავს თითქმის არასოდეს არ ამჟღავნებდა. ბონაპარტი გაცილებით უფრო განათლებული იყო, იმიტომ რომ ტალეირანზე უფრო მეტად ახასიათებდა ცოდნის წადილი. ძნელიც კია იმის წარმოდგენა, ტალეირანსაც შესძლებოდა დაინტერესებულიყო ვიღაც შუასაუკუნელი შოტლანდიელი ბარდით ოსიანიით (თუნდაც მაკფერსონისეულ ფალსიფიკაციაში), ან აღშფოთებულიყო ტაციტის მიკერძოებებით, ან ენაღვლა ახალგაზრდა ვერტელის ვნებათა გამო, ანდა ისე ესაუბრა გოეთესა და ვილანდთან, როგორც ნაპოლეონს ერფურტში, ან სჯა-ბაასი გაება ლაპლასთან ვარსკვლავებზე და იმაზე, არსებობს თუ არა ღმერთი. ყოველივე ასე თუ ისე „აბსტრაქტული“ (ე.ი. მაგალითად, მთელი მეცნიერება, ფილოსოფია, ლიტერატურა), რასაც არ ჰქონდა პირდაპირი ან ირიბი დამოკიდებულება ტალეირანის ქისასთან და მის კარიერასთან, იყო ღრმად უცხო მისთვის, ზედმეტი, მოსაწყენი და, ვგონებ, უბრალოდ საზიზღარიც კი.

ესმოდა თუ არა ამ ორ პატივმოყვარე ადამიანს ერთი მეორისა? „ეს არის ინტრიგანი კაცი, კაცი დიდი უზნეო, მაგრამ დიდად ჭკვიანიც და, რა თქმა უნდა, ყველაზე ნიჭიერი იმ მინისტრებს შორის, რომლებიც მე მყოლია“ - ასე ლაპარაკობდა ტალეირანის შესახებ ნაპოლეონი სიკვდილის წინა ხანებში. და მაინც ნაპოლეონი ამჟღავნებდა მის შეუფასებლობას და ძალიან გვიან რწმუნდება, რა საშიში შეიძლება

იყოს ტალეირანი, თუ მისი ინტერესები მოითხოვს გასცეს და გაჰყიდოს თავისი ბატონი და დამქირავებელი. რაც შეეხება ტალეირანს, ადვილი შესაძლებელია არცა ცრუობდეს, როცა ამტკიცებს, რომ გულწრფელად თანაუგრძნობდა ნაპოლეონს მისი მოღვაწეობის დასაწყისში და ჩამოშორდა მხოლოდ მას შემდეგ, რაც ნელი-ნელ შეიგნო, თუ ბედთან რა უიმედო თამაში წამოიწყო და იმპერატორს რა ძალდატანების მოხდენა სურდა ისტორიაზე, რა აბსოლუტურად განუხორციელებელი გრანდიოზული მიზნისაკენ მიიწევდა. რა თქმა უნდა, აქ ასე უნდა გავიგოთ: ტალეირანი საფრანგეთმა კი არ შეაშინა, რადგან „საფრანგეთიც“ „აბსტრაქცია“ იყო მისთვის, არამედ საკუთარ კეთილდღეობაზე ზრუნვამ, მას ადარდებდა, თუ ბოლოსდაბოლოს მშვიდად როგორ მოეხმარა ეს დაგროვილი მილიონები ისე, რომ ზედ უფსკრულის პირას არ ესეირნა ყოველდღე. ყოველ შემთხვევაში, თავად ტალეირანს საერთოდ რომ ჰქონოდა ვისიმე „გატაცების“ უნარი, შეიძლებოდა გვეთქვა, რომ 18 ბრიუმერისწინა ბოლო წლებში და 18 ბრიუმერის მომდევნო პირველ წლებში ის სწორედ ბონაპარტით იყო „გატაცებული“. ის თვლიდა, რომ საფრანგეთში საჭიროა ჰერკულესური სამუშაო ჩატარდეს და სწორედ ბონაპარტში ხედავდა მამინ ასეთ ჰერკულესს. ის არ ცდილობდა მასთან დატოლებას, არ ეჯიბრებოდა მას, უყოყმანოდ აღიარებდა, რომ მათი ძალები და შესაძლებლობანი აბსოლუტურად უთანაზომოა, რომ ბონაპარტი მბრძანებელი იქნება მუდამ, ის კი, ტალეირანი - მისი მსახური.

უკვე 1797 წ. 10 დეკემბერს (რევოლუციური კალენდრით VI წლის 20 ფრიმერს), როცა პარიზში საზეიმო შეხვედრა გაუმართეს იტალიიდან პარიზში ახლადდაბრუნებულ ძლევამოსილ ბონაპარტს, დირექტორიისა და ხალხის მასის თანდასწრებით ტალეირანმა ნამდვილი ერთგულ ქვეშევრდომული მლიქვნელობით აღსავსე სიტყვა წარმოთქვა, თითქოს ბონაპარტი უკვე იყო თვითმპყრობელი მონარქი და არა რესპუბლიკის უბრალო გენერალი, მასთან ტალეირანმა იმდენი ეშმაკობაც კი გამოიჩინა, რომ ხაზი გაუსვა გენერლის მოჩვენებით „თავმდაბლობას“, მისი სურვილია (თუმცა არასოდეს სურვებია) განერიდოს ხმაურიან ცხოვრებას და განმარტოებით, მყუდროდ იცხოვროს და ასე შემდეგ, - ხაზი გაუსვა ყოველივე იმას, რაც აუცილებელი იყო, რათა მოედუნებინა დირექტორიის მიმართ და დირექტორიის საკუთარი არსებობის სახიფათო მდგომარეობით გამოწვეული უკვე გაღვიძებული ბუნდოვანი შემფოთება.

ამ ორი ადამიანის „მეგობრობა“ ძალე გენერალ ბონაპარტის ახალი გრანდიოზული წამოწყებით - ეგვიპტეზე თავდასხმით - განმტკიცდა. ეგვიპტის დაპყრობა ბონაპარტისათვის იყო ინდოეთისაკენ გადადგმული პირველი ნაბიჯი და მუქარა



ინგლისის მიმართ. ტალეირანისთვის, რომელმაც სწორედ მაშინ ახალ კოლონიათა შექმნის იდეა წამოაყენა, ეგვიპტე საფრანგეთის მდიდარი კოლონია უნდა გამხდარიყო. ტალეირანი გაცხოველებით იცავდა ამ პროექტს დირექტორიის წინაშე, განსაკუთრებით ხაზს უსვამდა უზარმაზარ სავაჭრო პერსპექტივებს, რაც ამ ქვეყნის დაპყრობასთან იყო დაკავშირებული. ექსპედიცია გადაწყდა. ბონაპარტი საუკეთესო ჯარებითურთ ეგვიპტეს გაემგზავრა, დირექტორიისათვის კი მალე მძიმე დღეები დადგა. ნახევარი ევროპა ისევ დაიდრა საფრანგეთისაკენ. იტალიაში 1798 წ. გაჩნდა დიდი სუფოროვი და ბონაპარტის მიერ 1796-1797 წ. წ. მოპოვებულ გამარჯვებათა ნაყოფი წყალში გადაიყარა. დირექტორიის არაპოპულარობა დღითიდღე იზრდებოდა. მინისტრებს და, ტალეირანს განსაკუთრებით, - ბრალს სდებდნენ ლაღატში, იმაში, რომ მათ განზრახ, მტრების სასარგებლოდ გაგზავნეს ეგვიპტეში ბონაპარტი, რომელსაც შეეძლო სამშობლო გადაერჩინა.

ტალეირანისთვის აუცილებელი იყო დროულად გასცლოდა სახელგატეხილ მთავრობას და მოიმიზეზა რა ცილისწამების ერთი საქმე, რისთვისაც სამართალში მიაცემინა ცილისმწამებელი, მაგრამ არ იქნა დაკავშირებული, ერთობ მოულოდნელად გადადგომა ითხოვა. ეს მოხდა 1799 წ. 13 ივლისს. კვირის თავზე, 20 ივლისს, გადადგომის მოთხოვნა დაკმაყოფილებულ იქნა, ხოლო სამი თვის შემდეგ, 16 ოქტომბერს, ეგვიპტიდან პარიზს დაბრუნდა დირექტორიისათვის მოულოდნელი და უსიამოვნო სტუმარი - ბონაპარტი.

უნდა ითქვას, რომ ტალეირანს, რომელიც ხედავდა და მიესალმებოდა მომავალ დიქტატორს, ჰქონდა ერთგვარი მიზეზები მაინც დაეჭვებულიყო უეცრად დაბრუნებულ ეგვიპტის დამპყრობელთან მომავალი პირველი შეხვედრის სიამტკბილურობაში. საქმე შემდეგშია:

ეგვიპტის ექსპედიციაში რომ მიდიოდა, გენერალმა ბონაპარტმა შეიპირა ტალეირანი, ესკადრის ტულონიდან გასვლისთანავე კონსტანტინოპოლში გამგზავრებულიყო საფრანგეთის ელჩად. ბონაპარტს საჭიროდ ეჩვენებოდა თურქეთის ბატონობის ქვეშ მყოფ ეგვიპტის დაპყრობის პერიოდში სამშვიდობო - და უფრო მეტიც - სავსებით კეთილმეგობრული დამოკიდებულების ფიქციის შენარჩუნება საფრანგეთსა და თურქეთს შორის. ამ საკმაოდ თავსატეხი დიპლომატიური ამოცანისათვის წარმატებით თავის გართმევა სწორედ ტალეირანს შეეძლო. ასეთი იყო გენერალ ბონაპარტის იმედი. დაპირება მისცეს, მაგრამ შესრულებით აღარ შეუსრულებია, და არც არასოდეს - ისე ჩავიდა სამარეში - თურქეთი ტალეირანს თვალით არ უნახავს.

რით აიხსნება ტალეირანის ეს საქციელი? თანამედროვე ამერიკელ სწავლულს ლოკს (C. L. Lokke) არც ერთი გამოთქმული მოსაზრება არ აკმაყოფილებს: არც რაიმონ გუიოსი, რომელიც თავის ძველ წიგნში („Le Directoire et la paix de l'europe“, Paris, 1911) იმ აზრს გამოთქვამს, ტალეირანს პარიზიდან წასვლა არ უნდოდა ისეთ დროს, როცა დირექტორიაში განთავისუფლებულ ადგილზე ახალი წევრი უნდა აერჩიათო; არც ბულე დე ლა მერტისა („Le Directoire et l'Expedition d'Egypte“, Paris, 1885), რომელიც ფიქრობს, უბრალოდ ტალეირანს უფრო მოხერხებული და უსაფრთხო ეჩვენა პარიზში დარჩენა საგარეო საქმეთა მინისტრად, ვინემ ელჩის საშიშ პოსტზე გამგზავრება კონსტანტინოპოლში, ისიც თურქებთან, რომლებიც ბონაპარტის მიერ ეგვიპტეში გალაშქრების გამო აღრენილნი იყვნენ ფრანგებზე. ბულე დე ლა მერტის შეხედულებას ტალეირანის სამტომეული ბიოგრაფიის ავტორი ლაკურ-გაიეც ემხრობა („Talleyrand“, t. I, Paris, 1930). ლოკი არ ეთანხმება ამ მოსაზრებას და იძლევა საკუთარს. კონსტანტინოპოლში მოგზაურობაზე ამ უარს ის უკავშირებს იმ მნიშვნელოვან საქმიან მოლაპარაკებებს, რომლებიც დირექტორიის დავალებით ტალეირანს უნდა ეწარმოებინა ამერიკელებთან, ხოლო როცა სწორედ ამ დროს, აპრილ-მაისში, ატყდა ეს ეგრეთ წოდებული „იქს, იგრეკ, ზეტის“ სკანდალი, ე.ი., როცა ტალეირანს ბრალი დასდეს მექრთამეობაში, დირექტორიამ ჯერ სარწმუნოდ მიიღო მოხსენება, რომელიც ამერიკელ გემთმფლობელებისაგან „ცილდაწამებულმა“ ტალეირანმა წარუდგინა მას 1789 წ. 31 მაისს, შემდეგ კი უკვე ვეღარ შეძლო მინისტრის პოსტიდან ტალეირანის განთავისუფლება, რომ, ასე ვთქვათ, მისი დეზავუირება არ მოეხდინა. მაგრამ რადგან მოლაპარაკება ამერიკელებთან 1789 წ. ზაფხულსა და შემოდგომაზე წარიმართა და გარემოება შეიცვალა, კონსტანტინოპოლში ტალეირანის გამგზავრებასთან დაკავშირებული მთელი ეს კომბინაციაც მოიხსნა. ლოკის დასკვნა: დასაწყისში დირექტორიასაც გულწრფელად უნდოდა ტალეირანი კონსტანტინოპოლში გაეგზავნა; მინისტრსაც სავსებით კეთილსინდისიერად სურდა ბონაპარტისადმი მიცემული პირობის შესრულება. და თუ ბონაპარტი შემდეგ წყრებოდა და ტალეირანს მოტყუებაში სდებდა ბრალს, იგი უსამართლოდ გაბრაზებული მოქმედებდაო[19].

მთელი ეს უახლესი ახსნა არც თუ მთლად დამაჯერებელია. ამერიკასთან მოლაპარაკება არც ისე აინტერესებდა დირექტორიას, როგორც კოლუმბიის უნივერსიტეტის პროფესორს ლოკს ეჩვენება, ხოლო სრულუფლებიან და საგანგებო ელჩად კონსტანტინოპოლში დანიშვნა არაფრით არ გამოხატავდა, რომ დირექტორია ტალეირანის დეზავუირებას ახდენდა. ეს საქციელი, ე.ი. თავისი ეგოისტური მოტივებისათვის თურქეთში წასვლის პირობის დარღვევა, ისე გვაგონებს ტალეირანს, მთელ მის ხრიკებსა და ფანდებს, რომ ყოველგვარი თავსამტკრევი ახსნა-

განმარტების ძიება სრულიად ზედმეტია. მინისტრის შემოსავლიანი და მაღალი ადგილის მიტოვება პარიზში და წასვლა თურქებთან, რომლებიც უცხოელ ელჩებს ცხელ გულზე შვიდგოდოლიან ციხეში სვამენ და წლობით ჰყავთ შიგ გამომწყვდეული (როგორც ჰყავდათ გამომწყვდეული რუსეთის ელჩი იაკობ ბულგაკოვი), არავითარ პირად ანგარიშს არ წამოადგენდა ტალეირანისათვის, მით უმეტეს, ასეთ საჩოთირო პირობებში; ბონაპარტი თურქებსა და მათ ვასალებს ებრძვის ეგვიპტეში, ტალეირანი კი ამ დროს თვალს უნდა უხვევდეს თურქებს კონსტანტინოპოლში და დაყვავებით არწმუნებდეს მათ, ფრანგები, ეგვიპტეს რომ ართმევენ სულთანს, ამით სინამდვილეში, მათ სასიკეთო საქმეს უკეთებენო...

რა თქმა უნდა, სიტყვა რომ გატეხა, ტალეირანმა დიდად უმუხთლა თავის მეგობარ ბონაპარტს. გენერალმაც სწორედ ამგვარად გაიგო. ეს იყო ტალეირანის პირველი გამცემლობა მის მიმართ. პირველი, მაგრამ სრულიადაც არა უკანასკნელი. მაგრამ ახლა, 1799 წ. ოქტომბერში, ტალეირანის ყოველგვარი შიში უსაფუძვლო გამოდგა. არა მარტო მას ესაჭიროებოდა ბონაპარტი, ბონაპარტსაც ესაჭიროებოდა იგი.

ბონაპარტი ხელისუფლების დაპყრობისაკენ მიიწევდა პირდაპირ, და ისეთი ადამიანები, როგორიც იყო ტალეირანი, სჭირდებოდა დამპყრობელს. ტალეირანი იცნობდა დირექტორიის მთელ სამმართველო მანქანას, მთელ უმაღლეს სამსახურებრივ აპარატს, ადმინისტრაციის ყველა სუსტ მხარეს და თავდაცვის ხელშესახებ ადგილებს.

აღტაცებამ და ოვაციებმა, რომლებიც ნაპოლეონს ეგებოდნენ მთელ მის გრძელ გზაზე ფრეჟიუსიდან, სადაც ისე ჯერ კიდევ 9 ოქტომბერს გადმოვიდა ნაპირზე, ვიდრე პარიზამდე, სადაც ის 16 ოქტომბერს ჩავიდა, ნათლად დაანახა ყველას და თითოეულს, რომ დირექტორიის დღეები დათვლილია. მართლაც, მან იარსება ზუსტად ოცდასამი დღე ბონაპარტის დედაქალაქში ჩასვლის მომენტიდან.

ეს ოცდასამი დღე ტალეირანის ურთულესი და უაქტიურესი ინტრიგების ხანა იყო. დამპყრობელი იტალიისა, დამპყრობელი ეგვიპტისა, ყველაზე სახელოვანი ადამიანი მთელ საფრანგეთში, საჭიროებდა მას, გამოცდილ პოლიტიკურ საქმოსანს, რომელიც იცნობდა ყველა გზასა და ბილიკს, სამმართველო მექანიზმის ყველა ზამზარას, დირექტორებისა და სხვა უპირველეს წარჩინებულების ყველა განწყობილებას, და ტალეირანიც ამ მღელვარე სამკვირეულის მანძილზე რწმენითა და სიმართლით ემსახურება ამომავალ მნათობს, ჰკაფავს გზას სახელმწიფო გადატრიალებისათვის. თვით გადატრიალების დღეს, 18 ბრიუმერს (1799 წ. 9 ნოემბერი) ტალეირანს წილად ხვდა დელიკატური მისია - ერჩია დირექტორი ბარასისათვის დაუყოვნებლივ

ნებაყოფლობით გადამდგარიყო. ბონაპარტმა ამასთან ერთად ტალეირანს ჩააბარა საკმაოდ დიდი თანხა ბარასისათვის გადასაცემად. ამ თანხის სიდიდე დღემდე არ არის ზუსტად დადგენილი. მაგრამ ტალეირანმა, ამჯერად დამფრთხალ, საერთოდ კი არც თუ მოშიშარ ბარასში, აღმოაჩინა სასწრაფოდ გადადგომის სრული მზადყოფნა და ისე გაიხარა ამ მოულოდნელი შემთხვევით თავის ჯიბეშივე დაეტოვებინა ბარასისთვის განკუთვნილი ფული, რომ მაღლიერების გრძნობით შეპყრობილი მივარდა... და ხელებს უკოცნიდა დირექტორს, თან „ნებაყოფლობით“ გადადგომისათვის სამშობლოს სახელით მხურვალე მადლობას სწირავდა. ყოველივე ამას მოგვითხრობს თვითონ ბარასი, რომელმაც მხოლოდ შემდგომში შეიტყო, ფულადი თვალსაზრისით რა ძვირად დაუჯდა 18 ბრიუმერის ტალეირანთან საუბრის დროს გამომჟღავნებული ზედმეტი აჩქარება თვითგადადგომაში. თვითონ ტალეირანი, ცხადია, მთელ ამ შემთხვევაში თავმდაბლად სდუმდა, ალბათ, ფიქრობდა, ასეთი წვრილმანებით არ ღირს შთამომავლობის ყურადღების გადატვირთვაო.

1799 წ. 18 და 19 ბრიუმერმა საფრანგეთი ბონაპარტს მისცა. რესპუბლიკა სამხედრო დიქტატურით დამთავრდა. გადატრიალებიდან თერთმეტი დღის შემდეგ კი პირველმა კონსულმა ბონაპარტმა ტალეირანი თავის საგარეო საქმეთა მინისტრად დანიშნა.

ეს გადამწყვეტი დღეები, საღამო 18 და მთელი დღე 19 ბრიუმერისა, ტალეირანმა მოქმედების ადგილას, სენ-კლუში გაატარა. მან წინდახედულება გამოიჩინა და ყოველი შემთხვევისათვის ეტლი და წყვილი წმინდა სისხლის ულაცი მოიმარაგა, რომელთა ჯიშინობაში სავსებით დარწმუნებული იყო. თუ გენერალ ბონაპარტს გაუმართლებს გადატრიალება - ხომ კარგი, შეგიძლია წყნარი თოხარიკით დაბრუნდე პარიზში, პირდაპირ საგარეო საქმეთა სამინისტროში. თუ ჩაიშლება გადატრიალება და მოჰკლავენ ბონაპარტს - შეგეძლება ჩოროტიდან ნავარდზე გარდამავალ ჭენებით მოჰკურცხო საზღვარგარეთ.

## თავი მესამე

### ტალეირანი კონსულობისა და იმპერიის დროს

იმპერიის დროს და შემდეგაც, სიცოცხლის ბოლომდე, ტალეირანი ამტკიცებდა იმას, რის შესახებ თავის მემუარებშიც ლაპარაკობს: „მე მიყვარდა ნაპოლეონი. იმასაც კი ვგრძნობდი, რარიგ შევეთვისე მის პიროვნებას მისი ნაკლოვანებების მიუხედავად. სიტყვით როს გამოვიდოდა, ვგრძნობდი, როგორ მიზიდავდა თავისკენ უძლეველ ჯადოთი, რაც დიად გენიას მუდამ სჩვევია; მისი წყალობა გულწრფელ მადლიერებას აღძრავდა ჩემში... მე ვსარგებლობდი მისი დიდებით, ამ დიდების ანარეკლით, რომელიც ეცემოდა მათ, ვინც მას ეხმარებოდა მის კეთილშობილურ საქმეში“.

ჩვენთვის ამჟამად აგრეთვე ცნობილია, რომ თავის პოლიტიკურ ანდერძშიაც კი[20], რომელიც 1836 წ. 1 ოქტომბრითაა დათარიღებული და შედგენილია მაშინ, როცა ტალეირანი ოთხმოცდაორი წლისა იყო, როცა მეფობს ლუი-ფილიპე, როცა მიხრწნილ თავადს უკვე არავისგან აღარაფერი ესაჭიროება, როცა ბონაპარტების დინასტია ვენის კონგრესის აქტით სამუდამოდ გამორიცხულად ითვლება ტახტის მემკვიდრეობიდან და არავის ძალუძს წარმოიდგინოს, თუ ამ დინასტიას ერთხელ კიდევ ელის გამეფება მომავალში, ტალეირანი წერს: „თვით ნაპოლეონმა იძულებული გამხადა ამერჩია რა იგი, ან საფრანგეთი, მე მოვახდინე არჩევანი, რომელსაც უმაღლესი მოვალეობის გრძნობა მიკარნახებდა; მაგრამ ვქმენ რა ეს, თან დავიტირე შეუძლებლობა ჩემი სამშობლოს ინტერესებისა და მისი ინტერესების ერთსა და იმავე გრძნობაში გაერთიანებისა. მიუხედავად ამისა, უკანასკნელ წუთამდე მემახსოვრება, რომ ის ჩემი მწყალობელი იყო, ვინაიდან ქონება, რომელსაც მე ჩემს ნათესავებს ვუანდერძებ, უმეტესწილად მისგან მერგო. ჩემმა ნათესავებმა ეს არა თუ არასდროს არ უნდა დაივიწყონ, არამედ უნდა აცნობონ თავიანთ შვილებს, შვილებმა კი იმათ - ვინც მათ შემდეგ მოვა, ისე, რომ ხსოვნა ამის შესახებ უკვდავყოფილ იქნეს ჩემს ოჯახში თაობიდან თაობაში, რათა თუ ვინმე, ბონაპარტის გვარის მატარებელი, ისეთ მდგომარეობაში აღმოჩნდება, რომ დასჭირდება ხელისშეწყობა ან დახმარება, ჩემმა უშუალო მემკვიდრეებმა ან მათ შთამომავლებმა გაუწიონ მათზე დამოკიდებული ყოველგვარი დახმარება. ამ გზით უკეთ, ვინემ სხვა რაიმე საშუალებით, დამანახვებენ ისინი თავიანთ მადლიერებას ჩემდამი, პატივისცემას ჩემი ხსოვნისა“.

რას ნიშნავს ეს? რატომ იყო, რომ ყოველთვის ამას წერდა და იმეორებდა? რატომ გამოჰყოფდა ნაპოლეონს ასე დაჟინებით ყველა იმ მთავრობისა და ადამიანებისაგან,

რომლებიც თავისი ცხოვრების გრძელ გზაზე გაუცია და გაუყიდა? შესაძლოა ნაწილობრივ ისიც იყოს, რომ უამრავ შეხვედრილთაგან ერთ-ერთმა ნაპოლეონმა დაიმსახურა მისი მოწონება თავისი ჭკუით, გენიოსური და მრავალმხრივი ნიჭის წყალობით, თავისი გიგანტური ისტორიული როლით. ნაწილობრივ კი ისიცაა, რომ თავის ყველაზე ძლიერ ემოციებს, მართალია, იშვიათად, ერთეულ შემთხვევებში, მაგრამ, როგორც წესი, ტალეირანი მუდამ ქონების მოხვეჭისა და ოქროსაკენ ლტოლვასთან დაკავშირებით ამჟღავნებდა. ჩვენ, მაგალითად, უკვე ვნახეთ, როგორ ეჭირა თავი მინისტრად დანიშვნის პირველ წუთებში 1797 წ., ან 1799 წ. 18 ბრიუმერს, როცა დაინახა, რომ შეუძლია ჩუმად მიითვისოს თანხა, რომელიც ბარასისთვისაა განკუთვნილი. თუკი ამ ცივ, მიმკვდარებულ არსებას მართლაც შეეძლო განეცადა მადლობის გრძნობის მაგვარი რამ სწრაფი გამდიდრების გამო, მაშინ ამ გრძნობის გამოწვევა მასში ყველაზე მეტად სწორედ ნაპოლეონს შეეძლო, მის „მწყალობელს“, როგორც თვითონ ამბობს.

რა იყო ტალეირანისთვის ნაპოლეონის იმპერია? სასახლის ცხოვრების ელვარება და არნახული ფუფუნება, რასაც ბევრისმნახველი რუსეთის ელჩი, ეკატერინესდროინდელი დიდებული კურაკინიც კი განცვიფრებაში მოჰყავდა; მდგომარეობა მინისტრისა, რომელიც თვითმპყრობელ და უმძლავრეს მბრძანებელს, მსოფლიოს უდიდესი მიწებისა და ხალხების მმარცველს ემსახურებოდა, რომელთა კონგლომერატი ევროპაში სჭარბობდა რომის ყოფილი იმპერიის სიმდიდრეს; მისი, ტალეირანის, ფეხქვეშ გაგებული მეფეები და დედოფლები, ჰერცოგის ქალები, ჰერცოგები და კურფიურსტები; განუწყვეტელი მლიქვნელობა, მონური ქედმოხრა, პირფერობა ურიცხვ გვირგვინოსან და არაგვირგვინოსან ვასალებისა და - ოქრო, ოქრო, ოქრო, დაუსრულებელ ნაკადად ჩამდინარე მის ჯიბეებში.

ბედნიერ ჟამს ჩადგა ტალეირანი საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს სათავეში პირველი კონსულის დროს. ავსტრია დამარცხებულ იქნა 1800 წელს, პრუსია ჯერ კიდევ 1795 წ. ბაზელის ზავიდან მოკიდებული ლოდინის ნეიტრალიტეტში იმყოფებოდა, რუსეთთან 1800 წელს და 1801 წ. დასაწყისს საქმე მჭიდროდ დაახლოების გზით ვითარდებოდა, და თუმცა პავლეს მკვლელობამ შეწყვიტა ევროპაში მოარული ხმები კავშირის თაობაზე, მაგრამ მისი მემკვიდრის დროსაც ურთიერთობა კიდევ კარგა დიდხანს ასატანი რჩებოდა.

უკვე ორი დღე იყო, იმპერატორი პავლე პირზე მარმამაფარებული კუბოში იწვა, როდესაც 1801 წ. 14 მარტს (ძ. სტ.) პარიზიდან მოსულმა შიკრიკმა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრს, გრაფ ფეოდორ ვასილის ძე როსტოპჩინს, თავად ტალეირანისაგან შემდეგი წერილი მოართვა (წერილში მეტად საგულისხმო მინიშნებებია, ამიტომაც

სრული სახით მოგვაქვს): „ბატონო გრაფო, შიკრიკ ნეიმანს, რომელსაც მისი იმპერატორობითი უდიდებულესობისათვის პირველი კონსულის პასუხი მოაქვს, ადრევე წარმოვგზავნიდით, ბატონ გრაფ კოლიჩევის საფრანგეთში ჩამოსვლის ცნობას რომ არ დავლოდებოდით. ახლა უკვე ვიცით, რომ რამდენიმე დღეში ის პარიზში იქნება და მე მინდა კმაყოფილება გამოვთქვა, ვხედავ რა, დაგვიდგა მომენტი, როცა საერთო ინტერესების მომცველ ყველა საგანზე გულახდილ და დაკვირვებულ მოლაპარაკებათა გზით შესაძლებელი გახდება მშვიდობის განმტკიცება კონტინენტზე და ზღვებზე თავისუფლების შემზადება. მიიღეთ, ბატონო გრაფო, ჩემი მაღალი პატივისცემა თქვენდამი. შარლ-მორის ტალეირანი“.[21]

რა შინაგანი, ფარული, მაგრამ სავსებით ცხადი აზრი იმალება ტალეირანის ამ წერილში, რომელსაც საბედისწეროდ ორი დღით დააგვიანდა? ლაპარაკია საფრანგეთ-რუსეთის შეთანხმების გაფორმებაზე, რამაც მტკიცე მშვიდობა უნდა დაამყაროს კონტინენტზე; ანუ ერთის მხრივ - ნაპოლეონის, ხოლო მეორის მხრივ - რასტოპჩინის გაგებით, ევროპის კონტინენტზე საფრანგეთ-რუსეთის კავშირის ბატონობა უნდა უზრუნველყოს. მეორე ამოცანა - „ზღვების განთავისუფლება“ - ნიშნავს საფრანგეთისა და რუსეთის ომს ინგლისის წინააღმდეგ, ომს ყველა საშუალებით როგორც ზღვაზე, ისე განსაკუთრებით ხმელეთზე, ინდოეთისაკენ მიმავალ გზებზე.

ამგვარი შეთანხმება პავლეს მკვლელობის (1801 წ. 12 მარტის ღამე) შემდეგ, რა თქმა უნდა, შეუძლებელი გახდა, მაგრამ ვერც თუ რაიმე მტრულ განზრახვაში რუსეთის შემჩნევა პირველმა კონსულმა და მისმა მინისტრმა პირველ ხანებში ვერ შესძლეს. ახალი იმპერატორი მხოლოდ სინჯავდა გარემოს და არ ჩქარობდა სახელმწიფოთა არც ფრანგულ, არც ინგლისურ დაჯგუფებასთან მიმხრობას. 12 მარტის ღამის შემდეგ ბონაპარტთან მჭიდრო დაახლოების პოლიტიკის განგრძობა, ცხადია, წარმოუდგენელი გახდა. მაგრამ, მეორის მხრივ, რუსეთის დიპლომატიას არც რაიმე ისეთი წამაქეზებელი მიზეზები გააჩნდა, აშკარად დამდგარიყო ინგლისის მხარეზე და ამით პირველი კონსული და მისი ვასალები რუსეთზე გადაემტერებინა. საგარეო პოლიტიკის საქმეთა ჩვენი არქივის დოკუმენტები იმასაც კი გვიჩვენებს, რომ ალექსანდრე ზოგ შემთხვევაში სულაც არ იყო წინააღმდეგი საქმიანი დიპლომატიური თანამშრომლობა დაეჭირა ბონაპარტთან.

უნდა აღინიშნოს, რომ პირველ ხანების კავშირურობითობა ტალეირანისა ალექსანდრესთან, რაც პავლეს სიკვდილის შემდეგ დაიწყო მალე, სრული თავაზიანობითა და მოკრძალებულობით ხასიათდებოდა. ახალი იმპერატორი 1801-1802 წ. წ. ჯერ მხოლოდ გარემოს ათვალიერებდა და წინასწარ ნიადაგს სინჯავდა

სხვადასხვა მიმართულებით. პავლეს დაღუპვის მომენტში რუსეთსა და პირველი კონსულის დამოკიდებულება არაჩვეულებრივად მეგობრული იყო, და ევროპაში ბევრს ლაპარაკობდნენ საფრანგეთ-რუსეთის შეტევითსა და თავდაცვითს კავშირზე. ალექსანდრე არ წავიდა კავშირზე, კაზაკები, რომლებიც ინდოეთისაკენ მიმავალი გზების დასაზვერად იყვნენ გაგზავნილი, მაშინვე უკან გამოიწვია, ინგლისთან უადრესად კეთილი ურთიერთობა გააბა, მაგრამ უმძლავრეს ბონაპარტთან წაკიდებას ჯერ სულაც არ ფიქრობდა. ამ წლებში, როცა პირველ კონსულს ისე ეჭირა თავი დასავლეთ გერმანიაში, როგორც ამ ქვეყნის ბატონ-პატრონს, მთავრობის, ჰერცოგებისა და ეპისკოპოსების ბედ-იღბალს ბურთივით ათამაშებდა, ერთს „აცხონებდა“ მეორის „წაწყმედით“ და ა.შ., საფრანგეთის დიპლომატია დაინტერესებული იყო რუსეთის მხარდაჭერა მოეპოვებინა, რათა სავსებით უვნებელყო შესაძლო წინააღმდეგობა ჰაბსბურგთა სახელმწიფოსა და პრუსიის მხრივ. და ტალეირანმა ამ დროს დასავლეთ გერმანიის და მიწათა გადანაწილების მთელ ამ სამუშაოში რუსეთის წარმომადგენელი პარიზში გრაფი მორკოვიც ჩარია. საგარეო პოლიტიკის ჩვენს არქივში ინახება წერილი (შავი, „წერილის პროექტი“) თავად კურაკინის მიერ ტალეირანისადმი მიწერილი, მეტად საინტერესო შინაარსითაც, და განსაკუთრებით, ტონის მხრივ. გრაფ მარკოვის ქცევა პარიზში ჩვეულებრივ ისეა დახატული, რომ გამოდის, თითქოს მისი ხასიათის სიკორძე, სიჯიუტე და კონსულის მთავრობისადმი მისი დაუფარავი მტრობა ყოფილიყოს დამნაშავე პარიზისა და პეტერბურგის ურთიერთობის მკვეთრად გაუარესებაში. ამგვარი რამ, ყოველ შემთხვევაში 1802 წ., სულაც არ შეეფერებოდა სინამდვილეს. ტალეირანსა და მარკოვს შორის იმგვარი ურთიერთობა გაიბა, როგორიც სავსებით მეგობრული სახელმწიფოების წარმომადგენლებს შორის არსებობს ხოლმე. საკმარისია ამ წერილის ტექსტის გაცნობა, რომ დარწმუნდე, ჯერ კიდევ 1802 წ. ზაფხულში არა მარტო თავაზიანი, არამედ ახლო და „მეგობრული“ დამოკიდებულებაც კი ჰქონდა ამ ორ მთავრობას ერთმანეთთან. ტალეირანი რუსეთის ელჩთან ერთობლივად სწყვეტდა საკითხებს ყველა ამ პატარ-პატარა გერმანელი პოტენციატებისათვის სხვადასხვა სახის ანაზღაურებათა და დაჯილდოებათა მიცემის შესახებ და არავითარი დაბრკოლებანი, აღარაფერს ვამბობ პროტესტებზე, რუსეთის მხრივ არ წარმოქმნილა.[22] უფრო მეტიც: კურაკინი ძალზე კმაყოფილია, რომ საფრანგეთისა და რუსეთის „ძლევამოსილმა შუამავლობამ“ და ჩარევამ გერმანიის საკითხებში უნდა იქონიოს და იქონიებს „კონსოლიდაციურ“ გავლენას ტალეირანთან ერთობლივად მიღებულ ყველა გადაწყვეტილებაზე. რუსეთის მეფე ამასთან მხოლოდ იმას ითხოვს, მხედველობაში მიიღონ მისი ორი „პროტექე“: მეკლენბურგ-შვერინის ჰერცოგი და ლიუბეკის ეპისკოპოსი. ყოველივე ეს



სრულიად ახლებურად გვიხატავს მარკოვის როლსაც პარიზში და საფრანგეთ-რუსეთის ურთიერთდამოკიდებულების საერთო ხასიათსაც საფრანგეთ-ინგლის შორის ამიენის ზავის დადების წინ.

ავსტრიასთან 1801 წ. დადებული ლუნევილის ზავის შემდეგ, იმის შემდეგ, რაც დაიდო ამიენის ზავი ინგლისთან 1802 წ., იმის შემდეგ, რაც კორექტული დამოკიდებულება დამყარდა ალექსანდრე I, ბონაპარტს ხელები გაუთავისუფლდა მეზობლების სამარცხვად.

ტერიტორიათა ამ თითქმის განუწყვეტელი მიტაცებებისას და მათი გადაჯგუფება-გადმოჯგუფების წლებში საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრის როლი ერთობ იოლი იყო: პირველი კონსული (მალე იმპერატორად ქცეული) იტაცებდა სხვის მიწებს, ტალეირანი კი სტილისტურად აფორმებდა ცნობას მომხდარი ამბის შესახებ. ასე მაგალითად, 1802 წ. შემოდგომაზე პირველმა კონსულმა ჯარები შეიყვანა შვეიცარიაში, - და ტალეირანმა ამას ცირკულარული განმარტება მიაყოლა მაშინვე, ეს გაკეთდაო „არა იმიტომ, რომ შვეიცარიას თავისუფლება წაართვან, არამედ იმისთვის, რომ ბოლო მოუღონ იქაურ განხეთქილებებსო“ (რაც იქ სრულიად არ არსებულა).[23]

ასეთი იყო მეთოდები როგორც მბრძანებლისა, ისე მისი ნების ერთგული მიმყოლის თავად ტალეირანის, ტალეირანისა, რომელიც შემდგომ ისეთი უკეთილშობილესი მწუხარებით ლაპარაკობდა იმაზე, თუ როგორ უმძიმდა „ევროპის ჯალათად ყოფნა“.

ნაპოლეონი წყალობის თვალთ უყურებდა თავის მინისტრის, ეს კეთილგანწყობა თავის მხრივ კი ტალეირანის გავლენის გაძლიერებასა და პარალელურად მისი შემოსავლის არნახულ ზრდას მოასწავებდა. იმ წლებში ტალეირანს ყოველმხრივ სწყალობდა ბედი.

იმხანად მისი წარმატებანი მაღალ საზოგადოებაში პირდაპირ დაუჯერებელია, ორმოცდაათ წელს მიღწეული ისევ ისე ხიბლავდა ქალებს, როგორც თავისი ახალგაზრდობის ყველაზე ყვავილოვან წლებში.

ერთი ასეთი ავანტურა თავადისათვის მოულოდნელად დიდი უსიამოვნებით - დაქორწინებით - დამთავრდა. ინციდენტი საინტერესოა ყოფის ისტორიის თვალსაზრისით.

ჯერ კიდევ 1798 წ. დირექტორიის საგარეო საქმეთა მინისტრი ტალეირანი გაეცნო ერთ ქმარგაცილებულ ახალგაზრდა ქალს, ქალბატონ გრანს, რომელიც ინდოეთში

იყო დაბადებული და გაზრდილი და მისი ქმარი (თუ ნაქმარევი) ინდოეთშივე მსახურობდა მოხელედ. ამ ქალზე, როდესაც ის პარიზში ჩამოსახლდა, ექვი მიიტანეს, ემიგრანტებთან მიწერ-მოწერას აწარმოებსო და დააპატიმრეს. ტალეირანი ზეპირ და წერილობითაც ბარასის წინაშე შუამდგომლობდა მის გამო, და დირექტორიამ (გაჭირვებით) გაათავისუფლა ის. ქალბატონ გრანს არაჩვეულებრივად ტურფა პირისახე და კლასიკური სილამაზის ტანი ჰქონდა. ტალეირანმა მოხიბლა ის, როგორც იცოდა ხოლმე მოხიბლვა იმ ქალების, რომელთა დაუფლებაც სურდა. ქალი, ბოლოსდაბოლოს მასთან გადასახლდა. ეს მოხდა 1802 წ. მაგრამ ელჩების ცოლებმა და სხვა დიპლომატიურმა მანდილოსნებმა მაშინ გასაგები გახადეს, რომ, აქაოდა, მათ მაღალხნეობრივ შეუღლებელ გრძნობებს შეურაცხყოფა მიაყენეს და რომ ამიტომ ამიერიდან აღარ დაესწრებოდნენ მეჯლისებს საგარეო საქმეთა სამინისტროში. ამ ამბავმა ნაპოლეონამდეც მიაღწია. მან ჯერ არჩევანის უფლება მისცა ტალეირანს: ქალბატონი გრანი ან უყოყმანოდ გაეგდო სახლიდან ან (ასევე უყოყმანოდ) ჯვარი დაეწერა მასზე. მაგრამ ინახულა რა ქალბატონი გრანი, სწორედ დაქორწინება დაიქინა. ბონაპარტს თურმე დელიკატურად მოახსენეს (შესაძლოა, თვით ტალეირანისაგანვე წაქეზებით), ქალბატონი გრანი სავსებით დაუშვებელი, პირდაპირ საარაკო სისულელით გამოირჩევაო. მაგრამ ნაპოლეონი, როგორც ცნობილია, სულაც არ თვლიდა ჭკუას პირველი აუცილებლობის საგნად ქალებისათვის. ამიტომაც ურყევი დარჩა. ტალეირანმა იცოდა, რომ ნაპოლეონი - დესპოტი თხემით ტერფამდე - ვისაც უნდოდა, იმას შეგრთავდა, ვისთანაც უნდოდა იმასთან გაგყრიდა, და ვისზედაც სურდა გაქორწინებდა, ვინც არ უნდა ყოფილიყო შენ. სწორედ ტალეირანის ქორწინებასთან დაკავშირებით მოიტანა ფრედერიკ ლოლიემ გამოუქვეყნებელი საოჯახო არქივებიდან შემდეგი შემთხვევა: ნაპოლეონმა ერთხელ დასავლეთგერმანელ მთავარს არენბერგს გამოუძახა და ყოველგვარი წინასწარი გაფრთხილების გარეშე განუცხადა; „თქვენ ხვალ ქორწინდებით“. - „ხელმწიფევ, ჩემი გული თავისუფალი არ არის, ჩემგან არჩეულ სასძლოს ჩემი სიტყვის იმედი აქვს და იმისი, რომ ერთმანეთთან საუკუნოდ ვართ დაკავშირებული“. „მერე რა, გათავისუფლდით (desengagez vous). თქვენ ქორწინდებით ხვალ და ქორწინდებით იმაზე, ვისაც მე გინიშნავთ. თუ კამათს დამიწყებთ, მაშინ ვენსენის კოშკში ვინახულებთ ერთმანეთს!“ ასეთი დაპირების შემდეგ მაშვლობამ ელვისებურად გასჭრა. მეორე დღესვე სადამოს ქორწილი გადაიხადეს. პატარძალმა, რომელიც დიდი ხანია უკვე თავის მხრივაც სხვაზე იყო დანიშნული, ისევე ანაზღად შეიტყო თავისი ხვედრის შესახებ და თავისი ახალი საქმროს სახელი, როგორც არენბერგმა - სახელი თავისი ახალი საცოლისა.

ტალეირანს ესმოდა, რომ თუკი ასე ექცევიან სუვერენულ მთავრებს, მაშინ მას სულაც არავინ მოეზოდებოდა. ეგეც არ იყოს, ნაპოლეონის დროს სასახლეში აზრად არავის მოუვიდოდა მბრძანებლის ნებისადმი ურჩობა. ფიქრი ამაო იყო. ტალეირანმა ჩაიქნია ხელი და კანონიერად დაქორწინდა.

გადმოცემით: ტალეირანი, ჯერ კიდევ დირექტორიის დროს, როცა ამ ლამაზმანის დასახსნელად ზრუნავდა, რომელზედაც უკვე მაშინ იყო შეყვარებული, თავისი ამ მომავალი მეუღლის შესახებ ხელისუფალთ უცხადებდა: „მხედველობაში მიიღეთ, რომ ის სულელია უკიდურესობამდე და არაფრის გაგების უნარი არ შესწევს“.

ტალეირანის ცხოვრებაში დიდი როლი არ შეუსრულებია ამ პიროვნებას. „შტერმა ცოლმა ვინძლო სახელი ვერ გაუტეხოს ჭკვიან ქმარს, - ამბობდა ხოლმე ტალეირანი, - სახელის გატეხა შეუძლია მხოლოდ ისეთს, რომელიც ჭკვიანად მიაჩნიათ“. თუმცაღა ჩვენ გვაქვს უტყუარი მონაცემები, რომ ქალბატონ ტალეირანისას მისი ლეგენდარული უჭკუობა სულაც არ უშლიდა ხელს მასაც აეღო ქრთამები მთხოვნელებისაგან, მაგალითად, გრაფ ბენტგეიმისაგან. ქმრის ამგვარი დავალებების შესასრულებლად ჭკუა მას ჰყოფნიდა.

ცოლ-ქმარი ცალ-ცალკე ცხოვრობდა მას შემდეგ, რაც ტალეირანმა დაიახლოვა და თავისთან გადაიყვანა ნათესავის ცოლი ჰერცოგის ქალი დინო, რომელიც მის სახლს პატრონობდა კიდევ თავადის სიკვდილამდე.

სასახლეში ტალეირანის კარიერა წლითიწლობით სულ უფრო ელვარე და თვალისმომჭრელი ხდებოდა. მისი ვარსკვლავი ზენიტში ბრწყინავდა.

ნაპოლეონმა ჯერ საგარეო საქმეთა მინისტრად გახადა, შემდეგ დიდ კამერჰერად, ვიცე-ელექტორად, ბენევენტის მთავრად და ჰერცოგად. საგარეო საქმეთა მინისტრის ხელფასის ჩაუთვლელად, ყველა ამ თანამდებობისათვის ტალეირანი წლიურად თითქმის ნახევარ მილიონ ფრანკს იღებდა ოქროთი (5.95 ათასს, ხოლო მინისტრის ხელფასიანად - 650 ათასზე მეტს წელიწადში). შედარებისათვის აღვნიშნავ, რომ ამავე წლებში პარიზელი მუშის ოჯახი, რომლის ყველა წევრის მუშაობისაგან მიღებული საერთო შემოსავალი ათასხუთას ფრანკს შეადგენდა, კეთილდღიან და მეტად სვებედნიერ ოჯახად ითვლებოდა.

ამ კოლოსალური შემოსავლის გარდა, რასაც ტალეირანი კანონიერად იღებდა, ჰქონდა ფარული შემოსავალიც, კანონიერზე გაცილებით დიდი, რომლის მოცულობას მხოლოდ ზოგიერთი, შემთხვევით გამოძღვანებული ფაქტის მიხედვით თუ წარმოვიდგენთ. ეს არალეგალური შემოსავალი ასიათასობით კი არ

იანგარიშებოდა, არამედ მილიონობით. იპყრობდა რა ევროპას და ხდიდა რა თავის ვასალებად და მორჩილ მოხარკეებად თვით იმ ხელმწიფეებსაც კი, რომლებსაც მათი სამფლობელოების ნაწილს მათვე უტოვებდა, ნაპოლეონი იწყებდა ამ დამორჩილებული მსხვილი მონარქებისა თუ წვრილ-წვრილი მეფეების დაუსრულებელ ცვლასა და გადაჯგუფებას, მათი ერთი ტახტიდან მეორეზე გადასროლას, ერთგან ჰკვეცავდა ტერიტორიებს, მეორეგან ახალ მამულებს უმიჯნავდა. ძველი და ახალი, დიდი და მცირე დაინტერესებული მონარქები სასახლის ზღურბლს აღარ სცილდებოდნენ ტუილრიში, ფონტენებლოში, მალმეზონში თუ სენ-კლუში. მაგრამ ნაპოლეონს არ ჰქონდა მოცლა. ამას გარდა, განუწყვეტელი ომებისა და ლაშქრობების გამო ადვილიც არ იყო მისი წასწრება და აუდიენციის მიღება, დაბოლოს, ნაპოლეონი გადაწყვეტილებებს იღებდა მხოლოდ იმის შემდეგ, როცა მოისმენდა თავისი საგარეო საქმეთა მინისტრის მოხსენებას.

ადვილი წარმოსადგენია, ამ ნიადაგზე რა უსაზღვრო შესაძლებლობანი გადაიშლებოდა თავად ტალეირანის წინაშე. აწ უკვე რაღაც ორმოცდაათ ათას ფუნტ სტერლინგიან „ტკბილეულზე“ (sweetness) როდი იქნებოდა ლაპარაკი, რომლის გამოც თავის დროზე ისეთი ვაიუშველებელი ატეხეს შეერთებული შტატების „გაუთლელმა გაგრიებმა“. თუმცადა, ბოლოსდაბოლოს პირველყოფილ პრერიებიდან მოსული ეს „მრუდფეხებიანი ველურებიც“ შეეჩვივნენ დედაქალაქურ მოპყრობას და როცა, მაგალითად, რობერტ ლინგვისტონი შტატების სახელით სავაჭრო ხელშეკრულებას დებდა საფრანგეთთან, მან ტალეირანს წინდაწინ ორი მილიონი ფრანკი ოქროთი დაუწყო უსიტყვოდ, რათა საქმე არ გაჯანჯლებულიყო (საქმე აღარ გაჯანჯლებულა). როცა ნაპოლეონმა ზავი დადო ავსტრიასთან, მარენგოსთან თავისი გამარჯვების შემდეგ, ტალეირანს სამასი ათასი ფრანკი აჩუქა მის შრომათა გასამრჯელოდ. მაგრამ ამას ხელი არ შეუშლია ავსტრიის იმპერატორ ფრანცისაგან იმავე დროს ოთხასი ათასი ფრანკი აეღო, ხოლო ამას გარდა, აწარმოებდა რა ოსტატურ მანევრირებას იმ შენიღბული კონტრიბუციის საქმეში, რომელიც ავსტრიას უნდა გადაეხადა, 1801 წ. სამშვიდობო (ლუნევილის) ტრაქტატის უეცარ ხელმოწერასა და განახლებასთან დაკავშირებით თხუთმეტ მილიონ ფრანკამდე გააკეთა. ამ თხუთმეტი მილიონიდან შვიდნახევარი ჯერ კიდევ მოლაპარაკების დროს მიიღო ავანსად. თვით საქმის ხასიათის გამო ხშირად არ ხერხდება ხოლმე მის მიერ აღებული ქრთამების დადგენა. მაგალითად, როცა ნაპოლეონმა ბრძანა, შეერთებული შტატებისათვის მიეყიდათ ლუიზიანა, მოლაპარაკებას თანხაზე მოსარიგებლად ტალეირანი აწარმოებდა, და ნაცვლად ოთხმოცი მილიონისა, რომელთა შესახებაც ლაპარაკი იყო დასაწყისში, ამერიკელებმა ფრანგებს ორმოცდაათოთხმეტი მილიონილა გადაუხადეს: ზუსტი ფასი არგუმენტებისა, რომლებითაც ამერიკელებმა საფრანგეთის საგარეო საქმეთა

მინისტრის ტალეირანის ასეთი ფართო დამთმობლობა გამოიწვიეს, დღემდე გამოურკვეველია.

იცოდა თუ არა ნაპოლეონმა, როგორ ატყუებდა და ქურდავდა მისი მინისტრი? რა თქმა უნდა, იცოდა, სწორედ ისევე, როგორც პეტრე I იცოდა ალექსანდრე დანიელის ძე მენშიკოვის ონავრობათა ამბავი. და ნაპოლეონიც სწორედ იმავ მიზეზით დიდხანს არ ამეკებდა ტალეირანს, რა მიზეზითაც არც პეტრე აგდებდა, არამედ მხოლოდ კეტიტ სცემდა მენშიკოვს. ნაპოლეონი, მართალია, არ სცემდა კეტიტ ტალეირანს, მხოლოდ ერთხელ იყო (თუმცა ფიზიკური ენერგიის დახარჯვით კია), რომ ქეჩოში სწვდა მას საჯაროდ, მაგრამ ჩამოიცილა უნდომლად, მოგვიანებით - და არსებითად არა მარტო მექრთამეობისათვის. მეტად საჭირო და სასარგებლო კაცი იყო იგი ნაპოლეონისათვის.

ტალეირანის იმ, ასე ვთქვათ, „ყოფითი“ ისტორიის გასაცნობად, რომელიც ნაპოლეონის დროს მისი მინისტრობის წლებს მოიცავს, ბევრი საინტერესო დოკუმენტის მოტანა შეიძლება. თუმცა ქრთამების გამღებნიც და ქრთამის მიმღებნიც, ჩვეულებრივ, ძალუმ თავმდაბლად, ძუნწად და უხალისოდ მოგვითხრობენ ქაღალდზე თავიანთი საქმეების შესახებ. მაგრამ ტალეირანის ყოველდღიური პრაქტიკის წყალობით ზოგიერთი რამ დეტალი მაინც შემოინახა.

ჩამოდის გრაფი ბენტგეიმ-შტეინფურტი, ერთი იმ წვრილ გერმანელ მთავართაგანი, რომლებიც კვირეებით, თვეობით, წლობით არ სცილდებოდნენ ტალეირანის კარის ზღურბლს, ზრუნავდნენ თავიანთ სამფლობელოებისათვის, მათი გაზრდისათვის. ატყობს: როგორღაც არაფერი გამოდის. დანიის ელჩი დრეიერი ასწავლის, უქრთამოდ ვერას გახდები და რომ ყველაზე უმჯობესია ამ შემთხვევაში ტალეირანის ცოლის საშუალებით იმოქმედო. მთავარი შიშობს. მაშინ დრეიერი თავად კისრულობს საჩოთირო მოლაპარაკების წარმოებას საგარეო საქმეთა მინისტრის მეუღლესთან, რომელიც გამოირჩეოდა არა მარტო განსაცვიფრებელი სილამაზითა და ყოველგვარ საზღვარს გადამცდარი სისულელით, არამედ უსაზომო სიხარბითაც. თვე თვეს მისდევს, ჩამოვიდა ბენტგეიმი 1803 წ. დეკემბერში, ახლა უკვე 1804 წ. მაისი მოდის, საქმეს კი ძვრაც არ ეტყობა. მაშინ ის თავის მეგობარ დრეიერს ორმოცდაათ ათას ფრანკს აძლევს ოქროთი კნეინასთვის გადასაცემად. მაგრამ ნურას უკაცრავად: „დრეიერს (წერს მთავარი ბენტგეიმი ქ-მა ტალეირანისამ საშინელი დღე დააწია, ორმოცდაათი ათასი ფრანკი რას მიქვიანო, და უაღრესად შეურაცხმყოფელ გამოთქმებით ასი ათასი ფრანკი მოითხოვა“.[24] იძულებულნი გახდნენ მიეცათ, - და ყოველივე წამსვე მოგვარდა: ტალეირანმა ბოლოსდაბოლოს მოახსენა ნაპოლეონს

საქმე და იმპერატორმა, რომელაც არა იცოდა რა ყოველივე ამის შესახებ, უთქმელად მოაწერა ხელი. ასეთი იყო ყოველდღიური პრაქტიკა.

სენტ-ბევი, რომელმაც 1869 წელს რამდენიმე სტატია მოათავსა გაზეთ „Temps“-ში ტალეირანის შესახებ ინგლისელი ისტორიკოსისა და რომანისტის ბულვერ-ლიტონის მიერ ერთობ ზერელედ დაწერილი წიგნის გამო, თავის მხრივ რამდენიმე საინტერესო ნიშანთვისებას აღნიშნავს თავადისას იმ ადამიანების ნაამბობითა და ზეპირმოგონებათა საფუძველზე, რომლებსაც ფრანგმა კრიტიკოსმა ჯერ ისევ ცოცხლებს მოუსწრო. აი ერთი ასეთი მოგონება.

„ბატონო ტალეირან, რით მიაღწიეთ ასეთ სიმდიდრეს?“ - ავად იკითხა ნაპოლეონმა. - „ხელმწიფო, საშუალება ძალზე მარტივი იყო: შევისყიდე სახელმწიფო რენტის ქაღალდები 18 ბრიუმერის წინადღით და გავყიდე მეორე დღეს“ - მიუგო უზადლო პირფერმა; ამით ნაპოლეონს მოაგონა, რომ იმ გადატრიალების უმაღლეს, რომელმაც ნაპოლეონი თვითმპყრობელად აქცია, როგორ აიწია ყველა ფრანგული ფასიანი ქაღალდის კურსი. „გაბრაზება ამჯერად შეუძლებელი იყო. მელა, თავისი ჩვეული ფანდით, აკი დაუსხლტა ლომის კლანჭებსო“. - დასძენს სენტ-ბევი.

საინტერესო ისაა, რომ ორივე მართალი იყო; ხელმწიფეცა და ქვეშევრდომიც, ნაპოლეონი მართალი იყო, ეჭვი რომ შეჰქონდა ტალეირანის ემმაკობასა და მექრთამეობაში, მაგრამ ტალეირანიც თავისებურად მართალი იყო, როცა მრისხანე შეკითხვაზე პასუხობდა. რადგან ის მართლაც გაკეთდა 18 ბრიუმერის გადატრიალების შემდეგ ბირჟაზე თამაშით. ტალეირანი მთელი თავისი სიცოცხლე თაღლითობდა და თამაშობდა ბირჟაზე, პირველი ხელს არ უშლიდა მეორეს, - პირიქით.

გამდიდრება გრანდიოზული ზომით წარმოებდა. ისეთი დამკვირვებელნი, როგორიც სტენდალია, მუდამ აღნიშნავდნენ, რომ თვითონ ტალეირანმა მიაჩვია ადამიანები „სმაგდეთ პატარ-პატარა სიმდაბლენი, როცა მათ აბსოლუტური სარგებლობა არ მოაქვთ!“

ოქრო ღვარად შესდიოდა იმპერიას, რომელმაც თანდათან, პირდაპირი თუ ირიბი გზით, ევროპის მთელი კონტინენტი დაიპყრო თითქმის. საიმპერატორო ხაზინა უღვევი იყო, მოიჯარადრეები სწრაფად ავსებდნენ მსხვილი ბურჟუაზიის კადრებს და უზარმაზარ ქონებას იძენდნენ. „იმპერიის დროს არავინ ვაჭრობდა, გარდა ტალეირანისა, და ისიც მხოლოდ მაშინ, როცა თავის ნოტებსა და შეხედულებებს ჰყიდდა - დააკლდებოდათ ფული ერთ ადგილზე და მზად იყო კონტრიბუცია მეორე ადგილზე, ორი კონტრიბუცია - მესამეზე“. - გერცენის ეს შენიშვნა, რომელიც მან

შვეიცარიაში ნაპოლეონის ბატონობასთან დაკავშირებით შემთხვევით გამოთქვა მოგზაურობის ჩანაწერებში („ალპური ხედები“)[25], უჩვეულოდ უდგება იმას, რაც ჩვენ ამჟამად ვთქვით ნაპოლეონის ხანაზე საერთოდ და მისი დიდებული საგარეო საქმეთა მინისტრის საქმეებზე კერძოდ.

იმპერატორმა, რასაკვირველია, იცოდა ტალეირანის ხასიათისა და მისი „მორალის“ ამბავი (თუკი დასაშვებია ამ ტერმინის ასე კურიოზულად უადგილოდ ხმარება აქ!), სმაგდა იგი მათ გამო, მაგრამ აღტაცებული იყო, - როცა ხედავდა, როგორ მუშაობდა ეს თავი, როგორ ახერხებდა ეს გონება ეძებნა და სწრაფად ეპოვნა რთული და ჩახლართული პრობლემების გადაწყვეტა. ამის გამო კი ყოველმხრივ ინდობდა. ნაპოლეონის შესახებ არსებულ უზარმაზარ აპოკრიფულ ლიტერატურაში გადმოსცემენ ფრაზას, რომელიც თითქოს

ნაპოლეონს ეთქვას პოლიციის მინისტრ ფუშეზე, როცა ფუშემ პროვოკატორული გზით ერთი ტერორისტული შეთქმულება გახსნა: „ისინი, ვინც ჩემს მოკვლას ლამობენ, ბრიყვები არიან; ხოლო ისინი, ვინც მე მათგან მიცავენ, - „არამზადები“. ამგვარი რამ, ყოველ შემთხვევაში, ყველას გასაგონად, მას ალბათ არ უთქვამს. მაგრამ ასეთი აპოკრიფი შეიძლებოდა ადვილად გაჩენილიყო, რადგან ყველამ კარგად იცოდა, როგორ უყურებდა იმპერატორი ფუშეს. ზნეობრივ თვისებათა მიხედვით ტალეირანს ის ხანდახან ათანაბრებდა ფუშესთან, მაგრამ ინტელექტის მხრივ, ცხადია, არასოდეს აყენებდა მათ ერთმანეთის გვერდით.

ფუშეს პოლიციური, ყოვლისშემტყობი, მაღალი ეშმაკობა და პროვოკატორული მოქნილობა ნაპოლეონს ესაჭიროებოდა თავისი სიცოცხლის დაცვისათვის, ხოლო ტალეირანის ჭკუა - დიპლომატიური ფუნქციებისათვის, გაფორმებებისა და სისტემატიზაციისათვის იმ გრანდიოზული ამოცანების საბოლოო განხორციელების საქმეში, რაშიც ნაპოლეონი თავის ისტორიულ სახელსა და დიდებას ხედავდა. ტალეირანი არ კარნახობს მას, რაა გასაკეთებელი, მაგრამ დიდებულ რჩევებს აძლევს იმის შესახებ, როგორ აჯობებს გაფორმდეს იმპერატორის სურვილი და საწადელი.

ტალეირანს, ძველი რეჟიმის დიდებულს თავისი მანერებით, შეეძლო როგორც ჯერ არს გადაეცა ნაპოლეონის ბრძანება. შეეძლო წყნარად და აუღელვებლად ჩაეტარებინა ძნელი განმარტება უცხოელ დიპლომატებთან. ნაპოლეონს კი ასეთ დროს სიმკვახლე, გამმაგება და ყაზარმული უხეშობა ახასიათებდა, რაც, არც თუ ისე ხშირად მიეწერებოდა მის წმინდა აქტიორულ გამოხდომებს და რაც სწორედ იმ შემთხვევაში, როცა განზრახ კომედიანტობას არ წარმოადგენდა, ძალზე ვნებდა იმპერატორს.

ტაღეირანი „სული სულში“ ცხოვრობდა ნაპოლეონთან დიქტატურის მთელი პირველი რვა წლის განმავლობაში და - რაგინდ რა უნდა ემტკიცებინა შემდგომ - არასდროს ამ წლებში არ გაუბედავს შეეჩერებინა ნაპოლეონი, დაერწმუნებინა იგი, ცოტათი მაინც შეენელებინა ტერიტორიული თუ სხვა რამ სახის დაპყრობითი მმართველობა, არასდროს ცდილა მიეცა მისთვის ზომიერებისა და კეთილგონიერების რჩევა, რაშიც უკანა რიცხვით ასეთ გულუხვობას იჩენდა თავის მემუარებში. ნაპოლეონს მხოლოდ მაშინ უღალატა, როცა დარწმუნდა, ასეთი ნაბიჯი დროული და სასარგებლო იყო თავისთვის. მაგრამ ეს მოხდა შემდეგ. ტაღეირანი მოწადინებულია თავისი მემუარების მკითხველების წინაშე მოიხვიოს როლი შილერისეულ მარკიზ პოზისა, რომელიც მუდამ სიმართლეს ეუბნებოდა ფილიპე II, ან (რუსეთის ისტორიის მცნობი რომ ყოფილიყო) როლი, ანალოგიური იაკობ დოლგორუკის პოზიციისა პეტრეს დროს, - ერთი სიტყვით, საშიში, მაგრამ საპატიო ამპლუა უშიშარ მართლისმთქმელისა, რომელიც თავის ღირსეულ სამსახურს იმაში ხედავს, ხელმწიფე დაუოკებელ თვითნებურობისაგან შეაჩეროს ხოლმე. ეს პრეტენზია კურიოზულად უსაფუძვლოა: მას თითქმის არ გაუნძრევია, რომ ერთხელ მაინც შეეკავებინა ან დაემოშმინებინა ნაპოლეონი, უსამართლო ან სასტიკი ნაბიჯის გადადგმისაგან განერიდებინა. ამ მხრივ საუცხოო ნიმუშს წარმოადგენს ენგიენის ჰერცოგის ავკაცური მკვლელობის საქმე, რასთანაც მჭიდროდაა დაკავშირებული ტაღეირანის სახელი, მიუხედავად მისი დაჟინებული ცდებისა, მიჩქმალოს და დაამახინჯოს ჭეშმარიტება; აკი ტაღეირანი იქამდეც კი მივიდა, რომ სპეციალურად ეძიებდა და სპობდა ამ მკვლელობის ოფიციალურ დოკუმენტებს უკვე რესტავრაციის დასაწყისში (1814 წ. აპრილში).

ტაღეირანის როლი ამ საქმეში ასეთია. სწორედ ტაღეირანმა მისცა ცრუ მითითება ნაპოლეონს (საუბრის დროს, 1804 წ. 8 მარტს), თითქოს ბადენის ტერიტორიაზე მცხოვრები ენგიენის ჰერცოგი ხელმძღვანელობდეს შეთქმულებას, რომლებიც თავდასხმას ამზადებენ პირველ კონსულზე, და ამასთანავე განაცხადა, მეტად ადვილი და მოსახერხებელია ებრძანოს სასაზღვრო ჟანდარმერიის უფროსს, გენერალ კოლენკურს, გაგზავნოს ჟანდარმთა რაზმი ბადენის ტერიტორიაზე, შეიპყროს იქ ენგიენის ჰერცოგი და ჩამოიყვანოს პარიზში. მცირეოდენი სიძნელე ის გახლდათ, რომ უხდებოდათ, ამრიგად, მშვიდობის დროს უცბად ისე უღმერთოდ დაერღვიათ სხვისი ტერიტორიის ხელშეუხებლობა. მაგრამ ტაღეირანმა მაშინვე ითავა საქმის მოგვარება-გაფორმება და სათანადო ქაღალდი გაამზადა ბადენის მთავრობის სახელზე, ამასთან, ენგიენის ჰერცოგისათვის საშუალება რომ არ მიეცა რისამე შეტყობისა და ბადენიდან გაქცევისა, ტაღეირანმა გენერალ კოლენკურს დაავალა წერილი, რომელიც ყალბი ბრალდებებით იყო სავსე, ბადენის მინისტრისათვის



გადაეცა უკვე იმის შემდეგ, როცა დაატუსაღებდნენ და საფრანგეთში წამოიყვანდნენ ენგიენის ჰერცოგს.

ენგიენის ჰერცოგი შეიპყრეს, მოიყვანეს ვენსენის კოშკში, უმაღლესსაპატიმრო სასამართლოზე და იმავე ღამეს, 1804 წ. 21 მარტს, დახვრიტეს, მიუხედავად ყოველგვარი სამხილის უქონლობისა. თვითონ ნაპოლეონმა, რომელსაც არ უყვარდა ხოლმე საკუთარი მოქმედებისათვის პასუხისმგებლობის სხვაზე გადაბრალევა, მრავალი წლის შემდეგ, გააფთრების ჟამს, როგორც შემდეგ დავინახავთ, საჯაროდ პირში ახალა ტალეირანს საბედისწერო სიტყვები: „ის კაცი, ის უბედური? ვინ მასწავლა მისი ადგილსამყოფელი? ვინ მაგულიანებდა მკაცრად გავსწორებოდი მას?“ და ტალეირანმა ვერაფერი გაბედა ეპასუხა. მან, ამრიგად, ცხოველი და, არსებითად, ინიციატიური მონაწილეობა მიიღო ამ სისხლიან საქმეში. მას ეს სჭირდებოდა, ჯერ-ერთი, რათა ნაპოლეონისათვის დაემტკიცებინა თავისი გულმოდგინება მისი სიცოცხლის დაცვაში. მეორეც, დაემინებინა როიალისტები ბურბონთა გვარის პრინცის სიკვდილით დასჯით, რადგან ტალეირანს აშინებდა თავისი ბედი ძველი რეჟიმის რესტავრაციის შემთხვევაში. ერთი სიტყვით, ეს მკვლელობა მაშინ სასარგებლოდ მოეჩვენა, - ამიტომ კიდევ წააქეზა ნაპოლეონი და აქტიურადაც დაეხმარა თვით აქტის განხორციელებაში.

აი რა მოუთხრო ნაპოლეონმა ინგლისელ ექიმს უორდენს წმ. ელენეს კუნძულზე, როდესაც ენგიენის ჰერცოგის შესახებ ჩამოვარდა საუბარი: „მინისტრები დაჟინებით მოითხოვდნენ ენგიენის ჰერცოგის დატუსაღებას, თუმცა იგი ნეიტრალურ ტერიტორიაზე ცხოვრობდა. მე ჯერ ისევ ვყოყმანობდი. ბენევენტის თავადმა ორჯერ შემომიტანა ბრძანება და მისთვის ჩვეული მთელი ენერგიით დაჟინებით მოითხოვდა, ხელი მომეწერა. ტვინი წაიღეს (j'avais les Oreilles rabatues) იმის მტკიცებით, რომ ახალი დინასტია არასოდეს არ იქნება გამაგრებული, სანამ ცოცხალია თუნდაც ერთი ბურბონიო. ტალეირანს არასოდეს გადაუხვევია ამ პრინციპისათვის. ეს საფუძველი, ქვაკუთხედი იყო მისი პოლიტიკური მრწამსის... ჩემ ფიქრთა შედეგი ის გახლდათ, რომ მთლიანად მივემხარ ტალეირანის აზრს“[26].

ამავე საქმეზე ლორდ ელბრინგტონთან საუბარში ნაპოლეონმა დასძინა, რომ გული მოუღბა, როცა აუწყეს, ჰერცოგ ენგიენს (უკვე განაჩენის გამოტანის შემდეგ) მასთან ლაპარაკი სურდა. „მაგრამ ტალეირანმა ხელი შემიშალა, მითხრა: ნუ იცხებთ ჩირქს ბურბონისაგან! თქვენ არ იცით, რა შედეგი შეიძლება მოჰყვეს ამას!“[27]. წერილი, რომელიც ენგიენის ჰერცოგმა დაუწერა დახვრეტის წინ ნაპოლეონს და რომელსაც უთუოდ შეწყალება მოჰყვებოდა, სწორედ ამიტომ შეაჩერა ტალეირანმა, რომელმაც

მაშინვე გადასცა იგი ნაპოლეონს, როგორც კი განაჩენი აღსრულდა. სტენდალს ამ წერილის ასლი ლას-კაზის ხელთ უნახავს.[28]

ამას ოდნავადაც არ შეუშინებია ტალეირანი, საქმე ისე წარმოედგინა შემდგომ, თითქოს თვითონ სავსებით უცოდველი ყოფილიყო ამ ამბავში, და თავგამოდებით ჰკითხავდა ნაპოლეონს ამ უსამართლო, ბარბაროსულ ნაბიჯისათვის. ამას აგრეთვე ხელი არ შეუშლია მისთვის (რაც გაცილებით უფრო საინტერესოა და ფსიქოლოგიური თვალსაზრისითაც გაცილებით უფრო რთული რამაა), გაეთამაშა შემდგომში მართლაცდა თავზარდამცემი სცენა დახვრეტილ ენგიენის ჰერცოგის მამასთან შეხვედრისა, სცენა, რომელსაც ვერ გამოიგონებდა ვერც შექსპირი, ვერც დოსტოევსკი.

ეს მოხდა 1818 წელს, უკვე რესტავრაციის დროს. თავადი ტალეირანი მაშინ დიდი კამერჰერი გახლდათ ლუდოვიკო XVIII (სწორედ იგივე თანამდებობა ეჭირა კარისკაცისა მას ნაპოლეონ I დროსაც), და მისთვის ვერაფერ სიამოვნებას წარმოადგენდა, რომ სწორედ მაშინ, 1818 წ., პარიზში გადმოსახლდა ძველი პრინცი კონდე, თოთხმეტი წლის წინ დახვრეტილ ენგიენის ჰერცოგის მამა. თავისი ერთადერთი, უსაყვარლესი ვაჟიშვილის დამკარგავი მოხუცი ჯერაც უნუგეშოდ იყო; ახლოვდებოდა მძიმე შეხვედრა სამეფო გვარის ამ ნათესავისა დიდ კამერჰერ ტალეირანთან. იქმნებოდა უხერხულობა. მაშინ ტალეირანი მეტად ოსტატურად ახერხებს პრინც კონდესთან დაახლოებული ქალის გაცნობას და ეუბნება მას დიდ, წმიდათაწმიდა საიდუმლოს, რომელსაც აქამდე პატიოსნად ინახავდა თავის კეთილშობილ გულში, მაგრამ ახლა დიახაც რომ გაამხელს: მას არა თუ ტყუილუბრალოდ ცილს სწამებენ, ენგიენის ჰერცოგის მკვლელობის გამო რომ უსაყვედურებენ, არამედ მან, თავადმა ტალეირანმა, განსაცდელშიაც კი ჩაიგდო თავისი საკუთარი სიცოცხლე, ოღონდაც უბედური ყმაწვილი კაცი გადაერჩინა! დიახ! ჩუმად წერილი გაუგზავნა ჰერცოგს, აფრთხილებდა, დაუყოვნებლივ ეშველა თავისთვის, მაგრამ ჰერცოგმა არ დაიჯერა რჩევა, დარჩა - და თავიც წააგო. ცხადი ამბავია, საკმარისია გაეგო ნაპოლეონს თავისი მინისტრის ეს თავგანწირული საქციელი, - და ტალეირანის თავი გილიოტინიდან დაგორდებოდა. შეიძლება მეტი კეთილშობილება და დიდსულოვნება მოეთხოვოს ადამიანს?.. ზედმეტია ამ უადრესად კურიოზული ჩმახვის გამო სიტყვის გაგრძელება. მაგრამ, რა უცნაურიც არ უნდა იყოს ეს, პრინცმა კონდემ ირწმუნა ყოველივე (უნდა გვახსოვდეს, რომ ტალეირანის მამხილებელი მასალები მაშინ ჯერ კიდევ არ იყო მთლიანად ცნობილი), და პირველსავე შეხვედრაზე მიეჭრა და ცრემლმორეული ჰმადლობდა ტალეირანს თავგანწირული, თითქმის გმირული, თუმცა, სამწუხაროდ, წარუმატებელი

ცდისათვის გადაერჩინა მისი უბედური შვილი. ტალეირანმა ეს მადლობის გამოცხადება ისეთივე ტაქტიით, მშვიდი თავშეკავებითა და ღირსეული თავმდაბლობით მიიღო, როგორც მაშინ, ნაპოლეონის დროს - საგანგებო ჯილდოები (მათ შორის კომანდორის ლენტი საპატიო ლეგიონისა), რომლებითაც ენგიენის ჰერცოგის დახვრეტის შემდეგ მალე უხვად აავსეს იგი, მისი დამსახურებისათვის ჰერცოგის მიგნება-დატუსაღების საქმეში. ეს ჯილდოები ტალეირანმა ნაპოლეონის იმპერატორად კურთხევის წინ მიიღო.

ნაპოლეონის მიერ იმპერატორის ტიტულის მიღება მხოლოდ სახელის შეცვლა იყო თვითმპყრობელისა, რომელმაც 1799 წ. 18 ბრიუმერს ჩაიგდო უმაღლესი ხელისუფლება. მაგრამ აი როგორი მჭევრმეტყველებით განმარტავს 1804 წ. 2 დეკემბერს ნაპოლეონის იმპერატორად კურთხევის მნიშვნელობას ტალეირანი საზღვარგარეთ ფრანგი ელჩებისადმი გაგზავნილ ოფიციალურ ქაღალდში: „მირონცხებამ და კურთხევამ მისი იმპერატორობითი უდიდებულესობისა დაასრულა რევოლუცია. მათ საფრანგეთი დააყენეს ისეთი მთავრობის მმართველობის ქვეშ, რომელიც შეეფერება მის სივრცეს და მის ადათ-ჩვეულებებს და რომელზედაც უარი თქვენს თოთხმეტი საუკუნის შემდეგ მხოლოდ იმისთვის, რომ მისცემოდნენ ტვინის უსარგებლო ჭყლეტას, რასაც არა აქვს კავშირი წარსულთან და არ იძლევა გარანტიას მომავლის შესახებ“. აღწერს რა შემდეგ იმპერატორად კურთხევის სანახაობის მთელ სიდიადეს, ხალხის „ენტუზიაზმს“ მის გამო, „ვინც სახელმწიფო იხსნა, შინაგანი მშვიდობა განამტკიცა და ყველას იმედთა ამსრულებელია“, ტალეირანი აღნიშნავს, „ამიერიდან იმპერატორის ხელისუფლება კურთხეულიაო“.[29]

განვლო ნაპოლეონის დაგვირგვინების გამო გამართულმა ზეიმებმა, რომლებშიც ბრწყინვალე როლს თამაშობდა ტალეირანი, და დაიწყო იმპერატორულ ეპოპეის ფერიული ამბები: განუწყვეტელი ზღაპრული მეჯლისები პარიზში და მახლობელ სასახლეებში. ტალეირანი ხან ვალანსეში მიემგზავრება თავის ახალ, კოლოსალურ და საარაკო სიმდიდრით მორთულ ციხე-დარბაზში, ხან, როგორც იმპერატორის ამაღლის წევრი, ბულონში, საიდანაც მზადდებოდა ინგლისზე თავდასხმა, ხან ავსტრიის წინააღმდეგ ლაშქრობაში ახლავს ნაპოლეონს, ვენაში და აუსტერლიცთანაა, ხან პრუსიის წინააღმდეგ ლაშქრობაში, ბერლინში, ვარშავაში, ტილზიტშია, მერე ისევ პარიზში, სადაც წყალობებითა და ჯილდოებით ავსილი იმპერატორის მინისტრი განცხრომითა და პატივით ცხოვრობს, ათასწაირ სიამესა და ახალ-ახალ სასიყვარულო თავგადასავლებს ეძლევა; აუდიენციები და საიდუმლო საუბრები აქვს იმპერატორთან, რომელთა დროსაც ის პირველი იგებს მომავალ ცვლილებებს

ევროპის ბედ-იღბალში და იღებს ინსტრუქციებს. კვლავაც ვერ ბედავს იგი ნაპოლეონის წინააღმდეგობას, - პირიქით, კვერს უკრავს ყველაფერზე, კრინტიც არ დაუძრავს, მაგალითად, იმის შესახებ, რომ დამლუპველ ზომად მიაჩნია კონტინენტური ბლოკადა, რომელიც 1806 წ. 21 ნოემბერს ბერლინში გამოაცხადა ნაპოლეონმა. ტალეირანს კი სწორედ ასეთად მიაჩნდა. პრუსიის განადგურებამ საბოლოოდ გახადა ნაპოლეონი მთელი გერმანიის სრული ბატონ-პატრონი. ყველანი იმპერატორის ფერხთით იყვნენ განრთხმულნი და თავიანთ ხსნას მხოლოდ ტალეირანის გულმოწყალე ქომაგობაში ხედავდნენ. საქსონიის მეფემ სხვადასხვა სიკეთისათვის მადლობის ნიშნად მილიონი ფრანკი ოქროთი მისცა ტალეირანს. საერთოდ, ოქროს წვიმა კვლავაც გადაუღებლად მოდიოდა. საგარეო საქმეთა მინისტრის თავზე. ფულებსაც სრულიად უანგაროდ ხარჯავდა: თავის შესანიშნავ ციხე-დარბაზის მორთვაზე ვალანსეში და სასახლისა პარიზში, ზღაპრულად მდიდრულ მეჯლისებზე, ბანკეტებზე და ვახშმებზე, რომლებზეც მოწვეულთა რიცხვი ხუთასამდე აღწევდა ხოლმე. ნადირობებზე და ბანქოს თამაშში, - ოქროს ახალ-ახალი გროვანი კი მის სალაროს ავსებდნენ.

მაგრამ ამ ახალ ომში, 1806 და 1807 წ.წ., ტალეირანმა პირველად სერიოზულად მისცა თავის თავს ერთი კითხვა - რით გათავდება ყველაფერი ეს? მართალია, ბედი კვლავ უღიმოდა ნაპოლეონს. პრუსია გასრესილი იქნა და ისე დაჩეხეს ტილზიტის ტრაქტატით, რომ მისგან რაღაც ნაფლეთიღა დარჩა; რუსეთის არმიამ დამარცხება განიცადა ფრიდლანდთან; ტილზიტში ალექსანდრე იძულებული გახდა კავშირი დაედო ნაპოლეონთან. მაგრამ ტალეირანს კარგად ახსოვდა ამასწინანდელი საშინელი ხოცვა-ჟლეტა ეილაუსთან, სადაც ათიათასობით მოსწყდნენ ორივე მხრიდან, და სადაც რუსები არსებითად სულაც ვერ იქნენ გატეხილი, მიუხედავად ნაპოლეონის ბიულეტენის ცნობისა. ბოლოსდაბოლოს ამჯერადაც ყველაფერი მშვიდობით დამთავრდა: ნაპოლეონი პარიზს შემოიქცა ახალი ძალით, ახალი ბრწყინვალეობით, ძლევამოსილების ახალ საფეხურზე ასული. მაგრამ დიდი ხნით?

ტალეირანი მუდამ ამტკიცებდა აგრეთვე, რომ ჯერ კიდევ 1806 წ. გაზაფხულზე და ზაფხულში, პრუსიასთან ომის დაწყების წინ, ყველაფერს მასზე დამოკიდებულს აკეთებდა, რათა ეს ომი თავიდან აეცილებინა. მას ეწადა მშვიდობა ინგლისთან და რუსეთთან. სწორედ ის აწარმოებდა რთულ მოლაპარაკებას ინგლისთან ზავის შესახებ ჯერ ლორდ იარმუტთან, მერე ლორდ ლაუდერდლთან. სწორედ მას მოუხერხდა სრულიად მოეხიბლა რუსთა დიპლომატი უბრი (Oubril) და პროექტიც კი შეედგინა რუსეთთან ზავისა, რომლის რატიფიკაცია არ მოახდინა ალექსანდრე I. ნაპოლეონი უხალისოდ ეკიდებოდა 1806 წ. ზაფხულში ამ სამშვიდობო პროგრამას.

ტაღეირანი ნათლად ხედავდა ჯერ კიდევ პრუსიის განადგურებამდე 1806-1807 წ. წ., რომ უაზრო ახალ-ახალი რისკი და ბედის სასწორზე დადება საფრანგეთის საუცხოო მდგომარეობისა, რასაც ქვეყანამ ნაპოლეონის დიქტატურის პირველ წლებში მიაღწია.

მაგრამ იმპერატორმა უკვე დაკარგა წარმოდგენა შესაძლებელის საზღვრებზე და თავისი ძალმოსილების შემდგომ გაფართოებას ესწრაფოდა.

ტაღეირანი ცხადად ხედავდა, რომ ამ გზაზე მისი შეჩერება ძნელია და რომ ნაპოლეონს სურს წავიდეს და უკვე მიდის პირდაპირ მსოფლიო იმპერიის შექმნისაკენ, რომელსაც თავისი კონსოლიდაციისათვის დაეჭირება ორი დარჩენილი დაბრკოლების - ინგლისისა და რუსეთის - დაძლევა. თავადი დარწმუნებული იყო, რომ ფანტასტიური, განუხორციელებელი საქმეა წამოწყებული და რომ ნაპოლეონი არ შეიძლება არ დაიღუპოს, თუ ჯიუტობად გამოიჩენს.

მსოფლიო მონარქია კიდევ რომ განხორციელებულიყო, მხოლოდ წამიერად იარსებებდა, და გაუმადლარი დამპყრობლის გარდაუვალ დაღუპვას თან მოჰყვებოდა საფრანგეთის კატასტროფა. სწორედ ამ მოსაზრებებით ხსნის ტაღეირანი თავის უეცარ გადადგომას, რაც მცირე მოჰყვა ტილზიტის ზავს, 1807 წ. 10 აგვისტოს. თითქოს სწორედ ნაპოლეონის გაუძღომელ დამპყრობლურ სიხარბეს და სისასტიკეს ტილზიტში ეძულეზინოს ტაღეირანი გადაედგა ეს ნაბიჯი. „არ მინდა ვიყო ევროპის ჯალათი“ - უთქვამს ვითომც წასვლისას მინისტრს. ევროპის მბრძანებლის ტირანულ თვითმპყრობელობაში იგი ხედავდა ახალი ომებისა და ნაპოლეონის საბოლოო დაღუპვის ჩანასახს და სურდა დროზე გასცლოდა იქაურობას და „ეფიქრა მომავალზე“. ასეთია გადადგომის ახსნა, მოცემული ყველაზე დაინტერესებული პირის, ე.ი. თვით ტაღეირანის მიერ. მოვისმინოთ ახლა ნაპოლეონის ახსნას: „ეს ნიჭიერი კაცია, მაგრამ ამასთან ვერას გააწყობ ისე, თუ არ ფულით. ბავარიის მეფესა და ვიურტემბერგის მეფეს იმდენი საჩივარი შემოჰქონდათ ჩემგან მის სიხარბეზე, რომ პორტველი ჩამოვართვი“. სადღაა სიმართლე? როგორც ხანდახან ხდება ხოლმე, ჭეშმარიტება, ამჯერად ჩანს, „შუაში იმალება. ტაღეირანი მართლაც დააშინა ტილზიტმა სწორედ იმით, რომ სრული გამარჯვება დასავლეთ ევროპაზე და იმავე დროს იმპერატორ ალექსანდრე I იძულება კავშირზე დათანხმებულიყო, დამონებულ ევროპის კონტინენტის ბატონად ხდიდა ნაპოლეონს, რაც არსებითად არ შეიძლებოდა არ გამხდარიყო მიზეზი ახალი უთავგანწირულისა და სისხლიანი ომებისა. და მართლაც, მინისტრი ტაღეირანი უკვე ეძიებდა თავისთვის საჭირო მდგომარეობას იმ შორეულ მომავალში, როცა უფრო ხელსაყრელი იქნებოდა არა ნაპოლეონის თანამდგომობა, არამედ მის მოწინააღმდეგეთა რიგებში ყოფნა. ამიტომ იგი თანახმა იყო სამსახურიდან წასულიყო ტილზიტის შემდეგ, შესაძლოა, უკვე ეილაუს

შემდეგაც კი. მაგრამ, მეორეს მხრივ, თავისებურად ნაპოლეონი მართალია, როცა ფიქრობს, რომ ეს მან - იმპერატორმა - განაძევა ტალეირანი ვასალური მეფეებისაგან მეტისმეტად თავაშვებული გამომძალველობისათვის.

ერთიც იყო და მეორეც. ნაპოლეონმა, რა თქმა უნდა, საყვედურების თქმა დაუწყო ტალეირანს ამ წამლლეტი და მექრთამული საქციელისათვის. მაგრამ პირველად როდი ლაპარაკობდა იმპერატორი ამ საჩოთირო საკითხზე თავის დიდებულ მინისტრთან, რომელმაც ასეთ შემთხვევაში ყოველთვის იცოდა ტაქტით მოსმენა, ღირსეულად თავის დაკვრა და დარბაისლური სიჩუმის დაცვა ან საუბრის სხვა, ნაკლებ საჩოთირო საგნებზე გადატანა. მაგრამ ამჯერად, როცა ტალეირანი თავადაც ფიქრობდა წასვლაზე, მას, რა თქმა უნდა, შეეძლო ესარგებლა შემთხვევით, მოულოდნელი წყენა გამოემჟღავნებინა და ეთხოვა გადადგომა.

გააკეთა კიდეც ეს. თანაც ისე ჭკვიანურად და ლამაზად, თვითონ ნაპოლეონმავე საჭიროდ სცნო უხვად დაეჯილდოებინა თავისი ვალმოხდილი მინისტრი. გადადგომიდან ოთხი დღის შემდეგ იმპერატორმა ბრძანება მისცა სენატს, რომლითაც ცხადდებოდა, რომ ტალეირანი, მთავარი ბენევენტისა, ინიშნებოდა დიდ ვიცე-ელექტორად, ტიტულით „უმაღლესობისა“ (იმპერატორის გვარეულობის პრინციპის მსგავსად) და სახელდებით „უგანათლებულესისა“ (serenissime), ამას გარდა - ენიშნებოდა ხელფასი სამასი ათასი ფრანკი ოქროთი წელიწადში, ხოლო მის მოვალეობას ამიერიდან მხოლოდ ის შეადგენდა, საზეიმო დღეებში სასახლეში გამოცხადებულიყო ოქრომკერდით ამოქარგულ წითელი ხავერდის ტანსაცმელში და თეთრ ატლასის პანტალონებში გამოწყობილი და დამდგარიყო იმპერატორის ტახტის გვერდით. ყოველივე ეს ხელს აძლევდა ტალეირანს. შეიძლებოდა შორიდან, უსაშიშრო ადგილას მყოფს ელოდნა მოვლენების განვითარებისათვის, გამოეყო ამიერიდან თავისი საკუთარი ბედი ნაპოლეონის ბედისაგან, ნაპოლეონისა, ვისთანაც, უნდა ითქვას, ამ ქველმოწყალე დანიშვნის შემდეგ საუკეთესო დამოკიდებულებაში იყო...

რა თქმა უნდა, ნაპოლეონმა იცოდა, რომ ვერც პირველი შემცვლელი ტალეირანისა საგარეო საქმეთა მინისტრის თანამდებობაზე ჰერცოგი დე კადორი, ვერც დე კადორის შემცვლელი სტატს-მდივანი მარე თავიანთი ნიჭით ოდნავადაც ვერ შეედრებოდნენ ტალეირანს.

მარეს კადნიერი ყოფაქცევის შემყურემ, რომელიც ძალზე გაამპარტავნდა, როცა ნაპოლეონმა მას „ბასანოს ჰერცოგის“ ტიტული უწყალობა, ტალეირანმა თქვა: „ახლა

უკვე არის საფრანგეთში ადამიანი, რომელიც მარეზე სულელია: სახელდობრ, ჰერცოგი ბასანო“[30].

ტალეირანის ამგვარი გამოხდომები ცნობილი ხდებოდა შორს საფრანგეთის ფარგლებს გარეთაც და შეურიგებელ სიძულვილს იწვევდა ახალი მინისტრების გულში, რომელთაც ნიშნავდა ნაპოლეონი ტალეირანისა და ფუშეს გადაყენების შემდეგ. სწორედ ჰერცოგმა ბასანომ და მისმა ცოლმა შეუშალეს ხელი 1812 წ. ტალეირანის სრულუფლებიან წარმომადგენლად დანიშვნას ვარშავაში პრადტის ნაცვლად, რასაც ერთხანს ვარაუდობდა ნაპოლეონი. იმპერატორი შემდგომში ჰერცოგ კოლენკურთან ჩიოდა ცოლ-ქმარ ბასანოს ამ „ინტრიგების“ გამო.

საერთოდ ტალეირანმა გადაწყვიტა, რომ სრული შესაძლებლობა აქვს, - ყოველგვარი ფორმალური პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლებული, დაუბრკოლებლად სარგებლობდეს ყველა იმ უპირატესობით, რისი მოცემაც იმპერატორთან სიახლოვეს შეუძლია. 1808 წ. (სახელდობრ, ჯერ კიდევ 1807 წ., მალე ტილზიტის შემდეგ) ნაპოლეონმა წამოიწყო ესპანეთისა და პორტუგალიის დაპყრობა. ტალეირანი შემდგომშიც ისე უყურებდა ამ წამოწყებას, როგორც ყველაზე ველური, აღმაშფოთებელი და, რაც მთავარია, უაზრო თვითნებობის გამოვლენას, რადგან ორივე დინასტია, რომელიც პირენეის ნახევარკუნძულზე მეფობდა - ბრაგანცა პორტუგალიაში და ბურბონები ესპანეთში, - მონურად ემორჩილებოდა ნაპოლეონს, თრთოდა თითოეულ მის სიტყვაზე, ჰაერშივე იჭერდა მის ბრძანებას, უთქმელადვე ხვდებოდა და ასრულებდა ყველა მის სურვილს. ამიტომ ტალეირანი მრავალგზის ამტკიცებდა, თავდასხმა ესპანეთსა და პორტუგალიაზე იყო უხეში, დამღუპველი შეცდომა, რომ იმპერატორმა თავი დაისუსტა ამ ნაბიჯით.

მაგრამ ყველა ამ კეთილგონივრული მოსაზრებების გამოთქმას ტალეირანი მხოლოდ მოგვიანებით იწყებს...

ახლა შეიძლება დამტკიცებულად ჩაითვალოს, რომ ჯერ კიდევ 1807 წ. ტალეირანი ძალზე იწონებდა ნაპოლეონის ესპანეთთან დაკავშირებულ გეგმებს და ხმამაღლა აღიარებდა (მაგალითად, სეფექალ რემიუზასთან), რომ ესპანელი ბურბონები - უხერხული მეზობლები არიან იმპერატორისათვის და რომ კარგი იქნებოდა ამ დინასტიის ლიკვიდირებაო („არა მგონია, შესაძლებელი იყოს მათი შენარჩუნება“) და ესპანეთში ეს იცოდნენ. ყოველ შემთხვევაში, როცა ესპანეთის ტახტის მემკვიდრე ფერდინანდი იძულებით საცხოვრებლად ტალეირანის ციხე-კოშკში გაგზავნეს ვალანსეში, სტუმრებმა ვერ შეძლეს დაეფარათ შიში და ზიზღი დახვეწილ და „სტუმართმოყვარე“ მასპინძლისადმი. ამას ხელი არ შეუშლია ტალეირანისათვის, ხმა

გაევრცელებინა, როცა ნაპოლეონის საქმეები აიწეწა ესპანეთში, თითქოს თავის დროზე იმპერატორს ურჩევდა ესპანეთის წამოწყებაზე ხელის აღებას. მაგრამ რას გააწყობ ხელმწიფესთან, როცა ის არ უჯერებს თავის ერთგული ქვეშევრდომების კეთილგონივრულ რჩევებს?

მოვუსმინოთ ნაპოლეონის ომების ერთ მონაწილესაც, სტენდალს: „ტალეირანი სულ მუდამ ამას ჩააგონებდა ნაპოლეონს, რომ მისი დინასტია მანამდე არ იქნება დაზღვეული საფრთხისაგან, სანამ იგი არ გასწყვეტს ბურბონებს. მარტო ტახტის წართმევა მათთვის არ კმარაო...“ ამას ის ამბობს ესპანელი ბურბონების დინასტიის დამხოზასთან დაკავშირებით 1808 წ.[31] სტენდალი კარგად იცნობდა ნაპოლეონის საქმეებს ესპანეთში. და ეს ჩვენება თანამედროვეისა სიმტკიცეს ჰმატებს სხვა ანალოგიურ დამოწმებებს.

მიუხედავად იმისა, რომ ტალეირანი, როგორც ეტყობა, მართლაც აქეზებდა ნაპოლეონს, საიქიოს გაეგზავნა ბურბონების მთელი ესპანური შტო. იმპერატორმა თავი შეიკავა ამ ნაბიჯისაგან და იმით დაკმაყოფილდა, რომ ისინი დაატუსაღა და დიდი ხნით ტყვეებად წამოასხა საფრანგეთში.

როცა ამის შემდეგ, 1808 წ. გაზაფხულზე, ესპანელი ხალხი სავსებით მოულოდნელად გამძვინვარებული აღდგა დამპყრობლის წინააღმდეგ, ტალეირანმა სახალხო ომის ამ უქრობ ხანძარს ესპანეთში უკვე გადაწყვეტით შეხედა, როგორც დიადი იმპერიის მომავალი კატასტროფის დასაწყისს. ტალეირანი ყოველივე ამას მეტად მჭევრმეტყველურად გადმოსცემს როგორც თავის მემუარებში, ისე საუბარში თანამედროვეებთან (ისეთებთან, რომლებსაც ენდობოდა, ქალბატონ დე რემიუზას მსგავსად). მაგრამ თვით ნაპოლეონი დამპყრობლური ნაბიჯის გამო არა თუ არ გაუფრთხილებია, არამედ პირიქით, უქებდა განზრახვას, ეპირფერებოდა და სულ იმის ცდაში იყო, რა წაეგლიჯა თავისთვის ნაპოლეონის მიერ დაპყრობილი ახალი ქვეყნებისაგან. ერთი სიტყვით, ისე ერთგულქვეშევრდომულად და ბეჯითად ეთანხმებოდა ყველაფერში იმპერატორს, რომ მან, ესპანეთის მემკვიდრე ფერდინანდი და ესპანეთის სახლის კიდევ ორი უფლისწული რომ შეიპყრო ბაიონაში (საცა ისინი მაცდურად მიიტყუა), ეს ესპანელი უფლისწულები ტყვეების სახით ტალეირანის ციხე-კოშკში გადმოგზავნა, ვალანსეში, სადაც თითქმის იმპერიის დასასრულამდე დაჰყვეს კიდევ. ტალეირანი შემდგომ მწუხარედ აღნიშნავდა მემუარებში, რომ იმპერატორმა მისი მამული არჩია, „რათა მისი ციხე-კოშკი საპყრობილედ გადაექცია“ ესპანელი ბურბონებისათვის. ტალეირანს ავიწყდება, აქვე დასძინოს, რომ, როგორც ჩანს, ამ მიზეზის გამო თავისი დიდსულოვანი ჭმუნვის რამდენადმე მაინც შემსუბუქების მიზნით, თვითონ ის ცოტაოდენი ხნის შემდეგ



დაჟინებით სთხოვდა ხაზინას ორ მილიონ ფრანკს ვალანსეს ციხე-დარბაზის შესაკეთებლად, რაც თითქოს აუცილებელი იყო იქ უფლისწულების დაბინავების გამო. სინამდვილეში, კოლოსალური, უკვე მანამდე ავეჯით მოწყობილი და ყოველმხრივ მორთული ციხე-დარბაზი, მრავალრიცხოვანი მინაშენებით, არავითარ შეკეთებას არ საჭიროებდა სამი ადამიანისა და რამდენიმე მსახურის მოსათავსებლად. ფული მათ სარჩენად, სხვათა შორის, უხვად იცემოდა ხაზინის მიერ მათი ტყვეობის პირველი დღეებიდანვე.

ესპანეთის ხანძარი ძლიერდებოდა. ბაილენთან ესპანელებმა გენერალ დიუპონის მთელი ფრანგული კორპუსი აიძულეს დანებებულიყო. ნაპოლეონის ევროპელ ვასალებს, გვირგვინოსან ვასალებსა და მონებს, ესპანეთის მზირალთ, ბუნდოვანი იმედი ჩაესახათ. ხმები დადიოდა ავსტრიის შეიარაღებაზე; გერმანიის უნივერსიტეტების ახალგაზრდობაში მღელვარება იწყებოდა მრისხანე დამპყრობლის წინააღმდეგ. და უეცრად ტალეირანს მოსდის ცნობა, რომ ნაპოლეონს სურს იახლოს იგი, თუმცა უკვე აღარაა მინისტრი, ერფურტში, ალექსანდრე I შეხვედრაზე.

ასე აღმოჩნდა ტალეირანი ახალი გადამწყვეტი წამის წინაშე, ახალი გზის გასაყარზე.

ალექსანდრე პავლეს ძე, სრულიად რუსეთის იმპერატორი, ცუდ გუნებაზე მიემგზავრებოდა ერფურტში ნაპოლეონთან შესახვედრად 1808 წ. სექტემბერში. სწორედ გამგზავრების წინ დედის ვრცელი წერილი მიიღო. მარია ფეოდოროვნა ამ წერილში გამოთქვამდა არა მარტო თავადაზნაურობისა და სასახლის საერთო სიბრაზისა და დაბნეულობის გამოძნატველ განწყობილებებს მეფისა და ფრანგი დამპყრობლის მეგობრობისა და 1807 წ. ტილზიტში მათ შორის დადებული კავშირის გამო, არამედ კიდევ უფრო მწვავე შიშ-მღელვარებას, რასაც იწვევდა მეფის ეს გამგზავრება შორეულ ქალაქში, რომელიც ნაპოლეონის ჯარებს ეკავათ. ყველას კარგად ახსოვს, ოთხიოდე თვის წინათ, იმავე 1808 წ. მაისში, ნაპოლეონის მიერ ბაიონაში მეგობრულად მიწვეული ესპანეთის სამეფო ოჯახი როგორ ვერაგულად შეიპყრეს სრული შემადგენლობით და დაგზავნეს - ვინ ფონტენებლოში, ვინ (როგორც ზემოთ აღვნიშნეთ) ვალანსეს ციხე-კოშკში, სად იყო თავდებობა, რომ ნაპოლეონი ასევე არ მოექცევა ერფურტში ალექსანდრეს, რომელიც იქ მთლიანად თავის ხელთ ეყოლება? რუსეთის თავადაზნაურობისა და ვაჭართა ინტერესებს სასტიკ ზიანს აყენებდა ნაპოლეონის მიერ რუსეთისათვის თავსმოხვეული კონტინენტური ბლოკადა და რუსეთის პურისა და ნედლეულის ინგლისში გასაღების შეწყვეტა. როგორც კი მეფემ მეგობრობა გააბა ბონაპარტთან, ზამთრის სასახლეში მაშინვე დენა იწყეს ანონიმურმა წერილებმა, რომლებიც მეფეს მოაგონებდნენ იმ ხვედრის შესახებ, მამამისს, პავლეს რომ ეწია. მანეთის მსყიდველობითი უნარი

სწრაფად ეცემოდა. რა თქმა უნდა, ალექსანდრემ მტკიცედ და საფუძვლიანად გასცა პასუხი დედამისს, ხაზგასმით აღნიშნა კოლოსალურ საფრანგეთის იმპერიასთან მშვიდობიანი თანაარსებობის აუცილებლობა. აუსტერლიცი, ფრიდლანდი და ტილზიტი, ორი წაგებული ომი და „სამარცხვინო“ ზავი სიფრთხილის მასწავლებელნი გახდნენ. მაგრამ „მოკავშირესთან“ შეხვედრისაგან არც ალექსანდრე I, არც მისი ამაღლა კარგს არაფერს გამოელოდა. ძალმოსილება ნაპოლეონისა იმ მომენტში მონოლითურ გრანიტოვან კლდედ გამოიყურებოდა. კონტინენტზე მდუმარება ბატონობდა, რასაც მხოლოდ ბუნდოვანი ხმები არღვევდა, შორეული ესპანეთიდან რომ მოსდიოდა, - ეს იყო ხმები გლეხთა საყოველთაო აჯანყებისა, გააფთრებულ პარტიზანულ ბრძოლებზე და ფრანგთა მიერ ამ პარტიზანების მასობრივ დახვრეტაზე. მაგრამ დანარჩენი ევროპა მორჩილი იყო, შიშით გათანგული და მდუმარე.

1808 წ. 28 სექტემბერს ორივე იმპერატორი ერფურტში შეიყარა. ნაპოლეონის ამაღლაში იმდენი მეფე და მონარქი იყო, საფრანგეთის იმპერატორის არმია ისე უზარმაზარი და ჩინებული იყო, დათვალიერებანი და აღლუმები, თითქმის ორ-ორი დღეში, ისეთი ბრწყინვალე, რომ შეხედულება ნაპოლეონის ურყევ ძლიერებაზე კიდევ უფრო უნდა გაზრდოდათ რუს სტუმრებს.

და აი ალექსანდრეს აქ ერთი უსაოცრესი და მისთვის აბსოლუტურად მოულოდნელი გარემოება ელოდა. ეს მოვლენა დაკავშირებული იყო რუსეთის მეფისა და ტაღეირანის შეხვედრასთან.

საჭიროა ორიოდ სიტყვა ვთქვათ წინასწარ ტაღეირანის რეპუტაციის შესახებ რუსეთში.

რუსეთში არა მარტო მშვენივრად იცოდნენ ტაღეირანის სულიერ სიწარმტაცეთა ამბავი საერთოდ, არამედ დიდი ხნიდან დაწვრილებით იცნობდნენ ბევრ კონკრეტულ ფაქტსაც მისი ფართო მოღვაწეობიდან. იცოდნენ, მაგალითად, რომ 1804 წ. ბოლოს, ტაღეირანი, რომელიც წარმატებით ვაჭრობას აწარმოებდა შუა ევროპის დიდი და მცირე სამთავროებითა და საჰერცოგოებით, გასაყიდად მაზანდას უსინჯავდა ჰოლანდიას და მზად იყო ერთ-ერთი პრეტენდენტისაგან თოთხმეტი მილიონი ფრანკი აეღო[32]. ჩვენში ძალიან კარგად იცოდნენ, რომ ჰოლანდიის საბოლოო დამონება გაფორმდა, თანახმად ნაპოლეონის ბრძანებებისა, სწორედ ტაღეირანის მიერ, სპეციალური დეკრეტებითა და დეკლარაციებით: „უნახავს ვინმეს ოდესმე ისეთი აღმაშფოთებელი (განცხადებანი), როგორიც გადმოცემულია 18 აპრილის „მონიტორში“ და რომელნიც, რასაკვირველია, შეიძლება იყოს მხოლოდ

ტაღეირანის საზიზღარ ხელის ნაქმნარი, ამ გაკრეჭილი ხუცესისა, რომელიც მორალურადაც ისევე მანკიერია, როგორც ფიზიკურად? - ასე წერდა 1806 წ. 25 აპრილს, ჰააგაში რუსეთის წარმომადგენლად მყოფი ნესელოდო.

და აი ტაღეირანი პირადად წარსდგა ერფურტში ჩამოსული რუსეთის იმპერატორის წინაშე.

სადამო ხანი იყო და მთელი დღის აღლუმებით დაღლილი ალექსანდრე კნეინა ტურნ-ი-ტაქსისის სასტუმრო ოთახში ისვენებდა, როცა იქ ტაღეირანი მივიდა და უცნაური ლაპარაკი გაუბა.

უნდა ითქვას, რომ მანამდე პირადი ურთიერთობა ალექსანდრესა და ტაღეირანს შორის არავითარი განსაკუთრებული სითბოთი არ გამოირჩეოდა. ალექსანდრეს შესანიშნავად ახსოვდა, რომ სწორედ ტაღეირანმა მიაყენა მას უსასტიკესი შეურაცხყოფა 1804 წ. თავისი ცნობილი წერილით, რომლითაც უპასუხა ტაღეირანმა მის პროტესტზე ბადენის ტერიტორიის ხელშეკრულების დარღვევისა და ენგიენის ჰერცოგის დატუსაღების გამო. ტაღეირანმა მაშინ დაახლოებით ასე მისწერა: ალექსანდრეს რომ შეეტყო, განსვენებული მამამისის, პავლე I, მკვლელები რუსეთის საზღვრის მახლობლად იმყოფებიანო, თუნდაც სხვის ტერიტორიაზე, და მათი შეპყრობა ებრძანებინა, საფრანგეთი არ განაცხადებდა პროტესტსო. ალექსანდრემ იცოდა, რომ ეს მაშინ ნაპოლეონის პირდაპირი ბრძანებით დაიწერა. მაგრამ ნოტა, რომელშიც აშკარა მინიშნება იყო ალექსანდრეს მონაწილეობაზე მამის მკვლელობაში, მაინც სწორედ ტაღეირანის მიერ იყო შედგენილი. ხელმწიფე მეტად გულღვარდლიანი იყო, მაგრამ ძლიერ პირმოთნეც, და ტაღეირანმა არ იცოდა ნამდვილი გრძნობები ალექსანდრესი.

აი ეხლა ერფურტში, თვით ეს შეურაცხმყოფელი, სწორედ ეს თავადი ტაღეირანი, თითქმის ყოველგვარი შესავლისა და ახსნა-განმარტების გარეშე ეუბნება მეფეს: „ხელმწიფევ, რისთვის ჩამოხვედით აქ? თქვენ ევროპა უნდა იხსნათ, ამას კი მაშინ შესძლებთ, თუ წინააღმდეგობას გაუწევთ ნაპოლეონს. ფრანგი ხალხი - ცივილიზებულია, ფრანგთა ხელმწიფე კი - არა ცივილიზებული; რუსთა ხელმწიფე ცივილიზებულია, მაგრამ რუსი ხალხი არ არის ცივილიზებული; მაშასადამე, რუსეთის ხელმწიფე ფრანგი ხალხის მოკავშირე უნდა იყოს“. ეს იყო პრელუდია, რომელსაც კიდევ რამდენიმე საიდუმლო პაემანი მოჰყვა. რასაკვირველია, წმინდა გარეგნული მხრივ საქმე ისე გამოიყურება, რომ ტაღეირანი, ასეთ საუბარს რომ იწყებდა, განსაცდელში იგდებდა თავს: სახელმწიფოებრივ ღალატს სჩადიოდა, არც

მეტი, არც ნაკლები, და არავითარი გარანტია არ არსებობდა იმისა, რომ შეიძლებოდა მეორე დღესვე დაეპატიმრებინათ.

საკმარისი იყო ალექსანდრეს მოენდომებინა და ტალეირანის საქციელის შესახებ გულახდილი მოთხოვნით თავისი მეგობრული გრძნობები დაემტკიცებინა ნაპოლეონისთვის - და ტალეირანი უეჭველად დაიღუპებოდა. მაგრამ გამჭრიახობა და უნარი სხვისი ბუნების შეფასებისა აქაც დაეხმარა ტალეირანს. არასოდეს არ გაუმართლებია თავისი მოქმედებით მას ყბადაღებული ზედაპირული აფორიზმი იმის შესახებ, თითქოს ადამიანი საკუთარი თავის მიხედვით სჯიდეს სხვებს. მას რომ საკუთარი თავის მიხედვით განესაჯა სხვები, ვერასოდეს ვერ გაბედავდა ასე, წინასწარ ნიადაგის მოუსინჯავად და გარანტიების უქონლად, ამ სახიფათო ნაბიჯის გადადგმას ერფურტში. მაგრამ მან მტკიცედ იცოდა, რომ ალექსანდრე არასგზით არ გასცემდა მას, რომ ამ მხრივ საფრთხე არ არსებობდა და არა იმიტომ, თითქოს ალექსანდრე საერთოდ სულით წმინდა და უმწიკვლოა, - პირიქით, ტალეირანი, მაგალითად, დარწმუნებული იყო, რომ ალექსანდრე ერთობ ცბიერია, მონაწილეობა მიიღო მამის მკვლელობაში და გააკეთა ეს გვირგვინის მისაღებად - არამედ უბრალოდ იმიტომ, რომ თითოეულს მოქმედების საკუთარი თავისებურებანი და მეთოდები გააჩნია და დასაღუპად განწირვა განდობილი ადამიანისა არ არის ალექსანდრეს ნიშნეული ხერხი, თუნდაც, ერთბაშად ვერც კი მიხვდეს, რომ მისთვის საერთოდ ხელსაყრელია თავად ტალეირანთან ურთიერთობის დამყარება. სწორედ ასევე, მაგალითად, ნაპოლეონი, რომელიც მტაცებლურად, ყოველგვარი უფლების, კანონის, სამართლიანობის გარეშე თითქმის ყოველდღე ითვისებს ომით თუ უომრად უცხო ქვეყნებს, უმოწყალოდ სძარცვავს უცხო ხალხებს, იმავე დროს ზიზღით ეკიდება (ტალეირანმა ეს საკუთარი მწარე გამოცდილებით იცოდა) თავისი ახლობლების მცირეოდენ ცდასაც კი მიიღონ მთხოვნელისაგან „ტკბილეული“ (la douceurs): აშკარად აღება, ნაპოლეონის აზრით, - კარგია, ხოლო მალვით - სამარცხვინო. ერთი სიტყვით, მთელი საქმე ისაა, მიხვდე, ვის რა ჟანრი ახასიათებს და ვინ რისადმია აზიზი.

ასეთი იყო მუდამ თავადი ტალეირანის ფილოსოფია, და ამ ფილოსოფიამ არც ამჯერად მოატყუა.

ალექსანდრესთვის ტალეირანის ნაბიჯი მთელ აღმოჩენას უდრიდა. მან მართებულად დაინახა აქ სხვებისთვის ჯერ შეუმჩნეველი ავბედითი ბზარი დიადი იმპერიის გიგანტურ და მრისხანე ნაგებობაში. ადამიანმა, ნაპოლეონის წყალობებით ავსილმა, უდიდესი მიწების, სასახლეების, მილიონების, „უმაღლესობის ტიტულის, მეფის მიერ პატივთა მფლობელმა, უცებ იდუმალი ღალატი განიზრახა!

საგულისხმოა, რომ ალექსანდრე ერფურტში უმეტესწილად ყურს უგდებდა ტალეირანს, ვინემ თვითონ ეუბნებოდა. ერთობ დუმდა. მეფე, როგორც ეტყობა, დასაწყისში მთლად არ გამორიცხავდა პროვოკაციული თამაშის შესაძლებლობას, ნაპოლეონის მიერ რაიმე განზრახვით წამოწყებულს თავად ტალეირანის მეშვეობით. მაგრამ ალექსანდრეს ეს ეჭვები მალე გაიფანტა.

ნაპოლეონს არაფრის გუმანი არ ჰქონია. იმპერატორები ყოველდღე ერთად იყვნენ, ტკბილად ეპყრობოდნენ ერთმანეთს, დემონსტრატულად ეხვეოდნენ ურთიერთს, ერთობლივად ატარებდნენ სამხედრო დათვალიერებებსა და აღლუმებს. ყოველ ცისმარე დღეს ნაპოლეონი ინტიმურად ეთათბირებოდა საპატიო ლეგიონის კომანდორს, ტალეირანს, იმის შესახებ, თუ როგორ აჯობებს ფრანგულ-რუსული კავშირის განმტკიცება, და თითქმის ყოველ საღამოს ანდრია პირველწოდებულის ორდენის კავალერი ტალეირანი ქალბატონ ტურნ-ი-ტაქსისის მყუდრო ბინაზე ინფორმაციას უკეთებდა ალექსანდრეს და მას ნაპოლეონის წინააღმდეგ ბრძოლას შთააგონებდა. რაინი, ალპები, პირენეები - აი საფრანგეთის მონაპოვარი, დანარჩენი - იმპერატორის მონაპოვარია. საფრანგეთი მათ გამო დაინტერესებული არ არის (la Franc n'y tient pas), უმეორებდა ის ალექსანდრეს. „დანარჩენი“ - ეს იყო: ესპანეთი, პორტუგალია, იტალია, ბელგია, ჰოლანდია, თითქმის მთელი გერმანია, ნახევარი ავსტრია, პოლონეთი, ბალკანეთის ნახევარი კუნძულის ნაწილი, მიწები ლისაბონიდან ვარშავამდე, ჰამბურგიდან ახალბაზარის სანჯაკამდე, დანცინგიდან ნეაპოლამდე და ბრინდიზიმდე. ტალეირანი საფრანგეთის სახელით ყოველივე ამაზე უარს ამბობდა. ყოველივე ამას ის, ასე ვთქვათ, ჯილდოდ აძლევდა იმათ, ვინც საფრანგეთს ნაპოლეონისაგან იხსნიდა.

ალექსანდრე ამასთან ერთად ხედავდა, რომ ნაპოლეონი სავსებით ენდობა თავის ყოფილ მინისტრს, რომ საერთოდ მაშინ ბევრისთვის ამ გაუგებარ გადადგომას საგარეო საქმეთა მინისტრობიდან აქტიურად არაფერი შეუცვლია საფრანგეთის საგარეო პოლიტიკაზე ტალეირანის ზეგავლენის მხრივ. სწორედ ტალეირანის მეშვეობით, იქვე, ერფურტში, ნაპოლეონმა პირველად მიიტანა ალექსანდრეს ყურამდე, რომ აპირებს განქორწინებას ჟოზეფინასთან და ახალი მეუღლის მოძებნას ალექსანდრეს დებს შორის. დილას ტალეირანი, ნაპოლეონის ბრძანებით ადგენდა და საბოლოო რედაქტირებას უკეთებდა რუსეთ-საფრანგეთის კონვენციის პროექტს, საღამოთი კი იგივე ტალეირანი ილაჯგაწყვეტილი უმტკიცებდა გუმანში ჩავარდნილ ალექსანდრეს, არ ეგება კონვენციაზე ხელის მოწერა, ჰხამს ჯერ ამა და ამ მუხლების ამოგდებაო. მეფე ასეც მოიქცა. ნაპოლეონი ვერაფრით მიმხვდარიყო, რით აეხსნა ეს უეცარი საკვირველი გაჯიუტება ალექსანდრესი, და სულ ტალეირანს შესჩიოდა, ეს

იმის ბრალია უთუოდ, ესპანეთში რომ კარგად ვერ მიმდის საქმეებიო. და ტალეირანიც მოწიწებით შლიდა ამ დროს ხელებს და თანაგრძნობას უცხადებდა მის უდიდებულესობას.

ტალეირანი მტკიცედ დაადგა ახალ გზას. მას სურს თავისი მემუარების მკითხველები დაარწმუნოს, რომ ამ დროს მხედველობაში ჰქონდა ერთადერთი რამ: საფრანგეთის კეთილდღეობა მომავალში. უფრო სავარაუდოა, რომ ის თავის თავზე ფიქრობდა, და არა საფრანგეთზე. მაგრამ ობიექტურად ეს სავსებით სულ ერთი იყო: მან გარდაუვალი კატასტროფა მსოფლიო იმპერიის ყველაზე ბრწყინვალე წლებში დაინახა, ექვსი წლით ადრე მის საბოლოო დაღუპვამდე. ერფურტიდან პარიზში რომ დაბრუნდა, მან ფრთხილად მეტერნიხთან იწყო დაახლოება, ხოლო ოთხი თვის შემდეგ, როგორც დავინახავთ, უკვე საიდუმლო მოლაპარაკებაც გააბა მეტერნიხთან და კონსპირაციული წერილების მეოხებით ალექსანდრესთანაც განაგრძობდა ურთიერთობას.

ავსტრიის ელჩმა პარიზში, ერფურტის შემდეგ მყისვე აღლო აიღო, რომ ტალეირანმა რაღაც ახალი და ძლიერ რთული თამაში წამოიწყო. მაგრამ ტალეირანმა ბოლოსდაბოლოს თვითონაც იცოდა, რომ ამ თამაშში ავსტრიის გარეშე იოლად ვერ გავიდოდა.

„საჭიროა იყო პარიზში და იყო აქ საკმაოდ დიდხანს, რათა შესაძლებლობა გქონდეს იმსჯელო ბ. ტალეირანის ნამდვილი პოზიციის შესახებ, - სწერდა მეტერნიხი მინისტრ სტადიონს ვენაში 1808 წ. 24 სექტემბერს, - საჭიროა ტალეირანში ზნეობითი ადამიანი პოლიტიკური ადამიანისაგან გამოვყოთ. ტალეირანი არ იქნებოდა ის, რაც არის, რომ მორალური ყოფილიყო... იგი, მეორის მხრივ, უმეტესად პოლიტიკოსია და, როგორც პოლიტიკოსი, სისტემების კაცია. როგორც ასეთი, შეიძლება სასარგებლო იყოს ან საშიში; მოცემულ მომენტში ის სასარგებლოა“. შემდეგ მეტერნიხი მეტად გამჭრიახად ხვდება, რომ სახეზეა ფრანგული პოლიტიკის ორი „სისტემა“: პირველის სათავეში ნაპოლეონი დგას, ხოლო მეორის წარმომადგენელი - ტალეირანია.

ნაპოლეონის სისტემა - ეს არის შემდგომი დაპყრობანი, დაუსრულებელი ომები, ევროპის გაჩანაგება; სისტემა ტალეირანისა და პოლიციის მინისტრ ფუშესი - არის სტაბილიზაცია, მიღწეულ წარმატებათა განმტკიცება, მტკიცე მშვიდობის დამყარება.

„უეჭველია, ტალეირანი უფრო საშიშია, ვიდრე რომელიმე უნიჭო მინისტრი, და ეს ჩვენ მან თორმეტი წლის მანძილზე დაგვიმტკიცა. მაგრამ ის, რაც საშიშარი იყო, სანამ დამაქცევარ სისტემას უწყობდა ხელს, სასარგებლო ხდება, მასში, როგორც ოპოზიციის მეთაურში“. რასაკვირველია, სახიფათოა მასზე ძლიერ დანდობა, მაგრამ რა უნდა ჰქნა? „ტალეირანისთანა ადამიანები სამართებლის პირსა ჰგვანან,

რომელთან თამაშიც საშიშია. მაგრამ დიდ წყლულთ მკურნალობის დიდი საშუალებანი ეჭირვებათ, და ადამიანი, რომელსაც მკურნალობა ავალია, არ უნდა შეუშინდეს იმ იარაღის ხმარებას, რომელიც უკეთ სჭრის.“[33] გადის რამდენიმე თვე ერფურტის შემდეგ და მეტერნიხისთვის სავსებით გარკვეული ხდება, რომ ტალეირანი და ფუშე საბოლოოდ ჩამოსცილდნენ ნაპოლეონის „სისტემას“ და რომ ისინი უკვე ითვალისწინებენ მსოფლიო ბატონობის გარდაუვალ მომავალ დამხობას. „მე ვხედავ მათ, ტალეირანსა და მის მეგობარ ფუშეს, ძველებურად მტკიცე გადაწყვეტილების მქონეთ ისარგებლონ შემთხვევით, თუ ეს შემხვევა ჩაუვარდებათ, მაგრამ ისინი არასაკმაოდ გულადები არიან, რომ თვითვე გამოიწვიონ ეს შემთხვევა. ისინი იმყოფებიან იმ მგზავრების მდგომარეობაში, რომლებიც ხედავენ, საჭე შმაგი მესაჭის ხელშია და ის მზადაა ხომალდი კლდეს შეანარცხოს, რომელსაც თავადვე ეძებს საკუთარი ჭირვეულობით შეპყრობილი (de daite de Coeur). ისინი მზად არიან სწორედ იმ მომენტში დაეუფლონ საჭეს, როცა მათი დაღუპვის საფრთხე კიდევ უფრო დიდი იქნება, ვინემ ახლაა, და როცა ხომალდის პირველი ჯახი თვით მესაჭეს გადააყირავებს“, - ასე იტყობინებოდა მეტერნიხი ვენაში 1809 წ. 17 იანვარს[34].

ეს კორესპონდენცია, რა თქმა უნდა, მკაცრად კონსპირირებული იყო, და ტალეირანი შიგ სულ სხვადასხვანაირი სახელებით იხსენიებოდა. ტალეირანი ყოველივე საჭიროს გადასცემდა რუსეთის საელჩოს წევრს ნესელროდეს. ეს უკანასკნელი კი უკვე რუმინანცევს ან სპერანსკის ატყობინებდა. საქმე ტალეირანის სიკვდილ-სიცოცხლეს ეხებოდა და წერილებში უკიდურესი სიფრთხილის დაცვა იყო აუცილებელი. მეტერნიხთან ურთიერთობა კიდევ უფრო სახიფათოს წარმოადგენდა: მზადდებოდა ახალი შეტაკება ავსტრიასთან, რომელმაც გადაწყვიტა ნაპოლეონის წინააღმდეგ ესპანეთში გაჩაღებული სახალხო ომით ესარგებლა. ტალეირანის პოზიცია არ შეიძლებოდა დიდხანს გამოჰპარვოდა პოლიციის მინისტრ ფუშეს. მან, რასაკვირველია, არ იცოდა ყველაფერი რუსეთთან და ავსტრიასთან ტალეირანის გამცემლური ურთიერთობის შესახებ. მაგრამ იცოდა, რა უარყოფით შეხედულებებს გამოთქვამდა ტალეირანი პირინეის ნახევარკუნძულის მიმართ წარმოებული დაპყრობითი პოლიტიკის გამო, იმ საშიშროებათა გამო, რასაც საგარეო პოლიტიკაში ნაპოლეონის დაუოკებელი თავნებობა იწვევდა და ა.შ. და აი მთელი ზედაფენური პარიზის გასაკვირვებლად გავრცელდა ხმა ამ ორი სახელმწიფო ადამიანის მჭიდროდ დაახლოებაზე, თითქმის მეგობრობაზეც კი. მართლაც, ფუშემ იწყო ტალეირანის წინასწარხედვათა სისწორეში დარწმუნება და, როგორც ეტყობა, გადაწყვიტა არ შებრძოლებოდა მას, არამედ ფრთხილი და ერთგვარი მეგობრული ნეიტრალიტეტი დაეცვა.

მაგრამ ტალეირანი ჯერ არ ჩქარობდა საიდუმლო ურთიერთობის გაბმას მეტერნიხთან. იგი კმაყოფილდებოდა რუსეთთან კავშირის განმტკიცებით.

საიდუმლო მიმოწერაში ნესელოდესა და პეტერბურგს შორის ტალეირანი რამდენიმე „ფსევდონიმით“ აღინიშნებოდა: „ჩემი ბიძაშვილი ანრი“; „ჩემი მეგობარი“; „ის ქალი“; „ანა ივანოვნა“; „ჩვენი წიგნების გამყიდველი“; „ლამაზი ლეანდრი“; „იურისკონსულტი“. ასე ამცნობდა ნესელოდეს გრაფ სპერანსკის, რომელსაც ხშირად სწერდა პარიზიდან, რადგან მისი მისამართი ნაკლებ საფრთხილოდ მიაჩნდა, ვინემ კანცლერ რუმიანცევის უშუალო მისამართი[35].

პოლიციის მინისტრ ფუშესთან მეგობრობა რომ დაამყარა და თავის მოღალატურ საქმიანობას ნაწილობრივ ისიც აზიარა. ამით ტალეირანი თითქოს დაზღვეული უნდა გამხდარიყო საშინელი მხილებისაგან და საშიში ხმებისაგანაც კი.

მაგრამ ნაპოლეონს რამდენიმე პოლიცია ჰყავდა: ერთი ფუშეს მეთაურობით იმპერიის მთელ მოსახლეობას მეთვალყურეობდა, მეორე - კიდევ უფრო საიდუმლო - თვითონ ფუშეს ადევნებდა თვალყურს. და იყო კიდევ ლავალეტი, ფოსტების მთავარი დირექტორი, რომელსაც თვალყური ეჭირა ამ მეორე პოლიციაზე, თავის მხრივ რომ ფუშეს უთვალთვალებდა.

ამნაირად 1809 წ. იანვრის შუა ხანებში, გაცხარებული სისხლისმღვრელი ომის დროს ესპანელ „მეამბოხებთან“ (ე.ი. ესპანელ გლეხებთან და ხელოსნებთან, რომლებმაც გადაწყვიტეს გმირულად დაეცვათ თავიანთი მიწა-წყალი ნაპოლეონის აგრესიისაგან), პირინეის ნახევარკუნძულის სიღრმეში მყოფმა ნაპოლეონმა ერთბაშად რამდენიმე ცნობა მიიღო, რომლებიც ორ შემდეგ ძირითად მონაცემს შეიცავდა: ჯერ-ერთი, ავსტრია გამალებით იარაღდება, დიდი იმედი აქვს იმ მძიმე მდგომარეობისა, რაშიც ნაპოლეონი ჩავარდა ესპანეთში; მეორე, ტალეირანი და ფუშე რადაცაზე საექვოდ ჰკრავენ პირს, ამასთან ტალეირანი აუგად იხსენიებს იმპერატორის პოლიტიკას. ნაპოლეონმა მყისვე მარშლებს გადააბარა არმიათა სარდლობა და თვითონ პარიზს მიაშურა. გზად თითქმის არ ჩერდებოდა და ჩასვლის უმაღლეს წარჩინებულთ და ზოგიერთ მინისტრს სასახლეში გამოცხადება უბრძანა.

აი, აქ მოხდა, 1809 წ. 28 იანვარს, ის ცნობილი, ისტორიულ და მემუარულ ლიტერატურაში ათასგზის გაცხადებული სცენა, რომლის მოგონება ზოგიერთ დამსწრეს სიკვდილამდე ძრწუნვის გარეშე არ შეეძლო. ნაპოლეონი მუშტებით ეცა ტალეირანს, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. „თქვენ ქურდი, არამზადა, უნამუსო ადამიანი ხართ! - გამმაგებული ყვიროდა იგი, - თქვენ არ გწამთ ღმერთი, ყველა თქვენს მოვალეობას არღვევდით მთელი თქვენი ცხოვრება, ყველას ატყუებდით,



ყველას ღალატობდით, თქვენთვის არ არსებობს არაფერი წმინდა, თქვენ საკუთარ მამასაც გაჰყიდდით! მე წყალობებით აღგავსეთ, თქვენ კი ჩემს საწინააღმდეგოდ ყველაფერზე მზადა ხართ! აგერ უკვე ათი თვეა, მხოლოდ იმიტომ რომ თქვენ მცდარად ვარაუდობთ, თითქოს ჩემი საქმეები ცუდად მიდიოდეს ესპანეთში, გყოფნით ურცხვობა ეუბნებოდეთ ყველას, ვინც კი მოსმენას მოისურვებს, რომ თქვენ ყოველთვის მიშლიდით ჩემს წამოწყებას ამ სამეფოსთან დაკავშირებით, მაშინ როცა სწორედ თქვენ მომეცით პირველი აზრი ამის შესახებ და დაჟინებით მაქეზებდით!.. ის კაცი? ის უბედური? ვინ მასწავლა მისი ადგილსამყოფელი? ვინ მაგულიანებდა მკაცრად გავსწორებოდი მას? როგორია თქვენი პროექტები? რა გსურთ თქვენ? რის იმედი გაქვთ? გამიბედეთ ამის თქმა! აბა, გამიბედეთ! თქვენ დაიმსახურეთ, რომ მე დაგამსხვრიოთ შუშასავით და მე მაქვს საამისო ხელისუფლება, მაგრამ მეტისმეტად მმაგხართ, რომ ეს შრომა ვიტვირთო! რატომ აქამდე არ ჩამომიხრჩვიხართ კარუსელის მოედანზე? მაგრამ არის, არის ჯერ კიდევ საკმარისი დრო! თქვენ სიბინძურე ხართ აბრეშუმის წინდებში გახვეული! სიბინძურე! სიბინძურე!...”

მისი უმაღლესობა, უგანათლებულესი მთავარი და ჰერცოგი ბენევენტისა, იმპერატორის კარის დიდი კამერჰერი, ვიცე-ელექტორი საფრანგეთის იმპერიისა, საპატიო ლეგიონის კომანდორი, თავადი ტალეირან-პერიგორი უძრავად იდგა, სრულიად მშვიდად, მოწიწებით და ყურადღებით ისმენდა ყოველივეს, სადაც გამხეცებული იმპერატორი უყვიროდა. დამსწრე წარჩინებულნი თრთოდნენ, თითქმის ვერ ბედავდნენ შეეხედათ ტალეირანისთვის, მაგრამ ის ერთადერთი კაცი იყო ოთახში, რომელიც, როგორც ჩანს, სრულ უშფოთველობასა და სულის სინათლეს ინარჩუნებდა. ცხადი იყო, რომ ნაპოლეონმა უკვე რაღაც შეიტყო, მაგრამ ყოველ შემთხვევაში, არაფერი იცის არც ერფურტის თავგადასავალზე თავისი ყოფილი მინისტრისა, არც იმის შესახებ, რომ მის წინ დგას „ანა ივანოვნა“, რომელიც ახლაც, ერფურტის შემდეგაც, ჯაშუშობს იმპერატორ ალექსანდრე I სასარგებლოდ და მის ხარჯზე. მაშ, უშუალო საფრთხე დახვრეტისა არ არსებობს. ჯერჯერობით ტალეირანსაც მეტი არა უნდოდა რა.

მთელი სასახლე ღელავდა: ყველას აინტერესებდა გამოეცნო, როგორ დაიჭერდა თავს ტალეირანი მთელ ამ საშინელი და საჯარო შეურაცხყოფის შემდეგ, შეურაცხყოფისა, რომლის მსგავსი იმპერატორს არასოდეს არავისთვის მიუყენებია მის ურიცხვ კამერ-ლაქიებს, ფორეიტორებს და მეეტლეებს შორისაც კი; როგორ მოიქცეოდა იმის შემდეგ, რაც სასტიკი ბრალი დასდეს ენგიენის ჰერცოგის ფაქტიურ მკვლელობაში; და ბოლოს, ჩამოხრჩობით ამ პირდაპირი დამუქრების შემდეგ.

ეს ცნობისმოყვარეობა დაკმაყოფილებულ იქნა მეორე დღესვე, 29 იანვარს. სასახლეში მორიგი დიდი დარბაზობა იყო და შეკრებილმა წარჩინებულებმა და კარისკაცებმა სატახტო დარბაზში განცვიფრებით დაინახეს ტალეირანი თავისი მოსირმული წითელი ხავერდის მდიდრულ ტანსაცმელში, ორდენის ყველა ვარსკვლავითა და კავალერის ლენტეხით დამშვენებული. ის იდგა თავის ოფიციალურ, ცერემონიალის მიხედვით მიჩენილ ალაგას, იმპერიის უმაღლეს წოდების პირთა შორის, ორიოდ ნაბიჯის დაშორებით ტახტიდან. ნაპოლეონი ლაპარაკობდა მის მეზობლებთან. ხოლო ტალეირანს მდაბლად თავის დაკვრაზე არ უპასუხა და არავითარი ყურადღება არ მიუქცევია. მაგრამ ტალეირანი ცდილობდა არ შეემჩნია ეს, დინჯად იდგა და მშვიდად დუმდა მთელი საღამო...

კარისკაცი გაკვირვებულნი იყვნენ ამ სიმშვიდით. მათ მხედველობიდან გამორჩათ ის გარემოება, რომ თუკი სხვისი გული - ბნელია, ტალეირანის გული - სავსებით გაუხედავი წყვილია. თანდათან ნაპოლეონიც დარწმუნდა ამაში, მაგრამ მეტისმეტად გვიან.

ტალეირანი, რომელმაც უთქმელად გადაიტანა საშინელი წამება საქვეყნოდ გაუგონარი განკიცხვისა და განუხრელად განაგრძობდა თავის კარისკაცულ მოვალეობათა შესრულებას, სინამდვილეში ისე გულის სიღრმემდე იყო შეურაცხყოფილი, რომ გადაწყვიტა ახალი ნაბიჯი გადაედგა, იმაზე არა ნაკლებ სახიფათო, ერფურტში რომ გადადგა. რა თქმა უნდა, რაკი თავისი ხაზის წარმართვა დაიწყო და ერფურტში არჩევანი იმპერიის დამხობაზე დასვა, ადრე თუ მალე ტალეირანი ლოგიკურად უთუოდ მივიდოდა თავისი მოღალატეობის, ასე ვთქვათ, დიაპაზონის გაფართოებამდე, ე.ი. საიდუმლო ურთიერთობის დამყარებამდე ევროპის კონტინენტის მეორე (რუსეთის შემდეგ) დიდ სახელმწიფოსთან, რომელიც ჯერ კიდევ რჩებოდა ასეთად, - ავსტრიასთან. მაგრამ საქვეყნო შერცხვენიტ გამოწვეულმა მწვავე განაწყენების გრძნობამ აიძულა იგი, წინააღმდეგ ყოველგვარი სიფრთხილისა, მკვეთრად დაეჩქარებინა საქმე. პირველად მოხდა, რომ ამ ადამიანმა, რომელსაც ასე არ უყვარდა რისკი, და რომელმაც ასე იცოდა თავისი გრძნობების ალაგმვა, თავი ვერ შეიკავა. კვირას, 1809 წ. 29 იანვარს, როგორ უკვე ვთქვით, სასახლეში გამოცხადდა და იქ, გაკვირვებულ და ზიზღით გამსჭვალულ შეკრებილთა თვალწინ, აღუშფოთებლად ასრულებდა თავის კარისკაცულ ფუნქციებს. მაგრამ არვინ იცოდა, რომ სასახლეში გამოცხადებამდე რამდენიმე საათის წინ, იმავე დღეს, 29 იანვარს, სხვა ადგილას იყო: ინახულა ავსტრიის ელჩი.

აი რას ატყობინებდა მეტერნიხი ამ ღირსშესანიშნავი ფაქტის შესახებ ვენაში: „X. (მეტერნიხი „იქსით“ აღნიშნავს ტალეირანს. - ე. ტ.) ყოველგვარი ნილაბი მოიხსნა ჩემს

წინაშე. მას, მე მგონია, გადაწყვეტილი აქვს არ ელოდოს... პარტიას. გუშინწინ მითხრა, რომ მომენტი დადგა, რომ ის თავის მოვალეობად რაცხს პირდაპირი ურთიერთობა გააბას ავსტრიასთან. მითხრა, რომ თავის დროზე მან უარი უთხრა გრაფ ლუდვიგ კობენცლს მის წინადადებაზე, მაგრამ რომ მოცემულ მომენტში მიიღებდა მათ... თავის პირველ უარს ის ხსნიდა იმ ადგილით, რომელიც მაშინ ეჭირა. „ახლა მე თავისუფალი ვარ, და ჩვენი საქმე - საერთოა. მე მით უფრო გაბედულად გეუბნებით ამის შესახებ, რომ ვფიქრობ, თქვენებს დახმარება სურთ გამიწიონ“. მან ნართაულად მანიშნა, რომ რამდენიმე ასეულ ათას ფრანკს საჭიროებს, რადგან იმპერატორმა (ნაპოლეონმა) შეარყია მისი ქონება იმით, რომ ესპანელი უფლისწულების შენახვა დააკისრა... მე მივუგე, იმპერატორი (ფრანც I) წინააღმდეგი არაა მას თავისი მადლობა დაუმტკიცოს, თუ ის მოწადინებულია სამსახური გაუწიოს საერთო საქმეს. მიპასუხა, ეს საქმე - ჩემი საქმეცაა, და ისღა დამრჩენია, ამ საქმესთან ერთად გავიმარჯვო, ან მასთან ერთად დავიღუპო. „ხომ არ გაკვირვებთ წინადადება, რომელსაც მე გთავაზობთ?“ - მითხა მან. „არა, - მივუგე მე, - მას ვუყურებ როგორც საერთო საქმის ჭეშმარიტ საწინდარს.“[36]

აქ მთლიანად ჩანს ტალეირანი, თავით ფეხამდე. ის საქვეყნოდ შეურაცხევს, ლაფში ამოსვარეს, თავი მოსჭრეს, ის შურისძიების გრძნობითაა აღვსილი იმ ზომამდე, რომ, არ დასდევს არავითარ სიფრთხილეს, როცა მას იმპერატორის საიდუმლო პოლიცია ადევნებს თვალს, და სადღაც პაემანზე ხვდება მეტერნიხს, - და აქაც არ ღალატობს თავის მუდმივ ანგარებას: ის „შურსაც აგებს“ ნაპოლეონს სახელმწიფოებრივი ღალატით და იქვე სამოწყალოდ ითხოვს ავსტრიელებისაგან „რამდენიმე ასეულ ათას ფრანკს“. არა მარტო სცემს იმპერატორს, არამედ კიდევაც ჰყიდის მას ნაღდ ანგარიშზე. თავის ჩვეულებისამებრ, სასიამოვნოს სასარგებლოსთან ახამებს.

ამგვარად, ამიერიდან ტალეირანს ავსტრიასთან „საერთო საქმე“ აქვს, une cause commune - ნაპოლეონის დამხობა. ალექსანდრე ერფურტში დაჟინებით დუმდა. მეტერნიხს, იმ სახელმწიფოს წარმომადგენელს, რომელიც მზად იყო რამდენიმე თვის შემდეგ ნაპოლეონს შეჰბმოდა, არ ესაჭიროებოდა ასეთი სიფრთხილის გამოჩენა ახალმოვლენილ მეგობართან და თანამშრომელთან ლაპარაკში. ზედმეტია იმის აღნიშვნა, რომ ტალეირანს სრული მზადყოფნით მისცეს ის ფული, რომელიც მან ღალატისათვის მოითხოვა. მინისტრმა სტადიონმა ვენიდან მეტერნიხს შეატყობინა: „იმპერატორმა მიბრძანა მოანიჭოთ ყველა რწმუნება (carte blanche) X. თაობაზე; თქვენ უფლებამოსილი ხართ უზრუნველყოთ იგი ყოველივეთი, რაც კი რამ შეუძლია გონივრულად მოითხოვოს, როგორც კი დარწმუნდებით, რომ მას ძალუძს და სურს გაგვიწიოს ნამდვილი მნიშვნელოვანი სამსახური“. ტალეირანის ავსტრიისადმი

სამსახური დაუყოვნებლივ დაიწყო. 1809 წ. 7 მარტს მეტერნიხმა მინისტრ სტადიონს ვენაში აცნობა: „ჩემი ურთიერთობა X-თან მეტად აქტიურია. უმეტესწილად სწორედ მისი საშუალებით ვიგებ, რაც ჩვენ გვაინტერესებს. გენუკვით, თქვენო აღმატებულება, გააღებინოთ თანხა, რომელსაც მე ვითხოვდი. იმპერატორის (ნაპოლეონის) კაბინეტიდან ორი მემუარი გამოვიტანე, რომელნიც უდიდესი ინტერესის შემცველნი არიან თანამედროვე ვითარების გაცნობის თვალსაზრისით“. რაკი 1809 წ. მაისში საომარი მოქმედება საფრანგეთსა და ავსტრიას შორის უკვე განახლდა, ტალეირანი უწინარეს ყოვლისა ძვირფასი იყო, სწორედ როგორც სამხედრო-ჯაშუშური ცნობების მომწოდებელი. „რაც უნდა დიდი გვეჩვენოს ეს თანხა (ტალეირანის მიერ მოთხოვნილი), ის ყოველდღიურ ჩვეულებრივ მსხვერპლზე გაცილებით მცირეა, ხოლო შედეგები დაქირავების მიზნით მისი გამოყენებისა (les resultants de son employ) შეიძლება უზარმაზარი იყოს... აი ახლაც X თვლის, რომ საჭირო იყო უდინოს ამ მოძრაობის დაუყოვნებლივ გამოყენება მობილიზაციის საბაბად (mise sur le pied de guerre)“. ამრიგად, ტალეირანი არა მარტო იტყობინება ნაპოლეონის საიდუმლო განკარგულებების საამისო კორპუსების გადაადგილებათა შესახებ, არამედ რჩევასაც იძლევა, როგორ ისარგებლონ ავსტრიელებმა მიწოდებული ცნობებით. მეტერნიხიცა და ავსტრიის იმპერატორი ფრანციც, ცხადია, დიდად მოწადინებულნი არიან თვით ომის დროსაც ღებულობდნენ ამ ძვირფას ცნობებს და გადაწყვიტეს, ომის მანძილზე ჯაშუშური ცენტრი და გადასაცემი პუნქტი ქალაქი ფრანკფურტი იყოს.

როცა 1809 წ. გაზაფხულზე ნაპოლეონსა და ავსტრიას შორის დიდი ხნიდან მოსალოდნელი ომი დაიწყო, ბევრნი, მათ შორის ტალეირანიც, ხედავდნენ, რომ ბრძოლა ამჯერად გაცილებით უფრო მძიმე იქნებოდა, ვიდრე აუსტერლიცის კამპანიის დროს 1805 წ. როცა მეტერნიხი ჯერ კიდევ 1809 წ. იანვარში მინისტრ სტადიონისადმი ვენაში გაგზავნილ პატაკში ჩიოდა, რომ თუმცა ტალეირანმა და მისმა „მეგობარმა“ ფუშემ გადაწყვიტეს ისარგებლონ მარჯვე შემთხვევით, თუ ასეთი შემთხვევა ჩაუვარდებათ, მაგრამ რომ მათ „არ გააჩნიათ საკმარისად აქტიური მამაცობა, ეს შემთხვევა გამოიწვიონო“, ემილ დარის ვარაუდით, აქ „შემთხვევის“ ქვეშ თითქოს იმპერატორის მოკვლა იგულისხმება. ემილ დარი ამასთან დაკავშირებით „ინგლისელ აგენტებს“ იგონებს, რომლებმაც „ჯოჯოხეთური მანქანის“ მეშვეობით ნაპოლეონზე თავდასხმა მოაწყვეს 1800 წ.[37] მაგრამ დარი უთუოდ შემცდარია. არც ტალეირანს, არც ფუშეს იმ ფანატიზმისა და მამაცობის ნასახიც არ მოეპოვებოდათ, რაც მაშინდელ შეთქმულებს გააჩნდათ, ხოლო მეტერნიხს სად ჰქონდა ის გამბედაობა, რაც 1800 წ. ვილიამ პიტსა და მის გარემომცველთ აღმოაჩნდათ. რა თქმა უნდა, მეტერნიხსაც, ტალეირანსაც და ფუშესაც 1809 წ. სანატრელი ჰქონდათ

ნაპოლეონის სიკვდილი, მაგრამ ისინი იმედებს ამყარებდნენ არა თავიანთ თავზე და არა შეთქმულებზე, არამედ მომავალ ომში ავსტრიელი მსროლელებისა და ავსტრიული არტილერიის ზუსტ ნიშანზე. და ეს მათი იმედი კინალამ ახდა: ომის პირველ სტადიაშივე, რეგესბურგთან ბრძოლაში, იმპერატორი დასჭრეს, მაგრამ შეიტყო თუ არა, ჭრილობა სასიკვდილო არ აღმოჩნდაო, ტალეირანი დაუყოვნებლივ მიუჯდა საწერ მაგიდას (ამ საწერ მაგიდაზე იმავე დროს ვენისათვის თავის ჯამშუმურ ცნობებს ამზადებდა ნაპოლეონის ჯარების მოძრაობის შესახებ) და ნაპოლეონის უგულითადეს მილოცვას უგზავნის: „ხელმწიფე! თქვენი სახელი - თქვენი სიამაყეა, მაგრამ სიცოცხლე თქვენი - ჩვენი არსობაა. (maris votre vie fait notre existence!“.

ნაპოლეონი ავსტრიასთან იბრძოდა; როგორც საფრანგეთის იმპერატორის მოკავშირე, ფორმალურად რუსეთიც ავსტრიასთან მეომრად ითვლებოდა. ტალეირანის მდგომარეობა, ერთდროულად ავსტრიისა და რუსეთის საიდუმლო აგენტისა და იმპერატორ ნაპოლეონის დიდი კამერჰერისა, ფრიად ძნელი აღმოჩნდა. საჭირო იყო უმკაცრესი სიფრთხილე, რომ ამ სამი სრულიად განსხვავებული ფუნქციის შესრულების დროს რაიმე არ აბნეოდა. საერთოდ ეს 1809 წ. დიდი გაწამაწიის წელი იყო ტალეირანისათვის. საჭირო იყო სასახლეშიც ყოფნა, რათა ნაპოლეონის რისხვა კეთილგანწყობით შეეცვალა, ამავე დროის საიდუმლო ცნობები ეძლია ავსტრიელებისათვის, ხოლო ნესელროდეს არ შეეძლო (არ ჰქონდა საამისო რწმუნება მეფისაგან) განემარტა ტალეირანისათვის, რომ რუსეთი ფაქტიურად სულაც არ ომობს ავსტრიასთან.

ავსტრიასთან გაბმულმა ახალმა ურთიერთობამ ოდნავადაც ვერ შეუშალა ხელი ტალეირანს ხსომებოდა ის, რაც უმთავრესი იყო მისთვის: საიდუმლო გადაცემანი რუსეთში. იმპერატორ ალექსანდრესადმი გაგზავნილ ტალეირანის ხელით ნაწერ წერილებს შორის, რომლებიც საგარეო პოლიტიკის ჩვენს არქივში მოიპოვება, მეტად ნიშნობრივია ერთი, დაწერილი 1809 წ. 10 თებერვალს, ე.ი. სწორედ ორი კვირის შემდეგ იმ სცენიდან, იმპერატორმა რომ თავის ობერ-კამერჰერს გაუმართა ტუილრიში 28 იანვარს. ტალეირანი მადლობას უძღვნის ალექსანდრეს მის წყალობათა გამო, იმ ყოვლადძლიერი დახმარებისთვის, რაც მეფემ გაუწია ტალეირანს მისი ნათესავის დაქორწინების საქმეში ( რომელსაც შერთეს ჰერცოგის ცოლის კურლანდსკაიას ქალიშვილი, მდიდარი მემკვიდრე), მადლობას სწირავს პირადად მისთვის გაღებულ წყალობათა გამო. რა ხასიათის იყვნენ ეს წყალობანი („bontes“), ჩვენთვის ცნობილია. მაგრამ ამ თავაზიანობისა და მადლობის გარდა, ტალეირანის წერილი შეიცავს სხვა რამესაც, რაც ერთგვარ კრიპტოგრამას უფრო გვაგონებს, ვინემ ჩვეულებრივ კორესპონდენციას. მაგრამ ეს კრიპტოგრამა,

არსებითად, არც ისე ძნელი ამოსაცნობია: ტალეირანი მეფეს სთავაზობს ყველაზე უფრო მიზანშეწონილ და უხიფათო ეტაპებს შემდგომი საიდუმლო მიწერ-მოწერის საწარმოებლად. როგორც ჩანს, მეფემ აცნობა, რომ საჭირო იყო წერილები ჩაებარებინათ პეტერბურგში სპერანსკისათვის, რომელიც მათ უკვე ალექსანდრეს გადასცემდა.. ხოლო ტალეირანმა თავის მხრივ, უკვე იშოვა ერთგული კაცი, ვინმე დიუპონი, რომელიც „თვალყურს მარჯვედ ადევნებს“ მათელ ამ საიდუმლო კორესპოდენციას. მხოლოდ საჭიროა სპერანსკიმ უშუალო ურთიერთობა დაიჭიროს ბ. დიუპონთან. ვინ არის ბ. დიუპონი - არაა ნათქვამი, და ტალეირანი უმაღლეს მადლობას უხდის ხელმწიფეს მისი „კეთილშობილი და ბრძნული სიმტკიცისათვის“, ტალეირანთან მიმოწერის განხრახვამი რომ გამოამჟღავნა[38].

1810 წ. გაზაფხულზე გრაფ ნესელროდესთან „ბიძაშვილმა ანრიმ“ ნაპოლეონის ახალ ქორწინებასთან დაკავშირებული რამდენიმე მნიშვნელოვანი დეტალი და რიგი მოსაზრებანი გაამხილა. ამისთვის მან 3.000 ფრანკი მიიღო. გარიგება იყო სანარდო, ცალობრივი. გავიდა ორი დღე, რაც „ბიძაშვილმა ანრიმ“ სამი ათასი ფრანკი მიიღო, და ახალი ცნობისათვის „ანა ივანოვნამ“ უკვე ოთხი ათასი ფრანკი მოითხოვა. „ანა ივანოვნას“ მადის შეუწელელებელი ზრდის გამო ნესელროდე ერთბაშად 30-დან 40-მდე ათასი ფრანკის გამოგზავნას ითხოვს[39].

ტალეირანის ცნობები დასაწყისში მეტად ძვირფასია. ის იტყობინებოდა იმის შესახებ, რომ საფრანგეთის არმიის შემადგენლობა წინანდელთან შედარებით გაუარესდა. მიუთითებდა იმაზე (წინააღმდეგ ნაპოლეონის რჩევისა), რომ საჭიროა თურქეთთან ომის სწრაფად დამთავრება. იტყობინებოდა ნაპოლეონის იმ უახლოესი გეგმების შესახებაც, რომლებიც მისთვის საცნაური ხდებოდა. ააგო რა გეზი ნაპოლეონის გარდაუვალ მომავალ განხეთქილებაზე რუსეთთან, თავის საიდუმლო საუბრებში ნესელროდესთან ტალეირანი სრულ კმაყოფილებას გამოთქვამს რუსეთის მთავრობის იმ ღონისძიებათა გამო, რომელიც რუსეთის ფინანსების განმტკიცებისაკენ იყვანენ მიმართული. „ბიძაშვილი ანრი ამით ძლიერ კმაყოფილია,“ - აცნობებს ნესელროდე პეტერბურგს: „მისი მუდმივი რჩევა ისაა, ვისარგებლოთ სიწყნარის ამ მომენტით და გავხდეთ ძლიერნი... მას სურს, რომ მე დავამშვიდო (არ არის ნათქვამი - ვინ. ე. ტ.) ავსტრიის საკითხის გამო. ამ მომენტში ამ მხრივ საშიში მას არა ეგულვის რა, და ის დარწმუნებულია, მეტერნიხი ისე დატოვებს პარიზს, რუსეთისათვის საშიშ ვალდებულებებს არ აიღებს. ტალეირანი რუსეთის დიპლომატიას იმ აზრს უნერგავდა, რომ „ვენისა და პეტერბურგის სასახლეთა მჭიდრო ერთობა წარმოადგენს საშუალებას, უფრო სამშვიდობო შეხედულებანი

ჩააგონონ საფრანგეთს“ და რომ ამგვარი „ერთობა“ ჯერ კიდევ შესაძლებელია. მიუხედავად ნაპოლეონის დაქორწინებისა მარია-ლუიზასთან[40].

საგარეო პოლიტიკის ჩვენს არქივში შემოინახა საინტერესო წერილი, ტალეირანის საკუთარი ხელით დაწერილი და რუმინანცევისადმი გაგზავნილი 1809 წ. 9 მაისს. ნ. რუმინანცევი, რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი, 1808 წ. ოქტომბრიდან 1809 წ. 3-15 თებერვლამდე პარიზში ცხოვრობდა და აქ დაუახლოვდა ტალეირანს.

ტალეირანს, რომელიც ავსტრიის სასარგებლოდ და მის ხარჯზე ჯაშუშობდა ამ მომენტში, „ლეგალურ“, საკუთარი ხელით ნაწერ და ხელმოწერილ წერილში, რა თქმა უნდა, არ შეეძლო ეწერა სხვანაირად, ვიდრე წერს. ეგეც რომ არა, მან მაინც არ იცოდა, ცნობილია თუ არა რუმინანცევისათვის ყველა თავისი საიდუმლო. ის აღტაცებულია იმპერატორის მიერ ავსტრიელებზე მოპოვებული გამარჯვებით, ის ყოველთვის მოელოდა ამ სასწაულებს და ა.შ. მაგრამ რას იზამ, როცა ადამიანი უკვე აღარ არის ახალგაზრდა, უნებურად „თრთი“, ცოტაოდენ მოშიში ხდება (un peu trembleur). ეს არის გადაკრული თქმა ნაპოლეონის მეტად შეჭირვებულ მდგომარეობაზე, რომელიც ამჯერად აშკარად თავისი სურვილის წინააღმდეგ ჩაება ახალ და ერთობ ძნელ ომში ავსტრიასთან. ტალეირანი ყოვლად უტიფრად ეპირფერება რუს დიდებულს. თურმე ტალეირანისა და მისი მეგობრების „ყოველდღიური უწყინარი სიამოვნება“ პარიზში ის ყოფილა, გრაფ რუმინანცევიც ისაუბრონ: „ხშირად ამბობენ, რომ თქვენ ფრანგულ თავაზიანობას ინგლისურ სიღრმესთან აერთებთ, იტალიურ მოხერხებას - რუსულ სიმტკიცესთან“, მთელი წერილი ამგვარი სულისკვეთებითაა გამსჭვალული[41]. დიდებული გავლენიან პირს წარმოადგენდა და ტალეირანმა გადაწყვიტა, ყოველ შემთხვევისთვის ზედმეტად დაშაქრული ლაპარაკი აჯობებსო, რადგან იცოდა, რარიგ ეადვილებათ ადამიანებს გადაჭარბებული პირფერობის პატიება. ის ამ წესს მისდევდა მუდამ და იშვიათად რჩებოდა წაგებული.

ნიკოლოზ პეტრეს ძე რუმინანცევის ვარსკვლავი კი ამ დროს იშვიათი ელვარებით ბრწყინავდა. შვეციასთან წარმოებული ხანგრძლივი და რთული მოლაპარაკების შემდეგ რუმინანცევი 1809 წ. 5 სექტემბრის სამშვიდობო ხელშეკრულების ხელმოწერას მიაღწია, რომლის მიხედვით მთელ ფინეთს იღებდა მდინარე ტორნეომდე. ხოლო ორი დღის შემდეგ, 7 სექტემბერს, ალექსანდრემ რუმინანცევი რუსეთის იმპერიის კანცლერი გახადა.

ტალეირანი აღფრთოვანებული იყო რუმინანცევით, და ამ აღფრთოვანების მიზეზს გავლენიან დიდებულის გულის მოგების სურვილი როდი წარმოადგენდა მართოდ.

საქმე ისაა, რომ რუმინელების მიერ დადებულ ფრიდრიხსჰაიმის ზავში ტალეირანი სწორედ ზომიერების, გამარჯვებულსა და დამარცხებულს შორის შემდგომი მეგობრული ურთიერთობის დამყარების განზრახვის გამოვლინებას ხედავდა, ბოლოს, ინგლისთან თანდათანობით ზავზე წასვლის მზადყოფნის ირიბ გამოვლინებასაც, ერთი სიტყვით, ყველა იმ თვისებათა გამოვლენას, რასაც მოკლებული იყო ყველა სამშვიდობო ტრაქტატი, რომლებსაც ნაპოლეონი დებდა თვით ტალეირანის გადადგომამდე თუ მისი გადადგომის შემდეგ. მართალია, გადადგომამდე ტალეირანი თვითონ ამზადებდა ამგვარ სასტიკ ტრაქტატებს, მაგრამ აკეთებდა ამას წინააღმდეგ საკუთარი რწმენისა, თავისი პატრონის ბრძანებით; ხოლო გადადგომის შემდეგ, მეფისაგან გარისხული, იკვებნიდა, რომ არ მოისურვა, ბოლოსდაბოლოს, კვლავაც „ევროპის ჯალათი“ ყოფილიყო ამიტომ შვედეთზე რუსეთის გამარჯვებისას რუსეთის კანცლერის მიერ გამოქვეყნებულ შედარებით „ლიბერალურ“ სილბილეში ტალეირანმა სახელმწიფოებრივი ზესიბრძნე დაინახა.

გრაფმა რუმინეცემ ტალეირანს თავისი მემუარი გაუგზავნა, რომელიც შვედეთთან დადებულ რუსეთის ზავსა და ფინეთის შემოერთებას შეეხებოდა.

ტალეირანმა ახალი წერილით უპასუხა, რომელიც მლიქვნელობითა და იმ ნართაულებით იყო სავსე, ამ მომენტში მის პოლიტიკურ პოზიციას რომ ახასიათებდა. უწინარეს ყოვლისა, იგი ულოცავს რუს კანცლერს და უწოდებს მას „დიდ სახელმწიფო ადამიანს: „თქვენს სახელმწიფოსა და თქვენს ქვეყანას თქვენ შესძინეთ ვრცელი პროვინცია, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს თქვენი დედაქალაქისათვის. იმათ, ვინც ის დაგითმობთ, მათ მიერ გაღებული მსხვერპლისათვის თქვენ აჯილდოებთ მეტად რეალური სარგებლით, რასაც შეუძლია ფრიადი სიამოვნება მოჰგვაროს ქალაქების მცხოვრებთ“, ე.ი. სწორედ იმათ, ვინც თუმცა ყველაზე მცირერიცხოვან და არა საუკეთესო ნაწილს წარმოადგენს მოსახლეობისას, მაგრამ „ვინც ერთადერთი ლაპარაკობს, ვისაც ყურს უგდებენ და ვის (გამონათქვამებსაც) საზოგადოებრივ აზრს ეძახიან“. რუსეთის პოლიტიკის მიერ ფინეთსა და შვედეთთან დაკავშირებით გატარებულ ლიბერალურ პოლიტიკურ და ეკონომიურ ღონისძიებებში ტალეირანი ხედავს ინგლისთან ვაჭრობის „კეთილგანწყობილებითი“ დამოკიდებულების ნიშნებსაც. რუსეთის წარჩინებული პირის სახელზე დაწერილ დაუშიფრავ ბარათში, პირისა, რომელიც ამავე დროს რუსეთ-საფრანგეთის კავშირის მომხრეა, ტალეირანს არ შეუძლია გასცეს თავისი მუდმივი აზრი იმის შესახებ, რომ კონტინენტური ბლოკადა მავნეა საფრანგეთის, რუსეთისა და ევროპისათვის საერთოდ, დაუსრულებელი ომების შეწყვეტისათვის კერძოდ. ამიტომ თავის ფარულ აზრს იგი გადმოსცემს შემდეგი, ჭეშმარიტად



დიპლომატიური სტილით: „თქვენ აგრეთვე ცოტათი გულს უკეთებთ ინგლისელებს. ეს ნიშნავს, რომ თქვენი ერთგულება კონტინენტური ბლოკადისადმი არ გამორიცხავს ერთგვარ შემრიგებლობით კეთილგანწყობას. სწორედ ამით სხვა სახელმწიფოებს თქვენ გზას უხსნით უფრო ლიბერალური იდეებისაკენ და მიუთითებთ, რომ თქვენს კაბინეტს სასიამოვნოდ ექნება, ამ გზას რომ კვლავ ადგებიან“. ტალეირანის საკუთარი ხელით დაწერილი ეს ბარათი გამოუქვეყნებელია, ხოლო თარგმანი ვერ გადმოსცემს მისი ავტორის ფრთხილ, მრავალმნიშვნელოვან, განზრახ შენიღბულ ფრაზის მთელ ელფერს. ამიტომ ეს ფრაზა დედანშიაც მოგვაქვს, გრამატიკული შეცდომის დაცვით[42]. ძველი რეჟიმის ნამდვილი, ბუნებით არისტოკრატი - ტალეირანი - არად მიიჩნევდა გრამატიკულ წესებს, რომლებიც სავალდებულო იყო რაზნოჩინელებისათვის les roturiers, და მის მიერ ფრანგულად დაწერილი ბარათები გრამატიკული შეცდომებითაა სავსე, თუმცა არავითარი სხვა ენა, გარდა ფრანგულისა, არ იცოდა და არც ერთი არაფრანგული სტრიქონი მისგან არ დარჩენილა. სხვათა შორის, ტალეირანი, თვითონვე მიუკერძოებლად აყენებდა რუმინანცევის ფრანგულს თავის ფრანგულზე მაღლა: „ყოველივე ეს უმაღლესი და მეტად ოსტატური პოლიტიკაა. და თქვენ გადმოეცით იგი sic: vous l'avez redigee ჩვენს ენაზე, როგორც გადმოსცემდა ყველაზე სუსტი პუბლიცისტი, ყველაზე ფაქიზი და კორექტული წევრი საფრანგეთის აკადემიისა. ჩემს თავმოყვარეობას ამის გამო შეეძლო შური აღედრა ჩემში, მაგრამ ჩემი მეგობრული გრძნობა თქვენდამი, რომელიც გაცილებით უფრო ძლიერია, მეტად ნაამებია ამით.“[43]

ტალეირანი სრული სიფრთხილისა და ყველა საჭირო შენიშვნის დაცვით, ერთგვარად კონტინენტური ბლოკადის დაუცველობისა და ინგლისთან დაახლოებისაკენ უბიძგებდა კანცლერ რუმინანცევს. ეს ნიადაგის მოსინჯვას ნიშნავდა. მაგრამ ჯერ არ დამდგარიყო „ისტორიული ვადები“. რუმინანცევი არ მიჰყვა ქარაგმას.

ღალატობდა რა ნაპოლეონს რუსეთის სასარგებლოდ, ტალეირანი, რომელსაც საიდუმლო ურთიერთობა ჰქონდა ავსტრიასთან, იმავე დროს, შესაძლებელ შემთხვევაში, რუსეთსაც სცემდა ავსტრიის სასარგებლოდ, რაც ნესელროდემ არ იცოდა, რადგან ტალეირანი ამას ავსტრიასთან რუსეთის დაახლოების აუცილებლობის შესახებ დაჟინებული რჩევებით ნიღბავდა. ნესელროდემ არ იცოდა, ტალეირანი რომ ორმაგი კი არა, სამმაგ თამაშს აწარმოებდა: „ანრი გვირჩევს, ავსტრიის მიმართ რამდენადმე ყურადღება გამოვიჩინოთ ამ ნეგოციაციაში, სახელდობრ იმ ხელშეკრულებებში, რომლებიც სერბებს ეხება, რათა არ გავაგრძელოთ შემდგომში მასთან (ავსტრიასთან) შეთანხმების მიღწევა“[44].

ტალეირანმა კარგად იცოდა, რომ მეტერნიხს სულაც არ ეწადა რუსეთის განადგურება (la destruction), რადგან ასეთი რამ ავსტრიისათვის საშიშად მიაჩნდა[45]. და მეტერნიხის ეს განწყობილება უადვილებდა ტალეირანს მის რთულსა და სახიფათო ფარულ თამაშს საფრანგეთ-რუსეთის ახალდაწყებულ უთანხმოებათა ჟამს.

ნაპოლეონის ომი ავსტრიასთან დამთავრდა.

მან კვლავ დაამარცხა ავსტრია 1809 წ., შენბრუნში ახალი სამარცხვინო და მომაკვდინებელი ზავი მოახვია, ამის შემდეგ ავსტრიის იმპერატორის ქალიშვილზე იქორწინა მყისვე და გაბატონდა რა მთელ ევროპაზე, უკვე არა ომებით, არამედ უბრალო დეკრეტებით იწყო თავისი კოლოსალური სახელმწიფოსადმი ახალ-ახალი ქვეყნების შემოერთება.

და წლითიწლობით, ნაპოლეონის სავსებით აღვირახსნილი აგრესიის ახალ-ახალ გამოვლინებათა კვალდაკვალ, ტალეირანი სულ უფრო და უფრო რწმუნდება იმაში, რომ საქმე მიდის ახალი გრანდიოზული ხოცვა-ჟლეტისაკენ და უეჭველი საბოლოო დაღუპვისაკენ ქვეყნებისა და ხალხების უზომოდ გაბერილი კონგლომერატისა, რომელიც ძალითაა შექმნილი და ძალითვე ცოცხლობს.

ერთმანეთს მიჰყვა წლები, როცა საქმეებში აქტიური მონაწილეობისა და ნაპოლეონთან ახლო ურთიერთობისაგან ჩამოშორებული ტალეირანი - დიდებული და მილიონერი, სასახლის პატრონი პარიზში და ციხე-კოშკისა - ვალანსეში - ეწევა ცხოვრებას, სავსეს სიამითა და განცხრომით, მაგრამ მოკლებულს იმ მიმზიდველ ინტერესს, რომელსაც მისი ადრინდელი მდგომარეობა ანიჭებდა. ნაპოლეონმა გარეგნულად შეიწყალა იგი, მოხსნა შერისხვა, მაგრამ ნდობა არ დაუბრუნდა. ტალეირანი - საზეიმოდ გამოწყობილი - ცხადდებოდა ტუილრის სატახტო დარბაზშიც, სამეჯლისო დარბაზებშიც და სასტუმრო ოთახებშიაც, მაგრამ იმპერატორის სამუშაო კაბინეტებს უკვე აღარ აკარებდნენ. მისი უდიდებულესობა დიდ გამოსვლებზე მოწყალედ უქნევდა თავს, მაგრამ ჩუმად იყო და გვერდს უვლიდა თავისი სალდათური ნაბიჯით.

ასეთ პირობებში, როცა საიდუმლო ინფორმაციის მიღება სჭირდა, ტალეირანს ძლიერ ეხმარებოდა მისი თანამზრახველი - პოლიციის მინისტრი ფუშე.

ფუშემ იცოდა ტალეირანის კავშირთა შესახებ და სწორედ ფუშესთან მოდიოდა ტალეირანისა და მისი რუსი კორესპონდენტებისათვის ის უაღრესად საინტერესო ცნობები, რომელიც საფრანგეთის შინაგან მღელვარებას შეეხებოდა. ნესელორდეს საიდუმლო მიწერ-მოწერაში ფუშე აღნიშნავდა კონსპირაციული პირობითი

სიტყვებით: „ნატაშა“, „პრეზიდენტი“ და „ბერჟიენი“. ხოლო საფრანგეთის შინაგანი მღელვარება - სიტყვებით: „ინგლისის მიწათმოქმედება“ ან „ბუტიაგინის სატრფიალო ოინები“ (ბუტიაგინი გვარია რუსეთის საელჩოს წევრისა პარიზში).

მაგრამ აი 1810 წელს პატარა შეფერხება მოხდა; „დამაიმედეს ახალი ნაწარმოებით ინგლისის მიწათმოქმედების საკითხზე, მაგრამ სიტყვა არ შეასრულესო“ - ჩივილით ამბობდა ნესელროდე 1810 წ. 6-18 ივნისს. არც გასაკვირია: მთავარი წყარო ცნობებისა საფრანგეთის იმპერიის შინაგანი საქმეების შესახებ („ინგლისის მიწათმოქმედებაზე“) უცებ დაუშრიტა. 1810 წ. 3-15 ივნისს ნაპოლეონმა გადააყენა ფუშე: „პრეზიდენტის წასვლა ძალზე მიშლის ხელს, სწორედ მისგან იღებდა იურისკონსულტი (ტალეირანი. - ე. ტ.) ცნობებს, რომლებსაც მე გიგზავნიდით“... „მე ვხედავ, რომ ჩემს კორესპონდენციაზე ეს გავლენას მოახდენს.“[46] ასე იწერებოდა ნესელროდე პეტერბურგში 1810 წ. 6-18 ივნისს.

ფუშეს უეცარი გადაყენება მძიმე დარტყმა იყო ტალეირანისათვის. ტალეირანის ინფორმაცია მცირდებოდა. მისი საიდუმლო ურთიერთობა ალექსანდრესთან გრძელდებოდა, მაგრამ სულ უფრო სახიფათო ხდებოდა და პოლიტიკური უნაყოფოებისათვის განწირული ჩანდა. კვლავინდებურად მეტისმეტად ძლევამოსილი იყო ნაპოლეონი, ტალეირანის წინასწარმეტყველებათა მიუხედავად...

ფუშეს წასვლა მაშინვე დაეტყო საიდუმლო ცნობების ხარისხსა და რაოდენობას, როგორც მოელოდა კიდევ ამას ნესელროდე. ძნელი იყო მას შემდეგ მუშაობა, რაც წავიდა „ნატაშა“. და საზოგადოდაც, როგორღაც შემაშფოთებელი გახდა უმისოდ ცხოვრება. პოლიციის ახალი მინისტრი გენერალი სავარი (ჰერცოგი როვიგო) იმპერატორის ერთგული მსახური იყო, შემართული - უყოყმანოდ კბილებით დაეგლიჯა ყოველი მოღალატე, მიუხედავად მოღალატის ტიტულებისა, ვარსკვლავებისა და ლენტებისა. მის დროს თავის გაფრთხილება გმართებდა, რაც შეიძლება ნაკლები ცნობისმოყვარეობის გამოჩენა პარიზის სალონებში საუბრებისას, უფრო იშვიათად და ნაკლები გულთბილობით შეხვედრა რუსეთის საელჩოს მრჩეველთან გრაფ ნესელროდესთან. ტალეირანის ცნობები აშკარად უფერული ხდებოდა. ასე გრძელდებოდა რამდენიმე თვე.

შესაძლოა ამიტომ, ალექსანდრე თითქოს რამდენადმე გაგულგრილდა - არა ტალეირანისადმი, რომლის მიმართ არასდროს არავითარ სიმპათიებს არ ამჟღავნებდა, არამედ დროებითი ინტერესი გაუნელდა შეტყობინებებისა და რჩევებისადმი. აქ კიდევ ტალეირანმა წერილი მისწერა მეფეს (1810 წ. 15 დეკემბერი), რომელშიც მისთვის უჩვეულო უფაქიზესი სტილით, გულითადობისა და

მეგობრული მიმდობლობის საფარქვეშ ამცნობდა ალექსანდრეს, რომ ის, ტალეირანი, ბოლო ხანებში, ცოტა არ იყოს, დაიხარჯა და მეტად ბედნიერი აზრი იქნებოდა, თუ მეფე, მაგალითად, თავის ერთგულ საიდუმლო კორესპონდენტს მილიონნახევარ ფრანკს მისცემს ოქროთი. ამას მოსდევდა ტალეირანის მიერ ყოველ შემთხვევისთვის წინასწარ გამზადებული საქმიანი ცნობა იმის შესახებ, ტექნიკურად როგორ უფრო მოსახერხებელია ამ ფულის გადმოგზავნა, რომელი ფრანკფურტელი ბანკირის მეშვეობით სახელდობრ, როგორ მისწერონ რუსეთის გენერალურ კონსულს პარიზში ლაზენსკის და კერძოდ რა დასძინონ, რომ ლაზენსკიმ ყოყმანი არ დაიწყოს და ა.შ.

მაგრამ მოვიდა სეტყვა და დახვდა ქვა. ალექსანდრე I საშინლად აღიზიანებდა, როცა ვინმე აშკარად ცდილობდა მისი გულუბრყვილობით სარგებლობას. როგორც ამბობენ, სწორედ ამან დაღუპა კარიერა ბარონესა კრუდნერისა და კიდევ სხვა სასწაულმოქმედთა, რომელთა მეშვეობითაც ეცხადებოდა თითქოს მეფეს უფლის სულიწმიდისაგან ზეციური ნათელხილვანი სამეურვეო საბჭოს სალაროს რაღაც კრედიტების თაობაზე. ტალეირანს მთელი საქმე გაუფუჭა მისმა მითითებამ წერილის დასაწყისში ერფურტის დამსახურებებზე და დელიკატურმა მინიშნებამ, რომ სწორედ იმიტომ შეერყა ფინანსური მდგომარეობა, რაკი ერფურტის შემდეგ ნაპოლეონი მწყრალადაა ამაზე. ალექსანდრემ უპასუხა ფორმით თავაზიანი, მაგრამ შინაარსით მზაკვრული უარით: მეფეს სამწუხაროდ, არ შეუძლია და არ სურს მისცეს ეს ფული სწორედ იმის გამო, რომ ეჭვები არ აღძრას ტალეირანის მიმართ და ხიფათში არ გახვიოს იგი. ტალეირანმა ღირსეულად ითმინა ცოტახანს, შემდეგ კი ნესელროდეს სამუალებით თხოვნა იწყო რუსული სავაჭრო ლიცენზიებისა და სხვა უფრო პატარ-პატარა მოწყალებებისა.

მაგრამ აი უკვე მოისმა ჯერ ყრუ, შორეული ქუხილის ხმები და გამოკრთნენ შორეული გაელვებანი. უკვე 1810 წ. მეორე ნახევარში ყოველდღიურად სულ უფრო შესამჩნევი ხდება ორივე ტილზიტელი მოკავშირის გულის აყრა ერთიმეორეზე. დეკემბრის ბრძანებამ ახალი რუსული ტარიფის შესახებ, რომელმაც, ნაპოლეონის აზრით, უხეშად დარღვია საფრანგეთის ეკონომიური ინტერესები და, უწინარეს ყოვლისა, მისი საექსპორტო ვაჭრობა, ძალზე გააღიზიანა საფრანგეთის იმპერატორი. ნაპოლეონის ახალი დაპყრობები გერმანიის ჩრდილოეთში საკმაოდ დაუფარავ მუქარას წარმოადგენდა რუსეთის მიმართ. პეტერბურგამდე ავბედითი ხმები აღწევდა.

1810 წ. დეკემბერში ტალეირანმა რუსეთის დიპლომატიას მიაწოდა საიდუმლო ცნობები, რომელმაც პეტერბურგის სამეფო კარის ყველაზე უარესი იმედები

გამართლა. ნაპოლეონი დამოუკიდებელი პოლონეთის აღდგენას ამზადებს. პრუსიას იგი სილეზიას წაართმევს და საქსონიის მეფეს გადასცემს, რათა ვარშავის საჰერცოგოს დაკარგვა უზღოს, რომელიც ჩამოერთმევა. ავსტრიას ნაპოლეონი გალიციას წაართმევს (კვლავ პოლონეთის სასარგებლოდ), ხოლო თავის ვასალს (და სიმამრს), ავსტრიის იმპერატორს, მაგიერ ჯილდოდ ტრიესტსა და ფიუმეს, აგრეთვე დალმაციასა „და მთელ სანაპიროს“ მისცემს. ამგვარი ახალი გეგმების შემუშავებას ახალი გაწვევები მოჰყვა (120.000 კაცი). „აი როგორი უნდა იყოს იმპერატორის იდეები ფონტენებლოში... როგორც ისინი ბიძაშვილმა ანრიმ გადმომცა“, - სწერს ნესელროდე პეტერბურგში 1810 წ. 5-17 დეკემბერს[47]. და ნესელროდეს ყოველ პატაკში ისევ და ისევ გაისმის ერთი და იგივე მოტივი: „ბიძაშვილი ანრი“ დაჟინებით ურჩევს რუსეთს თურქეთთან ზავის რაც შეიძლება სწრაფად დადებას[48]. ის გაფრთხილებას იძლევა გადაჭარბებული იდეები არ იქონიონ იმპერატორის გაჭირვებული მდგომარეობისა ესპანეთში, რადგან იმპერატორის რესურსები უზარმაზარი[49]. მას აგრეთვე არა სწამს რა ნაპოლეონის ზავისა ინგლისთან[50].

ნაპოლეონის მოხშირებულ საყვედურებს რუსეთის მხრივ კონტინენტური ბლოკადის წესების ცუდად დაცვის გამო, ტალეირანის რჩევით, რუსებმა უნდა უპასუხოთ მოჩვენებითი საერთო-სახალხო მორჩილებით და იმავე დროს განაგრძონ ბლოკადის ჩუმად რღვევა: „კოლონიური პროდუქტების საკითხში ანრი გვირჩევს ბევრი ვიხმაუროთ - და არსებითად ცოტა რამ შევასრულოთ. საზოგადოდ, ორმაგად ვუბრუნებდეთ ხურდას იმათ, ვინც ჩვენთან თვალთმაქცობს.“[51] (player d'une grande faussete) იმავე დროს ტალეირანი ნესელროდეს ატყობინებს იმ ფარული ზომების შესახებ, რომელთაც საფრანგეთის იმპერატორი მიმართავს რუსეთსა და თურქეთს შორის ზავის დადების შესაფერხებლად.

როცა დაისახა (ხოლო შემდეგ კიდევ დაიწყო) ხანგრძლივი სამშვიდობო მოლაპარაკებანი რუსეთსა და თურქეთს შორის ბუქარესტში, ტალეირანი, რომელიც თავის სამმაგ თამაშს აწარმოებდა, ერთი მხრივ, როგორც ყოველთვის, რუსეთს ურჩევს სასწრაფოდ დათანხმდეს ზავზე, რათა ხელეზგახსნილი დახვდეს ნაპოლეონს, ხოლო მეორის მხრივ, ასეთსავე „მეგობრულ“ რჩევას აძლევს რუსეთს, ნუ დაიჟინებენ მოლდავეთისა და ვალახეთის მათთვის გადმოცემას თურქეთისაგან, არამედ „დათანხმდნენ“ ამ ორივე პროვინციის დათმობაზე... ავსტრიის სასარგებლოდ. ავსტრიისა, რომელსაც სულ არ უომნია თურქეთთან... მერედა რას მიიღებს სანაცვლოდ რუსეთი? ავსტრიის მეგობრობას, რომ შემდგომში ორივე იმპერიამ წარმატებით აწარმოოს ბრძოლა ნაპოლეონთან[52]; და აღუშფოთებელი კარლ ვასილის ძე ნესელროდე ერთობ სერიოზულად გადმოსცემს „ბიძაშვილ ანრის“ ყველა

ამ „მეგობრულ რჩევას“ და ფიქრადაც არ მოსდის, რომ „ბიძაშვილი“, რომელიც ნაპოლეონს ჰყიდის მის სასარგებლოდ, იმავე დროს თვით მას მეტერნიხის სასარგებლოდ ჰყიდის, რითაც გასამრჯელოს იორკეცებს. მაგრამ ერთს მაინც უცილობელ სიმართლეს ამბობს ტალეირანი: იგი განუწყვეტლივ იტყობინება, რომ ნაპოლეონი ენერგიულად ემზადება რუსეთზე თავდასასხმელად. ტალეირანი უკვე 1811 წ. მარტში წინასწარმეტყველებს, რომ ომი ახლო მომავალშია მოსალოდნელი და თარიღსაც კი სვამს: ომი, მისი აზრით, სწორედ წლის თავზე, დაახლოებით 1812 წ. პირველ აპრილს დაიწყება. ის ურჩევს ეხლავე, 1811 წ. მარტში, გააბას შესაბამისი საიდუმლო მოლაპარაკებანი ინგლისთან[53]. ეს უეცარი ინგლისური სიმპათიები ტალეირანისა შემდეგ გარემოებათ ემთხვევა: ნაპოლეონმა (საფრანგეთის ფინანსების გაუმჯობესების მიზნით) ზოგიერთ პირზე ინგლისთან ვაჭრობის ლიცენზირების გაცემა იწყო, - და ტალეირანი რუსებს ურჩევს ისინიც ასევე მოიქცნენ, რაკი თვით ნაპოლეონი არ ერიდება კონტინენტური ბლოკადის წესებისგან გადახვევას. და თავისი ბრძნული რჩევისათვის „ბიძაშვილი ანრი“ ითხოვს: რომ არ შეიძლება პირადად მანაც მიიღოს ასეთი ლიცენზიები, თანაც რაც შეიძლება სწრაფად, რადგან „მისი ინტერესებისათვის არსებითი მნიშვნელობა აქვს ყველაზე უწინ მიიღოს“[54].

ომისთვის მზადება სრული ტემპით მიმდინარეობს საფრანგეთში. შესაბამის ზომებს რუსეთშიც მიმართავენ.

ტალეირანის ცნობები და რჩევები ისევე მნიშვნელოვანი გახდა მისი რუსი კორესპონდენტებისათვის. მაგრამ ამ დროს, 1811 წელს და 1812 წ. პირველ თვეებში, პარიზში უკვე მოქმედებდა პოლკოვნიკი ალექსანდრე ივანეს ძე ჩერნიშოვი, რომელმაც შესანიშნავად მოაწყო სამხედრო შპიონაჟის საქმე. ის ისეთ რამეებს იგებდა, რაც ტალეირანს არც კი დაესიზმრებოდა.

ტალეირანი რუსებს ურჩევდა, არავითარ შემთხვევაში არ დაეწყოთ ომი პირველთ, მაგრამ ხაზგასმით აღნიშნავდა თავდაცვის განმტკიცების აუცილებლობას, რადგან ომი 1812 წ. გაზაფხულზე მაინც გარდაუვალიაო. მანამდე კი, დაე, ფართოდ გაშალონ ვაჭრობა, კონტინენტურ ბლოკადას მაინცდამაინც ნულარ მოერიდებიან. „ასეთია ჩვენი იურისკონსულტის აზრი“, - წერს ნესელროდე[55].

რუსეთის ელჩი თავადი კურაკინი, უკვე სავსებით დარწმუნებული ნაპოლეონთან ომის გარდაუვალობაში, 1812 წ. მარტის ბოლოს ახ. სტ., გრაფ რუმიანცევს საგანგაშო ხმების შესახებ ატყობინებს. საგარეო საქმეთა მინისტრი, მშვიდობისმოყვარე ჰერცოგი ბასანო თითქოს სამსახურიდან მიდის, ხოლო მის ადგილზე ტალეირანის, ბენევენტის თავადის, დანიშვნას ვარაუდობენ, რომელიც ყოველ შემთხვევაში

იმპერატორს თან ეახლება მომავალ ლაშქრობაშიო. „რაც შეეხება ბენევენტის თავადს, მიუხედავად იმისა, რომ იგი მადლიერია ჩვენი უავგუსტესი მზრდანებელისა, რომლისგანაც დავალებულია მფარველობისათვის, რაც მის იმპერ.

უდიდებულესობას გაუწევია მისთვის, განსაკუთრებით მისი ნათესავის დაქორწინების საქმეში, მიუხედავად მისი მშვიდობისმოყვარეობისა, რაც ამდენჯერ გაუხდია სატრაბახოდ - ის მაინც მეტისმეტად კარისკაცია და მეტად ესწრაფვის იმპერატორ ნაპოლეონის კეთილგანწყობის დაბრუნებას, რომ შესაძლებელი იყოს იმედები დავამყაროთ მისი შეხედულებების რაიმე სიმტკიცესა და მუდმივობაზე და იმაზე, რომ იგი მათ მსხვერპლად არ გაიღებს იმპერატორის გულის მოსაგებად“. კურაკოვს მით უფრო ეშინია ტალეირანის ამ ევოლუციის, რომ ტალეირანი სწორედ ახლა შეჭირვებულ მდგომარეობაში იმყოფება, გაყიდა სახლი, უკვე მიმართა ნაპოლეონს დახმარებისათვის და ისარგებლებს შემთხვევით, რაიმე მიიღოს. მით უმეტესო, დასძენს თავადი კურაკინი, რომ ტალეირანი უკვე აღარ მოელის „ახალ ესოდენ უხვ მოსავალს“. (...nouvelles recoltes aussi abondantes), როგორსაც ადრე იწევდა გერმანულ ქვეყნებში განხორციელებულ სხვადასხვა ანაზღაურებებსა და კომპენსაციებთან დაკავშირებითო[56]. ამ დროს ფულადი დახმარებანი რუსეთიდან, როგორც ჩანს, უკვე შეწყვეტილია. არავითარ დანიშვნას ტალეირანი ამ მომენტში სინამდვილეში არ ელოდა და არც შეიძლება მოლოდინი ჰქონოდა. ეგებ თვითონ ავრცელებდა ამ ხმებს იმის აღნიშვნით, რომ ის, ერთის მხრივ ხელმოკლეა, ხოლო მეორის მხრივ, შეიძლება კიდევ გამოადგეს ხელმწიფეს - ჩვენთვის ეს უცნობია. ყოველ შემთხვევაში, ხმამ, იმპერატორს ტალეირანი თან მიჰყავსო, სხვაგვარი ახსნა ჰპოვა.

ამ ახსნას ჩვენ ვპოულობთ უფრო გვიანდელ პატაკში, რომელიც თავადმა ალექსანდრე კურაკინმა გაუგზავნა კანცლერ გრაფ რუმიანცევს 1812 წ. 23 მარტს (4 აპრილს). კურაკინს უკან მიაქვს ადრინდელი ახსნა და იძლევა სრულიად სხვაგვარ, ახალ და, მისი აზრით, სავსებით სარწმუნო მონაცემებზე დამყარებულს. აღმოჩნდა, რომ ტალეირანს თურმე სულაც ვერ დაუბრუნებია ნაპოლეონის კეთილგანწყობა, პირიქით, ნაპოლეონს სწორედ იმისთვის სდომებია მისი თან წაყვანა, „რომ მეთვლეყურობის ქვეშ ჰყოლოდა ადამიანი, რომელსაც არ ენდობა და რომელიც მეტად საშიშად მიაჩნია საფრანგეთში დატოვოს იმ დროს, როცა თვითონ იქ არ იქნება, თანაც თავისთვის ესოდენ კრიტიკულ ჟამს“. კურაკინი ლაპარაკობს ნაპოლეონის იმპერიაში არსებული მძლავრე განწყობილების, დამაბული მდგომარეობის, უკმაყოფილების შესახებ და დასძენს: „არავისადმი უხდება მას საფრანგეთში ისეთი სიფრთხილის დაცვა, როგორც ტალეირანის და ფუმეს მიმართ. ორივე უკმაყოფილოა მისი, ორივემ შესანიშნავად უწყის საფრანგეთის ჭეშმარიტი

მდგომარეობა და ორივემ იცის პარტიები, რომლებიც - ჩუმ მოძრაობაშია... მას მით ნაკლებ სწადია მათი ერთად დატოვება თავისი არყოფნის ჟამს, რაკი 1809 წლიდან მათ შორის სრული თანხმობა სუფევს...“ კურაკინი ამასთან გარკვევით ადასტურებს სარწმუნო ხასიათის ცნობისა იმის შესახებ, რომ ნაპოლეონმა გადაწყვიტა თან წაეყვანა ტალეირანი ლაშქრობაში, თუმცა თვითონ თავადი ტალეირანი ამით ძალზე უკმაყოფილო იყო და ისიც კი განუცხადებია, ნაპოლეონის არყოფნისას პარიზში არ ვიცხოვრებო. მაგრამ ეგ ცდაც, მოეგვარებინა ისე, თავი გაენებებინა მისთვის და არ ჩაეჩხირათ რუსეთის ლაშქრობაში, არასაკმარისად მოეჩვენათ[57].

ბოლოსდაბოლოს ტალეირანს მოუხერხდა თავის დაძვრენა: უამრავ საქმეებში გართულ ნაპოლეონს დაავიწყდა იგი და საფრანგეთში დატოვა. შემდგომში მას ბევრჯერ გაუხდა მოსაგონრად თავისი ეს დაუდევრობა...

რუსეთში ძლიერ დაინტერესებული იყვნენ იმით, გამოჰყვებოდა თუ არა ტალეირანი ნაპოლეონს. მართლა აპირებდა თუ არა იმპერატორი მის დანიშვნას ვარშავაში რწმუნებულად? საკითხი ნაპოლეონის შემოჭრის კვირამაღზელა გაირკვა. „ბენევენტის თავადის დანიშვნაში მოხდა მისთვის მეტად მჭისე და ნაკლებ მოსალოდნელი ცვლილება, რაც ჰერცოგ ბასანოს გმირობას უნდა მიეწერებოდეს, რომლისთვისაც თავადის ხლება იმპერატორთან ფრიად სამძიმო იქნებოდა. ნაპოლეონს, ბენევენტის თავადთან გამომშვიდობებისას, არა უბრძანებია რა მისთვის ვარშავაში ჩასვლის შესახებ, სადაც მას, როგორც ამბობდნენ, ეკისრებოდა გარდაქმნა პოლონეთისა და დროებითი პირველი მმართველობა. ამის გამო ტალეირანდი (sic!), რომელსაც ხელმწიფისაგან გადაჭრილი ბრძანება არ მიუღია, იძულებული არს აქა დაშთეს და დაივიწყოს დიდმნიშვნელოვანი დავალება, რაიცა საქმეთა შიგან გამოცდილებისა გამო წინასწარ განსაზღვრულ არს მისთვის. ხშირად მისნი მნახველნი ირწმუნებიან, რომ იგი იმპერატორის განწყობილებაში მის მიმართ (sic!) მომხდარი ამა ცვლილებისა გამო დიდს წუხილშია, და რომ დარდი რაოდენადმე გაიქარვოს, მალე სამკურნალო წყლებისაკენ აპირებს... გთხოვთ თქვენო ბრწყინვალება, ცნობა ესე სახელმწიფო კანცლერს წარდგენად მალედვე გაუგზავნოთ: რამეთუ იგი სრულიად საწინააღმდეგო მოლოდინსა შინა იმყოფის“[58].

ასეთი იყო კურაკინის ცნობა, რომელმაც უკვე მიიღო პასპორტი და დატოვა პარიზი.

დგებოდა ვადები ტალეირანის წინასწარმეტყველებათა აღსრულებისა. ნაპოლეონი მოსკოვისაკენ დაიძრა. ახლოვდება მძიმე დროებაო, ამბობდა ტალეირანი უკვე მაშინ, როცა პარიზში ჯერაც ახალ ჩვეულ ბიულეტენებს ელოდნენ გამარჯვებათა შესახებ. როდესაც დაიწყო ფრანგთა ჯარების განადგურება მოსკოვიდან დიადი არმიის



კატასტროფული უკანდახევის დროს, ტალეირანი გაბედული გახდა თავის საუბრებში (მართალია, ყველაზე ახლობელ ადამიანებთან). „აი მომენტი, იგი ჩამოაგდონ“, - უთხრა მან როგორღაც 1812 წ. მიწურულში მარკიზა კუანის. მაგრამ ნაპოლეონის დამხობა არ შეიძლებოდა შინაგანი რევოლუციით მომხდარიყო და სრულიადაც არა იმიტომ, რომ ფუშეს მიერ შექმნილი პოლიციური მანქანა, თავისი სრულყოფით მიუწვდომელი ნიმუში გახლდათ ყველა პოლიტიკური პოლიციისათვის შემდგომში, ნიკოლოზ I ჟანდარმთა კორპუსიდან მოყოლებული, ფაშისტების გესტაპოთი დამთავრებული.

ნაპოლეონის ძალა იმაში მდგომარეობდა, რომ უზარმაზარ და მატერიალურად მძლავრ კლასებს 1813 წელსაც იგი ერთადერთ შესაძლებელ მმართველად ეჩვენებოდათ. გლეხები წინანდებურადვე შიშობდნენ, ბურბონების დაბრუნების შემთხვევაში რევოლუციის დროს შეძენილი მიწები არ წაერთმიათ მათთვის და ფეოდალიზმი არ აღედგინათ. ბურჟუაზიას შორის მერყეობას ჰქონდა ადგილი, განსაკუთრებით სავაჭრო ბურჟუაზიაში იზრდებოდა უკმაყოფილება, გემთმეპატრონეები, ნაპოლეონის დროს მკვდარ საზღვაო პორტების ვაჭრები, მაგრამ მრეწველნი ნაპოლეონში ინგლისის კონკურენციისაგან მხსნელსა და უცხო ბაზრების დამპყრობელს ხედავდნენ, თუმცა კოლონიური ნედლეულის უქონლობა (განსაკუთრებით ბამბისა და საღებავი ნივთიერებებისა) მათაც უკვე დიდი ხანია აღიზიანებდა. კიდევ მრავალი რამ იცავდა ნაპოლეონის ხელისუფლებას. არმიას - ჯარისკაცებს კიდევ უფრო, ვიდრე ოფიცერთა და გენერალთა შემადგენლობას, - უყვარდა იგი, მეტადრე ძველნამსახურთა და უნტერ-ოფიცერთა კადრებს. ასეთ პირობებში ნაპოლეონს კიდევ ეყო ძალ-ღონე არმია არმიაზე შეექმნა 1813-1815 წ. წ., საშინელი დარტყმები მიეყენებინა მოკავშირეებისათვის ლიუცენტან, ბაუცენტან, ვეისენფელდთან, დრეზდენტან, ნელ-ნელა დაეხია გერმანიიდან და ეიძულებინა მოკავშირენი, ორჯერ შემოეთავაზებინათ საპატიო ზავი. ტალეირანი, ამიტომ ხედავდა, რომ თავისი კარტის გახსნა ჯერ სახიფათო იყო.

1812 წ. 5 დეკემბერს ახ. სტ., საღამოს 10 საათზე, ნაპოლეონი კოლენკურის, პოლონელი ოფიცრების ვონსოვიჩის, მამელუკ რუსტანისა და ორი შუბოსნის თანხლებით მარხილში ჩაჯდა სმორგონში და შორეულ გზას გაუდგა. თავის მოგონებებში, პირუთვნელი კოლენკური ბევრ ადგილს უძღვნის იმპერატორთან საუბრებს „მარხილში“, და ერთი ვეებერთელა თავის (142 გვერდი, მიჯრილი შრიფტით აწყობილი; მისი მემუარების ახალ გამოცემაში (ტ. II, გვ. 305-342) ასეც იწოდება: „მარხილში იმპერატორთან ერთად“. ნაპოლეონი ყოველთვის კეთილგანწყობას გრძნობდა კოლენკურისადმი და თუ გონებას არა, ხასიათს მისას

პატივს სცემდა. პატიოსანი და ერთგული ადამიანები უდიდეს იშვიათობას წარმოადგენდნენ მის კარზე, და აქ, გრძელ გზაზე, რუსეთში მომხდარი უსაშინელესი კატასტროფის შთაბეჭდილების ქვეშ მყოფმა, კატასტროფისა, რაშიც პირდაპირ დამნაშავე თვითონ იყო, ნაპოლეონმა განსაკუთრებით მოიგულახდილა თავი და ამ პირისპირ ჩამოვარდნილ საუბრებში ბევრი რამ თქვა ისეთი, რაზედაც უფრო ნორმალურ პირობებში გაჩუმებას ამჯობინებდა.

ჩვენ ამ საუბრებში მხოლოდ ის გვაინტერესებს, რაც უშუალოდ თავად ტალეირანს ეხება. უწინარეს ყოვლისა, ნათელია, რომ ნაპოლეონს მაინც არავითარი წარმოდგენა არ ჰქონია ტალეირანის სახელმწიფოებრივ ღალატზე, რაც 1808 წ. დაიწყო ერფურტში და იმპერიის ბოლომდე არ დამთავრებულა. იმპერატორმა, მაგალითად, კოლენკურს უთხრა: „მეტად მტყუანი ვიყავი, რომ ტალეირანს ვუწყებოდი“. იგი ნანობდა, რომ თავის წარმომადგენლად ვარშავაში ტალეირანი არ დანიშნა, რომელიც, მისი აზრით, პრადტთან შედარებით უკეთ შეძლებდა გამოეყენებინა პოლონელები.

„ის თქვენი მეგობარია, - მითხრა მან მე (კოლენკურს) და შემდეგ დასძინა: - ეს არის ინტრიგების კაცი, კაცი დიდად უზნეო, მაგრამ დიდად ჭკვიანიც, რა თქმა უნდა, ყველაზე ნიჭიერი იმ მინისტრებს შორის, რომლებიც მე მყოლია. მე დიდხანს ვიყავი მასზე გამწყრალი, მაგრამ უკვე აღარ ვურისხდები; ის ეხლაც იქნებოდა მინისტრი, ეს რომ მოესურვა“. იმპერატორი ჩიოდა, რომ ჰერცოგის ცოლ ბასანოს ინტრიგებმა და „ფულადმა ინტრიგებმა“ (sic!) თვითონ ტალეირანისა ხელახლა განარისხა იმპერატორი, და მან კინაღამ დააჭერინა თავადი[59]. მან აღიარა კოლენკურთან, რომ თუმცა ტალეირანს არ წაუქეზებია იგი ესპანეთის წინააღმდეგ იმ მომენტში, როცა ნაპოლეონი თავს დაესხა ამ ქვეყანას, მაგრამ იგივე ტალეირანი სავსებით დარწმუნებული იყო, რომ ფრანგთა მიერ ესპანეთისა და პორტუგალიის მხოლოდ „ნაწილობრივ ოკუპაციას“ შეეძლო ეიდულებინა ლონდონის კაბინეტი ზავი დაედო. ეგეც ცოტაა: სწორედ ტალეირანი იყო „სული და გული ნეგოციაციის“, იქითკენ მიმართულის, რომ ამ მიზნისთვის ამ გზით მიედწიათ[60]. ენგიენის ჰერცოგის დახვრეტის გამო ნაპოლეონს, როგორც ცნობილია, არასდროს გამოუთქვამს სინანული. მაგრამ აქ, კოლენკურთან, გამოტყდა, რომ შეიწყალებდა ჰერცოგს, სასწრაფოდ რომ არ დაეხვრიტათ იგი ღამით, გასამართლების უმაღლეს. „ბერტიე და კომბასერესი ყოყმანობდნენ, დაგვეტუსალებინა თუ არა (ჰერცოგი)... ტალეირანი დაჟინებით მოითხოვდა დატუსალებას ისევე, როგორც მიურატი და ფუშე[61].“ ნაპოლეონი არ წყრებოდა ტალეირანზე ამის გამო, არ გაუმეორებია მრისხანე საყვედური, რომელიც ოდესღაც, 1809 წ. 28 იანვრის ცნობილი სცენის დროს უთხრა მას ტუილრიში. ხოლო როდესაც ვარშავა გაიარეს, ნაპოლეონმა ერთხელ კიდევ

სინანულით მოიგონა, „უგუნური ინტრიგების გამო“ ტალეირანი რომ არ დანიშნეს ვარშავაში[62]. ნაპოლეონი იქამდე იყო ნაცდუნები „უდანაშაულო“ ტალეირანის პირფერობით, ტალეირანისა, რომელსაც თითქოს ყველა შეურაცხყოფა „ეპატიებინოს“ იმპერატორისათვის, რომ მან კოლენკურს შემდეგი, ფსიქოლოგიური თვალსაზრისით საოცარი ფაქტი გაუმხილა: შეუნიშნავს რა გაუგებარი ცვლილება ალექსანდრეში ერფურტის შეხვედრების დროს, იმპერატორს ეს გარემოება მარშალ ლანის - თავისი ერთგული და უსაყვარლესი ჯარისკაცის - რომელიდაც მოურიდებელი და არაკორექტული გამონათქვამებისათვის მიუწერია[63].

არც ნაპოლეონს, არც მის მსმენელ კოლენკურს არავითარი წარმოდგენა არ ჰქონიათ იმის შესახებ, თუ ვინ იყო ნამდვილი მოღალატე ერფურტში. ეს დაბრმავება მრავალ რამეს ხსნის შემდგომ მოვლენებში, როცა გადამწყვეტ მომენტში ტალეირანს შეეძლო მძიმე დარტყმა მიეყენებინა ნაპოლეონისთვის და უკვე სავსებით აშკარად გამოსულიყო დასალუპად განწირული იმპერატორის წინააღმდეგ.

დადგა 1813-1814 წ. წ. მოსაზღვრე ზამთარი. მტრები რაინს უახლოვდებოდნენ. ნაპოლეონი დღედაღამ მუშაობდა თავისი ახალი დიდი არმიის შესაქმნელად, ქვეყნის (თავგანწირული დაცვისათვის ემზადებოდა. შარლ რემიუზა ერთ-ერთ საშობაო საღამოს თავისი დედის სალონში სხვა სტუმრებს შორის ტალეირანსაც შეხვედრია. ლაპარაკობდა მარტო ტალეირანი, დანარჩენები დუმდნენ. ის პირდაპირ აცხადებდა, ნაპოლეონი ილუპებო. „ყველაზე დიდი, ყველაზე გამოუსწორებელი ბოროტება - ეს არის მისი მარტოობა“, - ამბობდა ტალეირანი, „ის - მარტოა, როგორც კიდეც უნდოდა, მარტოა ევროპაში, მაგრამ ეს კიდეც არაფერი, ის საფრანგეთშია მარტო.“ რა არის ვნება და ძალა განსჯის გარეშე, როცა ძალა მიდის, ხოლო ვნება რჩება? იმპერატორი ცარიელ სივრცეშია: „არ არის წინააღმდეგობა, მარგამ არც საყრდენია. ეს უდიდესი შეცდომაა ხელისუფლებისა საფრანგეთში, - არ არის ნდობა საჭირო ადამიანებისათვის... ის უსმენს ვინც მას პასუხობს სწორედ იმას, რასაც თვითონ ეუბნება. დიუროკი ხედავდა ბოროტებას, ცოტათი ბერტიეც ხედავდა. მაგრამ დიუროკს არ ჰქონდა საიმისო ჭკუა, შესძლებოდა ეთქვა ის, რასაც ფიქრობდა. იგივე ითქმის ბერტიეზეც. დარიუ - მუშა ხარია, კომბასერესს მამაცობა არა აქვს“. საერთო დასკვნა ამ ინტიმური საუბრისა ის იყო, რომ იმპერატორი უკვე მეტს აღარაფერს უნდა მოელოდეს თავისი გარემომცველებისაგან, ნურც ქვეშევრდომები მოელიან რასმე თავიანთ იმპერატორისაგან[64]. ლაიფციგთან დამარცხების შემდეგ მცირე ხნით პარიზში დაბრუნებულმა ნაპოლეონმა, თავის დილის გამოსვლაზე სენ-კლუს სასახლეში 1813 წ. 10 ნოემბერს, სხვა კარისკაცებს შორის ტალეირანსაც მოჰკრა თვალი. „თქვენ აქ რა გინდათ?“ - რისხვით მიუბრუნდა უცებ მას და ბრაზიან

ფრაზეზში ასეთიც გაურია: „მიფრთხილდით! ვერავინ ვერას მოიგებს, ვინც იბრძვის ჩემი ძლევამოსილების წინააღმდეგ! მე თქვენ გიცხადებთ, რომ ვინიცობაა კვდებოდე, თქვენ ჩემზე უმაღლესად გამოესალმებით წუთისოფელს!“ ეს ნიშნავდა დახვრეტით დამუქრებას. და იმავე დროს, 1813 წ. ბოლოს, ნაპოლეონმა ტალეირანს მოულოდნელად საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტი შესთავაზა. ტალეირანმა უარი განაცხადა. ნაპოლეონს სძულდა და სძაგდა ტალეირანი, ეხლა უკვე თითქმის დარწმუნებული იყო მის ღალატში, მაგრამ ფიქრობდა, რომ მეტად დიდია მის მიერ ტალეირანისათვის გაღებული წყალობანი, რომელთა დაკარგვისაც მას შეეშინდა იმპერიის დაცემის შემთხვევაში და რომ მას მრავალი მიზეზი აქვს უფრთხილდეს ბურბონების დაბრუნებასო.

მან არ იცოდა: ლაიფციგის შემდეგ ტალეირანს საბოლოოდ განუმტკიცდა აზრი, რომ სულერთია ნაპოლეონს მაინც დაამხოვენ, ამასთან, დაამხოვს არა რევოლუცია, არამედ ევროპის მოკავშირე არმიების შემოტევა; არა საფრანგეთის, არამედ „ევროპის აჯანყება“ მისი ბატონობის წინააღმდეგ. იმპერატორმა არ იცოდა, თუ ბურბონებიც ყოველივეს დაივიწყებდნენ და ხალისით აპატიებდნენ ტალეირანს მათ წინააღმდეგ ჩადენილ ყველა მის წარსულ და მომავალ გამცემლობასაც კი, თუ იგი ამჟამად ერთ ახალ გამცემლობას კიდევ ჩაიდენდა, ამჯერად უკვე მათ სასარგებლოდ. არ იცოდა რა ჯერჯერობით ყოველივე ეს, 1814 წ. იანვარში, როცა ბრძოლა უკვე საფრანგეთის ტერიტორიაზე მიმდინარეობდა და ნაპოლეონი ემზადებოდა ახალი საშინელი დარტყმები მიეყენებინა მოკავშირეებისათვის, ხოლო ამ უკანასკნელთ მეტერნისის რჩევით კვლავ შემოსთავაზეს რა ნაპოლეონს სამშვიდობო მოლაპარაკებანი, იმპერატორმა მინისტრების თანდასწრებით ხელახლა შესთავაზა ტალეირანს მოლაპარაკებათა წარმოება. მაგრამ ტალეირანმა ხელახლა უარი განაცხადა. ნაპოლეონი გაშმაგდა, მუშტების ქნევით წაიწია ტალეირანისაკენ, სწვდა მას მხარში, მოუდერა მუშტი... თავადმა მოასწრო უკან დაეხია და გარტყმა აეცდინა. ეს უმსგავსი სცენა 1814 წ. 16 იანვარს მოხდა.

რატომ სჭირდებოდა ნაპოლეონს ამ სამშვიდობო კონგრესზე, რომელიც 1814 წ. 4 თებერვალს შატილიონში გაიხსნა, სწორედ ტალეირანის გაგზავნა, კაცისა, რომელსაც უკვე აშკარად აღარ ენდობოდა? ჩვენ ვიცით, რომ თვით ერთგული კოლენკურიც კი, ჰერცოგი ვინჩენცისა, შატილიონში მივლინებული, ვერ გადაურჩა ნაპოლეონის გულისწყრომას. კოლენკურის მიერ შატილიონიდან გამოგზავნილ მოკავშირეთა წინადადებაზე ნაპოლეონი პასუხობდა: „მეწყვიტეთ ჩემი შეურაცხყოფა“, მაგრამ ნაპოლეონს სულაც არ უნდოდა ზავი ამ მომენტში, ხოლო შატილიონის კონგრესი (რომელსაც არა მოუცია რა და არც შეეძლო მოეცა), უფრო დროის მოსაგებად

ესაჭიროებოდა, წმინდა ტაქტიკური მოსაზრებით. მაგრამ თუ ასეა, მაშინ, ცხადია, ტალეირანი უფრო მარჯვე კანდიდატურა იყო, ვიდრე კოლენკური. თვით ტალეირანის გაგზავნის ფაქტს შეეძლო გაცილებით მეტი დაბნეულობა შეეტანა მოკავშირეებში და მეტხანს ჰყოლოდა ისინი იმის ფიქრში, თითქოს ნაპოლეონს მართლაც უნდოდა ზავი.

იმპერატორი არმიაში გაემგზავრა. ტალეირანი პარიზში დარჩა. აქ თებერვალში და მარტის დასაწყისში კრიტიკული წუთების გადატანა მოუხდა. დაიწყო სერია ნაპოლეონის ახალი გამარჯვებებისა, როცა უკვე აღარავინ მოელოდა. „ისევ მოვნახე ჩემი ჩექმები, რომლებიც პირველი იტალიური კამპანიის დროს მეცვაო,“ - ამბობდა შემდეგ ნაპოლეონი ამ პერიოდის შესახებ. და მართლაც, სამხედრო სპეციალისტებს 1814 წ. კამპანია დღემდე ერთ-ერთ უმესანიშნავეს სამხედრო მოვლენად მიაჩნდათ მხედართმთავრის ბიოგრაფიაში. ბარე ყოველ სამ დღეში პარიზში ნაპოლეონის ახალ-ახალ გამარჯვებათა ცნობები მოდიოდა და ტალეირანს ჟამიდან ჟამზე ისეთი სასტიკი მღელვარება იპყრობდა, რომ ჰერცოგის ქალ დინოს, მის ნათესავს (და საყვარელს) და დედამისს, ჰერცოგის ცოლ კურლანდსკაიას, იგი სწერს ბარათებს, რომლებიც სულიერ ანდერძს უფრო მოგვაგონებს. სრული და საბოლოო გამარჯვების შემთხვევაში ნაპოლეონს შეეძლო გამოეძია ტალეირანის საიდუმლო ურთიერთობანი მოკავშირეებთან, შეეძლო უბრალოდ განრისხების ჟამს დაეხვრიტა იგი. მისი გადარჩენა ნაპოლეონის დამარცხებას შეეძლო მხოლოდ. და აი ვიტროლთან ერთად (და მისივე შუამავლობით) იგი მოუწოდებს მოკავშირეებს დააჩქარონ პარიზის დალაშქვრა, ამცნობს მათ, რომ ნაპოლეონს ძალები არ ჰყოფნის წინააღმდეგობის გასაწევად. სანდო პირთა მეშვეობით ატყობინებს ბურბონებს, რომ სურს სწორედ მათ მოუმართოს ხელი: ყველამ იცოდა, რომ მოკავშირეთა ნაწილში ძლიერია სურვილი ნაპოლეონის პატარა ვაჟის, „რომის მეფის“ გამეფებისა, და ბურბონები დიდ შემფოთებას განიცდიდნენ. მაგრამ აი ბრძოლები უკვე პარიზის კედლებთან მიმდინარეობს. იმპერატრიცა მარია-ლუიზა პატარა ვაჟით, იმპერატორის ტახტის მემკვიდრით, დედაქალაქიდან ქვეყნის სიღრმეში მიემგზავრება. ტალეირანი გასაჭირშია: გაჰყვეს იმპერატრიცას, როგორც უბრძანა იმპერატორმა ყველა უმაღლეს წარჩინებულ პირთ, თუ დარჩეს პარიზში? თუ ეურჩა იმპერატორს და დარჩა პარიზში, მაშინ, ნაპოლეონის გამარჯვების შემთხვევაში, ან თუგინდ მისი გადადგომისა და რომის მეფის („ნაპოლეონ II“) გამეფების შემთხვევაშიც კი მას, ტალეირანს, შესაძლოა ძვირად დაუჯდეს ეს მოღალატური საქციელი. მეორის მხრივ, თუ მოკავშირეები გაიმარჯვებენ და პარიზში შემოვლენ, ბურბონების შანსები უაღრესად გაიზრდება. და აი აქ, თუკი დედაქალაქში იქნება, ტალეირანს შეუძლია აიღოს როლი ბუნებრივი რგოლისა, რომელიც მოკავშირეებსა და ბურბონებს

სენატთან და მთელ დანარჩენ საიმპერიო დაწესებულებებთან დააკავშირებდა და თავისი ჩვეული მოხერხებით მოაწყოს ისე, რომ გამოდიოდეს, თითქოს თვით საფრანგეთი ამხობდეს, სენატის სახელით, ბონაპარტების დინასტიას და მოუწოდებდეს ბურბონების დინასტიას. მან კარგად იცოდა, რომ ასეთი მოჩვენებითი იერი ძლიერ ესაჭიროებოდათ მოკავშირეებს, მაგრამ განსაკუთრებით ეს ბურბონებს ესაჭიროებოდათ, რათა ამთავითვე რამდენადმე მაინც გაენეიტრალებინათ ის მეტისმეტად ტლანქი და ფრანგულ ნაციონალურ თავმოყვარეობაზე ავადმყოფურად მოქმედი ფაქტი, რომ სავარაუდო მეფე ლუდოვიკ XVIII „მოკავშირეთა ფურგონებმა“ მოიყვანეს. ამ ფურგონების შესახებ, რომლებმაც შემდეგ ასეთი როლი ითამაშეს ანტიბურბონულ აგიტაციაში, სწორედ მაშინ უკვე იწყეს ლაპარაკი. მაშასადამე, ტალეირანს შეემძლო იმედი ჰქონოდა, რომ მას უთუოდ აპატიებენ მთელ მის წარსულს, ენგიენის ჰერცოგის მკვლელობასაც კი, თუ ეხლა ბურბონების გამეფებას გააფორმებს და გააადვილებს.

ამიტომ ყოველად შეუძლებელია მისი პარიზიდან გასვლა... როგორ მოიქცეს? ასე ორცეცხლშუა მოქცეულ ტალეირანის საშინელ მდგომარეობას მისი ბიოგრაფები შემდეგი მკაცრი სიზუსტით გამოკვეთილ ფორმულირებას უძებნიან: „როგორ გააკეთოს ისე, რომ ერთსა და იმავე დროს კიდევ წავიდეს პარიზიდან, და არც წავიდეს?“ ერთი შეხედვით, ფიზიკის ელემენტარული კანონების საწინააღმდეგო და საკვებით შეუძლებელი ამოცანაა. მაგრამ ტალეირანი ისეთი ვინმე არ გახლავთ, სიძნელეების შეშინებოდა. პირიქით, ყველაზე კრიტიკულ წუთებში ყველაზე დიდ საზრიანობას იჩენდა. თავის ერთ ძველ ნაცნობ ქალთან (ასეთები ცხოვრების ყველანაირი შემთხვევისთვის ჰყავდა მომარაგებული) ქალბატონ რემიუზასთან ერთად პოლიციის პრეფექტ პასქიესთან გაემართა და მიახვედრა პასქიე (ყოველ შემთხვევისთვის, ქალბატონი რემიუზა ალაპარაკა, თავის მხრივ კი მხოლოდ გაურკვეველი სახის შორისდებულებით შემოიფარგლა), რომ კარგი იქნებოდა, თუ, მაგალითად, მას, თავად ტალეირანს, პარიზიდან გასვლის ჟამს „ხალხი“ ადარ გაუშვებდა და „ძალით“ შინ დააბრუნებდა. ქალბატონმა დე რემიუზამ მოუაზრებელ პრეფექტს იდეაც კი შეაშველა, რომ უკეთესი იქნებოდა, თუ პრეფექტი თავის აგენტებს ცოტათი ააღელვებინებდა „ხალხს“, რათა ტალეირანის ეს ძალად დაბრუნება განეხორციელებინათ. ბოლოსდაბოლოს იმაზე შეთანხმდნენ, რომ „ხალხი“ კი არა, ეროვნული გვარდია დააკავებს ტალეირანს და დააბრუნებს უკან.

მთავრი იყო მოეგოთ დრო, როდესაც ყველაფერი წყდებოდა.

ამ შეთანხმების უმაღლეს ტალეირანი ბარგით, მდივნებითა და მსახურებით, ღია კარეტით თავის სასახლის ეზოდან დაიძრა, რათა მისი უდიდებულესობის

იმპერატორ ნაპოლეონის ბრძანების თანახმად, პატიოსნად აღესრულებინა თავისი ერთგულქვეშევრდომული მოვალეობა და შეერთებოდა ბლუაში მყოფ იმპერატორიკას და იმპერატორის ტახტის მემკვიდრეს, რომის პატარა მეფეს. მაგრამ, ტალეირანისდა სამწუხაროდ, პასისტან, ყველას თვალწინ, ეროვნულმა გვარდიელებმა ხელი შეუშალეს ნაპოლეონის წინაშე ვალის მოხდას, დააკავეს მისი კარეტა აღმაშფოთებელი გაუგებრობით, და უკანვე, ქალაქში გააბრუნეს! სამწუხარო ინციდენტის შემდეგ მან მყისვე პატაკი გაუგზავნა იმპერიის დიდ კანცლერს კომბასერესს, და დაიზღვია თუ არა ამრიგად თავი ნაპოლეონის რისხვისაგან, მაშინვე ბურბონების რესტავრაციის მომზადებაზე მუშაობას შეუდგა. ის ემისრებს უგზავნის მარშალ მარმონს და არწმუნებს ყოყმანში მყოფ მარშალს, არ გაუწიოს წინააღმდეგობა ქალაქზე მომდგარ მოკავშირეებს, განზე გაიყვანოს თავისი კორპუსი და დათმოს ქალაქი. ნაპოლეონის არმიის ნაშთებით ქალაქისკენ მოეშურებოდა. მაგრამ 31 მარტს ფონტენებლოს სასახლეში ტალეირანის ღალატის ამბავი შეიტყო...

ჯერ კიდევ მანამდე, სანამ მოკავშირეთა ჯარები პარიზში შევიდოდნენ და იქ მტკიცედ დამკვიდრდებოდნენ, ალექსანდრე I ნესელროდეს მიავლინა ტალეირანთან, და მათ ერთობლივად შეადგინეს ალექსანდრეს მიერ ხელმოწერილი ის ცნობილი, 1814 წ. 31 მარტის, დეკლარაცია, რომელიც აცხადებდა, რომ მოკავშირეები უკვე აღარ განაგრძობდნენ მოლაპარაკებას არც ნაპოლეონთან, არც მის ოჯახთან, მაგრამ რომ ისინი სცნობენ და უზრუნველყოფენ იმ ახალ წეს-წყობილებას, რომელსაც ფრანგი ერი მოისურვებს თავისთვის. აქვე ნათქვამი იყო, რომ მოკავშირეები იწვევენ სენატს დროებითი მთავრობს შესაქმნელად.

## თავი მეოთხე

### ტალირანი და ბურბონების რესტავრაცია. პარიზის ზავი 1814 წ. 30 მაისისა

პარიზში საზეიმო შესვლის შემდეგ, ალექსანდრემ და პრუსიის მეფემ უწინარეს ყოვლისა ტალირანი მის სასახლეში ინახულეს. აქ იგი დაბეჯითებით არწმუნებდა ორივე მონარქს, რომ საფრანგეთს სწორედ ბურბონები, სწორედ ლუდოვიკო XVIII სურსო. მაგრამ ალექსანდრე ყოყმანობდა. მას, როგორც ზოგიერთი ნიშნიდან და პირდაპირ დამოწმებიდანაც ჩანს, უნდოდა საფრანგეთის ტახტზე ნაპოლეონის პატარა ვაჟი, რომის მეფე აეყვანა, რეგენტად მისთვის დედამისი მარია-ლუიზა დაენიშნა, რაც შეეხება ლუდოვიკო XVIII ეს უკანასკნელი პირადად უზომოდ ანტიპათიური იყო რუსეთის იმპერატორისათვის. „როგორ დავრწმუნდე, რომ საფრანგეთს მართლაც ბურბონების დინასტია სურს?“ - ურწმუნოდ ჰკითხა მან ტალირანს. ტალირანმა წარბშეუხრელად მიუგო: „იმ გადაწყვეტილების მეშვეობით, რომლის გატარებას სენატში მე ვკისრულობ, ხელმწიფევ, და რომლის შედეგებსაც თქვენ დაუყოვნებლივ იხილავთ.“

„დარწმუნებული ხართ ამაში?“ - „პასუხს ვაგებ, ხელმწიფევ.“

მეორე დღეს ტალირანმა სენატი მოიწვია. ეს დაწესებულება იოტისოდენ როლსაც არ თამაშობდა იმპერატორის დროს, დებულებითა და გაწვრთნილ-მორჩილი კოდიფიკატორების, იმპერატორის ნების ამსრულებლების სამსახურით შემოიფარგლებოდა მხოლოდ. ისინი შეეჩვივნენ ძალის წინაშე ხოხვას, ბრძანებისადმი განუსჯელ დამორჩილებას, და თუ ტალირანის მოწოდებით სულ სამოცდათოთხმეტი გამოცხადდა[65], რა თქმა უნდა, უმთავრესად იმიტომ, რომ ბევრი ჯერაც ვერ შეჩვეოდა აზრს იმპერიის დაღუპვის შესახებ, ჯერ ვერ გადაჩვეულიყო შიშს ნაპოლეონის წინაშე. ტალირანმა, რომელიც დედაქალაქსა და საფრანგეთში მდგარ მოკავშირეთა არმიებს ეყრდნობოდა, ყოველგვარი მჭევრმეტყველების გარეშე მიაღწია, რომ, ჯერ ერთი, სენატს დაედგინა „დროებითი მთავრობის“ არჩევა ხუთი წევრის შემადგენლობით, რომელთაც დაევა ლათ მიმდინარე საქმეების წარმოება და საფრანგეთის კონსტიტუციის ახალი პროექტის შემუშავება, მეორე, რომ ამ მთავრობის სათავეში დაეყენებინათ სწორედ თვით ის - ტალირანი. დანარჩენნი იყვნენ უფერულნი, არც თუ პირველხარისხოვანი როიალისტები.



ეს იყო 1 აპრილს, და სწორედ მაშინ საინტერესო შეხვედრა მოხდა ტალეირანსა და ბურბონების წარმოგზავნილ გრაფ სემალეს შორის. ტალეირანმა, როგორც ცენტრალურმა პიროვნებამ, როგორც მიმდინარე რესტავრაციის მთავარმა მოღვაწემ, იშვიათი მასპინძლობით მიიღო ეს სემალე, კარლ დ'არტუას, ე.ი. სავარაუდო მეფის ლუდოვიკო მეთვრამეტის ძმის პირადი მეგობარი. ტალეირანმა იმწამსვე დაარიგა გადაეცა ბურბონებისათვის, რომ მათ სამფეროვანი დროშა მიეღოთ - და მყისვე აღშფოთებული უარი მოესმა: ბურბონებს სურთ დაბრუნდნენ თავიანთი თეთრი, ძველი რეჟიმის დროშითო. რჩევაცა და უარიც ერთნაირ მრავლისმეტყველი იყო.

მთელი თავისი კოლოსალური გამოცდილების წყალობით ტალეირანმა მტკიცედ იცოდა, რომ ბურბონები საფრანგეთისათვის - სავსებით უცხო, უცნობი ადამიანები არიან, რომლებსაც ახალი თაობები სრულებით არ იცნობენ, რომ გლეხობას უკვე წინადაწინვე სძულს ისინი და ეშინია მათი, რომ ძველი თეთრი დროშა მათ თვალში გამოჩნდება რევოლუციის მიერ განადგურებული ფეოდალური გადანაშთების აღდგენის ერთგვარ ემბლემად. მეორე მხრივ, მთელი ჯარისათვის თეთრი დროშა - საძულველი დროშაა, რომელსაც ისინი აქამდე ხედავდნენ მხოლოდ თეთრი ემიგრანტების ხელში, სამშობლოს წინააღმდეგ იარაღადმართული თეთრი მოღალატეების ხელში. სწორედ ამათ ურტყამდნენ ეს ჯარისკაცები რევოლუციის წლებში. სამფეროვანი დროშა კი - ეს იყო დროშა ძლევამოსილი რევოლუციისა და ძლევამოსილი ნაპოლეონისა. ტალეირანს ესმოდა, რომ სამფეროვანი დროშის თეთრით შეცვლით ბურბონები თავიანთი სამარის გათხრას იწყებენ, რომ მათ, მართლაც, არაფერი უსწავლიათ. მაგრამ კამათს არავითარი აზრი არ ჰქონდა. გავიხსენოთ, რომ არა მარტო 1814 წელს, არამედ 1871-1873 წ. წ., ორი ახალი რევოლუციისა და კომუნის შემდეგაც ბურბონებმა, გრაფ შამბორის სახით, უარი თქვეს სამფეროვან დროშაზე და სწორედ ამით უარი თქვეს მათთვის ხელახლა შეთავაზებულ საფრანგეთის ტახტზე.

მდგომარეობას ისიც ართულებდა, რომ ალექსანდრე არამც თუ ვერ იტანდა ბურბონებს, ვისა და რას არ ეძიებდა საგანგებოდ, ოღონდაც ძველი რეჟიმის გამეფება აერიდებინა. დარწმუნებული იყო, ბურბონები ვერავითარ შემთხვევაში ვერ გასძლებდნენ ტახტზე, თუნდაც ზედ საზღვარგარეთული არმიების დახმარებით ასულიყვნენ. ტალეირანმა იცოდა, რა სასოწარკვეთაში ჩააგდო ალექსანდრემ ბურბონების აგენტი ბარონი დე ვიტროლი, როცა ეს უკანასკნელი პარიზში რუსთა იმპერატორის შესვლამდე სწორედ ორი კვირის წინ ეახლა მას და მხურვალედ ემუდარებოდა დათანხმებულიყო ბურბონთა დინასტიის გამეფებაზე. „იცით რა, - უთხრა მაშინ ალექსანდრემ ვიტროლს უკმაყოფილებითა და სინანულით, - თქვენ

რომ მათ (ბურბონებს. - ე. ტ.) იცნობდეთ, დარწმუნებული იქნებოდით, რომ ამგვარი გვირგვინი მეტისმეტად მძიმეა მათთვის... ჩვენ უკვე ბევრი ვეძებეთ, რა უფრო შეუხამდებოდა საფრანგეთს, ვინიცობაა ნაპოლეონი გამქრალიყო. ამ რამდენიმე ხნის წინათ ბერნადოტზე ვფიქრობდი. მისმა გავლენამ არმიაზე, კეთილგანწყობამ, რომლითაც იგი რევოლუციის მეგობრებს შორის უნდა სარგებლობდეს, წამით მასზე შეაჩერა ჩვენი ფიქრი. მაგრამ შემდეგ ზოგიერთი მიზეზით დავშორდით ამ აზრს. ლაპარაკი იყო ევგენი ბოჰარნეზედაც, მას პატივს სცემენ საფრანგეთში, არმიას უყვარს იგი, გამოსულია თავადაზნაურთა რიგებიდან. შესაძლებელია, მრავალრიცხოვანი მომხრენი ჰყოლოდა. თანაც, ეგებ კეთილგონივრულად ორგანიზებული რესპუბლიკა ყველაზე უფრო შეხამდებოდა ფრანგების სულს!? ტყუილად ხომ არ ღვიოდა თავისუფლების იდეები ამდენ ხანს ისეთ ქვეყანაში, როგორც თქვენია, ეს იდეები მეტად აძნელებს უფრო კონცენტრირებული ხელისუფლების დამყარებას“. ეს რომ როიალისტმა, ლეგიტიმისტმა, ერთგულმა კათოლიკე ვიტროლმა სრულიად რუსეთის თვითმპყრობელისაგან მოისმინა, გაოგნდა: „ღმერთო დიდებულო, რა იყო ეს 17 მარტი? იმპერატორი ალექსანდრე, მთელი ქვეყნის გადასარჩენად გაერთიანებულ მეფეთა მეფე, რესპუბლიკაზე უბნობდა!“ ვიტროლი მას სიტყვა-სიტყვით იმას უწოდებს, როგორც რუსეთში იხსენიებდნენ, როდესაც 1814 და 1815 წლებზე ლაპარაკობდნენ „ბელადთბელადი, მეფეთ დიქტატორი (ჟუკოვსკი „ბოროდინოს წლისთავი“). „...И скоро сило вещей мы очутились в Париже, а русский царь главой царей (პუშკინი, „ევგენი ონეგინის“ X თავის გადარჩენილი ნაწყვეტების ვარიანტები), შევნიშნავთ, რომ უწოდებს რა ალექსანდრეს 1814 წელს პარიზში შეკრებილ „მეფეთა მეთაურს“, პუშკინი სულაც არ ფიქრობს ამით მეფის განდიდებას, რომელიც მას არ უყვარდა („арлекин, к противочувствиям привычный“). ირონიულად ამბობს მასზე, რომ „დღეს კოლეგიის ასესორია საგარეო საქმეთა დარგში“. დიდი პოეტი სიტყვებით „მეფეთა მეთაური“ უბრალოდ ფაქტს აღნიშნავს. სწორედ ასევე, 1814-1815 წ.წ. მოვლენების თვითმხილველსა და მონაწილეს ფრანგ ლეგიტიმისტ ვიტროლსაც არ უყვარდა ალექსანდრე, და თუ მას თითქმის სიტყვასიტყვით პუშკინივით იხსენიებს („le roi des rois“ - მეფეთ მეფე), სჩადის არა ქათინაურისათვის, არამედ კბილთა ღრქენით, სასოწარკვეთილი იმით, ამ ძლევამოსილმა თვითმპყრობელმა უცებ რესპუბლიკაზე რომ გაუბა ლაპარაკი. ვიტროლიც მხოლოდ ფაქტს აღნიშნავს ალექსანდრეს ძლევამოსილებისას ან იმას, რაც იმ მომენტში უცილობელ ფაქტად ეჩვენება ყველას. 1812 წლის დიდმა გამარჯვებამ, 1813-1814 წლების საბოლოო ანგარიშით ძლევამოსილმა ბრძოლამ, 1814 წლის გაზაფხულზე რუსეთი გარკვეული დროით საფრანგეთისა და კონტინენტური ევროპის ბედის

განმგებები გახადა. ვიტროლი გახელებული იყო ალექსანდრეს ამ მოულოდნელი საქციელით[66].

ტაღეირანს, რომელსაც ვიტროლმა მთელი სცენა ამცნო, რა თქმა უნდა, ოდნავადაც არ სჯეროდა მეფის „რესპუბლიკანიზმისა“, მაგრამ უკვე იმ გარემოებას, რომ ალექსანდრე ლაპარაკობდა ვისზედაც გნებავს - ბერნადოტზე, ევგენი ბოჰარნეზე, ლუი-ფილიპეზე, ნაპოლეონის პატარა ვაჟზე - „რომის მეფეზე“, და რესპუბლიკაზედაც კი, ოღონდ დაენახვებინა, რომ სურს ბურბონების ჩამოცილება - შეეძლო შემფოთება გამოეწვია. იმ მომენტში ალექსანდრეს პოლიტიკურ ძალაში ტაღეირანი ვიტროლზე არა ნაკლებად იყო დარწმუნებული. საჭირო იყო ეიძულებინათ „მეფეთ მეფე“ (le roi des rois) უარი ეთქვა თავის ანტიბურბონულ განწყობილებებზე.

საფრანგეთი ნებისმიერ მთავრობაზე დაჰყავდა, თუ ბურჟუაზიული რევოლუციის ძირითადი მონაპოვარი, ბურჟუაზიული იმპერიით განმტკიცებული, ურყევად დარჩება. საფრანგეთი ნაპოლეონსაც კი შეეღებოდა, თუ რევოლუციის შექმნილ და ნაპოლეონის მიერ კოდიფიცირებულ წეს-წყობილებას უცვლელად დატოვებენ. ამ აზრიდან გამომდინარე 1814 წ. აპრილის კრიტიკულ დღეებში ხან ბერნადოტს ასახელებდნენ, ხან ლუი-ფილიპეს. ტაღეირანის ძალა კი იმაში იყო, რომ მის კანდიდატს, ლუდოვიკო XVIII, მხარს უმაგრებდა ლეგიტიმიზმის პრინციპი - პრესტიჟი ტრადიციული მონარქიისა, უდიდესი ზეგავლენით რომ მოქმედებდა პარიზში შესულ, რევოლუციისადმი მტრულად განწყობილ მონარქებზე. „როცა პარიზი აიღეს, ვის ნაპოლეონის შვილი უნდოდა ხელმწიფედ, მისთვის რეგენტის დანიშვნით, ვის ბერნადოტი, ვის, დაბოლოს, ლუი-ფილიპე. მაგრამ ტაღეირანმა თქვა: ან ლუდოვიკო, ან ნაპოლეონი. ეს - პრინციპია, სხვა ყოველივე - ინტრიგაა“, - აღნიშნავს ერთი შემთხვევის გამო მარქსი რუჰესადმი მიწერილ წერილში[67].

ტაღეირანი, რომელიც ინტრიგებით ცხოვრობდა, ამჯერად მეტად ხელსაყრელ მდგომარეობაში აღმოჩნდა, რადგან თავის პროგრამას მართლაც სავსებით ლოგიკურად ჰფარავდა იმ მომენტში ძალზე მძლავრი პრინციპებით, - მძლავრით იმათ თვალში, ვისი დარწმუნებაც მას ყველაზე უფრო ესაჭიროებოდა. მარქსი ორჯერ ჩერდება, სხვადასხვა დროს და სხვადასხვა საბაბით, ტაღეირანის ამ პოზიციაზე, ტაღეირანისა, ვინაც „ერთბაშად მოულო ბოლო მის (ბერნადოტის) ბაღღურ იმედებს, განუცხადა რა მოკავშირე სახელმწიფოთა საბჭოს, რომ „არ არსებობს სხვა არჩევანი, გარდა არჩევანისა ბონაპარტსა და ბურბონებს შორის, სხვა ყოველივე მხოლოდ ინტრიგა იქნებოდაო.[68]“ ბერნადოტს არავითარი შანსები არ გააჩნდა, მაგრამ მარია-

ლუიზას რეგენტობისა და პატარა „რომის მეფის“ გამეფების საკითხი გაცილებით უფრო დიდად აწუხებდა ტალეირანს.

რა თქმა უნდა, ტალეირანი სავსებით დარწმუნებული იყო, რომ ლუდოვიკო XVIII კანდიდატურა გავა მხოლოდ ერთი პირობით; თუ ურყევად სცნობენ იმ სოციალურ-ეკონომიური წყობილების საფუძვლებს, რომელიც ბურჟუაზიულმა რევოლუციამ შექმნა და ბურჟუაზიულმა იმპერიამ საბოლოოდ განამტკიცა. ნაპოლეონის მემკვიდრეობა უნდა დარჩეს, მაგრამ მემკვიდრე უნდა იყოს არა მისი ძე, არამედ „ლეგიტიმური მონარქი“ ლუდოვიკო XVIII, ასეთი იყო ტალეირანის იდეა 1814 წ. გაზაფხულზე.

კოლენკურმა და მარშლებმა, რომლებიც ნაპოლეონთან და საფრანგეთის გვარდიისა და არმიის ნაშთებთან ერთად ფონტენებლოში იმყოფებოდნენ, სცადეს დაეყოლიებინათ მოკავშირეები და, უწინარეს ყოვლისა, ალექსანდრე, ნაპოლეონთან მოლაპარაკების დაწყებაზე.

31 მარტს კოლენკური, იმპერატორ ნაპოლეონის ოფიციალური წარმომადგენელი, გამოცხადდა ტალეირანთან, რომელსაც წინა დღით ვითომ ძალად „ხელი შეუშალეს“ პარიზიდან გამგზავრებაში. მაგრამ რადგან 31 მარტს მოკავშირეთა ძალებმა უკვე იწყეს შესვლა პარიზში, კვლავაც კომედიის თამაში სრულიად აღარ სჭირდებოდა ტალეირანს. „მე მისკენ მივისწრაფოდი - იგონებდა შემდგომ კოლენკური, - რათა გამეგო საქმეთა ვითარება, (pour prendre langue), დარწმუნებული ვიყავ, სწორედ მასზე უნდა დამემყარებინა ჩემი იმედები ან ჩემი შიში, რადგან ყველას მიეტოვებინა პარიზი დედოფლის გამგზავრების შემდეგ. უმნიშვნელო ადამიანები, რომელნიც დარჩენილიყვნენ, უტყვად იყვნენ და, სხვათა შორის, არც თუ რაიმესთვის გამოდგებოდნენ... გამოცნობა ბ. ტალეირანის გეგმებისა არ იყო იოლი საქმე. მაგრამ ექვი არ მეპარებოდა, ჩვენი ძველი ურთიერთობა აიძულებდა გულახდილად გამოეთქვა ჩემთან, მეგობრები ვართ ერთმანეთისა თუ მტრები. მე რომ დამინახა, თითქოს გაოცდა. „იმპერატორმა დაგვლუპა ჩვენ, შატილიონში რომ ზავის დადება არ დაგვანება“, ასეთი იყო მისი პირველი სიტყვა. „შესაძლოა თუ არა ამ ჩვენი უბედურების ჟამს თქვენი იმედი ვიქონიოთ!“ - ვკითხე მე. „თქვენ შეიტყობთ, რომ მე ჯერ კიდევ ორი დღის წინ ყველაფერი მოვიმოქმდე, რათა მისი ტახტი გადამერჩინა და, რათა იმპერატორიცა და მისი ვაჟიშვილი დამეტოვებინა, მაგრამ იმპერატორი ჩუმად ისეთ ბრძანებებს იძლევა, რომლებიც ყოველივეს ღუპავს. იგი არვის ენდობა, მისმა წერილმა თავისი ძმისადმი (საცა ნაბრძანები იყო იმპერატორის პარიზიდან გამგზავრება) ყველაფერი გააფუჭა. იმის შიშით, ვაითუ რითიმე ვერ ვასიამოვნეთ, ვაითუ ურჩობა გამოგვივიდესო, ყველას და ყოველივეს ბოჭავს. მან დაილუპა თავიც

და დაღუპა საფრანგეთიც. ახლა უკვე არც ერთ ჩვენთაგანზე აღარ არის დამოკიდებული მისი შველა. რად მიიყვანა საქმე აქამდე? რა საჭირო იყო მარესა და ზოგიერთი პირმოთნის რჩევათა იმ ადამიანების რჩევებზე მაღლა დაყენება, რომლებიც ერთგულნი არიან მისი დიდებისა და საფრანგეთისა?“

„ეხლა არ არის მისი შეცდომების გარჩევის დრო, - შევეპასუხე მე, - მე იმპერატორ ალექსანდრესთან გამგზავნა, რომ დაიცვას თავისი თავი, ხელი მოაწეროს ზავს, რომელიც ყველას სურს. დამეხმარებით თუ არა ჩვენი უბედურების ჟამს? ნუთუ მიატოვებთ მას გაჭირვებისას? ნუთუ მსხვერპლად მიიღებთ დედოფალს, რომის მეფეს, საფრანგეთის ჭეშმარიტ ინტერესებს?“ „ჯერ კიდევ ბოლო საბჭოზე მე ყველაფერი გავაკეთე, რომ მათთვის მეშველა, მათი გამგზავრებისათვის შემეშალა ხელი. რაგინდ უსამართლო არ უნდა ყოფილიყო იმპერატორი ჩემდამი, მე თითქმის ერთადერთი ვიბრძოდი მისთვის, მათთვის, - და სრულიად ამაოდ, რადგან იმპერატორმა თავისი განსაკუთრებული ბრძანებანი გასცა. მან ყოველივე დაკარგა რეგენტობის საბჭოშიაც კი. თქვენ შეიტყობთ ამას და იმასაც, რომ მე ყოველივე გავაკეთე, რაც უნდა გამეკეთებინა.[69]“

აქ საუბარი რუსი ჰოფმარშლის გრაფ ტოლსტოის მოსვლამ შეაწყვეტინათ, ხოლო ტოლსტოის თითქმის ფეხდაფეხ მოჰყვა რუსეთის მინისტრი ნესელოვდე. კოლენკური წავიდა, მეტი აღარა სმენია რა ტალეირანისაგან. ტალეირანის სასახლის მისაღები კი უკვე ხალხს გაეცხო: უცხოელ მონარქთა წამომადგენლებს, ათასგვარი ჯურის მთხოვნელებს, უცხო ჯარებით შემოინებული მოქალაქეებს - ყველას ეწადა ეხილა ადამიანი, რომლის დანახვა საფრანგეთის წარმომადგენლად, თითქოსდა ქვეყნის სახელით რომ ლაპარაკობდა, გამარჯვებულებმა თავიანთთვის ხელსაყრელად დაინახეს. იმავე 31 მარტს, საღამოს, დაახლოებით ექვს საათზე, ალექსანდრე მოწყალედ დასთანხმდა დამდგარიყო ტალეირანის სასახლეში. აქ საღამოჟამს (ალექსანდრეს მოსვლის უმალ) მოვიდნენ პრუსიის მეფე, ავსტრიის წარმომადგენლები შვარცენბერგი და ლიხტენშტეინი, კარლ ვასილის ძე ნესელოვდე, პოცო და ბორგო, პრადტი და ბარონი ლუი. ყველა ეს წარჩინებული სტუმარი მასპინძელმა ტალეირანმა თავისი სასახლის დიდებულ დარბაზში აწვია, სადაც სხდომაც გახსნა. და აი აქ უკვე საბოლოოდ გაფორმდა და ხელმოწერილ იქნა მოკავშირეთა გადაწყვეტილება: არავითარ შემთხვევაში არ აწარმოონ მოლაპარაკება არც ნაპოლეონთან, არც მისი ოჯახის რომელიმე წევრთან. ტალეირანის საქმე მოგებული იყო: მან იცოდა, რომ ალექსანდრეს არაფერი ჰქონდა საწინააღმდეგო ნაპოლეონის პირდაპირი მემკვიდრე, რომის პატარა მეფე გამეფებულიყო. ტალეირანს კი მხოლოდ ბურბონთა ოჯახის რესტავრაცია აძლევდა ხელს.

ჯერ ისევ სხდომა მიმდინარეობდა დიდ დარბაზში, როცა ალექსანდრეს კოლენკურის მოსვლა მოახსენეს. ალექსანდრემ ბრძანა გადაეცათ, რომ იგი ჰერცოგს სადამოს ათ საათზე მიიღებს სხდომის შემდეგ. ეს იყო კოლენკურის უკვე მეორე საუბარი ალექსანდრესთან. პირველი მოკავშირეთა ჯარების დედაქალაქში შესვლის წინააღმდეგ მოხდა. და უკვე მაშინ ალექსანდრემ გადაჭრით უარი განაცხადა ყოველგვარი მოლაპარაკების წარმოებაზე ნაპოლეონთან. ახლა, თათბირის შემდეგ, მით უფრო შეეძლო სავსებით კატეგორიულად გაემეორებინა თავისი გადაწყვეტილება. კოლენკურთან მოლაპარაკების დროს ალექსანდრემ ხაზგასმით აღნიშნა, რომ არ სურს თავს მოახვიოს საფრანგეთს რაიმე სახის მთავრობა, ანგარიშს გაუწევს თვით საფრანგეთის სურვილს მხოლოდ. „მაგრამ რა ვიგულისხმობთ საფრანგეთის სურვილად? - შეეპასუხა კოლენკური, - ჯერჯერობით მე ვხედავ, რომ ეს არის სურვილი ბ. ტალეირანის, მიზანი მისი ინტრიგებისა, რომელთაც სურთ კიდევ მიანიჭონ უპირატესი ძალა“. „და თუ ეს ერის სურვილია?“ - იკითხა ალექსანდრემ. „კი მაგრამ საფრანგეთი პარიზში როდია მოქცეული, და არც პარიზის სურვილები ამ სახლის მისაღები ოთახებით არ შემოიფარგლება! - დასძენს კოლენკური და თავისი მემუარების მკითხველს განუმარტავს: „მე ვანიშნებდი ბენევენტის თავადის (ტალეირანის) სახლზე, სადაც ჩვენ ვიმყოფებოდით.“ საუბარი დამთავრდა. კოლენკურს შეეძლო მიმხედარიყო, რომ ნაპოლეონის საქმე წაგებულა. მან მაშინ ჯერ კიდევ არ იცოდა, რომ უკვე 28 მარტიდან მოყოლებული ტალეირანი ენერგიულად აგიტაციას სწევდა პარიზში დარჩენილ სენატორების ჯგუფში ბურბონების მოწვევის სასარგებლოდ. ის ატყუებდა მათ, ასეთია ალექსანდრეს სურვილი, აშინებდა მათ (მათი მეშვეობით კი მთელ ქალაქს) ყალბი ხმის გავრცელებით იმის შესახებ, რომ რუსები ცეცხლსა და მახვილს მისცემდნენ დედაქალაქს, თუ ექვს აიღებენ, რომ ფრანგებს იმპერატორის დატოვება უნდათ ტახტზე. საერთოდ, უნდა ითქვას, რომ პარიზი სრული შეშფოთებით იყო მოცული უკვე პირველი ცნობებიდანვე რუსთა ჯარების პარიზისკენ პირდაპირი მოძრაობის შესახებ. ჩვენ ვიცით, რომ იმ დღეებში რუსეთის არმიაში იმეორებდნენ: „სალამი, მამავ პარიზო! ნეტავ როგორ ზღავ დედა-მოსკოვის სამაგიეროს?“ სწორედ ასეთივე აზრი (მაგრამ, ცხადია, სულ სხვა განწყობილებისა) წუთითაც არ შორდებოდა პარიზელთა გონებას, როცა რუსთა გვარდია, წინააღმდეგობის უნახავად, დედაქალაქში შევიდა.

უამრავი ჩვენებიდან ჩვენთვის ცნობილია, რომ რუსთა გვარდიის შესვლის მომენტში პანიკამ პარიზში კულმინაციურ წერტილს მიაღწია. და უცებ მოულოდნელი, საბედნიერო ცნობა! ალექსანდრემ ბრძანა არვის აწყენინონ, რუსეთის არმიას კეთილმეგობრულად უპირავს თავი, ნაბრძანებია განაგრძონ ვაჭრობა ბაზრებსა და

მაღაზიებში, არავითარ შურისძიებაზე მოსკოვისათვის, თორმეტი წლისათვის, რუსები არც კი ფიქრობენ. უდიდესი შვების გრძნობამ დაათრო და მოაჯადოვა ქალაქი. კოლენკური სწორედ ასე ხმარობს ამ სიტყვას: „მოჯადოება“ (ensourceler): „ბენევენტის თავადის მოქმედებით, მოკავშირეთა ჯარების თანაყოფნამ და იმპერატორ ალექსანდრეს კეთილგანწყობით აღსავსე სიტყვებმა, რომლებსაც იმეორებდნენ და განმარტავდნენ (დინასტიის) ცვლილების სასარგებლოდ, ყველას თავბრუ დაახვია. ეს ძველი სენატორები მოჯადოებულები იყვნენ. უკვე აღარ უფრთხოდნენ შერცხვენას, აღარ ეშინოდათ სახელის გატეხის და გონდაკარგულებივით ჩქარობდნენ ამოქმედებას... მათი გატაცება და მათი შიში (ერთიც იყო და მეორეც) სიგიჟეს უახლოვდებოდა.“ ტალეირანი ზეიმობდა. ამ დღეების განმავლობაში მან მოასწრო ჩაეგონებინა როგორც სენატის, ისე პარიზისთვისაც, რომ ალექსანდრე სწორედ მას, ბენევენტის თავადს, ენდობა, ის იცავს პარიზს განადგურებისაგან რუსთა ხელმწიფისადმი ბურბონთა აღდგენის შეპირებით. აქვე შევნიშნავთ, თვითონ ტალეირანმა ამ დროს შესანიშნავად იცოდა, რომ ალექსანდრეს უფრო რომის პატარა მეფე (ნაპოლეონ II) ერჩივნა ეხილა ტახტზე და სრულიადაც არა ბურბონები. მაგრამ ალექსანდრემდე მიღწევაც ამ კრიტიკულ საათებში ყველაზე უფრო სწორედ მისი, მამასახლისის საშუალებით შეიძლებოდა რომელმაც ასე სტუმართმოყვარულად აწვია რუსთა ხელმწიფე თავისთან. ამგვარ სტუმრებს, რომლებიც კარგ კარიერას იკეთებდნენ და რომლებიც თავს ცუდად როდი გრძნობდნენ ამქვეყნად, როგორც მაგალითად ალექსანდრე, თავადი ტალეირანი მუდამ უადრესი თავაზით ეპყრობოდა. ამ სტუმარს კი, ამასთან ერთად, თან ახლდა ან სიახლოვეს ჰყავდა, ისიც ჯერ მარტო პირველი შემთხვევისთვის, ასი ათასამდე კაცი არტილერიითა და კავალერიითურთ უწყვეტ ნაკადად მომავალი და შემავალი პარიზში.

გერცენი როგორღაც გაოცებული დარჩა, როცა ამოიკითხა, რომ უკვე მოხუცებაში გადამდგარი ტალეირანი დიპლომატიურ სარბიელზე ახალგამოსულ ჭაბუკ ა. გორჩაკოვს შეხვედრისას „ასწავლიდა საიდუმლოებას, როგორ შესთავაზო სტუმრებს ზურგიელი თავაზითა და მათი ძალმოსილება-უძალობის შესაბამისად.[70]“ ადვილი მისახვედრია, რატომ ამჟღავნებდა ბენევენტის თავადი, ალექსანდრეს რომ მასპინძლობდა, „თავაზიანობის“, ანუ უფრო სწორედ, ქლესაობის მაქსიმუმს.

როგორც ფარისეველსა და ორპირ კაცს, რომელსაც შეეძლო ვის ტყავშიც გნებავდათ მოგჩვენებოდათ და სურვილისამებრ ხანგრძლივ ეტარებინა ნებისმიერი ნიღაბი, გადართულიყო მოცემულ მომენტში საჭირო ყოველგვარ განწყობილებაში,

ალექსანდრეს მაშინდელ დიპლომატებს შორის არვინ ჰყავდა ღირსეული მეტოქე, გარდა ერთი ტალეირანისა.

მვირფასი სტუმრის სწორედ ამ თვისებებს შეეძლო ძლიერ შეეშფოთებინა თავაზიანი მასპინძელი. ტალეირანი, ჩვენ ეს ვიცით, არსებითად იმგვარივე ულმოხელი აზრისა იყო ალექსანდრეზე, როგორიც ასი წლის შემდეგ „ჰაჯი-მურატის“ დიდმა ავტორმა გამოთქვა მეფის შესახებ: „პირმოთნე და მამისმკვლელიო.“ მეორე თვისება სრულიად არ ეხებოდა და არ აინტერესებდა ტალეირანს; ოჯახურ გადმოცემებში და, ასე ვთქვათ, რუსეთის სამეფო გვარეულობის ნათესაურ გრძნობებში იგი არ ერეოდა. მაგრამ მან მტკიცედ იცოდა, რომ ბრძოლა საშიშ პირმოთნესთან და სიმულიანტთან მოელის, რომელიც ამ მხრივ მას არ ჩამოუვარდება. წინათგრძნობას არ მოუტყუებია გულთბილი მასპინძელი, რომელიც აღტაცებით გაეგება გარეთ (შემოსასვლელთან) თავის უმოწყალესად მომღიმარ, ალერსიანსა და ფარისეველ სტუმარს.

თანამედროვენი, ისეთი ჭკვიანი და გამჭრიახი ადამიანებიც კი, როგორიც მაგალითად სტენდალია, რომელიც პირადად ადევნებდა თვალყურს პარიზის ამბებს, არ იყვნენ დაზღვეული იმ დღეებში „ტალეირანის ინტრიგის“ გადამწყვეტი მნიშვნელობის მეტისმეტ გაზვიადებისაგან: „იმპერატორი ალექსანდრე ტალეირანთან ჩამოხდა. ამ უმნიშვნელო გარემოებამ საფრანგეთისა და, ალბათ, ევროპის ბედიც გადაწყვიტა... ეს იყო გადამწყვეტი მნიშვნელობის ფაქტი... ტალეირანს ბედნიერება ჰქონდა თავისთან დაესახლებინა მონარქი, რომელიც ერთი თვის მანძილზე საფრანგეთის ბატონ-პატრონი და კანონმდებელი იყო.[71]“

სტენდალი, რომელმაც 1814 წ. მთელი აპრილი პარიზში გაატარა, თავის სახელგანთქმულ რომანში „წითელი და შავი“, იმეორებდა ტალეირანის სახელს, როგორც ბურბონთა რესტავრაციის შემოქმედისას, თუმცა იქვე უკვე სავსებით უსაფუძვლოდ მიუთითებს პოცო დი ბორგოსა და პრადტზე[72]. პოცო დი ბორგო, როგორც რუსეთის დიპლომატი, ალექსანდრეს ნების უბრალო ამსრულებელი იყო 1814 წელს, ხოლო აბატ პრადტს ბურბონების გამეფებაში არავითარი შესამჩნევი როლი არ უთამაშია.

მოკავშირეთა გადამწყვეტი სხდომა და შემდეგ ალექსანდრეს საბოლოო საუბარი კოლენკურთან 31 მარტს საღამოს შედგა, ხოლო მეორე დღეს ტალეირანმა უკვე შეძლო მოეწვია, როგორც უკვე აღვნიშნეთ, 74 სენატორი, ნახევარი - სენატის სრული შემადგენლობისა, და მათ, ტალეირანის მოთხოვნისამებრ აირჩიეს (თუმცა ფაქტიურად მხოლოდ 63 კაცი გამოცხადდა) ხუთი წევრისაგან შემდგარი დროებითი მთავრობა, რომელიც მთლიანად ლეგიტიმისტური იყო. ამ მთავრობის სათავეში, რა



თქმა უნდა, ტალეირანი დადგა. ეს საარჩევნო კომედია ტალეირანს იმისთვის დასჭირდა, რომ საიმპერატორო სენატისაგან ახალი „მთავრობის“ ხელში ხელისუფლების სამართლიანი, კანონიერი გადაცემა გაეთამაშა ალექსანდრეს თვალში. სრული მოხერხებულობის მიზნით მთელი ეს ახალმოვლენილი „დროებითი მთავრობა“ ტალეირანმა თავის სახლში გადმოიყვანა (სადაც უკვე 31 მარტიდან ცხოვრობდა ალექსანდრე). მოსახლეობის შიშის, დაბნეულობის და მორალური დამბლის ვითარებაში ტალეირანმა და მის ირგვლივ დარაზმულმა როიალისტების აქტიურმა ჯგუფმა შეძლეს მოეწყოთ რამდენიმე მანიფესტაცია, რათა დაემტკიცებინათ მოკავშირეებისათვის, რომ საფრანგეთს ბურბონების რესტავრაცია სურს.

ბურჟუაზიამ, დამარცხებული ქვეყნისადმი ალექსანდრეს კეთილგანმწყობი დამოკიდებულებით დამშვიდებულმა, ჩქარა იწყო ტალეირანის პოზიციაზე გადასვლა. იმპერატორის წარჩინებული პირები ზედიზედ მოდიოდნენ ტალეირანის სასახლეში და სრულ მორჩილებას აცხადებდნენ. ბირჟა უკვე 1, განსაკუთრებით კი 2 აპრილს რენტის მკვეთრი აწევით რეაგირებდა: 45 ფრანკიდან 29 მარტს 63 ფრანკამდე აიწია 1 აპრილს. კლასი, რომლის ინტერესებსაც ყველაზე უფრო იმპერია ემსახურებოდა, აშკარად ღალატობდა მას. თავს იჩენდა უიმედობა საომარი მოქმედების განგრძობისა მთელი ევროპის წინააღმდეგ, ნაპოლეონის პოლიტიკის მრავალი და მრავალი დამახასიათებელი თვისებით გამოწვეული უკმაყოფილება, რაც უკვე დიდი ხანია დაგუბებულიყო ბურჟუაზიის სხვადასხვა ფენებში. მაგრამ მუშები პირქუშად დუმდნენ. მათ უმრავლესობას ბურბონები და თავადაზნაურული ფეოდალიზმის აღდგენის აჩრდილი მაშინ ჯერ კიდევ უფრო დიდ ბოროტებად ეჩვენებოდა, ვიდრე სამხედრო დესპოტი. დაბოლოს, ნაპოლეონის არმია ჯერ კიდევ არ იყო მთლად განადგურებული, ჯერაც ურყევად ერთგული იყო თავისი ბელადისა და იდგა შორიახლო, ფონტენებლოში. 1-2 აპრილს ალექსანდრე ჯერ ისევ ყოყმანობდა, და აზრი რომის მეფის გამეფების და მისთვის რეგენტად მარია-ლუიზას დანიშვნისა ჯერ კიდევ თავში უტრიალებდა. ტალეირანმა ცდა გააორკეცა. თავადს მოკავშირეთა ის მოსაზრებაც შეელოდა, რომ თუ იმპერატორის გადადგმის შემდეგ მისი სამი წლის ვაჟი ავიდოდა ტახტზე, და რეგენტად მარია-ლუიზა დაენიშნებოდა, ადრე თუ გვიან ნაპოლეონი აქტიურად ისევ დაეუფლებოდა უმაღლეს ხელისუფლებას. ხელს უწყობდა ტალეირანს აგრეთვე სრული აპათია და მორჩილება დედაქალაქისა. მოკავშირეები პირდაპირ განცვიფრებულნი იყვნენ პარიზელთა ასეთი განწყობით.

ნაპოლეონის რკინისებურმა დესპოტიზმმა ფრანგი მოქალაქენი გადააჩვია აქტივობას. თავს იჩენდა აგრეთვე სასტიკი დაღლილობა ამ თაობისა, რომელმაც ამდენი ბედუკუდმართობა გამოიარა უკანასკნელი მეოთხედი საუკუნის მანძილზე, გადაიტანა ნაპოლეონის ეპოპეის თითქმის ოცწლიანი განუწყვეტელი ხოცვა-ჟლეტა. ზოგიერთ რუს სამხედრო პირზე პარიზელების საქციელი პირდაპირ საძრახის შთაბეჭდილებას ახდენდა. მაგალითად, აღშფოთებული იყო მათი არაპატრიოტულობით 1814 წელს და, განსაკუთრებით, ნაპოლეონისადმი მათი „ღალატით“, რუსეთის 1812 წ. სახალხო ომის გმირი პარტიზანი დენის დავიდოვი; გვიანდელი გამოცხილი მაშინდელი პარიზის რუს თვითმხილველთა მსგავსი განწყობილებებისა გვაქვს ლერმონტოვთანაც, ფრანგების მისამართით თქმულ მის საყვედურებში: „...შიშით ვერ სცანით თავის შერცხვენა, ვითა დიაცმა, თქვენ მას უმუხთლეთ, და ვით მონებმა, გაეცით იგი...“ საგულისხმოა: როცა როიალისტებმა განიზრახეს (2 აპრილს) წაეყციათ ვანდომის ნაპოლეონისეული სვეტი, ისინი სასწრაფოდ გადარეკა მოედნიდან და სვეტი გადაარჩინა რუსული გვარდიის სემიონოვის პოლკმა. მაგრამ თუ საერთოდ ვილაპარაკებთ, როიალისტები მოკავშირეთა დაუხმარებლად მაინც ვერ იქონიებდნენ იმედს, თუნდაც ნაპოლეონის ჩამოცილების შემდეგ, დაესვათ ტახტზე უაღრესად არაპოპულარული დინასტია ბურბონებისა, რომელიც დამხობილ იქნა ჯერ კიდევ 1792 წ. 10 აგვისტოს, რევოლუციის სახელოვან, დაუვიწყარ წლებში. და ტალეირანის ყველა ღონისძიება და ხრიკები 1814 წ. აპრილის პირველ დღეებში იქით იყო მიმართული, არ დაეშვა რომის მეფის (ნაპოლეონ II) გამეფებისა და მარია-ლუიზას რეგენტობის აზრის განხორციელება, რადგან ამგვარი აზრი ჯერ კიდევ ჰქონდა ალექსანდრეს. ეს იდეა გაქრა, როცა 4 აპრილს ბევრისათვის, მაგრამ არა ტალეირანისათვის, სავსებით მოულოდნელად მარშალმა მარმონმა უღალატა ნაპოლეონს და მოკავშირეებთან შეთანხმებით თავისი კორპუსი ესონიდან დასავლეთით, ვერსალისკენ წასწია. ამ ნაბიჯის გადასადგმელად მას უკვე რამდენიმე დღეა აგულიანებდა ტალეირანი. ამ უკანასკნელმა იცოდა, რომ მარშალ მარმონის ღალატით ნაპოლეონს ესპობოდა ყოველგვარი შესაძლებლობა განეახლებინა რამდენიმე დღით შეწყვეტილი საომარი მოქმედება.

ამ მომენტის შემდეგ ალექსანდრესთვის უკვე არავითარ საჭიროებას აღარ წარმოადგენდა დათანხმებულიყო კოლენკურის მიერ შემოთავაზებულ კომპრომისზე, ე.ი. ნაპოლეონის მემკვიდრის გამეფებაზე და იმპერატრიცა მარია-ლუიზას რეგენტობაზე. ალექსანდრეს არგუმენტი ხომ, როცა იგი თავის მოკავშირეებთან ლაპარაკობდა, მხოლოდ ის შეიძლებოდა ყოფილიყო, რომ თუ დათანხმდებიან რეგენტობაზე, ნაპოლეონი საბოლოოდ დაყრის იარაღს და

სისხლისღვრის განგრძობის საფრთხე აცილებულ იქნება. ჩაადენინა რა ღალატი მარშალ მარმონს, ტალეირანმა ამით კოლენკურს უკანასკნელი იარაღი გააგდებინა, რომელიც ჯერ კიდევ რჩებოდა იმპერიის შენარჩუნების მომხრეთა ხელში.

ნაპოლეონმა გაითვალისწინა ეს საშინელი, გამოუსწორებელი დარტყმა, მას რომ მიაყენეს და ერთბაშად რომ ყოველგვარი საშუალება მოუსპო შემდგომი სამხედრო წინააღმდეგობისა. თავის სიკვდილისწინა ანდერძში, რომელიც წმ. ელენეს კუნძულზეა დაწერილი, იგი მარშალ მარმონს ტალეირანთან ერთად მთავარ მოღალატეებად ასახელებს. მარმონი მთელი თავისი სიცოცხლე ცდილობდა მოემორებინა ეს ლაქა, რომელმაც, როგორც თვითონ აღიარებდა, სამუდამოდ შებღალა მისი ღირსება და დაუკარგა პატიოსანი კაცის სახელი. ის დაჟინებით ამტკიცებდა შემდგომ, რომ პარიზიდან გამოგზავნილმა (ტალეირანის ცდით) ემისრებმა შეცდომაში შეიყვანეს, მოატყუეს და დააბნიეს, და რომ იგი ფიქრობდა, „აკეთებდა საქმეს, იმპერატორისათვის სასარგებლოს!“ .....სახელი შემიგინესო!“ - სასოწარკვეთით მოსთქვამდა იგი უკვე 5 და 6 აპრილს.

ასე იყო თუ ისე, მარმონის საქციელი გამოუსწორებელი აღმოჩნდა, რასაც იმედოვნებდა კიდევ ტალეირანი. ნაპოლეონმა ფონტენებლოში გადაწყვიტა უარი ეთქვა ტახტზე თავისი შვილის სასარგებლოდ, თავისი ცოლის, იმპერატრიცა მარია-ლუიზას რეგენტობით. მაგრამ როცა 5 აპრილს დილით კოლენკური, მარშალი ნეი და მაკდონალდი პარიზში მივიდნენ, რათა ეს ამბავი იმპერატორ ალექსანდრესთვის გადაეცათ, მაშინვე დაინახეს, რომ მათი საქმე უიმედოა. ჯერ-ერთი, მეფე მიუთითებდა, სენატმა ტალეირანის შეგულიანებით უკვე გამოიტანა დადგენილება ბონაპარტა დინასტიის დამხობის შესახებო შემდეგ, როგორც ეს გამოირკვა მარშლების მეორედ შეხვედრის დროს ალექსანდრესთან, რაც იმავე 5 აპრილს საუზმის შემდეგ მოხდა, მოკავშირეებს (ავსტრიელებსა და პრუსიელებს) უკვე სრულიად აღარ აშინებდათ სამხედრო შეტაკებების საფრთხე და ვერავითარ მიზეზს ვერ ხედავდნენ, რად წასულიყვნენ ისეთ კომპრომისზე ნაპოლეონთან, როგორიც იყო მისი შვილის გამეფება და მისი ცოლის რეგენტობა. გონს მოსული, იჭვებითა და შერცხვენის შიშით გათანგული მარმონი, მართალია, პირადად შეუერთდა კოლენკურს, ნეისა და მაკდონალდს, როცა ისინი ხელახლა ეახლნენ რუსთა იმპერატორს, რომელიც, კოლენკურის თქმით, „ცოტა არ იყოს, გაოცებული დარჩა“, მარმონი რომ რეგენტობის იდეის დასაცავად მოსულ ამ დელეგაციაში დაინახა, მაგრამ მათ, რა თქმა უნდა, უკვე აღარაფრის მიღწევა აღარ შეეძლოთ.

5 და 6 აპრილის მოსაზღვრე ღამეს ნაპოლეონის რწმუნებულები, რომლებიც ხელახლა შეხვდნენ ალექსანდრეს, ჯერ ისევ ცდილობდნენ შეენიშნათ მასში რაიმე ყოყმანი.

მაგრამ სწორედ აღნიშნულ დამეს პარიზში ზუსტი ცნობები იქნა მიღებული იმის შესახებ, რომ მარმონის კორპუსმა უკვე მთლიანად განვლო მოკავშირეთა ხაზი და, ფაქტიურად, გამოვიდა ნაპოლეონის არმიის მწყობრიდან. ამ მომენტიდან ყოველივე უკვე სავსებით დამთავრდა. 6 აპრილს ალექსანდრემ გამოაცხადა, რეგენტობა შეუძლებელია და მოკავშირეები საბოლოოდ შეჩერდნენ ბურბონთა დინასტიის აღდგენაზე, როგორც ერთადერთ გამოსავალზე.

6 აპრილს იმპერატორის რწმუნებულები პარიზიდან ფონტენებლოში დაბრუნდნენ და თავიანთი მისიის ჩავარდნის ამბავი მოიტანეს. ნაპოლეონმა ხელი მოაწერა ტახტიდან გადადგომას.

ტალეირანმა გააკეთა თავისი საქმე. საფრთხე, ბონაპარტების დინასტიას, რომელიც გასცა, შური არ ეძია მასზე მომავალში, აცდენილ იქნა. „მთავარს ბენევენტისა: რომელმაც მზრუნველად და მოწიწებით შეინარჩუნა ნაპოლეონისაგან ნაბოძები ეს ტიტული, წინ უმშვენიერესი პერსპექტივები ეხატებოდა, დაკავშირებული ბურბონთა მადლიერების გრძნობასთან, რომელთა სასარგებლოდაც ბონაპარტები გასცა.

და შეიძლება ითქვას, მაშინვე, როგორც კი ძველი თავადის ცდანი და ინტრიგები სრული წარმატებით დაგვირგვინდა, გამომჟღავნდა აუცილებელი ზხარი მასა და მისგან ამაგნანახ ბურბონებს შორის. სინამდვილეში, ბურბონები მუდამ სძაგდა ტალეირანს, ხოლო ტალეირანი კიდეც სძაგდათ და კიდეც სძულდათ ბურბონებს. მაგრამ 1814 წ. მარტის უკანასკნელი სამი დღისა და აპრილის მთელი პირველი კვირის მანძილზე მოკავშირეთა თვალისწინ ტალეირანი ისე ირჯებოდა, ისე იჭირვებდა და თავს არ იზოგავდა, რათა ტახტზე დაესვა ბურბონები, რომ მოკავშირეთა შორის ზოგიერთები (მაგრამ არამცდარად არა ალექსანდრე) სერიოზულად ფიქრობდნენ, ეგ არის, როიალისტების ძე შეცდომილი, ხანგრძლივი და მრავალფეროვანი პოლიტიკურ მოგზაურობათა შემდეგ, ბოლოსდაბოლოს მართლაც დაუბრუნდა მამაპაპეულ კერას და ამიერიდან უკუნისამდე თეთრი დროშის ერთგული იქნებაო.

მაგრამ ეს არ მომხდარა და არც შეიძლებოდა მომხდარიყო. ბურბონებისა და, განსაკუთრებით, მათთან ერთად დაბრუნებული თეთრი ემიგრანტებისაგან ტალეირანს ჰყოფდა ის, რომ იგი გამჭირავი იყო, ემიგრანტები კი თითქმის ყველანი პოლიტიკურად საოცრად ბეცები იყვნენ. მათ აბსოლუტურად არა გაეგებოდათ რა ახალი საფრანგეთისა. იმ ფაქტიდან გამომდინარე, რომ თავისი განუწყვეტელი ხოცვა-ჟლეტით, თავაწყვეტილი სამხედრო დესპოტიზმით, სოფლის გამაჩანაგებელი მუდმივი გაწვევებით ნაპოლეონმა დაქანცა და გამოასავათა მოსახლეობა,

ემიგრანტები ასკვნიდნენ, რაკი ნაპოლეონს მხარი არ დაუჭირეს, პასიურად შეხვდნენ ტალეირანის და როიალისტების მიერ თავსმოხვეულ ძველ დინასტიას, ბურჟუაზია და გლეხობა, (მუშებს ისინი უბრალოდ უგულვებელყოფდნენ) იოლად უარს იტყვიან ყოველივე იმაზე, რაც გააკეთა 1789 წ. ბურჟუაზიულმა რევოლუციამ, აგრეთვე ყოველივე იმაზედაც, სამოქალაქო და ადმინისტრაციულ-სამართლებრივი კანონმდებლობისა და სახელმწიფო ხელისუფლების ორგანიზაციის დარგში იმპერატორმა რომ გააკეთაო. აი სწორედ აქ ხედავდნენ გონიერი ადამიანები, მსგავსად ტალეირანისა, საშინელ საფრთხეს ბურბონებისათვის, რაც ახლა თუ არა, მომავალში უთუოდ მოელოდა მათ. ისეთ რეაქციონერებს, კლერიკალური ბნელეთის ისეთ განსახიერებულ მოციქულებსაც კი, როგორიც იყო მაგალითად ჟოზეფ დე მესტრი, მათაც კი მიაჩნდათ, რომ ბურბონები ბრუნდებოდნენ არა „მამაპაპეულ“, არამედ ბონაპარტის ტახტზე, რადგან უკვე შეუძლებელი იყო ყოველგვარი სხვა ტახტის არსებობა საფრანგეთში. თვით ლუდოვიკ-სტანისლავიც კი (რომელმაც ლუდოვიკო XVIII დაირქვა) თუ გონებით ვერა, თავდაცვის ინსტინქტით მაინც ხვდებოდა, რომ ლაპარაკის დაწყება ძველი რეჟიმის აღდგენაზე სასიკვდილოდ თავის გადადებას ნიშნავდა. მაგრამ სამაგიეროდ მის ღვიძლ ძმას, აულაგმავი როიალისტური („ლეგიტიმური“) რეაქციის მეთაურს, კარლ დ'არტუას, სრულიად არაფერი გაეგებოდა, და, უწინარეს ყოვლისა, სწორედ მასთან მოუხდა შეჯახება ტალეირანს. მართალია, საქმე ჯერჯერობით მხოლოდ სიმბოლოს, ემბლემას ეხებოდა, მაგრამ ტალეირანს არ შეეძლო ამთავითვე არ დაენახა, რომ მართლაც, მისი და ალექსანდრე პირველის თქმისა არ იყოს, ბურბონებს „არც არაფერი დავიწყებით და არც არაფერი უსწავლიათ“, „არც გამოსწორებულან და გამოსწორებელნიც არიან“ (incorriges et incorrigibles). ჯერაც გაჭირვებით თუ შეიძლებოდა ბურბონების რესტავრაციის მომხდარ ფაქტად მიჩნევა, ეს იყო სწორედ იმპერატორის გადადგომის დღეს: ტალეირანმა წერილი გაუგზავნა ვიტროლს, როიალისტსა და გრაფ კარლ დ'არტუას მეგობარს, დაჟინებით იძლეოდა რჩევას, პარიზში შემოსვლის დროს ქუდზე სამფეოვანი კოკარდა გაეკეთებინათ. ეს ემბლემა ჯერ კიდევ 1789 წ. რევოლუციის პირველ თვეებში წარმოიშვა და იგი რომ მიეღოთ ბურბონებს (აქედან გამომდინარე კი, ცხადია, სამფეოვან დროშასაც მიიღებდნენ) იმის მანიშნებელი იქნებოდა, რომ დაბრუნებული დინასტია ურიგდება რევოლუციური ეპოქისა და ნაპოლეონის კანონმდებლობის იმ მონაპოვარს, რომელსაც ყველაზე უფრო უფრთხილდებოდა, პირველ რიგში, მესაკუთრე საფრანგეთი, ქალაქისა და სოფლის ახალი ბურჟუაზია. ეს სიმბოლური ჟესტი მეფის ძმისა ერთგვარად დამამშვიდებლად იმოქმედებდა იმათზე, ვისაც ეშინოდა, ბურბონებს რევოლუციის მერე დასამარებელი ფეოდალიზმის აღდგენა არ დაეწყოთ. ტალეირანი თხოვდა

ვიტროლს ხაზგასმით აღენიშნათ კარლ დ'არტუასთან საუბარში, რომ ეს იმპერატორ ალექსანდრე პირველის, საფრანგეთის ბედის მაშინდელი გამგებლის სურვილსაც შეადგენდა: „ყველა იმ აზრისაა, მონსენიორმა გრაფმა დ'არტუამ სამფეროვანი კოკარდა გაიკეთოს. არმიაში, როგორც ეტყობა, ძლიერია ამის სურვილი. რუსთა იმპერატორიც გრძნობს, ეს იქნებოდა შერიგების პუნქტი, რომლის მიღებაც კეთილგონივრულია.“ მაგრამ ნურას უკაცრავად. ბურბონებმა მიიღეს არა სამფეროვანი, არამედ ძველი, თეთრი კოკარდა, ძველივე თეთრი სამეფო დროშა, სიმბოლო ფეოდალური მონარქიისა, სამულველი ბურჟუაზიისთვისაც, გლეხობისთვისაც და მუშებისთვისაც. დინასტია, კარლ დ'არტუას სახით, თავისი დაბრუნების (1814 წ. 6 აპრილი) ამ პირველი მომენტებიდანვე სწორედ იმ გზას დაადგა, რომელმაც თექვსმეტი წლის შემდეგ იგი 1830 წ. ივლისის რევოლუციამდე მიიყვანა და საბოლოოდ სამარადისოდ დააკარგვინა ტახტი. ასმა დღემაც კი, ამ მკაცრმა გაფრთხილებამ, ვერ შეასმინა რა მათ და ოდნავადაც გონს ვერ მოიყვანა ისინი. ტალეირანმაც, დაინახა რა მისი სიჯიუტე, დიდად აღარ დაიჟინა და მიიღო თეთრი კოკარდა.

აქვე აუცილებელია აღინიშნოს შემდეგი. ტალეირანმა, რომელიც თავის გამჭრიახობით და მიხვედრილობით ისევე საჩინო იყო, როგორც თავისი ზნედაცემულობით, ბურბონების რესტავრაციის პირველ დღეებშივე დაინახა არა მარტო ის, თუ რა საშიში იყო ძველი დინასტიისათვის ახალი საფრანგეთის ვერ გაგება, არამედ ის საშინელი საფრთხეც, რასაც ბურბონებს კუნძულ ელბაზე მყოფ ნაპოლეონის მეტისმეტი სიახლოვე უქადდა. ტალეირანს ბევრი რამისთვის სძულდა ალექსანდრე: იმის გამო, რომ ამ ფარისეველმა, ცბიერმა „ბიზანტიელმა ბერძენმა“, იქვიანმა, არაგულწრფელმა მეფემ დიდი ხანია ბოლომდე გამოიცნო და შეისწავლა თვით ისიც კი, ბენევენტის მხცოვანი თავადი - ტყუილების უბრძნესი მამა და გამცემლობის პატრიარქი; იმის გამოც, რომ მას შემდეგ, რაც ტალეირანი საიდუმლო რუსულ სამსახურში შევიდა 1808 წელს ერფურტში, ალექსანდრეს, თავის კეთილგანმწყობ ღიმილთა მიუხედავად, სავსებით მაინც არ შეეძლო დაეფარა თავისი უპატივცემულობა მისდამი; იმის გამო, რომ ეხლაც კი, 1814 წ. აპრილი, როცა ისინი მნიშვნელოვანწილად ერთსულოვნად მოქმედებდნენ, რუსთა მეფე თუმცა ყველაფერზე უარით ისტუმრებდა კოლენკურს, ატარებდა პოლიტიკას, რომელსაც მხარს უჭერდა თვით ტალეირანიც და რასაც შედეგად ბურბონების რესტავრაცია მოჰყვა, მაგრამ მაინც მხურვალედ, გულითადად, მეგობრულად ესალმება კოლენკურს, ხმამაღლა აქებს ვიჩენცის ჰერცოგს მისი ერთგულებისათვის დაცემული იმპერატორისადმი. დემონსტრაციულად ყოველნაირად უცხადებს მას სრულ პატივისცემას და უცილობელ პირად თანაგრძნობას; ხოლო რაც შეეხება ტალეირანს,

ამ უკანასკნელის მისამართით კეთილგანმწყობ ღიმილს და ოფიციალურ თავაზიანობას სჯერდება, რომელთა სიყალბესაც თავადი აშკარად ხედავს. მაგრამ განსაკუთრებით თავისი „დიდსულოვნების პრეტენზიებით“ აღიზიანებდა მას ალექსანდრე, ამასთან ამ პრეტენზიებმა, რომლებისაც ტალეირანს არა სჯეროდა, ბოლოსდაბოლოს, ძველი თავადის აზრით, მეტად საშიშ გადაწყვეტილებამდე მიიყვანეს საქმე: ნაპოლეონის მფლობელობაში კუნძულ ელბის გადაცემამდე. ტალეირანს თავიდანვე ეშინოდა ამ კომბინაციის, რომლისკენაც რუსთა ხელმწიფეს კოლენკურმა უბიძგა. კოლენკურისავე დაჟინებული მოთხოვნით შეუნარჩუნეს ნაპოლეონს იმპერატორის ტიტული და გადასცეს კუნძული, რომელიც ასე ახლო მდებარეობდა საფრანგეთისა და იტალიის ნაპირებთან. ე.ი. იმ ორი ქვეყნიდან, სადაც ნაპოლეონი დიდხანს მეფობდა. ითვალისწინებდა რა მომავალ უგუნურ შეცდომებს თავიანთი მდგომარეობის სრულ უმეცარ როიალისტ რეაქციონერებისას, აგრეთვე ნაპოლეონის ხასიათს და საფრანგეთის არმიის დაუფარავ სიძულვილს თეთრი დროშის, თეთრ ემიგრანტთა - „მოღალატეთა“ დროშის მიმართ, რომელიც თავიანთი ჩამოსვლის პირველ დღესვე მოახვიეს ბურბონებმა არმიას თავზე, აგრეთვე ჯარისკაცთა ერთგულებას ნაპოლეონისადმი - ტალეირანი „კუნძულ ელბის იმპერატორის“ ფიზიკურ სიახლოვეს საფრანგეთთან უდიდეს საშიშროებად თვლიდა. როცა 1815 წ. მარტში ტალეირანის ეს წინასწარხედვა სავსებით გამართლდა, მეტერნიხი იმასღა იკვებნიდა, რომ ისიც ისევე, როგორც ტალეირანი, ნაპოლეონის ელბაზე ყოფნას სახიფათოდ მიიჩნევდა. „დროებითი მთავრობა“ ტალეირანის ხელმძღვანელობით ყველაფერ შესაძლებელს და შეუძლებელს აკეთებდა, ზეგავლენა მოეხდინა ნესელროდზე და ყოველგვარი სხვა საშუალებით ალექსანდრეზე, რათა ეიძულებინათ ეს უკანასკნელი, უკან წაეღო კოლენკურისადმი მიცემული თავისი სიტყვა. მაგრამ ამ ღონისძიებათაგან არაფერი გამოვიდა, - ალექსანდრემ უარი თქვა თავისი შეპირების დარღვევაზე.

ტალეირანს არასოდეს ჰქონია ბურბონების პატივისცემა. მათ არ გაიგონეს მისი რჩევა დროშის თაობაზე, და მალე საზოგადოდ უკვე იწყო შემჩნევა, რომ რესტავრაცია, შესაძლოა, არც ისე ხანგრძლივი გამოდგეს. მაგრამ არჩევანის მოხდენა უკვე გვიანდა იყო. ტალეირანმა განაგრძო დაწყებული საქმის დაბოლოება. უახლოეს დღეებში სენატმა, ტალეირანის მითითებით, არმია და ხალხი ნაპოლეონის წინაშე დადებული ფიცისაგან გაათავისუფლა. ნაპოლეონის დინასტია დამხობილად გამოცხადდა. ნაპოლეონმა, ამისგან დამოუკიდებლად, ფონტენებლოში ხელი მოაწერა თავის გადადგომას. ტახტზე ლუდოვიკო მეოთვრამეტე დაჯდა.

ამგვარად, ტალეირანმა თავისი გაიტანა. „მან გაყიდა დირექტორია, გაყიდა საკონსულო, იმპერია, იმპერატორი, გაყიდა რესტავრაცია, მან ყოველივე გაყიდა, და თავისი სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე არ შეწყვეტს, ყველაფერი, რასაც შესძლებს, ჰყიდოს, ისიც კი, რის გაყიდვასაც ვერ შესძლებს“, - ამბობდა შემდგომ მასზე ქალბატონი სტალი, რომელიც მწარედ ნანობდა, კარიერაში რომ მოუმართა ხელი 1797 წელს, როცა ბარასს საგარეო საქმეთა მინისტრის პორტფელი გამოსთხოვა მისთვის. მალე გაჩნდა ულტრაროიალისტური კარიკატურები და ფურცლები, რომლებშიც ტალეირანის ღალატობანი დირექტორიიდან კი არა, ძველი რეჟიმიდან და კათოლიკური ეკლესიიდან იწყებოდა.

მაგრამ მდგომარეობა ისეთი იყო, რომ მიუხედავად იმისა, კარგად იცოდნენ, რასაც წარმოადგენდა ტალეირანი, ხალხი იწყებდა ოცნებას მასზე, როგორც საფრანგეთში მოზღვავებულ ხარბ, თავხედ, გაუთვითცნობიერებელ ემიგრანტულ-თავადაზნაურული ხროვის უგუნურებათაგან მხსნელს.

„მე ვნახე აქ, მეტად ახლოს, დიდი სპექტაკლი. ყოველივე უდიდესის უბრალოებით მოხდა. დიდნი და მცირენი მოქმედებდნენ შეფარდებით თავიანთ ინტერესებთან, არ ფიქრობდნენ იმაზე, რას იტყვიან ამის შესახებო (sans songer au qu'en dira-t-on). (კურსივი სტენდალისაა - ე. ტ.). მე მგონია, გრაფი დ'არტუა გასაჭირშია, როგორ დააკმაყოფილოს ყველა პრეტენზია: 30.000 აზნაური იყრის თავს ყოველი მხრიდან, მათ არაფრის გაკეთება ძალუძთ და ითხოვენ ყველაფერს. საბედნიეროდ, არის აქ ერთი კაცი, დიდად ჭკვიანი, ბ. ტალეირანი, ღირსი პირველი მინისტრობის“, - ასე წერდა სტენდალი თავის დას 1814 წ. 15 აპრილს[73].

ის წერდა ამას ერთი კვირის შემდეგ იმ დღიდან, როცა ოფიციალურად განაცხადა, რომ „მზადყოფნით“ (avec empressement) ემორჩილება სენატის გადაწყვეტილებას, რომლითაც გამოცხადებულ იქნა ნაპოლეონის დამხობა და ბურბონების მოწვევა[74].

საკუთარ ოპორტუნიზმს 1814 წელს ხელი არ შეუშლია სტენდალისთვის, როგორც ყოველთვის, ახლაც ყურადღებიანი დამკვირვებელი ყოფილიყო გარეშე მოვლენებისა.

1814 წ. 13 მაისს ლუდოვიკო მეთვრამეტემ გააკეთა იგივე, რაც ჰქმნა დირექტორიამ 1797 წ., ხოლო ბონაპარტმა - 1799 წელს. მან ტალეირანი საგარეო საქმეთა მინისტრად დანიშნა. აი როგორი გამოთქმებით ატყობინებს ტალეირანი (აქაც, სხვათა შორის, იგი იმავე ტიტულით აწერს ხელს, რომელიც მას „უზურპატორმა და ტირანმა“ უბოძა: „თავადი ბენევენტისა“) თავისი ამ დანიშვნის შესახებ რუსეთის მინისტრს გრაფ ნესელროდეს: „იმ დროს, როდესაც წინაპართა ტახტზე დაბრუნებული მისი



უდიდებულესობა ცდილობს აღადგინოს და განამტკიცოს მშვიდობა და თანხმობა, რაღაც მის წინაპართა მეფობის ჟამს საერთოს ხდიდნენ მთელი ევროპის ინტერესებს, ფუნქციები, რომლებიც მეფემ მე მომანდო, ახალ განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს[75].“

ეს არის კურიოზული სიცრუე, თითქმის აშკარა ცინიკური დაცინვა, თითქოს ლუდოვიკო მეთექვსმეტის „წინაპრების“ დროს „საერთოევროპული ინტერესების: ედემისებური იდილია არსებულებო. განსაკუთრებით სასაცილო ის არის, რომ ამას ტალეირანი ამბობს, კაცი, რომელმაც სხვებზე უკეთ იცოდა, რა აშკარად მტრული პოზიცია ეჭირა ვერსალის სამეფო კარის დიპლომატიას სწორედ რუსეთის მიმართ და რაც ათწლეულობით კი არა, თითქმის მთელ საუკუნენახევარს გრძელდებოდა რამდენიმე ხანმოკლე შუალედის გამოკლებით.

საგარეო საქმეთა მინისტრად ტალეირანის დანიშვნას ალექსანდრე გარეგნულად სრული კმაყოფილებით შეხვდა. და ნესელროდემ ახალ მინისტრს უაღრესად ალერსიანი წერილი მოსწერა, არწმუნებდა მის უმაღლესობას (როგორც მთავარი ბენევენტისა ტალეირანი კვლავ „Son altese“ - დ რჩებოდა), რომ ალექსანდრე მის დანიშვნას ისე უყურებდა, როგორც იმის „თავდებობას“, რომ მეფე ლუდოვიკო მეთვრამეტის სურვილია „უაღრესად ინტიმური“ ურთიერთობა იქონიოს რუსეთთან: „ვერავითარი სხვა არჩევანი უფრო მეტად ვერ აამებდა იმპერატორსო[76].“

საგარეო პოლიტიკის ჩვენს არქივში მოიპოვება მთელი წყება დოკუმენტებისა, რომლებიც გვიჩვენებს, რა დაჟინებით ცდილობდა ალექსანდრე და მისი წარმომადგენელი საფრანგეთის ახალ სამეფო კარზე პოცო დი ბორგო ჩაენერგათ ლუდოვიკო მეთვრამეტისა და მისი ნათესავ-მეგობრებისათვის მათი მდგომარეობის სერიოზულობა და უმყარობა: „არ უგულვებელმეყვია არც ერთი არგუმენტი, არ დამიფარავს არც ერთი ცნობა, რაც კი გამომადგებოდა, რათა სწორად წარმემართა მეფის გონება და მიმეცა მისთვის ზუსტი წარმოდგენა საქმეთა ვითარებაზე,“ - ხაზგასმით ატყობინებს პოცო დი ბორგო მინისტრ ნესელროდეს 1814 წ. 18 აპრილს[77]. და რამდენი ბრძოლა უხდებოდა რუსეთის ელჩს მეფის გარემომცველი წრის ამ უსასტიკეს, ბავშვურ უმეცრებასთან, რასაც ასეთი ზეგავლენა ჰქონდა ლუდოვიკო მეთვრამეტეზე!

ალექსანდრე სრულებით არ ენდობოდა ლუდოვიკო მეთვრამეტეს და იმას, რომ იგი გულწრფელი იყო თავის „კონსტიტუციურ“ გრძნობებში. სწორედ ამიტომ მან მოითხოვა მოეწვია მეფეს საკანონმდებლო კორპუსი, რომელსაც კონსტიტუცია 31

მაისამდე უნდა გამოემუშავებინა და არა 10 ივნისამდე, რადგან ალექსანდრეს გადაჭრით სურდა, ეს საქმე პარიზიდან მის წასვლამდე გაკეთებულიყო.

ავტორი ორტომეული ბიოგრაფიისა, უფრო სწორედ, დოკუმენტების გამომცემელი ტალეირანის მინისტრობის 1814 წ. პერიოდის შემდეგ, შარლ დიუპუი, რომელიც ირონიული ტონით სვამს კითხვას იმის შესახებ, თუ რად ამჟღავნებდა ალექსანდრე, თვითმპყრობელი მეფე, ასეთ კონსტიტუციურ აღტყინებას საფრანგეთთან დაკავშირებით 1814 წელს, სავსებით უმართებულო პასუხს იძლევა: ამას ის ხსნის რუსთა მეფის სურვილით, გაენელებინა კონსტიტუციური უფლებების მინიჭებით ფრანგთა უკმაყოფილება, საზავო პირობებითა და საფრანგეთის ტერიტორიის შემცირებით გამოწვეული[78]. არავითარი საბუთები მას არ მოაქვს, და ასეთები არც არსებობს. ჯერ-ერთი, უმრავლესობა ფრანგებისა თვლიდა, რომ ისინი იოლად გადარჩნენ, და რომ ევროპა, განსაკუთრებით კი იმ დროს ძლევამოსილი რუსეთი, მათ საოცრად ლბილად მოეპყრნენ მოსკოვის ხანძრისა და ნაპოლეონისაგან განცდილი მძარცველობათა და დესპოტურ ჩაგვრის შემდეგ. მეორეც, 1814 წ. გაზაფხულზე მათ არავითარი საშუალება არ გააჩნდათ წინააღმდეგობის გაწევის. არა, ალექსანდრეს, როგორც ამას პოლიციის გონიერი მინისტრი პასქიე აღნიშნავს, ულტრაროიალისტებისა და მეფის ძმის გრაფ დ'არტუას „გაუფრთხილებელი ნაბიჯების“ ემინოდა (ე.ი. უგუნური რეაქციული პროვოკაციების), რადგან იცოდა, რომ ამ თავხედ და გონებაჩლუნგ რეაქციონერ ფანფარონებს შეეძლოთ გამოეწვიათ რევოლუცია, რომლის ჩაქრობა უთუოდ რუსებსა და სხვა უცხოურ ჯარებს მოუხდებოდათ, ვინაიდან საფრანგეთის არმიას სძულდა ბურბონები და გულში ნაპოლეონს აღიარებდა თავის ერთადერთ კანონიერ ხელმწიფედ. ამავე მიზეზით ტალეირანიც აგრეთვე მთლიანად ალექსანდრეს თვალსაზრისზე იდგა, სანამ ხელმწიფე პარიზიდან წავიდოდა.

იქ, სადაც „ლიბერალიზმი“ მეფესთან და როიალისტებთან უშუალო კონფლიქტის საშიშროებას არ წარმოადგენდა, ტალეირანი განაგრძობდა შემრიგებლობითი პოლიტიკის გატარებას იმათ მიმართ, ვინც დამნაშავედ ითვლებოდა რევოლუციის ან ნაპოლეონისადმი სიმპათიების გამო. მაგალითად, მას დიდხანს არ უნდოდა ხელი მოეწერა საზავო ხელშეკრულებაზე ესპანეთთან, სანამ იმპერიის დაცემის შემდეგ ფრანგთა ტყვეობიდან ესპანეთში დაბრუნებული იქაური მეფე ფერდინანდ მეშვიდე ამინისტციას არ გამოუცხადებდა ყველას, ვისაც იოსებ ბონაპარტის მმართველობის დროს ემსახურნა. მაგრამ რა დაინახა, ამას ვერ მიაღწევდა, ტალეირანმა დათმო. სენატის მიერ ტალეირანის ცხოველი მონაწილეობით შემუშავებული კონსტიტუციური პროექტი, სავსებით მოწონებული ალექსანდრეს მიერ, ლუდოვიკო

მეთვრამეტემ არ მიიღო. ალექსანდრე გულის სიღრმემდე იყო განაწყენებულ-განრისხებული. „არ ვიცი, სანანებლად არ გამიხდეს, ბურბონები რომ ტახტზე ავიყვანე, - უთხრა ხელმწიფემ პრინც ევგენი ბოჰარნეს, - მერწმუნეთ ჩემო ძვირფასო ევგენი, ეგენი ცუდი ხალხია, ისინი იყვნენ ჩვენთან რუსეთში, და მე ვიცი, რა აზრსაც უნდა ვადგეთ მათზე“. ალექსანდრემ პირდაპირ განუცხადა ლაფაიეტს (რომელსაც იგი დემონსტრაციულად ეპყრობოდა კეთილგანწყობით), რომ კარგს არაფერს გამოელის ბურბონებისაგან, რადგან ისინი ძველრეჟიმული ცრურწმენებით არიან გაჟღენთილნი. როცა ლაფაიეტმა გამოთქვა აზრი, რომ, შესაძლოა, ბურბონები უკვე გამოსწორდნენო, მეფემ წამოიძახა: „გამოსწორდნენ! ისინი არც გამოსწორებულან და გამოსწორებელნიც არიან!“... „თუ თქვენი აზრი, ხელმწიფევ, ასეთია, მაშ რადღა ჩამოგვიყვანეთ ისინი?“ - საკმაოდ მოსწრებულად შეესიტყვა ლაფაიეტი, რომელსაც, ყოველივეს მიუხედავად, მაინც ვერასგზით ვერ დაევიწყებინა ბასტილიის აღება და პირველი ნათელი დღენი რევოლუციისა. „ეგ ჩემი ბრალი არ არის“ - მიუგო ხელმწიფემ და იმეორებდა, რომ ბურბონებმა თვითონ მოახვიეს თავიანთი თავი, რომ მათგან იგი „ინთქა, ვით წყალმოვარდნისაგან“. ეგ საქმე უხეირო გამოდგა (c'est une affaire manquée) და მე მივდივარ ფრიად დაღონებული“[79], - დაასკვნა ალექსანდრემ. პარიზიდან იგი 1814 წ. 3 ივნისს გაემგზავრა.

თუ ტალეირანმა შორსმჭვრეტელობა გამოიჩინა ბურბონების მომავალი ხვედრისა და კუნძულ ელბაზე ნაპოლეონის ყოფნის შედეგების გამოცნობაში, სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ნაპოლეონმაც არანაკლები შორსმჭვრეტელობით იწინასწარმეტყველა თვითონ ტალეირანის ბედი, ასე თუ ისე ახლო მომავლში: „ტალეირანმა ბურბონებს მოუხმო, რადგან ეშინია, რომ (მარია-ლუიზას) რეგენტობა ხელს შეუწყობს ჩემს დაბრუნებას. მაგრამ ბურბონები გააგდებენ მას, როგორც კი დამკვიდრდებიან და დაინახავენ, რომ მათთვის იგი მეტად აღარაა საჭირო“, - ესა თქვა ნაპოლეონმა კოლენკურთან საუბარში 1814 წ. 6 აპრილის საღამოს ფონტენებლოში[80], უკვე ხელი რომ მოაწერა გადადგომას. ერთ ღამეში კი ტალეირანი უეჭველად დაეთანხმებოდა ნაპოლეონს, თუ ხმამაღლა არა, გულში მაინც: ეს - წინასწარმეტყველება, რომელიც ნაპოლეონმა იმავე 6 აპრილის საღამოს გააკეთა ბურბონების შესახებ: „...ერი შეურიგდება მათ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი მოიშორებენ იმ პარიკიან გოგრებს და უკუაგდებენ ძველ პრეტენზიებს, მაგრამ ეს ნიშნავს შეუძლებელი მოსთხოვო მათ. ერთი წლის შემდეგ ყველას ყელში ამოუვა ისინი (au bout d'un on aura donc d'eux pardessus la tete)“, - ასე უთხრა მან კოლენკურს, რომელმაც ეს წინასწარმეტყველება ჩაიწერა. იმპერატორი მხოლოდ იმაში შეცდა, რომ ბურბონები „ყელში ამოუვიდათ“ არა ერთი წლის, არამედ უკვე თერთმეტი თვის

შემდეგ და იმ ზომამდე, რომ მანვე დაამხო და იფრინა ისინი ტახტიდან 1815 წ. მარტში, თანაც გააკეთა ეს ისე, თოფის ერთი გასროლაც არ დასჭირვებია.

ტალეირანის კარიერაში ახალი, მაგრამ სრულიად არა საბოლოო, პერიოდი იწყებოდა. ბევრი რამ აღიზიანებდა მას და ზოგი კი მოსვენებას უკარგავდა. ერთი მხრივ, ყველა ერთსულოვნად თვლიდა, რომ სწორედ მან გაუწია ყველაზე მეტი დახმარება ბურბონებს ტახტზე ასვლაში, რამდენადაც კი შეიძლება ცალკეული ადამიანის როლს გაადევნო თვალი ამგვარ ისტორიულ მოვლენებში. დაამხო ნაპოლეონი ევროპამ, სამმა სისხლისმღვრელმა ომმა 1812, 1813 და 1814 წლებში, მაგრამ გათავისუფლებულ ტახტზე რომ ბურბონები სწორედ ტალეირანმა დასვა, ამაში თვით ნაპოლეონიც იყო დარწმუნებული, რომელმაც 1815 წლის ამ აპრილის დღეებს „ტალეირანის რევოლუცია“ უწოდა. დარწმუნებული იყო ამაში ალექსანდრეც, იმპერატორი ფრანციც, და მეფე ფრიდრიხ-ვილჰელმიც, ეს სადაოდ არ მიაჩნდათ არც თვით ბურბონებს, არც ლუდოვიკო მეთვრამეტეს, არც მის ძმას კარლ დ'არტუას, არც ანგულემისა და ბერიის ჰერცოგებს - გრაფ დ'არტუას ძეთ.

მაგრამ მაშ რატომაა, რომ ბურბონები და ახალი სამეფო კარი ასე უცნაურად უყურებენ მას, მათი კეთილდღეობის შემოქმედს, ხოლო მათგან ზოგიერთი ახალდაბრუნებული არც კი ჩქარობს მისთვის ხელის ჩამორთმევას? მართალია, მას ანდობენ რესტავრაციის პირველ მინისტრობას, მაგრამ ესეც კი ნაკლებ შველის საქმეს, სასახლის ატომოსფერო მაინც გაყინული რჩება მისთვის. რაც ყველაზე უარესია: რატომ წავიდა იმპერატორი ალექსანდრე, მისი სტუმარი 12 დღის განმავლობაში, პარიზიდან ისე, რომ არ ისურვა გამომშვიდობებოდა თავის უგულისხმიერეს მასპინძელს, მიუხედავად ამ უკანასკნელის ცდისა და თხოვნისა მიეღო აუდიენცია? რად არ ისურვა ხელმწიფემ, რომელიც წინასწარ ელისეს სასახლეში გადავიდა, აეხსნა მაინც თავისი შეურაცხყოფელი უარი? ეს ყველაზე ცუდი და შემაშფოთებელი იყო. და ეს საქვეყნო ალიყური, მეფის ხელიდან ნაწვნივი, ძლიერ ლახავდა ტალეირანის მდგომარეობას ახალ სამეფო კარზე.

არანაკლებ აშმაგებდა ტალეირანს ისიც, რომ იმავე იმპერატორმა ალექსანდრემ, რომელსაც არ ეყო უბრალო ზრდილობა მას დამშვიდობებოდა, არა მარტო დაუყოვნებლივ მიიღო მასთან გამოსათხოვრად მისული კოლენკური, არამედ გულთბილადაც უაღერსა. მერედა ვის? ვიჩენცის ჰერცოგს, თავგამეტებით რომ იბრძოდა ჯერ ნაპოლეონის გადადგომის წინააღმდეგ, მერე ისე დაჟინებით ზრუნავდა ნაპოლეონის მემკვიდრის გამეფებისა და მარია-ლუიზას რეგენტობისათვის! რად აქებდა ალექსანდრე ასე ხმამაღლა, დემონსტრაციულად კოლენკურის ერთგულებას იმპერატორ ნაპოლეონისადმი, რუსეთის მტრისა და

პირსისხლიანი უზურპატორისადმი, ამავე დროს კი ასე უხეშად მოექცა მას, ტალეირანს, რომელმაც ასე სწრაფად და მარჯვედ დასვა „კანონიერი“ დინასტია მამა-პაპათა ტახტზე? რა პოლიტიკური ანგარიში ამოძრავებდა ცბიერ „ბიზანტიელს“? დაბოლოს, რატომ განუცხადა ხელმწიფემ კოლენკურს, რომ თავის თავზე იღებდა ყველა იმ ვალდებულებების შესრულების გარანტიას, რომლებიც ნაპოლეონის პირადი ბედის საკითხის მოგვარებას ეხება, რაზედაც მოკავშირეები ხელმწიფის პირდაპირი ზეგავლენით დათანხმდნენ? საფრანგეთის თავზე გიგანტური აჩრდილი ჩამოწვა კუნძულ ელზადან.

ყოველივე ეს შავ ღრუბლად მოავლინა ნათელ ჰორიზონტს, თითქოს ტალეირანის წინაშე რომ უნდა გადაშლილიყო ბურბონების ტახტზე აყვანის შემდეგ.

უშუალო ფიქრ-საზრუნავი მაინც მხოლოდ ერთი რამ შეიძლებოდა ყოფილიყო: რა პოზიციის დაჭერა აქვს განზრახული ალექსანდრეს ევროპის ყველა მონარქისა და წარმომადგენლის კონგრესზე, რომელიც შემოდგომაზე შეიკრიბება ვენაში. ალექსანდრე რომ აღარ განაგრძობდა შემდგომში უზადო დიდსულოვნებისა და აბსოლუტური უანგარობის გათამაშებას, ტალეირანი ამას გრძნობდა, უკვე პარიზში რომ უკვირდებოდა მას. უნდა მომხდარიყო ბრძოლა. ეს იცოდა დაბრუნებულმა დინასტიამაც. ლუდოვიკო მეთვრამეტე ხვდებოდა, უკვე თავისი საკუთარი გრძნობების მიხედვით, რაოდენ საზიზღარია ტალეირანი სასახლის ოთხმოცდაცხრამეტი პროცენტისათვის. მაგრამ რა უნდა ექნა? ხომ ვერ გაგზავნიდი კონგრესზე ალექსანდრეს, მეტერნიხისა და კესტლერის წინააღმდეგ საბრძოლველად ერთგულ, მაგრამ უვიც პოლინიაკს ან მის მსგავს რომელიმე დაბრუნებულ ემიგრანტთაგანს? უმძიმდათ, მაგრამ იძულებულნი იყვნენ მაინც ბენევენტის თავადისთვის მიემართათ დახმარებისათვის.

მდგომარეობას ისიც ართულებდა, რომ დამოკიდებულება ბურბონებსა და ალექსანდრეს შორის საგრძნობლად გაუარესდა იმ ხანმოკლე დროის განმავლობაში, რაც მათ ერთად დაჰყვეს პარიზში ჩამოსვლის მომენტიდან ვიდრე ხელმწიფის გამგზავრებამდე. ჯერ ერთი, ალექსანდრე მათ თავს ახვევდა კონსტიტუციას, მეორე, ლუდოვიკო მეთვრამეტე ყოველნაირად ცდილობდა ეჩვენებინა თავისი სრული დამოუკიდებლობა და ამიტომ რამდენიმე ისეთი „ჟესტი“ დაუშვა, რომელთაც რუსთხელმწიფის თავმოყვარეობა შელახა, მესამე, - და ეს მთავარი იყო, სწორედ მომავალი ვენის კონგრესის გამო, - ალექსანდრემ სურვილი გამოთქვა, სწორედ კოლენკური, ჰერცოგი ვიჩენცისა, სასწრაფოდ ხელახლა დაენიშნათ საფრანგეთის ელჩად პეტერბურგში, სადაც მას უკვე დაეყო რამდენიმე წელი, როგორც ნაპოლეონ პირველის ელჩს (1808-1811). ბურბონებმა ეს აშკარა შეურაცხყოფად მიიღეს,

განსაკუთრებით იმიტომ, რომ ამ წინადადებას წინ უძღოდა უაღრესად უსიამოვნო ეპიზოდი, იმავე კოლენკურთან დაკავშირებული. გრაფმა დ'არტუამ არ ინდომა კოლენკურის მიღება: 1814 წელს ენგიენის ჰერცოგის დატუსაღებაში მონაწილეობაში სდებდა ბრალს. მაშინ ალექსანდრემ საზეიმო წვეულება გამართა, რომელზედაც კოლენკურიცა და გრაფი დ'არტუაც დაპატიჟა. წამოუსვლელი გრაფმა დ'არტუამ ვერ გაბედა, მაგრამ იჯდა ისე, თითქოს ხმა-კრინტი არ დაუძრავს და წავიდა სადილის დამთავრებისთანავე. ამგვარი საქციელით საშინლად გაბრაზებულმა ალექსანდრემ ნება დართო კოლენკურს გამოექვეყნებინა თავისი წერილი მისდამი, რომელშიც ალექსანდრე გამოთქვამდა იმის რწმენას, რომ კოლენკურს არავითარი კავშირი არ ჰქონდა ენგიენის ჰერცოგის საქმესთან. ამის გამომხეურება ხელახალი ალიყური იყო ტალეირანისათვის, რადგან ბრალი სწორედ ტალეირანისა ამ საქმეში ბევრისათვის უკვე მაშინ სავსებით დამტკიცებულად ითვლებოდა და როცა ყველა ამ უსიამოვნებათა შემდეგ რუსეთის ხელმწიფემ სიტყვა გადაუკრა თავის სურვილზე, მასთან პეტერბურგში ელჩად გამოეგზავნათ სწორედ ჰერცოგი ვიჩენცისა, რომელიც ახლახან ისეთ ცდაში იყო, არ დაეშვა ძველი დინასტიის მიერ ნაპოლეონისეული ტახტის დაკავება, მეფის ოჯახმა და ტალეირანმა ამ წინადადებისაგან სასტიკად შეურაცხყოფილად იგრძნეს თავი. ალექსანდრეს მკაფიო ნართაულებით უარი უთხრეს თხოვნაზე. ხოლო ხელმწიფემ, რომელიც საზოგადოდ არ იყო ჩვეული რამეზე უარი ეთქვათ მისთვის, მეტადრე, უარი ეთქვათ მისთვის ბურბონებს, რომლებიც რუსული იარაღის გამარჯვების წყალობით დასხდნენ ტახტზე, ცდა გააორკეცა. რათა როგორმე კიდევ ეწყენინებინა ლუდოვიკო მეთვრამეტისათვის. ხელსაყრელი შემთხვევა უამრავი მოიძებნებოდა. ალექსანდრე ხშირი სტუმარი ხდებდა და ყოველნაირად ცდილობს უღრმესი მოწიწება გამოხატოს იმპერატრიცა ჟოზეფინას მიმართ (პირველი ცოლი ნაპოლეონის). დემონსტრაციულად დაიარება დედოფალ ჰორტენზია ბოჰარნეს ოჯახშიც (ჟოზეფინას ქალიშვილი პირველი ქორწინებიდან და ცოლი ჰოლანდიის ყოფილი მეფის ლუდოვიკო ბონაპარტის, ნაპოლეონის უმცროსი ძმის). როდესაც პარიზში საზეიმო პანაშვიდი იყო დანიშნული რევოლუციის დროს სიკვდილით დასჯილ ლუდოვიკო მეთექვსმეტისა და მარია-ანტუანეტას სულთა მოსახსენებლად, სწორედ თითქმის მთელი ის დღე ალექსანდრემ ჰორტენზიას ოჯახში გაატარა, ხოლო დაბრუნებულ ბურბონების სასახლეს მხოლოდ წმინდა ოფიციალური ვიზიტებით ეწვეოდა ხოლმე.

ამგვარად ალექსანდრეს დასკვნით შესტამდე პარიზიდან მისი გამგზავრების წინ, ე.ი. ჯერ კიდევ იქამდე, როცა ალექსანდრემ უარი უთხრა ტალეირანს გამომშვიდობების თხოვნაზე, ტალეირანმა და ლუდოვიკო მეთვრამეტემ საკმაოდ კარგად უწყოდნენ ალექსანდრეს განწყობილებათა შესახებ, რა თქმა უნდა, ტალეირანი ყოველნაირად

ცდილობდა, გამოეკეთებინა თავისი საქმე და არ დაუყოვნებია წერილი მიეწერა ალექსანდრესთვის, ქედმოდრეკილობის, მორჩილების გამომხატველი. მლიქვნელური წერილი, რომელიც უწყინრად, ალერსიანად უსაყვედურებდა რუსთა ხელმწიფეს, რომ, აი, ისე გაემგზავრა, თავისი „უავგუსტოესი პიროვნების“ სანახავადაც კი არ დაუშვა ტალეირანი. ეს იყო ტონი შეყვარებულისა, რომელიც სატრფოს გულცივობითაა დანადვლიანებული, მაგრამ არც წერილმა უშველა. „მპყრობელი სუსტი და თან ცბიერი“, როგორც იმპერატორ ალექსანდრეს პუშკინმა უწოდა, მაინც მეტად მტკიცე იყო თავის ანტიპატიებში, თუმცა დრო და ჟამამდე თავის ბასრი ბრჭყალების მალვაც იცოდა.

„ცბიერება“ 1814-1815 წ. წ. მასში გაცილებით მეტი იყო, ვინემ სისუსტე, ხოლო უნარი ხანგრძლივი ყალბი თამაშისა - ტალეირანზე არანაკლები. პარიზიდან ალექსანდრეს წასვლამდე ოთხი დღით ადრე მოკავშირეებმა ხელი მოაწერეს (1814 წ. 30 მაისს) საზავო ხელშეკრულებას საფრანგეთთან.

თუ ისტორიკოსს სურს სავსებით პირუთვნელი იყოს, უნდა თქვას, რომ მთავარი საქმე, რომელსაც აქტივში უწერდნენ თავად ტალეირანს მისი ხსოვნის დამცველები და რომელიც დიდ ისტორიულ დამსახურებად ეთვლებოდა საფრანგეთისა და პროგრესის წინაშე (ე.ი. საფრანგეთის ტერიტორიის მთლიანობის შენარჩუნება) განხორციელებულ იქნა, ჯერ-ერთი, სრულიადაც არა ვენაში კონგრესზე, რომელიც 1814 წ. სექტემბრის ბოლოს დაიწყო და 1814 წ. ივნისში დამთავრდა, არამედ პარიზში, 1814 წ. 30 მაისს[81]. და, მეორე, ტალეირანის წარმატება ამ მაისის მოლაპარაკებებზე პარიზში უმეტესწილად განპირობებული იყო იმდენად არა მისი პირადი ტალანტებით, თუმცა ისინი იმ მომენტში სავსებით სრულყოფილად იქნა გამოვლინებული, რამდენადაც ინტერესებით, განწყობილებებით და ძალთა შეფარდებით მოკავშირეებისა, რომლებმაც დაამარცხეს საფრანგეთი და ესოდენ გადამწყვეტ მონაწილეობას იღებდნენ ამ თათბირებში.

ეს მთავარი საქმე ის იყო, რომ ძველი საფრანგეთი, ანუ ის ტერიტორია, რომელიც საფრანგეთად იწოდებოდა 1792 წ. 1 იანვარს, რევოლუციისა და იმპერიის ომების დაწყებამდე, ჩამოუჭრელად დაუტოვეს ფრანგ ხალხს, რომელიც ამასთან მთლიანად ინარჩუნებდა თავის სახელმწიფოებრივ სუვერენიტეტს. მეტიც, ამ ტერიტორიის გარდა საფრანგეთს კიდევ რჩებოდა ზოგიერთი ახალშეძენილი ტერიტორია, რომელიც ელზასს ესაზღვრებოდა (ზემო რაინის დეპარტამენტს), სამხრეთ ბელგიის მომიჯნავე ზოგიერთი ნაწილი, ნაწილი სავოიისა, ავინიონი და ზოგიერთი სხვა ადგილი.

ბევრი ფრანგი ისტორიკოსი მათთვის დამახასიათებელი თავისებური პატრიოტული მიაბრუნების გამო ნაღვლიანად აღნიშნავს, როცა 1814 წ. 30 მაისის საზავო ხელშეკრულებაზე ლაპარაკობს: როგორ მოხდა, რომ ასეთი სახელოვანი და ძლევამოსილი ომების შემდეგ, ოცდამდე წელიწადს რომ გრძელდებოდა, საფრანგეთი არაფრით არ „დაჯილდოებულაო“. რა თქმა უნდა, ჭეშმარიტება ის არის, რომ უიმედოდ დამარცხებულ, იმ მომენტში წინააღმდეგობის გასაწევად ყოველგვარ ძალასა და უნარს მოკლებულ საფრანგეთს, რომელიც მთლიანად გამარჯვებულთა ხელში იმყოფებოდა, მხოლოდ იმის მოლოდინი შეეძლო ჰქონოდა (და მართლაც ელოდა), რომ პარიზს შემუსრავდნენ, ქვეყანას დააქუცმაცებდნენ, ჩამოაცილებდნენ საუკეთესო ტერიტორიებს, დააკისრებდნენ მძიმე კონტრიბუციებს, ერთი სიტყვით, ისევე მოექცეოდნენ, როგორც თვითონ ექცეოდა მათ ნაპოლეონის დროს. საფრანგეთი გადაურჩა ამ შურისგებას, იგი დარჩა დიდ სახელმწიფოდ, შეინარჩუნა ყველაფერი, დათმო მხოლოდ დაპყრობილი ადგილები, მის მიერ წარმოებული რიგი აგრესიული ომების ნაყოფი. თავადაზნაურულ-ფეოდალურ სახელმწიფოთაგან დამარცხებული ბურჟუაზიული რევოლუციის შემდეგდროინდელი საფრანგეთი გადაურჩა დაქუცმაცებას, იმას, რომ მეორეხარისხოვან, ან უფრო უარესი, მესამეხარისხოვან ქვეყნის დონემდე დაეყვანათ, გადაირჩინა თავისი სრული სუვერენიტეტიც.

თქმა არ უნდა, 1814 წ. 30 მაისის ტრაქტატი უფრო უკეთესი, მოულოდნელი ბედნიერი ბოლო იყო საფრანგეთისათვისაც, აგრეთვე ევროპის პროგრესის საერთო პოლიტიკური და სოციალური ინტერესების თვალსაზრისითაც, რამდენადაც ბურჟუაზია იმ მომენტში პროგრესულ მოვლენას წარმოადგენდა.

ყველაფერი ეს ასეა, მაგრამ ტალეირანს ძლიერ დაეხმარა ამაში რუსეთის ინტერესების ბრძოლა პრუსიის მისწრაფებათა წინააღმდეგ. პრუსია დაინტერესებული იყო თავისი სამფლობელოების გაზრდით, ელზასის, ხოლო თუკი მისცემდნენ, ლოთარინგიის შეძენითაც, საფრანგეთისთვის მძიმე კონტრიბუციის დაკისრებით, საფრანგეთის ყოველნაირად შესუსტებით. რუსეთის დიპლომატიას კი პირიქით, საწინააღმდეგო რამ აინტერესებდა, ე.ი. ის, რომ საფრანგეთი, რომელიც ამიერიდან უსაშიშრო იყო რუსეთის საზღვრებისათვის, ყოფილიყო საკმაოდ ძლიერი, რათა დაპირისპირებული ძალის როლი შეესრულებინა პრუსიისა და ავსტრიის მიმართ კონტინენტზე, ხოლო ინგლისის მიმართ - ზღვაზე. „იმეგობრე არა მეზობელთან, არამედ მეზობლის მეზობელთან“ - ეს წესი ჯერ კიდევ ბოიარინ ორდინ-ნაშჩოკინის დროთაგან მოსდგამდა რუსეთის დიპლომატიას. ალექსანდრე, რომელსაც სურდა „ემეგობრა“ მეზობლებთან, მაინც იმ აზრისა იყო, რომ ამ მეზობლებს რაც შეიძლება ნაკლებ უზრუნველყოფილი ჰქონოდათ დასავლეთის ზურგი. იმ მომენტში, როცა 1814 წ.



მაისში მოლაპარაკებები მიმდინარეობდა პარიზში, რუსეთის არმია გაცილებით უფრო ძლიერი იყო, ვიდრე პრუსიის ან ავსტრიისა. ალექსანდრე ბედთა განმგებელი იყო, ყოველ შემთხვევაში, ასე ჩანდა. და თითქოს „დიდსულოვნებით რომ უხდიდა სამაგიეროს“ ფრანგებს რუსეთის დარბევისა და მოსკოვის ხანძრისათვის, ყოვლის მიმტევებელ ქრისტიან კაცად რომ აჩვენებდა თავს, რუსთ ხელმწიფე უბრალოდ, მისი აზრით საჭირო და მართლაც დიდმნიშვნელოვან პოლიტიკურ საქმეს აკეთებდა. მას უკვე მაშინ გადაწყვეტილი ჰქონდა პოლონეთის ინკორპორაციის მოხდენა და წართმეული პოლონური პროვინციების სანაცვლო „ჯილდოდ“ პრუსიისათვის საქსონიის მიცემა. მაგრამ სწორედ ეს მომავალი ზრდა პრუსიის ძლიერებისა, რუსეთის სახელმწიფო ინტერესების თვალსაზრისით განსაკუთრებული დაბეჯითებით მოითხოვდა, რომ საფრანგეთი, რომელიც პრუსიის ზურგში რჩებოდა, მეტისმეტად დასუსტებული არ აღმოჩენილიყო. „რუსებს უნდათ გერმანია ადვილად მისაწვდომი დატოვონ!“ - სასოწარკვეთით წამოიძახა თავგამოდებულმა პრუსიელმა პატრიოტმა შტეინმა, რომელიც 1914 და 1815 წლებში ორჯერ წააწყდა ალექსანდრეს კატეგორიულ უარს მიეცა რაიმე პრუსიელებისათვის საფრანგეთის ტერიტორიიდან. მეტად დამახასიათებელია, რომ შტეინმა სწორად გაითვალისწინა ალექსანდრეს ძირითადი აზრი: საქმე ეხებოდა არა მარტო პრუსიას, არამედ სწორედ მთელ გერმანიას, გერმანულ სახელმწიფოთა მთელ კონგლომერატს, რომელიც შეიძლებოდა სამიში გამხდარიყო რუსეთისათვის.

ტალეირანი, რომელიც ცრუ აზრს ნერგავდა აპრილის დასაწყისში იმის შესახებ, თითქოს მხოლოდ მას ეხსნა პარიზი აოხრებისა და გამარცვლისაგან, ახლა იმას ლაპარაკობდა და ქადაგებდა, რომ ამჟამადაც, 30 აპრილს, სწორედ მან იხსნა საფრანგეთი დაყოფისაგან. ვითარება ისეთი შეიქმნა, აბსოლუტისტურმა, თავადაზნაურულ-ბატონყმურმა რუსეთის იმპერიამ, რომელსაც თავისი საკუთარი ამოცანები ამოძრავებდა: უზრუნველყო თავისი დასავლეთი საზღვრების უსაფრთხოება ძლიერი მეზობლისაგან, დაეცვა საფრანგეთის მთლიანობა და სუვერენიტეტი, ქვეყნისა, რომელმაც ჯერ კიდევ ოცდახუთი წლის წინათ გააკეთა რევოლუციური ნახტომი თავადაზნაურულ-ფეოდალური სოციალური რეჟიმის ბურჟუაზიული წყობილებისაკენ. ტალეირანის როლი კი ამ შემთხვევაში უმთავრესად იმით შემოიფარგლებოდა, რომ სრული მხარდაჭერა გაეწია რუსეთის წარმომადგენელთა ყველა ძირითადი წინადადებისათვის 1792 წ. საზღვრებში საფრანგეთის დატოვების შესახებ და იმ არგუმენტებისათვის, რომელიც მიზნად ისახავდა საფრანგეთის სასარგებლოდ ზოგიერთი ზემოაღნიშნული ახალი ტერიტორიის გადაცემას. მნიშვნელოვანი მიღწევა იყო ისიც, რომ 1814 წ. 30 მაისის

ხელშეკრულების ხელმოწერის უმაღლეს მოკავშირეებმა მთლიანად დაცალეს საფრანგეთის ტერიტორია.

ამრიგად, საფრანგეთისათვის ყველაზე არსებითი, სასიცოცხლოდ ყველაზე მნიშვნელოვანი საქმე 30 მაისს გაკეთდა. მომავალ კონგრესს შემოდგომაზე ვენაში მხოლოდ ხელშეუხებლად უნდა დაეტოვებინა ეს საქმე, ე.ი. საფრანგეთის საზღვრების დადგენა. მაგრამ გადასაწყვეტი იყო ორი სხვა, ასევე კაპიტალური პრობლემა, რომელთაც მეტად დიდი მნიშვნელობა ჰქონდათ საფრანგეთისათვის: ამ ორი, საქსონიისა და პოლონეთის, ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული პრობლემის გამო გაიშალა კიდევ ბრძოლა, რომელშიც ტალეირანს მთელი თავისი ძალისა და ნიჭის გამოვლენა ელოდა.

უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ტალეირანისათვის შემდეგ საკითხს: როგორ დამოკიდებულებას გამოიჩენს საფრანგეთისა და პირადად მისდამი ალექსანდრე? ტალეირანი ამჯერად შორს იყო ოპტიმიზმისაგან. მას კარგად ახსოვდა პარიზიდან რუსთა ხელმწიფის გამგზავრების გარემოებანი 1814 წ. 3 ივნისს.

საგარეო პოლიტიკის არქივში დაცულია დედანი ტალეირანის ხელით დაწერილი წერილისა, რომელიც მას იმპერატორი ალექსანდრესთვის გაუგზავნია[82]. ეს წერილი უაღრესად გულდასმით წაკითხვის ღირსია!

„მე არ მინახავს თქვენი უდიდებულესობა გამგზავრების წინ და ვბედავ შევკადრო თქვენს უდიდებულესობას საყვედური, რასაც მიკარნახებს უღრმესად მოკრძალებული გულახდილობა თქვენდამი უნაზესი სიყვარულით გამსჭვალული ადამიანისა“, - ასე იწყება წერილი. ტალეირანი თავისი ხელით ცოტას და უხალისოდ წერდა წერილებს, მისი ეპისტოლარული პროზა ისეთი მშრალი იყო, როგორც მისივე პიროვნება. მისი მძიმე, მოუქნელი ენა, მუდამ რომ მოგონილ გრძნობებსა და ყალბ აზრებს გამოხატავდა, თავს იჩენს ამ ვრცელი უსტარის თითოეულ ფრაზაშიც.

„ხელმწიფევ, მეტად მნიშვნელოვანმა ურთიერთობამ უკვე დიდი ხანია გაგიმჟღავნათ ჩემი საიდუმლო გრძნობები, და შემდეგ ამისა იყო თქვენი პატივისცემა. იგი იყო ჩემი ნუგეში მრავალი წლის მანძილზე, ჩემი გამამხნევებელი ჭირში. მე წინასწარვე გამოვიცან თქვენი მოწოდება, და ვიგრძენი, რომ შემიძლია ვრჩებოდე ფრანგად (tout francais que j'etais), და იმავე დროს ვეზიარო თქვენს პროექტებს, რადგან ისინი მუდამ დიდსულოვნებით გამოირჩეოდნენ. თქვენ მთლიანად აღასრულეთ თქვენი მშვენიერი მოწოდება და თუ განუყრელად მოგყვებოდით თქვენს კეთილშობილურ კარიერაში, დაე მაშინ ნუ დამიკარგავთ ჩემს ჯილდოს, მე ვთხოვ ამას გმირს ჩემი ოცნებისას და, გავბედავ დავძინო, გმირს ჩემი გულისას“. ასე ხსნის ტალეირანი თავის

მოქმედებას ერფურტში და შემდეგ იმ ფულად წყალობებს, რომლებსაც ჯამუშური სამსახურისათვის წლების მანძილზე იღებდა „თავისი ოცნებისა და გულის გმირისაგან“. „თქვენ იხსენით საფრანგეთი, თქვენი შემოსვლა პარიზში მოასწავებდა დესპოტიზმის დასასრულს,“ - განაგრძობს ტალეირანი და გადადის თავისი წერილის ნამდვილ მიზანზე. იმისათვის რომ გავიგოთ ამ ეპისტოლეს მეორე და მესამე გვერდების შინაარსი საჭიროა ერთგვარი წინასწარი ახსნა-განმარტება. ალექსანდრე ფიქრობდა, რომ ერთადერთი საშუალება ბურბონების მორყეული ტახტის განმტკიცებისა კონსტიტუციაა, რომელსაც შეეძლო რამდენადმე დაემშვიდებინა „უკმაყოფილონი“, ე.ი. (რაც ყველაზე უფრო აწუხებდათ) არმია და ნაწილი ბურჟუაზიისა და გლეხობისა. ლუდოვიკო მეთვრამეტის შემყურე, რომელიც სწორედ ამ დროს სულ იმის ცდაში იყო, რამენაირად დაენახვებინა ალექსანდრესთვის, რარიგ წარჩინებული და ძველია ბურბონების დინასტია რომანოვების დინასტიასთან შედარებით, რუსთა ხელმწიფე იმ აზრს ადგა, რომ ამგვარი საშინლად უგუნური ფსიქიკის პატრონი, ასე უმეცარი გარემომცველი სინამდვილისა, ასე ჭეშმარიტად წარღვნის წინადროინდელი შეხედულებებით დატვირთული საფრანგეთის მეფე დიდხანს ვერ გასძლებდა ტახტზე. და მერე, ლუდოვიკო მეთვრამეტე ხომ ყველაზე უფრო „ჭკვიანი“ იყო ბურბონებს შორის, გაცილებით ჭკვიანი თავის ძმასა და მემკვიდრეზე კარლ დ'არტუაზე, რომლის წრეშიაც აშკარად იწყეს ლაპარაკი ბიწიერ რევოლუციონერთა მიერ გაუქმებული მიწის ზოგიერთი სენიორიალური უფლების დაბრუნების შესახებ. ალექსანდრეს „ლიბერალიზმი“ როდი ამოქმედებდა, როცა ზეგავლენას ახდენდა ბურბონებზე მათი ხელისუფლების შეზღუდვის მიზნით, არამედ მხოლოდ და მხოლოდ შიში ახალი რევოლუციური გადატრიალებისა, რაც საფრანგეთში მოზღვავებულ ემიგრანტობას შეეძლო გამოეწვია თავის პროვოკაციული და წინდაწინვე ჩასაფრებულ განწირული განზრახვებით. ტალეირანს მშვენივრად ესმოდა ძველი რეჟიმის აღდგენისაკენ მიმართულ მისწრაფებათა უგუნურობა. „რა უნდა უყო მათ - იმეორებდნენ სიტყვებს, რომლებსაც ტალეირანს მიაწერენ: - ბუნებამ საზოგადოდ ყველა ადამიანს თვალები წინ გამოუსხა, რათა წინ იყურონ, ბურბონებს კი თვალები უკან აქვთ, და ისინი უკან იყურებიან.[83]“

ტალეირანის მდგომარეობა ამ პირობებში ძნელი ხდებოდა. თითქოს მოსალოდნელი იყო, რომ ის, რომელიც ხედავდა ამგვარი საქციელის მთელ უგუნურობასა და დამღუპველობას დაბრუნებული დინასტიისათვის, თანაგრძნობით მოჰკიდებოდა აზრს ბურბონთა ხელისუფლების შეზღუდვის შესახებ, ბურბონებისა, რომელსაც ასე ნაკლებად ესმოდათ თავიანთი მდგომარეობის საეჭვო სიმყარე. აპრილში ტალეირანი მართლაც სავსებით თანაუგრძნობდა კონსტიტუციის აზრს. ხოლო ივნისში, როცა ხელმწიფე უკვე გაემგზავრა, როცა რუსთა ჯარები შინ წასასვლელად ემზადებოდნენ,

როცა, დაბოლოს, პარიზი და ქვეყანა მორჩილებას ამჟღავნებდნენ, - მეფესა და მის მძას (და მათ უახლოეს თანამდგომთ თავად პოლინიაკის მეთაურობით) აღარაფრად ექაშნიკებოდათ ეს „ლიბერალური“ რჩევები და დაჟინებული მოთხოვნები, რუსეთის მხრიდან რომ მოდიოდა. ულტრაროიალისტები, თავის მხრივ, დიდ დაწოლას ახდენდნენ მეფეზე, რათა ეიძულებინათ იგი, მომავალი საკანონმდებლო დაწესებულებანი, შესაძლებლობისამებრ, სათათბირო ორგანოების როლამდე დაეყვანათ. რუსთა ხელმწიფის მხარდაუჭერლად ტალეირანი უკვე ვეღარ ბედავდა განსაკუთრებული დაჟინებით მოეთხოვა ლუდოვიკო მეთვრამეტის წინაშე სამეფო ხელისუფლების კონსტიტუციური შეზღუდვანი.

ქამელეონობამ და ოპორტუნიზმმა მაშინვე იჩინა თავი: მისი საქმე არ იყო რისკი საბოლოო წაკიდებისა როიალისტებთან, რომლებიც, შეიძლება ითქვას, ისედაც ძლივს ფარავდნენ თავიანთ ზიზღსა და უკიდურეს უნდობლობას მის მიმართ. და აი იგი უკვე სხვა ჰანგზე იწყებს მღერას და ალექსანდრეს უკან დაადევნებს ამ წერილს, რომელშიაც რაღაც გაუგებარს ჩმახავს და ლაყბობს ფრანგების მოჩვენებით პატრიარქალურ სიყვარულზე თავიანთი მეფისადმი, იმაზე, რომ ფრანგებს სულაც არა სურთ მთელი ის პოლიტიკური თავისუფლება, რასაც თავს ახვევს მათ რუსთა ხელმწიფე და ა.შ. ტალეირანი აქ რაღაც, თავისებურად საინტერესო უცნაურ სიტყვიერ აზდა-უზდას მიმართავს, რომელიც აშკარა ტყუილის ნიმუშს წარმოადგენს და რომელიც განზრახ გახვეულია არსებითად უაზრო, თუმცა ერთი შეხედვით გრამატიკული იერის მქონე ფორმაში. ტალეირანს სურს დაუმტკიცოს ალექსანდრეს, რომ საერთოდ არავითარი კონსტიტუცია ფრანგებს არ ესაჭიროებათ.. „ჩვენთა შეხედულებათ, ან უკეთ, ჩვენთა გემოვნებათ ხშირად წარუმართავთ ჩვენნი მეფენი (ბონაპარტი უფრო დაუსჯელად დაღვრიდა ფრანგების სისხლს, რომ არ მოესურვებინა ჩვენი დამორჩილება თავისი სასტიკი მანერებისადმი). თავის მხრივ, ჩვენც ხელმწიფეთა ჩვენთა ყაიდის მიხედვით ვართ შექმნილნი nous (ont faconnes a notre tour). ამ ურთიერთქმედებიდან (de cette reaction mutuelle), როგორც დაინახავთ, განვითარდება ისეთი საშუალება მართვისა და ფორმა მორჩილებისა (un mode de gouverner et d'obeir), რომლებით შესძლებენ, ბოლოსდაბოლოს დაიმსახურონ კონსტიტუციის სახელი (qui, après tout, pourrait finir par meriter le nom de constitution)“.

მთელ ამ ზღაპარს ტალეირანი უყვება რუსეთის მეფეს, რომელსაც არასოდეს არაფერი დაუჯერებია ტალეირანისათვის, მაშინაც კი, როცა მომხდარა და ფრანგ დიპლომატს სიმართლე უთქვამს.

ამგვარად, ტალეირანი, რომელსაც სულ ახლახან, 1814 წ. მარტში, აპრილსა და მაისში სრულიად ნათლად ესმოდა, თუ რა საფუძვლიანი იყო შიში ალექსანდრესი,

რომელსაც სურდა დაეზღვია ბურბონები მათივე უგუნურებათა გარდაუვალი შედეგებისაგან, ტალეირანი, რომელიც სავსებით ეთანხმებოდა რუსეთის მეფეს, რომ ამ მიზნის მიღწევის მთავარ საშუალებას კონსტიტუცია წარმოადგენს, - ეხლა, იმავე წლის ივნისში, ჯდება საწერ მაგიდასთან და ალექსანდრეს ამ წერილსა სწერს, რომელიც დიამეტრულად საპირისპირო შინაარსისაა. არავითარი კონსტიტუცია არ ესაჭიროებათ ფრანგებს, არც თუ სამშობლო ესაჭიროებათ მათ მაინცდამაინც. მათ მეფე სჭირათ; „საფრანგეთში მეფე ყოველთვის გაცილებით მეტი იყო, ვიდრე სამშობლო. აგრე წარმოგვიდგენია, თითქოს სამშობლო ადამიანად ქცეულიყო.“ ამიტომაც ხელმწიფე დაე ნუ გაწყრება „თუნდაც მოეჩვენოს, რომ მონარქია მოწადინებულია კვლავ („ressaisir“) ჩაიგდოს ცოტა უფრო მეტი ძალაუფლება, ვიდრე ეს მან, რუსთა ხელმწიფემ, შეიძლება მიიჩნიოს აუცილებლად და თუნდაც მას ისეთი შთაბეჭდილება დარჩეს, რომ ფრანგები დიდად არ სწუხან თავიანთი დამოუკიდებლობისათვის (et les francais – negliger le soin de leur independence!)“

რას იზამ: ასეთი ყოფილა ფრანგების აზრი და ფიქრი! მეტისმეტად ერთგულნი ყოფილან თავიანთი საყვარელი მეფის ლუდოვიკო მეთვრამეტისა! ისე ერთგულნი, რომ უკონსტიტუციოდაც კარგად გრძნობენ თურმე თავს... და შემდეგ: რა თქმა უნდა, ალექსანდრემ არ უნდა იფიქროს, თითქოს ტალეირანი ივიწყებდეს რუსეთის როლს ახლახან დამთავრებულ ომში: რუსთა ხიმტებმა დაუბრუნეს ფრანგებს მათი სათაყვანო მამა სამშობლოსა, მეფე ლუდოვიკო მეთვრამეტე. ამ დახმარების გარეშე სამშობლოს მამა ვერასგზით ვერ მოხვდებოდა ტუილრიში. მაგრამ რუსთა ხელმწიფე დაე ნუ შეზღუდავს ნურაფრით მეფეს, რომელიც თავისი სიბრძნის წყალობით თვითონვე გაიგნებს, სახელდობრ რით გააბედნიეროს თავისი ხალხი: „არ შეეჭვდეთ, ხელმწიფევ, თუ მეფე, რომელიც თქვენ ბრძოლით დაგვიბრუნეთ (sic: que vous nous avez reconquis“), მოისურვებს მოგვცეს სასარგებლო დაწესებულებანი, იგი იძულებული იქნება დაიცვას ზოგიერთი სახის სიფრთხილე და მოიგონოს, რანი ვიყავით ერთ დროს, იმისათვის, რათა ვიმსჯელოთ იმაზე, თუ რასა ვგულობთ“.

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ტალეირანი მონურად იმეორებს ყოველივე იმას, რასაც სწორედ იმ დღეებში ყოველნაირად ამტკიცებდნენ თავადი პოლინიაკი, გრაფი დ'არტუა და მთელი ეს გამძვინვარებული ემიგრანტული ხროვა, მოკავშირეთა საბარგულებში დაბრუნებული საფრანგეთში: ნოტაბლების ან გენერალური შტატების მსგავს რევოლუციამდელ სათათბირო დაწესებულებათა არსებობა მომავალში მათ კიდევ დასაშვებად მიაჩნდათ თავიანთი პოლიტიკური პროექტების მიხედვით, მაგრამ მეფის ხელისუფლების შეზღუდულ კონსტიტუციისა - არავითარ შემთხვევაში. და აი ტალეირანი, რომელიც ამ არისტოკრატთა კომპანიას დამთხვეულ

მოლაყბეებს ეძახდა ყოველთვის და ასეთებადაც თვლიდა, მორჩილად იმეორებს ამ კურიოზულ, შეუსაბამო, წარღვნის წინადროინდელ რჩევებს, მთელ ამ ქიმერებს ადამიანებისა, რომელთათვისაც ოცდახუთწლეული რევოლუციისა და იმპერიისა რაღაც არარეალური ზმანება იყო მხოლოდ, მეტი არაფერი. ბევრი ნიღაბი უტარებია ერთიმეორის მონაცვლეობით თავად ტალეირანს, შეეძლო რაღაც უნდოდა მოეჩვენებინა თავი, მაგრამ თავის მოსულელება კი ყველაზე ნაკლებად ეხერხებოდა. ეს წერილი ალექსანდრესადმი - ამის საუკეთესო საბუთია: მას მარტივი, ზუსტი სიტყვებიც კი არ ჰყოფნის, რათა ეს აბნეული, უხამსად სულელური სხვათა აზრები გადმოსცეს. ტალეირანმა იცოდა, რომ ალექსანდრეს ბევრთან აქვს ურთიერთობა პარიზში; მათ შორის ნაპოლეონის მარშლებთანაც, რომლებიც იმპერატორის გადადგომის შემდეგ მისივე საგანგებო ნებართვით დარჩნენ სამსახურში. ალექსანდრემ ბევრი რამ გაიგო იმის თაობაზე, თუ რა ხდება ახალ სამეფო კარზე და რა ენერგიულად უთხრიან ორმოს თავად პოლინიაკის ტიპის როიალისტები თავიანთ თავსვე. პირადად ტალეირანმაც ბევრი რამ უამბო მას ამის შესახებ, როცა ტალეირანი მისი ყოვლისშემძლე პროტექციის მოსაპოვებლად იღვწოდა. მაგრამ ეს იყო მარტ-აპრილ-მაისში, ხოლო ივნისის შუა ხანებში, მგლებში ჩავარდნილი, იძულებული გახდა მგლურადვე აყმუვლებულიყო. მეტი რა ჩარა ჰქონდა. „ხელმწიფევ, გეტანხმებით, რომ პარიზში თქვენ მრავალი უკმაყოფილო ნახეთ“, მაგრამ რით აიხსნება ეს, ერთობ სწრაფი ცვლილებების გარდა? სულ მარტივად: „პარიზი - ეს არის ჯამაგირის ქალაქი, მცხოვრები მოხელეთა ხელფასით (les appointements)[84]. ტირან ბონაპარტსაც კი განუდგა პარიზი მაშინ, როდესაც ჯამაგირის გადახდა შეწყვიტა, ხოლო მას რომ განეგრძო ხელფასის მიცემა მსხვილი მოხელეებისათვის, ახლაც იჯდებოდა. მთელი ეს წვრილმანი უხამსობა ამ „ახსნა-განმარტებებისა“ მით უფრო კურიოზულია, რომ აქ წმინდაწყლის სიცრუეა ნათქვამი: ჯამაგირს მოხელეებს წესიერად უხდიდნენ იმპერიის ბოლომდე, ხოლო ხანმოკლე შუალედი სწორედ იმით იყო განპირობებული, რომ კრიტიკულ დღეებში, როცა ბევრი სახაზინო ოქროს ფული უკვე წავიდა ნაპოლეონისგან და ჯერ ვერ მიელწია ბურბონებამდე, გზაში მისი ნაწილი გაიბნა და ტალეირანის ფართო ჯიბეებში აღმოჩნდა.

ტონითაც და შინაარსითაც ამ თავიდან ბოლომდე ყალბი წერილის ბოლოში ტალეირანი ერთ-ერთ იმნაირ ფანდს მიმართავს, რომელიც არასოდეს არ უმართლებდა და რომელსაც (კურიოზულია ამის აღნიშვნა) ყოველთვის განსაკუთრებული ხალისით მიმართავდა, როცა ალექსანდრესთან იჭერდა საქმეს. მაგრამ რაკი ალექსანდრეს იჭვნეულ ბუნებას ჯეროვნად ვერ აფასებდა, ხოლო სენტიმენტალობას მისას უზომოდ აზვიადებდა, ამიტომაც აქ ყოველთვის მარცხს განიცდიდა: მხედველობაში გვაქვს მისი ვითომცდა „ანაზღეული“, სინამდვილეში კი

ერთობ წინასწარ მოფიქრებული შეღალაღებანი რუსთა ხელმწიფის გრძნობებისადმი, მასში სავარაუდო რელიგიური და მონარქიული იდეალებისადმი. „ხელმწიფე! დაე, თქვენი კეთილშობილური სული მცირეოდენი მოთმინებით აღიჭურვოს. ნება მიბოძეთ მე, როგორც ნამდვილმა კარგმა ფრანგმა გთხოვოთ ნება ჩემი მეფეებისადმი სიყვარულის ძველებური ჩვევის შენარჩუნებისა. ვის შეუძლია, თუ არ თქვენ, იმ გავლენის უკეთ გაგება, რასაც ეს გრძნობა ახდენს დიად ხალხზე! [85]“ სხვა სიტყვებით: დაე, ალექსანდრემ ირწმუნოს, რომ ფრანგ ხალხს, ისეთივე პატრიარქალური გრძნობით უყვარს თავისი ბურბონები, როგორც რუს ხალხს „უყვარს“ თავისი მეფეები. ხოლო თუ ასეა, კონსტიტუციური გარანტიები რაღა საჩქაროა!

რა თქმა უნდა, ტალეირანს არ შეეძლო იმედი ჰქონოდა, რომ მთელი ამ ყალბი-პათეტიური სიტყვების კორიანტელით რაიმეში დაარწმუნებდა ალექსანდრეს. მაგრამ მისთვის ეს როდი იყო მთავარი; მთავარი იყო ვენაში კონგრესზე გამგზავრების წინ თავისი პოზიციების გამაგრება ლუდოვიკო მეთვრამეტის სამეფო კარზე, სადაც, როგორც მან იცოდა, უკიდურეს როიალისტებს უკვე დაეწყოთ ინტენსიური ძირგამომთხრელი საქმიანობა მის წინააღმდეგ. ამის მიღწევა ნაწილობრივ კიდევ შესძლო. ყოველ შემთხვევაში, შეეძლო გამგზავრებულიყო კონგრესზე ისე, რომ უეცარი გადაყენების შიში არა ჰქონოდა.

მაგრამ ტალეირანმა იცოდა, რომ ალექსანდრეს მაინც ვერ დაუწერ წერილში ისეთ რამეებს, რასაც უსიტყვოდ და წარბშეუხრელად ჩაყლაპავდა რომელიმე კარლ დ'არტუა. ამიტომაც, ამ უხამსი ლაყბობის შემდეგ ბურბონებისადმი, ერთი-ერთნახევარი აბზაცის მანძილზე ტალეირანი უცებ ისევ ლიბერალი ხდება: „თუმცადა, ლიბერალური პრინციპები ვითარდებიან საუკუნის სულთან ერთად. ასე რომ, მოგვიწევს მათთან მისვლა, და თუ თქვენი უდიდებულესობა მოისურვებს ირწმუნოს ჩემს სიტყვებს, გპირდებით, რომ ჩვენ გვექნება მონარქია, შეკავშირებული თავისუფლებასთან... [86]“.

უნარში, ეხმარა არაფრის გამომხატველი, სრულიად უმაქნისი ფრაზები, ბენევენტის თავადს ტოლი არ ჰყავდა.

1919-1920 შარლ დიუპუის მიერ დაბეჭდილი გამოუქვეყნებელი პატაკები როგორც პრუსიის, ისე ავსტრიის სახელმწიფო არქივიდან, ერთხმად ადასტურებს ერთსა და იმავე ფაქტს: ივნისის შუა რიცხვებიდან თითქმის მანამდე, ვიდრე ვენაში გაემგზავრებოდა, ტალეირანი ცდილობს დაახლოებას რუსეთთან, ხოლო ფაქტიური პირველი მინისტრი და გამორჩეული ადამიანი ლუდოვიკო მეთვრამეტისა, გრაფი

ბლაკა, პირიქით, ესწრაფვის ავსტრიასა და ინგლისთან დაახლოებას. „ბენევენტის თავადი, როგორც ჩანს, სულ უფრო და უფრო უახლოვდება რუსეთის ელჩს... ის თავის პოზიციაში რუსეთის მიმართ, შესაძლოა, ეძიებს არა მარტო თავისი მიზნების მიღწევის საშუალებებს, არამედ ხელისუფლების სათავეში დარჩენის საშუალებებსაც“ - რადგან მისი გავლენა სამინისტროში სუსტდებაო, - ასე იწერება ბერლინში პრუსიის წარმომადგენელი გრაფი ფონ ჰოლტცი[87].

ამასვე ადასტურებს მეტერნიხისადმი 14 ივნისს გაგზავნილი ავსტრიის აგენტის ბომბელის პატაკი. ბომბელს აუდიენცია ჰქონდა ლუდოვიკო მეთვრამეტესთან, რომელიც ისევე, როგორც მისი საყვარელი ადამიანი და მინისტრი გრაფი ბლაკა, საფრანგეთის ავსტრიასთან დაახლოების მომხრეა. მეორე მხრივ „ბენევენტის თავადის გავლენა მოცემულ მომენტში აღარაა. ის ხშირად კიდევ ჩივის ამის გამო, ჩივის ერთობ მოუხერხებლად. კარგად ინფორმირებული ადამიანები, მიუხედავად ამისა, თვლიან, რომ ის ხელისუფლების სათავეში დარჩება და რომ მეფე, თუმცა ძლიერ ზღუდავს მისი მოქმედების სფეროს, მაგრამ მეტად ჯეროვნად აფასებს მის ნამდვილ ტალანტებს, რათა სულ მოცილოს თავიდან“, - ასე ატყობინებდა ბომბელი მეტერნიხს[88]. საერთოდ, როცა დაბრუნდნენ ახალი მეფე და ბურბონები და მათმა მომხრეებმა იწყეს ადგილზე დამკვიდრება და გარემოს გაცნობა, ტალეირანის მდგომარეობა ერთობ არასახარბიელო აღმოჩნდა. მართალია, თავისი ბოლოდროინდელი, მარტ-აპრილის, დამსახურებისათვის შეეძლო ლუდოვიკო მეთვრამეტისაგან გამოეთხოვა საგარეო საქმეთა მინისტრის პორთფელი, ხოლო თავისი ახლობლებისათვის - სხვადასხვა თანამდებობანი და წყალობები. ამასთან, იმ ხნის განმავლობაში, რაც (ბურბონების ჩამოსვლამდე) მთავრობის მეთაურად დაჰყო, მოასწრო მოემბნა საუწყებო არქივებში დოკუმენტები ენგიენის ჰერცოგის მკვლელობაზედაც და ესპანეთის ომის შესახებაც, აგრეთვე მთელი რიგი სხვა მისთვის საზიანო ქაღალდები, და პირწმინდად მოესპო: მოასწრო აგრეთვე სხვადასხვა გზით დიდძალი სახაზინო ოქროს ფულის ხელში ჩაგდება. პირადად მე არადამაჯერებლად მიმაჩნია ბარასის მიერ დასახელებული ციფრი, 1814 წელს ბურბონების რესტავრაციასთან დაკავშირებით (თუ ბურბონების რესტავრაციისათვის) ტალეირანის მიერ ქრთამად აღებული და მიტაცებული თანხის ოდენობის მაჩვენებელი: ოცდარვა მილიონი ფრანკი. ბარასი ტალეირანის მტერი იყო. ამას გარდა, თავადაც საერთოდ ხარბი თვალი ჰქონდა ფულზე. ყოველ შემთხვევაში, იმ დღეებში ახალი მილიონები იქნა შეძენილი (თუმცაღა არა ოცდარვა), რომლებიც მშვიდობიანად შეუერთდა ადრინდელ ძირითად მილიონებს, ნაპოლეონის სამსახურიდან რომ დარჩა ტალეირანს. ფულის გარდა, შეინარჩუნა ბენევენტის



სამთავროც (იტალიაში), ნაბოძები ნაპოლეონისაგან, და წარჩინების ყველა ნიშანი, მიღებული ნაპოლეონისგანვე. ყოველივე ეს სასიამოვნო იყო მისთვის.

მაგრამ არასასიამოვნო ის იყო, უკვე ძალიან მალე ახალმა მეფეებმაც და ბურბონთა მთელმა გვარეულობამაც, ხოლო მათთან ერთად კარისკაცებმა და ახალმა წარჩინებულებმა იწყეს უარყოფითი, თუ მეტი არა, დამოკიდებულების გამოძღვანება ტალეირანის მორალური თვისებებისადმი და ეტყობოდა, სულაც არ სურდათ ძველი დინასტიის რესტავრაციის მთავარ ავტორად და თავიანთ კეთილისმყოფელად მისი მიჩნევა. ჰერცოგი და ჰერცოგის ქალი ანგულემისა (ანუ მეფის ნათესავები) გულზიზღობისმაგვარ გრძნობასაც კი ამჟღავნებდნენ მის მიმართ. თავად მეფე სკეპტიკური და დამცინავი იყო, ემარჯვებოდა (და ცდილობდა) გესლიანი რამ ეთქვა. საკმაო სიმკვახეს იჩენდა მეფის ძმაც, კარლ დ'არტუა, შემდგომში კარლოს X.

დაბოლოს, არც სასახლისეულ არისტოკრატias შორის უყურებდნენ ტალეირანს კეთილი თვალთ. ეს არისტოკრატია შედგებოდა თავადაზნაურთა ძველი, უმეტესად ემიგრანტული, ბურბონებთან ერთად დაბრუნებული ნაწილისაგან და ახალი, ნაპოლეონისეული თავადაზნაურობისაგან, რომელსაც შერჩა ყველა ტიტული, ბოძებული იმპერატორისაგან.

ერთნიცა და მეორენიც გულში სიძულვილითა და ზიზღით იყვნენ გამსჭვალულნი ტალეირანის მიმართ.

ძველ არისტოკრატებს ვერ ეპატიებინათ მისთვის მისი რელიგიური და პოლიტიკური განდგომილება რევოლუციის დასაწყისში, საეკლესიო ქონების წართმევა, ანტიპაპური პოზიცია სამღვდელოების ფიცის საკითხში, მთელი მისი პოლიტიკური ყოფაქცევა 1789-1792 წ. წ. აღშფოთებულნი იყვნენ მისი მონაწილეობით ენგიენის ჰერცოგის მკვლელობის საქმეში, იმ ქმედითი დიპლომატიური დახმარების გამო, პოლიციას რომ უწევდა უცხო მხარეებში გადახიზნულ არისტოკრატ-ემიგრანტების დევნაში. მეორის მხრივ, ნაპოლეონის ჰერცოგები, გრაფები და მარშლები ამაყოფნდნენ იმით, რომ მათ, მცირე გამონაკლისის გარდა, ბურბონებს შეჰფიცეს იმპერატორის გადადგომის შემდეგ მხოლოდ, და გააკეთეს ეს გადამდგარი იმპერატორის პირდაპირი ნებართვით მხოლოდ; ტალეირანს, ფუშეს და მარმონს კი უყურებდნენ, როგორც სამარცხვინო მოღალატეებს, ნაპოლეონის გამცემელთ, ზურგში რომ ჩასცეს დანა სწორედ იმ დროს, როცა იგი თავგამეტებით იბრძოდა მთელი ევროპის წინააღმდეგ საფრანგეთის ტერიტორიის მთლიანობის დასაცავად. ბოლოს, ძველმაც და ახალმა არისტოკრატებმაც არა მარტო იცოდნენ ტალეირანის აურაცხელი და

განუწყვეტელი ქრთამების ამბავი, სახაზინო ფულებისადმი მისი ლალი მოპყრობა, არამედ კიდევაც აზვიადებდნენ მის მიერ აღებული თანხების ოდენობას. ისინი იმეორებდნენ სიტყვას, დარხეულს უცნობი ავტორის მიერ და 1814 წ. დამდეგს პრესაში მოხვედრილს (გაზეთში „Le Nain jaune“): „თავადი ტალეირანი იმიტომაც ასე მდიდარი, რომ იგი მუდამ ჰყიდდა ყველა მათ, ვინც მას ყიდულობდა“, ეს ორნაირი სავაჭრო ოპერაცია, საფუძვლად რომ ედო ტალეირანის ყველა საფინანსო ბრუნვას მთელი მისი ამქვეყნიური თავგადასავლების მანძილზე, მეტად ბეჯითად აღინიშნებოდა არა მარტო სალონურ საუბრებში, დაინტერესებული პირის ზურგს უკან, არამედ პრესაშიაც.

რევოლუციის შემდეგ პირველად აქ იგრძნო ტალეირანმა, თუ რაოდენ მოუხერხებელია პირადად მისთვის თუნდაც ისეთი შეზღუდული თავისუფლება ბეჭდვისა, როგორიც შესაძლებელი გახდა 1814 წელს, კონსტიტუციური ქარტიის შემოღების შემდეგ. დირექტორიის დროს ხანდახან ჯერ კიდევ უხდებოდათ ჟურნალისტების თავხედობათა მოთმენა, მაგრამ სამაგიეროდ ნაპოლეონის დროს, 1799 წლიდან 1814 წლამდე, არა თუ ისეთ პიროვნებებზე, როგორიც გახლდათ ტალეირანი, ამგვარ წარჩინებულთა მზარეულებსა და ლაქიებზედაც კი ვერავინ გაბედავდა რაიმე გადაბრუნებული სიტყვის დაბეჭდვას. მაგრამ ბოლოსდაბოლოს ეს გესლი და უსიამოვნებანი თავად ტალეირანს შეეძლო დროყამამდე უგულვებელყო. ის საჭირო, შეუნაცვლებელი კაცი გახლდათ, და ბურბონებს მისი სრულად გამოყენება უნდოდათ. ის ხელახლა მიდიოდა აღმავალი გზით: დანიშნეს პირველ მინისტრად, დაუტოვეს საგარეო საქმეთა სამინისტრო. დაბოლოს, შემოდგომაზე, საფრანგეთის წარმომადგენლის სახით ვენის კონგრესზე გაგზავნეს.

ახალი დოკუმენტი ვენის სახელმწიფო არქივიდან, რომლებიც ფრანგებისა და ინგლისელებისათვის მხოლოდ 1818 წელს, პირველი მსოფლიო ომის ბოლოს ავსტრიის განადგურების შემდეგ გახდა ხელმისაწვდომი, სამწუხაროდ, დაბეჭდილია შეკვეცილი სახით შარლ დიუპუისეულ გამოცემაში, საცა ისინი არეულადაა ჩამატებული. ეს დოკუმენტები ზოგ რამეში ახლებურად წარმოგვიდგენს იმდროინდელ ვითარებას, როცა ტალეირანი 1815 წ. 3 იანვრის ფარული ხელშეკრულების მომზადებისათვის იღწვოდა. თურმე, მეფის ოჯახს (ლუდოვიკო მეთვრამეტეს და გრაფ დ'არტუას) და მინისტრ ბლაკას მუდმივი საიდუმლო კავშირი ჰქონდათ მეტერნიხის აგენტ ბომბელთან, რომელიც პარიზში რჩებოდა. ეს კაშირ-ურთიერთობა უწინარეს ყოვლისა იმით იყო განპირობებული, რომ ბურბონები არც თუ მთლიანად ენდობოდნენ თავიანთ გამოცდილ, მაგრამ რუსული ოქროს ერთობ მოყვარულ წარმომადგენლებს ვენაში; და მათმა პოზიციამ, გარკვევით მტრული

ალექსანდრესადმი, და ამიტომ ძალზე მეგობრულმა ავსტრიისათვის, განსაზღვრა და დააჩქარა ტალეირანის დაახლოება მეტერნიხსა და კესტლერთან.

მეტერნიხს კი ჯერ 1814 წ. სექტემბერშივე, კონგრესის დასაწყისში, ემინოდა ტალეირანის დაახლოების ალექსანდრესთან, და ბომბელი იძულებული ხდებოდა პარიზიდან ემშვიდებინა იგი. „ექვი არ მეპარება, - სწერდა ბომბელი ავსტრიის კანცლერს, - რომ თქვენ მოუვლით მას (ტალეირანს), თუმცა მეტად ავისმზრახველად ნახავთ (beaucoup de mauvaise volonte)... ვფიქრობ, რომ ინტერესები საფრანგეთისა და მისი მეფისა ბ. ბენევენტელისათვის (M. de Benevent) მუდამ მეორეხარისხოვან საქმედ დარჩება, და რომ ინტერესები ბ. ტალეირანისა, უცილობელია, უფრო ახლო იქნება მის გულთან“ - ირონიულად იწერება ბომბელი 1814 წ. 15 სექტემბერს პარიზიდან[89]. ტალეირანის ბიოგრაფიაში გადაიშალა ახალი ფურცელი, ამასთან ერთად, რომელიც უდიდესი ისტორიული ინტერესის შემცველია, კიდევ უფრო დიდისა, ვინემ მთელი მისი ადრინდელი მოღვაწეობა.

## თავი მეხუთე

### ტალირანი ვენის კონგრესზე. ასი დღე. 1814 წ. სექტემბერი - 1815 წ. ივნისი

1814-1815 წლებში ტალირანს ვენაში ისეთი მოწინააღმდეგეების პირისპირ უხდებოდა გამოსვლა, რომლებიც, მეტერნიხისა და ალექსანდრეს გამოკლებით, ჩვეულებრივ დიპლომატთა დონეს არ აღემატებოდნენ და უკეთეს შემთხვევაში, შეიძლებოდა მიჩნეულიყვნენ, როგორც „საშუალო სამსახურებრივი სარგებლობანი“. კესტლერი, მაგალითად, და სხვა ინგლისელი დიპლომატები, ისევე როგორც პრუსიელი წარმომადგენლები, არავითარ საშიშროებას არ წარმოადგენდნენ. ეს ადამიანები მოწმენი და მონაწილენიც კი იყვნენ უდიდესი მოვლენებისა და, ამის მიუხედავად, მათი ჭეშმარიტი ხასიათისა და შინაგანი მნიშვნელობის გაუგებლობას ამჟღავნებდნენ ყოველ ფეხის ნაბიჯზე. ისინი ჯერ ისევ XVIII საუკუნის ტრადიციულ კვალზე მიჩანჩალებდნენ, ძველი, კეთილი XVIII საუკუნისა, რომელიც, მაშინდელი გამოთქმით, სცნობდა მხოლოდ „კაბინეტურ დიპლომატიას“, აწარმოებდა „კაბინეტურ ომებს“, ახდენდა ქვეშევრდომთა „სულების“ ცვლას, ყიდვასა და გადაყიდვას, მსგავსად მემამულეებისა საბატონო სოფლებში (და სწორედ ასედაც იწოდებოდნენ ეს გასაცვლელი ქვეშევრდომები ვენის კონგრესის დიპლომატიურ დოკუმენტებში: „სულები“: les ames). სახალხო მისწრაფებებს, ჩვეულებებს, ეროვნულ გრძნობებს და ა. შ. ვენის კონგრესზე არავის ანგარიშს არ უწევდნენ. „ხალხი მდუმარებდა“. ასეთი მდგომარეობა არც ტალირანს ეჩვენებოდა არანორმალურად და ამ მხრივ მასსა, მეტერნიხსა და ალექსანდრეს შორის არავითარი განსხვავება არ შეინიშნება.

თავის დროზე ვილიამ პიტ უმცროსს, რომელიც, უნდა ითქვას, რამდენიმე თავით მაღლა იდგა თავის მემკვიდრეებზე, მისი კრიტიკოსები უსაყვედურებდნენ, საფრანგეთთან ბრძოლაში იგი მოინუსხა ადგილით, გეოგრაფიული პუნქტით, რომელსაც სიყრმიდანვე ებრძოდა, და გამოეპარა ადამიანთა ცვლა ამ ადგილზე. მან ვერ შენიშნა, რომ იმ ადგილზე, სწორედ იმ პარიზში, სადაც ამდენი ხანია ერთიმეორეს ცვლიდნენ და საფრანგეთის სახელით ლაპარაკობდნენ ვერსალის სამეფო კარის ელეგანტური და პრანჭია ძველრეჟიმული გაპუდრული მოკობტავენი, მათ წინაშე დგას უკვე არა გაპუდრული კოპწია, არამედ ჩინგის-ხანი და რომ საქმე

ეხება უკვე არა მიწების შეჭრა-შემოჭრას ინდოეთში და არა ვირთევზას ჭერის უფლებების ნიუფაუნდლენდთან, არამედ ინგლისის სამეფოს არსებობას.

ეხლა, 1814 წელს ეს ჩინგის-ხანი სულ ახლახან იქნა დამხობილი მთელი ევროპის უთავგანწირულესი ბრძოლის შემდეგ; მაგრამ სახელმწიფო პირთ, ვენაში შეკრებილთ 1814 წ. შემოდგომაზე ხალხებისა და მიწების ახალი პოლიტიკური გადანაწილებისათვის, მაინც არც თუ მთლად ესმოდათ ისტორიული აზრის განვლილი სისხლიანი ოცდახუთწლეულისა. ვენის კონგრესის საშუალო დიპლომატი, საშუალო პოლიტიკოსი, მაშინდელი ევროპის თავადაზნაურული კლასის უმრავლესობის მსგავსად, იმ აზრისა იყო, რომ რევოლუცია და ნაპოლეონი უეცრად მოვარდნილ ქარტეხილებს წარმოადგენდნენ, რომლებიც, საბედნიეროდ, დასრულდა, და ახლა ისლა ჰმართებთ, ნამსხვრევები აკრიფონ, დაზიანებული ადგილები შეაკეთონ და ძველებურ ცხოვრებას შეუდგნენ.

მხოლოდ მცირეოდენს ესმოდა, რომ სრული რესტავრაცია მთავარისა, ე.ი. სოციალურ-ეკონომიური ძველი რეჟიმისა, ვერ მოხერხდებოდა ვერც საფრანგეთში, საცა ის რევოლუციამ გაანადგურა, ვერც იმ ქვეყნებში, სადაც მას საშინელი ზიანი მიაყენა ნაპოლეონმა, და რომ ამიტომ არ შეიძლება მოხერხებულიყო არც სრული პოლიტიკური ან ყოფითი რესტავრაცია. რეაქციონერთაგან ამას ხვდებოდნენ და გულისტკივილით აღნიშნავდნენ მხოლოდ ერთგული მოაზროვნენი. „ამაოდ ლაპარაკობს ლუდოვიკო მეთვრამეტე, მამაპაპეულ ტახტზე დავჯექიო: იგი დაჯდა და ზის ბონაპარტისეულ ტახტზე, ხოლო მამაპაპეული ტახტი უკვე შეუძლებელია“ - ნაღვლიანი ირონიით ამბობდა ჯოზეფ დე მესტრი და მიუთითებდა იმაზე, რომ საფრანგეთში მთელი სოციალური, ადმინისტრაციული, ყოფითი წყობა იმავე სახით დარჩა, რა სახითაც ნაპოლეონის დროს არსებობდა, მხოლოდ ზევით იმპერატორის ნაცვლად მეფე ზის და არსებობს კონსტიტუცია. საერთაშორისო ურთიერთობის დარგში ილუზიები კიდევ უფრო დიდი იყო, ახლადგადვილებული ბურჟუაზიული „ეროვნული“ მისწრაფებებისათვის ანგარიშის გაწევა არავის სურდა, ხოლო სავსებით თვითნებურ მოპყრობას ხალხებისადმი და მთელი სახელმწიფოებისადმი, ყიდვა-გაყიდვა-გაცვლის ამ დარგში, მთელ ამ ძველრეჟიმულ დიპლომატიურ წესებს დაემატა მოგონებები ახლახან განცდილი ნაპოლეონისეული ეპოპეისა: თუკი ევროპის ხალხები იტანდნენ და დუმდნენ ისეთი მოპყრობის გამო, როგორიც ნაპოლეონს ჰქონდა პრაქტიკაში, ღირს კი ამიერიდან ანგარიში გაეწიოს მათ მისწრაფებებსა და იმედებს?

„ლეგიტიმურობის იდეიდან“, რომელიც მიიღო და, რა თქმა უნდა, არც შეეძლო არ მიეღო მთელ აბსოლუტისტურ რეაქციულ ევროპას და ინგლისის მმართველ

არისტოკრატთა, ტალეირანმა შექმნა არგუმენტი საფრანგეთის ინტერესების დაცვის დროს. არსებულ პირობებში საფრანგეთი მხოლოდ მოიგებდა ძველი დიდმყრობელური მდგომარეობისა და ძველი საზღვრების დაბრუნებით, რადგან სულ ერთია სამხედრო ძალით დაცვის უნარი მაინც არ აღმოაჩნდებოდა. იგივე „ლეგიტიმურობის“ იდეა, იდეა რევოლუციამდელი დროის სახელმწიფო საზღვრებში დაბრუნებისა, დაეხმარა მას დაეცვა საქსონია პრუსიასთან შეერთებისაგან, რაც ასე დიდმნიშვნელოვანი იყო საფრანგეთისათვის.

ვენის კონგრესზე ტალეირანმა სრული ბრწყინვალეობით გამოავლინა თავისი დიპლომატიური ნიჭი. მთელი დანარჩენი ცხოვრების მანძილზე იგი მუდამ მიუთითებდა ვენის კონგრესზე, როგორც ისეთ ადგილზე, სადაც ბეჯითად იცავდა - და დაიცვა - თავისი სამშობლოს ინტერესები მტრის მთელი ურდოების წინაშე, დაიცვა ყველაზე ძნელ, თითქმის უიმედო პირობებში, როგორშიც კი შეიძლება აღმოჩნდეს დიპლომატი: არ გააჩნდა დასაყრდნობად არავითარი რეალური ძალა ზურგსუკან იმ მომენტში. საფრანგეთი განადგურებული იყო, გამოფიტული - ხანგრძლივი და სისხლისმღვრელი ომებით, ახლახან განცდილი აოხრებით.

კონგრესზე საფრანგეთის წინააღმდეგ, ისევე როგორც ადრე ბრძოლის ველზედაც, იდგა ყველა პირველხარისხოვან სახელმწიფოთა კოალიცია: რუსეთი, პრუსია, ავსტრია, ინგლისი. თუ ეს სახელმწიფოები შესძლებდნენ ოდნავ მაინც დაეცვათ კონგრესზე მოქმედებათა რაიმე ერთიანობა, ტალეირანს მოუხდებოდა სრულიად დამორჩილებულიყო. მაგრამ ამ სახელმწიფოთა ინტერესები ერთმანეთისას ეწინააღმდეგებოდა და ტალეირანის მოქმედებებისათვის რეალური ნიადაგი არსებობდა.

ჩამოვიდა თუ არა ვენაში 1814 წ. სექტემბერში, ტალეირანი პირველი დღიდანვე შეუდგა ინტრიგათა ურთულესი ქსელის გაბმას, რათა აემხედრებინა საფრანგეთის ერთი მოწინააღმდეგენი მისი სხვა მოწინააღმდეგეების მიმართ და დაეჩქარებინა ისედაც გარდაუვალი დაშლა ანტიფრანგული კოალიციისა. პირველი ნაბიჯი ძნელი იყო. რეპუტაცია თავადისა კიდევ უფრო ართულებდა მის მდგომარეობას. საქმე თავად ტალეირანის პიროვნების საერთო შეფასებაში როდი გახლდათ, იმაში, რომ მას ვენის კონგრესზე საუკუნის ყველაზე დიდ გველადუას ეძახდნენ (რა თქმა უნდა, არა პირში), „la plus grande canaille du siècle“; არც ის იყო მთავარი, რომ ღვთისმოსავ, ცრუმორწმუნე კათოლიკურ ვენას, მთელ აქ შეკრებილ მონარქებთან და მმართველებთან ერთად, რომელთაც მისტიციზმი იმ მომენტში რევოლუციის საწინააღმდეგო ყველაზე უეზარ საშუალებად ეჩვენებოდათ, სძულდა გაკრეჭილი და თავის დროზე ეკლესიისაგან განდგომილი ოტენის ეპისკოპოსი, რომელმაც გასცა და

რევოლუციონერებს მიჰყიდა კათოლიციზმი, ისიც კი არ იყო ყველაზე მნიშვნელოვანი, რომ მას, მიუხედავად მთელი მისი ცოდვებისა, დაჟინებით სთვლიდნენ ენგიენის ჰერცოგის მკვლელად. აღიზიანებდათ მისგან სხვა რამ: ყველა ამ ხელმწიფეებსა და მინისტრებს ხომ სწორედ ტალეირანთან ჰქონდათ საქმე ნაპოლეონის მეფობის მთელი პირველი ნახევრის განმავლობაში. სწორედ ის აფორმებდა ყოველთვის ნაპოლეონის გამარჯვებების შემდეგ დამარცხებულთა ტერიტორიულ და ფულად მარცვას, თანახმად ნაპოლეონის ბრძანებებისა და დირექტივებისა. არასოდეს, არც ერთხელ არ უცდია ოდნავ მაინც შეეკავებინა ნაპოლეონი დაწყებითი კონფლიქტებისაგან ან დიპლომატიური აგრესიისაგან, ომებისაგან ან საბოლოო დაპყრობებისაგან. ყველაზე ქედმაღლურ, გამომწვევ ნოტებს, ომის პროვოკაციის მომწყობს, სწორედ ის წერდა; ყველაზე შეურაცხყოფელ და გესლიან ქაღალდებს ნებისმიერი დიპლომატიური შეხლა-შემოხლისას სწორედ ის ადგენდა - როგორც მაგალითად ზემოაღნიშნული სასტიკი პასუხი, 1804 წელს გაგზავნილი იმპერატორ ალექსანდრესადმი ენგიენის ჰერცოგის მკვლელობასთან დაკავშირებით, რომელშიც პირდაპირ იყო მითითებული პავლეს მკვლელობაზე და ნაწიშნები ალექსანდრეს მონაწილეობაზე ამ საქმეში. ტალეირანი გამგონი და ოსტატური კალამი გახლდათ ნაპოლეონისა და ამ კალამს მრავალი დაეკოდა იმათაგან, ვისაც ეხლა ვენაში მოეყარა თავი. შემდგომში, სხვათა შორის თავის მემუარებშიაც, ტალეირანი ყოველთვის მეტად გრძნობამორევით და ერთობ საყვედურის კილოთი ლაპარაკობდა იმაზე, რომ ნაპოლეონი არ ინდობდა დამარცხებულთა თავმოყვარეობას, ფეხქვეშ სთელავდა მათ ადამიანურ ღირსებას და ა.შ. ის სავსებით მართალია, ოღონდ ავიწყდება დასძინოს, რომ სწორედ თვითონ იყო ერთგული და განუხრელი შემსრულებელი იმპერატორის ნებისა. იმ სახელმწიფოთა წარმომადგენელი, რომელნიც ამდენ ხანს დამცირებასა და უღმობელ ექსპლუატაციას განიცდიდნენ, და დიპლომატები, რომლებსაც ახსოვდათ მწარე გაკენწვლანი, რასაც უხმოდ იტანდნენ ამდენ წელიწადს, ეხლა პირდაპირ უდგნენ ამ ქედმაღალ და ცბიერ დიდებულს, ამ „საქმის მწარმოებელს ტირანისა“, ვისი უღელიც, დაბოლოს, როგორც იქნა, უკვე გადაიგდეს.

მაგრამ ყველას გასაოცრად, „ტირანის ამ საქმის მწარმოებელს“ ისე ეჭირა თავი კონგრესზე, თითქოს დამარცხებული კი არა, გამარჯვებული ქვეყნის მინისტრი ყოფილიყო, და ტყუილად როდი თქვა გაღიზიანებულმა ალექსანდრე პირველმა მის შესახებ ვენაში: „ტალეირანს აქაც ლუდოვიკო მეტოთხმეტის მინისტრად მოაქვს თავიო“. ტალეირანს მართლაცდა არტისტულად მიჰყავდა თავისი ურთულესი, დასაწყისში თითქმის უიმედო თამაში და დააჩქარებინა ანტიფრანგული კოალიციის დაშლა.

ამ დიპლომატიურმა წარმატებამ მეორე არანაკლები, წარმატებაც გამოიწვია. პრუსია პრეტენზიას აცხადებდა საქსონიის მეფის ყველა სამფლობელოს მიღებაზე: ნაპოლეონის წინააღმდეგ შეერთებული ევროპა საქსონიის მეფის დასჯად აპირებდა ნაპოლეონთან მისი კავშირისათვის. პრუსიის ამგვარი გაძლიერება ტალეირანს არავითარ შემთხვევაში არ უნდოდა დაეშვა და არც დაუშვია. პრუსიამ მიიღო მხოლოდ ყველაზე ნაკლებ ხელსაყრელი ნაწილი საქსონიის ტერიტორიისა. პოლონეთის დაცვა რუსეთის მხრივ „ჩაყლაპვისაგან“ ტალეირანმა ვერ შეძლო, მიუხედავად მთელი მისი ცდებისა. საფრანგეთს არა მარტო დარჩა ყოველივე ის, რაც მან, რუსეთის მხარდაჭერის წყალობით, პარიზის ზავის მიხედვით შეინარჩუნა, არამედ ტალეირანმა საკითხის დასმაც კი არ დაუშვა ვენაში იმ პუნქტების შესახებ, რომელთა გადასინჯვა ამ დარგში ზოგიერთ სახელმწიფოს გულით ეწადა. ტალეირანმა წამოაყენა „ლეგიტიმიზმის პრინციპი“, როგორც ისეთი, რომელის საფუძველზედაც მთელი საერთაშორისო სამართალი უნდა აგებულიყო. „ლეგიტიმიზმის პრინციპს“ მტკიცედ უნდა უზრუნველყო საფრანგეთი იმ საზღვრებში, რომლებიც რევოლუციურ და ნაპოლეონისეულ ომებამდე გააჩნდა. და რა თქმა უნდა, მოცემულ პირობებში ეს პრინციპი, ვიმეორებთ, საფრანგეთისათვის ხელსაყრელი იყო, რადგან ახალი ომების ატეხის შემთხვევაში ძლევამოსილი წინააღმდეგობისათვის იმ მომენტში ძალა არ ჰქონდათ.

დაიცვა რა წარმატებით ბურჟუაზიული ახალი საფრანგეთის ინტერესები ფეოდალური ევროპის წინაშე, ამ საქმისათვის ტალეირანმა ჩვეული მოხერხებით გამოიყენა სწორედ არქიფეოდალური, არქიმონარქიული არგუმენტაცია: „ლეგიტიმიზმის პრინციპი“. კბილებდაღესილებმა პრუსიელმა პრეტენდენტებმა, რომლებიც უკვე მზად იყვნენ დაეგლიჯათ მძულვარე „ქვეყანა რევოლუციისა“, ვერ იგემეს თავიანთი ნადავლი. დაექუცმაცებინათ დამარცხებული და დასუსტებული საფრანგეთი - ვერც პარიზში მოახერხეს, ვერც ვენაში. აქ რუსეთი დაეხმარა; მაგრამ უკვე მაშინ, ვენის კონგრესზე, ტალეირანი საბოლოოდ დარწმუნდა, რომ თუ მოტყუება კესტლერისა და მეტერნიხისაც კი, აღარას ვიტყვით ფრიდრიხ-ვილჰელმ III პრუსიელზე - თუმცა იოლი საქმე არაა, მაგრამ შესაძლებელია, მოტყუება ალექსანდრესი, რომელსაც თვითონ ნაპოლეონი უწოდებდა „ემშაკ ბიზანტიელს“, შეუდარებლად ძნელია. ტალეირანს წინასწარ შეეძლო სცოდნოდა, რომ ალექსანდრე შემდეგ სწორედ ამავე „ლეგიტიმიზმის პრინციპით“ ისარგებლებს, თუ სხვა ფორმებში შეეცდება დამხობილი ნაპოლეონისეული ჰეგემონია ევროპაზე შეცვალოს რუსეთის ჰეგემონიით, მაგრამ ძველი დიპლომატი იმავე დროს იმის სრულ ანგარიშსაც აძლევდა თავს, რომ, არსებითად, საფრანგეთი ამ შესაძლო განზრახვებისაგან, უკვე თავისი გეოგრაფიული და სხვა პირობების გამო, გაცილებით



ნაკლებს დაჰკარგავდა, ვიდრე ცენტრალური ევროპა, ვიდრე იგივე პრუსია, ავსტრია და სხვა გერმანული ქვეყნები. მაინც მას უნდოდა (და ძალიან უნდოდა) არ მიეცა პოლონეთი რუსეთისათვის, მაგრამ აქ სრული დამარცხება განიცადა.

აქვე, ვენის კონგრესზე, ტალეირანმა განახორციელა გაბედული და წარმატებით დამთავრებული ცდა: გაეთიშა საფრანგეთისათვის ამ მუდამ ყველაზე მეტად საშიში ცენტრალური ევროპისაგან ავსტრია. მაშ ვის წინააღმდეგ იყო პირველ ყოვლისა მიმართული ინგლის-საფრანგეთ-ავსტრიის 1815 წ. იანვრის ფარული ხელშეკრულება, შედგენილი და სისრულეში მოყვანილი ვენაში ტალეირანის მიერ? რა თქმა უნდა, რუსეთისა და პრუსიის წინააღმდეგ. მაგრამ ვინ დაზარალდა ფაქტიურად მისგან? არა რუსეთი, არამედ პრუსია. ალექსანდრე პირველს უნდოდა მიეღო პოლონეთი - და მიიღო კიდეც, და ვერავითარმა ხელშეკრულებმა, ვერც ფარულმა, ვერც ცხადმა, რაოდენ გამახვილებული იყვნენ ისინი მის წინააღმდეგ, ვერ აიძულა დაეცალა ვარშავა. მაგრამ აი პრუსიამ კი მართლაც დაკარგა, და დაკარგა სწორედ ის კომპენსაცია, რომელიც უკვე სავსებით მზად იყო მიეღო რუსეთის სრული თანხმობით: საქსონია. „ცენტრალური ევროპის პრობლემა“, ე.ი. პრობლემა ბრძოლისა პრუსიის გამლიერების წინააღმდეგ, - საფრანგეთის დიპლომატიის მარადი პრობლემა - გადაწყვეტილ იქნა რამდენიმე თაობის წინ. საჭირო იყო ჯერ ნაპოლეონ მესამის დამღუპველი შეცდომები 1866-1867 წლებში, ხოლო შემდეგ უკვე ჩვენს დროში, ჰიტლერის წლებში (1937, 1938 და 1939 წ. წ.) თავისი ტყავის მომფრთხილებელი ფრანგი კაპიტალისტური ზედაფენისაგან საფრანგეთის ეროვნული ინტერესების შეგნებული გაცემა, რომ ასე, ერთი ხელის მოსმით დაელუპაოთ საქმე, 1814-1815 წლებში უძნელეს პირობებში გაკეთებული, როგორშიც კი ოდესმე ყოფილა საფრანგეთი, და 1940 წ. ივნისში უბედური ქვეყნის სამარცხვინო კაპიტულაცია მოემზადებინათ მსხვილი ბურჟუაზიის კლასობრივი ინტერესებისათვის.

ასეთია 1814-1815 წლებში ვენაში ტალეირანის მოღვაწეობის ზოგადი სქემა. ჩვენ ეს ზოგადი სქემა ტალეირანის მიღწევებისა და უმთავრესი მოქმედებისა ვენაში წინ წავუძღვარე, რათა მკითხველს გაუადვილდეს გაერკვეს ამ რთულ მასალაში. ახლა ყველაზე დამახასიათებელ მომენტში შეჩერებით განვიხილოთ, როგორ გვეხატება მთავარი გამარჯვებანი და დამარცხებანი საფრანგეთის მინისტრისა ქრონოლოგიური რიგით, როგორადაც მიმდინარეობდა ეს დიპლომატიური ბრძოლა.

1814 წ. 23 სექტემბერს საფრანგეთის დელეგაცია ვენაში ჩავიდა.

მოქმედების პროგრამა ტალეირანს უკვე სავსებით შემუშავებული ჰქონდა; მაგრამ კარგად იცოდა, მისი მდგომარეობა იოლი არ იქნებოდა, როგორც დამარცხებული ქვეყნის ისეთი წარმომადგენლისა, რომელიც პირადად სძაგდათ.

უკვე 30 სექტემბერს ტალეირანმა წამოაყენა ზეპირი სახით („verbalement“) შემდეგი სამი ძირითადი მოთხოვნა: ჯერ-ერთი, საფრანგეთი სცნობს კონგრესის მხოლოდ იმ გადაწყვეტილებებს, რომლებიც მიღებული იქნება პლენარულ სხდომებზე, კონგრესის ყველა წევრის მონაწილეობით. მეორე, საფრანგეთს სურს, პოლონეთი დააბრუნონ ან იმ მდგომარეობაში, რომელშიც 1806 წელს იყო, ან აღადგინონ იმ სახით, რა სახითაც არსებობდა პირველ დაყოფამდე 1772 წ. მესამე, საფრანგეთი არ დასთანხმდება საქსონიის არც დაქუცმაცებას, არც, მით უმეტეს, მისი დამოუკიდებლობის მოსპობას[90].

ტალეირანმა იმავე დროს აგიტაცია დაიწყო პატარა სახელმწიფოების წარმომადგენლებს შორის, თავს აჩვენებდა მათი უფლებებისათვის მებრძოლად დიდი სახელმწიფოების: რუსეთის, ავსტრიის, ინგლისისა და პრუსიის ძალმომრეობის წინაშე. მაგრამ ძალიან მალე უკვე განისაზღვრა მოქმედების უახლოესი ხაზი: ინგლისელებთან და ავსტრიელებთან დაახლოება რუსეთისა და პრუსიის წინააღმდეგ.

ინტრიგების ფართო ქსელი, რუსეთის წინააღმდეგ რომ გააბა ტალეირანმა ვენაში თავისი ჩასვლის პირველი დღეებიდანვე, რა თქმა უნდა, არ დარჩენილა შეუმჩნეველი (ასევე პირველი დღეებიდანვე), ავსტრიის საიდუმლო პოლიციას უკვე 13 ოქტომბერს (1814 წ.) ჰქონდა შესაძლებლობა ეცნობებინა იმპერატორ ფრანცისათვის თუ როგორ წამოიყვება გრაფმა დე ლატურ დიუ პენმა, საფრანგეთის ელჩის ამალის ერთ-ერთმა წევრმა: „საფრანგეთს სურს მხოლოდ ძალთა დაპირისპირება რუსეთის წინააღმდეგ. ხომ ერთდებოდა ქრისტიანობა მუსულმანების წინააღმდეგ საბრძოლველად რამდენიმე საუკუნის წინათ, მაშ რატომ არ უნდა გაერთიანდეს იგი ყალმუხების, ბაშკირებისა და ჩრდილოელი ბარბაროსების წინააღმდეგ... ჩვენ არ დავუშვებთ, რომ აბუჩად აგვიგდონ. ჩვენ გვყავს 5.000.000 კაცი, რომლებიც მზად არიან ასამოქმედებლად პირველ დამახებისთანავე. ჩვენ ვიკრიბებით ყოველდღიურად დილის 4 საათზე (sic) ტალეირანთან და იგი აძლევს თითოეულ ჩვენთაგანს თემას[91]“.

არც თვითონ თავადს ავიწყდებოდა თავისი პირადი თემა: „თავად დე ლინთან ტალეირანი ლაპარაკობდა რუსების წინააღმდეგ და გამოთქვამდა შიშს, რასაც მათი წარმატებები უნერგავს. საუბრის დროს მოახსენეს ერთ-ერთი რუსი გენერლის

მოსვლა. ტალეირანი წამსვე ცვლის საუბრის თემას და რუსეთის ქება-დიდებაზე გადადის. თავადი დე ლინი უჩურჩულებს: გამოტყდით, ჩემო მეგობარო, რომ თქვენ ნამდვილი ტარტიუფი ხართ. ამაზე ტალეირანი მიუგებს: მე ყველაფრის თქმა შემიძლია, რადგან თქვენ ყბედად მიგაჩნევართ[92]“.

აურაცხელი ავსტრიელი და არაავსტრიელი ჯაშუშები, მზირები და სხვა სახის აგენტები ტრიალებდნენ ტალეირანისა და მისი ბინის გარშემო საფრანგეთის საელჩო სახლში, ვენაში მისი ჩასვლის პირველი მომენტიდანვე.

აგენტი შმიდტი თავის უფროსს, პოლიცპრეზიდენტს ბარონ ჰაგერს, საფრანგეთის დელეგატის ძნელი ხასიათის გამო შესჩივის: „ვინც ცოტათი მაინც იცნობს ტალეირანის ხასიათს და, ამას გარდა, არ დაიზარებს გაისარჯოს მისი სახლის ადგილმდებარეობაზე წარმოდგენის შესაქმნელად, მყისვე მიხვდება იმ სიძნელეებს, რასაც წარმოადგენს სერიოზული მეთვალყურეობის დაწყება თავადზე და იმაზე, თუ რას აკეთებს იგი. მისი სახლი ეხლა - ეს არის თავისებური სახის ციხე-სიმაგრე, სადაც ისეთი გარნიზონი განალაგა, რომელიც სანდო ხალხისაგან შესდგება; მიუხედავად ამისა, ჩვენ მოვახერხეთ ხელთ გვეგდო რამდენიმე ქაღალდი მისი ბიუროდან. ამას გარდა, შევძელით მოგვესყიდა ძველი მსახური, რომელიც უკვე მდგარა სამსახურში სამი ფრანგი ელჩის დროს და ერთიც დარაჯი თუ კანცელარიის მსახური, ვისი წყალობითაც შესაძლებელი გახდა გვემოვა ზოგიერთი ნაგლეჯი ქაღალდი, ნაპოვნი ტალეირანის საწერ მაგიდაში[93]“.

პირველ ხანებში ტალეირანს ხანდახან გესლიანი შენიშვნების მოსმენა უხდებოდა. „დამარცხებულის უფლება არაა გადაწყვიტოს რამე“, - შეუნიშნავს მისთვის, როგორც გადმოგვცემენ, ვილაცას (ვის - ბარონ ჰაგერისადმი წარდგენილ აგენტის პატაკში ნათქვამი არ არის) 15 ოქტომბერს, როცა თავადს განუზრახავს ჰოლანდიასთან ბელგიის შეერთების წინააღმდეგ აემალლებინა ხმა. მაგრამ სწორედ ამ პირველ, მისთვის ძნელ დღეებში, ტალეირანი მომეტებულად ცდილობდა „არ დაეწია ტონისათვის“ (Rapport a Hager. Vienne, le 15 octobre). ტალეირანი ყოველნაირად ცდილობს მეტი ენერგიულობა გამოაჩენინოს კესტლერს „საქსონიის საქმეში“ და თვითონ ავლენს ერთგვარ დიქტატორულ ტონს ამ საკითხზე მასთან ურთიერთობის დროს. ეს ტონი, რა თქმა უნდა, შეეხებოდა არა კესტლერს, არამედ იმათ, ვისაც კესტლერი წერილს უჩვენებდა[94].

„ტალეირანი და კესტლერი ხელახლა კარგ ურთიერთგანწყობილებაში არიან. ტალეირანი წინანდებურად ძალზე გაბრაზებულია რუსებსა და პრუსიელებზე“ - წერს თავის შენიშვნებში ბარონი ჰაგერი 1814 წ. 16 ოქტომბერს[95].

ვენაში მაშინ ცხოვრობდა (დიდი ხანია სამსახურიდან გასული). უკვე მიხრწნილებაში გადამდგარი, ძველი ავსტრიელი ფელდმარშალი და დიპლომატი (ტომით ბელგიელი), თავის დროზე სახელგანთქმული თავადი დე ლინი, ნაწილობრივ მეგობარი, ნაწილობრივ კლევრეტი ეკატერინე მეორისა. ის ძველი პროფესიონალის ინტერესით ადევნებდა თვალყურს კონგრესის ადამიანებსა და საქმეებს.

თავადმა დე ლინმა უთხრა ტალეირანს, როგორც კი ეს უკანასკნელი ჩამოვიდა ვენაში: „თქვენ ეხლა დიდ როლს თამაშობთ, თქვენ - საფრანგეთის მეფე ხართ, ლუდოვიკო მეთვრამეტემ კი თქვენ დაკრულზე უნდა იცეკვოს, თუ არ სურს ცუდად წაუვიდეს საქმე“. ტალეირანმა მიუგო: „თავადო, აი უკვე შვიდი წელია, რაც ბონაპარტი ეჭვის თვალთა მიცქერის“. „როგორ, - წამოიძახა დე ლინმა, - მხოლოდ შვიდი წელიწადი! მე კი აი უკვე ოცი წელია ეჭვით გიყურებთ[96]“. მახვილგონიერმა დე ლინმა ამ სიტყვებით საერთო აზრი გამოხატა ტალეირანზე, როგორც ისეთ მოღვაწეზე, რომლის მთელი ცხოვრება ღალატობათა გაბმულ ჯაჭვს წარმოადგენს.

ამგვარი საეჭვო კომპლიმენტების მოსმენა ვენაში ყოფნის დასაწყისში ტალეირანს ყოველ ფეხის ნაბიჯზე უხდებოდა. მაგრამ ეს იყო დასაწყისი პერიოდი, და მალე თავადმა ტალეირანმა დაინახა, რომ ვენაში ის მუდამ არ იქნება სავსებით მარტო. ტალეირანს შეეძლო ვენაში თავისი ყოფნის უკვე პირველი დღეებიდანვე შეენიშნა, რომ რუსეთი საკმაოდ იზოლირებულია კონგრესზე. პრუსიასაც კი, რომელიც დიდ და მდიდარ წყალობებს გამოელოდა ალექსანდრესაგან, ეშინოდა რუსეთის. ამას მეტერნიხის საიდუმლო აგენტებიც ადასტურებენ.

პრუსია, როგორც ყოველთვის, ფარული მტრობით იყო გამსჭვალული რუსეთისადმი, მიუხედავად იმისა, რომ პოლიტიკურად ისე მჭიდროდ დაახლოებული აღმოჩნდა მასთან... „პრუსია, გარეგნულად ასე დაკავშირებული რუსეთთან, სინამდვილეში ძალზე უკმაყოფილოა მისი, რადგან რუსეთს შემზარავი აზრები აქვს ბატონობის შესახებ. თუ რუსეთი შეძლებდა დაუფლებოდა პოლონეთს, მაშინ ის შიგ პრუსიულ სამფლობელოთა შუაგულში აღმოჩნდებოდა, რა წამსაც ამას მოისურვებდა, და უმაღლეს ბერლინში ამოჰყოფდა თავს, ვიდრე პრუსია თავის აღმოსავლეთ ნაწილში გაფანტული საჭირო ძალების შეკრებას მოასწრებდა... ამიტომ პრუსიელი მინისტრების ერთადერთი საწადელი ისაა, მჭიდრო და გულთბილი კავშირი იქონიონ ავსტრიასთან, რათა ამ გზით ხელი შეუშალონ რუსეთის განვრცობას და, უკიდურეს შემთხვევაში, შეაფერხონ საერთო საშიშროების ზრდა. „საერთოდ კი, საქმე რომ მივიდეს ომამდე რუსეთსა და ავსტრიას შორის, პრუსია ყოველთვის ავსტრიის მხარეზე იქნება[97]“.

ასეთები იყვნენ რუსეთის ეს „უერთგულესი მეგობრები“ ვენის კონგრესზე, რომელთა ხსნისათვის რუსმა კარისკაცებმა იმდენი სისხლი დაღვარეს. ზედმეტია ლაპარაკი თვითონ მეტერნიხის ფარულ, ხოლო მალე აშკარა მტრობაზედაც. რუსთა მეფეს და მის ამაღლას მან ჯაშუშთა მთელი ლაშქარი დაახვია.

რუსების თვალთვალთ გასაკუთრებული სრულყოფით იყო ორგანიზებული. ფარული აგენტი დაღონებით ატყობინებს თავის უშუალო შეფს ბარონ ჰაგერს 10 ოქტომბერს, გენერალ ჟომინის (ალექსანდრეს ამაღლის წევრის) წყენისმომგვრელი ექვიანობის შესახებ: „გენერალმა ჟომინიმ, რომელიც თავის ქაღალდებს ჩაკეტილში ინახავს, ყველა კლიტის გადაკეთება ბრძანა და თან მიაქვს ყველა გასაღები. ძნელი და საშიში იქნებოდა, ამ მომენტში გვეცადა გაგველო მისი უჯრები. მაინც შეიძლება ვცადოთ, როცა იგი გამოჯანმრთელდება და ხელახლა გამოვა შინიდან; ამ გზით შესაძლებელი იქნება ამოვიღოთ რამდენიმე საათით მისი ერთ-ერთი რვეული. უკვე ავიღეთ ანაბეჭდი მისი ახალი კლიტებიდან[98]“. ხოლო რუსები არა ნაკლებ შემფოთებას იწვევდნენ ავსტრიელებში, ვიდრე ტალეირანსა და ინგლისელებში. მწიფდებოდა დიპლომატიური შეთქმულება რუსეთის წინააღმდეგ.

საიდუმლო სამსახურის აგენტები ჰაგერს 11 ოქტომბერს ატყობინებდნენ: „რუსები უკვე ისე ლაპარაკობენ, როგორც მთელი ქვეყნიერების მბრძანებელნი. მე ვიცნობ ადამიანს, რომელსაც რუსების ერთ-ერთმა მინისტრმა უთხრა, რომ მათი მიზანია შეინარჩუნონ უპირატესობა, რაც ამდენი მსხვერპლით, თავგანწირული ბრძოლით და წარმატებებით მოიპოვეს. ალექსანდრეს, პეტერბურგიდან ვენაში რომ მოემგზავრებოდა, უთქვამს: მე მივდივარ, რადგან ასე სურთ, მაგრამ მე არ გავაკეთებ იმაზე არც მეტს, არც ნაკლებს, რაც მწადია“.

რუსეთის წინააღმდეგ ტალეირანის აგიტაციისა და ინტრიგების უახლოესი მიზანი იყო შიშის გაღვივება დიდ სახელმწიფოებში რუსეთის იმპერატორის ვითომდა მსოფლიო ჰეგემონიისაკენ მისწრაფებით. ჰერცოგი დალბერგი, საფრანგეთის დელეგაციის ერთ-ერთი წევრი კონგრესზე, უმეორებდა ყველას, ვინც კი მის მოსმენას მოისურვებდა, იმას, რაც მან უკვე ოქტომბრის დასაწყისშივე განუცხადა ავსტრიის პოლიც-პრეზიდენტს ბარონ ჰაგერს, იმპერატორ ფრანცის ნდობით აღჭურვილ პირს: „ტალეირანს მისტიფიკაციას უწევს. მას უთხრეს, რომ უკვე არსებობს შეთანხმება მრავალ საკითხზე. როცა ტალეირანმა მოისურვა შეეტყო, რაშია საქმე, უპასუხეს, ეს საიდუმლოებაა, და დათქმულია არ გაამხილონ გარკვეულ დრომდე... ჩვენ მშვენივრად ვუწყით, რაშიცაა საქმე. ეს გახლავთ, - ვარშავის საჰერცოგო, ესაა - პოლონეთის გვირგვინი, რომელიც რუსეთს დაუთმეს; ეს არის - საქსონია, რომელიც პრუსიას არგუნეს. მათ კარგად იციან, რომ ტალეირანი, ლაბრადორი (ერთ-ერთი

ფრანგთა დელეგატთაგანი) და მე - ვსხდებით საფოსტო დილიჟანსში და ვბრუნდებით პარიზში იმ წამსვე, როგორც კი ამ საიდუმლოს გაგვიმხელენ. ჩვენ არაფერი გვესმის ბ. მეტერნიხის პოლიტიკისა. თუ ის პოლონეთის გვირგვინს რუსეთს აძლევს, მაშინ თხუთმეტი წელიც არ იქნება გასული, რუსეთი თურქებს გამოდევნის ევროპიდან და ევროპის თავისუფლებისათვის რუსეთი უფრო საშიში გახდება, ვიდრე ოდესმე ნაპოლეონი ყოფილა. პრუსია რუსეთს მისცემს თავის თავს, თავის გეოგრაფიული მდებარეობის გამო; მაგრამ ავსტრია, ნაცვლად იმისა, რომ ეხმარება და მუშაობს, რუსთა უპირატესობის სასარგებლოდ, რატომ ავსტრია არ ესწრაფვის სავსებით გულწრფელად, წინ აღუდგეს ამ გოლიათს, რომელიც გასრესს მასა და სხვა სახელმწიფოებს?[99]“

საფრანგეთის დელეგაციის ამ „დამუქრებისა“, რომ დასტოვებდნენ კონგრესს, ცოტა ვინმეს თუ სჯეროდა, და ეს დამუქრებები არვის აშინებდა. სულ სხვაგვარად უყურებდნენ ალექსანდრეს მუქარას, რომ თუ კონგრესი არ გაჰყვება რუსეთისათვის სასურველ მიმართულებას, მაშინ ის, იმპერატორი, შესაძლოა კიდევ გაემგზავროს პეტერბურგში[100]. ალექსანდრე კი სწორედ იმას მოითხოვდა, რისი დათმობაც ტალეირანს არ უნდოდა: პოლონეთს. ბრძოლა, უთანასწორო იყო. ტალეირანი არ იშურებდა ტყუილებს, ტყუოდა განუკითხავად. დღეს რომ განაცხადებდა, ფრანგებს 200.000 კაციანი არმია ჰყავთ მზადო[101], ხვალ იტყოდა, მათ უკვე 5.000.000 კაცი ჰყავთო.

სტენდალმა, მთელი თავისი სკეპტიციზმის მიუხედავად, დაიჯერა ლეგენდა, რომ მართლაც სწორედ ტალეირანმა („ყველაზე ცოცხალი გონებისა და ყველაზე მდაბალი ვნებების ადამიანმა“), ოსტატურად გაავრცელა რა ვენის კონგრესზე ხმა თავისი აგენტის, გენერალ რინარის მეშვეობით, თითქოს საფრანგეთს ორასათასიანი არმია ჰყოლოდეს, იხსნა საქსონია ამ „შესანიშნავი მისტიფიკაციით[102]“. არაფერი ამდაგვარი არ ყოფილა. კონგრესზე არავის არ სჯეროდა ამ ხმის. საქსონია იხსნა ალექსანდრეს უნდომლობამ ენერგიულად დაეცვა პრუსიის ინტერესები მას შემდეგ, რაც თვითონ „არხეინად“ მიიღო პოლონეთი.

ტალეირანი, რა თქმა უნდა კონგრესის პირველი დღეებიდანვე მთელი მონდომებით ცდილობდა მოეჩვენებინა, თითქოს საფრანგეთი სულაც არ არის ისე დასუსტებული, როგორც ჰგონიათ. „საფრანგეთის დელეგაციამ გადაწყვიტა მეტად ენერგიული პოზიცია დაიკავოს კონგრესზე. მან მოამზადა სამი ნოტა, რომლებსაც ადგენს კომისიის პირველ სხდომაზევე: ერთში საფრანგეთი პროტესტს აცხადებს ბელგიის ჰოლანდიასთან შეერთების წინააღმდეგ, მეორეში გადმოსცემს თავის შეხედულებებს გერმანიის მოწესრიგების შესახებ, ისე რომ სამხრეთი გერმანია ავსტრიის

მფარველობის ქვეშ იყოს, ხოლო ჩრდილოეთი - პრუსიის მფარველობისა. მესამე ნოტა კი პოლონეთის საკითხს ეხება“. მაგრამ რამდენიც უნდა ევრცელებინა ტალეირანსა და მის ამაღლას ხმები საფრანგეთის ჯარების ვითომდა კონცენტრაციის მიმდინარეობის შესახებ და ა.შ., ეს არავის სჯეროდა და შიშს არავინ განიცდიდა. „თუმცადა, როგორც ფიქრობენ, ტალეირანი მხოლოდ იმისთვის იმაღლებს ხმას (grossit la voix), რომ ზე ასწიოს პრესტიჟი თავისი მეფის და თავისი ქვეყნისა, მაგრამ რომ ის თავის მეფესავით ნაკლებად ფიქრობს გამოიყენოს ძალა, რაც არ იქნებოდა მომასწავებელი რამე კარგისა. არმიას არ უყვარს ახალი რეჟიმი (ბურბონები - ე. ტ.), და მის რიგებში ბევრია ნაპოლეონის მომხრე[103]“.

უკვე სამ ოქტომბერს ავსტრიის საიდუმლო აგენტებმა იცოდნენ, რომ ტალეირანმა გააზვიადა თავისი გონებრივი შესაძლებლობანი და ჯეროვნად ვერ შეაფასა ალექსანდრე, როცა მასაც მოუწოდოდა დაშინება რუსეთის წინააღმდეგ ფრანგების ომით. „კარგი, თქვენ მიიღებთ ომს“ - თქვა ხელმწიფემ და აქ ფრანგმა დიპლომატმა მხოლოდ ისღა შეძლო, ისეთი უმწეო პასუხი გაეცა, რომელიც ოდნავადაც ვერ გასჭრიდა მის თანამოსაუბრეზე: „ხელმწიფევ, თქვენ დაჰკარგავთ სახელს მთელი ქვეყნის მშვიდობისმყოფელისას, ერთადერთ სახელს, რომლის პრეტენზიაც გქონიათ პარიზში.[104]“ ესოდენ ამაღლებულ სიტყვას, წარმოთქმულს იმ კაცი მიერ, ვისგანაც ალექსანდრე მრავალი წლის განმავლობაში ოქროთი ყიდულობდა თითოეულ ჯაშუშურ ცნობას ნაპოლეონის შესახებ, რა თქმა უნდა, არა გზით არ შეეძლო დამრიგებლობითი ზემოქმედება მოეხდინა. ტალეირანი, როგორც დავინახავთ, ისევე ხელცარიელი წავიდა პირველი აუდიენციიდან, როგორც მოვიდა. ჰუმბოლდმა, პრუსიის რწმუნებულმა, ალექსანდრეს შესახებ თქვა: „რუსეთის იმპერატორი ცბიერი და ჯიუტია, და თუ მასთან მოლაპარაკებას აწარმოებ, ვერასოდეს ვერ შესძლებ დაიცვა საკმარისი სიფრთხილე[105]“. ჰუმბოლდი გაცილებით უფრო ღრმად ჩასწვდა ალექსანდრეს, ვიდრე ტალეირანი. ეს სავესებით ნათლად დაამტკიცა ტალეირანის პირველმა დიდმა აუდიენციამ რუსეთის იმპერატორთან.

ვენაში ალექსანდრეს პირველი შეხვედრა ტალეირანთან შედგა 3 ოქტომბერს, აუდიენციაზე, რომელიც ალექსანდრემ ნესელროდეს თანდასწრებით გაუმართა ტალეირანს. საფრანგეთის საშინაო ვითარებაზე რამდენიმე კითხვის მიცემის შემდეგ ალექსანდრე გადავიდა ორ, ურთიერთშორის მჭიდროდ დაკავშირებულ პრობლემაზე, რომლებიც რუსეთის იმპერატორს ყველაზე მეტად აინტერესებდა: პოლონეთისა და საქსონიის საკითხზე. „მე ვინარჩუნებ იმას, რაც მიკავია“, - განაცხადა ალექსანდრემ. „თქვენო უდიდებულესობავ, ინებეთ შეინარჩუნოთ მხოლოდ ის, რაც თქვენ კანონით გეკუთვნით“. - „მე შეთანხმებული ვარ დიდ

სახელმწიფოებთან“. - „არ ვიცი, მიიჩნევს თუ არა თქვენი უდიდებულესობა საფრანგეთს ამ სახელმწიფოთა თანაბარ?“ - „დიახ, რასაკვირველია, მაგრამ თუ თქვენ არა გსურთ, თითოეულმა ნახოს ის, რაც მისთვის შესაფერისია (ses convenances). მაშ რისღა პრეტენზია გაქვთ?“ - „ჩემთვის, - შეეპასუხა ტალეირანი, - უწინარეს ყოვლისა არსებობს სამართალი და შემდეგ უკვე ის, რაც შესაფერისია“. - „ის რაც საჭიროა ევროპისათვის, შეადგენს კიდევ სამართალს“. - „ეგ სიტყვები, ხელმწიფევ, არ არის თქვენი სიტყვები, ისინი უცხოა თქვენთვის და არ ეკარება თქვენს გულს“ - „არა, მე ვიმეორებ: ის რაც საჭიროა ევროპისათვის, არის კიდევ სამართალი“. მაშინ (განაგრძობს ტალეირანი თავის პატაკში ლუდოვიკო მეთვრამეტისადმი) შევბრუნდი თაბაშირის პანოსაკენ რომელთანაც ვიდექი, მივეყრდენ თავით, ხელი დავკარი კედელს და წამოვიძახე: „ევროპავ, უბედურო ევროპავ!“ მოვტრიალდი ხელმწიფისკენ და ვუთხარ: „საჭიროა თუ არა ითქვას, რომ თქვენ დალუპეთ ევროპა?“ მომიგო: „უმაღლესი გამჯობინებ, ვიდრე უარს ვიტყოდე იმაზე, რაიც დავიკავე“. მაშინ მე ხელები ჩამოვყარე და განადგურებული, მაგრამ ნებასდაყოლილი კაცის იერით, რაიცა თითქო ამბობდა: ჩემი ბრალი არ იქნებაო, - დუმილი დავიცავი“. თავადი ტალეირანი იშვიათად ამჟღავნებდა ხოლმე იუმორის გრძნობის უქონლობას, მაგრამ ამჟამად აშკარად გამოამჟღავნა. ის ვინც, მრავალი წლის მანძილზე ფულზე ჰყიდდა თავის „კეთილისმყოფელ“ ნაპოლეონს ალექსანდრესთან და ამ სისტემატური გამცემლობისათვის საზღაურს იღებდა ნესელოდეს საშუალებით, ახლა ის, თვით ამ ალექსანდრეს წინაშე მდგარი, სწორედ ნესელოდეს თანდასწრებით, თამაშობდა სულელურ კომედიას დამსხვრეული კეთილშობილური გრძნობებისას, მკაცრი მორალის დაცვისაკენ მოუწოდებდა რუსთა ხელმწიფეს, თავს ახლიდა თაბაშირის ნაკეთობებს, თეატრალური სასოწარკვეთილებით ჰგოდებდა „დალუპული ევროპის გამო და როგორც ეტყობა, იმედოვნებდა, რომ ამ კურიოზული მანქვა-გრეხით გულს მოუგებდა ალექსანდრეს, რომელიც დიდი ხანია იცნობდა მას, როგორც გაუსწორებელ ქურდს, მექრთამეს და საყოველთაოდ აღიარებულ გამცემს... ნესერლოდე აქვე იდგა და თვალს ადევნებდა, როგორ იგრიხებოდა რუსეთის მთავრობის ყოფილი ჯაშუში (მეტსახელად „ანა ივანოვნა“), რომელიც წლების მანძილზე მისი ხელიდან იღებდა თავის საიდუმლო გასამრჯელოს, როგორ ჰმუნავდა და ოხრავდა იგი მოსაჩვენებლად და იმავე დროს აშკარად იმედოვნებდა, მისი კეთილშობილური და სპეტაკი სულის წყენინების მოსარიდებლად ალექსანდრე აიღებდა და უარს იტყოდა პოლონეთზე და თავის ჯარებს გამოიყვანდა იქიდან.

ტალეირანი არ ფარავდა თავის წყენასა და გაბრაზებას ამ აუდიენციის შემდეგ.



ბუტიაგინი, რუსეთის საელჩოს დროებითი მმართველი პარიზში, იქიდან გრაფ ნესელროდეს ატყობინებდა, თუ ხმებს ვენდობით, ტალეირანის რომელიღაც წერილის დამოწმებით პარიზში ამტკიცებენ, რომ იგი უკმაყოფილოა საქმეთა მსვლელობით კონგრესზე[106].

1814 წ. 23 ოქტომბერს შედგა ის მეორე გადამწყვეტი დიპლომატიური ბრძოლა ტალეირანისა ალექსანდრესთან, რაც არა მარტო ხელახლა წააგო საფრანგეთის წარმომადგენელმა, არამედ არც შეიძლებოდა არ წაეგო. მეტად უთანასწორო იყო ძალები, რომლებიც თითოეული ამ მოწინააღმდეგის უკან იდგა. „მე პოლონეთში ვარ, ვნახოთ, ვინ გამომაგდებს იქიდან“. ამ ფრაზას ალექსანდრე ხშირად იმეორებდა ვენაში 23 ოქტომბრამდე და 23 ოქტომბრის შემდეგაც. რა შეეძლო დაეპირისპირებინა მისთვის ტალეირანს? მხოლოდ ხრიკები, რომლებიც გვიჩვენებს, რომ მას გაცილებით ნაკლებად გაეგებოდა რუსეთის ხელმწიფისა, გაცილებით ზერელედ სჯიდა მის შესახებ, ვიდრე ნაპოლეონი, რომელიც, გრაფ ნარბონს რომ აგზავნიდა ალექსანდრესთან ვილნოში, 1812 წ. თავდასხმის წინ, აფრთხილებდა: „არ დაგავიწყდეს, რომ ლაპარაკი მოგიხდება ადამიანთან, რომელიც ზედმიწევნით ცბიერია“.

აი როგორ გადმოსცემს გადამწყვეტ საუბარს თვითონ ტალეირანი პარიზში ლუდოვიკო მეთვრამეტისათვის გაგზავნილ პატაკში აუდიენციიდან ორი დღის შემდეგ[107].

სიტყვამ მოიტანა და შევნიშნავ: ალბერ სორელმა ერთობ დაუდევრად ისარგებლა ამ დოკუმენტით. ჯერ-ერთი, მცდარია სორელის მტკიცება, თითქოს ალექსანდრე ყოფილიყო შეხვედრის ინიციატორი: ტალეირანი ლაპარაკობს სხვადასხვა მიზეზზე, „რომელთაც მაიძულებს მეთხოვა მისთვის აუდიენციაო“. მეორე, თვით აუდიენცია შედგა არა 22, არამედ 23 ოქტომბერს, ე.ი. ერთი დღით ადრე, ვიდრე მოხდებოდა მეტერნიხის აუდიენცია ალექსანდრესთან.

ფორმალური თავაზიანობის შემდეგ ალექსანდრემ ასე დაიწყო „პარიზში თქვენ იმ აზრით იყავით, რომ აუცილებელია პოლონეთის სამეფო; როგორღა მოხდა, რომ შეიცვალეთ შეხედულება?“ - „ჩემი აზრით, ხელმწიფე. ადრინდელი დარჩა. პარიზში ლაპარაკი იყო მთელი პოლონეთის აღდგენაზე. მე მიხდოდა მაშინ, როგორც ამჟამადაც მიხდა, მისი დამოუკიდებლობა. მაგრამ ახლა ლაპარაკია სულ სხვა რამეზე. ახლა საკითხი იმითღაა შემოფარგლული, რომ დადგინდეს საზღვრები, რომლებიც უზრუნველყოფდა უშიშროებას ავსტრიისა და პრუსიისათვის“. - ისინი არ უნდა განიცდიდნენ შემფოთებას, თუმცაღა, ვარშავის საჰერცოგოში მე მყავს ორასი ათასი

კაცი, და აბა სცადონ ჩემი გამოგდება იქიდან. მე მივეცი პრუსიას საქსონია, ავსტრია თანახმაა ამაზე“, - „არ ვიცი, - შეეკამათა ტალეირანი, - თანახმაა თუ არა ამაზე ავსტრია. ჩემთვის ძნელი იქნებოდა ამის დაჯერება, იმდენად უცხოა ეს მისი ინტერესებისათვის. მაგრამ თუნდაც ავსტრიის თანხმობას შეუძლია თუ არა გახადოს პრუსია მფლობელი იმისა, რაიც ეკუთვნის საქსონიის მეფეს?“ - „თუ საქსონიის მეფე არ გადადგება (ტახტიდან), მას წაიყვანენ რუსეთში. იგი იქვე ჩაკვდება. ერთი მეფე უკვე მოკვდა იქ“ - „თქვენო უდიდებულესობავ, ნება მიბოძეთ სარწმუნოდ არ მივიჩნიო თქვენი სიტყვები. კონგრესი შეიკრიბა არა იმისთვის, რომ იხილოს ამგვარი მცდელობა მოკვლისა“. - „როგორ? მოკვლის მცდელობა? განა მეფე სტანისლავი არ გაემგზავრა რუსეთში? რატომ არ უნდა წავიდეს იქ საქსონიის მეფე? ერთის მდგომარეობაც ისეთივეა, როგორიც მეორის. ჩემთვის აქ არ არსებობს არავითარი განსხვავება“. მოაქვს რა ეს სიტყვები, ტალეირანი მეფე ლუდოვიკო მეთვრამეტეს სწერს: „საპასუხო ერთობ ბევრი რამ მქონდა. გამოვუტყდები თქვენს უდიდებულესობას, არ ვიცოდი, როგორ შემეკავებინა აღშფოთება. იმპერატორი ჩქარა ლაპარაკობდა. ერთ-ერთი მისი ფრაზა იყო: მე ვფიქრობ, საფრანგეთი დავალებულია ჩემგან ზოგი რამით-მეთქი. თქვენ მელაპარაკებით პრინციპებზე: თქვენი საერთაშორისო სამართალი ჩემთვის არარაა, მე არ ვიცი, რას ნიშნავს ეგ. როგორ გგონიათ, დიდ რამეს კი მოასწავებს ჩემთვის თქვენი პერგამენტები და მთელი თქვენი ტრაქტატები?“ ამ გადმოცემით გამოდის, თითქოს უპრინციპო მეფე ვერაფრით ვერ ამაღლებულიყო უმწიკვლო და კეთილშობილ ტალეირანამდე. მაგრამ ხომ ცნობილია, რა ზიზღიანი დაცინვით ლაპარაკობდნენ კონგრესის დიპლომატები ამ ქურდის და მექრთამის, ჯერ ნაპოლეონისაგან ნაყიდის, მერე ნაპოლეონის გამყიდველის მთელ ამ კეთილშობილურ საქციელზე და მორალურ აღშფოთებებზე. სავსებით ნათელია, რომ ალექსანდრე, თვალში თვალგაყრილი პირდაპირ რომ უდგა ტალეირანს, რომელიც პირადად მისგან იღებდა ქრთამებს 1808 წლიდან მოკიდებული ვიდრე 1814 წლამდე, სწორედ გესლიანი ირონიით უსვამდა ხაზს სიტყვებს: „თქვენი“ „ტრაქტატები“, „თქვენი“ საერთაშორისო სამართალი და „თქვენი“ პერგამენტებიო... მაგრამ ყოველივე ეს ტალეირანი ცდილობს წარმოადგინოს, როგორც ალექსანდრეს მიერ აღიარება თავისი პოლიტიკური უზნეობისა, იმისა, თითქოს მას საზოგადოდ სძულებოდეს ყოველგვარი საერთაშორისო სამართალი, ყოველგვარი ტრაქტატები.

დაინახა რა, პოლონეთის საკითხში ალექსანდრესთან ვერაფერს მიაღწევდა, ტალეირანმა საუბარი გადაიტანა მისთვის გაცილებით უფრო საინტერესო თემაზე, ე.ი. „საქსონიის პრობლემაზე“. საქმე აქაც გამწვანდა. „ჩემთვის არსებობს ერთი რამ, რასაც ყველაფერზე მაღლა ვაყენებ - ეს არის ჩემი სიტყვა. საქსონია პრუსიის მეფეს

შევპირდი იმ მომენტში, როცა ჩვენ შევერთდით,“ - განაცხადა ალექსანდრემ. - „თქვენი უდიდებულესობა პრუსიის მეფეს ცხრიდან ათ მილიონამდე სულს შეჰპირდა. თქვენ შეგიძლიათ მისცეთ ისინი ისე, რომ მოსპოთ საქსონია.“ აქ ტალეირანს მხედველობაში ჰქონდა წვრილი გერმანული სამფლობელოების ხარჯზე პრუსიის „დაჯილდოების“ თავისი პროექტი. „საქსონიის მეფემ გვიღალატა,“ - თქვა ალექსანდრემ. ტალეირანი ეკამათებოდა, მცირე ხნის სიჩუმის შემდეგ ალექსანდრემ ასეთი სიტყვებით დაასრულა აუდიენცია: „პრუსიის მეფე პრუსიისა და საქსონიის მეფე იქნება, ისე როგორც მე ვიქნები რუსეთის იმპერატორი და მეფე პოლონეთისა. დამთმობლობა, რომელსაც საფრანგეთი ამ ორ საკითხში ჩემდამი გამოიჩენს, იქნება ფარდი იმისა, რასაც მე გამოვიჩენ საფრანგეთის მიმართ ყველაფერში, რაც კი საფრანგეთის ინტერესებში შეიძლება შედიოდეს“.

მეტერნიხი, რომელმაც მეორე დღეს (24 ოქტომბერს) უკვე ავსტრიის სახელით განაახლა იერიში ალექსანდრეს წინააღმდეგ, პირში ჩალაგამოვლებული დარჩა სწორედ ისევე, როგორც ტალეირანი. მეტიც, ავსტრიის მინისტრი და რუსეთის იმპერატორი ისე მწარედ წაიჩხუბნენ, საქმე ისეთ უხეშ გამოთქმებამდე მივიდა, რომ ამის შემდეგ კონგრესის დამთავრებამდე ორივე თანამოსაუბრე იმასდა ცდილობდა, რაც შეიძლება ნაკლებად შეხვედროდა ერთმანეთს. მეტერნიხმა შეპარვით დაუწყო დამუქრება, ხოლო ალექსანდრემ სავსებით აშკარად მიახვედრა, რომ სრულებით არ ემინია ამ დამუქრების. მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, მეტერნიხს მაინც არ გამოუმჟღავნებია ისეთი უხამსი, კომედიანტური საქციელი, როგორსაც არ დაერიდა ტალეირანი 3 ოქტომბერს, როცა რუსთა ხელმწიფის ასაღებად პათეტიურ წამომახილებს, უანგარობისა და დიდსულოვნების მოწოდებებს მიმართა.

„ამბოხენ: ალექსანდრესთან თავისი ცნობილი ლაპარაკის შემდეგ ტალეირანს უთქვამს: იმპერატორის განრისხებამ მაიძულა მეფიქრა, თითქოს მეორე ნაპოლეონის წინაშე ვმდგარიყავ. ამგვარსავე შენიშვნას აკეთებს შვეციის მინისტრიც“. ასე იტყობინებიან თავიანთ საიდუმლო პატაკებში ავსტრიელი აგენტები, ვენაში შეკრებილ დიპლომატებისა და ხელმწიფეებისადმი ჯაშუშებად მიჩენილნი.

ვენის კონგრესის დროს ტალეირანისადმი ლუდოვიკო მეთვრამეტის ჭეშმარიტი დამოკიდებულების შესახებ ავსტრიის აგენტი ბომბელი 22 ნოემბერს (1814 წ.) პარიზიდან მეტერნიხს აცნობებს: „მეფე ჯერ კიდევ ინარჩუნებს გაზვიადებულ წარმოდგენას თავად ტალეირანის ტალანტებზე. ამის მიუხედავად მაქვს მყარი საფუძველი ვიფიქრო, რომ მეფე შორსაა იმ აზრისაგან, უსაზღვრო ნდობას უცხადებდეს ამ მინისტრს. სასახლეში ტალეირანისა უფრო ემინიათ, ვიდრე უყვართ. მაგრამ პარტია, რომელიც ამ გაქნილმა ქამელეონმა თავის გარშემო შემოიკრიბა

საზოგადოებაში, ზეგავლენას ახდენს...“ აქვე ბომბელი გადმოსცემს თავის საიდუმლო საუბარს გრაფ დ'არტუასთან, რომელმაც მკაფიოდ გამოთქვა თავისი თვალსაზრისი რუსეთისა და პრუსიის წინააღმდეგ მიმართული, ავსტრიის, საფრანგეთისა და ინგლისის „სრული“ შეთანხმების სასარგებლოდ.[108]

მთელი ეს ურთიერთობა ფარულად წარმოებდა. მის შესახებ ავსტრიის მხრიდან იცოდნენ: ბომბელმა და მეტერნიხმა და არ იცოდა ავსტრიის საელჩოს მეთაურმა პარიზში - ბარონმა ვინცენტმა. საფრანგეთის მხრიდან მეფის, გრაფ დ'არტუასა და მინისტრ ბლაკას ამ მოლაპარაკებათა შესახებ არ იცოდა არავინ, გარდა ამ სამი პირისა, - არ უნდა სცოდნოდა ეს ტალეირანს.

მაგრამ ჩვეულებრივ ისე ხდებოდა, რომ თავადმა ტალეირანმა ზედმიწევნით საფუძვლიანად იცოდა ხოლმე სწორედ ის, რაც მას სულაც არ უნდა შეეცყო. ესეც არ იყო, მეტერნიხს, რომელიც აშკარად შეშფოთებული იყო ალექსანდრეს გაჯიუტებით და რუსეთისა და პრუსიის ავსტრიისათვის საშიში გაძლიერებით, არავითარი განსაკუთრებული მიზეზი არ გააჩნდა, დიდხანს ემალა ტალეირანისაგან, რომ, როგორც მისთვის ცნობილია, პარიზში არ უნდა დაუშვან ავსტრიის წინააღმდეგ მიმართული შეთანხმება ალექსანდრესთან. მეტერნიხს, პირიქით, ხელს აძლევდა დაესწრო ტალეირანის რაიმე ინტრიგებისათვის რუსეთის სასარგებლოდ (რაც, მისი აზრით, ყოველთვის იყო შესაძლებელი). მაგრამ ყველაზე მთავარი ის იყო, რომ ჯერ კიდევ ვენის კონგრესის წინა კვირებში, იმ დროს, როცა ბომბელი ტალეირანის ზურგს უკან მოლაპარაკებას აწარმოებდა მეფესთან, გრაფ დ'არტუასთან და მინისტრ ბლაკასთან, თვითონ ტალეირანს უკვე დაეწყო მოლაპარაკება მეფის, გრაფ დ'არტუასა და მინისტრ ბლაკას ზურგს უკან, მაგრამ არა ავსტრიასთან, არამედ ინგლისთან. პარიზში ინგლისის რწმუნებულის, ჩარლზ სტიუარდის მეშვეობით, ტალეირანმა ჯერ კიდევ 1814 წ. აგვისტოდან იცოდა, რომ ინგლისისათვის ორ მნიშვნელოვან საკითხში კესტლერი ადრე თუ გვიან უთუოდ წავა საფრანგეთთან თანხმობაზე: ჯერ ერთი, პოლონეთის საკითხში, რომლის მიცემა რუსეთისათვის ინგლისელებს არა სურთ, და, მეორე, ნეაპოლიდან მეფე მიურატის საბოლოო განდევნისა და ორივე სიცილიის სამეფოს ფერდინანდ IV ბურბონისათვის დაბრუნების საკითხი. ინგლისს მიაჩნდა, რომ ნეაპოლელი ბურბონების დაბრუნება ყველაზე უფრო შეესაბამებოდა ბრიტანეთის ინტერესებს ხმელთაშუა ზღვაზე.

უნდა აღინიშნოს, არც თუ მთლად გასაკვირია, გრაფ დ'არტუას ლაპარაკმა ბომბელთან საფრანგეთის, ავსტრიისა და ინგლისის სასურველი შეთანხმების შესახებ, მიუხედავად საიდუმლო ხასიათისა, მაინც რომ მიაღწია ტალეირანის

აგენტების ყურამდე. ცნობილია: გრაფ დ'არტუას შესახებ მუდამ ამბობდნენ, რომ ყბედობა მასში ღირსეულ მეტოქეობას უწევს თავქარიანობასო.

საფრანგეთის სამეფო კარის ამ განწყობილებებს, რომლებიც ცნობილი გახდა ტალეირანისათვის, არ აუძულებია იგი მოემბნა მოქმედების ახალი ხაზი, რადგან, როგორც აღვნიშნეთ, უკვე თვითონაც მიჰყავდა საქმე ავსტრიასა და ინგლისთან დაახლოებისაკენ რუსეთისა და პრუსიის წინააღმდეგ. მაგრამ ამ ცნობებმა მეტად განამტკიცა მისი გამბედაობა და, რაც მთავარია, დააჩქარა მთელი წამოწყება, რადგან გარდა საერთო მოსაზრებებისა საფრანგეთისათვის სარგებლიანობის შესახებ, აქ საქმე ეხებოდა პირადად მას: დაესწრო თავისი მტრებისათვის - გრაფ დ'არტუას და ლუდოვიკო მეთვრამეტის ფავორიტ მინისტრ ბლაკასათვის და საკუთარი ძალით რაც შეიძლება ჩქარა მიეღწია გარკვეული დიპლომატიური წარმატებისათვის.

ამრიგად, ყველა „ჯიქური შეტევა“ უკუგდებულ იქნა ალექსანდრეს მიერ. აშკარა იყო, რომ პოლონეთს იგი არაფრის გულისათვის არ დასთმობდა და რომ მან შეძლო მიეღწია გარკვეული მხარდაჭერისათვის პოლონეთის არისტოკრატის ხელმძღვანელ წრეების უგავლენიანესი ნაწილის მხრივ. თავადმა ადამ ჩარტორიისკიმ ინახულა ტალეირანი და განუცხადა, რომ ერთსულოვნებით მოქმედებს ალექსანდრესთან, რომელსაც აღთქმული აქვს ვარშავის საჰერცოგოსაგან „პოლონეთის სამეფოს“ შექმნა. ამასთან თვით „პოლონეთის მეფე“ მხოლოდ კონსტიტუციური მეფე იქნება პოლონეთში, რჩება რა იმავე დროს თვითმპყრობელ იმპერატორად რუსეთში. ტალეირანმა უპასუხა, თუ კი ასეა, საფრანგეთი აღარ გაუწევს ოპოზიციას ალექსანდრეს გეგმებს პოლონეთის საკითხში იმ მარცხის შემდეგ, 3 და 23 ოქტომბერს რომ განიცადა, ტალეირანმა მთელი თავისი ცდა უკვე საქსონიის საკითხისაკენ მიმართა, იმ საკითხისაკენ, რომელიც საფრანგეთს თავიდანვე გაცილებით უფრო მეტად აინტერესებდა, ვიდრე პოლონეთის საქმე. და აქ მან ბევრი რამე მიაღწია. თუმცა ისიც უნდა ითქვას, ბრძოლა საქსონიისათვის უფრო იოლიც იყო; ჯერ-ერთი, უგავლენიანესი პირი ვენის კონგრესზე, ალექსანდრე, არ იყო უშუალოდ დაინტერესებული საქსონია პრუსიის ხელთ მოხვედრილიყო. ხოლო პრუსიის მეფე არ იყო იმდენად ძლიერი, უზრუნველყო თავისთვის ალექსანდრეს მიერ აღთქმული კომპენსაცია. მეორეც, წააგო რა პოლონეთის საქმე, მეტერნიხმა გადაწყვიტა არასგზით არ დაეშვა საქსონიის გადაცემა პრუსიისათვის. ასეთი ერთდროული გაძლიერება და გეოგრაფიული მოახლოება ორივე მეზობლისა ავსტრიასთან - რუსეთისა პოლონეთის საშუალებით და პრუსიისა საქსონიის მეშვეობით, აშკარა მუქარას წარმოადგენდა ჰაბსბურგთა მონარქიისათვის მომავალში. საფრანგეთთან დაახლოება ამ ნიადაგზე მეტერნიხს სავსებით ბუნებრივად მიაჩნდა. ტალეირანი, თავის მხრივ, მოხერხებული

მანევრებით მეტერნიხს იქითკენ უბიძგებდა, რომ გაეფორმებინათ რუსეთის ყველა მოწინააღმდეგის ეს დაახლოება, შემოეერთებინათ ინგლისი, რომელიც ყოველთვის მზად იყო წასულიყო ამგვარ კომბინაციებზე, და შეედგინათ სამ დიდ სახელმწიფოს შორის საიდუმლო შეთანხმების მსგავსი რამ, როგორც პრუსიის, ისე რუსეთის მოთხოვნების წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით კონგრესზე. საქმე კარგად მიდიოდა, თუმცა არც ისე სწრაფად, როგორც ტალეირანისათვის იქნებოდა სასურველი. ნოემბრის ბოლოს ტალეირანს უკვე შეეძლო ეხარებინა ლუდოვიკო მეთვრამეტისათვის: „იმპერატორი ალექსანდრე ურყევად დგას აქამომდე. ლორდი კესტლერი, რომელიც პირადადაა განაწყენებული, თუმცა აგერ ახლა მიიღო რუსეთისაგან ლბილად შედგენილი ნოტა, ამბობს (არა ჩვენთან), რომ თუ იმპერატორს არ სურს შეჩერება ვისლაზე, მაშინ ეს მას უნდა აიძულებინონ ომით; რომ ინგლისი მართალია, შეძლებს მხოლოდ მცირე ჯარის გამოყვანას ამერიკასთან ომის გამო, მაგრამ გაიღებს სუბსიდიებს და შესაძლებელია მისი ჰანოვერული და ჰოლანდიური რაზმების საქმეში ჩაბმა ქვემო რაინზე“. ხოლო თავის მხრივ ავსტრიაც საომრად გაწყობილი: „თავადი შვარცენბერგი ომის მომხრეა, ამბობს, ომის წარმოება ახლა უფრო ხელსაყრელია, ვიდრე რამდენიმე წლის შემდეგო.“ ერთი სიტყვით, საქმე დულს; „ავსტრია, ბავარია და სხვა გერმანული სახელმწიფოები გამოიყვანდნენ სამას ოც ათას კაცს. ორასი ათასი, თავად შვარცენბერგის მეთაურობით, გალიციისა და მორავიის გავლით ვისლაზე გაემართებოდა. ასოცი ათასი, გენერალ ვრედეს უფროსობით, ბოჰემიიდან საქსონიაში წავიდოდა, ხოლო იქიდან - ოდერისა და ელბისაკენ“... ომი უნდა დაიწყოს მარტის დამლევს: „ეს გეგმა მოითხოვს ასი ათასი ფრანკის დახმარებას[109]“. ერთი სიტყვით, ყველაფერი მშვენივრად მიდის, ოღონდ აი ის არის უსიამოვნო, არც ლორდი კესტლერი, არც მეტერნიხი ამის შესახებ არაფერს რომ ეუბნებიან ფრანგებს, ტალეირანს კი სწორედ ეს აინტერესებს ყველაზე მეტად: ინგლისისა და ავსტრიის ამგვარი ნეგოციაცია დამარცხებულ საფრანგეთთან, რუსეთისა და პრუსიის წინააღმდეგ მიმართული, ხელად მოუღებდა ბოლოს „გამარჯვებულთა კოალიციას“.

1814 წ. მთელი დეკემბერი (განსაკუთრებით მისი მეორე ნახევარი) გავიდა პრუსიის რწმუნებულისა და მეტერნიხის სრულიად უნაყოფო მიწერ-მოწერაში და ალექსანდრეს ასევე უნაყოფო ლაპარაკში მეტერნიხთან და ფრანც პირველთან. საქსონიის საქმე ვერ დაძრულიყო მკვდარი წერტილიდან, ხოლო ალექსანდრეს სამფლობელოებისათვის პოლონეთის შეერთების თაობაზე სახელმწიფოთა შეთანხმება, რაც უკვე მიღწეული ჩანდა, კვლავ დაისვა კითხვის ქვეშ: ლორდი კესტლერი ახლა გაცილებით უფრო მძლავრ პროტესტს აცხადებდა, ვიდრე ოქტომბერში და ვიდრე ნოემბერშიაც კი. როგორც ჩანდა, ვერავითარი

დიპლომატიური საშუალებებით ვერც პრუსიას ათქმევინებდი უარს მთელი საქსონიის მიტაცებაზე და ვერც ალექსანდრეს ააღებინებდი ხელს პოლონეთზე[110]. და ტალიერანის ღონისძიებანი, პოლონეთისა და საქსონიის საკითხთან დაკავშირებით თუ არა, სამაგიეროდ მისთვის ყველაზე მნიშვნელოვან საკითხში, წარმატებით დაგვირგვინდა.

25 დეკემბერს ლორდი კესტლერი ტალიერანს ესტუმრა, და რამდენიმე შესავალი სიტყვის შემდეგ ტალიერანმა მას „პატარა კონვენციის“ დადება შესთავაზა, რომელშიც მონაწილეობას მიიღებდნენ თვითონ, კესტლერი და მეტერნიხი. „კონვენცია? მაშ, თქვენ კავშირს მთავაზობთ?“ - იკითხა კესტლერმა. „ეს კონვენცია, - მიუგო ტალიერანმა, - მშვენივრად შეიძლება შედგეს კავშირის გარეშე, მაგრამ თუ თქვენ გნებავთ, ეს იქნება კავშირიც. მე თუ მკითხავთ, ამის საწინააღმდეგო არაფერი მაქვს“. - „მაგრამ კავშირი ითვალისწინებს ომს, ჩვენ კი ყოველივე უნდა მოვიმოქმედოთ, რათა ომი ავიცილოთ თავიდან!“ ამაზე ტალიერანმა უპასუხა: „მეც ასე ვფიქრობ, უნდა გავაკეთოთ ყოველივე, გარდა მხოლოდ იმისა, რომ მსხვერპლად მიგვქონდეს ღირსება, სამართლიანობა და მომავალი ევროპისა“. შემდეგ ტალიერანი კესტლერს არწმუნებდა, რომ ომი, რომელიც ადადგენს პოლონეთს, პოპულარული იქნება ინგლისში, შეთანხმდნენ იმაზე, რომ დანიშნეს კომისია (სამი სახელმწიფოსაგან) კონვენციის საკითხის განსახილველად. ლორდი კესტლერი მაინც ჯიუტობდა და თავისი ძმის, ლორდ სტიუარტის მეშვეობით ტალიერანს შეატყობინა, ამგვარ შეთანხმების დროს ტალიერანის ხელმოწერა არ არის საჭიროო. ტალიერანი სწერს მეფეს, რომ იგი საშინლად განარისხა ამ წინადადებას და განაცხადა, გაემგზავრება ვენიდან, თუ ინგლისი და ავსტრია წინანდებურად მოკავშირეებად თვლიან თავს საფრანგეთის წინააღმდეგ, როგორც ეს იყო პოლონეთის დროს. რა თქმა უნდა, ვენიდან იგი არაფრის გულისათვის არ წავიდოდა, და განრისხება, სინამდვილეში, არც შეეძლო. ტალიერანმა ლოდინი ამჯობინა, იცოდა, მისი კონტრაგენტები დათმობდნენ. ლოდინი დიდხანს არ მოუხდა. უკვე 28 დეკემბერს ტალიერანს შეეძლო ეცნობებინა მეფისათვის, რომ კომისია მოქმედებს ტალიერანის მიერ წარმომადგენლად გამოყოფილი დალბერგის მონაწილეობით. 1815 წ. 3 იანვარს კი საიდუმლო ხელშეკრულება საფრანგეთსა, ინგლისსა და ავსტრიას შორის ხელმოწერილ იქნა.

მოულოდნელმა, ტალიერანისათვის ბედნიერმა მოვლენამ დააჩქარა საქმის გაჩარხვა და ბოლო მოუღო კესტლერის გაუბედაობას. სწორედ ახალ წელს, 1815 წ. 1 იანვარს, ვენაში კესტლერმა მიიღო ცნობა, რომ 24 დეკემბერს გენტში მომხდარიყო საზავო ხელშეკრულების ხელმოწერა ინგლისსა და ამერიკას შორის. ამ ხელშეკრულებამ,

რომელმაც დაასრულა ხანგრძლივი, მძიმე და გამაჩანაგებელი ომი, 1812 წლიდან რომ გრძელდებოდა, მყისვე სავსებით გაუთავისუფლა ხელი ინგლისელ მინისტრს. ტალეირანი მანამდეც, ჯერ კიდევ საერო ზავის დადების დროს 1814 წ. 30 მაისს პარიზში, მეტად დამთმობი იყო ინგლისელების მიმართ. მეტისმეტად ესაჭიროებოდა ინგლისის მხარდაჭერა ევროპაში, რომ იმ მომენტში სავსებით უიმედო დავა ეწარმოებინა მასთან კოლონიების გამო.

ინგლისის ყველა შენაძენი, რომლებიც დიდ ბრიტანეთს 1814 წელს დაუმტკიცდა, ევროპის გარეთ მდებარეობდა. ეს შენაძენები კოლოსალური სიდიდისა იყო. რიგი ბრიტანელი გენერალ-გუბერნატორებისა მეოთხედ საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში, 1814 წ. წინ, თითქმის გამუდმებულ ომებს აწარმოებდა ინდოსტანის უზარმაზარ ნახევარკუნძულზე. ლორდმა კორნუელსმა 1786 წლიდან 1793 წლამდე, სერ ჯონ შორმა, მისმა მემკვიდრემ, 1793 წლიდან 1798 წლამდე, ლორდმა უელსმა (უფროსმა ძმამ ჰერცოგ ველინგტონისა) 1799 წლიდან 1807 წლამდე, ლორდმა მინტომ 1807 წლიდან 1814 წლამდე უდიდესი მასშტაბების დაპყრობანი განახორციელეს ინდოეთის ჩრდილოეთში, ცენტრში და სამხრეთში. მთელი მდიდარი სამეფოები: ბენგალი, მადრასი, მაისორი, კარნატიკი, შემდეგ მარატებით დასახლებული რიგი ვეებერთელა ოლქებისა, ქალაქი და ოლქი დელი და ა.შ. - ყოველივე ეს ინგლისელების ხელში მოხვდა. მეტიც, არა მარტო მტკიცე საფუძველი ჩაეყარა მთელი დანარჩენი ინდოეთის დაპყრობას, არამედ დაკავებულ იქნა ყველა საჭირო საყრდენი პუნქტი და პლაცდარმი ამ საქმის სრული დაგვირგვინებისათვის მომავალში. საფრანგეთს სამფლობელოები (პონდიშერი, შანდერნაგორი, კარხალი, მაგე, იანაონი) რამდენიმე უსუსურ-დაობლებულ ქალაქამდე და ნაკვეთამდე და დავიდა. ინდოეთში ვერავითარ პოლიტიკურ ან ეკონომიურ კონკურენციაზე დიდ ბრიტანეთთან, მას შემდეგ ფიქრსაც ვერ ბედავდნენ ფრანგები. დამთავრდა ინდოეთის გამო მათი საუკუნოვანი დავა ინგლისელებთან. ყველა ეს შენაძენი ინგლისს დარჩა. ამ პირობებში არ შეიძლებოდა დიდი ნუგეში ყოფილიყო ტალეირანისათვის კესტლერის „დიდსულოვანი“ დათანხმება ლორდ მინტოს მიერ 1810 წელს დაპყრობილ კუნძულ ბურბონის დაბრუნების შესახებ. იმავე დროს კი ინგლისს რჩებოდა მეორე, გაცილებით უფრო მდიდარი კუნძული ამავე ჯგუფისა - ილ-დე-ფრანსი (იგივე წმ. მარტიკის კუნძული). ჩრდილო ამერიკის ნაპირებთან ინგლისმა საფრანგეთს დაუბრუნა ამ უკანასკნელის მიერ რევოლუციისა და ნაპოლეონის დროს დაპყრობილი კუნძულები სენპიერი და მიქელონი, ანტილის ჯგუფიდან - მარტინიკა და გვადელუპა და კიდევ სამი მომცრო კუნძული გვადელუპას მახლობლად, სამხერთ ამერიკაში - გვიანა. ჩამოეცალნენ ინგლისელები



სან-დომინიგოსაც, რომელმაც საფრანგეთის სუვერენიტეტი ფაქტიურად გაცილებით უფრო ადრე სცნო.

ერთ-ერთი მთავარი შედეგი ინგლისის მონაწილეობისა ნაპოლეონის წინააღმდეგ ბრძოლაში მდგომარეობდა არა მარტო კონტინენტური ბლოკადის გაუქმებაში, არამედ საბაჟო ტარიფის დადგენაზე ბურბონთა მთავრობის თანხმობაშიც, რამაც ხელად აქცია საფრანგეთი ინგლისური საქონლის გასაღების არაჩვეულებრივად ხელსაყრელ და მდიდარ ბაზრად. მხოლოდ ამის შემდეგ შეძლეს ინგლისელებმა სრულად მოემკოთ უხვი ნაყოფი XVIII საუკუნის მეორე ნახევრის სამრეწველო გადატრიალებისა. მკითხველს ყოველივე ეს უნდა ახსოვდეს, რათა მიხვდეს, რად განხორციელდა შედარებით ასე იოლად ტალეირანის მიერ წამოწყებული კომბინაცია, რაც თავისი წარმატებისთვის ინგლისის მონაწილეობას მოითხოვდა. მიიღო თუ არა კესტლერმა (1815 წ. 1 იანვარს) ამერიკასთან დაზავების ცნობა, მაშინვე ოფიციალურად მიემხრო ხელშეკრულებს, და ორი დღის შემდეგ, 1815 წ. 3 იანვარს, საიდუმლო ხელშეკრულება ხელმოწერა იქნა.

ტალეირანის გამარჯვება სრული იყო. აი რა გამოთქმებით ატყობინებს იგი ამ ამბავს მეფე ლუდოვიკო მეთვრამეტეს: „კოალიცია და სული კოალიციისა პარიზის ზავის შემდეგაც განაგრძობდა არსებობას. ჩემმა კორესპონდენციამ დღევანდლამდე მრავალი დამამტკიცებელი საბუთი დაგანახვათ ამ (ფაქტისა). თუ ის პროექტები, რომლებიც ჩვენი ჩამოსვლის ხანს აქ დამხვდა, განხორციელდებოდა, საფრანგეთი მთელი ნახევარი საუკუნით იზოლირებული აღმოჩნდებოდა ევროპისაგან, არ ექნებოდა არავითარი კეთილსასურველი კავშირი (ვისმესთან). მთელი ჩემი ცდა იქით იყო მიმართული, თავიდან ამეცილებინა ამგვარი უბედურება, მაგრამ ყველაზე ნათელი იმედებიც კი არ მაძლევდა იმდენ გამბედაობას, მეფიქრა სრული წარმატების შესახებ. ახლა, ხელმწიფევ, კოალიცია დასამარებულია და დასამარებულია სამუდამოდ. საფრანგეთი უკვე არამც თუ იზოლირებული არ არის ევროპაში, არამედ თქვენი უდიდებულესობა აღმოჩნდა კავშირთა ისეთ სისტემაში, რომელსაც ვერ მოგვცემდნენ თუნდაც ნახევარსაუკუნოვანი მოლაპარაკებანი“. საფრანგეთი მოქმედებს თანხმობით ორ დიდ, სამ მეორეხარისხოვან სახელმწიფოსთან „და მალე ყველა სახელმწიფო, მიმდევარი არარევოლუციური პრინციპებისა“, საფრანგეთს გაჰყვება[111]. ასე ზეიმობს კონსერვატორი და ღვთისმოსავი ტალეირანი, სწორედ ის ტალეირანი, რომელმაც თავის დროზე, 1792 წ. 10 აგვისტოს, ლუდოვიკო მეთექვსმეტის ჩამოგდების შემდეგ, დანტონის დავალებით ისე მარდად და მარჯვედ დაწერა ჭეშმარიტად რევოლუციური ნოტა, საუცხოოდ რომ განუმარტავდა ინგლისელებს, თუ რად იყო უფლებამოსილი ფრანგი ხალხი მოეხდინა თავისი

სახელოვანი რევოლუცია. ხოლო ეხლა ყოველივე ეს (წინააღმდეგ „რევოლუციური პრინციპებისა“) ტალეირანმა ლუდოვიკო მეთექსმეტის მკვიდრ ძმასთან გასაგზავნად წერილში უფრო სიტყვის სილამაზისათვის დაუმატა: 1815 წელს სახსენებელიც არ იყო „რევოლუციური პრინციპების მიმდევარი სახელმწიფოებისა“. მაგრამ საფრანგეთისათვის უდიდესი მნიშვნელობა სამი იანვრის ამ აქტისა, რომელმაც მართლაც გამანადგურებელი ლახვარი ჩასცა სახელმწიფოთა ანტიფრანგულ კოალიციას, ტალეირანს ღრმად ესმოდა და ობიექტური თვალსაზრისით სავსებით სწორად აფასებდა.

1815 წ. 3 იანვრის ამ უსაიდუმლოეს ტრაქტატს, ვინიცობაა ცნობილი გამხდარიყო ალექსანდრესთვის, შეეძლო იმ მომენტში უკიდურეს ზომამდე გაეუარესებინა დიდ სახელმწიფოთა ურთიერთობა. იწოდება იგი ასე: „საიდუმლო ტრაქტატი თავდაცვითი კავშირის შესახებ, დადებული ვენაში ავსტრიასა, დიდ ბრიტანეთსა და საფრანგეთს შორის, რუსეთისა და პრუსიის წინააღმდეგ, 1815 წ. 3 იანვარს.[112]“ განმარტებით ნაწილში ნათქვამია, რომ აღნიშნული სამი სახელმწიფო, თავისი უშიშროებისა და დამოუკიდებლობის დაცვის მიზნით (etat de securite et d'indpendence), „ამასწინათ გამოძღვენებული პრეტენზიების შედეგად“ იძულებულია იზრუნოს იმისათვის, რათა უზრუნველყოს თავისი თავი „ყოველგვარი აგრესიის მომგერიებელი საშუალებით“, მათ სამფლობელოებზე უცხო ძალების თავდასხმის შემთხვევაში. ამიტომ სამივე სახელმწიფო ვალდებულია კისრულობს განსაცდელის ჟამს დაუყოვნებლივ დაეხმარონ ერთმანეთს თავის განკარგულებაში არსებული ყველა საშუალებით. ზუსტდება: თითოეული ამ სამ სახელმწიფოთაგანი (სტატია III) მოვალეა გამოიყენოს ას ორმოცდაათ ათას კაციანი არმია, ამასთან (სტატია IV) მათგან ას ოცი ათასი ქვეითი უნდა იყოს, ოცდაათი ათასი - კავალერიისტი, საარტილერიო პარკების შესატყვისი რაოდენობით.

გაკეთებულია შენიშვნა: თუ დიდი ბრიტანეთი დათქმულ რაოდენობას მთლიანად არ გამოიყენებს, მაშინ თვითეულ ნაკლულ ჯარისკაცზე გადაიხდის ოც ფუნტ სტერლინგს. ხელშეკრულებას ხელს აწერენ: ტალეირანი, მეტერნიხი, კესტლერი.

უნდა ითქვას, რომ ინგლისში, სადაც ტალეირანის არც ერთ სიტყვას არ ენდობოდნენ, იმ შემთხვევებშიაც კი, როცა სიმართლეს ამბობდა, კონგრესის დასაწყისში მეტად უკმაყოფილონი იყვნენ თავადით. ჰერცოგი ველინგტონი, რომელიც 1814 წ. შემოდგომაზე პარიზში იმყოფებოდა, უკიდურეს ზომამდე იყო გაბრაზებული და არც მაღავდა ამას. ის აშკარად აცხადებდა (1814 წ. ოქტომბრის დამლევის), რომ „ბ. ტალეირანმა მოატყუა ყველანი, როცა საფრანგეთის სამშვიდობო განზრახვების შესახებ „ლაპარაკობდა“, რომ როგორც კი ჩამოვიდა ვენაში, მან მყისვე შემოიკრიბა

პარტია ყოფილი (რაინის) კავშირის ხელმწიფეთაგან, რათა მოენადირებინა ოთხი დიდი სახელმწიფოს გული გერმანიის საქმეებში ჩარევისა და იქ საფრანგეთის გავლენის აღდგენის მიზნით...[113]“ ველინგტონი ცდილობდა თვითონ მოხვედრილიყო ვენის კონგრესზე. დარწმუნებული იყო, კესტლერი მარტო ვერას გახდებოდა ტალიერანთან და რომ აგვარი ამოცანის შესრულება ხელეწიფებოდა მხოლოდ მას, ჰერცოგ ველინგტონს. ჰერცოგი მართალი იყო კესტლერის შესახებ, მაგრამ სცდებოდა თავისი თავის მიმართ. თუმცა, 1815 წ. 3 იანვრის ხელშეკრულება სავსებით მოწონებული იქნა ბრიტანეთის კაბინეტის მიერ. ეს ხელშეკრულება რუსეთის დიპლომატიური პოზიციის შესუსტებას ითვალისწინებდა. ინგლისელებსაც მეტი არა უნდოდათ რა. რაც შეეხება ტალიერანს, ლონდონის კაბინეტის ყველაზე უნდო წევრებსაც კი კონგრესის დამლევს უკვე აღარ ჰქონდათ ეჭვი ინგლისის მიმართ მისი საომარი ზრახვების გამო: არავითარ ცდებს 30 მაისის ხელშეკრულების გადასასინჯად ტალიერანის მხრივ ადგილი არ ჰქონია.

მაგრამ უკვე ვერც ინგლისელებს წარმოედგინათ (ჯერ კიდევ ერთი თვის წინათ 1815 წ. 3 იანვრის ხელშეკრულების ხელმოწერამდე), რომ შესაძლებელი ყოფილიყო კონგრესზე რაიმე ღონისძიების მიღება ტალიერანის მონაწილეობის გარეშე ან მის უკითხავად.

„მე მგონია, ბ. ტალიერანი აქ სასწაულებს ახდენს. როცა აქ ჩამოვიდა, უნდოდათ საფრანგეთი ყველაფრისგან გამოეთიშათ, ახლა კი ის ყველგანაა. არ არსებობს არც ერთი კომიტეტი, რომელშიც საფრანგეთი არ მონაწილეობდეს და სადაც მის ხმას დიდ ანგარიშს არ უწევდნენ“, და ლატურ დიუ პენის ამ აზრს, გამოთქმულს 1814 წ. 8 დეკემბერს მარკიზ დე ბონეისადმი მიწერილ წერილში, არსებითად მთელი კონგრესი იზიარებდა[114].

ასეთი იყო გზა „მოხერხებული ოდისევსისა“, როგორც უწოდეს მას, საფრანგეთის დელეგატს, სამ თვეზე ცოტა მეტი ხნის განმავლობაში 1814 წ. სექტემბრის დამლევიდან, როცა კონფერენციაზე ჩამოვიდა და ჯერ კიდევ არ უნდოდათ დაეშვათ ოთხი „მოკავშირის“ წარმომადგენელთა საერთო თათბირებზე, 1815 წ. 3 იანვარამდე, როცა ორთან ამ ოთხი „მოკავშირიდან“ ტალიერანმა ხელი მოაწერა საიდუმლო სამხედრო ხელშეკრულებას, მიმართულს ორი დანარჩენის წინააღმდეგ, ანტიფრანგული კოალიცია განადგურებულ იქნა. საფრანგეთის საზღვრები, რომლებზედაც გამარჯვებულნი დათანხმდნენ პარიზში 1814 წ. 30 მაისის ხელშეკრულების მიხედვით, მტკიცე და ხელუხლებელი დარჩა. კესტლერი და მეტერნიხიც აგრეთვე კმაყოფილნი იყვნენ, თუმცა არა იმდენად, როგორადაც ტალიერანი. მათ არ სჭირდებოდათ „იზოლაციიდან გამოსვლა“, რადგან იზოლაციაში

არც არასოდეს ყოფილან, მათ არ უხდებოდათ სიხარულის განცდა თავიანთი საზღვრების დიპლომატიური კონსოლიდაციის გამო, რადგან ინგლისისა და ავსტრიის საზღვრებს იმ მომენტში არც თუ რაიმე დამუქრებია. მაგრამ 3 იანვრის ხელშეკრულებას, რომელშიც კრინტიც არ არის დაძრული არც საქსონიაზე, არც პოლონეთზე, ხელმომწერი სახელმწიფოებისათვის გაცილებით უფრო დიდი, საერთო მნიშვნელობა ჰქონდა: იგი უზრუნველყოფდა თავდაცვას იმ შემთხვევაში, თუ ალექსანდრე, რომელსაც ამიერიდან შეეძლო ესარგებლა შორს წინწაწეული ფორპოსტით - „პოლონეთის სამეფოთი“, განიზრახავდა თავს დასხმოდა იქიდან ავსტრიას და ამრიგად დაესვა საკითხი საერთოევროპული ბატონობის აღდგენის შესახებ, მაგრამ უკვე პარიზის კი არა, პეტერბურგის ეგიდის ქვეშ. პოლონეთს რომ უკვე აღარაფერი ეშველებოდა და საჭირო იყო მისი დატოვება ალექსანდრეს ხელში, - ამ აზრს საიდუმლო ტრაქტატის ხელმომწერი სამივე სახელმწიფო იზიარებდა: მართლაც, დაუყოვნებლივ ომის დაწყება პოლონეთის გულისათვის მათ არ სურდათ და არც შეეძლოთ. ალექსანდრე დათანხმდა, გნეზენი (გნეზნო) და პოზნანი მოსაზღვრე ტერიტორიებთან ერთად 850.000 მცხოვრებითურთ დაეთმო პრუსიისათვის, ველიჩკა და ტარნოპოლის ოლქი - საერთო რიცხვით 5.00.000 კაცით - ავსტრიისათვის, კრაკოვი თავისუფალ ქალაქად იქნა გამოცხადებული, ხოლო მთელი დანარჩენი „პოლონეთის სამეფო“ ალექსანდრეს ხელში გადავიდა.

სამაგიეროდ საქსონიის საკითხში „3 იანვრის შეთქმულებმა“ გარკვეულ და თვალსაჩინო წარმატებასაც მიაღწიეს. ჯერ კიდევ 29 დეკემბერს რუსეთის, ავსტრიის და ინგლისის წარმომადგენელთა თათბირზე პრუსიის მეფე, რომელსაც მთლიანად მხარს უჭერდა ალექსანდრე, მოითხოვდა მთელი საქსონიის სამეფოს შეყვანას პრუსიის სამფლობელოთა შემადგენლობაში, ე.ი. მოითხოვდა იმას, რასაც იჩემებდა კონგრესის დაწყებიდანვე. ხოლო ამ საკითხის განმხილველ საბოლოო, გადამწყვეტ სხდომაზე 1815 წ. 8 თებერვალს, ავსტრიის, ინგლისისა და საფრანგეთის ძალზე გამწვავებული ოპოზიციის ზეგავლენით,

პრუსიის მეფე, რომელიც ვერ მიმხვდარიყო, რით აეხსნა ეს გამწვავება (რამდენადაც მას, რა თქმა უნდა, წარმოდგენაც არ ჰქონდა 3 იანვრის საიდუმლო ხელშეკრულებაზე), იძულებული გახდა დაეთმო. „თუმცა მთელი საქსონიის შემოერთება ერთადერთ საშუალებას წარმოადგენდა, მისცენ პრუსიის მონარქიას ის საზღვრები და ის მთლიანობა (cet ensemble et cet arrondissement), რის გარანტიასაც მას ტრაქტატები აძლევდა; თუმცა უხერხულობანი, რომელნიც საქსონიის დაყოფიდან გამომდინარეობენ და რომლებიც 29 დეკემბრის მემორანდუმშია აღნიშნული, ერთობ საგრძნობია ამ ქვეყნისთვისაც, პრუსიისათვისაც და თვით

საქსონიის მეფისთვისაც, - ამის მიუხედავად მისმა უდიდებულესობამ (პრუსიის მეფემ) გადაწყვიტა... გაიღოს ეს მსხვერპლი, რომელსაც, როგორც ეტყობა, ესოდენ დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ, და თანახმაა აღადგინონ საქსონიის მეფე მის წინანდელ სამფლობელოთა ნაწილში.“ საქსონიის მეფე 1.314.337 ქვემეგრდომს ინარჩუნებს, პრუსიას 723.380 მცხოვრები ერგო. საქსონიის ტერიტორია (744 კვ. მილი) თითქმის შუაზე გაჰყვეს. მისი საუკეთესო ნაწილი, 28 ქალაქით, უფრო მდიდარი, სამრეწველო ადგილებით, საქსონიის მეფეს დარჩა. ზოგიერთი სახის შემდგომ ცვლილებას არ შეუტანია დიდი შესხვაფერება საქსონიის დაყოფის ამ გეგმაში.

ამრიგად, წააგო რა პოლონეთის საქმე, ტალეირანმა სამაგიეროდ თვალსაჩინო წარმატებას მიაღწია საქსონიის საკითხში და პირნათლად შეასრულა თავისი ყველაზე მთავარი ამოცანა: ახალი, ბურჟუაზიული საფრანგეთი არა თუ არ დაუქუცმაცებიათ ფეოდალურ-აბსოლუტიტურ დიდ სახელმწიფოებს და მათ მოკავშირეს, ეკონომიურად დაწინაურებულ ინგლისს, რისგანაც საფრანგეთი რუსეთმა იხსნა ჯერ კიდევ 1814 წ. 30 მაისს, არამედ შევიდა როგორც თანასწორუფლებიანი წევრი დიდ ევროპულ სახელმწიფოთა წრეში და 1815 წ. 3 იანვრის კომბინაციამ ჩაფუშა საფრანგეთისათვის საშიშარი კოალიცია. ეს კი უკვე მიმართული იყო პირდაპირ რუსეთის იმპერიის წინააღმდეგ.

ასეთი იყო ტალეირანის ძირითადი დიპლომატიური გამარჯვებანი, რომელნიც მან თავისი გამჭრიახობისა და შეუპოვრობის წყალობით მოიპოვა, მოიპოვა ისეთ გამორჩეულ კონტრაგენტებთან ბრძოლაში, როგორნიც იყვნენ ალექსანდრე პირველი და მეტერნიხი.

ვითარება ისე აეგო, რომ უკვე 1815 წლის პირველ თვეებში და მერე იმ არევ-დარეულობის შემდეგ, ას დღეს რომ მოჰყვა, როცა სასწრაფოდ იქნა დახურული ვენის კონგრესი, ტალეირანისათვის კეთილსასურველად იქნა გადაწყვეტილი კიდევ ორი საკითხი, რომლებითაც საფრანგეთი იყო დაინტერესებული. საკითხი გერმანიის „მოწესრიგებისა“ და იტალიის საკითხი. მაგრამ აქ საქმე ტალეირანის აქტიური მონაწილეობის გარეშეც მოგვარდა. გერმანია დაქუცმაცებული აღმოჩნდა, იგივე მოუვიდა აპენინის ნახევარკუნძულსაც. როგორც პირველ, ისე მეორე შემთხვევაში განსაზღვრული როლი ჰამბსბურგთა მონარქიის ინტერესებმა ითამაშა, რომლებიც კონგრესზე მეტერნიხის მიერ იყო წარმოდგენილი. მაგრამ ავსტრიის პოლიტიკის ამ ღონისძიებათა ობიექტური შედეგები, ტალეირანის თვალსაზრისით, ხელსაყრელი პირობები აღმოჩნდა საფრანგეთის საზღვრების უშიშროებისათვის.

ამრიგად, ტალეირანმა შეძლო დახმარებოდა საქსონიას დამოუკიდებელი არსებობისა და თავისი ტერიტორიის უმეტესი ნაწილის შენარჩუნებაში, მაგრამ იგი დიდი დავიდარაბის გარეშე დათანხმდა იმაზე, რომ პრუსიისათვის რაინის პროვინცია შეეერთებინათ. შემდგომ ბევრი კამათი იყო იმის შესახებ, თუ რა უფრო ხელსაყრელი იყო საფრანგეთისათვის: პრუსიას მთელი საქსონია თუ რაინის პროვინცია რომ წაეღო. პირველ შემთხვევაში იგი გაცილებით უფრო ძლიერი ხდებოდა, ვიდრე მეორე შემთხვევაში: მაგრამ სამაგიეროდ უფრო დაშორებული აღმოჩნდებოდა საფრანგეთისაგან, ვიდრე მაშინ, თუ რაინის ქალაქებსა და მიწებს დაინარჩუნებდა. უნდა შევნიშნოთ: ვენის კონგრესი ლეგენდების ისეთი ბურუსითაა მოცული, ზოგჯერ შეუძლებელი ხება მოვლენათა მქრქალი კონტურების გარჩევა. ძალიან საეჭვოა, თითქოს იმპერატორის საყვედურზე საქსონიის მეფე მოღალატეა, ნაპოლეონის მხარეზე იბრძოდაო, ტალეირანს ეპასუხოს: „მისი დანაშაული მხოლოდ ის არის, რომ ეშინოდა ნაპოლეონის, მაგრამ აქ, კონგრესზე შეკრებილ ხელმწიფეთა უმრავლესობა განა ამ მხრივ უცოდველია? ნუ მივმართავთ წარსულს, ხელმწიფევ, არც ერთ ჩვენთაგანს არ ასცდებოდა გაწითლება“.

მთელი ეს გაბედული ლაპარაკი, ეტყობა, თავიდან ბოლომდე მოგონილია, თუნდაც უკვე იმიტომ, რომ მის შესახებ არაფერს ამბობს თვითონ ტალეირანიც კი, ტალეირანი, რომელსაც ასე უყვარდა მეფეთა წინაშე თავისი ვითომდა მიუკერძოებელ „პირშინთქმელობით“ წატრაბახება...

მაგრამ ის ყოველნაირად ცდილობდა განემტკიცებინა მეტერნიხისა და კესტლერის შიში, რომ ნაცვლად „სენისპირელი გოლიათისა ამიერიდან შეიძლება წარმოიშვას ნევისპირელი გოლიათი“, ეს დაშინება „რუსული საფრთხით“, იმ დროიდან მოყოლებული, საფრანგეთის საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთ შაბლონად გადაიქცა. ახლა უკვე ალექსანდრეს პირადად აღარაფერი შეეძლო მიეცა ტალეირანისათვის, და მათ ცხოვრებაში ამ გადამწყვეტი პოლიტიკური შეხვედრის შემდეგ ისინი ცივად დაშორდნენ ერთმანეთს.

კავშირი და მეგობრობა ინგლისთან და, შეძლებისდაგვარად, ავსტრიასთანაც საერთო ძალით პრუსიისათვის წინააღმდეგობის გასაწევად, ბრძოლა რუსეთის წინააღმდეგ, - აი ბაზისი, რაზედაც ტალეირანს სურდა დაეფუძნებინა საფრანგეთის საგარეო პოლიტიკა და უშიშროება. მას ბედმა არ არგუნა დიდხანს ყოფილიყო საქმეთა სათავეში რესტავრაციის პერიოდში, მაგრამ როგორც კი მისცა 1830 წ. ივლისის რევოლუციამ იმ მომენტში უმნიშვნელოვანესი პოსტი საფრანგეთის ელჩისა ლონდონში, ტალეირანმა, როგორც ქვევით დავინახავთ, ყველაფერი გააკეთა მასზე დამოკიდებული, რათა ცხოვრებაში განეხორციელებინა თავისი პროგრამა.

საფრანგეთის ახალგაზრდა ბურჟუაზიის უახლოესი თაობები ყოველთვის მაღალ შეფასებას აძლევდნენ ტალეირანის იმ მუშაობას, რომელიც ვენის კონგრესზე გასწია.

ტყუილად როდი ლაპარაკობს ბალზაკის გმირი ვოტრენი რომანში „Le pere Goriot“ ასეთი აღტაცებით ტალეირანის შესახებ (სახელის მოუხსენიებლად): „...თავადმა, რომელსაც ყველა ქვასა და გუნდას აყრის, და რომელსაც საკმარისად სძაგს კაცობრიობა, რათა იმდენი ფიცი მიაშავოს მას, რამდენსაც ის მისგან მოითხოვს, საფრანგეთი დაქუცმაცებას გადაარჩინა ვენის კონგრესზე. იგი გვირგვინებით უნდა შეემკოთ, მას კი ლაფს ესვრიან.[115]“ ეს აზრი, რომ ფიცის გამტეხს შეუძლია არად ჩააგდოს კაცობრიობა, თუ მის გამცემლობათა საბოლოო შედეგს სარგებლობა მოაქვს ბურჟუაზიისათვის, ეს ცინიკური რწმენა იმისა, რომ „ინტელექტი მორალზე მაღლა დგას: პოლიტიკაში - უჩვეულოდ დამახასიათებელია იმ გარდატეხის პერიოდისათვის, რომელმაც ძალაუფლება ბურჟუაზიას გადასცა. და ყველაზე უფრო დამახასიათებელია სწორედ საზეიმოდ, საქვეყნოდ გამოცხადება ამ პრინციპისა და დაუფარავი აღტაცება იმ ადამიანით, რომელშიც ყველაზე სრულყოფილად სახიერდებოდა დასრულებული ამორალიზმის აღნიშნული იდეალი, ე.ი. თავად ტალეირან-პერიგორით.

მაგრამ თავისებური გულახდილობა ბალზაკის ამ მტაცებელ გმირისა ყველას როდი ახასიათებს. ის პოლიტიკური მოღვაწენიც კი, რომელნიც ყოველი ღონისძიებით ცდილობდნენ მიებაძათ ტალეირანისათვის, როგორც მიუწვდომელ ნიმუშისათვის, ზურგს უკან ლანძღვას არ აკლებდნენ. როცა ხედავდნენ, ეს ცინიკური კომედიანტი და ვერაგობის მაესტრო რა არტისტულად თამაშობდა მსოფლიო სცენაზე მისთვის სრულიად ახალ როლს. რა თქმა უნდა, მისი უშფოთველი თავხედობის გამო ყველაზე მეტად ბრაზით მისი პირდაპირი მოწინააღმდეგენი ივსებოდნენ: ფეოდალურ-აბსოლუტისტური სახელმწიფოების დიპლომატები და, უწინარეს ყოვლისა, პრუსია, რომელთა გაპამპულავება პირველი რიგის ამოცანად დაისახა. ეს დიპლომატები ხედავდნენ, რომ ვენაში ოსტატურად გამოსტაცა მათ საკუთარი იარაღი, ვიდრე გონს მოვიდოდნენ, და ეხლა ამავე იარაღს იყენებს მათ წინააღმდეგ, ითხოვს რა „ლეგიტიმიზმის პრინციპის“ სახელით და საფრანგეთში დაბრუნებული „კანონიერი“ დინასტიის საპატივცემულოდ, არა მარტო საფრანგეთის ტერიტორია დასტოვონ ხელშეუხებლად, არამედ ცენტრალური ევროპაც მთლიანად დააბრუნონ თავის რევოლუციამდელ მდგომარეობაში და რომ ამიტომ „ლეგიტიმური“ მეფე საქსონიისა ყველა იმ თავის ძველ სამფლობელოთა ფარგლებში უნდა დარჩეს, რომლებზედაც პრუსია აცხადებს პრეტენზიას.

ტალირანის მოწინააღმდეგეებში განსაკუთრებით ის იწვევდა მძაფრ აღშფოთებას, რომ თავადი, რომელმაც თავის დროზე ისე მსწრაფლად გაყიდა ლეგიტიმური მონარქია, ემსახურებოდა რევოლუციას, ემსახურებოდა ნაპოლეონს, დაახვრეტინა ენგიენის ჰერცოგი მისი „ლეგიტიმური“ წარმოშობისათვის, მთელი თავისი დიპლომატიური გაფორმებებითა და გამოსვლებით ნაპოლეონის დროს მოსპო და ფეხქვეშ გათელა საერთაშორისო სამართლის ყოველგვარი ნასახივ კი, ყოველგვარი ცნება „ლეგიტიმური“ თუ სხვა უფლებებისა, - ეხლა სრულიად აღშფოთებული სახით, სავსებით შუბლგახსნილი აცხადებდა (მაგალითად, რუსეთის დელეგატთან ვენის კონგრესზე კარლ ვასილის-ძე ნესელროდესთან): თქვენ მელაპარაკებით გარიგების შესახებ, - არ შემიძლია დავდო გარიგებანი. მე ბედნიერი ვარ, რომ არ ძალმიძს ისეთივე თავისუფალი ვიყო ჩემს მოქმედებაში, როგორც თქვენ. თქვენ გამოქმედებთ თქვენი ინტერესები, თქვენი ნება; რაც შემეხება მე, ვალდებული ვარ მივდიო პრინციპებს, პრინციპები კი არ შედის გარიგებებში (*les principes ne transigent pas*). მისი ოპონენტები პირდაპირ ყურებს არ უჯერებდნენ, როცა ამ მკაცრ სიტყვებს წარმოთქვამდა და მიუკერძოებლობის მორალს უკითხავდა სწორედ ის თავადი ტალირანი, რომელიც, როგორც მასზე იმავე ხანებში სწერდა ზემოთ მოხსენებული გაზეთი „Le Nain jaune“, მთელი თავისი სიცოცხლის განმავლობაში ჰყიდდა ყველა მათ, ვინც მას ყიდულობდა. არც ნესელროდემ, არც პრუსიის დელეგატმა ჰუმბოლდტმა, არც ალექსანდრემ ჯერ კიდევ არ იცოდნენ, რომ ვენის კონგრესის იმ დღეებშიაც კი, როცა ტალირანი მათ ზნეობრივ ყოფაქცევის, ლეგიტიმიზმისა და კანონიერების პრინციპებისადმი ერთგულების, ამ პრინციპებისადმი რელიგიურ-განუხრელი სამსახურის მკაცრ გაკვეთილებს აძლევდა, მან საქსონიის მეფისაგან ქრთამი მიიღო - ხუთი მილიონი ფრანკი ოქროთი, ბადენის ჰერცოგისაგან - ერთი მილიონი; მათ აგრეთვე არ იცოდნენ, თუ შემდგომში შატობრიანის მემუარებიდან ცნობილი გახდებოდა, რომ ლეგიტიმიზმის საფარველქვეშ იცავდა რა ნაპოლეონი ბურბონების უფლებებს ორივე სიცილიის ტახტზე, ტალირანს მაშინვე, ვენაში, პრეტენდენტ ფერდინანდ მეოთხისაგან შეპირებული ექვსი მილიონი უნდა მიეღო (სხვა მონაცემებით: სამი მილიონ შვიდასი ათასი) და ამ ფულის გადმოგზავნის გაადვილებისათვის ისეთი თავაზიანობა და წინდახედულებაც კი გამოიჩინა, რომ ფერდინანდთან თავისი პირადი მდივანი პერე გაგზავნა.

უადგილო არ იქნება, თუ ამ საინტერესო ეპიზოდზე შევჩერდებით, მით უმეტეს, საგარეო პოლიტიკის ჩვენს არქივში ტალირანის შესახებ ნაპოვნია ზოგიერთი საგულისხმო და მანამდე უცნობი მასალა, რომელიც ამ საკითხს აზუსტებს.



ინგლისმა და ავსტრიამ მოთლიანად დაუჭირეს მხარი საფრანგეთის წინადადებას ნეაპოლელი ბურბონების დინასტიის (მეფე ფერდინანდ IV) დაბრუნებაზე ორივე სიცილიის სამეფოს ტახტზე ნეაპოლში. ფერდინანდს ძლიერ ეშინოდა, ტახტი ნაპოლეონის მარშალსა და მის მიერვე დაყენებულ მეფე იოაჰიმ მიურატს არ შერჩენოდა და ტალეირანს ქრთამს შეპირდა დახმარებისა და ხელისშეწყობის შემთხვევაში. მეფე ლუდოვიკო მეთვრამეტე დაჟინებით მოითხოვდა ტალეირანთან მიწერილ წერილში, ამ უკანასკნელს მიურატის განდევნისა და ნეაპოლში ფერდინანდის დაბრუნებისათვის მიეღწია, და, ტალეირანმაც, რა თქმა უნდა, გააკეთა ეს საქმე, კონგრესი დათანხმდა. მაშინ ტალეირანმა, ოსტატურად დაუმალა რა ფერდინანდს უკვე მიღებული, მაგრამ ჯერ გამოუქვეყნებელი სახელმწიფოთა დადგენილების არსებობა, ნეაპოლის მეფეს ექვსი მილიონი ფრანკი მოსთხოვა სასურველი დახმარებისა და სამსახურის გაწევისათვის. შეცდომაში შეყვანილი მეფე ფერდინანდი დაპირდა ამ თანხას. მაგრამ ფერდინანდ IV მისცა არა მაინც ექვსი მილიონი, რამდენიც შეპირდა, და არც სამი მილიონ შვიდასი ათასი, არამედ გაცილებით ნაკლები.

1815 წ. ივლისის დამლევს მოულოდნელად თავად ტალეირანის მდივანი ჩამოვიდა ნეაპოლში. რუსეთის წარმომადგენელი ორივე სიცილიის სამეფოში, მოჩენიგო, ატყობინებს რა ამის შესახებ გრაფ ნესელროდეს, თავდაპირველად აცნობებს, მდივნის ჩამოსვლის მიზეზია ბენვენტის სამთავროსთან დაკავშირებული საქმეები ტალეირანისაო. მაგრამ უკვე რამდენიმე დღის შემდეგ. დაშიფრულ პატაკში, მოჩენიგო განმარტავს, რაშია საქმე: მდივანი წარმოგზავნილია, რათა მიიღოს ნეაპოლის მეფის ფერდინანდ მეოთხისაგან ფული თავადის სასარგებლოდ, რადგან მეფე ფარულად შეპირებულია გადაუხადოს მას ნეაპოლის ტახტზე თავისი აღდგენის საზღაური[116]. ერთ-ერთ გვიანდელ პატაკში (აგრეთვე დაშიფრულში) მოჩენიგო იტყობინება უკვე სავსებით ზუსტ ციფრს ორ მილიონ ფრანკს[117] მაგრამ ადვილი შესაძლებელი გახლდათ, არც ეს ორი მილიონი მოხვედრილიყო მის მომლოდინე ჯიბეში.

უკვე 1815 წ. ივლისში, როცა ტალეირანმა დიდი დაგვიანებით (ასი დღის შემდეგ) მიავლინა თავისი პირადი მდივანი პერე ნეაპოლში, თავადს ყველა საფუძველი გააჩნდა შემფოთებისათვის: ეხლა 1815 წ. ივლისში, ფერდინანდ მეოთხემ, ტალეირანის მხრივ მალვისა და მთელი მისი ეშმაკობის მიუხედავად, დანამდვილებით იცოდა, რომ მისი გამეფება ტალეირანისაგან უკვე აღარ არის დამოკიდებული. ერთი სიტყვით, მეფეს გულმშვიდად შეეძლო მოეშორებინა თავიდან პერე, ასე დაგვიანებით გამოცხადებული მასთან ქრთამის მისაღებად.

მაგრამ ფერდინანდმა მაინც მისცა შეპირებული თანხის მესამედი. როცა პერე ნეპოლიდან დაბრუნდა და ტალეირანს ბარინგის საბანკირო კანტორაზე სათანადოდ გაფორმებული ქვითარი ჩამოუტანა, მოულოდნელობისაგან გაოგნებული დარბაისელ თავადს ბენევენტისა ძალა არ ეყო დაეფარა თავისი ბედნიერება, გულში ჩაიკრა პერე, ეხვეოდა და ჰკოცნიდა თავის წარგზავნილს. ამგვარი მძაფრი ემოცია, ყოველ შემთხვევაში ჩვენს ხელთ არსებული მონაცემების მიხედვით, მას 1797 წ. შემდეგ აღარ განუცდია, როცა აგრეთვე პირდაპირ გონება დაჰკარგა სიხარულისაგან, შეიტყო რა საგარეო საქმეთა მინისტრად თავისი პირველად დანიშვნა და როცა, თითქოს თავდავიწყებაში ჩავარდნილი, გაიძახოდა, ამ ადგილზე უზარმაზარი ქონების შეძენა შეიძლებაო. მხოლოდ ამგვარ მოტივებს შეეძლო, როგორც ეტყობა, ამ ცივი, თავდაჭერილი, ქედმაღალი, უადრესად გულგრილი ადამიანის გამოყვანა სულიერი წონასწორობიდან.

მაგრამ აქაც, ვენის კონგრესზე, ქრთამების აღების საქმეში იგი ზუსტად ისევე მოქმედებდა, როგორც ნაპოლეონის პერიოდის პირველ წლებში. ის შეძლებისამებრ, ქრთამებით არ აკეთებდა ისეთ საქმეებს, რომლებიც აშკარად საზიანო იქნებოდა საფრანგეთის ინტერესებისათვის, ან სხვანაირად რომ ვთქვათ, ძირითადი დიპლომატიური მიზნებისათვის, რომელთა განხორციელებისაკენ თვითონ ისწრაფოდა. მაგრამ ის გზადაგზა იღებდა ფულს მათგან, ვინც პირადად იყო დაინტერესებული, რომ ეს მიზნები მალე და რაც შეიძლება სრულად ყოფილიყო მიღწეული ტალეირანის მხრივ. ასე მაგალითად, საფრანგეთი უშუალოდ იყო დაინტერესებული, პრუსიას არ მიეტაცნა საქსონიის მეფის სამფლობელოები, და ტალეირანმა დაიცვა საქსონია. მაგრამ რადგან საქსონიის მეფე ამით კიდევ უფრო მეტად იყო დაინტერესებული, ვიდრე საფრანგეთი, ტალეირანს მეტად გააქტიურებისათვის, მან, თავის მხრივ, ხუთი მილიონი მისცა. ხოლო ტალეირანმა ეს თანხა აიღო და აიღო, რა თქმა უნდა, მისთვის მუდამ ჩვეული იმ თავდაჭერილობითა და „დარბაისლური“ იერით, როგორითაც ერთ დროს, 1807 წელს, ამავე საქსონიის მეფისაგან ქრთამი მიიღო ნაპოლეონის წინაშე გამოსარჩლებისათვის.

კონგრესი დასასრულს უახლოვდებოდა; შეკრებილი ხელმწიფენი და სახელმწიფოთა წარმომადგენელნი მხიარულად ატარებდნენ მაღალი საზოგადოების ბრწყინვალე ზამთრის სეზონს ვენაში და თავს დიდად არ იჭირებდნენ მუშაობით. „კონგრესი კი არ მიმდინარეობს, მიცეკვავობსო“ (Le congres dense, mais ne marche pas) - ირონიულად შენიშნავდა ძველი დამკვირვებელი, ავსტრიელი დიდებული დე ლინი.

1815 წ. იანვრის დამლევისათვის ყველა შედარებით მწვავე, საშიში საკითხი მეტნაკლებად უკვე გადაწყდა. საქსონიის საკითხში მიღწეული გამარჯვება

ტაღეირანის თვალში ანაზღაურებდა იმ დამარცხებას, პოლონეთის საკითხში რომ განიცადა მან. რუსეთთან თუმცა გულცივი ურთიერთობა დამყარდა, მაგრამ სამაგიეროდ მოხდა დაახლოება ინგლისსა და ავსტრიასთან. განსაკუთრებული ეფექტისათვის და ყბადაღებული „ლეგიტიმურობის პრინციპის“ განმტკიცებისათვის საფრანგეთის მინისტრმა უცებ გადაწყვიტა ესარგებლა ლუდოვიკო მეთვრამეტის სიკვდილით დასჯის (21 იანვარი) მოახლოებული წლისთავით და ვენაში საგანგებო სამგლოვიარო ცერემონილით აღენიშნა ეს თარიღი.

ტაღეირანმა, რომელმაც რევოლუციის დასაწყისში ისე წარმატებით გაყიდა ლუდოვიკო მეთეექვსმეტე, მრავალთა ირონიული სიცილი გამოიწვია ვენის კონგრესზე (რა თქმა უნდა, ზურგს უკან), როცა განიზრახა ეს წლისთავი არქისაზეიმო პანაშვიდისათვის გამოეყენებინა, რომელზედაც კონგრესის ყველა წევრი აწვია. ტაღეირანმა უაღრესად გრძნობამორეული სიტყვა წარმოთქვა. „ის, ვისაც შეიძლება არ სცოდნოდა რას წარმოადგენს ტაღეირანი, - იგონებს ერთი დამსწრეთაგანი, - უთუოდ იტყოდა: ეს არის, ალბათ, ერთ-ერთი ძველი მეგობარი მეფისა, ერთი იმათგანი, ვინც მის ოჯახს საზღვარგარეთ გაჰყვა; დაბოლოს, ეს არის ადამიანი, რომელიც ვერაფერს უსაყვედურებს თავის თავს. მაგრამ ვინაიდან ამ დეკლამაციის მოწმენი ყველანი კარგად იცნობდნენ ტაღეირანის წარსულ ყოფაქცევას, დაასკვნეს, რომ ის ერთობ უკბილოდ (platement) თამაშობს კომედიას“... „ეს არამზადა ტაღეირანი უსანდომოდ უნდა გამოიყურებოდეს ვენაში“ - იმავე პერიოდში შენიშნა ნაპოლეონის ძმამ ლუსიენ ბონაპარტმა[118].

ისიც უნდა ითქვას: გრძნობა მორეული სიტყვა მინისტრისა ძვირად დაუჯდა საფრანგეთის ხაზინას: 1815 წ. 21 იანვრის ცერემონიისათვის, რომელიც მხოლოდ საეკლესიო პანაშვიდისაგან შედგებოდა, ტაღეირანს არ დაუყოვნებია წარედგინა ანგარიში რატომღაც... ოთხმოც ათას ფრანკზე ოქროთი, არც მეტზე, არც ნაკლებზე (რეალური მსყიდველობითი უნარი ერთი ფრანკისა 1815 წელს მიჩნეულია იმ მსყიდველობითი უნარის თანახმად, რაც დაახლოებით ას ფრანკს ჰქონდა 1934 წ. ვალუტით)[119]. ასეთი მაღალი ფასი დასდო ტაღეირანმა თავის მჭმუნვარე-მონარქიულ გრძნობებს, 21 იანვრის სამგლოვიარო თარიღით გამოწვეულს.

უეცრად, ცამოწმენდილზე მეხმა იგრიალა. ნაპოლეონმა ანაზღად დატოვა კუნძული ელბა, გადმოვიდა ჟუანის კონცხთან, ნაპირზე გადმოსვლიდან ზუსტად სამი კვირის შემდეგ აღადგინა იმპერია და 1815 წ. 20 მარტს ტრიუმფით შევიდა პარიზში ისე, რომ მთელი ამ ექსპედიციის განმავლობაში ერთხელაც არ გაუსვრია, არ წაწყდომია არავითარ წინააღმდეგობას.

ნაპოლეონის დაბრუნება კუნძულ ელბიდან, ბურბონების პანიკური გაქცევა და იმპერიის აღდგენა ტალეირანს ელდასავით დაატყდა. არც ისე დიდი ხნის წინ (1933 წ. მაისში) პარიზში გამოვიდა ფანტაზიური წიგნი ფერდინანდ ბაკისა „Le secret de Talleyrand“. ეს მხოლოდ ბაკის მიერ გახსნილი „საიდუმლო“ იმაში მდგომარეობს, რომ ტალეირანმა... თვითონ მოაწყო ნაპოლეონის გაქცევა ელბიდან. აღვნიშნავ ამ დილეტანტურ ფანტაზიურ წიგნს აქ მხოლოდ როგორც კურიოზს იმის დამამტკიცებლად, რომ შორეული შთამომავლობის თვალშიც ტალეირანი რჩება ისეთ გრძნეულ პიროვნებად, რომელსაც შეეძლო განეხორციელებინა არა მარტო ყველაზე საოცარი გეგმა ვერაგობისა და ეშმაკობის მხრივ, არამედ საერთოდ ნებისმიერი პროექტიც. ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ მეცნიერული არგუმენტაციის ნასახიც არ მოიპოვება წიგნში. ნაპოლეონის გაქცევამ ტალეირანს თავზარი დასცა.

აღადგინა თუ არა იმპერია 1815 წ. მარტში, ნაპოლეონმა აცნობა ტალეირანს, ხელახლა აგიყვან სამსხურშიო, მაგრამ ტალეირანი ვენაში დარჩა, მას არ სჯეროდა არც იმპერატორის კეთილგანწყობისა (რომელმაც ახლად გამეფებისთანავე ბრძანა თავადის მთელი ქონების ჩამორთმევა), არც ნაპოლეონის ახალი მეფობის სიმტკიცისა. ვენის კონგრესი დაიხურა.

ნაპოლეონის დაბრუნებამ ტალეირანი, ავტორი სამი იანვრის საიდუმლო ანტირუსული შეთანხმებისა, მყისვე მორჩილი მთხოვნელი, მთავარშიც და მეორეხარისხოვან საკითხებშიც ალექსანდრეზე დამოკიდებული გახადა. საფრანგეთის უქრისტიანესმა მეფემაც, გენტში გახიზნულმა ლუდოვიკო მეთვრამეტემ, აგრეთვე ხელად დაივიწყა თავისი ღრმა რწმენა იმისა, ბურბონები რომანოვებზე წარჩინებულნი არიანო, და თავისი განუწყვეტელი თხოვნა-მუდართით თავი წასჭამა ალექსანდრეს. ასი დღის დროს შვეიცარიაში (განსაკუთრებით კანტონ ვაადტში) გამომჟღავნებულ იქნა ზოგიერთი ბონაპარტისტული ინტრიგა და კავშირი ჟოზეფ ბონაპარტთან. თავადი ტალეირანი ნესელროდეს ატყობინებდა, მეფე ლუდოვიკო მეთვრამეტე დაჟინებით მოითხოვს შვეიცარიის ხელისუფალთაგან ჟოზეფ ბონაპარტის შვეიცარიიდან გაძევებას, მაგრამ, სამწუხაროდ, მარტოდენ სურვილი მისი უქრისტიანესი უდიდებულესობისა, გენტში თავშეფარებულისა, არასაკმარისიაო. ასე რომ, ხომ არ ინებებს სრულიად რუსეთის იმპერატორი, დახმარება გაუწიოს იმით, შვეიცარიაში[120] მხარი დაუჭიროს საფრანგეთის მეფის ამ თხოვნას? ალექსანდრე „ყოვლად უმოწყალესად“ დათანხმდა[121].

ვენის კონგრესზე შეკრებილ რვა სახელმწიფოს წარმომადგენლებმა 1815 წ. 13 მარტს გამოაქვეყნეს ცნობილი დეკლარაცია, რომელიც ნაპოლეონ ბონაპარტს „სამოქალაქო და საზოგადოებრივ ურთიერთობათა გარეშე, „მსოფლიო მშვიდობიანობის

დამრღვევად და მტრად“ და დასჯის ღირსად აცხადებს. (il s'est livre a la vindicte publique). ეს დეკლარაცია იმ მომენტში შეფასებულ იქნა, როგორც მოწოდება კანონგარეშედ გამოცხადებულ ნაპოლეონის მოკვლისა. საფრანგეთის წარმომადგენელთა სიაში ამ დოკუმენტის ქვეშ პირველ ადგილზე ხელს აწერდა: „თავადი ტალეირანი“.

მაგრამ ნაპოლეონს არავითარი ყურადღება არ მიუქცევია ამისთვის. საკმაოდ კარგად იცნობდა ის თავის ტალეირანს, თუმცა მისი საქციელის შესახებ ბევრი რამ არ იცოდა. კიდევ ამიტომ იყო, არ ჩამოახრჩო დროზე, მხოლოდ ფიქრობდა ამას და ადგილიც კი შეარჩია საამისოდ: კარუსელის მოედანი. როგორც ადრე დავინახეთ, თვით თავადსაც კი გაუზიარა თავისი ეს განზრახვა 1809 წ. 28 იანვარს, ტუილრიში გამართულ ცნობილი სცენის დროს.

მაგრამ ტალეირანი ახალა მას ისე სჭიროდა; ძველი დიპლომატის დაბრუნება იმპერატორის სამსახურში კოლოსალურ შთაბეჭდილებად მოახდენდა ევროპაში. მართალია, მან ხელი მოაწერა 13 მარტის დეკლარაციას, მაგრამ აბა ვინ მოსთვლის რამდენი სხვადასხვანაირი დეკლარაციისათვის მოუწერია ტალეირანს ხელი თავის სიცოცხლეში! დაბოლოს, ეს მოხდა 13 მარტს, ჯერ კიდევ ერთი კვირით ადრე, ვიდრე ნაპოლეონი ტრიუმფით შევიდოდა ტუილრიში. ერთი სიტყვით, გადაწყვეტილი იყო ცდილიყვნენ მრავალნაირად თავადი ხელიდან გამოეცალათ მოკავშირეებისათვის. არაფერი უცნაური ამ განზრახვაში არ არის: აკი სიცოცხლის ბოლო ხანებში თვით ტალეირანი უწყინრად ხუმრობდა, რომ სრულიად სხვადასხვა საბაბით თავისი ცხოვრების მანძილზე თოთხმეტჯერ მოუხდა დაედო სულ სხვადასხვანაირი ხასიათის ფიცი.

ერთ-ერთი პირველი ნაბიჯი, რომელიც ნაპოლეონმა თავისი ხელახალი გამეფების შემდეგ გადადგა, იყო ვინჩენცის ჰერცოგის, კოლენკურის დანიშვნა საგარეო საქმეთა მინისტრად, ხოლო 22 აპრილს (1815) იმპერატორმა თავის მინისტრს შემდეგი განკარგულება მისცა: „ბატონი ვინჩენცის ჰერცოგო! მე თქვენ უფლებამოსილს გხდით დაუდასტუროთ ბენევენტის თავადს, რომ მამულებს დაუბრუნებენ, თუ იგი მოიქცევა, როგორც ფრანგი და გამიწევს ზოგიერთი სახის დახმარებას[122]“. მაგრამ ტალეირანი ვენაში დარჩა. მერე გაემგზავრა ვენიდან, მხოლოდ არა პარიზში. მას არ სწამდა აღდგენილი იმპერიის სიმყარე. იმპერატორის წინადადება კოლენკურმა თავისი ხელით დაწერილი ბარათით შეუთვალა ტალეირანს ვენაში, 25, აპრილს: „ჩემო ძვირფასო თავადო. თქვენ იცით ჩემი ძველი მეგობრობა თქვენდამი. იმედი მაქვს სავსებით ერწმუნებით ყოველივეს, რასაც გადმოგცემთ და რასაც ჩვენი

სახელით დაგიდასტურებთ ბ. დე სენ-ლეონი, რომელმაც, როგორც მეგობარმა, ხელი მოჰკიდა თქვენ საქმეებს.[123]“

ყოველ შემთხვევაში, ეს დოკუმენტები, რომლებიც ვინჩენცის ჰერცოგის ოჯახის კერძო არქივში იქნა ნაპოვნი და პირველად მისი „მემუარების“ ახალ (აქ ციტირებულ) გამოცემაში დაიბეჭდა, გვიჩვენებს, რომ იმ უაქტიურესი მონაწილეობის შემდეგაც კი, ტალეირანმა რომ გამოიჩინა ბურბონების გამეფებაში 1814 წ. მარტსა და აპრილში, ნაპოლეონი მაინც შესაძლებლად თვლიდა ტალეირანის ყიდვას და ამას თავის სასარგებლო საქმედ მიიჩნევდა.

მაგრამ ტალეირანი ყრუ იყო როგორც წერილობითი, ისე ზეპირი დაპირებებისადმი. სენ-ლეონის ჩამოსვლამ და მისმა დაპირებებმა მაინც ხიერი მისცა ტალეირანს: მოკავშირეები შეშფოთდნენ და უფრო საიმედოდ მიიჩნიეს, ყოველ შემთხვევისათვის, სასწრაფოდ უხვად დაეჯილდოებინათ თავადი ფულებით, რათა ის უეცრად ნაპოლეონის მხარეზე არ გადასულიყო. მართალია, მათ იცოდნენ, რომ ტალეირანს არც თუ მთლად სწამს იმპერიის სიმტკიცე, და, ალბათ, არ აჰყვება ცდუნებას, მაგრამ - არის კი ისეთი რამ, ბენევენტის თავადს რომ არ ჩაედინოს? სიფრთხილეს თავი არ სტკივა. ტალეირანმა ფული სრული მზადყოფნით მიიღო და დარჩა მოკავშირეთა ერთგული.

იმპერატორის ცდა, თავისკენ გადმოებირა ტალეირანი ეტყობა, ერთბაშად მაინც არ შეწყვეტილა.

არ უნდა დაგვავიწყდეს: ნაპოლეონს ჰქონდა ზოგიერთი საფუძველი ეფიქრა, რომ ტალეირანი ვენაში მეტად შეჭირვებულ მდგომარეობაში აღმოჩნდებოდა: 1815 წ. 20 მარტს კუნძულ ელბიდან ტუილრიში, თავის სასახლეში უეცრად დაბრუნებულმა იმპერატორმა წინადლით გაქცეული მეფე ლუდოვიკო მეთვრამეტის საწერი მაგიდის უჯრაში იპოვა ტალეირანის მიერ ვენაში შედგენილი 1815 წ. 3 იანვრის ანტირუსული საიდუმლო ხელშეკრულების ასლი, ხელმოწერილი, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ტალეირანის, კესტლერისა და მეტერნიხის მიერ. მეფე ლუდოვიკო მეთვრამეტე ისეთი მაქსიმალური სისწრაფით გაიქცა 19 მარტის საღამოს პარიზიდან, ფაცი-ფუცში არც კი გახსენებია ამ საბედისწერო აქტის თან წაღება. რა თქმა უნდა, ნაპოლეონმა მსწრაფლ გაგზავნა სპეციალური შიკრიკი ვენაში, რათა დოკუმენტი იმპერატორ ალექსანდრესთვის ჩაებარებინათ. ხელმწიფე უდიდესი აღშფოთების გრძნობამ მოიცვა, როცა უეცრად ასეთი, სავსებით მოულოდნელი გზით შეიტყო, თუ რა ორმო გამოუთხარა რუსეთს თავადმა ტალეირანმა ვენაში. ტალეირანს კი ფიქრადაც არ მოუვიდოდა, რომ გაქცევისას ბურბონებს ასეთი დიდმნიშვნელოვანი ქაღალდი

მაგიდის უჯრაში დაავიწყდებოდათ. ამ ხნიდან მოყოლებული, ალექსანდრეს უნდობლობასა და ანტიპატიას ტალეირანისადმი დაემატა უკვე ნამდვილი მძულვარება, რამაც, როგორც დავინახავთ, კიდევ იჩინა თავი იმავე 1815 წელს. მართალია, ალექსანდრეს არ შეუცვლია თავისი პოლიტიკა, როგორც ამას ვარაუდობდა ნაპოლეონი, მაგრამ ცხადი იყო, ტალეირანის მდგომარეობა საჩოთირო გახდა.

არც მეტერნიხს, არც კესტლერს არ გამოუწვევიათ, ეტყობა, ხელმწიფის ეგზოში გულისწყრომა, როცა მან ისეთი უეცარი (და უტყუარი) ინფორმაცია მიიღო იმ ნაბიჯის შესახებ, ფარულად მის წინააღმდეგ რომ გადადგეს, არც ინგლისი, არც ავსტრია ისე დავალებული არ იყო რუსეთისაგან, როგორც საფრანგეთი, რომელიც რუსეთმა დაქუცმაცებას გადაარჩინა. მაგრამ ხელმწიფემ გადაწყვიტა განეგრძო საერთო ბრძოლა დაბრუნებული ნაპოლეონის წინააღმდეგ და ტალეირანისთვის ჯერჯერობით არც კი უგრძნობინებია, რომ უწყრება.

პარიზში კი ჩანს არ ეშვებოდნენ ცდას კავშირი დაეჭირათ ტალეირანთან.

„ხმა გავრცელდა აქ, რომ მონრონი, კაცი სახელგატეხილი და ბ. ტალეირანთან დაკავშირებული, ვენაში გაეგზავნა. ამ გარემოებამ უმძაფრესი შეშფოთება აღძრა“ - ატყობინებს პოცო დი ბორგო გრაფ ნესელროდეს ბრიუსელიდან. გამოემგზავრა იგი სენ-ლეონთან თითქმის ერთდროულად. თვით ელჩი სულაც არ შიშობს: „არც ერთი, არც მეორე ინდივიდუუმს უკვე აღარ შეუძლია ვნებაო. და თუმცა ლუდოვიკო მეთვრამეტე ტალეირანს სრულ ნდობას უცხადებს, მაგრამ ხალხს არ სჯერა მისი: ძალად ნდობა არ გაგონილაო.“[124]

სიტყვამ მოიტანა და შევნიშნავთ, რომ თავის მხრივ ტალეირანი გულში არა თუ ანტიპატიით, პირდაპირ ზიზღის გრძნობით იყო გამსჭვალული ლუდოვიკო მეთვრამეტის მიმართ. როცა 1823 წელს ლუდოვიკო მეთვრამეტემ თავისი დღიური გამოაქვეყნა (ბრიუსელსა და კობლენცში გაქცევის შესახებ რევოლუციის დროს, 1791 წელს), თავადი ტალეირანი ასე გამოეხმაურა (ზეპირ) ამ ნაწარმოებს: „ეს არის არლეკინის მოგზაურობა, ის (ლუდოვიკო) ჭამდა და ეშინოდა, ეშინოდა და ჭამდა.“ სტენდალი, მცნობი მეფის ბუნებისა, სავსებით ეთანხმება ამ შეხედულებას[125].

საგარეო პოლიტიკის ჩვენს არქივში დაცულია კვალი ასი დღის პერიოდში პარიზსა და თავად ტალეირანს შორის არსებული რაღაც შემდგომი ურთიერთობისა. ასე მაგალითად, 1815 წ. 16 მაისს ნესელროდე ვენიდან იმპერატორ ალექსანდრეს ატყობინებს, ვენაში ჩამოვიდა და ტალეირანსა და მეტერნიხს წერილები მოართვა პარიზიდან წამოსულმა ვინმე დე ბრეანმა. უმნიშვნელო პიროვნებამ, რომელიც თავის

დროზე, კარისკაცის ადგილი რომ მიეღო ნაპოლეონის სასახლეში, ინტრიგებს აწყობდაო. მაგრამ ჩამოტანილი წერილების შინაარსი უცნობი დარჩა ნესელოდესათვის.[126]“

## თავი მეექვსე

### ტალეირან-ფუმეს სამინისტრო. პარიზის მეორე ზავი. 9 ივლისი- 24 სექტემბერი, 1815 წელი

ვატერლოოს ბრძოლამ 1815 წ. 18 ივნისს ბოლო მოუღო ნაპოლეონის მეორედ მეფობას.

მეფე ლუდოვიკო მეთვრამეტე, მთელი ასი დღის განმავლობაში ქალაქ გენტში გახიზნული, მსწრაფლ პარიზს გასამგზავრებლად შეემზადა. მას გარს ეხვია ემიგრანტების ხროვა, გააფთრებული თავისი მეორედ განდევნით.

რუსეთის ელჩი პარიზში პოცო დი ბორგო შინა მოვლენათა უახლოეს განვითარებას პესიმისტურად უყურებდა მოსალოდნელ რეაქტიულ აღვირაზსნილობათა გამო. ტალეირანისა და მისი დამამშვიდებელი, კეთილისმყოფელი ზემოქმედების იმედი მას არ ჰქონდა. საგარეო პოლიტიკის ჩვენს არქივში ვიპოვეთ დამამტკიცებელი საბუთი იმისა, რომ რუსეთის დიპლომატს ჯერ კიდევ 1814 წ. შემოდგომაზე არ სწამდა ტალეირანის რეალური, მტკიცე წინააღმდეგობა ულტრაროიალისტური რეაქციისადმი.

პოცო დი ბორგოს, გამჭრიახ კორსიკელს, რომელსაც დიდი ხანია მშვენივრად შეესწავლა ტალეირანი, ძალიან კარგად ესმოდა, რომ რაც უნდა საღად მსჯელობდეს ეშმაკი თავადი საფრანგეთის სამინაო ვითარებაზე, ბურბონებისა და დაბრუნებული ემიგრანტების უგუნურობებზე, ხეირი მისგან მაინც არ იქნება. „სიზარმაცე და თავშეკავებულობა მისი“ და ნდომა იმისა, არვის თვალში გაიტეხოს სახელი, ისეთია რომ იგი მუდამ კვერს დაუკრავს იმ ტონსა და იმ სიტყვებს, რომლებიც ყველაზე უფრო მიღებული იქნება სასახლეში, მიუხედავად ამ სიტყვათა ჭეშმარიტი ღირსებებისა[127].



ამ მოკლე თქმაში, რუსეთის ელჩის მიერ გრაფ ნესელროდესადმი პარიზიდან გაგზავნილ სამსახურებრივ პატაკში რომაა მოცემული, იგრძნობა ყველაზე რეალური და ზუსტი ისტორიული სიმართლე, რომლებიც ჩვენთვის ფრიად უხვი დოკუმენტაციითაა ცნობილი. ან კი როდის იყო, რომ ტალეირანი იმას ამბობდა, რასაც ფიქრობდა, თუ კი სასახლეში სხვას ფიქრობდნენ? ან როდის იყო, ბანი არ ეთქვას დღეს ლუდოვიკო მეთექვსმეტისათვის, ხვალ - დანტონისათვის, ზეგ - ნაპოლეონისათვის?

ჯერ კიდევ ასი დღის დროს, არა მარტო პოცო დი ბორგო, თვით ალექსანდრე პირველიც ცდილობდა დაერწმუნებინა ლუდოვიკო მეთვრამეტე, რომ ნაპოლეონის მიერ ბურბონების დინასტიის მთელი ეს სამარცხვინო ახალი განდევნა საფრანგეთიდან განპირობებული იყო უწინარეს ყოვლისა მოსახლეობის სიძულვილით თავაშვებული როიალისტური რეაქციისადმი.

1815 წ. 19 აპრილს (1 მაისს) გენტში გრაფი ალექსის დე ნოაილი ჩამოვიდა ვენიდან და მეფე ლუდოვიკო მეთვრამეტეს დეპეშები მოართვა ტალეირანისაგან. მაგრამ ყველა დეპეშაზე უფრო მნიშვნელოვანი იყო ნოაილის მიერ ჩამოტანილი ტალეირანის მოხსენება იმ საუბრის შესახებ, რომელიც თავადს იმპერატორ ალექსანდრესაგან ჰქონდა ალექსის დე ნოაილის გამომგზავრების წინ. „ამ შეტყობინების მთავარი მიზანი, როგორც ჩანს, ის არის, დაარწმუნოს მეფე, რომ აუცილებელია მომავალში შეიქმნას სამინისტრო თანახმად კონსტიტუციისა, ე.ი. შეიქმნას კაბინეტი, რომელსაც ექნებოდა თავისი სისტემა მართვისა, რომელიც ერთსულოვანი იქნებოდა თავის გადაწყვეტილებებში და ერთობლივად პასუხისმგებელი ყველა თავისი მოქმედებისათვის. ერთი სიტყვით, ისეთი კაბინეტი, რომელიც, როგორც ეს ინგლისშია, თავის ადგილს დაიჭერდა ერსა და მეფეს შორის, რათა შეძლებოდა ნდობა მოეპოვებინა თავისი ქცევით ან გაკიცხულიყო ისე, რომ ჩირქი არ მოეცხო ტახტის ზნეობისა და მონარქის პიროვნებისათვის.“ პოცო დი ბორგო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ის წინათაც ცდილობდა ჩაეგონებინა მეფისათვის (აქ ის უფრო მაგარ გამოთქმას მიმართავს: *inculquer*, რაც ქართულ „თავში ჩადებას“ უახლოვდება) ეს პრინციპები, ეხლა რუსეთის ელჩის აზრით, ბლაკა - წარმომადგენელი „პერსონალური რეჟიმისა“, ტიპიური ულტრა როიალისტი, ლუდოვიკო მეთვრამეტის ფავორიტი, სამეფო ხელისუფლების ღვთაებრივი წარმოშობის შესახებ მოლაყბე, უნდა წავიდეს სამინისტროდან, ხოლო ტალეირანი კონსტიტუციური კაბინეტის სათავეში უნდა ჩადგეს. თუმცა ის კარისკაცია, თუმცა ის ინტრიგანიცაა, მაგრამ მეტად საჭირო პიროვნებაა[128].

მაგრამ აი ვატერლოოს ბრძოლიდან სწორედ ოთხი დღის შემდეგ ვენიდან ჩამოვიდა თვითონ თავადი ტალეირანიც.

საგარეო პოლიტიკის ჩვენს არქივში დაცულია დოკუმენტური საბუთი, რომ მონსში ჩამოსვლის წინა დღეს, 22 ივნისს ტალეირანმა პოცო დი ბორგო ინახულა ბრიუსელში, ჰქონდა მასთან „ხანგრძლივი თათბირი,“ რის შემდეგაც რუსეთის ელჩმა იმედი გამოთქვა, „საქმეთა მიმართულება ფრიად კეთილსასურველ სახეს მიიღებსო“ (de la maniere la plus convenable)[129].

სავსებით აშკარაა, რომ კიდეც ამ პაემანმა მისცა ტალეირანს სრული რწმენა თავისი მდგომარეობის სიმტკიცისა.

მომხდარა, რომ ტალეირანი ხანდახან ხათაბალაში გახვეულა, როცა ვერ გაუთვალისწინებია ძალთა შეფარდება და გაუზვიადებია საკუთარი მნიშვნელობა და მოწინააღმდეგის მერყეობა. ასე დაემართა მას, მაგალითად, როგორც უკვე აღვნიშნეთ, პოლონეთის საკითხზე ალექსანდრესთან მოლაპარაკების დროს. მაგრამ იშვიათად მოხვედრილა ისეთ დამამცირებელ და კურიოზულ მდგომარეობაში, როგორშიც 1815 წ. ივნისში აღმოჩნდა, როცა ისე უეცრად გამოჰქადაგდა, რომ მისი პოლიტიკური კარიერა ბეწვზე ჰკიდია...საქმე შემდეგშია. სადამო ხანს, დაახლოებით ექვს საათზე (1815 წ. 23 ივნისს) ტალეირანი ჩავიდა ქალაქ მონსში (ბელგიაში) და ეახლა მეფე ლუდოვიკო მეთვრამეტეს, რომელიც გენტიდან გამომგზავრებულიყო, საცა ის თავს აფარებდა ნაპოლეონის მეფობის ასი დღის განმავლობაში. ლუდოვიკო მეთვრამეტე ახლა პარიზს მიემართებოდა და მონსში ცოტა ხნით უნდა შეჩერებულიყო. საქმე ხდებოდა ვატერლოოს ბრძოლიდან ხუთი დღის შემდეგ, ინგლისელები და პრუსიელები განუწყვეტლივ მიედინებოდნენ პარიზისაკენ და განადგურებული საფრანგეთის არმიის ნაშთებს დევნიდნენ გზადაგზა.

სრულიად უსაფუძვლოდ ტალეირანს მოეჩვენა, რომ ის ეხლაც სწორედ ისევე საჭიროა ბურბონების ხელმეორედ დაბრუნებისათვის ტახტზე, საიდანაც ისინი ნაპოლეონმა გააძევა იმავე 1815 წ. მარტში, როგორც საჭირო აღმოჩნდა მათთვის 1814 წ. აპრილში, როცა მასზე დამოკიდებული ყოველივე გააკეთა, რათა მათ სასარგებლოდ გადმოეხიზნებინა ალექსანდრე. მაგრამ აშკარად ცდებოდა. ჯერ-ერთი, ეხლა უკვე არავითარი ეჭვი არ არსებობდა, რომ ნაპოლეონთან, თუ სხვა ვინმესთან მისი ოჯახის წევრთაგან ან მისი გარემომცველი წრიდან, მოლაპარაკებას არ გააბამდნენ და რომ მოკავშირენი, რომელნიც თავიანთი არმიებითურთ დამარცხებულ დედაქალაქისაკენ ისწრაფოდნენ ყოველი მხრიდან, ერთადერთ კანონიერ მონარქად ლუდოვიკო მეთვრამეტეს სცნობდნენ. მეორეც, ტალეირანი რომ

ამკარად წაეკიდა ალექსანდრეს და დაკარგა თავისი მთავარი წინანდელი მხარდაჭერა - ესეც კარგად იცოდნენ საფრანგეთმაც და ევროპამაც. მესამე, თუ ლუდოვიკო მეთვრამეტე ვერასდროს ვერ იტანდა ტალეირანს და ითმენდა მას როგორც აუცილებელ ბოროტებას, სამაგიეროდ ულტრაროიალისტებმა, ასი დღის დროს საფრანგეთიდან თავიანთი სამარცხვინო განდევნის გამო შურისძიებით აღვსილებმა, გადაწყვიტეს ეხლა სრულიად დაურიდებლად ემოქმედათ და არ დაეშვათ, კვლავაც ხელისუფლების სათავეში მდგარიყო ეს რენეგატი. მათ მტკიცედ გადაწყვიტეს ამჯერად გაეკეთებინათ ის, რაც ვერ გაებედათ 1814 წელს: მთავრობის ყველა უმაღლესი ადგილის გენერალური წმენდა რევოლუციისა და იმპერიის დროის მოღვაწეებისაგან.

ტალეირანი მხოლოდ თანდათანობით მიხვდა ყოველივე ამას, მაგრამ როცა 23 ივნისს, ვატერლოოს ბრძოლიდან ხუთი დღის შემდეგ, მონსში ჩავიდა, იგი ნეტარი ილუზიებით იყო სავსე, და, შატობრიანის გადმოცემით, თავი ისე ეჭირა, თითქოს სწორედ თვითონ ყოფილიყო მეფე. მას უნდოდა ერთბაშადვე დაენახებინა მეფისათვის, თუ როგორ უნდა აფასებდეს თავისი მინისტრის მნიშვნელობას. იმის ნაცვლად, მეფესთან წასულიყო, ტალეირანმა განაცხადა, დაღლილი ვარ მგზავრობით და მეფეს ხვალ ვინახულებო. ამ საქციელის საპასუხოდ ლუდოვიკო მეთვრამეტემ განაცხადა, რომ მიემგზავრება სამ საათზე. მეფემ ეს თავის თანმხლებ პირებთან თქვა, და სულაც არ დაუვალებია მათთვის ამის შესახებ ტალეირანისთვის ეცნობებინათ. იცოდა თუ არა ამ განზრახვის შესახებ ტალეირანმა, თუ „მეგობრებმა“ განგებ დააბნიეს იგი და არასწორად განსაჯა, თითქოს საქმე ეხებოდა შემდეგი დღის ნაშუადღევს სამ საათს, ეს კია, ზუსტად ღამის სამ საათზე მეფე გაემგზავრა, და ძილდამფრთხალმა, სასწრაფოდ ტანგადაცმულმა ტალეირანმა ძლივს მოახერხა მიესწრო მისთვის ალაყაფის კარებთან და რამდენიმე სიტყვით გადალაპარაკებოდა. სიტყვები უნუგემო იყო. მოულოდნელად მეფემ თქვა: „გვტოვებთ, თავადო? წყლები სარგებლობას მოგიტანთ. შეგვატყობინეთ თქვენი ამბავი“.

არავითარ წყლებზე ლაპარაკი ტალეირანს არც უფიქრია. მეფე წავიდა და მეტი არაფერი უთქვამს. ყოველივე ეს საკმაოდ ნათლად დადადებდა. დამცირება მით უფრო აუტანელი იყო, რომ ყველაფერი ხდებოდა შატობრიანის თანდასწრებით, რომელსაც ისე სძულდა ბენევენტის თავადი, როგორც კი ვინმე შეიძლება სძულდეს ადამიანს. სწორედ შატობრიანმა დაგვიტოვა მთელი ამ სცენის აღწერა. საკუთრივ, კიდევ ეს იყო გადაყენების მანიშნებელი. მაგრამ ტალეირანი ძალაუფლებას ებლაუჭებოდა და გადაწყვიტა „ვერ გაიგო“ ის, რაც მონსში მოხდა. მაგრამ უკვე ძალიან მალე სავსებით შეუძლებელი გახდა ხელისუფლების სათავეში დარჩენილიყო

და ზუსტად სამი თვის შემდეგ, რაც მონსში ეს „შეხვედრა“ მოხდა, ტალეირანი გადადგა.

ამ სამი თვის მანძილზე თანდათანობით ყველასთვის ცნობილი გახდა საფრანგეთში, რომ ალექსანდრე აშკარად მტრულადაა განწყობილი ტალეირანისადმი. ნათელი გახდა ლუდოვიკო მეთვრამეტისთვისაც, რომ მოისპო უკანასკნელი დამაბრკოლებელი მიზეზი, რომელიც ხელს უშლიდა ბოლო მოეღო ტალეირანის მინისტრობისათვის.

მაგრამ ვითარება მაინც ისეთი შეიქმნა, ლუდოვიკო მეთვრამეტეს ჯერ კიდევ არ მიაჩნდა შესაძლებლად ეხლავე, 1815 წ. ივნისის დამლევსა და ივლისის დასაწყისში, პარიზში თავისი მეორედ დაბრუნების მომდევნო დღესვე, ტალეირანი თავიდან მოეცილებინა. უფრო მეტიც, ფუშემ, ჰერცოგმა ოტრანტისა, ვისზედაც ამბობდნენ, ქვეყნად ტალეირანი რომ არ გაჩენილიყო, ის იქნებოდა ყველაზე ბილწი და მატყუარა ადამის მოდგმაშიო, სწორედ ამ ფუშემ რიგი მოხერხებული მანევრების მეშვეობით იმას მიაღწია, რომ მართალია პირველ ხანად, მაგრამ მაინც იძულებული იყვნენ ისიც მოეწვიათ ახალ კაბინეტში, თუმცა ფუშე კონვენტის იმ წევრთა შორის ირიცხებოდა, რომელთაც ლუდოვიკო მეთექსმეტის სიკვდილით დასჯის სასარგებლოდ ჰყარეს კენჭი („მეფის მკვლელებიო“, les regicides, ასე ეძახდნენ მათ).

ეს ორი ადამიანი, ტალეირანი და ფუშე, ორივე - ყოფილი სასულიერო პირი, რომელთაც რევოლუცია თავიანთი კარიერის გაკეთების მიზნით მიიღეს, ორივე - ყოფილი მინისტრი დირექტორიისა, შემდეგ - ნაპოლეონისა, უმაღლესი ტიტულებით დაჯილდოებულნი ნაპოლეონისაგან, მილიონიანი ქონების მომხვეჭელნი ნაპოლეონის დროს, ორივენი - ნაპოლეონის გამცემნი, - ეხლაც ერთად შევიდნენ „უქრისტიანესი“ და „ლეგიტიმური“ მონარქის, სიკვდილით დასჯილ ლუდოვიკოს ღვიძლი ძმის კაბინეტში. ფუშემ და ტალეირანმა უკვე კარგად გაიცნეს ერთმანეთი და სწორედ ამიტომაც ცდილობდნენ ერთად ემუშავათ. დიდი მსგავსების მიუხედავად, რაც იმაში გამოიხატებოდა, რომ ორივესთვის ღრმად უცხო იყო ყოველივე, გარდა პირადი ინტერესებისა, უცხო იყო ყოველგვარი პრინციპულობა და რაიმე შემაკავებელი საწყისები თავიანთი გეგმების განხორციელებისას, ისინი მაინც ბევრი რამით განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან. ფუშეს სულაც არ ეთქმოდა მხდალი, და 9 თებერვლის წინ მან გაბედულად შეაგდო თავისი სიცოცხლე სასწოროზე, როცა რობესპიერზე თავდასხმა და მისი დამხობა მოამზადა კონვენტში. ამგვარი საქციელი ტალეირანისათვის სავსებით წარმოუდგენელი იქნებოდა. ტერორის ეპოქაში ფუშე ისე მოქმედებდა ლიონში, როგორადაც მოქმედებას ვერასდროს გაბედავდა ტალეირანი, რომელიც სწორედ იმიტომ გაიქცა ემიგრაციაში, რომ ფიქრობდა,

„ნეიტრალურთა“ ბანაკში დარჩენა მეტად სახიფათოა ამჟამად, ხოლო კონტრრევოლუციის წინააღმდეგ აქტიურ მებრძოლად გახდომა სახიფათო შეიქმნება მომავალშიო. ფუშე ჭკვიანი თავის პატრონი იყო, ტალეირანის შედეგ - საუკეთესოსი, როგორიც ოდესმე ჰყოლია ნაპოლეონს. იმპერატორმა ეს იცოდა, ორივენი წყალობებითა და სიმდიდრით აავსო, წარჩინების ნიშნები უბოძა, მაგრამ შემდეგ შერისხა. კიდევ ამიტომ, მათ ხშირად ერთად იხსენიებდა ხოლმე. მაგალითად, უკვე ტახტიდან გადადგომის შემდეგ მან სინანული გამოთქვა, რომ ვერ მოასწრო ტალეირანისა და ფუშეს ჩამოხრება. „ამ საქმეს ბურბონებს ვუტოვებო“ - როგორც გადმოცემა ამბობს, ასე დასძინა თურმე, იმპერატორმა.

მაგრამ ვატერლოოს შემდეგ და ტახტზე მეორედ დაბრუნებისთანავე 1815 წ. ზაფხულში, ბურბონები ნებისით თუ უნებლიედ იძულებულნი იყვნენ არამც თუ თავი შეეკავებინათ მათი - როგორც ბენევენტის თავადის, ისე ოტრანტის ჰერცოგის - ჩამოხრებისაგან. არამედ საფრანგეთის სამართავად მოეხმოთ ისინი. თავადაზნაურულ-კლერიკალური რეაქციის მედაფე და იდეოლოგი იმ მომენტში, შატობრიანი, ნიჭიერი პოეტი, მაგრამ ამაო მეოცნებე - პოლიტიკაში, გააფთრებას ვერ მალავდა, როცა ხედავდა რევოლუციისა და იმპერიის ამ ორ მოღვაწეს, რომელთაგან ერთს ეცხო „სისხლი ლუდოვიკო მეთექვსმეტისა“ და ლიონში დახოცილ მრავალთა სხვათა, ხოლო მეორეს - სისხლი ენგიენის ჰერცოგისა. შატობრიანი სასახლეში იმყოფებოდა, როცა კოჭლი ტალეირანი, ფუშესთან ხელიხელგაყრილი, მეფის კაბინეტში შევიდა: „უცებ იღება კარები, ჩუმად შემოდის ბიწიერება, დაყრდნობილი დანაშაულზე, - ბატონი ტალეირანი, დანდობილი ბატონ ფუშეს მკლავზე. ჯოჯოხეთური მოჩვენება ნელა ჩამივლის წინ, შედის მეფის კაბინეტში და იქ უჩინარდება“.

მარტო როიალისტებს როდი უმძიმდათ ტალეირანთან საქმის დაჭერა. ტალეირანის ახალი სამინისტროს ჩამოყალიბება ნაწილობრივ იმითაც ძნელდებოდა, რომ ნაპოლეონის თვით ის მარშლებიცა და გენერლებიც კი, რომლებიც ასი დღის დროს არ მიმხრობიან კუნძულ ელბიდან დაბრუნებულ იმპერატორს, ეხლა, ვატერლოოს შემდეგ, აცხადებდნენ, რომ ეჯავრებათ ტალეირანისა და ფუშეს - „ორი მოღალატის გვერდით“ ჯდომა. მაგალითად, ნაპოლეონის ძველმა მეგობარმა კლარკმა, ფელტრის ჰერცოგმა, რომელიც ლუდოვიკო მეთვრამეტის სამხედრო მინისტრი იყო 1815 წელს და გაჰყვა მეფეს გენტში ასი დღის დროს, ეხლა, ლუდოვიკო მეთვრამეტის დაბრუნებისა და ხელმეორედ გამეფების ჟამს, გაიგო რა, ტალეირანი პირველ მინისტრად ინიშნებო, პირდაპირ განაცხადა, რომ გადადგომას ითხოვს. როიალისტი გრაფი დე როშეშუარი, რიშელიეს მეგობარი და ადიუტანტი, ემიგრანტი, რომელსაც

დიდხანს ემსახურა ჰერცოგ რიშელიეს უფროსობით სამხრეთ რუსეთში, შემდეგ საუბარს გადმოგვცემს კლარკთან: „ფელტრის ჰერცოგმა გამიმჟღავნა, რომ დიდად სძაგს ტალეირანი და რომ ეს არასოდეს დაუფარავს ტალეირანისაგან. ეს გრძნობა მისთვის ჩაუნერგავს ნაპოლეონს, რომელსაც ერთხელ მისთვის უთქვამს: „კლარკ, გიკრძალავთ თავად ტალეირანთან კავშირს, იმიტომ რომ... შემდეგ ნაპოლეონს აბსოლუტურად უცენზურო სიტყვა უხმარია... და ის გაგსვრით თქვენ[130]“.

გაამჟღავნა რა ეს პირუთვნელი დახასიათება ტალეირანის პიროვნებისა, მოცემული იმპერატორის მიერ, და გამოთქვა რა სრული თავისი თანხმობა ამ დახასიათების გამო, კლარკი, ჰერცოგი ფელტრისა, საბოლოოდ წავიდა სამინისტროდან.

პროსკრიპციული სიები შედგენილ იქნა ფუშეს მიერ. ეს სიები შეიცავდა იმ პირთა გვარებს, რომელნიც ხელს უწყობდნენ ნაპოლეონის დაბრუნებასა და გამეფებას ასი დღის დროს. სიაში შეტანილი იყო კარნოც, რევოლუციის ძველი მოღვაწე, პატიოსანი, დაჯერებული რესპუბლიკელი, რომელიც არ შედიოდა ნაპოლეონის სამსახურში და შერისხული იყო იმპერატორის მიერ მთელი მისი ხანგრძლივი პირველი მეფობის განმავლობაში, მაგრამ ჩადგა მის სამსახურში ასი დღის დროს, რადგან, ისე როგორც ბევრი გადარჩენილი ყოფილი იაკობინელი და უმრავლესობა პარიზის გარეუბნების მუშათა მასისა, მიიჩნევდა, რომ ნაპოლეონი იმ მომენტში ნაკლებ ბოროტებას წარმოადგენდა, ვიდრე ბურბონები. ახლა, ვატერლოოს შემდეგ, ბურბონების ხელახალი დაბრუნების დროს, მინისტრ ფუშეს (რომელიც ერთ დროს კარნოსთან ერთად მონაწილეობდა რევოლუციურ კომიტეტების სხდომებში) მსჯავრი გამოჰქონდა კარნოს გამეფების შესახებ. „სად უნდა გადავიხვეწო, მოლაღატევ?“ - შეეკითხა კარნო პოლიციის მინისტრს, - „სად გსურს, ბრიყვო!“ - უტიფრად მიახალა ფუშემ[131].

უწინარეს ყოვლისა, საჭირო იყო მოკავშირეებთან ფორმალურად ახალი ზავის დადება იმ ომის შემდეგ, რომელიც ახლახან ვატერლოოს ბრძოლით დასრულდა. ტალეირანი საჭირო იყო ახალი დიპლომატიური ბრძოლისათვის. პრუსიელები ხმამაღლა გაჰყვიროდნენ საფრანგეთის „სამუდამოდ“ დასუსტების აუცილებლობაზე, რათა, ბოლოსდაბოლოს, სიმშვიდე ყოფილიყო მოპოვებული. ბლიუხერს დაბეჯითებით უნდოდა აეფეთქებინა იენის ხიდი პარიზში მხოლოდ იმიტომ, რომ იგი აგონებდა პრუსიელების დამარცხებას იენთან 1806 წელს. ამჯერად, ისევე როგორც 1814 წელსაც, საფრანგეთი დაქუცმაცებისაგან იხსნა რუსეთმა იმავე მოტივების გამო, რომლებზედაც უკვე გვქონდა ლაპარაკი.

ასმა დღემ ფორმალურად მოსპო პარიზის საზღვაო ხელშეკრულება 1815 წ. 30 მაისისა და პრუსია იმედოვნებდა, რომ ახლა კი ხელთ იგდებდა ელზასსა და ლოთარინგიას.

გარდენბერგის, შტეინის, ფრიდრიხ-ვილჰელმ III, ფელდმარშალ გნეიზენაუს შეუპოვარი ბრძოლა ალექსანდრეს წინააღმდეგ გაიშალა 1815 წ. ივლის-აგვისტო-სექტემბერში, როცა იხილებოდა საფრანგეთთან ახალი საზავო ხელშეკრულების საკითხი. აქ პრუსიის პრეტენზიები მედგარ წინააღმდეგობას შეეჯახა, ამასთან ინგლისმა ნაწილობრივ მხარი დაუჭირა რუსეთს საფრანგეთის ტერიტორიის მთლიანობის დაცვაში. პრუსიელთა მტაცებლურმა მაძამ ველინგტონიცა და კესტლერიც კი შეაშფოთა. შტეინი, რომელსაც რუსთა ხელმწიფე კეთილგანწყობით უყურებდა, საშველს არ აძლევდა ალექსანდრეს, რომლის „კეთილგანწყობა, უნდა ითქვას, ფრიად უმაქნისი იყო, როცა საქმე დიპლომატიურ ინტერესებს ეხებოდა. 1815 წ. 14 აგვისტოს ხელმწიფე გადაეხვია და გადაკოცნა კიდეც შტეინი, როცა ეს უკანასკნელი მასთან პარიზში გამოცხადდა. მაგრამ ვერც კი მოასწრო შტეინმა ხეირიანად დამტკბარიყო ხელმწიფის მიაღერებით, ალექსანდრემ უთხრა: „ელზასელებს არ ეპიტნავენბათ გერმანიასთან შეერთების გეგმა. მათი სავაჭრო ინტერესები საფრანგეთთან შეერთებას მოითხოვს.[132]“ ეს იყო დასამარება პრუსიელების ყველა იმედისა, ელზასი და ლოტარინგია გამოეგლიჯათ საფრანგეთისათვის. ეგრეთწოდებული პარიზის „მეორე“ ზავი, საბოლოოდ შემუშავებული 1815 წ. 19 სექტემბერს, ძირითადად ძალაში ტოვებდა წინანდელ ხელშეკრულებას 1814 წ. 30 მარტისა, გარდა იმ ზოგიერთი უმნიშვნელო შესწორებისა, რომლებიც საზღვრების საკითხში შეიტანეს მოკავშირეების სასარგებლოდ. საფრანგეთს ეკისრებოდა კონტრიბუცია 800 მილიონი ფრანკის ოდენობით, აღმოსავლეთ და ჩრდილო დეპარტამენტებში მოკავშირეები სტოვებდნენ 150 ათას კაციან არმიას „სულ ცოტა - სამი, ბევრი-ბევრი შვიდი წლით“.

გერმანელები აღშფოთებულნი იყვნენ. ისინი ალექსანდრეს სიმედგრეს ინგლისლების მხარდაჭერას მიაწერდნენ, ხოლო ინგლისელთა მხარდაჭერას - ტალეირანის, ფუშესა და რუსეთის ელჩის პოცო დი ბორგოს „ინტრიგების“ ზეგავლენას.

კურიოზულია, რომ ისეთი მეცნიერიც კი, როგორიც პერტცია (ცნობილი გამომცემელი დოკუმენტების კოლექციისა გერმანიის შუა საუკუნეთა ისტორიის შესახებ - „Monumenta Germaniae historica“), თავის მრავალტომიან „ბიოგრაფიაში“ ბარონ შტეინისა დიდი სერიოზულობით იმეორებს სულელურ ობივატელურ ლეგენდას იმის შესახებ, რომ ალექსანდრე, ეუბნებოდა რა უარს პრუსიას, ვიურტემბერგსა და სხვებს მათთვის ელზასის მიცემაზე, მოქმედებდა მისნის - ქალბატონ კრიუდნერისადმი მისტიური რწმენის ზეგავლენით, რომ თითქოს ამ მისან ქალს ჩაეგონებინოს ალექსანდრესთვის, ზეციური უფალი ბრძანებს საფრანგეთის საზღვრების ხელუხლებლად დატოვებასო[133]. პერტცმა აქაც სუსტ ისტორიკოსად

გამომჟღავნა თავი, თუმცა, როგორც დოკუმენტების გამომცემელი, ისე ვით ყოველთვის, აქაც ჩინებულია. მისი მრავალტომიანი წიგნი შტეინზე - არც ისტორიაა და არც ბიოგრაფია ამ სიტყვის ზუსტი მნიშვნელობით, ეს უფრო კრებულია წერილებისა და დოკუმენტებისა, რომლებსაც პრუსიის ამ პოლიტიკოსთან აქვს კავშირი. პერტცს არ დასჭირდებოდა უსაზმნო მეოცნებეობა ქ-ნ კრიუდნერის ამ მისტიურ ბრძანებათა გამო დაკავშირებული ელზასა და ლოთარინგიასთან, თუ ჩაკვირვებით წაიკითხავდა თვით მის მიერვე დაბეჭდილ ნამდვილ დოკუმენტებს.

აი რას წერდა ფელდმარშალი გნეიზენაუ არნდტს 1814 წ. 17 აგვისტოს, ე.ი. შტეინისა და ალექსანდრეს საუბრიდან სწორედ სამი დღის შემდეგ: „რუსეთი რომ ასე ლაპარაკობს, აიხსნება ანგარებითი პოლიტიკით. პოლიტიკით, რომელსაც არ სურს პრუსია და ავსტრია უსაშიშრო მდგომარეობაში იყვნენ თავიანთ დასავლეთ საზღვრებში, რუსეთის პოლიტიკა ფიქრობს მუდამ მზა მოკავშირის სახით იყოლიოს საფრანგეთი.“ ძველი მეომარი, ჭკვიანი ფელდმარშალი გნეიზენაუ გაცილებით უფრო რეალისტურად აზროვნებს, ვიდრე სწავლული პროფესორი პერტცი, გულწრფელად და კურიოზული მიაბიტობით ამხედრებული რუსეთის დიპლომატიის წინააღმდეგ, რომელიც, მისი აზრით, არასაკმარისი გულისხმიერებით ზრუნავდა პრუსიის გაძლიერებისათვის.

თუმცა საფრანგეთის ტერიტორიის მთლიანობისათვის ბრძოლის საქმეში ტალეირანის მოქმედება, ცხადია, მთლიანად ეთანხმებოდა ალექსანდრეს მიზნებსა და ინტერესებს, მაგრამ ხელმწიფე უკვე საერთოდ აღარ ჰფარავდა თავის მტრობას მისდამი. ტალეირანი ამჯერად არც კი იყო მისთვის საჭირო. ბურბონების წინააღმდეგ აჯანყებისა ე ხ ლ ა, ვატერლოოს შემდეგ და იმ დროს, როცა საფრანგეთში 150000 კაციანი საოკუპაციო ჯარი იმყოფებოდა, ალექსანდრეს უკვე ოდნავადაც არ ეშინოდა. არა მარტო ტალეირანი გახდა უმაქნისი, არამედ შეიძლებოდა თავისი შემდგომი მეფური ლიბერალობისთვისაც მკვეთრად შეეკვეცნა ფრთები. ბურბონების მისახედავად, რომელთაგან ალექსანდრე მაინც მოელოდა ყოველგვარ გაუთვალისწინებელ უგუნურობასა და გაუფრთხილებელ მოქმედებას, კმაროდა ზომიერი კონსტიტუციონალისტის, ჰერცოგ რიშელიეს პირველ მინისტრად დასმა. ეს იყო ნოვოროსიის მხარის და ყირიმის ყოფილი გენერალ-გუბერნატორი (1803 წლიდან), რუსეთის იმპერატორის ერთგული კაცი.

ტალეირანის კაბინეტის დღეები დათვლილი იყო. ახლა განვიხილოთ, რა ვითარებაში დაემხო მისი სამინისტრო.



ამ სამინისტროში, რომელიც 6 ივლისს დაინიშნა და ოფიციალურად 1815 წ. 9 ივლისს გამოცხადდა, ტალეირანმა მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პოსტი დაიკავა, ფუშემ - პოლიციის მინისტრისა, ხოლო ნაპოლეონის გენერალი, გუვიონ სენ-სირი, სამხედრო მინისტრი გახდა; ტალეირანი განსაკუთრებით ნათლად ხედავდა, რომ ბურბონები მხოლოდ იმ შემთხვევაში შეძლებენ ტახტის შენარჩუნებას, თუ ხელს აიღებენ შურისგებაზე, რევოლუციასა და იმპერიას მიიღებენ როგორც აუცილებელ და უზარმაზარ ისტორიულ ფაქტს, თავს დაანებებენ ძველ რეჟიმზე ოცნებას. მაგრამ არანაკლები სიცხადით ხედავდა სხვა რამესაც; სახელდობრ იმას, რომ არც მეფის ძმა და მემკვიდრე კარლოსი, არც ამ კარლოსის შვილები - ჰერცოგი ანჟულემისა და ჰერცოგი ბერიისა, არც საფრანგეთში დაბრუნებული ემიგრანტები არავითარ შემთხვევაში არ დათანხმდებიან ასეთ პოლიტიკაზე. მართლაც, ტალეირანმა მალე დაინახა, რომ ულტრაროიალისტები საბოლოოდ დაჰკარგავენ გონებას, საბოლოოდ დაჰკარგავენ იმ მცირეოდენ სიფრთხილესაც კი, რასაც 1814 წელს ჯერ კიდევ ამჟღავნებდნენ.

საქმე ისაა, რომ ნაპოლეონის უეცარმა დაბრუნებამ 1815 წ. მარტში, მისმა ასდღიანმა მეფობამ და მისმა ხელახალმა დამხობამ, გამოწვეულმა არა საფრანგეთის ღონისძიებით, არამედ მხოლოდდამხოლოდ ევროპის მოკავშირეთა არმიების ახალი თავდასხმით, - ყველა ამ საოცარმა მოვლენამ საბოლოოდ დააკარგვინა წონასწორობა რეაქციულ-კლერიკალურ თავადაზნაურობას.

როგორ შესძლო უიარაღო ადამიანმა, სრული სიმშვიდით მოცულ ქვეყანაში გადმოსულიყო საფრანგეთის სამხრეთ სანაპიროზე და პარიზისაკენ შეუჩერებლად მავალს, თოფის გაუსროლელად, წვეთი სისხლის დაუღვრელად, სამ კვირაში წაერთმია საფრანგეთი მისი „კანონიერი“ მეფისათვის, საზღვარგარეთ გაეგდო მეფე, ხელახლა დამჯდარიყო ტახტზე და ხელახლა შეეკრიბა უზარმაზარი არმია მთელ ევროპასთან საომრად? ვინ იყო ეს ადამიანი? - დესპოტი, რომელსაც მთელი თავისი მეფობის განმავლობაში ხმალი არ ჩაუგია ქარქაშში, ქვეყნის გამაჩანაგებელი - სამხედრო გაწვევებით. უზურპატორი, რომელიც ამ ქვეყნად არავის და არაფერს აინუნში არ აგდებდა, ხოლო რაც მთავარია - მონარქი, რომლის ახალ გამეფებას უთუოდ დაუყოვნებლივ უნდა გამოეწვია ახალი, გაუთავებელი ომი ევროპასთან და ამ ადამიანს ულაპარაკოდ, წინააღმდეგობის უცდელად, მის მხრივ ყოველგვარი შთაგონების გარეშეც კი, 1815 წ. მარტში ფეხქვეშ გაეგო მთელი საფრანგეთი, მთელი გლეხოზა, მთელი არმია, მთელი ბურჟუაზია.

არც ერთი ხელი არ აღმართულა „კანონიერი“ მეფის დასაცავად, 1814 წელს დაბრუნებულ ბურბონთა დინასტიის დასაცავად. ულტრაროიალისტები არც

ცდილან ეს საოცარი მოვლენა, ეს „ასი დღე“, რაიმე ღრმა სოციალური მიზეზებით აეხსნათ - საამისოდ მათ არც ჭკუა ჰყოფნიდათ, არც თვალთახედვის არე, დაბოლოს, არც სურვილი გააჩნდათ. მთელ მომხდარ ამბავს ისინი ხსნიდნენ მხოლოდ იმით, რომ მეფემ ზედმეტი სისუსტე, დამთმობლობა, უადგილო ლიბერალიზმი გამოიჩინა თავისი მმართველობის პირველ წელს 1814 წ. აპრილიდან 1815 წლის მარტამდე. თუ მაშინ, ირწმუნებოდნენ ისინი, ძირშივე აღეკვეთათ ამბოხება, - ასეთი საყოველთაო და უეცარი „ღალატი“ 1815 წ. მარტში შეუძლებელი გახდებოდა და ნაპოლეონს დატუსაღება არ ასცდებოდა, როგორც კი ჟუანის კონცხზე გადმოდგამდა ფეხს. ბურბონების შერცხვენას, მარტში მათი განდევნით გამოწვეულს, ეხლა ზედ დაერთო მათი სამარცხვინო დაბრუნება ივნისში, ივლისსა და აგვისტოში, ვატერლოოს შემდეგ, დაბრუნება, რაც ამჯერად უკვე მართლაც ველინგტონისა და ბლიუხერის არმიის „ფურგონებით“ განხორციელდა. ულტრაროიალისტების გააფთრებას საზღვარი არ ჰქონდა. თუ მეფე ჯერ კიდევ რამდენადმე წინააღმდეგობას უწევდა მათ და თუ ისინი ჯერ კიდევ რთავდნენ ნებას ამ წინააღმდეგობის გასაწევად, ეს მხოლოდ პირველ მომენტში. სიფრთხილე მაინც არ იყო უადგილო, ვინ იცის, წინ კიდევ რა იყო მოსალოდნელი.

მხოლოდ ამის გამო გახდა შესაძლებელი მთავრობა ტალეირანისა და ფუშეს მეთაურობით შექმნილიყო. მაგრამ იმის კვალობაზე, რაც უფრო მატულობდა საფრანგეთში ინგლისელების, პრუსიელების, შემდეგ ავსტრიელების, ბოლოს - რუსების ახალ-ახალი არმიების რიცხვი, არმიებისა, რომლებიც ამჯერად დიდი ხნით აპირებდნენ საფრანგეთის დეპარტამენტების ოკუპირებას, რათა ლუდოვიკო მეთვრამეტე და მისი დინასტია სავსებით დაეზღვიათ ნაპოლეონის მხრივ ახალი თავდასხმებისაგან ან რაიმე სახით რევოლუციური მცდელობებისაგან - უკიდურესი რეაქცია გადაჭრით ხმას იმაღლებდა და გაჰკიოდა დაუნდობელი შურისძიების შესახებ, გაჰკიოდა მოღალატეების სიკვდილით დასჯაზე, ყოველივე იმის ჩახშობასა და განადგურებაზე, რაც ძველი დინასტიისადმი მტრულად იყო განწყობილი. ტალეირანს ესმოდა, რა შეიძლებოდა ამას შედეგად მოჰყოლოდა. იმასაც კი ცდილობდა, ამ უგუნურებათა ჩადენისაგან შეეკავებინა დაბრუნებული ემიგრანტები. დიდხანს ეწინააღმდეგებოდა პროსკრიპციული სიების შედგენას იმ პირებისა, რომელნიც ნაპოლეონის დაბრუნებასა და მის ახლად გამეფებას უწყობდნენ ხელს. ეს დევნა უაზრო იყო სავსებით, რადგან მთელმა საფრანგეთმა ან ხელი შეუწყო, ან წინააღმდეგობა არ გაუწია იმპერატორს და ამით მაინც დაეხმარა. მაგრამ აქ ფუშე გამოვიდა ასპარეზზე, ფუშე, რომელმაც 1794 წელს გილიოტინაზე აიყვანა ან რონაში ჩაახრჩო ასობით ლიონელი, როგორც ბურბონთა სახლის მომხრენი, იმავე ხანად კენჭი უყარა ლუდოვიკო მეთექვსმეტის სიკვდილით დასჯას, ნაპოლეონის დროს წლების

მანძილზე ხვრეტდა ხალხს, რომლებსაც ისევდაისევ ბურბონთა თანამდგომობაში სდებდა ბრალს, - ეხლა, 1815 წელს, კვლავ პოლიციის მინისტრი, დაჟინებით მოითხოვდა ახლა დახვრეტებს, ოღონდ ამჯერად უკვე ბურბონთა სახლის მიმართ გამომჟღავნებული არასაკმაო ერთგულებისათვის. ფუშემ არ დაახანა შეედგინა სია იმ წარჩინებულებისა, გენერლებისა, როგორიც იყო მაგალითად ნეი, და კერძო პირებისა, რომელნიც, მისი აზრით ყველაზე უფრო მეტად იყვნენ დამნაშავენი ნაპოლეონის ხელმეორედ გამეფებისათვის აქტიურად ხელის შეწყობაში.

ტალეირანი გადაჭრით აცხადებდა პროტესტს, მაგრამ გაიმარჯვა ფუშეს პოლიციურმა ჭკუამ და სამეფო კარის მძვინვარე შურისმგებლობის გრძნობამ, თუმცა უფრო შორსმჭვრეტელური იყო ტალეირანის პოლიტიკა, რომელსაც ესმოდა, თუ რარიგ იტეხდა სახელს და თავს ილუპავდა დინასტია, ისეთი ადამიანების სისხლში რომ ისვრიდა ხელებს, როგორიც იყო სახელგანთქმული მარშალი ნეი, ლეგენდარული სიმამაცის კაცი; მთელი არმიის გულისგული, გმირი ელზინგენისა და მონაწილე ბოროდინოს ბრძოლის. ტალეირანმა მხოლოდ 43 კაცის შველა მოახერხა. დანარჩენი ორმოცდაჩვიდმეტი ფუშეს სიაში დარჩა. მარშალი ნეი დახვრიტეს, და ეს ამბავი, რა თქმა უნდა, უუმაღლიანესი თემა გახდა ანტიბურბონული აგიტაციისათვის ჯარსა და მთელ ქვეყანაში.

ეს იყო მხოლოდ დასაწყისი. საფრანგეთს, განსაკუთრებით მის სამხრეთ ნაწილს, გადაუარა „თეთრი ტერორის“ ტალღამ, როგორც მაშინვე უწოდეს (პირველად ისტორიაში) ამ მოძრაობას. საშინელი მოსრვა რევოლუციონერებისა და ბონაპარტისტებისა, ხოლო მათთან ერთად პროტესტანტებისაც (ჰუგონოტებისა), რასაც კათოლიკური სამღვდელოება აღვივებდა, ბრაზს უკიდებდა ტალეირანს, და ცდილობდა ხმა აემაღლებინა ყოველივე ამის წინააღმდეგ, მაგრამ აღარ დასცალდა ხელისუფლების სათავეში ყოფნა.

საქმე ფუშედან დაიწყო. მართალია დიდი გულმოდგინება გამოიჩინა პოლიციის მინისტრმა, მაგრამ მისთვის ლუდოვიკო მეთექვსმეტის სიკვდილით დასჯის, მთელი წარსულის პატიება ულტრაროიალისტებს არ სურდათ. ფუშემ სცადა ერთი ნაცადი ხერხი მოეშველებინა, რომელიც ხშირად გამოსდგომია ნაპოლეონის დროს: მეფესა და თავის უფროსს, ე.ი. პირველ მინისტრს ტალეირანს, მან დასაშინებლად წარუდგინა მოხსენება, რომელშიც ლაპარაკი იყო რაღაც შეთქმულებებზე, რასაც თითქოს ადგილი ჰქონდა ქვეყნის შიგნით. მაგრამ ტალეირანმა ეს აშკარად არ დაიჯერა და არც დაუფარავს თავის კოლეგასაგან. ფუშეს მხოლოდ ეჩვენებოდა, საკუთარი ხუთი თითივით ვხედავ ტალეირანსო, მაგრამ ტალეირანი კი მართლაც მოხარშულს იცნობდა პოლიციის ცბიერ მინისტრს. ტალეირანს, ჯერ-ერთი, უგუნურ და საშიშ

ნაბიჯად მიაჩნდა რეპრესიებისა და დევნის პოლიტიკა, რომლის გატარება ფუშეს ერთადერთი მიზნისთვის სწყუროდა: ულტრაროიალისტების გულის მოსაგებად და მინისტრის პორტფელის შესანარჩუნებლად. მეორე, ტალეირანი ნათლად ხედავდა, რომ სულერთია აქედან არაფერი გამოვა, რომ ულტრაროიალისტებს მეტისმეტად სძულთ ფუშე, რომელიც მათი ნათესავებისა და მეგობრების სისხლშია განზანილი და რომ კაბინეტი, რომელშიც „მეფისმკვლელი“ ფუშე იმყოფება, არ შეიძლება მტკიცე იყოს თავადაზნაურული რეაქციის ასეთი თავაშვებული პარპაშისა და ცხარე კლერიკალური აგიტაციის დროს. ყველა ამ მოსაზრების გამო ბენევენტის თავადმა გადაჭრით განიზრახა თავიდან მოეცილებინა ოტრანტის ჰერცოგი. სრულიად მოულოდნელად ფუშე ტყობილობს, რომ დანიშნულია საფრანგეთის დესპანად საქსონიაში: და იგი დრეზდენს გაემგზავრა. მაგრამ ამ ხელშემშლელი ტვირთის მოშორებით ტალეირანმა მაინც ვერ უშველა თავს. დრეზდენში ფუშეს დანიშნიდან სწორედ ხუთი დღის შემდეგ ტალეირანმა დიდი ხნის მომზადებული პრინციპული საუბარი ჩამოაგდო მეფესთან. მას უნდოდა მოქმედების თავისუფლება ეთხოვა მეფისათვის, რათა ბრძოლა გაეჩაღებინა უკიდურესი რეაქციული პარტიის აშკარად უგუნური ექსცესების წინააღმდეგ. ექსცესებისა, რომელნიც ყოველგვარ ნდობას უკარგავენ დინასტიას. თავისი სიტყვა მან ფრიად სერიოზული ულტიმატუმით დაასრულა: თუ მისი უდიდებულესობა უარს ამბობს მთლიანად დაუჭიროს მხარი სამინისტროს „ყველას წინააღმდეგ“ ბრძოლაში, ვის წინააღმდეგაც ეს საჭირო იქნება, მაშინ ის, ტალეირანი, გადადგომას მოითხოვს, და ამაზე მეფემ უცებ მოულოდნელად პასუხი მისცა: „ვჯერვარ, მე სხვა სამინისტროს დავნიშნავ“. ეს მოხდა 1815 წ. 25. სექტემბერს და ამით შეწყდა თავად ტალეირანის კარიერა მთელი თხუთმეტი წლით.

რა თქმა უნდა, მეფის ეს გადაწყვეტილება ტალეირანის გადაყენების შესახებ რუსთა ხელმწიფის სურვილითაც იყო ნაკარნახევი. შესაძლებელი რომ ყოფილიყო იმ ზიზდისა და უნდობლობის რითიმე კიდევ გაძლიერება, რასაც ალექსანდრე ყოველთვის გრძნობდა ტალეირანის მიმართ, მაშინ ეს გრძნობა, უეჭველია, კიდევ უფრო უნდა გაზრდილიყო ტალეირანის მიერ ვენის კონგრესზე გამოვლინებული კომედიანტური საქციელის შემდეგ, როცა ძველმა დიპლომატმა ალექსანდრეს წინაშე სასოწარკვეთის სცენა გაითამაშა (სავსებით წარუმატებლად) პოლონეთის საკითხთან დაკავშირებით. ხოლო როცა ასი დღის დროს ნაპოლეონმა ლუდოვიკო მეთვრამეტის კაბინეტში ნაპოლეონი ტალეირანის, მეტერნიხისა და კესტლერის მიერ რუსეთის წინააღმდეგ შედგენილი 1815 წ. 3 იანვრის საიდუმლო ხელშეკრულება სასწრაფოდ გადაუგზავნა ალექსანდრეს, ამის შემდეგ ხელმწიფემ ისე დაიჭირა თავი ტალეირანთან შეხვედრისას, რომ ტალეირანისათვის სავსებით ნათელი უნდა გამხდარიყო: ალექსანდრეს ყოველგვარ კეთილგანწყობას ამიერიდან წერტილი

დაესვა და არც ერთი მანეთი რუსეთის იმპერიისაგან აწ აღარ არის მოსალოდნელი. რუსეთის ელჩი პარიზში პოცო დი ბორგო, რომელსაც უკვე აღარაფერი სწამდა თავადის „კონსტიტუციურობისა“, ყველაფერს აკეთებდა მისგან დამოკიდებულს, რათა ტალეირანის კაბინეტის გადაყენება დაეჩქარებინა. ეს გადაყენება, რა თქმა უნდა, უწინარეს ყოვლისა, ასი დღის შემდეგ პარიზში ხელახლა დაბრუნებულ ლუდოვიკო მეთვრამეტის დროს გაძლიერებულ როიალისტური რეაქციით იყო გამოწვეული. გაკრეჭილი ეპისკოპოსისაგან, გამცემისა და ენგიენის ჰერცოგის მკვლელისაგან დიდი ხანია ბრაზმორეული როიალისტები (განსაკუთრებით ემიგრანტები) 1814 წელს ჯერ კიდევ იკავებდნენ თავს, მაგრამ ეხლა ტალეირანი მათთვის უკვე აღარ იყო საჭირო და ცნობამ, ალექსანდრემ პირი იბრუნა მისგანო, ცხადია, დააჩქარა მისი გადაყენება.

სერ ჰენრი ლიტონ-ბულვერი, რომელმაც 1814-1815 და შემდგომი წლების მოვლენების მონაწილეებთან და ხელმძღვანელ ბრიტანელ დიპლომატებთან პირადი საუბრებიდან ბევრი მნიშვნელოვანი ფაქტი გაიგო, იმასაც კი ამტკიცებს, ტალეირანის გადაყენება რუსეთის იმპერატორის პირდაპირი ჩარევითა და ლამის დამუქრებითაც კი იყო გამოწვეულიო: „...იმპერატორი ალექსანდრე, რომელსაც ვერაფრით მოუწონებია ბ. ტალეირანის ამასწინანდელი საქციელი ვენის კონგრესზე, ეხლა არც ფარავს თავის პირად ანტიპატიას მისდამი და განუცხადა ლუდოვიკო მეთვრამეტეს, რომ დაე მეფე ნურას ელის პეტერბურგის კაბინეტისაგან, სანამ ტალეირანი ტიულრის კაბინეტის სათავეში რჩება, მაგრამ თუ მისი უდიდებულესობა ბ. ტალეირანის პოსტს ჰერცოგ რიშელიეს მისცემს, მაშინ იგი, იმპერატორი, ყველაფერს გააკეთებს, რაც კი შეუძლია, რათა შეამსუბუქოს ის (მკაცრი) პირობები, რომლებიც ეხლა ყველა მოკავშირეს დაჟინებით სურს თავზე მოახვიოს საფრანგეთს.[134]“ ეს ამბავი ვატერლოოს შემდეგ ხდებოდა, პარიზის და ქვეყნის ნაწილის ხელახალი ოკუპაციის შემდეგ, როცა ბლიუხერი და პრუსიული სამხედრო ხროვის სხვა წარმომადგენელნი გააფთრებული გაჰყვიროდნენ ჯეროვნად გასწორებოდნენ ხელმეორედ დამარცხებულ ქვეყანას. ასე რომ, აღარ ღირდა ალექსანდრესთან დავა, თუნდაც ლუდოვიკოს თავადაც სურვებოდა ხელისუფლების სათავეში ტალეირანის დატოვება, მაგრამ ასეთი სურვილი მას ფიქრადაც არ ჰქონია.

გენერალს გრაფ როშეშუარს, იმპერატორ ალექსანდრესთან და ჰერცოგ რიშელიესთან დაახლოებულ პირს, რომელიც 1815 წ. მოვლენების შუაგულში ტრიალებდა, სრული გარკვეულობა შეაქვს ტალეირანის გადაყენების ისტორიაში: „იმპერატორ ალექსანდრეს და თავად ტალეირანს შორის შავმა კატამ გაიბნინა. მე დროულად ვერ გავიგე ამ უთანხმოების შესახებ, რომელსაც ტალეირანის სამინისტროს დამხობა

მოჰყვა... აი რა მომხდარა: იმპერატორ ალექსანდრეს შეუტყვია, რომ ვენის კონგრესის მუშაობის დროს თავადმა ტალეირანმა თავად მეტერნიხს საიდუმლო ხელშეკრულების გეგმა შესთავაზა...“ გადმოცემს რა 1815 წ. 3 იანვრის საიდუმლო ხელშეკრულების ჩვენთვის ცნობილ ისტორიასა და შინაარსს, რომელიც ალექსანდრესათვის ასე მოულოდნელად გახდა ცნობილი, რომეშუარი შემდეგ დასძენს, ალექსანდრე არ მალავდა თავის უკმაყოფილებას იმის გამო, „რომ როგორც მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ, საფრანგეთის პოლიტიკა სწორედ ამავე დიპლომატმა უნდა წარმართოს.[135]“

რომეშუარს მხოლოდ ისლა უნდა დაემატებინა, რომ არა მარტო ვატერლოოს ბრძოლის წინ, არამედ მის შემდეგაც პირველ ხანებში (სანამ მოკავშირეთა ჯარები დამარცხებული ქვეყნის ოკუპირებას მოახდენდნენ) მთავრობაში ტალეირანისა და თვით ფუშეს ყოფნასაც კი ალექსანდრე ჯერაც ისე უყურებდა, როგორც აუცილებელ ბოროტებას, რასაც დრო და ჟამამდე უნდა შეგუებოდა. მაგრამ ახლა, ორთვენახევრის შემდეგ, ისინი უკვე აღარ იყვნენ საჭირონი.

ალექსანდრემ განზე მოისროლა მისთვის უკვე უსარგებლო ტალეირანი. მეორე დიპლომატს, რომელმაც აგრეთვე ხელი მოაწერა 3 იანვრის ხელშეკრულებას, ავსტრიის კანცლერს მეტერნიხს, მან „აპატია“, რადგან რუსეთის, ავსტრიისა და პრუსიის აბსოლუტიზმის ურთიერთდაზღვევა საჭიროდ ეჩვენა იმ გზაზე, რომელსაც 1815 წლიდან დაადგა მტკიცედ, ისე რომ ამიერიდან უკვე ოდნავადაც აღარ უცდია ამ გზიდან გადახვევა.

1815 წ. 24 სექტემბერს ტალეირანი გადადგა, ხოლო ორი დღის შემდეგ, 26 სექტემბერს, ალექსანდრემ, ავსტრიის იმპერატორმა ფრანც I, პრუსიის მეფემ ფრიდრიხ-ვილჰელმ III ხელი მოაწერეს (ინიციატივა ალექსანდრესი იყო) აქტს „საღვთო კავშირის“ შესახებ... ჩვენ ვიცით, როგორი შეხედულების იყვნენ მარქსიზმის კლასიკოსები იმ ჟანდარმულ როლზე, რუსეთს რომ თავს მოახვია ცარიზმმა, როგორ ეხმაურებოდა შემდგომში ამ როლს ევროპისა და რუსეთის მთელი რევოლუციური საზოგადოება.

აი როგორ ახასიათებს გერცენი ალექსანდრეს პოლიტიკას იმ მომენტში, თავის ცნობილ წერილში „გაღმა ნაპირიდან“: „ნაპოლეონმა თავის წინააღმდეგ აიმხედრა მთელი ხალხი (რუსი), რომელმაც გახედულად მოჰკიდა ხელი იარაღს, კვალდაკვალ გაჰყვა მას ევროპაში და პარიზი აიღო. ქვეყნის ამ ნაწილის ბედ-იღბალი რამდენსამე თვეს იმპერატორ ალექსანდრეს ხელთ იყო, მაგრამ მან ვერ შესძლო ესარგებლა ვერც თავისი გამარჯვებით, ვერც თავისი მდგომარეობით. მან რუსეთი ავსტრიას შეაწონა, თითქოს ამ დამპალ და მომაკვდავ იმპერიას რაიმე საერთო ჰქონოდა ახალგაზრდა

სახელმწიფოსთან, ახლახან რომ სრული ბრწყინვალეობით გამოავლინა მთელი თავისი სიდიადე; თითქოს სლავების ყველაზე ენერგიულ წარმომადგენელს შეიძლებოდა იგივე ინტერესები ჰქონოდა, რაიც ყველაზე ულმოზელ მჩაგვრელს სლავებისას.“ ასე განსაზღვრავდა გერცენი ალექსანდრეს როლს. რა თქმა უნდა, ჩვეულებისამებრ, იგი აზვიადებდა ცალკეული პიროვნების ნებისყოფის მნიშვნელობას ისტორიაში, რაც უნდა ძლევამოსილი ყოფილიყო ეს პიროვნება, და უგულვებელჰყოფდა საერთო კლასობრივ სოციალურ-პოლიტიკურ ინტერესებს, რომლებიც ავსტრიის რეაქციას რუსეთისასთან აკავშირებდა.

იწყებოდა დროება საღვთო კავშირისა, ბატონობა მეტერნიხისა - ევროპაში, არაკჩევევშჩინისა, რუნიჩისა და მაგნიცკისა და მოსალოსე ფოტიასი - რუსეთში, ულტრაროიალისტების თავაშვებულობათა - საფრანგეთში. მაგრამ ეს მსოფლიო რეაქცია ორგანიზებულ წინააღმდეგობას ბურჟუაზიის პროგრესული ძალების მხრივ, ხოლო შემდეგ მუშათა მხრიდანაც, ყველაზე უწინ სწორედ საფრანგეთში შეეჯახა.

ახლა ვნახოთ, რა გამოხატულებას პოულობდა გადამდგარი მინისტრის ტალეირანის, ზედა პალატის (პერთა პალატის) წევრის, პოლიტიკური ყოფაქცევაში იმ ხანგრძლივი თხუთმეტი წლის მანძილზე, როცა ჩამოცილებული იყო საქმეებისაგან.

## თავი მეშვიდე

**ტაღეირანი - გადამდგარი. 1815 წ. 24 სექტემბერი - 1830 წ. 6 სექტემბერი**

ტაღეირანისათვის ეს გადაყენება სრულ მოულოდნელობას წარმოადგენდა. თუმცა თავის მემუარებში ცდილობს გადადგომა რაღაც ნებაყოფლობით პატრიოტულ გმირობად წარმოადგინოს და მთელი ეს ამბავი რატომღაც საფრანგეთისა და მის დამმარცხებელთა ურთიერთდამოკიდებულებას დაუკავშიროს, მაგრამ მან, რა თქმა უნდა, ყველაზე უკეთ გაიგო, რაშიც იყო სინამდვილეში საქმე.

ლუდოვიკო მეთვრამეტეს, ნიკრისიან, კუტ ბერიკაცს, ერთი რამ ეწადა მხოლოდ: მესამედაც არ მოსწრებოდა გარდახვეწა და მშვიდად მომკვდარიყო მეფედ მეფისავე სასახლეში. ის იმდენად ფრთხილი იყო, ესმოდა ტაღეირანის მოსაზრებათა სისწორე. ესმოდა, რა საშიშია დინასტიისათვის თეთრი ტერორი, ულტრაროიალისტური პარტიის შლეგური აქტები და გააფთრებული ღრიანცელი, მაგრამ, იძულებული იყო იმდენად მაინც გაეწია ანგარიში ამ პარტიისათვის, რომ არ გაეღიზიანებინა ისეთი თანამშრომლებით, როგორებიც იყვნენ ფუშე და ტაღეირანი.

საჭირო იყო ტაღეირანის პოლიტიკა, მაგრამ წარმართული არა ტაღეირანის სახელით. ტაღეირანს არ უნდოდა დაენახა, რომ იგი კიდევ უფრო მეტად სძულდათ, ვიდრე ფუშე, რომ ულტრაროიალისტების უმრავლესობა (და ყველა სხვა პარტიების წევრთა უმრავლესობაც) ხალისით იმეორებდა ჟოზეფ დე მესტრის სიტყვებს: „ამ ორი ადამიანიდან ტაღეირანი უფრო დიდი დამნაშავეა, ვიდრე ფუშე.“ თუ ფუშე ზედმეტი ბარგი იყო ტაღეირანისათვის, თვითონ ტაღეირანი ზედმეტი ბარგი იყო თვითონ მეფე ლუდოვიკო მეთვრამეტისათვის. ამიტომ მოხდა, რომ ფუშეს ჯერ ვერც კი მოესწრო დრეზდენს გამგზავრება, მისი სარმისგამომკვრელი ტაღეირანი თვითონ აღმოჩნდა სარმაგამოკრული. გადადგომისას მან მიიღო საკარისკაცო წოდება დიდი კამერჰერისა, ხელფასი - ასი ათასი ფრანკი ოქროთი წლიურად, ხოლო „მოვალეობას“ მისას შეადგენდა: ეკეთებინა რაც უნდოდა და ეცხოვრა, სადაც მოეპრიანებოდა. მას სხვათა შორის, ნაპოლეონის დროსაც ჰქონდა ეს წოდება (უამრავ თავის სხვა წოდებებთან და ტიტულებთან ერთად), და ნაპოლეონის დროსაც ეს მოვალეობანი ასევე ნაკლებ დამამძიმებელნი იყვნენ. ხოლო საზღაური მათი კიდევ უფრო უხვი. ის რჩებოდა, რა თქმა უნდა, პერთა პალატის მუდმივ წევრადაც.



განთავისუფლდა რა სამინისტროდან, ტალეირანმა ხელი მოჰკიდა დიდი ხნის მოფიქრებულ ოპერაციას, რომლის შესახებ ბოლო წლებამდე, - უფრო ზუსტად, 1933 წ. 15 დეკემბრამდე, როცა ზოგიერთი საიდუმლო დოკუმენტი გამოქვეყნდა საფრანგეთში, - არავინ არაფერი იცოდა.

1817 წ. 13 იანვარს ტალეირანმა, საბოლოოდ დარწმუნებულმა, რომ დიდი ხნითაა ჩამოცილებული მთავრობაში მონაწილეობისაგან, განიზრახა ერთი ფასიანი საქონლის სარფიანი გაყიდვა მოეწყო და წერილი მისწერა მეტერნიხს. მშვიდი და დარბაისლური ტონით, როგორსაც არასოდეს ჰკარგავდა, ტალეირანი ამცნობს თავის შესახებ, რომ სახელმწიფო არქივებიდან (საგარეო საქმეთა სამინისტროს არქივი) მან ჩუმად „გაიტანა“ (emporte) ვეება დასტა დოკუმენტებისა ნაპოლეონის კორესპონდენციიდან და თუმცა ინგლისი და რუსეთი, და პრუსიაც კი, ძლიერ ბევრს გაიღებდნენ, ხუთას ათას ფრანკსაც კი მაგრამ მას, ტალეირანს, კანცლერ მეტერნიხთან თავისი ძველი და გულთბილი მეგობრობის ნიშნად, სურს ეს მის მიერ მოპარული დოკუმენტები მისცეს მხოლოდ ავსტრიას და არავის სხვას. ასე რომ: ხომ არ ინებებდა ყიდვას? ამასთან ატყობინებს, რომ მოიპარა ნაპოლეონის მიერ წარმოებული მიმოწერა არამარტო მასთან, ტალეირანთან, მომცველი პერიოდისა ეგვიპტის ექსპედიციიდან ვიდრე 1807 წ. დამლევამდე, არამედ იმპერატორის მიმოწერა ტალეირანის მემკვიდრეებთანაც საგარეო საქმეთა სამინისტროს ხაზით ჰერცოგ დე კადორთან (შამპანისთან) 1807 წლიდან 1811 წლამდე ჩათვლით და ბასანოს ჰერცოგთან (მარესთან) 1811 წლიდან 1813 წლამდე ჩათვლით. ყოველივე ეს - ნაპოლეონის საკუთარი ხელმოწერით, დედანშიო, აქებს ტალეირანი თავის ნაქურდალ საქონელს. მეტერნიხი მაშინვე გამოეხმაურა, მით უმეტეს, ტალეირანმა მიახვედრა: გასაყიდ დოკუმენტებს შორის არის ზოგი რამ ავსტრიის იმპერატორისათვის სახელის გამტეხი და თუ ამ დოკუმენტებს შეისყიდის ავსტრიის მთავარობა, - რჩევას იძლეოდა ტალეირანი - „შეეძლება ან ჩამარხოს თავის არქივებში, ანდა სულაც გაანადგუროსო“. გარიგება შედგა და ტალეირანმა ნახევარ მილიონად გაყიდა მის მიერ პირადად მოპარული ეს საარქივო დოკუმენტები. მას ეს დოკუმენტები წინდაწინვე მოეპარა 1814 და 1815 წლებში, როცა მცირე ხნით ორჯერ მოექცა მთავრობის სათავეში.

ფასი, უნდა ითქვას, საკმაოდ გვარიანი იყო: ნახევარი მილიონი ფრანკი. ამას გარდა, ტალეირანს კარგად ესმოდა, რომ თუ ამჯერად გაეზმება, გაასამართლებენ სახელმწიფო ღალატისათვის, რასაც ზედ ერთვის ქურდობა; ამიტომ წინდახედულება გამოიჩინა და თავის მუშტარს, თავად მეტერნიხს მოსთხოვა, რაიმე უსიამოვნებათა შემთხვევაში (სისხლის სამართლის დევნის მხრივ) მისთვის, ტალეირანისთვის, და

მისი ოჯახისთვის ავსტრიას თავშესაფარი მიეცა „ვენაში ან ავსტრიულ სამფლობელოთა რომელიმე სხვა ნაწილში, თუ ვინიცობაა გარემოებანი მოითხოვენ... მის გარდახვეწას საფრანგეთიდან“, მეტერნიხი ყველა პირობაზე დათანხმდა და ყველა საჭირო სიფრთხილისა და უმკაცრესი კონსპირაციის დაცვით დოკუმენტები (832 ნომერი) მეტერნიხთან გაჩნდა ვენაში, ხოლო 500 ათასი ფრანკი ოქროთი - ტალეირანთან, პარიზში. ეგ არაფერი, რომ ტალეირანმა ძალზე უსირცხვილოდ მოატყუა მეტერნიხი: 832 გაყიდული დოკუმენტიდან მარტოოდენ 73 აღმოჩნდა დედანი, ნაპოლეონის მიერ ხელმოწერილი, ყველა დანარჩენი უბრალო სამსახურებრივი პირები გამოდგა, მერე არც ისე საინტერესო. „Melanges“-ის გამომცემელი ლაკურ-გაიე, რომელმაც ამ ქურდული გარიგების მთლიანი დოკუმენტაცია დაბეჭდა, შენიშნავს, რომ სულაც არ უნდა წარმოიდგინოთ საქმე ისე, თითქოს ამ ყიდვა-გაყიდვის დროს მეტერნიხი „მოხერხებული თაღლითის“ მსხვერპლი გამხდარიყო: „კანცლერი არ იყო უჭკუო ადამიანი, ბრმად რომ ენდობა, არც თავადი ტალეირანი იყო ისეთი თაღლითი, საქონლის ხარისხში რომ ცდილობს მოტყუებას. ის ვაჭრობდა, მაგრამ როგორც პატიოსანი ვაჭარი... ერთი ჰყიდდა დოკუმენტებს, „ძვირფასს და მეტწილად სახელის გამტებს“, ხოლო მეორე შეგნებულად ყიდულობდა „სწორედ ასეთებს.[136]“ ტალეირანმა თავის წერილში ოსტატურად გაურია შანტაჟური ქარაგმა, და თავისი კორესპონდენტი მყისვე აიძულა დათანხმებულიყო ამ ყიდვაზე, - სხვადასხვა ნაკლებსაინტერესო საარქივო ნაგავთან ერთად მეტერნიხმა მაინც მიიღო მის მიერ გაღებული ფულის სანაცვლოდ ავსტრიისათვის არასასურველი დოკუმენტები. თანამზრახველებს ჩინებულად ესმოდათ ერთმანეთისა, - პირველად ხომ არ იყო, რაც ერთად მუშაობდნენ.

შესაძლოა, ლაკურ-გაიეს ეს ვარაუდი თვითნებურიცაა. მაგრამ ეს ჰიპოთეზა თუნდაც არასწორი ყოფილიყო სულერთია, ავსტრიის ჰერცოგს არ ჰქონდა შესაძლებლობა რითიმე ეპასუხა ტალეირანის ამგვარ საქციელზე: ტალეირანმა იმის შემდეგ გადასცა დოკუმენტები ავსტრიის საელჩოს პარიზში, როცა ჯერ ფული მიიღო. მეტერნიხი ყველაფერზე დათანხმდა და მთელი თანხა უკლებლივ გადაიხადა. ხოლო შემდეგ, როცა მთელი ეს ნაქურდალი ავლადიდება საფრანგეთიდან გაიტანეს (როგორც ავსტრიის საელჩოს ქაღალდები, რომლებიც არ ექვემდებარებოდა გასინჯვას) და ვენაში ჩაზიდეს, ავსტრიის კანცლერი დარწმუნდა, რომ ნაწილობრივ ისიც მოატყუეს; რომ ბევრი დოკუმენტი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, აღმოჩნდა სრულიადაც არა დედანი, არამედ ნაპოლეონის მიერ ხელმოწერილი პირი. მაგრამ ასეთ დელიკატურ შემთხვევებში ვინ არის გამკითხავი? მფარველსა და მყიდველს ყოველთვის ზიანის შიში უნდა ჰქონდეს, თუ ქურდი და გამსაღებელი ეშმაკობის მოყვარულია. ამით გათავდა საქმე. ყოველ შემთხვევაში, მეტერნიხის შემდგომი ურთიერთობა

ტალეირანთან დიდის გულცივობით გამოირჩევა. მაგრამ თბილ და გულითადურ დამოკიდებულებას, ვისთანაც არ უნდა ყოფილიყო ეს, ბენევენტის თავადი არც თუ ოდესმე გამოსდევნებია.

ტალეირანი, - ასე ჩანდა პირველ ხანებში, - გადადგა, რათა მშვიდ ცხოვრებას მისცემოდა, უზარმაზარი სიმდიდრე, დიდებული ციხე-კოშკში ვალანსეში, შესანიშნავი სასახლე პარიზში, მეფური განცხრომით ცხოვრება - აი რა ელოდა სიცოცხლის დასალიერზე. უსაქმურობა დიდად არ აწუხებდა, შრომა არც თუ ოდესმე ჰყვარებია. ის სახელმძღვანელო მითითებებს აძლევდა თავის ხელქვეითებს სამინისტროში, თავის ელჩებს, დაბოლოს, თავის მინისტრებს, როცა პირველ მინისტრად იყო. ის რჩევებს აძლევდა ხელმწიფეთ, რომელთაც ემსახურებოდა, - ნაპოლეონს, ლუდოვიკო მეთვრამეტეს; ამას განმარტოებული ინტიმური საუბრების დროს აკეთებდა. თავის დიპლომატიურ მოლაპარაკებებს ხან სუფრასთან აწარმოებდა, ხანაც მეჯლისებზე, ხანაც ბანქოს თამაშის შუალედებში. მთავარ შედეგებსაც სწორედ ასეთ, მაღალი წრის ცხოვრებისათვის დამახასიათებელ, სხვადასხვა ეპიზოდებში აღწევდა.

მაგრამ ყოველდღიური, მოთმინებითი, ჩინოვნიკური მუშაობა უცხო იყო მისთვის და არც ესაჭიროებოდა, - ამისათვის არსებობდა შტატი მის ხელქვეით მყოფ გამოცდილ წარჩინებულებისა და მოხელეებისა, მდივნებისა და დირექტორებისა. ეხლა, გადამდგარი, ისევე როგორც ერთ დროს ნაპოლეონისაგან შერისხული, დაკვირვებით ადევნებდა თვალყურს პოლიტიკურ საჭადრაკო დაფას და პარტნიორთა სვლებს, თვითონ დრო-ჟამამდე მონაწილეობას არ იღებდა თამაშში. იგი ხედავდა, რომ ბურბონები განაგრძობენ საკუთარი მდგომარეობის ძირის გამოთხრას, რომ ერთადერთს შედარებით ფრთხილ ადამიანს მათ შორის, ლუდოვიკო მეთვრამეტეს, ლამის ილაჯი გაუწყდეს უკიდურესი რეაქციონერების წინააღმდეგ უნაყოფო ბრძოლით, რომ როცა გარდაიცვლება მეფე, ტახტი ქარაფშუტა ბერიკაცს კარლ დ'არტუას დარჩება. რომელიც არამცთუ წინ არ აღუდგება ძველი რეჟიმის აღდგენის გეგმებს, არამედ თავადაც გამოიჩენს ინიციატივას ამ საქმეში, რადგან ჰკუა არ ეყოფა შეიგნოს ამ უიმედო თამაშის საშიშროება, შეიგნოს ისტორიის უკუღმა მობრუნების შეუძლებლობა; არ აღმოაჩნდება თავდაცვის ინსტინქტიც კი, რომელიც ერთადერთი უშლიდა ხელს მის უფროს ძმას, ლუდოვიკო მეთვრამეტეს, მთლიანად მიმხრობოდა ულტაროიალისტებს.

აქტიურ პოლიტიკას დროებით ჩამოცილებული ტალეირანი მემუარების წერას ჩაუჯდა. დაწერა ხუთი ტომი (არსებობს მათი შემოკლებული რუსული თარგმანი). წმინდა ბიოგრაფიული თვალსაზრისით, ამ სიტყვის ზუსტი მნიშვნელობით, ეს ხუთი

ტომი არ წარმოადგენს ჩვენთვის განსაკუთრებულ ინტერესს. აქ მხოლოდ ორიოდ სიტყვას ვიტყვით ტალეირანის ამ ნაწარმოებზე.

მემუარებს ბურჟუაზიული მოღვაწეებისა, რომლებსაც პირველხარისხოვანი როლი შეუსრულებიათ, იშვიათად თუ აზით სიმართლის ბეჭედი. ეს გასაგებიცაა: თავისი ისტორიული პასუხისმგებლობის შემცნობი ავტორი ცდილობს ისე ააგოს თხრობა, რომ საკუთარ მოქმედებათა მოტივირება რაც შეიძლება ამაღლებული გამოუვიდეს. ხოლო იქ, სადაც ავტორის სასარგებლოდ მათი ახსნა არ ხერხდება, შეუძლია სულაც იუაროს მათში მონაწილეობა. ერთი სიტყვით, ამ ტიპის ბევრ მემუარისტზე შეგვიძლია ისევე გავიმეოროთ, რაც თავის დროზე ანრი როშფორზე თქვა მეორე იმპერიის ბოლო პერიოდის პირველი მინისტრის ემილ ოლივიეს მოგონებათა გამო: „ოლივიე ტყუის ისე, თითქოს დღემდე კვლავაც პირველი მინისტრი იყოს“. ამ სახის ლიტერატურის უახლესი ნიმუშებიდან შეიძლება ყველაზე ნიშნობრივი გამოდგეს განსვენებული პუანკარეს მოგონებათა ცხრა ტომი (მზადდებოდა კიდევ თხუთმეტიოდე, თუ ვიმსჯელებთ არსებული მასშტაბისა და ავტორის განთქმული შრომისმოყვარეობის მიხედვით). ცხრავე ტომი პუანკარესი, თითქმის თავიდან ბოლომდე - ეს არის იმ პატრიოტული უსულგულობის განმეორება, რაც მისი რამდენიმე სამინისტროსა და პრეზიდენტობის ხანაში დაბეჭდილა. ტალეირანის მემუარებს ერთგვარი უპირატესობა აქვს. ჯერ-ერთი ის, რომ ისინი - მართალია, თუმცა თავდაპირველად აშკარა ყოყმანის შემდეგ, - განკუთვნილი იყო მხოლოდ მომავალი თაობებისათვის, და არავითარ შემთხვევაში არ უნდა გამოქვეყნებულიყო ავტორის სიცოცხლეში (პირველად გამოიცა 1891 წელს, ე.ი. ტალეირანის გარდაცვალებიდან ორმოცდაცამეტი წლის შემდეგ). მეორეც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ტალეირანს ესმოდა, რომ იგი მსოფლიო არენაზე მოქმედებდა, რომ ყველაზე გადამწყვეტ ისტორიულ მომენტებში რამდენჯერ უდიდესი ზეგავლენა მოახდინა მოვლენათა მსვლელობაზე, აბსოლუტურ უსირცხვილობას ამჟღავნებდა მუდამ და თითქმის არც კი ცდილა რაიმეში თავი ემართლებინა შემდგომ, ამიტომაც არ შეუძლია იმედოვნებდეს, რომ მის მემუარებს ერთობ იოლად დაუჯერებენ. და აი ასეთი მეთოდი არჩია. თავისი მემუარები, უწინარეს ყოვლისა, გადმობეჭდილი ოფიციალური დოკუმენტებითა და სამსახურებრივი ან ნახევრადსამსახურებრივი პატაკებით გაავსო; მთელი იმ მასალით, რომელსაც თავისი აქტიური პოლიტიკური ცხოვრების მანძილზე ადგენდა, ხოლო შემდეგ უბრალოდ გვერდი აუარა ღუმლით ყველა იმ შემთხვევას, რომლებიც უცილობლად დადგენილ და საქვეყნოდ ცნობილ ფაქტებს შეიცავდა და, ამდენად, ტყუილების მოშველიება ამაო იქნებოდა. ცხადია, მემუარებს ამის გამო ბევრი რამე უნდა წაეგო გარეგნული ინტერესის მხრივ. მართლაცდა: გავიხსენოთ, ვის არ შეხვედრია, ვისთან არ ჰქონია საქმე ამ ადამიანს: „ის

ამბობდა თავის თავზე, მე უდიდესი პოეტი ვარო, ტრილოგია სამი დინასტიისაგან შექმენო: პირველი აქტი - ბონაპარტის იმპერია, მეორე აქტი - ბურბონთა სახლი, მესამე აქტი - ორლენელთა საგვარეულო. ყოველივე ეს მან თავის სასახლეში გააკეთა, და, როგორც ობობა თავის ქსელში, თანმიმდევრულად იზიდავდა სასახლეში და ეუფლებოდა გმირებს, მოაზროვნეებს, დიდ ადამიანებს, დამპყრობლებს, მეფეებს, პრინცებს, იმპერატორებს, სიიესს, ქალბატონ სტალს, შატობრიანს, ბენჟამენ კონსტანს, ალექსანდრე რუსთა მეფეს, ფრიდრიხ-ვილჰელმ პრუსიელს, ფრანც ავსტრიელს, ლუდოვიკო მეთვრამეტეს, ლუი-ფილიპეს და ყველა მათ, ვინც კი უკანასკნელი ორმოცი წლის ისტორიაში მოჩანდა,“ - ასე წერდა მასზე ვიქტორ ჰიუგო მისი გარდაცვალებიდან რამდენიმე დღის შემდეგ. ტალეირანი შედარებით ცოტას ლაპარაკობს ყველა მათ შესახებ, - ბევრად ნაკლებს, ვიდრე შეეძლო ეთქვა.

მიუხედავად ამ ნაკლოვანებებისა მისი მემუარები საგულისხმო შენაძენია ისტორიულ-მემუარული ლიტერატურისა და ისტორიით დაინტერესებული მკითხველი მას კმაყოფილებით გაეცნობა.

სწორედ იმიტომ, რომ ტალეირანმა ბევრ რამეს დუმილით აუარა გვერდი, ჩვენ შეგვიძლია მეტად ვენდოთ, რაც თქვა. ის ხომ ისეთ მოვლენებზე დუმდა, რომლებიც აშკარად ცნობილი იყო ყველასათვის, და ამიტომ თავის დუმილით „მიჩქმალვას“ კი არ ცდილა, არამედ უბრალოდ ანიშნებდა, რომ არა სურს მათზე სიტყვის გაგრძელება. ის მხოლოდ იმაზე ლაპარაკობდა, რაზედაც, მისი აზრით, კიდევ შეიძლება კამათი, რისი გაშუქების ცდაც თავის სასარგებლოდ კიდევ შეეძლო, და რაც, ეგების გულის სიღრმეში სულაც არ მიაჩნდა თავისი ღირსებისათვის საძრახისად.

ტალეირანის ანდერძისამებრ მთელი მისი ქაღალდები მისი ნათესავის, ჰერცოგის ქალ დინოს სრულ განკარგულებაში გადავიდა იმ პირობით, რომ მემუარები გამოექვეყნებინათ ოცდაათ წელზე არა უადრეს ავტორის გარდაცვალების შემდეგ. ჰერცოგის ქალ დინოს სიკვდილის მერე, ამ უკანასკნელის ანდერძის თანახმად, ქაღალდები ბაკურს გადაეცა, რომელიც შეუდგა კიდევ დასაბეჭდად მათ მომზადებას. სიკვდილის ხანს ეს ქაღალდები მან მაღალი საზოგადოების ორ დილეტანტს უანდერძა, რომლებსაც შემდეგ შეუერთდა აკადემიკოსი ჰერცოგი ბროილი, ფრანგი ლეგიტიმისტების ცნობილი ლიდერი და მინისტრი მესამე რესპუბლიკის დასაწყისში. საბოლოოდ სწორედ ბროილმა მოამზადა ისინი დასაბეჭდად. პირველი ტომი გამოვიდა თებერვალში, მეორე და მესამე - ივნისში, ხოლო მეოთხე და მეხუთე - ოქტომბერში 1891 წელს.

ახლა უკვე სრულიად დადგენილად შეიძლება ჩაითვალოს, რომ ყველა თავისი მოგონება, რომელიც ეხება ხანას მისი სიცოცხლის პირველი წლებიდან გადადგომამდე 1815 წ. სექტემბერში, ტალეირანმა რესტავრაციის ეპოქაში დაწერა, და აქედან მეტი წილი რესტავრაციის სწორედ პირველსავე წლებში. მერე მემუარებში ხანგრძლივი გარღვევაა, სრულებით არაფერია ნათქვამი იმ წლებზე, რომლებიც გადაყენებაში გაატარა. შემდეგ უკვე უშუალოდ გადასვლაა 1830 წ. ივლისის რევოლუციაზე და ტალეირანის აქტიური მოღვაწეობის უკანასკნელ ფაზაზე - ლუი-ფილიპეს ელჩად ყოფნის პერიოდზე ლონდონში 1830-1834 წლებში. ეს ნაწილი, ეტყობა, დაწერილია 1835-1837 წ. წ., რადგან 1838 წელს ხშირად ავადმყოფობდა და მუშაობა უკვე აღარ შეეძლო.

რაც შეეხება პირველ ნაწილს, აშკარად ემჩნევა დაღი იმ დროისა, როდესაც ტალეირანი მათ წერდა. ის იღებს ტონს ისეთი ადამიანისას, რომელიც გულში თითქოს სულ მუდამ წუხდა ბურბონთა „კანონიერი“ დინასტიის შეცდომებისა და ფათერაკთა გამო, ტონს ზომიერ-ლიბერალური არისტოკრატისა, რომელიც მხოლოდ დიდის ვაივაგლახით - რათა შეძლებისამებრ ეშველა სამშობლოსათვის - დათანხმდა ემსახურა დამფუძნებელი კრებისთვისაც და საკანონმდებლო კრებისთვისაც, დირექტორიისთვისაც და ნაპოლეონისთვისაც, მაგრამ პირადად თვითონ კი (სურს დაარწმუნოს თავისი მკითხველი ყოველთვის ბურბონებს ანიჭებდა უპირატესობას. ამ ჰანგთან ძლიერ ხმაშეწყობილად ჟღერს ორი სხვაც, რომლებიც აგრეთვე მკვეთრად მოისმის მემუარების პირველ ნაწილში: ტალეირანი სიამით ჩერდება ძველრეჟიმულ ყოფით წვრილმანებზე, რომლებიც ბავშვობიდან დაახსომდა, ქედმაღლურ აზრებს ავითარებს იმის შესახებ, რომ შეუძლებელია არაარისტოკრატი იგივე როლს თამაშობდეს, ისეთივე აღზევებული გამოიყურებოდეს მოსახლეობის თვალში, როგორც ძველი თავადაზნაურული გვარის წარმომადგენელი. მეორე მხრივ, მკითხველის ყურადღებას დაჟინებით მიაქცევს იმას, თუ როგორ იცავდა რევოლუციამდე ეკლესიის უფლებებსა და პრივილეგიებს, როგორ იმალებდა ხმას საერო ხელისუფლების წინააღმდეგ, რომელსაც სურდა მომეტებულად მძიმე გადასახადები დაედო ეკლესიისათვის. ცხადია, მას მხედველობაში ჰყავს 1815-1816 და შემდგომი წლების მკითხველი, და ცდილობს მათ კაცად გაასაღოს თავი, გამომჟღავნოს თავადაზნაურული და ნაწილობრივ კლერიკალური სიმპათიებიც კი, რომლებიც მაშინდელი მოზეიმე რეაქციისათვის იყო დამახასიათებელი. ზოგი რამ ჩვენ გვანიშნებს, რომ განზრახვაზე, თავის სიცოცხლეშივე დაებეჭდა მემუარები, მას ერთბაშად არ აუღია ხელი. ამიტომ, გასაგებია, ერთხანს ის მკითხველზე ფიქრობდა, რომელიც ტონის მიმცემი იყო რესტავრაციის დროს და რესტავრაციის სწორედ პირველ წლებში.

ეს გამოიხატა არა მარტო იმით, რომ მან აშკარად ყალბად შეაფასა საკუთარი როლი და თავის მოქმედებათა მოტივები რევოლუციისა და იმპერიის პერიოდში, არამედ ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენებისადმი (როგორც იყო მაგალითად, სეკვესტრი საეკლესიო მიწებისა 1789 წელს, განხორციელებული მისი წინადადებით, და ა.შ.) შეგნებულად და სრული დუმილით გვერდის ავლაში. უძღვნის რა სპეციალურ თავს იმპერატორების ნაპოლეონისა და ალექსანდრეს პაემანს ერფურტში, მხოლოდ გარკვევით და ყრუდ ანიშნებს თავის მოღალატურ საქმეებზე იმ მომენტში. ახსენებს რა გაკვრით ჰერცოგ ენგიენის სიკვდილით დასჯას, იგი ცდილობს დაარწმუნოს თავისი მკითხველი, რომ ამ საქმეში არავითარი მორალური დანაშაული არ მიუძღვის. 1814-1815 წ. წ. შესახებ რომ ლაპარაკობს, ლამობს საქმე ისე წარმოადგინოს, თითქოს სხვაზე არაფერზე ეფიქროს, გარდა სამშობლოს გადარჩენისა. და რათა მკითხველების წინაშე საბოლოოდ შენიღბოს თავისი ინიციატივური როლი, ენგიენის ჰერცოგის დახვრეტაში გამომჟღავნებული, არ ავიწყდება დასძინოს, რომ სწორედ პრინცი კონდე (ე.ი. დახვრეტილი ენგიენის ჰერცოგის მამა) ულოცავდა მას ვენის კონგრესზე მიღწეული შედეგების გამო. მას ავიწყდება დაუმატოს, რომ ეს მოლოცვა გაცილებით უფრო გვიან იქნა მიღებული, სახელდობრ მას შემდეგ, რაც ურცხვად მოატყუა პრინცი კონდე და ამ უტიფარი ტყუილით თავი გაიმართლა მის თვალში.

ზემოთქმულის მიუხედავად, აღნიშნულ მემუარებს ხშირად ვერც თუ გვერდს აუქცევს საფრანგეთის ისტორიკოსი, მომუშავე ძველი რეჟიმის ბოლო პერიოდზე; რევოლუციის, იმპერიის, ლუი-ფილიპეს მონარქიის ხანაზე; ისინი გამოადგება იმ პერიოდის ევროპულ დიპლომატიაზე მომუშავე ისტორიკოსსაც. მათში შეხვდებით მნიშვნელოვან დეტალებს, ჭკვიანურ დაკვირვებებს, როგორც ცალკეულ პირთა, ისე მოვლენათა შეფასებებს. ამ ტომებში კეთილსასურველ გამოხატულებას პოულობს ჩემ მიერ აღნიშნული ნიშნეული თვისება ტალეირანის: შურისგების გრძნობის უქონლობა, გამოწვეული არა გულარხეინი ბუნებით, არამედ უნარით და მიდრეკილებით იმდენად სიძულვილი არა ჰქონოდა ადამიანებისა, რამდენადაც ზიზღი, და გამოეყენებინა ისინი თავისი პირადი მიზნებისათვის.

მისი მემუარები არ არის მებრძოლი პამფლეტის ხასიათისა, რომელსაც მტერთა შესარცხვენად და შეურაცხმყოფელთა დასასჯელად წერენ, როგორც მაგალითად ანალოგიური წიგნები ტირპიცისა, ან კლემანსოსი, ანდა ლედი ასკვიტისა, ან გრაფ ვიტესი, ან კიდევ ფალსიფიცირებული მემუარები ბურიენისა გინდ ბისმარკისა. პირიქით, მათ, ვინც აღარ არის ან უკვე აღარ ძალუმს ხელი შეუშალოს, ტალეირანი მშვიდად და გულგრილად ეპყრობა, როგორც ეს საერთოდ სჩვეოდა. დაბოლოს, მის მემუარებს გასდევს უხილავი, მაგრამ მეტად საგულისხმო ხაზი, რაც მარტო იმით

ახასიათებს, ვინც თავად ყოფილა ხოლმე ისტორიული დრამის მთავარი მოქმედი პირი: ტალეირანი როგორღაც ინტიმურად, - შეიძლება ითქვას, ფამილარულად, - მოგვითხრობს უდიდეს ისტორიულ ამბებზე, რეალური კავშირი ფაქტებს შორის თავისთავად ვლინდება მისი კალმით. ამას ნაწილობრივ ხელს უწყობს ის დაუდევრობაცა და ერთგვარი უგულისყურობაც კი, რითაც თავის შრომას ეკიდებოდა, და რაც ყოველთვის ასე ძლიერ შეიმჩნეოდა ამ ადამიანში. „ნუ გამოიჩენთ ნამეტნავ გულმოდგინებას, „ - ასწავლიდა იგი ახალგაზრდა დიპლომატებს. „ის, ვინც მის უდიდებულესობას იმპერატორ ნაპოლეონს ცოტაოდენ სიზარმაცეს შესძენდა (un peu de pareses), კეთილისმყოფელი იქნებოდა კაცობრიობისაო, ოხვრით წარმოთქვამდა ტალეირანი „დიადი იმპერიის“ ყველაზე მეტი აყვავების წლებში. ტალეირანს მიაჩნდა, რომ ზოგჯერ აუჩქარებლობა, უნარი მოთმინებითი ლოდინისა, თავშეკავება ზედმეტი აქტიურობისაგან, საერთოდ ნაკლები მუშაობა - ერთადერთი სასარგებლო ტაქტიკაა დიპლომატიისათვის. ის თავისი მემუარების მიმართაც ნაკლებ შრომისმოყვარეობას იჩენდა. თითქმის არც კი ამუშავებდა ამ მონახაზებს და ცდილობდა რაც შეიძლება ლაკონური ყოფილიყო და რაც შეიძლება ჩქარა გადასულიყო „მორიგ ნომრიან ქაღალდზე“, რადგან, ეტყობა, ფიქრობდა, ამ გზით როგორღაც უფრო საიმედოდ შეინიღბავდა თავს შთამომავლობისაგან.

მე, რა თქმა უნდა, ტალეირანის ცხოვრებისა და მოღვაწეობის წინამდებარე ანალიზისათვის მხოლოდ უმცირესი ზომით ვისარგებლე მემუარების ამ ხუთი ტომით. მკითხველისათვის გაცილებით უფრო საინტერესოა არა ის, რაზედაც ტალეირანი ლაპარაკობს, არამედ ის, რაზედაც ტალეირანი სრულიად სდუმს, - და მე ჩემი შრომა მთლიანად სულ სხვა სახის წყაროებზე დავაფუძნე. ამასთან ვცდილობდი ფაქტების აურაცხელი მასიდან შემერჩია და გამეანალიზებინა მხოლოდ ისეთები, რომლებიც უფრო დამახასიათებელ და საგულისხმო ფაქტებად მივიჩნიე.

მაგრამ მემუარების წერა არც თუ მაინცდამაინც ართობდა თავადს. და იგი ჯერ სულაც არ აპირებდა, არქივს ჩასაბარებლად გაემეტებინა თავი.

რესტავრაციის პირველ წლებში ტალეირანს, რა თქმა უნდა, ხელისუფლების სათავეში დაბრუნება სურდა; იგი ბუზღუნებდა, ლანძღავდა, - საჯაროდაც კი - მინისტრებს, რის გამო ერთხელ კიდევ დასაჯეს და „სასახლიდან დაითხოვეს“, ე.ი. აეკრძალა ტუილრიში გამოჩენა (მიუხედავად იმისა, რომ დიდი კამერჰერის წოდება ჰქონდა). იგი დაცინვით ლაპარაკობდა მმართველ პირთა უნიჭობასა და უგუნურობის გამო, ენაბასრობდა და ეპიგრამებით იგესლებოდა. აგრძნობინებდა სადაც ჯერ არს, რომ იგი შეუწაცვლებელია. მაგრამ ყური მაინც არ ათხოვეს.



ზოგიერთი რამ გვანიშნებს; - ის უკვე მაშინ თვლიდა, რომ ბურბონების დაცემის საათი არც ისე შორსაა. მას არა თუ არასოდეს ჰყვარებია ბურბონები (მას საერთოდ არავინ ჰყვარებია), არამედ არც თუ პატივისცემა ჰქონდა მათი, როგორც მაგალითად პატივისცემა ჰქონდა ნაპოლეონისა, და იგი ხედავდა რომ ბურბონები და მისი თანამზრახველნი ისწრაფიან მიზნისაკენ, რომელიც თავისებურად არანაკლებ ფანტასტიურია, ვინემ „მსოფლიო მონარქია“ მათი მრისხანე წინამორბედისა საფრანგეთის ტახტზე.

ტალეირანს ნათლად ესმოდა, რომ თავადაზნაურობა, სასიკვდილოდაა დაკოდილი ჯერ კიდევ დიდი ბურჟუაზიული რევოლუციის მიერ და ამიერიდან უკვე არა თუ აღდგენა არ უწერია, არამედ გამხრწნელ სნებად იმოქმედებს თვით დინასტიაზეც.

ტალეირანმა მალე დაანახვა მეფეს, რომ სრულიადაც არ აპირებდა მემუარების წერით გაერთო თავი სიბერის ჟამს. არდანიშვნა მისი პერთა პალატის წევრად ლუდოვიკო მეთვრამეტეს არაგზით არ შეეძლო, ხოლო რაკი დანიშნა, უკვე აღარ შეიძლებოდა მისგან თავის დაღწევა, რადგან ზედა პალატის წევრის თანამდებობა სამუდამოდ ითვლებოდა.

რაკი დარწმუნდა, მწარედ მოტყუვდა ანგარიშში და მეფე ლუდოვიკო მეთვრამეტემ საკმაოდ მარჯვედ ისარგებლა მისი ამ მარცხით, რათა თავიდან მოეცილებინა თავისი ახალმოვლენილი „მეგობარი და ერთგული ქვეშევრდომი“, რომლის პიროვნებაც მუდამ ანტიპათიური იყო მისთვის და დიდი ხანია უკვე მოსვენებას უკარგავდა, ტალეირანი მოთმინებით აღიჭურვა და იწყო ინტრიგათა ახალი ქსელის გაბმა „უმაღური“ ბურბონების წინააღმდეგ.

აი რას იწერებოდა რუსეთის ელჩი პოცო დი ბორგო პარიზიდან პეტერბურგში: „ბ-მა დე ტალეირანმა, რომელმაც წესად დაიდო, მწუხარების კილოთი ლაპარაკობდეს ყოველივე იმის წინააღმდეგ, რაც აქ კეთდება, პასუხად საკადრისი გამოძახილი იწვნია ყველასაგან, როგორც მოსალოდნელი იყო. იმ მდგომარეობაში, რომელშიც ის იმყოფება, ოპოზიციას მისას, საფუძვლიანსა თუ უმართებულოს, მისი პატივმოყვარეობით ან ვერაგული გეგმებით ხსნიან ხოლმე მუდამ, როცა სინამდვილეში ეს მხოლოდ ამჩატებაა, სარკაზმია და გაღიზიანებული თავმოყვარეობა. ყოველგვარი ჯურის ინტრიგანები, რომლებიც გარს ახვევია, ცდილობენ სახელი გაუტეხონ, და დაკარგეს რა ნიადაგი პარიზში, თავის არენად ლონდონი არჩიეს, სადაც მოახერხეს საჯარო კორესპონდენციის დაფუძნება, რომლებსაც გაზეთების საშუალებით აქვეყნებენ. ეს კორესპონდენცია მრუდედ გადაცემული ნალაპარაკებისა და ბოროტმზრახველი კრიტიკისაგან შეკოწიწებული

დოკუმენტებისაგან შედგება, რომლებიც მეფისა და მისი ოჯახის წინააღმდეგაა მიმართული. ბ-ნ დე ტალეირანს იქ სახავენ დევნილ ბრძენკაცად, რომლის არყოფნა სამინისტროს შემადგენლობაში წარმოშობს სწორედ ყველა იმ ნაკლოვანებებს, რომელთა წინააღმდეგაც ისინი პროტესტს აცხადებენ...“ ეს მუშაობა მიმართულია „ჩვენი (რუსული) სამეფო კარის წინააღმდეგ, ამასთან კიცხავენ საფრანგეთის მთავრობის „პატივისცემას“ რუსეთისადმი და ცდილობენ ავნონ ზეგავლენას, რასაც რუსეთი საფრანგეთის საქმეებზე ახდენს.“ პოცო დი ბორგო აშკარად შიშობს, ვაითუ ტალეირანმა ეხლა, 1816 წელსაც გამოიყენოს „ლიბერალური“ საუბრები, რომლებიც ალექსანდრეს ჰქონდა მასთან 1814 წ. მარტ-აპრილ-მაისშიო[137]“. როგორც პოცო დი ბორგოს რამდენიმე გაბუნდოვნებული სტრიქონიდან ჩანს, ტალეირანი და მისი მეგობრები ქადაგებენ იდეას, თითქოს მეფეს იმიტომ გადაეყენებინოს ტალეირანი, რომ იგი ერთგული მიმდევარი იყო რუსთა ხელმწიფის „ლიბერალური“ რჩევებისა. მაგრამ ახლა, 1816 წელს, იმის შემდეგ, რაც შეიქმნა საღვთო კავშირი, მეტად ბევრ წყალს ჩაეარა 1814 წ.

გაზაფხულიდან, როცა ეს ლიბერალური ლაპარაკი მიმდინარეობდა, და ალექსანდრეს ბევრი რამის გახსენება უკვე აღარ უნდოდა.

ალექსანდრეს „ლიბერალური“ და „კონსტიტუციური“ ტენდენციები საფრანგეთის (მაგრამ არამც და არამც არა რუსეთის საშინაო პოლიტიკის დარგში რომ მხოლოდ და მხოლოდ საფრანგეთში მოსალოდნელი რევოლუციის შიშით იყო ნაკარნახევი და არა სხვა რამით - ეს ტალეირანს, რა თქმა უნდა დიდი ხანი და ძალიან კარგადაც ესმოდა. ამ მხრივ არც კი დასჭირვებია მოსწრებოდა „არაკჩვეულობისა“ და სამხედრო ახალშენებს, გოლიცინის რეაქციას, საღვთო კავშირის აყვავების პერიოდს, რუსთა ხელმწიფის საქციელს ტროპაუში, ლაიბიხში და ვერონაში.

მართალია, ამიერიდან, 1815 წ. 24 სექტემბრიდან, ტალეირანი გადამდგარი იყო, და ეს გადადგომა ხანგრძლივი აღმოჩნდა: გასტანა მთელ თხუთმეტ წელიწადს, 1830 წ. ივლისის რევოლუციამდე, მაგრამ მეფესა და სასახლეს, რომელთაც სძულდათ ტალეირანი, მაინც კვლავ ეშინოდათ მისი, და როგორც ჩანს, ერთხანს კიდევ ვერ დარწმუნებულიყვნენ, თუ საშუალება მიეცათ ამიერიდან უკვე აღარასოდეს გამხდარიყვნენ იძულებული მიემართათ ტალეირანის სამსახურისთვის. შიშს ჰგვრიდა მისი ცივი სიბოროტე, მისი ულმობელი ენა, მისი ავბედითი წინასწარმეტყველებანი.

„თავადი ტალეირანი ვალანსეში დაბრუნდა (ბერიის ჰერცოგის) ქორწინებასთან დაკავშირებით გამართულ დღესასწაულობათა დამთავრების წინ. მეფე და პრინცები

მას ისე ექცეოდნენ, რომ არავითარი საბაზი არ მიეცათ საყვედურისათვის. თუმცა ეს კაცი თავს ისე აჩვენებდა, თითქოს ჩამოშორებოდეს საქმეებს, მაგრამ კიდეც ერთხანს იგი არც თუ ინდიფერენტული იქნება. მისი კრიტიკის დახშობის ყველაზე უებარი საშუალება ის იქნებოდა, არ გაემართლებინათ ეს კრიტიკა თავიანთი შეცდომებით. ასეთია ის არგუმენტი, რომელსაც ყველაზე ხშირად მივმართავ მათ გამო, ვისაც ეშინია მისი და ებმება მისი ინტრიგების მახეში მხოლოდ საკუთარ გაუფრთხილებლობათა შედეგად.[138]“ ასე იტყობინებოდა რუსეთის პარიზელი ელჩი პოცო დი ბორგო 1816 წ. ზაფხულში.

ტალეირანი განუსაზღვრელი მტრობით იყო გამსჭვალული მეფისა და მისი მინისტრებისადმი, განურჩევლად მათი ვინაობისა და მათ მიერ წარმოებული პოლიტიკისა. პალატაში შეაქვთ (1817 წელს) კანონი, რომელიც რამდენადმე ამცირებს აქტიური საარჩევნო უფლების ცენზს; ამიერიდან კენჭის ყრის უფლება აქვს მოქალაქეს, რომელიც პირდაპირ გადასახადს 300 ფრანკს იხდის წელიწადში. უკიდურესი რეაქციონერები სააგიტაციო განგაშს სტეხენ, მათ ეს კანონი სუბვერსიულ, რევოლუციურ, მონარქიის დამანგრეველ კანონად ეჩვენებათ. და ტალეირანი, პერთა პალატის წევრი, რომელმაც იცის, რომ გონებაჩლუნგი, შეურიგებელი არისტოკრატიული რეაქცია ღუპავს მონარქიას, ამ რეაქციული ხროვის სათავეში დგება, ოღონდ კი ავნოს სამინისტროს. რუსეთის ელჩი პოცო დი ბორგო, რომელიც ხედავს, როგორ კომედიას თამაშობს ტალეირანი და რისთვის თამაშობს მას, გრაფ ნესელროდესა და ხელმწიფეს ატყობინებს: „ყველა ამ ინტრიგულმა ფანდმა საშუალება მისცა ბ. ტალეირანს წარმატების იმედი იქონიოს. მან თავი მოაჩვენა, რომ დგება თავადაზნაურობის სავარაუდო ინტერესების მხარეზე, რომ იზიარებს შიშს უფლისწულებისას (მეფის ნათესაობისას. ე. ტ.), და თავისი თავი ერთგულ დამცველად გამოაცხადა ლეგიტიმურობისა, რომელიც შეიმღება საფრთხეში ჩავარდეს ცუდად შერჩეული დეპუტატების გამო... ამ სახით თავადი ხელახლა მოველინა პერთა პალატას, გარშემორტყმული ბ. ბ. პოლინიაკით, მათივე დე მონმორანსით, შატობრიანითა და სხვებით, რომელთა შესახებ ამბობენ, რომ ისინი მოქმედებენ თანახმად უფლისწულთა სურვილებისაო.[139]“ „უფლისწულებში“ აქ იგულისხმებიან მეფის ძმა კარლ დ'არტუა და მისი ვაჟიშვილები (მეფის ნათესავები: ჰერცოგნი ანგულემისა და ბერიისა).

თუ როგორ აქტიური, დაუშრეტელი იყო ტალეირანი მეფისა და მთავრობის წინააღმდეგ მიმართულ თავის ინტრიგებში, და როგორ მჭიდროდ უკავშირებდა თავის ინტრიგებს რიშელიეს წინააღმდეგ მიმართულს ინგლისის საგარეო პოლიტიკის ხრიკებს, ვტყობილობთ ერთ საგულისხმო დოკუმენტიდან. ეს მეტად

საპასუხისმგებლო დოკუმენტი შეადგინა პირველმა მინისტრმა, ჰერცოგმა რიშელიემ, 1817 წ. სექტემბერში, პასუხად რუსეთის სამინისტროს შეკითხვისა, თუ რამდენად უხიფათოა ბურბონთა აღდგენილი დინასტიისათვის მოკავშირეთა საოკუპაციო ჯარების გამოყვანა საფრანგეთიდან.

რიშელიე მეტად დამამშვიდებელ პასუხს იძლევა. ირწმუნება, არ არსებობს მთავრობისა და დინასტიის წინააღმდეგ აჯანყების საშიშროებაო, მაგრამ არ უარყოფს, რომ ჯერ კიდევ ახლახან ულტარარიოალისტი რეაქციონერები შეშფოთებას იწვევდნენ: „ეს პარტია, მეამბოხე და ბოზოქარი (factieux et turbulent), ხან მხარს უჭერდა ყველაზე აბსოლუტურ დოქტრინებს, ხან ყველაზე თავაწყვეტილ დემოკრატიამდე ეშვებოდა (sic!), ოღონდ სიძნელები შეექმნა ხელმწიფისათვის. ის ყველა უკიდურესობას მიმართავდა (a tous les extremes), ბ. ტალეირანს, ბ. კანინგს, ჰერცოგ ველინგტონს, ინგლისურ გაზეთებს, ცილისწამებას, ცრუ განგაშს, - ყოველივეს იყენებდა, ოღონდ კი შფოთი გამოეწვია.“ მთელს ამ ვრცელ ანგარიშში ჰერცოგი რიშელიე არ ახსენებს არც ერთ საკუთარ ფრანგულ სახელს, გარდა ტალეირანისას, როცა ლაპარაკობს ინგლისის პოლიტიკურ მოღვაწეებზე, რომლებიც ტალეირანთან ერთად აწყობდნენ ინტრიგებს საფრანგეთის მთავრობის წინააღმდეგ. ეს ჩვენება ფრიად უმაგრებს მხარს პოცო დი ბორგოს ზემოთ მოყვანილ დამოწმებებს[140].

ასე მოქმედებს ტალეირანი აბსოლუტური რეაქციის მომხრეთა სასარგებლოდ, ტალეირანი, რომელსაც ამდენჯერ განუცხადებია სწორედ ამავე პოლინიაკების, გრაფ ბლაკათა და გრაფ არტუათა პოლიტიკის უგუნურობა და დამღუპველობა. აი როგორ ღონისძიებებს მიმართავს „პატრიოტი“ თავადი, ყველა თავის გამცემლობათა გამმართლებელი იმით, რომ იგი ღალატობდა არა საფრანგეთს, არამედ მხოლოდ მთავრობებს, რომელთა პოლიტიკა საზიანოდ მიაჩნდა ეროვნული ინტერესებისათვის; აი რის შესახებ სწერს პოცო დი ბორგო პეტერბურგს, დამატებით პატაკში, რომელიც 1817 წ. თებერვლის იმავე 2-14 დღითაა დათარიღებული: რიშელიეს სამინისტრო ძნელ ნეგოციაციას აწარმოებდა საფრანგეთის ტერიტორიიდან მოკავშირეთა ჯარების თანდათანობითი გაყვანის შესახებ. ტალეირანმა, რომელიც ყოველნაირად ცდილობდა თავის სახლში მიეზიდა ჰერცოგი ველინგტონი, ბრიტანეთის წარმომადგენელი პარიზში, და მასთან გულთბილი ურთიერთობა დაემყარებინა, შესძლო მიეტანა ჰერცოგის ყურამდე, რომ არაპირდაპირ გადასახადთა მმართველმა ბარატმა, მოკავშირეთა საოკუპაციო ჯარებზე რომ ლაპარაკობდა, უშვერი სიტყვით მოიხსენია ისინი. ეს სიტყვა არ მოხვედრილა პრესაში, მაგრამ შეიტყო რა ეს ამბავი ტალეირანის სახლში,

ველინგტონი ბრაზით აენტო, ატეხა აურზაური, მოითხოვდა დაკმაყოფილებას, და დამფრთხალი რიშელიე უკვე მზად იყო დაეთხოვა ბარანტი და ა.შ. საქმე მოგვარდა რუსეთის ელჩის ჩარევის წყალობით, ველინგტონი დაწყნარდა. ასე რომ, ტალეირანს ვერ მოუხერხდა საერთაშორისო ინციდენტის გამოწვევა. გაქრა „ყველა იმედი, რომელიც ბ. ტალეირანის ინტრიგებით იყო აღძრული მის მომხრეთა შორის“, - დასძენს პოცო დი ბორგო[141].

ტალეირანის მოქმედებებმა ბოლოსდაბოლოს ისეთი გამომწვევი ხასიათი მიიღო, ლუდოვიკო მეთვრამეტემ აუკრძალა სასახლეში გამოცხადება, მაგრამ ის კი მაინც ვერ გაბედა, ამასთან ერთად „სამეფო კარის დიდი კამერჰერის“ წოდებაც ჩამოერთმია. ეს მეტად კურიოზული „სასჯელი“, რომელიც ააშკარავებდა მეფისა და სამინისტროს შიშს მრავალნაცადი დიდი კამერჰერის შემდგომ მოქმედებათა წინაშე, ძალიან მალე (1817 წ. თებერვალში) მოხსნილ იქნა „ჰერცოგ რიშელიეს თხოვნით“, როგორც ამას იტყობინება პოცო დი ბორგო. რა თქმა უნდა, ეს „დიდსულოვნება“ ტალეირანის მომავალი ინტრიგების შიშითაც იყო განპირობებული. რიშელიემ იცოდა, როგორ ვერ იტანს მას ტალეირანი, როგორ ავრცელებს ხმებს იმის შესახებ, რომ ალექსანდრემ ჯერ ნოვოროსია და ყირიმი მისცა რიშელიეს სამართავად, ხოლო შემდეგ საფრანგეთი; ამასთან ტალეირანი ენამახვილობდა: ჰერცოგ რიშელიეს მთავარი უფლება საფრანგეთის მართვისა იმაში მდგომარეობს, რომ ყველა ფრანგს შორის იგი ყველაზე უკეთ იცნობს ყირიმსო.

ამ მეფისმიერ „შეწყალებას“ მალე შესაფერი მადლობაც მოჰყვა. „მე უკვე ვაცნობებდი თქვენს აღმატებულებას, რომ დელიკატობის გრძნობის კარნახით მოქმედმა ჰერცოგმა რიშელიემ, დაიყოლია მეფე ნება მიეცა თავად ტალეირანისათვის ხელახლა გამოცხადებულიყო სასახლეში და განეგრძო დიდი კამერჰერის მოვალეობათა შესრულება. შედეგი ამ შემწყნარებლობისა ახალი ინტრიგა გახლდათ - მოსთქვამს რუსეთის ელჩი გრაფ ნესელოდესადმი გაგზავნილ პატაკში[142].

„ინტრიგა ამ შემთხვევაში გაზვიადებაა. უბრალოდ რომ ვთქვათ, ტალეირანის საქციელი ამჯერად მხოლოდ ხრიკსა და მზაკვრობას წარმოადგენდა. ტალეირანმა სთხოვა ლუდოვიკო მეთვრამეტეს (ისე რომ გვერდი აუარა სამინისტროს - როგორც პირველ მინისტრს რიშელიეს, ისე ბეჭდვითი სიტყვის მცველს პასქიეს), ჰერცოგ ვალანსელის ტიტული ებოძებინა, ვალანსეს ციხე-კოშკის სახელის მიხედვით. მიიღო რა მხედველობაში უკვე მანამდე მის მიერ მიღებული გაცილებით ბრწყინვალე ტიტულები - „ბენევენტის მთავრის“, „თავად ტალეირან-პერიგორისა“ და სხვ., მეფე არ დაფიქრებულა, ისე მოაწერა ხელი ტალეირანის მიერ შეჩერებულ ქაღალდს. სცნო რა ეს ამბავი, სამინისტრო შემფოთებამ მოიცვა: ტალეირანს ხომ თავის დროზე,

იმპერატორ ნაპოლეონის ბრძანებით, სწორედ ვალანსეში ჰყავდა ტყვეებად ესპანეთის სამეფო ოჯახის წევრთა ნაწილი, რომელიც იმპერატორმა ვერაგულად დაატუსაღა ბაიონაში 1808 წელს! გამოდიოდა, რომ ლუდოვიკო მეთვრამეტე, ერთგვარად მოწონებით უყურებს ესპანელი ბურბონების წინააღმდეგ გადადგმულ ნაპოლეონის ამ ნაბიჯს.

ბეჭდვითი სიტყვის მცველი პასქიე, რომელთანაც გამოცხადდა ტალეირანი მეფის ხელმოწერილი ქაღალდით, უმაღლესი რიშელიესთან გავარდა, ეს უკანასკნელი - მეფესთან, და ლუდოვიკო მეთვრამეტემ, რომელიც მიხვდა, რა აშკარა პოლიტიკურ სკანდალს ახვევდა თავზე ტალეირანი, წამსვე უკან წაიღო თავისი თანხმობა: ეხლა, 1817 წელს, ტახტზე რომ სწორედ ის ფერდინანდ VII იჯდა, რომლისთვისაც ვალანსეს კოშკი 1808 წელს სატუსაღოს წარმოადგენდა.

ეს ძირშივე აღკვეთილი ისტორია „ვალანსეს ჰერცოგებისა“ თავისებურად მრავალმნიშვნელოვანია. ამიერიდან ტალეირანის ოპოზიცია უკვე იღებს არა რეაქციულ ხასიათს, როგორც ეს იყო ჯერ კიდევ 1816 წელს, 1817 წ. დასაწყისში და ხანდახან 1818-1819 წლებშიაც, არამედ „ლიბერალურს“; ტალეირანი ნელ-ნელა იწყებს რევოლუციის დროინდელი თავისი მოღვაწეობის მოგონებას და ყოველ ხელსაყრელ შემთხვევაში ქებით იხსენიებს „დიად იმპერატორს“.

ბრძოლა ტალეირანისა 1817-1819 წლებში „ლიბერალური“ სამინისტროების წინააღმდეგ - ჯერ რიშელიესი, მერე დეკაზისა - იმ ტაქტიკის პირდაპირი გაგრძელება იყო, რომელიც 1814 წ. ივნისში ალექსანდრესთან გაგზავნილ წერილში გამოამჟღავნა: მაშინ მას, წინააღმდეგ თავისი ძირითადი და სწორი შეხედულებებისა ულტრაროიალისტების მისწრაფებათა დამლუპველობის შესახებ, სურდა შემსკვალვოდა (ხელისუფლების შენარჩუნების მიზნით) სწორედ ულტრაროიალისტებს და აერიდებინა ალექსანდრეს „კონსტიტუციური“ ზეგავლენა. შემდეგ, როცა ულტრაროიალისტებმა, რომლებსაც სძულდათ იგი წარსულის გამო, სამსახურიდან გადააყენეს, მან, პერთა პალატის წევრად დანიშნულმა, მაინც ხელახლა იწყო მანევრირება რიშელიესა და დეკაზის წინააღმდეგ ბრძოლის ნიადაგზე მათთან დაახლოებისათვის, რომ ამ გზით მაინც დაებრუნებინა ძალა-უფლება. მაგრამ აი დადგა 1820 წელი, ხდება ჰერცოგ ბერიელის მკვლელობა, მიდიან „ლიბერალური“ მინისტრები და იწყება თავაშვებული რეაქცია. აქ უკვე აღარც ტალეირანისთვისაა სულ მთლად ნათელი, რომ ის წინააღმდეგობა, რომელიც ლიბერალურმა ბურჟუაზიამ მტკიცედ გადაწყვიტა თავადაზნაურულ-აბსოლუტისტურ ტენდენციებს გაუწიოს, წლიდან წლამდე გაიზრდება და უთუოდ დაბოლოვდება ან დინასტიის გადასვლით ბურჟუაზიული, კონსტიტუციური

მონარქიის პოზიციებზე, ან ახალი რევოლუციით. რეაქციის გაუსწორებელი პოლიტიკური სიბრმავე, სიჩლუნგე და, მასთან უძლურება სულ უფრო ცხადი ხდება.

და აქ ტალეირანმა გადაწყვიტა ხელახლა და მკვეთრად გადაეხვია მარცხნივ, ლიბერალებისაკენ; ამჯერად უკვე საბოლოოდ გამიჯნოდა რეაქციას, რომელსაც ახლახან წმინდა პირადი (და მცდარი) მოსაზრებების გამო ემსახურებოდა. 1821, ხოლო შემდეგ 1822 წელს იგი პერთა პალატაში სიტყვას წარმოთქვამს ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლების დასაცავად (ცენზურის შესახებ მთავრობის რეაქციული პროექტების წინააღმდეგ მიმართულს); 1823 წელს იბრძვის რეაქციულკლერიკალური ავანტურის - ესპანელ რევოლუციონერების დათრგუნვისა და ფერდინანდ მეშვიდის აბსოლუტიზმის აღდგენის მიზნით ესპანეთში საფრანგეთის სამხედრო ექსპედიციის გაგზავნის წინააღმდეგ.

პოლიტიკური მოქმედების ეს ხაზი სულ უფრო და უფრო აახლოვებს მას ბურჟუაზიული ლიბერალიზმის ახალგაზრდა ლიდერებთან, ტიერთან, მინიესთან და ლიბერალურ დოქტრინების ძველ ბელადთან როიე-კოლართან.

იგი იშვიათად გამოდიოდა პერთა პალატაში, ხოლო თუ გამოვიდოდა, დიდ შთაბეჭდილებასაც ახდენდა. სიტყვას, რომელიც ულტრაროიალისტებისა და იეზუიტების მიერ 1823 წელს ესპანეთში წამოწყებული საფრანგეთის შეიარაღებული ინტერვენციის წინააღმდეგ წარმოთქვა, მეტად დიდი წარმატება ხვდა. ლიბერალები ექბას ასხამდნენ ამ სიტყვას, ხოლო ისეთმა ფაქიზმა ლიტერატურულმა შემფასებელმა, როგორიც იყო სტენდალი, აღფრთოვანებული წერილი დაწერა მის შესახებ ერთი ლონდონური გაზეთისათვის, საცა თანამშრომლობდა. სტენდალი დაჟინებით იმეორებდა, ეს სიტყვა არა მარტო პოლიტიკური, ლიტერატურული მოვლენაცააო, და საზოგადოებრივი აზრი აღიარებს, „მსგავსი არა წარმოთქმულა რა მირაბოს სახელოვანი დღეების შემდგომო.[143]“

„ბ. ბ. ტიერმა, მინიემ, სტაჰფერმა - გოეთეს მთარგმნელმა - და კარელამ, ოფიცერმა, დააარსეს გაზეთი „Le National“, რომელიც ჯერ საკმაოდ უდიდამოა. ამ საქმეში მათ დააბანდეს მთელი თავიანთი მცირედი ქონება, ხოლო ბ. ტალეირანმა მისცა მათ დანარჩენი...

...მოხუცებულმა, სამარის პირზე მისულმა ტალეირანმა, რომელიც 73 წლისაა, საჯაროდ განაცხადა, რომ 1814 წელს, იმისათვის მოუხმო ბურბონებს, რათა მშვიდობა დაემყარებინა, ხოლო 1829 წელს საჭიროა მათი გაგდება, რათა სიმშვიდე იქნას მოპოვებულიო“ - სწერდა სტენდალი ივლისის რევოლუციამდე ნახევარი წლით ადრე ლონდონს გაგზავნილ კერძო წერილში[144].

რესტავრაციის ამ ბოლო წლებში ტალეირანი, უნდა ითქვას, ხალისით უახლოვდება არა მარტო ლიბერალებსა და კონსტიტუციონალისტებს არამედ კარელის, ტიერის, როიე-კოლარის, მინიეს სახით, არამედ ბონაპარტისტებსაც, მაგალითად, გრაფ ფლაოს (დედოფალ ჰორტენზიას ახლო მეგობარს). სწორედ გრაფ ფლაოსთან სტუმრად მყოფმა წარმოთქვა 1829 წელს ფრთიანი სიტყვა იმის შესახებ, რომ აუცილებელია ბურბონების განდევნა, „რათა სიმშვიდე იქნას მოპოვებული“.

სტენდალს სულაც არ სურდა მოახლოებული რევოლუცია, მაგრამ ელოდა კი მას. და იგი, რომელიც ყოველთვის დაინტერესებით ადევნებდა თვალყურს ტალეირანს და არავითარი ილუზიებით არ იტყუებდა თავს მის გამო, სულ უფრო და უფრო მეტ ყურადღებას აპყრობდა ამ „ბიწიერ ბერიკაცს“, რომელსაც ერთადერთს შეეძლო ეხსნა საფრანგეთი უკიდურესი რეაქციონერების უგუნურებათა და თავხედობათა საშიში შედეგებისაგან. ამ თვალსაზრისით მეტად დამახასიათებელია ზოგიერთი მისი კორესპონდენცია, ინგლისის ჟურნალებში მოთავსებული 1825 წელს, როცა რეაქციამ საფრანგეთში საბოლოოდ აიშვა აღვირი. „ამ მოხერხებულმა სახელმწიფო კაცმა (ტალეირანმა), რომელიც აგერ ოცდაათი წელია ასეთ პოლიტიკურ ნათელხილვას ამჟღავნებს საფრანგეთის მომავალ ბედიღბალთა გამოცნობაში, სხვადასხვა მემუარებში დაუმტკიცა ულტრაროიალისტებს, რომ შეუძლებელია ძველი რეჟიმის აღდგენა,“ - წერს სტენდალი 1825 წ. 1 თებერვალს[145].

სტენდალი აქ საფრანგეთის ბურჟუაზიის მრავალი წარმომადგენლის აზრს გამოხატავდა ივლისის რევოლუციისწინა ამ ბოლო წლებში.

ტალეირანი რომ „გაიძვერა“, სტენდალს ამაში ოდნავადაც არ ეპარება ეჭვი. მაგრამ ის ზოგჯერ ყოველგვარ პოლიტიკურ მოღვაწესაც გაიძვერად თვლის - მაგალითად, მარტინიაკს, რომელსაც არავითარი განსაკუთრებული აუგიანობით არ გამოუჩენია თავი. „მე მჭირდება პირველი მინისტრი, რომელიც იქნებოდა გაიძვერა და გამრთობი, როგორიც ვალპოლია ან ბ. ტალეირანი.“ და ლუსიენ ლევენის მამა ურჩევს თავის ვაჟს ტალეირანივით გაიძვერა იყოს.[146]“ ტალეირანი ხედავდა, რომ არც თუ „გარედან“ გააფრთხილებს და უშველის ვინმე ბურბონებს. გამემარცხენებული ტალეირანი უკვე ამ წლებში ირონიულ-შემბრალებლობითი კილოთი ლაპარაკობდა კონსტიტუციური და მისტიური ბოდვით შეპყრობილ, მეტერნიხისაგან დაშინებულ „საბრალო იმპერატორ ალექსანდრეზე“: ჯერ კიდევ 1814 წელს ალექსანდრეს ესმოდა, რომ ბურბონები დაილუპებიან, თუ არ შეურიგდებიან ახალ საფრანგეთს, მაგრამ ოცინა წლებში უკვე თავი ანება ამაზე ლაპარაკს. საინტერესოა, რომ რესტავრაციის ამ წლებში ტალეირანი მუდამ ჩუმი მოწიწებით ახსენებდა ნაპოლეონს და უყვარდა ყოველ შესაძლო შემთხვევაში დაპირისპირება, რაც ნაკლებ პატივს სდებდა



იმპერატორის მემკვიდრეებს. ბაირონისეული გრძნობა ნაპოლეონისადმი, გამოხატული სიტყვებით: „ლომის მძლეველნი ვით მოვექცეთ პატივით მგელთა“, რა თქმა უნდა, არავითარ გამოძახილს არ პოულობდა ტალეირანის მშრალსა და რომანტიზმისაგან სავსებით დაშორებულ სულში; მაგრამ რამდენადაც იგი თავის ისტორიულ სახელზე, თავის ისტორიულ რეპუტაციაზე ფიქრობდა (სხვათა შორის, არც თუ მაინცდამაინც ნაღვლობდა ამის გამო), ამდენად შეგნებული ჰქონდა, რომ ისტორიული უკვდავება, უწინარეს ყოვლისა, იმათთვისაა უზრუნველყოფილი, ვინც თავისი მოღვაწეობა „დიდების ამ მრიგებელს“ დაუკავშირა, როგორც ნაპოლეონის შესახებ თქვა 1812 წ. სამამულო ომის მონაწილე პარტიზანმა დენის დავიდოვმა. და თავადი, რომელიც სწორედ ამ წლებში თავის მემუარებს ადგენდა, განსაკუთრებული დაჟინებით აღნიშნავდა, არ დაეწყო ნაპოლეონს თავისთვისაც და საფრანგეთისთვისაც დამღუპველი დაუოკებელი დაპყრობითი პოლიტიკის წარმოება, იგი, ტალეირანი, არასოდეს მოიშლიდა რწმენითა და სიმართლით მსახურებას ნაპოლეონისას. შემდგომი ამბების მოლოდინში, ლუდოვიკო მეთვრამეტის გარდაცვალებისა და 1824 წელს ტახტზე კარლოს მეათის ასვლის დროდან, თავადმა ტალეირანმა იწყო ლიბერალურ-ბურჟუაზიული ოპოზიციის ბელადებთან - როიე-კოლართან, ტიერთან, ისტორიკოს მინიესთან დაახლოება. საქმე კატასტროფისაკენ მიდიოდა აშკარად და ახალი მეფე გამეტებით მიიწევდა უფსკრულისაკენ. ტალეირანი, რომელიც თავის დიდებულ პარიზულ და ვალანსესულ სასახლეებში იღებდა და მასპინძლობდა ბურჟუაზიული ოპოზიციის ბელადებს, რომლებთან დაახლოებაც ახლა სასარგებლოდ დაინახა თავისთვის, იმავე დროს არც მეფესთან სწყვეტდა კავშირს. მაგრამ კარლოს მეათეს იგი უკვე სრულებით აღარ ეპუებოდა, სწორედ იმიტომ, რომ მის დაღუპვას დღედღეზე მოელოდა. „იმ მეფემ, რომელსაც ემუქრებიან, ორში ერთი უნდა აირჩიოს: ტახტი ან ემაფოტი“, - უთქვამს ერთხელ ტალეირანისთვის კარლოს მეათეს, რომელსაც უყვარდა ხოლმე განმეორება, რომ მხოლოდ დათმობებმა დაღუპეს თავის დროზე ლუდოვიკო მეთექვსმეტეო. „თქვენ გავიწყდებათ, ხელმწიფევ, რომ არსებობს მესამე გზა: საფოსტო კარეტა“ - შეუნიშნავს ტალეირანს, რომელიც ითვალისწინებდა რა ბურბონთა მეფის მოახლოებულ აღსასრულს, ვარაუდობდა, საქმე ამჯერად უგილიოტინოდაც მოგვარდებოდა და დინასტიის განდევნითლა მოთავდებოდა.

როგორც ვთქვით, 1829 წელს ტალეირანმა დაახლოება იწყო ჰერცოგ ლუი-ფილიპე ორლენელთანაც, ტახტის კანდიდატთან, რადგან რესპუბლიკის დამყარება მთლიანად აღებულ ბურჟუაზიულ კლასს, მეტადრე მის სასოფლო ნაწილს - მესაკუთრე გლეხობას, აშკარად აშინებდა და არ სურდა. 1829 წ. 8 აგვისტოს კარლოს მეათემ პირველ მინისტრად დანიშნა ჟიულ პოლინიაკი, რომელსაც არასოდეს

დაუფარავს, რომ ისწრაფოდა სამეფო ხელისუფლების მთელი სისრულით აღდგენისაკენ, როგორც პირველი ნაბიჯისაკენ სახელმწიფოში საჭირო „რეფორმების“ გატარების გზაზე. სხვა სიტყვებით, მოსალოდნელი იყო ხელყოფა კონსტიტუციისა, სახელმწიფო გადატრიალება იმ მიზნით, რომ ფეოდალურ-აბსოლუტისტური წყობილება აღედგინათ შემდგომში.

ტალეირანს მტკიცედ ესმოდა, რომ ცდა, წაართვან ბურჟუაზიასა და მესაკუთრე გლეხობას ის, რაც მათ რევოლუციამ მისცა, დალუპავს კარლოს მეათეს. მუშათა კლასს რევოლუციამ რომ გაცილებით ნაკლები მისცა, ხოლო ნაპოლეონმა და ბურბონებმა ისიც წაართვეს, რაც მისცა და რომ მუშები ახლა პირველად 1795 წლის 1-4 პრერიალის შემდგომ აქტიურობისაკენ მისწრაფებას იჩენენ და აუცილებლად მხარს დაუჭერენ ყოველგვარ აჯანყებას, თუნდაც იგი მათი ინიციატივით არ იყოს დაწყებული - ეს ტალეირანმა ვერ გაითვალისწინა. და ამის მიუხედავად, იმ შემთხვევაში, თუ მეფე შეეცდებოდა მოეხდინა სახელმწიფო გადატრიალება, დინასტიის გადარჩენის შანსები მეტად საეჭვო ჩანდა. პოლინიაკი კიდევ უფრო ნაკლებად ბრწყინავდა ჭკუით, ვინემ კარლოს მეათე, მეფეზე უფრო ცუდად გაეგებოდა, რომ ის ცეცხლთან თამაშობს, მაგრამ ემოციურობითა და დამთხვეული რეაქციული ფანატიზმით გამოირჩეოდა, ფანატიზმით, რომელიც ულაპარაკოდ მოითხოვდა დაუყოვნებელ სამხედრო მოქმედებებს ყველა იმათ წინააღმდეგ, ვინც მათ აზრებს არ იზიარებდა.

ლიბერალურმა ბურჟუაზიამ, რომელიც დარწმუნებული იყო თავის ძალაში, მტკიცედ გადაწყვიტა წინააღმდეგობის გაწევა. ტალეირანის კაბინეტში ლიბერალების ბელადები შეიკრიბნენ: ტიერი, მინიე და არმან კარელი. ეს იყო 1829 წ. დეკემბერში. გადაწყდა, პოლინიაკის წინააღმდეგ და, თუ საჭირო იქნება, ბურბონთა დინასტიის წინააღმდეგაც თანმიმდევრული ბრძოლის მიზნით დააარსონ ახალი, მკვეთრად ოპოზიციური ორგანო (შემდგომში სახელმთხოვეჭილი გაზეთი „Le National“). თავმჯდომარეობას ლიბერალური ბურჟუაზიის ამ ახალგაზრდა მოღვაწეთა თათბირებზე ეწეოდა მამასახლისი, ძველრეჟიმული სამეფო კარის დიდებული, ყოფილი ეპისკოპოსი, თანადამსწრე ლუდოვიკო მეთექვსმეტის, ნაპოლეონის და თვით ამ კარლოს მეათის მეფედ კურთხევისა; კაცი, რომელიც ემსახურებოდა ძველ რეჟიმსაც, რევოლუციასაც, ნაპოლეონსაც, მერე ისევ ბურბონებს; ბურბონების ტახტზე დამსმელი 1814 წელს „ლეგიტიმიზმის პრინციპისთვის“, ახლა მათსავე დასამხოზად იღწვოდა „ლეგიტიმური“ მეფისადმი რევოლუციური წინააღმდეგობის პრინციპის სახელით... მის კაბინეტში და მისივე სერიოზული ფინანსური დახმარებით იშვა, ამგვარად, ყველაზე რადიკალური ორგანო ბურჟუაზიული ოპოზიციის იმ ორგანოებს შორის, რომლებმაც კი სახელი გაითქვეს პოლინიაკისა და მის უკან მდგომი მეფის

წინააღმდეგ ბრძოლით ბურბონთა დინასტიის ბატონობის ამ უკანასკნელი თვეების განმავლობაში. ეს ახალგაზრდა მოღვაწენი, მსგავსად ტიერისა, დიდი მოწიწებით შეჰფრფინავდნენ სამოცდა ექვსი წლის კოჭლსა და ავადმყოფ ბერიკაცს: ერთობ მრავალი მოგონება იყო მასთან დაკავშირებული - ყველაზე მეტი იმათთან შედარებით, ვინც მაშინ ჯერაც ცოცხალი იყო - იმ უდიდესი ისტორიული მოვლენებისა, რომელთა დროს ის გარკვეულ როლს თამაშობდა და რომელთაც, ასე თუ ისე, საუკუნოდ დაუკავშირა თავისი სახელი.

ტალეირანი ჯერ კიდევ რევოლუციამდე იყო საკმაოდ რთული ურთიერთობით დაკავშირებული ჰერცოგ ორლენელთან (ფილიპე ეგალიტესთან), რომელიც შემდეგ ტერორის წლებში სიკვდილით იქნა დასჯილი. ეხლა, 1829-1830 წლებში, მან ბეჯითი ურთიერთობა დაამყარა მის ვაჟიშვილთან, ლუი-ფილიპესთან და ლუი-ფილიპეს დასთან ადელაიდასთან. მან იცოდა, რომ ოპოზიციურ ბურჟუაზიას ლუი-ფილიპეს ტახტზე აყვანა სურდა ბურბონთა „უფროსი შტოს“, ე.ი. კარლოს მეათის, დამხობის შემთხვევაში (ორლენელი ჰერცოგები უმცროსი შტო იყო ბურბონების)

დაუძლურებული, ღრმად მოხუცებული ტალეირანი თავს სულაც არ იწუხებდა საიქიოზე ფიქრით. იგი კვლავ მომავალზე ფიქრობდა, ახალ კარიერაზე. მტრებს კვლავ უთხრიდა ორმოს და მეგობრებს გზას უკაფავდა; მისი მეგობრები კი ისინი იყვნენ მუდამ, ვისაც ისტორიული ძალები მოცემულ მომენტში აღმავალი გზით მიაქანებდნენ. წინასწარ ხედვამ არც ამჯერად უმტყუნა...

ის იმყოფებოდა პარიზში, თავისი ქალაქური სასახლის დიდებულ დარბაზებში, როცა, დაბოლოს, პოლინიაკმა და მეფემ გაბედეს გადაედგათ თავისი გიჟური ნაბიჯი და გამოსცეს 1830 წ. 25 ივლისის ცნობილი ორდონანსები, რომლებიც ფაქტიურად აუქმებდა კონსტიტუციას. რევოლუცია უკვე მეორე დღეს, ოცდაექვსში, უექველი ჩანდა; იფეთქა მან 27 ივლისს და სამ დღეში პირისაგან მიწისა აღგავა კარლოს მეათის ტახტი. ტალეირანის პირადი მდივანი, კოლმაში, თავადთან იმყოფებოდა იმ დღეებში. წამდაუწუმ მოდიოდა ახალ-ახალი ცნობები რევოლუციისა და ჯარებს შორის ბრძოლის მიმდინარეობაზე. ტალეირანი ყურს უგდებდა თოფების გაბმულ გრიალს, დაფდაფების ცემას და ნაბათის ხმებს, რომლებიც ყველა სამრეკლოდან მოისმოდა, მერე უცებ კოლმაშს მიუბრუნდა: „გესმით, ნაბათსა სცემენ! ჩვენ ვიმარჯვებთ!“ - „ჩვენ! ვინ ჩვენ! სახელდობრ ვინ იმარჯვებს, თავადო?“ - „ჩუ, კრინტი აღარ დასძრათ, მაგას ხვალ გეტყვით!“

ეს საუბარი, ასე დამახასიათებელი ტალეირანისათვის, 28 ივლისს ხდებოდა.

მეორე დღეს, 1830 წ. 29 ივლისს, ბრძოლა დამთავრდა. რევოლუციამ გაიმარჯვა. ბურჰონების დინასტია ხელახლა - და ამჯერად უკვე სამუდამოდ იქნა ჩამოგდებული საფრანგეთის ტახტიდან. იგი დაბრუნდა მას შემდეგ, რაც დამხობილ იქნა 1792 წ. 10 აგვისტოს რევოლუციის მიერ, დაბრუნდა მას შემდეგაც, რაც 1815 წ. 20 მარტს კ. ელზიდან მოვლენილ ნაპოლეონის მიერ იქნა დამხობილი, მაგრამ იმის შემდეგ, რაც 1830 წ. რევოლუციამ დაამხო, აღარასოდეს დაბრუნებულა.

## თავი მერვე

**ტალეირანი ივლისის მონარქიის დროს. ელჩობა ინგლისში. უკანასკნელი წლები. 1830 წ. 6 სექტემბერი - 1838 წ. 17 მაისი**

ჯერ კიდევ 29 ივლისს, სწორედ მაშინ, როცა იმ ჯარებმა, რომლებიც ჯერაც არ გადასულიყვნენ რევოლუციის მხარეზე, უკანდახევა იწყეს ქალაქიდან, ტალეირანმა ბარათი გაუგზავნა ლუი-ფილიპეს - ჰერცოგ ორლენელის - დას, რჩევით: არც ერთი წუთი არ დაეკარგათ და უყოყმანოდ სათავეში ჩასდგომოდნენ რევოლუციას, რომელიც იმ მომენტში ბურჰონთა დინასტიის უფროს შტოს ამხობდა.

თავად ტალეირანის ავტორიტეტი, როგორც პოლიტიკური მისნისა, რომელმაც მტკიცედ იცოდა ხოლმე უახლოესი პოლიტიკური მომავალი, იმდენად დიდი იყო, რომ მეფობის ახალი კანდიდატი სწორედ მისი ამ რჩევის შემდეგ ჩამოვიდა პარიზს (რენსიდან საცა ის იმყოფებოდა), მაგრამ ეს კიდევ არაფერი. როცა 31 ივლისს პალე-როიალში შეკრებილმა ოპოზიციურმა დეპუტატებმა „სამეფოს მთავარი ნაცვლის“ დროებითი წოდება შესთავაზეს ლუი-ფილიპეს, მაგრამ იმ პირობით, დაუყოვნებლივ განეცხადებინა თავისი სრული გათიშვა კარლოს მეათისა და საერთოდ უფროსი შტოსაგან, ლუი-ფილიპე შეყოყმანდა; მან უკვე იცოდა: წინა დღით, 30 ივლისს, კარლოს მეათემ უარი თქვა ტახტზე და თავისი უფლებები თავის პატარა შვილიშვილს, ჰერცოგ ბორდოელს (გრაფ შამპორს) გადასცა, ხოლო, მას, ლუი-ფილიპეს, მეურვედ და „მთავარ ნაცვლად“ ნიშნავს. მამასადამე, ლუი-ფილიპე ან კარლოს მეათის მიერ დანიშნული „მთავარი ნაცვალი“ უნდა გამხდარიყო და მეურვე - „კანონიერი“ მეფის სრულწლოვანებამდე, ან მყისვე კავშირი გაეწყვიტა

„ლეგიტიმურ“ მონარქიასთან და გვირგვინი გამარჯვებული ბურჟუაზიული რევოლუციის ხელიდან მიეღო, ვინაიდან „ნაცვლობა“, მიღებული არა მეფე კარლოსისაგან, არამედ ოპოზიციისაგან, ნიშნავდა პირდაპირ ნაბიჯს, ლუი-ფილიპეს ტახტზე აყვანისაკენ გადადგმულს.

ამ არჩევანის გამო, ყოყმანში ჩავარდნილმა ლუი-ფილიპემ განუცხადა დეპუტატებს, რომ პასუხს მხოლოდ იმის შემდეგ მისცემს, რომ რჩევას ჰკითხავს ტალეირანს. მან სასწრაფოდ გაგზავნა გენერალი სებასტიანი ტალეირანთან რჩევის საკითხავად. თავადმა წამსვე მიუგო: „მიიღოს“, ე.ი. მიიღოს ტახტი გამარჯვებული რევოლუციისაგან, სამუდამოდ იბრუნოს პირი „ლეგიტიმიზმის პრინციპისაგან“, სწორედ იმ პრინციპისაგან, რომლის ოსტატური გამოყენებითაც სწორედ ამავე ტალეირანმა თექვსმეტი წლის წინათ ტახტზე აიყვანა ბურბონები, რომელთა დამხობაც ეხლა მისივე ენერგიული მონაწილეობით ხდებოდა, ტალეირანის რჩევამ ბოლო მოუღო ყოველგვარ ყოყმანს: ცხრა დღის შემდეგ, 1830 წ. 9 აგვისტოს, ლუი-ფილიპე ორლენელი საზეიმოდ გამოაცხადეს მეფედ.

ახალ მეფობის პირველსავე დღეებში გამომჟღავნდა, რომ თუმცა ძლევამოსილი ივლისის რევოლუცია არისტოკრატიაზე მოპოვებულ ბურჟუაზიის საბოლოო და, ყველა შემთხვევაში, ყველაზე უტყუარ გამარჯვებას მოასწავებდა, მაგრამ რომ ყოფილა ქვეყნად ერთი ჭეშმარიტი, წმინდა სისხლის არისტოკრატი, ურომლისოდაც არავითარ შემთხვევაში არ ძალუძს გამარჯვებულ ბურჟუაზიას: ეს გახლავთ კვლავ იგივე თავადი ტალეირან-პერიგორი, დავრდომილი, სამოცდათექვსმეტი წლის ავადმყოფი ბერიკაცი, რომელიც გაზეთებს უკვე არაერთხელ დაესაფლავებინათ. ტალეირანი მარტო იმიტომ როდი აღმოჩნდა ხელახლა პირველ პლანზე, რომ თავისი ჩვეული შორსმჭვრეტელობის წყალობით დროზე მოასწრო 1830 წ. ივლისამდე დიდი ხნით ადრე დაახლოვებოდა მომავალ გამარჯვებულთ; ლუი-ფილიპეს, ადელაიდას, ტიერს, არამედ იმიტომაც, რომ მისი გონება დასჭირდა და შეუნაცვლებელი ეჩვენა ეს დამფუძნებელ კრებასაც და დირექტორიასაც, ნაპოლეონსაც და ბურბონებსაც, მერე ხელახლა ნაპოლეონს (იმპერატორის წინადადება ასი დღის დროს), და ისევ ბურბონებს - ასი დღის შემდეგ.

ლუი-ფილიპეს მდგომარეობა პირველ ხანებში არ იყო იოლი, მეტადრე - საზღვარგარეთულ სახელმწიფოთა წინაშე. არავისთვის არ წარმოადგენდა საიდუმლოს, რომ ევროპის უმაღლესი ჟანდარმი, რუსეთის მეფე ნიკოლოზ პირველი, გადაჭრით მომხრეა ინტერვენციისა, მიზნად რომ ისახავს „ბარიკადთა მეფის“ ლუი-ფილიპეს დამხობას და ტახტზე ბურბონების აღდგენას. ისიც კი იყო ცნობილი, ნიკოლოზმა გენერალი დიბიჩი გაგზავნა ბერლინში, რათა დაეჩქარებინა პრუსიასთან

შეთანხმების მიღწევა საფრანგეთში ერთობლივად შეჭრის შესახებ. ერთხანს იგი ბეჯითად ადგა აზრს, რომ „არ ეცნო ლუი-ფილიპე მეფედ. ამგვარ პირობებში ლუი-ფილიპესთვის უაღრესად მნიშვნელოვანი იყო ინგლისის დიპლომატიური მხარდაჭერის მოპოვება. ივლისის რევოლუციის შემდეგ საფრანგეთი მეტად საშიშ იზოლაციაში აღმოჩნდა. ბოლო რომ მოეღოთ ამ იზოლაციისათვის, ახალმა მეფემ და ახალმა მთავრობამ სწორედ ტალეირანს მიმართეს. ევროპამ განცვიფრებულმა წაიკითხა ივლისის რევოლუციიდან თვეზე ცოტა მეტი ხნის შემდეგ, თავადი ტალეირანი საფრანგეთის ელჩად ინიშნება ლონდონშიო. მისი ფრეგატის ოფიციალური შეხვედრის დროს მისალმების ნიშნად აგრილდნენ დუვრის სანაპირო ბატარეები, - და ტალეირანს არ შეუძლია უარი თქვას სიამოვნებაზე და სწორედ ამ ამბავთან დაკავშირებით არ მოიგონოს, როგორ მიემგზავრებოდა ინგლისიდან 1794 წელს, - დევნილი, მიუსაფარი, ფრანგი როიალისტების ინტრიგებით შევიწროებული, პოლიციის ბრძანებით გასახლებული...

ჩვენ გვაქვს პირდაპირი ჩვენებანი იმის შესახებ, რარიგ მნიშვნელოვანი თუ არ იყო, ყოველ შემთხვევაში, ჩანდა ბევრის თვალში, ის მხარდაჭერა, ტალეირანმა რომ გაუწია ლუი-ფილიპეს მისი გამეფების მომენტში. „ცნობამ, ბ. ტალეირანმა აღიარა და ხელიც კი შეუწყო ახალი დინასტიის დამყარებასო, მცირე ზეგავლენა როდი იქონია სხვათა მეფეთა კარზე და ბეჯითად შეიძლება ითქვას, სწორედ ამან აიძულა ისინი გაეხედათ დაუყოვნებლივ ელიარებიანთ (ახალი დინასტია),“ - ამტკიცებს სერ ჰენრი ლიტონ-ბულვერი, ცნობილი ინგლისელი მწერალი და პოლიტიკური მოღვაწე, პალმერსტონისა და ედუარდ გრეის სანდო პირი. ამგვარი იყო საქმის ვითარება ინგლისში, როცა იქ მივიდა ცნობა პარიზში ლუი-ფილიპეს მეფედ გამოცხადებისა.

ინგლისი წარმოადგენდა ერთ-ერთ იმ ორ სახელმწიფოთაგანს, სადაც ლუი-ფილიპესთვის ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი იყო აღიარების დაუყოვნებლივ მოპოვება. მეორე ამ დიდ სახელმწიფოთაგანი რუსეთი იყო.

როგორც უკვე ითქვა, პეტერბურგიდან ავბედითი ხმები მოდიოდა. მართალია, არც ფრიდრიხ-ვილჰელმ მესამე ბერლინში, არც მეტერნიხი ვენაში არ გამოხმაურებიან რუსთა ხელმწიფის წინადადებას „ობლის გამძარცველი“ „ბარიკადების მეფის“ წინააღმდეგ ერთობლივად გალაშქრების შესახებ (ასე ეძახდნენ პეტერბურგის სალონებში 1830 წელს და შემდეგაც ლუი-ფილიპეს, რომელმაც ტახტი წაართვა კარლოს მეათის პატარა შვილიშვილს, ჰერცოგ ბორდოელს - გრაფ შამპორს).

მაგრამ ნიკოლოზი უზომოდ იყო განრისხებული და არაფერი უპასუხა ლუი-ფილიპეს მისი საკუთარი ხელით დაწერილ წერილზე. ამგვარად მიდიოდა საქმე 1830

წ. 6 სექტემბრამდე, როცა გაზეთებში გამოქვეყნდა ლუი-ფილიპეს ბრძანება თავად ტალეირანის ლონდონში საფრანგეთის ელჩად დანიშვნის შესახებ. აი თითქოს რა შედეგი მოჰყოლოდეს ამ ცნობას ზამთრის სასახლეში, როგორც ამას საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრს გრაფ მოლეს ატყობინებენ 1830 წ. 29 სექტემბერს, ამასთან კორესპონდენტს (მონლოზიეს) ნამდვილი სიტყვებიც კი მოაქვს, რომლებიც თითქოს ნიკოლოზს წარმოეთქვას: „რადგან თავადი ტალეირანი უერთდება საფრანგეთის ახალ მთავრობას, მაშასადამე, ამ მთავრობას ხანგრძლივი არსებობის შანსები აქვს უთუოდ.[147]“

ყოველ შემთხვევაში ის გარემოება, რომ ტალეირანის ლონდონში დანიშვნის ფაქტმა თუ წინასწარ არ გადაწყვიტა, სამაგიეროდ, უცილოა დააჩქარა ნიკოლოზის განზრახვის შეცვლა. არავითარ ეჭვს არ იწვევდა თანამედროვეებში. მართალია, ამ ფაქტს შეეძლო ზეგავლენა მოეხდინა რუსეთის მეფეზე უწინარეს ყოვლისა იმით, რომ იგი მოასწავებდა და ადასტურებდა ბრიტანეთის მთავრობის მიერ ახალი მეფის საბოლოო აღიარებას. ორივე ცნობა თითქმის ერთდროულად მოვიდა პეტერბურგში და, რა თქმა უნდა, ბრიტანეთის მთავრობის გადაწყვეტილებამ გაცილებით მეტი ზემოქმედება მოახდინა რუსთა ხელმწიფეზე, ვიდრე ტალეირანის დანიშვნამ.

იმ დროის ერთ-ერთი ყველაზე ჭკვიანი და გამოცდილი დიპლომატი, რუსეთის წარმომადგენელი პარიზში პოცო დი ბორგო - თავის დაშიფრულ პატაკებში მეტად გამჭრიახულად ახასიათებს ტალეირანს იმ მომენტში, როცა იგი ელჩად დანიშნეს ლონდონში.

პოცო დი ბორგო ტალეირანის დანიშვნას ბრიტანეთის კაბინეტის (ჰერცოგი ველინგტონის) გავლენას მიაწერს: „...ამბობენ, რომ მეფემ მართო იმიტომ კი არ მიაპყრო მზერა თავად ტალეირანს, რათა ჰერცოგის სურვილი დაეკმაყოფილებინა, არამედ იმიტომაც, რომ დაენახვებინა ინგლისისათვის და საერთოდ მთელი მსოფლიოსათვის, რომ ისეთი პიროვნება, როგორიც ისაა, ვისზედაც აქ ლაპარაკია, და რომელიც მხოლოდ თავისი ინტერესებით ხელმძღვანელობდა ყოველთვის (qui... n'a jamais ete conduit que par son iunferet), ემყარება რა საფრანგეთის ახლანდელი ხელმწიფის (ტახტის) სიმტკიცეს, იღებს რა ასეთ თვალსაჩინო მისიას და, მაშასადამე, უკავშირებს მას (ამ ხელმწიფეს) თავის ბედს, მოელის სარგებლობას“. პოცო დი ბორგო არ მაღავეს თავის ჭეშმარიტ გრძნობებს, რასაც მასში ტალეირანის პიროვნება იწვევს, ტალეირანისა, რომელიც ისტორიულ გარემოებათა წყალობით ხელახლა ამოტივტივდა: „ძნელია თავი შეიკავო ზიზღისაგან, როცა ფიქრობ იმაზე, რომ კაცს 77 წლის ასაკში, სწეულებებით გათანგულს, სურს ისევე გადაეშვას (se precipiter) საქმიანი კარიერის მორევში, და ეს იმის შემდეგ, რაც ესოდენ სამწუხარო სახელი

დაიმკვიდრა მთელი თავისი სიცოცხლით“. პოცო დი ბორგოს თვალში ტალეირანის საქციელი განსაკუთრებით საზიზღარი იმითაა, რომ ამიერიდან იგი მოემსახურება „უზურპატორს“ (ლუი-ფილიპეს), მაშინ, როცა ახალდაცემულია „ლეგიტიმური“ მონარქი (კარლოს X), რომელსაც იგივე ტალეირანი დიდი კამერჰერის სახელით ემსახურებოდა. მერედა სად მოემსახურება იგი უზურპატორს? ინგლისში, სადაც განდევნილი „უბედური მონარქი“ (კარლოს მეათე) თავშესაფარს ეძიებს. ცხადია, პოცო დი ბორგო აქ ნიკოლოზის ტონს უხამებს თავისას, როცა „უზურპატორი“ ლუი-ფილიპესა და „უბედურ ლეგიტიმურ“ მონარქ კარლოს მეათეზე ლაპარაკობს. მაგრამ მას ჰქონდა საფუძველი დაემატებინა თავის პატაკში შემდეგი სტრიქონები: „აქ ყველანი აღშფოთებულნი არიან ამ ცინიზმით, და ლიბერალური გაზეთები მეტად, ვიდრე რომელიმე სხვანი, პირდაპირ ცოფსა ჰყრიან (se sont dechaines) ასეთი სკანდალური და ასეთი მრავალმხრივი უხამსი არჩევანის გამო.[148]“

ტალეირანის ლონდონში გამგზავრება მომეტებულ ეჭვებს ჰბადებდა მეტნაკლებად ლიბერალურ და რადიკალურ წრეებში. ისინი წინდაწინვე იყვნენ დარწმუნებულნი, რომ ტალეირანი, მეფე ლუი-ფილიპეს თანხმობით, ყველაფერს გააკეთებს ბელგიის საკითხში, რაც კი ინგლისელებს მოესურვებათ. მაგრამ განსაკუთრებით საინტერესო საგარეო პოლიტიკის ჩვენი არქივის მიერ მოწვდილი საბუთია, რომ მასზე ეჭვი მიჰქონდა მინისტრთა კაბინეტსაც კი - და არა მარტო იმაში, რომ იგი ინგლისს ასიამოვნებს ბელგიის საკითხში, არამედ იმაშიც, რომ მზად არის საფრანგეთის სახელით ალჟირის დაპყრობაზედაც თქვას უარი.

აი რას ვკითხულობთ რუსეთის ელჩის პოცო დი ბორგოს მეორე დაშიფრულ პატაკში, რომელიც გაგზავნილია პეტერბურგში 1830 წ. 11-23 სექტემბერს: „თავადმა ტალეირანმა ჩემი ნახვა ისურვა. იგი დამხვდა შეურვებული ბელგიის საქმეების გამო. გადაწყვეტილი აქვს ის (ბელგია) ინგლისს მისცეს, უფრო იოლი შეთანხმების მიღწევის მიზნით“. ტალეირანმა იცოდა, რით შეიძლებოდა ნიკოლოზ პირველის წარმომადგენლის გულის მონადირება: „ამის მოლოდინში კი ბელგიელი და ფრანგი რევოლუციონერები (ბელგიას) გამოყოფისაკენ და მაშასადამე, განხეთქილებისაკენ უბიძგებენ.“ მაგრამ პოცო დი ბორგოს მარტო ტალეირანთან როდი ჰქონდა საუბარი და ამიტომ მთელი საიდუმლოება უწყოდა მხცოვანი თავადისა: „ბ. მოლემ (საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა) გამანდო, რომ თავად ტალეირანს უთქვამს სულ გაანებო თავი ალჟირს. როცა მინისტრი არ დასთანხმებია ამ გეგმაზე, თავადს მეფისათვის მიუმართავს და, ჩანს, ეს უკანასკნელი მიმხრობია ელჩის ამ პროექტს ინგლისის საამებლად გათვალისწინებულს. ბ. მოლე წინა აღუდგა ამას და დაპირდა მინისტრთა საბჭოს, რომ წარმოუდგენს მოხსენებას ამის თაობაზე. საბჭოც,



ალბათ, იმავე აზრისა იქნება, რა აზრისაცაა მინისტრი, რადგან აშკარაა, რომ ელჩი მიემგზავრება ლონდონს იმისათვის, რათა დაწებდეს (*pour se livrer*) ინგლისს.“ მოლეს აზრით, ტალეირანის მგზნებარე ანგლოფილობა მარტო იმით კი არ აიხსნება, რომ სურს ლუი-ფილიპე გაამაგროს მორყეულ ტახტზე მისთვის ბრიტანეთის მთავრობის მხარდაჭერის უზრუნველყოფით, არამედ, ამას გარდა, ზოგიერთი უფრო „პერსონალური“ ხასიათის მოსაზრებებითაც: „ბ. მოლე დარწმუნებულია ამაში (იმაში, რომ ტალეირანი „დაწებდა“ ინგლისს), და მან დასძინა, ეს მით უფრო სარწმუნოა, რომ მხოლოდ ამით შეუძლია ნახოს სარგებლობაო (*il n'y a que cela qui profite*). ასეთია შეხედულება, რომელიც მას (მოლეს) თავის წარმომადგენელზე აქვს[149]“.

რა თქმა უნდა ტალეირანის შერაცხვა „ინგლისის მეგობრად“ არავითარ შემთხვევაში არ შეიძლებოდა, - ჩვენ ეს ვიცით. ჩვენთვის დოკუმენტურადაა აგრეთვე ცნობილი, რომ მას ძლიერ აშინებდა ინგლისის სავაჭრო-სამრეწველო უპირატესობანი. ტალეირანი „ქიმერულად და განუხორციელებლად“ თვლიდა მსოფლიო მონარქიის შექმნის აზრს (*monarchie universelle*), მაგრამ ამავე დროს აკვირვებდა, რომ არავის აშინებდა „გაცილებით უფრო დამღუპველი შედეგები იმ მდგომარეობისა, რომელშიც იმყოფება მსოფლიო ვაჭრობა, მოქცეული ერთადერთი სახელმწიფოს ხელში“. ამგვარ შეფასებას აძლევდა იგი ეკონომიურ ძლევამოსილებას, რომელიც ვენის კონგრესის ხელშეკრულებებმა, მთელი კაცობრიობის საზიანოდ, ინგლისს დაუმკვიდრა[150].

ასეთი იყო მისი ჭეშმარიტი შეხედულება. მაგრამ რა საჭიროა ყოველივე ამის თქმა, როცა გაცილებით უფრო ჭკვიანურია ჩუმი იყო და, პირიქით, დაარწმუნო ჰერცოგი ველინგტონი, ხოლო შემდეგ მისი კაბინეტის შემცვლელები ლორდი პალმერსტონი, გრეი და ჰოლენდი და მთელი ბრიტანული მთავრობა, რომ ძლიერი, უადრესად თბილი სიმპათიები გამოძრავებს ინგლისისადმი. ტალეირანის მდგომარეობა ლონდონში 1830 წელს მალე ისეთი ბრწყინვალე გახდა, როგორიც კი ადამიანს შეუძლია წარმოიდგინოს.

ერთის მხრივ, კონსერვატორები და მთელი უმაღლესი საზოგადოება ნამდვილი დიდგვაროვანი არისტოკრატის წარმომადგენელს ხედავდა მასში (ხოლო ეს „ნამდვილობა“ მაშინ და გაცილებით უფრო გვიანაც ძალზე დიდად ფასდებოდა ინგლისში), ამასთან ერთად აგონდებოდათ, რომ მასზე მეტს და მასზე მჭევრმეტყველურად ვენის კონგრესზე არავინ ლაპარაკობდა ლეგიტიმიზმის შესახებ. ისიც აგონდებოდათ, ჯერ კიდევ 1792 წლიდან რომ იყო ინგლისთან მეგობრობის მომხრე. ის გარემოება, რომ მან იკისრა ელჩობა ლუი-ფილიპესი, რომელმაც რევოლუციის საშუალებით წაართვა ტახტი „ლეგიტიმურ“ დინასტიას, ტალეირანმა მეტად ოსტატურად შემოაბრუნა თავის სასარგებლოდ: თუკი მან თვითონ,

ლეგიტიმისტმა ლეგიტიმისტთა შორის, - შეიძლება ითქვას, გამომგონებელმა ამ ლეგიტიმიზმისა 1814 წელს, - ეხლა უარი თქვა მასზე და „ბარიკადების მეფეს“ მიემხრო, არსებული ხომ, მაშასადამე, რაღაც უაღრესად მნიშვნელოვანი მიზეზები! მაშასადამე, ვეღარ მოითმინა პატიოსანმა და პირდაპირმა ტალეირანმა და აღმფოთდა კარლოს მეათის ფიცისგამტეხლური საქციელის გამო, როცა მან ხელჰყო კონსტიტუცია, რომელსაც ჰფიცა! კეთილშობილსა და ალალ თავადს განსაკუთრებით ის უწვავს გულს, რომ კარლოს მეფემ ფიცი გატეხა. რაც შეეხება ვიგებს, ლიბერალებს, ინგლისის ლიბერალური ბურჟუაზიის წარმომადგენლებს, რომლებსაც ბედად ხვდათ სულ მალე, წელიწადნახევრის შემდეგ, 1832 წელს, „მშვიდობიანი რევოლუციისათვის“, ე.ი. საპარლამენტო რეფორმისათვის მიეღწიათ, ეს ადამიანები აღფრთოვანებით მიესალმებოდნენ ტალეირანს, სწორედ ამ, საფრანგეთში უკვე გამარჯვებული, ლიბერალური ბურჟუაზიისა და მისი მეფის, ლუი-ფილიპეს, ოფიციალურ წარმომადგენელს მოჰკრავდა თვალს და იცნობდა თუ არა, ხალხი „ვამას“ ძახილით გუნდებად აედევნებოდა ხოლმე მის კარეტას ლონდონის ქუჩებში.

მეორე მხრივ, ერთ დროს (მაგალითად, 1814 წელს) ტალეირანის მოძულე ჰერცოგი ველინგტონი, კონსერვატული კაბინეტის მეთაური, მოხიბლული იყო ტალეირანით, რომელმაც უებრო ოსტატობით იცოდა ხოლმე იმ ადამიანების სულში შეძვრომა, ვინც მას სჭირდებოდა. აღმფოთებული ველინგტონი ვერაფრით მიმხვდარიყო, რად არის, რომ მუდამ - აი უკვე ორმოცდაათ წელიწადზე მეტია - და, რაც მთავარია, უკლებლივ ყველანი, ასე ბოროტად სწამებენ ცილს ტალეირანს, მაშინ როდესაც ეს უპატიოსნესი და უკეთილშობილესი ადამიანია. თუმცა რა გასაკვირია ველინგტონის ასეთი ცდომა, რომ ტალეირანს ისეთებისთვისაც აუხვევია თვალები, რომლებთანაც ველინგტონი უსუსურობად გამოჩნდებოდა.

მაგრამ ტალეირანთან გამკლავება იმ მომენტში ისედაც გაჭირდებოდა: შესანიშნავად შეაფასა რა ინგლისის მდგომარეობა, დაინახა რა, რომ მუშათა დემონსტრაციები, ლიბერალური ოპოზიციის სტატიები და სიტყვები, მეფისა და მთავრობის დაბნეულობა ინგლისს აშკარად ემუქრებოდა რევოლუციური აფეთქებით და ამ აფეთქებას მოასწავებდა, ძველმა თავადმა წამსვე - იქ, სადაც და როცა საჭირო იყო და დროული - „რევოლუციის წარმოგზავნილის“ ნიღაბი გაიკეთა, ხალხის იხსენებდა თავის მოქმედებას დამფუძნებელ კრებაში 1789-1791 წლებში, - ერთი სიტყვით, მიაღწია იმას, რომ ლონდონის მუშათა მასა მასთან შეხვედრების დროს გამაყრუებელი ყიჟინით მიესალმებოდა საფრანგეთის საელჩოს კარეტაზე მიმაგრებულ სამფეროვან ალამს და საელჩოს თანამშრომელთა სამფეროვან კოკარდებს. გაიძახოდნენ: „გაუმარჯოს საფრანგეთის რევოლუციას!“ ზოგჯერაც

დაუმატებდნენ: „გაუმარჯოს ტალეირანს!“ ყველაფერი თავს აწონებდა მათ ტალეირანში, ისიც კი, განსაკუთრებით, დიდხანს რომ იყო ნაპოლეონის მინისტრად და რომ ნაპოლეონი ძალზე აფასებდა მის მრავალმხრივ ნიჭს.

ტალეირანმა შეამჩნია, რომ საზოგადოდ ივლისის რევოლუციის შემდეგ ევროპაშიც და საფრანგეთშიც ერთობ ძლიერდება ეგრეთ წოდებული „ნაპოლეონის ლეგენდა“, და ხელად ისარგებლა ამით. თუ შეხლა-შემოხლა მოუხდებოდა სამსახურებრივ საქმეებთან დაკავშირებით, ზვიადად განუცხადებდა ლუი-ფილიპეს, გრაფ მოლეს მინისტრებსა და სხვებს, რომ ასე მუშაობდა იმპერატორის დროს და რომ თვითონ იმპერატორმა ასწავლა მუშაობდეს სწორედ ასე, და არა სხვაგვარად. საფრანგეთის საელჩოს სახლი ლონდონში ყველაზე მდიდრული მიღებებისა და უბრწყინვალესი მეჯლისების ადგილად გადაიქცა; მთელ დიპლომატიურ კორპუსში არავინ სარგებლობდა იმ მომენტში ისეთი ძალით და მრავალმხრივი, თუ შეიძლება ასე ითქვას, და უზარმაზარი პოპულარობით ინგლისელი საზოგადოების სულ სხვადასხვა ფენებში, როგორც თავადი ტალეირანი. არა მარტო ნიკოლოზმა, ინგლისმაც დაინახა ამ დანიშვნაში, ხოლო რაც მთავარია, ტალეირანის თანხმობაში მიეღო ეს დანიშვნა - ნიშანი საფრანგეთის ახალი ტახტის სიმყარისა.

რამდენიმე თვის განმავლობაში ტალეირანმა შეძლო მჭიდრო ურთიერთობა დაემყარებინა საფრანგეთსა და ინგლისს შორის, საზოგადოდაც: საფრანგეთის საგარეო პოლიტიკას ის განაგებდა და არა პარიზელი მინისტრები, რომელთაც ხშირად საქმიანი მიწერ-მოწერის ღირსადაც კი არ ხდიდა, და მათდა გასაშმაგებლად, პირდაპირ მეფე ლუი-ფილიპეს ან მეფის დას ადელაიდას უკავშირდებოდა. მინისტრები მეფესთან ჩიოდნენ, მაგრამ ამ უკანასკნელს ისე ესაჭიროებოდა თავისი ლონდონელი ელჩი, რომ ყველა ჩივილი სრულიად უშედეგოდ რჩებოდა. გრაფი მოლე, საგარეო საქმეთა მინისტრი, გადადგომასაც კი აპირებდა ამის გამო.

მთავარი (და მეტად ძნელი რამ), რაც ტალეირანმა გააკეთა ლუი-ფილიპეს ელჩად ლონდონში ყოფნის დროს, იყო ბელგიის სამეფოს შექმნაში მონაწილეობა. ბელგიის რევოლუცია, რომელიც გადაეჯაჭვა ივლისის რევოლუციას და ჰოლანდიისაგან ბელგიის აქტიური ჩამოცილება გამოიწვია, მწვავე შემფოთების მიზეზს წარმოადგენდა საფრანგეთისათვის. თვით საფრანგეთში ორი ნაკადი იბრძოდა: პირველთ ბელგიის საფრანგეთთან შემოერთება სურდათ, სხვებს ახალი, დამოუკიდებელი სახელმწიფოს - ბელგიის სამეფოს - შექმნა. პოლონეთის აჯანყებამ, რომელმაც ნოემბერში იფეთქა, დიდი ხნით შებოჭა ნიკოლოზი ბელგიის საკითხში, და ტალეირანმა მეტად ოსტატურად ისარგებლა ამ გარემოებით.

ბელგიის საფრანგეთთან შეერთება მან უარყო, თუმცა მართალია, ერთგვარი ყოყმანის შემდეგ (რის შესახებაც დუმს თავის მემუარებში). იცოდა, ინგლისი უთუოდ წინ აღუდგებოდა საკითხის ამგვარად გადაწყვეტას. მან წამოაყენა და იცავდა დამოუკიდებელი ბელგიის სამეფოს შექმნის იდეას. ხანგრძლივ და ბეჯით ღონისძიებათა შედეგად ეს კიდეც მოახერხა ევროპის სახელმწიფოთა ლონდონის კონფერენციაზე, რომელიც მისი დაჟინებული თხოვნით იქნა მოწვეული.

გავეცნოთ უფრო დაახლოებით „ბელგიის საკითხს“ და ტალეირანის როლს ამ საკითხში.

უნდა ითქვას, სიმულვილმა ტალეირანისადმი, რამდენადმე შერბილებულმა ლიბერალურ და რადიკალურ წრეებშიაც კი ვენის კონგრესის შემდეგ, როცა ძველი თავადი „საფრანგეთის დაქუცმაცებისაგან მხსნელის“ შარავანდედით მოსილი დაბრუნდა, ახალი ძალით იფეთქა 1830-1833 წლებში. მიზეზს წარმოადგენდა თავადის საქციელი სახელმწიფოთა კონფერენციაზე, რომელიც „ბელგიის საკითხის“ მოსაწესრიგებლად შეიკრიბა ლონდონში და 1830-32 წლებში მართავდა სხდომებს. როგორც ცნობილია, ბელგიაში, რომელიც 1815 წელს ვენის კონგრესზე ძალად შეუერთეს ნიდერლანდის სამეფოს, 1830 წელს რევოლუციამ იფეთქა. ბელგიამ დამოუკიდებლად გამოაცხადა თავი და ჩამოცილდა ჰოლანდიას, თუმცა თვით ქვეყანაში ორი მიმდინარეობა დაისახა: ერთი - სრული დამოუკიდებლობის გამოცხადებას მოითხოვდა, მეორე - საფრანგეთთან შეერთებას. პირველი მიმდინარეობა მეორეზე უფრო ძლიერი იყო, ამას გარდა, არც ერთ დანარჩენ დიდ სახელმწიფოს არ სურდა საფრანგეთის გაძლიერება მისთვის მდიდარი სამრეწველო ქვეყნის შეერთებით. პრუსია და ავსტრია ინგლისსა და რუსეთს ემხრობოდნენ ამ საკითხში. ინგლისის ტრადიციულ პოლიტიკას არავითარ შემთხვევაში არ სურდა შერიგებოდა იმას, რომ ბელგია საფრანგეთს დაენარჩუნებინა და რომ მის ხელთ ისევ აღმოჩენილიყო, როგორც ეს იყო ნაპოლეონის დროს, ანტვერპენი, ეს „ინგლისის გულში დამიზნებული ტყვია“, როგორც ნაპოლეონი უწოდებდა. ნიკოლოზ პირველს, რომელსაც დიდხანს საერთოდ არ სურდა შერიგებოდა ბელგიის რევოლუციის წარმატებას, ცხადია, გაგონებაც არ უნდოდა, „ბარიკადების მეფის“, რუსეთის თვითმპყრობელისათვის საძულველ ლუი-ფილიპეს, გვირგვინი რევოლუციის ხელიდან რომ მიიღო, ასე მნიშვნელოვნად გაეზარდა თავისი პოლიტიკური ძლიერება.

ერთი სიტყვით, გაიხსნა თუ არა ლონდონის კონფერენცია, თავადმა ტალეირანმა მყისვე დაინახა, რომ ბელგიის საფრანგეთთან შეერთებაზე ლაპარაკიც კი ზედმეტია. ხოლო რადგანაც იგი არასოდეს არ ჰკიდებდა ხელს წინდაწინვე წაგებულ პროცესს,

ამიტომაც თავისი დიპლომატიური ბატარეები შესაბამისი სახით განალაგა. იმავე დროს პარიზელი რესპუბლიკელები, რომელნიც ჩიოდნენ, მსხვილმა ბურჟუაზიამ „ხალხს მისი გამარჯვება მოჰპარაო“, ბონაპარტისტები, საფრანგეთის ეროვნული დამცირებით აღშფოთებულნი და რევანშის შესახებ მოლაპარაკენი, - ყველა ისინი, ბელგიის შემოერთებაზე მეოცნებენი, - სულ უფრო გულაღრენილნი ადევნებდნენ თვალს ტალეირანის უცნაურ საჭადრაკო სვლებს ლონდონის თათბირებზე, ტალეირანისა, რომელიც ისედაც საექვო იყო მათთვის და დიდი ხანია სძულდათ. მაგრამ ტალეირანის ყოფაქცევა უკვე არა მარტო რესპუბლიკელების გაკვირვებას იწვევდა. რა თქმა უნდა, ჰოლანდიის მეფე ვილჰელმი იძულებული იყო ბოლოსდაბოლოს შერიგებოდა ბელგიის დაკარგვას. მაგრამ სამაგიეროდ რა უხვი გახდა ტალეირანი მის მიმართ, როცა საქმე ბელგიისა და ჰოლანდიის ზუსტი მიჯნების დადგენაზე მიდგა! რა საამო მოულოდნელობა აღმოჩნდა ინგლისის, ნიკოლოზ პირველის, ავსტრიისა და პრუსიისათვის ფრანგი წარმომადგენლის მზადყოფნა ხელგაშლილობა ეკისრა ბელგიის ტერიტორიის ხარჯზე ჰოლანდიის გაფართოებაში. ხოლო საფრანგეთის წარმომადგენელი ხომ ბელგიის ინტერესების ერთადერთი „დამცველი“ უნდა ყოფილიყო ლონდონის კონფერენციაზე. ამას გარდაც, კონფერენცია უზომოდ ჭიანურდებოდა, რაც აგრეთვე სხვადასხვა მიზეზთა გამო ხელსაყრელი იყო ჰოლანდიის მეფისათვის და არახელსაყრელი - მისგან განთავისუფლებული ბელგიისათვის. რესპუბლიკელები და მთელი მემარცხენე პრესა პარიზისა გააფთრებით ესხმოდნენ თავს ტალეირანს მისი დამთმობლობისათვის ჰოლანდიის სასარგებლოდ, მისი სრული გულგრილობისათვის ბელგიის ინტერესებისადმი. ბელგიის ახალგაზრდა დედოფალი ლუიზა, ახლად არჩეულ ბელგიის მეფის ლეოპოლდ პირველის მეუღლე, ქალიშვილი ლუი-ფილიპესი, პირდაპირ ადანაშაულებდა ტალეირანს, მან ქრთამი მიიღო ჰოლანდიის მეფისაგან.

დედოფალი ლუიზა მხოლოდ იმას ამბობდა, რასაც მეცნიერებაში „სამუშაო ჰიპოთეზას“ ეძახიან. მაგრამ სწორედ ასი წლის შემდეგ, 1934 წელს, ეს ჰიპოთეზა ზუსტ მათემატიკურ დასაბუთებად გადაიქცა და იდუმალემა ტალეირანის გამოუცნობ ზიგზაგებისა და ფარულ დათმობებისა ლონდონის კონფერენციაზე ამომწურავი სისრულით გაიხსნა. ბრიუსელელმა პროფესორმა მიშელ ჰუისმანმა (Huisman), ზუსტი საარქივო მონაცემების საფუძველზე შემდეგი გამოაქვეყნა. ჰოლანდიის მთავრობამ, ლონდონის კონფერენციაზე თავისი წარმომადგენლის ფალკის მეშვეობით, გარიგება მოახდინა მხცოვან თავადთან: თუ გამიჯვნას ჰოლანდიის სასარგებლოდ მოაწყობს, ტალეირანი 20 ათას გირვანქა სტერლინგს მიიღებს ჰოლანდიის მეფისაგან, აქედან 15 ათასს - დაუყოვნებლივ, ხოლო 5 ათასს -

მერმისს. შემდეგ, თუ თავადი ასევე მოწყალე და ყურადღებიანი იქნება ჰოლანდიის ინტერესებისადმი ფულადი სესხითი ვალდებულებების განსაზღვრის დროსაც, ე.ი. თუ დათანხმდება რაც შეიძლება მეტი აპკიდოს ბელგიას და რაც შეიძლება ნაკლები - ჰოლანდიას, სანაცვლოდ, კიდევ სხვა 15 ათას გირვანქა სტერლინგს მიიღებს მომავალში[151]. მიიღო თუ არა ფაქტიურად მან ეს მეორე 15 ათასი გირვანქა, და თუ მიიღო, მთლიანად თუ მხოლოდ ნაწილობრივ, - 1934 წელს გამოქვეყნებული მამხილებელი საბუთებიდან არ ჩანს. ყოველ შემთხვევაში, ჰოლანდია არც აქ დარჩენილა ბედის მომდურავი. საბოლოო ხელშეკრულებას ბელგიასთან ხელი მოაწერეს 1832 წ. 14 ოქტომბერს. ნაწილობრივ, რა თქმა უნდა, ამ ხრიკებითაც აიხსნება, რომ კონფერენციაზე ტალეირანს უკან მიჰქონდა სიტყვები, რომლებიც გუშინ თქვა, ზეგისთვის კი მოსალოდნელი იყო, რომ შეცვლიდა ფორმულირებას, რომელიც დღეს თვითონ წამოაყენა.

ახლა, როცა 1934 წლიდან ჩვენთვის დოკუმენტურად ცნობილია 1832 წელს ლონდონში რა თამამად და ნაყოფიერად ვაჭრობდა ტალეირანი მისთვის მინდობილი ბელგიისა და საფრანგეთის ინტერესებით, კურიოზულია შარლ რემიუზას ასეთი განცხადების წაკითხვა მის მემუარებში (შარლ რემიუზამ სწორედ იმხანად ლონდონში ინახულა ტალეირანი): „ტალეირანი უფრთხილდებოდა თავის რეპუტაციას და ისტორიის შესახებაც კი ფიქრობდა. ის იყო ვაჟკაცური, გულადი, პატრიოტი. რა დასანანია, რომ ყოველივე ამას სიზარმაცის ჩვევა თუ ფარული კორუფციები აფუჭებდა და აქარწყლებდა მასში დროდადრო!“ ფრანგული სიტყვა „les corruptions“ რამდენიმე ნიუანსს მოიცავს ამ მცნებებისას და ყოველთვის როდი უდგება ძალზე კონკრეტული ქართული სიტყვა: მოსყიდვა, მომსყიდველობა. შესაძლოა, აქ უფრო შესაფერი იყოს ამგვარი თარგმნა: ბიწი, ბიწიერება, გახრწნა, გარყვნილება. ყოველ შემთხვევაში, თუ შარლ რემიუზას, საკმაოდ ჭკვიან პოლიტიკურ მოღვაწეს, შემდგომში ლუი-ფილიპეს მინისტრს, სცოდნოდა, სახელდობრ რაგვარი „ფარული კორუფციები“ მოქმედებენ საფრანგეთის ლონდონელ ელჩზე თვით ამ მომენტშიაც, - იგი უთუოდ, აწმყო და არა წარსული დროით ილაპარაკებდა მათზე, და არც ისე აღფრთოვანდებოდა „თავისი რეპუტაციის მომფრთხილებელ და „ისტორიაზე მოფიქრალ“ თავად ტალეირანის „პატრიოტიზმით“. რეპუტაციისათვის ზრუნვის დაწყება გვიანდა იყო ოთხმოცი წლის დიპლომატისათვის, მაგრამ ინგლისურ გირვანქებს კი იგი მართლაც ყოველთვის დიდ პატივს სცემდა, და ეს სიყვარული მასში განსაკუთრებით სწორედ 1832 წელს გაძლიერდა, როცა მათი კურსი მაღალი იყო საფონდო ბირჟაზე: ოცო ათასი გირვანქა იმ მომენტში ნახევრ მილიონ ფრანკზე მეტს უდრიდა ოქროთი. „ფიქრობდა თუ არა“ იგი „ისტორიის“ შესახებ? აქ შარლ რემიუზამ აშკარა ცილი დასწამა განსვენებულს.

როგორც დავინახეთ, მომხდარა, რომ თავად ტალეირანს ხელი მიუყვია ისტორიული დოკუმენტების ქურდობისათვის და მეტად სარფიანად ჩუმად უცხოელი მყიდველებისათვის მიუსაღებია, როგორც მაგალითად მეტერნის გაუკეთა. ისეც ხდებოდა, რომ იპარავდა და სპობდა დოკუმენტებს. თუ ასეთებს დაუყოვნებლივ, უშუალო ვნების მიყენება შეეძლოთ მისთვის: სწორედ ამგვარად გაანადგურა, მაგალითად, ენგიენის ჰერცოგის დატუსაღებისა და დასჯის დოკუმენტები. მაგრამ არსად არ არის აღნიშნული, დაინტერესებულიყო რას იტყვიან მის შესახებ „ისტორიის“ საარქივო დოკუმენტები ასი-ორასი წლის შემდეგ.

ასეთი იყო ეს „ინტიმური დეტალები“ ტალეირანის ყოფაქცევისა „ბელგიის საკითხში“.

ამ სრულიად ახალმა დოკუმენტურმა აღმოჩენამ შესაძლოა ისინიც კი გააკვირვოს, ვისაც, თითქოს, აღარაფერი შეიძლება აკვირვებდეს თავად ტალეირანში. მილიონერი, საფრანგეთის საგანგებო და სრულუფლებიანი წარმომადგენელი, ცალი ფეხით სამარეში მდგომი ადამიანი, განაგრძობდა და განაგრძობდა მისთვის სრულიად ურგები ქრთამების აღებას, - ალბათ, უბრალოდ ჩვეულების ძალით, როგორც სხვები სიბერემდე ვერ ანებებენ თავს საყვარელ სპორტს, - როგორც გლადსტონი, მაგალითად, ოთხმოცი წლის ასაკამდე აპობდა შეშას ან, როგორც კანტი, ღრმა მოხუცებამდე ბეჯითად სეირნობდა ყოველდღიურად ყოველგვარი ამინდის გარეშე.

ფრანგი პატრიოტები (ასეთები მაშინ, განსაკუთრებით, რესპუბლიკელები იყვნენ) გააფთრებით ესხმოდნენ თავს ტალეირანს (თუმცა ლონდონში მისი ყოფაქცევის მთელი ეს დეტალები არც კი იცოდნენ) იმის გამო, რომ არ სურდა ბელგია საფრანგეთისათვის შეეერთებინა, მაშინ როცა ბელგიელებს ეს თითქოს სურვებოდათ. „განსახიერებულმა სიცრუემ, ცოცხალი ფიცის გამტეხობამ, მოუწანიებელმა იუდამა, ყველა გაყიდა - ღმერთი, რესპუბლიკა, იმპერატორი, მეფენი“, - ასე წერდნენ მის შესახებ ლექსად თუ პროზად ფრანგული ოპოზიციური ორგანოები 1831-1832 წლებში, როცა ბელგიის საკითხი წყდებოდა. პარიზში უამრავი კარიკატურა იბეჭდებოდა და ვრცელდებოდა მის შესახებ (ამავე წლებში და ისევ და ისევ ბელგიის საკითხის გამო); მის გამოსახულებათა ქვეშ ასეთ „განცხადებებს“ ათავსებდნენ: „ტალეირანი, მეტსახელად მზესუჭვრიტა (ყოველთვის მზისკენ უჭირავს პირი), ამზადებს ალიკაპებს, ჯაჭვებს და ცენზურებს, ადგენს ნაკვესებს, ეპიგრამებს, პროგრამებს და ეპიტაფიებს, ჰყიდის და ყიდულობს გვირგვინებს, როგორც ახლებს, ისე შემთხვევისამებრ, აკეთებს კონსტიტუციებს, ქარტიებს, რესტავრაციებს, საწყობში აქვს ყველა ფერის კოკარდები, დროშები და ლენტები. თანახმაა საზღვარგარეთ გამგზავრებაზეც“.

ტალიერანი საბოლოოდ დარწმუნდა იმაში, რომ მხოლოდ ინგლისთან კავშირით შეიძლება ბელგიის საკითხის გადაწყვეტა ისე, ბელგია საფრანგეთისაგან განთავისუფლდეს, ხოლო ინგლისთან კავშირი ამ საქმეში შესაძლებელია მხოლოდ იმ პირობით, თუ საფრანგეთი არ ეცდება ბელგიელთა დამოუკიდებლობის ხელყოფას. ერთი რამ კი ტალიერანს არაგზით არ უნდოდა დაეშვა, ეს - ბელგიის დაბრუნება ჰოლანდიის ბატონობის ქვეშ. ბოლოს, მიუხედავად რუსეთის, ავსტრიისა და პრუსიის ბეჯითი წინააღმდეგობისა, მან შეძლო ბელგიის დამოუკიდებლობის აღიარებისათვის მიეღწია. და მაშინვე მოსთხოვა ბელგიის ახალ მთავრობას მოეშალათ ყველა სიმაგრენი, რომელნიც ჰოლანდიის მთავრობას საფრანგეთის საზღვარზე აეგო ვენის კონგრესის შემდეგ, რისთვისაც დიდმა სახელმწიფოებმა საჭირო ხარჯების გასაწევად თავის დროზე ორმოცდახუთი მილიონი ფრანკი მისცეს ჰოლანდიას. მაშინ ეს გაკეთდა საფრანგეთისაგან თავდაცვის მიზნით. ეხლა, ტალიერანის მოთხოვნით, ბელგიის მთავრობამ დაანგრია ეს სიმაგრეები.

ტალიერანისეული დიპლომატიის ამ ბრწყინვალე წარმატებამ იმდენად აამაღლა იგი ლუი-ფილიპეს თვალში, რომ იყო ლაპარაკი მისი პირველ მინისტრად დანიშვნაზე (1832 წ. მაისში კაზიმირ პერიეს გარდაცვალების შემდეგ), მაგრამ ძველმა თავადმა გადაწყვიტა, რომ ლონდონში მეტი სიმშვიდე ექნებოდა. 1832 წელს მოუხდა ახალი საქმის გატანა: საიდუმლოდ (თუმცა ეს საიდუმლო საკმაოდ გამჭვირვალე იყო) ნიკოლოზ პირველისაგან შეგულიანებულმა ჰოლანდიის მეფემ გადაწყვიტა ძალით გაეწია წინააღმდეგობა სახელმწიფოთა დადგენილებისათვის და არ დაეთმო ანტვერპენი, რომელიც ჯერ კიდევ მისი ხელისუფლების ქვეშ იმყოფებოდა. მაშინ ტალიერანი საგანგებო შეთანხმებით შეეკრა პალმერსტონს: საფრანგეთის არმია ბელგიაში შევიდა და ხმელეთიდან შემოერთყა ანტვერპენს, ხოლო ინგლისის ფლოტმა ზღვიდან ჩაკეტა ის. რა თქმა უნდა, ანტვერპენი სულ მალე დანებდა. საფრანგეთმა და ინგლისმა ამით წიხლი ჩასცხეს ყოველივე იმას, რაც „საზღვაო კავშირისაგან“ ჯერ კიდევ რჩებოდა; სამმა აბსოლუტურმა მონარქიამ, თავიანთ მუქარათა მიუხედავად, ერთი პოლკის დამცრაც კი ვერ გაბედეს ჰოლანდიის მეფის მისაშველებლად. მაგრამ ბელგიის საქმე ჯერ კიდევ ანტვერპენის ჩაბარებამდე მოგვარდა. 1831 წ. 15 ნოემბერს დიდ სახელმწიფოთა წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას ბელგიის დამოუკიდებელი სამეფოს ცნობის შესახებ. 1832 წ. 23 იანვარს ბელგიის ახალმა მეფემ ლეოპოლდმა ხელი მოაწერა საფრანგეთის საზღვარზე არსებული ყველა ციხე-სიმაგრის დანგრევის ვალდებულებას, ხოლო 1832 წ. 5 მაისს ლუი-ფილიპემ და ტალიერანმა შვებით ამოისუნთქეს: თვით მრისხანე ბატონმა ჩრდილოეთისამ, ევროპის ჟანდარმმა ნიკოლოზ პირველმა რატიფიკაცია



მოახდინა „1831 წ. 15 ნოემბრის ხელშეკრულებისა“ და ამით სანქცია მისცა მისთვის საძულველი ბელგიის რევოლუციის შედეგს.

მაგრამ ჯერ კიდევ იქამდე, ვიდრე საბოლოოდ და ფორმალურად დასრულდებოდა ბელგიის საქმე, ინგლისის კაბინეტში ტალეირანისათვის ერთობ არასახარბიელო ცვლილება მოხდა: წავიდნენ კონსერვატორები, წავიდა ველინგტონიც, რომელსაც ერთადერთ კაცს ეძახდნენ დედამიწის ზურგზე, თავად ტალეირანის კეთილშობილება რომ სწამდა, და ხელისუფლების სათავეში მოვიდნენ ვიგები, ლიბერალები, რომელთაც ფორმალურად ღორდი გრეი მეთაურობდა, ხოლო ფაქტიურად ღორდი პალმერსტონი, საგარეო საქმეთა სამინისტროს სტატსმდივანი. პალმერსტონი კი სავსებით იზიარებდა „დედამიწის ზურგის“ აზრს: ტალეირანს იგი ყოველგვარი სიავის მოქმედ კაცად თვლიდა.

ზოგიერთი პირადი ხასიათის დაკვირვება საფრანგეთის წარმომადგენელზე, რომელსაც სამსახურებრივ მოვალეობათა გამო ხშირად ხვდებოდა ხოლმე, კიდევ უფრო განუმტკიცებდა მას ამ აზრს.

აი მაგალითად ერთ-ერთი დეტალი, რომელსაც პალმერსტონი შემდგომში ყოველთვის ღვარძლით იგონებდა.

უნდა ითქვას, რომ ტალეირანს ლონდონში უხვი ფარული შემოწირულობანი მოსდიოდა მათგან, ვისაც მისი დიპლომატიური დახმარება ეჭირვებოდა, მაგრამ ოთხმოცი წლის თავადი არც აქ ივიწყებდა მეორე, არანაკლებ სერიოზული შემოსავლის წყაროს: ბირჟაზე თამაშს, რასაც ყოველთვის გულმოდგინედ მისდევდა შემცვლელ პირთა მეშვეობით. მიემგზავრებოდა რა ლონდონს 1830 წელს, მან ჩვეული წინდახედულება გამოიჩინა და სპეციალურად საბირჟო მაქინაციებში მონაწილეობისათვის თან წაიტანა ვინმე მონრონი, რომელიც უკვე დიდი ხანია ეხმარებოდა მას სხვადასხვა საეჭვო საქმეებში. მკითხველს შევახსენებთ, რომ ჯერ კიდევ 1815 წელს რუსეთის ელჩის პოცო დი ბორგოს მიერ გრაფ ნესელროდესადმი გაგზავნილ ერთ-ერთ პატაკში ლაპარაკია ამ მონრონზე, ტალეირანის კლევრეტზე, როგორც სამრახისი რეპუტაციის ადამიანზე. აი როგორი ყოფილა, ღორდ პალმერსტონის თქმით, ამ მონრონის ფუნქცია ლონდონში, როგორც ამას სენტ-ბევი გადმოგვცემს ტალეირანის შესახებ დაწერილ თავის საგაზეთო სტატიებში: „ღორდი პალმერსტონი ამბობს, როცა ტალეირანი მეწვეოდა, სამსახურებრივი საქმეების გამო, კარეტაში თითქმის სულ მუდამ მონრონი ჰყავდა, რათა მისთვის სასწრაფოდ გადაეცა სასარგებლო მითითებანი თამაშისა და აჟიოტაჟისთვის (afin de lui expédier vite ses indications pour jouer et agioter)[152]“. საქმე ამრიგად ჩინებულად იყო ორგანიზებული:

ბრიტანეთის დიპლომატიის მეთაურთან და ფაქტიურად ბრიტანეთის მთავრობის პირველ კაცთან ლაპარაკიდან ტალეირანს შეეძლო ყოველ ხუთ წუთში შეეტყო უახლესი გადაწყვეტილებანი, გაეთვალისწინებინა მომავალი მოვლენები, რომლებიც ბირჟაზე მხოლოდ მეორე დღეს ან, ყოველ შემთხვევაში, მხოლოდ რამდენიმე საათის შემდეგ თუ შეიძლებოდა გამხდარიყო ცნობილი. მონრონი ტალეირანისაგან შესაბამის საბირჟო ორდერებს იღებდა ჩუმად, მიემურებოდა ბირჟაზე, ასრულებდა ორდერებს, წამშივე უკან ბრუნდებოდა და სრულ მზადყოფნაში იყო, ხელმეორედ გაქცეულიყო იმავე კარეტით ბირჟაზე, თუ ვინცობაა მისი არყოფნის დროს ტალეირანი მოახერხებდა კიდევ რაიმე სასარგებლო და ჯერ ყველასათვის უცნობი ახალი ამბები გამოეტყუებინა პალმერსტონისათვის. ცხადია, დაკვირვებული ინგლისელისათვის ბოლოსდაბოლოს, სავსებით ნათელი შეიქნა მთელი ეს უცნაური მანიპულაციები მისი მხცოვანი მოდარბაზისა, რომელიც ვერ ისვენებდა ადგილზე, და საიდუმლო სწრაფი გადაადგილებანი თავადის კარეტით წინ და უკან მოწრიალე მონრონისა. ამან ისე განაცვიფრა პალმერსტონი, თუმც ის არ იყო ჩვეული გაკვირვებას, რომ დაინტერესებულმა მილორდმა სამუდამოდ დაიხსომა საფრანგეთის სრულუფლებიანი და საგანგებო ელჩის ეს ოინები. მაგრამ იქ, სადაც საქმე შემოსავალს ეხებოდა, ბენევენტის დიდებულ თავადისთვის აბსოლუტურად სულ ერთი იყო, რა შეეძლოთ ეფიქრათ მასზე. ანდა ვინ მოსთვლის, რამდენი ამაზე უფრო უარესი რამ ჩაუდენია თავის სიცოცხლეში...

რა თქმა უნდა, პალმერსტონის პირად შეხედულებას თავად ტალეირანის მორალურ თვისებებზე არ შეეძლო განსაკუთრებული როლი ეთამაშა ინგლისის საფრანგეთთან დაახლოების საკითხში. მაგრამ უღრმესი უნდობლობა საფრანგეთის ელჩისადმი, რასაც პალმერსტონი განიცდიდა, მაინც ახდენდა შემაფერხებელ გავლენას. „მე და ლორდი პალმერსტონი უკვე ვეღარ ვეწყობით ერთმანეთს, მე და ლორდი პალმერსტონს თვალში აღარ მოგვდის ერთმანეთი“, - სწერდა ტალეირანი ლონდონიდან 1834 წელს მეფე ლუი-ფილიპეს დას ადელაიდას, რომელთანაც მუდმივი საქმიანი და მეგობრული მიმოწერა ჰქონდა.

დარია ქრისტეფორეს ასული ლივენი, მეუღლე რუსეთის ლონდონელი ელჩისა, სწერდა თავის ძმას, ა. ქ. ბენკენდორფს, „პალმერსტონის მტრობა სრულიად ადამბლავებს ტალეირანსო.“ მაგრამ მას, ჭკვიანსა და საქმეებში მეტად ჩახედულ ინტრიგან ქალს, არ გამოჰპარვია მხედველობიდან, რომ ტალეირანმა შესძლო რამდენიმე მეტად გავლენიანი მფარველი გაეჩინა ინგლისის კაბინეტში: „ლორდი გრეი აღმერთებს მას, ლორდ პალმერსტონს ეჯავრება იგი, ლორდი ჰოლენდი ამცნობს მთავრობის ყველა საიდუმლოს“. და თუმცა პალმერსტონმა თავისი

მტრობით „დაადამბლავა“ კიდეც საფრანგეთის ელჩი, - მაგრამ, ჩანს, ეს „დამბლა“ მაინც, ასე ვთქვათ, ნაწილობრივი იყო და არა სრული. იმავე პალმერსტონისათვის მაინც ნათელი იყო, რომ ერთგვარი დაახლოება საფრანგეთთან ნაკარნახევია ინგლისის დამაბუღელი ურთიერთობით ნიკოლოზ პირველთან, რაც აღმოსავლეთის საკითხის გამწვავებამ გამოიწვია. ამიტომაც მას მოუხდა თავად ტალეირანთან ერთად ხელი მოეწერა ინგლისისთვისაც და საფრანგეთისთვისაც საჭირო შეთანხმებაზე, რომელიც მიზნად ისახავდა ესპანეთისა და პორტუგალიის მთავრობების დაცვას პრეტენდენტთა მუქარისაგან. ხოლო ტალეირანი უკვე დიდი ხანია დაბეჯითებით არწმუნებდა მეფე ლუი-ფილიპეს და ყველა მინისტრს, რომლებიც ლონდონში მისი ელჩად ყოფნის პერიოდში იცვლებოდნენ, ხსნა საფრანგეთისა და განსაკუთრებით ლუი-ფილიპეს დინასტიისა - სწორედ ინგლისთან მჭიდრო კავშირშიაო. და მეტად კმაყოფილი დარჩა, როცა შემლო (1834 წ. 22 აპრილს) პირინეის ნახევარკუნძულთან დაკავშირებული უაღრესად მნიშვნელოვან საკითხებზე ხელი მოეწერა კონვენციაზე ინგლისთან, ესპანეთთან და პორტუგალიასთან. მტრული სახელმწიფოების დიპლომატებსაც კი უკვირდათ ამ სუსტი, ოთხმოცი წლის ბერიკაცის ნიჭი და ენერგია. იგივე დარია ქრისტეფორეს ასული ლივენი, რომელიც თავის მეუღლეზე გაცილებით უფრო ჭკვიანი იყო და დავალებული ჰქონდა თავისი ძმის, ჟანდარმთა შეფის გენერალ ბენკენდორფის საშუალებით პირადად სისტემატურად ეწოდებინა ცნობები ნიკოლოზისათვის ყოველივე იმის შესახებ, რაც ლონდონში ხდებოდა, წერდა ტალეირანზე იმ ბრწყინვალე დიპლომატიურ წარმატებათა გამო, რომელთაც ის ამ დროს აღწევდა: „არ დაიჯერებთ, რამდენი კარგი და საღი დოქტრინა აქვს მმართველობის ამ ყველა ფორმის მიმდევარს, ამ განსახიერებას ყოველგვარი ბრწყინვალეებისა. ეს საინტერესო ქმნილებაა; შეგიძლია მრავალი რამ ისწავლო მისი გამოცდილებიდან, ბევრი რამ მიიღო მისი გონებისაგან, ოთხმოცი წლის ასაკში ეს გონება სავსებით მოუბერებელია... მაგრამ ეს არის დიდი თაღლითი - (c'est un grand coquina“), - შენიშნავს ქალბატონი ლივენი. მან ფრთიანი სიტყვა თქვა იმის შესახებ, რომ ჰერცოგ ველინგტონს არ ემარჯვება „პორტრეტები“: ველინგტონის აზრით თავადი პოლინიაკი ჭკვიანი ადამიანია, ხოლო ტალეირანი - პატიოსანია.

მოხუცი ფიზიკურად უძლურდებოდა. 1834 წ. ნოემბრის დამლევს სამსახურიდან გასვლის ნება გამოსთხოვა ლუი-ფილიპეს. თავადმა ტალეირანმა, მისივე თქმით, ლონდონში ელჩად ყოფნის მანძილზე მოასწრო „ივლისის რევოლუციისათვის მოქალაქეობრივობის უფლება მოეპოვებინა ევროპაში“, განუმტკიცა ტახტი ლუი-ფილიპეს, ხელი შეუწყო ბელგიის დამოუკიდებელი სამეფოს შექმნას. სამოცდაექვსი წლისა შეუდგა თავისი გრძელი და შესანიშნავი ცხოვრების უკანასკნელ გასარბენს და ოთხმოცი წლისამ დაამთავრა.

ის განმარტოვდა თავის დიდებულ ვალანსესეულ ციხე-კოშკში, რომელსაც სიდიდისა და საარაკო მდიდრული მოწყობილობის მხრივ ბევრი ევროპელი მონარქის სასახლე ვერ შეედრებოდა; და იქ დამშვიდებით, ზედმეტი ცნობისმოყვარეობისა და უსარგებლო მღელვარებათა გარეშე, როგორც ეს საერთოდ ყოველთვის და ყველაფერში სჩვეოდა, დაუწყო ლოდინი იმ გარდაულახავი ძალის მოსვლას, რომლის წინააღმდეგ საბრძოლველად უკვე მისი ემშაკობაც კი აღარ კმაროდა (როგორც ამას გესლიანად შენიშნავს მისდამი მტრულად განწყობილი ერთი პუბლიცისტი). „მე არც ბედნიერი ვარ, არც უბედური... - წერდა თავისი სიცოცხლის ამ უკანასკნელ წლებში, - თანდათან ვუძღურდები და... კარგად ვუწყი, რით უნდა დამთავრდეს ყოველივე. ეს არც მანაღვლებს და არც მაშინებს. ჩემი საქმე მორჩა. მე დავრგე ხენი, ავაგე სახლი, ბევრი სხვა სისულელეც ჩავიდინე. ხომ დროა დავამთავრო?“ ცოლი გარდაეცვალა. მასთან მუდმივად ცხოვრობდა მისი ნათესავი, ჰერცოგის ქალი დინო, ინტიმური და ყველაზე ახლობელი ადამიანი მისთვის. „კანონიერი“ შვილები მასზე არ ირიცხებოდა. ტალეირანის ვაჟს ქალბატონ დელაკრუასაგან, უკვე ოციანი წლებიდან სახელმოხვეჭილ ფრანგ მხატვარს ეჟენ დელაკრუას, ნაკლები ურთიერთობა ჰქონდა მამასთან და მალავდა თავის წარმომავლობას.

ტალეირანი სრულ განმარტოებას და სიმშვიდეს ეძებდა. მისი ანგარება უკვე დაკმაყოფილებული იყო, პატივმოყვარეობა არ აწვალებდა. საქმეებისაგან საბოლოოდ ჩამოშორების შემდეგ ბირჟაზე თამაშიც კი მიატოვა. გაზეთებში, ცალკეულ პამფლეტებში, ილუსტრაციებში გამუდმებით იხსენიებოდა მისი სახელი, სხვადასხვაგვარად აფასებდნენ მის ხანგრძლივ მოღვაწეობას, მისი საოცარი არსებობის ცალკეულ ფაზებს. მაგრამ თავადი არ კითხულობდა ამ აურაცხელი სტატიების უმრავლესობას, ხოლო როცა კითხულობდა, არასდროს ამბობდა რაიმეს საწინააღმდეგოს, და საერთოდ არანაირად არ რეაგირებდა.

დუმილით აუარა გვერდი თავისი თავის იმ ცნობილ დახასიათებასაც, რომელიც „Revue des deux mondes“-ის 1834 წ. ოქტომბრის წიგნაკში წაიკითხა: ეს სტატია ჟორჟ სანდს ეკუთვნოდა და სათაურად „თავადი“ ერქვა. გვარი არ იყო მოხსენიებული, მაგრამ შინაარსი ყველაფერზე თავისთავად ღაღადებდა. კურიოზულია, რომ თვით სტატიის დაწერის საბაზი ვალანსეს ციხე-კოშკის ნახვა გახდა, რომელსაც ჟორჟ სანდი და ალფრედ დე მიუსე ღირსშესანიშნაობათა დასათვალიერებლად ეწვივნენ (ტალეირანი ნებას რთავდა მოგზაურებს დაეთვალიერებინათ მისი საქვეყნოდ განთქმული მდიდრული პალატები, თუმცა თავის საცხოვრებელ ოთახებში არავის უშვებდა სანახავად). ამ დიდებულ დარბაზებში ისეთ ტრაგიკულ მოგონებათა სუნი ტრიალებდა, რომ ჟორჟ-სანდმა თავი ვერ შეიკავა უმძაფრესი ფილიპიკისაგან:

„არასდროს ეს გული კეთილშობილურ საქმისათვის არ აღგზნებულა, არასდროს ამ დაულალავ ტვინში ერთი წესიერი აზრიც არ გაჟაჟანებულა, ეს კაცი - გამონაკლისისა ბუნებაში, ის ისეთი იშვიათი საძაგლობაა, რომ ადამიანთა მოდგმა, თუმცა ზიზღს გრძნობდა მისდამი, მაინც სულელური აღტაცებით შესცქეროდა“. მწერალ ქალს ტალეირანის გარეგნობაც კი სძაგს, სძულს მისი სახის ზიზღნარევი, ქედმაღალი და გამომწვევი გამომეტყველება; სულერთიანად მის წარსულზე და იმაზე ფიქრითაა შეპყრობილი, რატომ ვერ სძლებდა უმისოდ საფრანგეთის ვერც ერთი მბრძანებელი: „ნეტა რომელი სისხლიანი ომები, რა საზოგადოებრივი უბედურებანი, რა სკანდალური მძარცველობანი აგვაცდინა მან თავიდან: მაშასადამე, ასე აუცილებელი ყოფილა ის, ეს ავხორცი და პირმოთნე ადამიანი, თუ ყველა ჩვენი მონარქი, ამაყ დამპყრობელიდან დაწყებული გონებაშეზღუდული ფარისევლით დამთავრებული, თავს გვახვევდა მისი აღზევებით გამოწვეულ შერცხვენასა და თავლაფდასხმას“.

ჟორჟ სანდისათვის საზიზღარია საზოგადოდ თვით დიპლომატია, თუ ის ტალეირანის მოქმედებათა გამართლებას ემსახურება. „რა სამარცხვინო უხამსობათ (turpitudes honteuses) ფარავს დიპლომატიის ბრწყინვალე მოსახსამი?“ - კითხულობს ჟორჟ სანდი. და ის, ჭეშმარიტი წარმომადგენელი მაშინდელი რომანტიზმისა, სწორედ ტალეირანთან დაკავშირებით იმეორებს ფრანგულ პროზად გარდათქმულ ცნობილ ლექსს, რომელიც მისი გერმანელი თანამედროვის - ჰაინესეულია:

„გულმართალ კაცს, ჯვარის მტვირთველს, რად გადასდის სისხლის ღვარი?

სახელ-პატივს რარიგ იმკის ყველგან ფლიდი და მზაკვარი?“

ამ სიტყვების გამოძახილია ჟორჟ სანდის შემდეგი მიმართვა ტალეირანისადმი: „დაე შეჩვენდეს ეს მტერი კაცობრიობისა, რომელიც დაეუფლა ადამიანებს მარტო იმისათვის, რათა მოეხვეჭა სიმდიდრე, დაეკმაყოფილებინა თავისი ბილწი მიდრეკილებანი და ჩაეგონებინა მისგან გაბრიყვებულ-გაყვლეფილი ადამიანებისათვის მათი დამამცირებელი აღიარება მისი მრუდე ტალანტებისა (de ses unique talents). კაცობრიობის კეთილისმყოფელნი კვდებიან დევნილნი და ჯვარცმულნი... შენ კი, ბებერო ძერავ, მოკვდები შენსავე ბუდეში, წყნარი სიკვდილით, სინანულით გარემოსილი!“...

ტალეირანი შეეჩვია ასეთ ტონს; მასზე იშვიათად თუ წერდნენ სხვაგვარად მის სიცოცხლეში, იმ პერიოდში, რა თქმა უნდა, როცა საფრანგეთის პრესა ცოტა ოდნავ მაინც იყო თავისუფალი. და თითქმის ყოველთვის შეინიშნებოდა გაორება დამწერთა განწყობილებაში: უცილობელი, უსიტყვო ზიზღი ხასიათისადმი, სრული უსინდისობისადმი, - „და ასეთივე უსიტყვო თაყვანისცემა, თუმცა არა ყველას მხრივ,

მისი გონებრივი მონაცემებისადმი, დიპლომატიურ სარბიელზე გამოვლენილი მისი ემპატიისა, გაქნილობისა და მოხერხებულობისადმი“. ტალეირანი წინანდებურადვე მეტად „ფილოსოფიურად“ ეკიდებოდა ყოველივე იმას, რაც მის შესახებ იწერებოდა, და ჟორჟ სანდის ამ პორტრეტულმა ფერწერამაც კი ხანმოკლედ და ისიც ძალზე უმნიშვნელოდ დაანაღვლიანა.

უნდა შევნიშნოთ, რომ თანამედროვეებს, რომლებმაც უკვე ერთობ კარგად იცოდნენ თავად ტალეირანის ფულად ონავრობათა ამბავი, მაინც წარმოდგენა არ ჰქონდათ იმაზე, რაც მისი სიკვდილიდან უკვე კარგა ხნის შემდეგ თანდათანობით, დროდადრო ხდებოდა ცნობილი ისტორიისათვის, ავიღოთ თუნდაც იგივე სახელგანთქმული სტენდალი, ნაპოლეონის ომების მონაწილე, მოაზროვნე, სკეპტიკური დამკვირვებელი, შესანიშნავი ანალიტიკოსი. ის მარსელში იმყოფებოდა იმ დროს, როცა ხელში ჩაუვარდა გაზეთი „Journal des Debats“-ის 1838 წ. 21 მაისის ნომერი, საიდანაც შეიტყო ტალეირანის სიკვდილი. იგი საწერად ჯდება მაშინვე და თავის შავად ნაწერ შენიშვნებში პატარა სტატიას ტოვებს ტალეირანის შესახებ პირველად გამოქვეყნდა 1926 წელს). ამ ხელნაწერის შავის თავზე დამახასიათებელი სიტყვებია, რომლებიც გვიჩვენებს, რომ სტენდალი გაულიზიანებია გაზეთის ნეკროლოგში ამოკითხულ მაღალფარდოვან ცრუ ხოტბას ტალეირანისას: „გამახელა „Debats“-ის მყვირალა ფრაზებმა“, ბოლოში, სტატიის კიდებზე, კიდევ უფრო მკაფიო ჩანაწერია: „მყვირალა ფრაზების გამო აღშფოთებისაგან“. მოსალოდნელი იყო, რომ ამგვარი განწყობილებით გამსჭვალული სტენდალი სახელგანთქმული დიპლომატის მრავალგვარ ცოდვათა მამხილებელ უღმრთელო, მიუდგომელ შეფასებას დაწერდა. მაგრამ სრულებითაც არა: „ბ-ნ ტალეირანი იყო კაცი უსაზღვროდ ჭკვიანი და მუდამ შეჭირვებული უფულობის გამო. ამ მხრივ ჭეშმარიტი დიდებული იყო (un vrai grand seigneur). თავის საქმეებში არ ჰქონდა არავითარი წესრიგი, არც სიფრთხილე. იყო დახვეწილი ფრიად, ილუზიებისა და ყოველგვარი ვნებების მიღმა მდგარი. ჰქონდა ერთი ვნება ოდენ: შეენახა სახლი ხელგაშლით და ეცხოვრა ისე, ვით შემწვანის მაღალ წარმომავლობის პირს...“ ასე იწყება ეს პატარა დახასიათება. ამას მოსდევს საკმაოდ ზერელე, სტენდალისათვის უჩვეულო შენიშვნები და შედარებანი, მსუბუქი ანეგდოტები იმის შესახებ, თუ როგორ ვარცხნიდნენ თავადს კუაფერები, სავსებით მცდარი მითითება - თითქოს ტალეირანს „ეიძულებინოს“ შეშინებული მონარქები ვენაში, ამხედრებულიყვნენ კ. ელბიდან დაბრუნებული ნაპოლეონის წინააღმდეგ და ა.შ. მერე კვლავ ანეგდოტები იმის თაობაზე, თუ როგორი კეთილი მოპყრობა სჩვეოდა თავადს ხელქვეითებისადმი, მსახურებისადმი - და მეტი არაფერი. უნდა შევნიშნოთ, რომ სტენდალმა ამ უმნიშვნელო სტრიქონების ანონიმურად დაბეჭდვაც კი ვერ გაბედა, ისე გადაუძახა სტატია შავი ქაღალდების გროვაში. სავსებით ცხადია,

სტენდალს რომ სცოდნოდა ყველაფერი ის, რაც შორეული შთამომავლობისთვის გახდა ცნობილი ტალეირანზე, არ ილაპარაკებდა ასეთი გულუბრყვილო ტონით. კურიოზულია, რომ ტალეირანის არაკეთილსინდისიერების ერთადერთი მაგალითი, რომელიც სტენდალს მოაქვს (ესპანეთისათვის დაკისრებული კონტრიბუციის შესახებ), სწორედ შემთხვევით აღმოჩნდა ფაქტიურად დაუსაბუთებელი. თუმცა სტენდალი აქ მხოლოდ გადაკრული ლაპარაკით იფარგლება. მაგრამ თავის სტატიაში ის მართებულად მიუთითებს იმ გამხრწნელ ზემოქმედებაზე, რაც ირიბად მოახდინა საზოგადოებაზე ტალეირანმა; „მორალური თვალსაზრისით ცუდი მხარე სკაპენის ამ ხანგრძლივი სიცოცხლისა ის არის, რომ ეხლა, მოსამსახურე კაცი მოიპარავს თუ არა ას ლუიდორს, იმის მაგიერ, შიშობდეს, ვაითუ გალერებზე გამგზავნონო, ამბობს: „რა მოხდა მერე, მე ბ-ნ ტალეირანს ვბამავ“. სკაპენი, რომელთანაც სტენდალი ტალეირანს აიგივებს, მოლიერის კომედიის გმირია; იგი ბევრს და მოხერხებულად თაღლითობდა, მაგრამ მაინც სიზმრადაც არ მოლანდებია ყოველივე იმის გაკეთება, რასაც ბენევენტის თავადი სჩადიოდა. სხვა იყო მასშტაბი, სხვა იყო ფსიქოლოგიაც და არც მსოფლიო ისტორიის არენაც წარმოადგენდა სკაპენის სასაცილო ცუდლუტობის სარბიელს. გაგაჩნდეს სკაპენის თვისებებიც, სულაც არ ნიშნავს იყვე მხოლოდ სკაპენი...

ჟორჟ სანდი მხოლოდდამხოლოდ მორალური თვალსაზრისით სჯიდა ტალეირანის შესახებ. მასთან თითქმის ერთდროულად გამოთქვა თავისი აზრი ტალეირანზე ლუდოვიკ ბერნემ, გერმანიის რადიკალური ბურჟუაზიის ახალგაზრდა ბრწყინვალე პუბლიცისტმა, რომელიც უარყოფს ამ შემთხვევაში წმინდა მორალისტური მიდგომის თვით გონივრულობასაც კი. ის შეფასებას აძლევს სახელგანთქმული დიპლომატის მოღვაწეობის მხოლოდ ობიექტურ შედეგებს - და აძლევს მაღალ შეფასებასაც. ამ თავისებურად შესანიშნავ ადგილს მკითხველი ლუდვიგ ბერნეს ოცდამეჩვიდმეტე წერილში იპოვის, რომელიც 1831 წ. 24 თებერვალსაა გაგზავნილი პარიზიდან[153]. „...ახალ ტალეირანზე. მე არასდროს მინახავს იგი, სურათიც კი. ბრინჯაოს სახე, მარმარილოს დაფა, რომელსაც რკინის ასოებით აწერია აუცილებლობა. ჩემთვის ყოველთვის გამოუცნობი იყო, რატომ ასე ნაკლებად გაეგებოდათ მისი ყველა დროის ადამიანებს! რომ კიცხავდნენ, ეს კარგია, მაგრამ უბადრუკია; სათნოა, მაგრამ არაგონივრული; ეს კიცხვა პატივს დებს კაცობრიობას, მაგრამ არა ადამიანებს. ტალეირანს უსაყვედურებდნენ, რომ ის თანამიმდევრულად ღალატობდა ყველა პარტიას, ყველა მთავრობას. ეს მართალია: ლუდოვიკო მეთექვსმეტისაგან იგი რესპუბლიკელებთან გადავიდა, მათგან - დირექტორიასთან, ამ უკანასკნელისაგან - კონსულებთან, კონსულებისაგან - ნაპოლეონთან, მისგან - ბურბონებთან, ბურბონებისაგან - ორლეანელებთან, და, შესაძლოა, სიკვდილამდე

ხელახლა გადავიდეს ლუი-ფილიპესაგან რესპუბლიკელებთან. მაგრამ ის სულაც არ ღალატობდა მათ: მხოლოდ ტოვებდა, როცა კვდებოდნენ. ის სარეცელთან ეჯდა ყოველი დროის, ყოველი მთავრობის ავადმყოფობას, ხელთ ეპყრა მაჯა და ყველაზე ადრე ტყობილობდა, როდის წყვეტდა მათი გული ძგერას. მაშინ ის მიცვალებულისაგან მემკვიდრისაკენ ისწრაფოდა, სხვები კი ერთხანს კიდევ განაგრძობდნენ გვამის მომსახურებას. განა ეს ღალატია? ნუთუ ტალეირანი იმიტომაც სხვებზე უარესი, რომ იგი მათზე ჭკვიანი, მტკიცე და გარდაუვალის მორჩილია? სხვათა ერთგულება უფრო მეტ ხანს როდი გრძელდებოდა, მათი ცდომა იყო მხოლოდ უფრო ხანგრძლივი. ტალეირანის ხმას მუდამ ყურს მივუგდებდი, როგორც ბედის ნიშანს. მახსოვს როგორ შემეშინდა, როცა ელზიდან ნაპოლეონის დაბრუნების შემდეგ ლუდოვიკო მეთვრამეტის ერთგული დარჩა. ეს ნაპოლეონის დაღუპვას მოასწავებდა. გამიხარდა, როცა თავი ორლენელების მომხრედ გამოაცხადა: აქედან დავასკვენი, ბურბონების საქმე გათავებულია-მეთქი. მე ვისურვებდი ამ კაცს ჩემთან ეცხოვრა ოთახში: კედელთან მივაყუდებდი ბარომეტრით, აღარ წავიკითხავდი გაზეთებს, აღარ გავიხედავდი სარკმელში და ისედაც ყოველდღიურად მეცოდინებოდა, როგორი ამინდი ტრიალებს ქვეყანაზე.“

სტენდალისათვის ტალეირანი მდაბალ ადამიანსა და გამცემელს წარმოადგენდა. „პარიზელი ხალხი (ამბობს ერთ-ერთი მისი გმირი) ყურს რომ მოჰკრავს რაიმე სიმდაბლის ან სარფიანი ღალატის ამბავს, წამოიძახებს: აი შესანიშნავი ტალეირანისებური ოინი. და აღტაცებულია[154]“. მაგრამ სტენდალში, ისე როგორც ბევრ იმათგანში, რომლებიც ტალეირანის შესახებ წერდნენ იმ დროს, ერთიმეორეს ებრძვის ამ კაცის დიდი ნიჭის აღიარება და სრული ზიზღი მისი „მორალისადმი“. და ძნელი სათქმელია, რომელ ეპითეტს უფრო ხშირად ხმარობს სახელგანთქმული ფრანგი მწერალი ტალეირანის მიმართ; „გენიოსს“ (un genie, un vaste genie) თუ „ფლიდს“. (le conguin). „არ ძალმიძს ისეთ ადამიანებთან ცხოვრება, რომლებსაც ფაქიზი აზროვნების უნარი არ შესწევთ, რაც უნდა სათნოებით სავსე იყვნენ ისინი... ათასწილ ვამჯობინებდი გარყვნილი სასახლის ნატიფ ზნე-ჩვევებს. ვამინგტონი ალბათ საძაგლად მომაბეზრებდა თავს და მირჩევნია, ისევ ბ. ტალეირანთან ერთად აღმოვჩნდე ერთ სალონში“ - ამბობს სტენდალის ერთ-ერთი გმირი[155].

ტალეირანში სტენდალი ხედავს თავისებურ პოლიტიკურ „ფილოსოფოსს“, რომელიც აშკარად ემსახურება მხოლოდ იმათ, ვინც ფულს უხდის და კეთილდღეობას უქმნის მას. ხოლო სახალხო კეთილდღეობაზე ამ დროს ლაპარაკობენ „მხოლოდ ბრიყვები ან ფარისევლები“. შეუძლებელია ერთსა და იმავე დროს მმართველის კეთილდღეობასაც ემსახურობდე და ხელქვეითებისასაც, „ფიქრობდე, რომ მწყემსისა და ცხვრის



ინტერესები თანხვედნილია“. ტალეირანსაც არასოდეს უფიქრია ეს: „მოცემული პირი მიხდის ფულს და უზრუნველყოფს ჩემს სვე-ბედნიერებას. მე ვეხმარები მას და დანარჩენს არავითარ ყურადღებას არ ვაქცევ (et je me fiche du reste), თითოეული თავისთვის. მე კმაყოფილი ვარ... ასეთია ტალეირანისა და ბევრი სხვა ჭკვიანი ადამიანის განსჯა“. - ამტკიცებს სტენდალი[156]. ყოველ შემთხვევაში, ეს ფსიქოლოგიური მიგნება დამაკმაყოფილებლად უხსნის ტალეირანის მთელ საქციელს.

სიცოცხლის ბოლო წლებში ტალეირანი გულახდილი (და ნაღვლიანი) მხოლოდ მაშინ იყო, როცა მარტოდმარტო რჩებოდა თავის თავთან, იმ გამონაკლის მომენტში, როცა ღამეული კაემანი აიძულებდა ფანქარი აეღო ხელში.

„აი განვლო კიდევ ოთხმოცდასამმა წელიწადმა... რამდენი საზრუნავი გამოვიარე. რამდენი მღელვარება. რამდენი დავნერგე ბოროტი სურვილები. და ყოველივე ამის შემდეგ არარა სხვა, გარდა დიდი ფიზიკური და მორალური დაღლილობისა, გარდა ღრმა სულიერი დაცემულობისა მომავლის წინაშე და ზიზღისა წარსულისადმი“. ასე წერდა სარეცელზე მიკრული ტალეირანი სიცოცხლის ბოლო ხანებში. წერდა მხოლოდდამხოლოდ თავისი თავისათვის. მიუთითებს რა ამ ფიქრებზე, რომლებიც შემდგომ შემთხვევით გახდა ცნობილი, ლუი-ბლანი, რომელიც მუდამ უარყოფით დამოკიდებულებას ავლენდა თავადისადმი, წერს: „ღამეულ მყუდროებაში თავის თავთან მარტოდ დარჩენილი ტალეირანი თავისი მოჩვენებითი სიამაყის მწვერვალთან გამოუთქმელი სევდის უფსკრულში იჩეხება და წერდა სტრიქონებს, რომლებშიც აზრთა სიუხვეც მჟღავნდებოდა და სულიერ ძალთა დაცემაც.“

„მოჩვენებითი სიამაყე“: ეს სიტყვები ლუი-ბლანის იმ რწმენით აიხსნება, რომ ტალეირანი, რომელსაც საერთოდ ეჯავრებოდა ადამიანები, გულში მთლიანად ცხოვრებისადმი და თავისი თავისადმიც გრძნობდა ზიზღს, და რომ მისი მუდმივი სიცივე, ქედმაღლური, უგულვებელმოყოფელი, დამცინავი გამომეტყველება საფარველი იყო იმ უსიხარულო გრძნობისა, ხანდახან, ბოლო პერიოდში რომ ეუფლებოდა.

1838 წ. პირველი თვეებიდან უკვე დღე დღეზე მოელოდნენ ტალეირანის სიკვდილს. გაზეთები იტყობინებოდნენ მისი ჯანმრთელობის სწრაფ გაუარესებას. და უცებ - პარიზში საოცარი ახალი ამბავი გავრცელდა.

1838 წ. 3 მარტს მორალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა აკადემიაში დანიშნული იყო აკადემიკოს გრაფ რეინარის ხსოვნის აღსანიშნავი ზეიმი. გრაფი რეინარი გახლდათ საკმაოდ უფერული ფრანგი დიპლომატი, ერთ დროს, მეტად ცოტა ხნით,

საგარეო საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელი, ტალეირანის ყოფილი ხელქვეითი. სრულიად მოულოდნელად ძველმა თავადმა, დიდი ხანია ლოგინად ჩავარდნილმა, განაცხადა, რომ სურს სულის მოსახსენებელი სიტყვა წარმოთქვას აკადემიაში, სადაც 1797 წლიდან ირიცხებოდა წევრად, მაგრამ უკვე რახანია იქით ფეხი ჰქონდა ამოკვეთილი.

მან განიზრახა ესარგებლა შემთხვევით და საჯაროდ გამოეთქვა თავისი შეხედულება დიპლომატებზე. არასოდეს ელაპარაკნა ამის შესახებ. ტალეირანის ეს სენსაციური გამოსვლა აკადემიაში წარმოადგენდა გარკვეულ ცდას დაემტკიცებინა ან თუნდაც აშკარად ენიშნებინა იმის შესახებ, რომ სწორედ თვითონ წარმოადგენს ყველა იმ სათნოების უბადლო ნიმუშს, რომელთა მატარებელი უნდა იყოს საგარეო საქმეთა მინისტრი. დამსწრეებს სამუდამოდ დაამახსოვრდათ 1838 წ. ეს 3 მარტი.

ტალეირანმა ერთდროულად თანამედროვეებსაც მიმართა და მომავალ თაობასაც. თუ იმ მგზნებარებისა და აღმაფრენის მიხედვით ვიმსჯელებთ, რაც ამ გამოსვლის დროს გამოამჟღავნა, უნდა ითქვას, რომ იშვიათად თუ ყოფილა ასე ძლიერ მოწადინებული, მის ცბიერ ენას სათნო ლაპარაკის ნიჭი გამოეჩინა.

ამ გამოსვლამ სრული და თავისებური ეფექტი იქონია. ერთობ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჯერ თვით ორატორის პიროვნებამ, რომელიც მრავალი წლის განმავლობაში არსად გამოსულიყო საჯაროდ. მას დახარბებით უჭკვრეტდნენ, სულგანაბული ისმენდნენ ამ ბებრულ ხმას, და ეს ხმა აღელვებდათ მათ, დამოუკიდებლად იმისაგან, თუ რა შინაარსისა იყო წარმოთქმული სიტყვა. ერთობ მრავალი ფურცელი ისტორიისა სამუდამოდ დაუკავშირდა ამ მიცვალებულის იერის მქონე, ცალი ფეხით სამარეში მდგომ, გამოძმარ ბერიკაცს. ძველრეჟიმული ვერსალის ხილვანი, ლუდოვიკო მეთექვსმეტისა და მარია-ანტუანეტას ლანდეზი, მირაბოს, რევოლუციონერების, დანტონის, იმპერატორად დასმის ფერიის მონაწილეები, ენგიენის ჰერცოგის, ნაპოლეონის, ესპანელ ტყვე უფლისწულების, ალექსანდრე პირველის, კარლოს მეათის, ლუდოვიკო მეთვრამეტის სახეები - ყველა ეს აჩრდილი, ასე რომ აფრთხოდა ვალანსეს კოშკის მხილველ ჟორჟ სანდის წარმოსახვას, ყველა ეს საყვედურით მზირალი, ტრაგიკული, სარკასტული, მრისხანე, მაწყევარი ხატებანი თითქოს ცოცხლდებოდნენ და დაჟინებით ირეოდნენ ორატორის გარშემო და ვერ მოსცილებოდნენ შეკრებილთა წარმოდგენას.

უკვე შემდეგ, წერდნენ რა ამ დღის შესახებ, თვითმხილველთა აღიარეს, რომ სწორედ ტალეირანის დანახვით აღძრული მთელი ეს მოგონებები, მთელი ეს ისტორიული

სახეები აბათილებდნენ და უარყოფდნენ ყოველივე იმას, რაც თავისი თავის შესახებ სურდა ჩაეგონებინა თავისი მოხიბლული მსმენელებისთვის.

ოთხმოცდაოთხი წლის ავადმყოფ ბერიკაცს დამოუკიდებლად მოძრაობა უკვე აღარ შეეძლო, თითქმის ატატებული შეიყვანეს დარბაზში და ხელშეშველებით მიაცილეს ტრიბუნამდე. გამოჩნდა თუ არა ტალეირანი, აკადემიკოსობა და ხალხით გაჟედილი დარბაზი წამოიშალა და ტაშისცემით მიეგება ამ საპყარ, ცოცხალმკვდარ ადამიანს, რომელსაც მხოლოდ ორთვენახევრის სიცოცხლეღა დარჩენოდა ამ ქვეყნად. მან იწყო ლაპარაკი, და ლაპარაკობდა დიდხანს, და სიტყვას მისას უზარმაზარი წარმატება ჰქონდა როგორც მსმენელებში, ისე პრესის მნიშვნელოვან ნაწილშიც. რის შესახებ ლაპარაკობდა, რას ქადაგებდა? ის ასწავლიდა, თუ როგორი თვისებების მქონე უნდა იყოს იდეალური დიპლომატი, უზადო და სრულყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი; უპირველეს ყოვლისა: სამშობლოს სიყვარული, პატრიოტული მოვალეობის ურყევი შეგნება. მუდმივი ხსოვნა იმისა, როგორ ამაღლებული სახელმწიფოებრივი ფუნქციები აკისრია საგარეო საქმეთა მინისტრს, რა წმინდა და საპასუხისმგებლოა მისი მოწოდებაო... ერთი სიტყვით, ერთგული საგარეო საქმეთა მინისტრის ზურგს უკან ისე უშიშრად უნდა გრძნობდეს მამული თავს, როგორც სალ კლდეს მოფარებული, თუკი ის, ვინც ამ მაღალ სახელს ატარებს, მართლაც ღირსია ამ სახელის ტარებისა, და თუ იმის თავდავიწყებული მსახურია, რასაც პატრიოტული სინდისი უკარნახებს!

ასე ჭკუისდამრიგებლისა და მოხუცი ბრძენკაცის ტონით მეტყველებდა მისი უდიდებულესობა, უგანათლებულესი თავადი ბენევენტელი, წარმომავლობით თავადი ტალეირან-პერიგორი, რომელსაც უკლებლივ ყველა მისი მსმენელი (ისე როგორც მთელი საფრანგეთი, მთელი ევროპა და მთელი დანარჩენი მსოფლიოც) იცნობდა როგორც კაცს, რომელმაც გასცა ჯერ ლუდოვიკო მეთექვსმეტე, შემდეგ რესპუბლიკა, შემდეგ ნაპოლეონი, ვისაც ისე მხურვალედ უკოცნიდა ხელებს ბენევენტის მთავრის, უმაღლესობის უგანათლებულესი თავადის ტიტულების მინიჭებისათვის. შემდეგ ხელმეორედ გასცა ბურბონები. მართალია, მაშინ ჯერ კიდევ ბევრმა არ იცოდა, რომ თავადი ალექსანდრე პირველის საიდუმლო სამსახურში იყო წლობით ნამყოფი და ერფურტის შემდეგ საფრანგეთის სახელმწიფო საიდუმლოებებით ვაჭრობდა მასთან. არც მეტერნიხი დაუტოვებია გულნაკლული: 1809 წელს, ავსტრიასთან ნაპოლეონის ომის დროს, ცნობებს აწვდიდა საფრანგეთის ჯარების გადაადგილების შესახებ; დასტა-დასტად იპარავდა სახელმწიფო არქივის დოკუმენტებს და რიგიან ფასად ასალებდა იმავე მეტერნიხთან. არც ის იცოდნენ, თუმცა ზოგიერთები ბუნდოვნად უკვე მაშინ ხვდებოდნენ, რომ არც ისე დიდი ხნის

წინათ, ამ გრძნობამორეულ პატრიოტული სიტყვის წარმოთქმამდე სამიოდე წლის წინ, მხცოვანმა აკადემიკოსმა ჰოლანდიის მეფეს ლონდონში თხოუმეტ ათას გირვანქა სტერლინგად მიჰყიდა დასაცავად მინდობილი საფრანგეთისა და ბელგიის ზოგიერთი სახის ინტერესები, და ჩანს, გადაკრავდა, კარგი იქნებოდა ამ თანხის გაორკეცებაო. მაგრამ სამაგიეროდ თავგადასავლები თავადისა საშინაო პოლიტიკის დარგში ყველასათვის ცნობილი და გასაგები იყო. მაშ რითღა უნდა აიხსნას ეს ოვაციები, ეს დაფნის გვირგვინები, რომლებიც თავისი ამ გედის სიმღერის შემდეგ ერგო სამარეში ჩამავალ ბერიკაცს, სიკვდილის სარეცელიდან წამომდგარს იმისათვის, რათა კადნიერად განეცხადებინა, რომ მას უფლება აქვს უშიშრად უყურებდეს თვალებში ახალ თაობებს? რად შეეცადნენ მსმენელიცა და უახლოესი შთამომავლობაც დაევიწყებინათ სრული ამორალობა ამ ადამიანისა, რომლის მთელი არსებაც, თუ მას ზნეობრივი თვალსაზრისით განვიხილავთ, პატიოსნებისა და წესიერების უმარტივესი მოთხოვნების დაცინვასა და აბუჩად აგდებას წარმოადგენდა?

ამ კითხვაზე ჩვენს მიერ პასუხი უკვე გაცემულია. ბურჟუაზიის თაობებს, რომელთა თვალწინაც ჩაიარა ტალეირანის ცხოვრებისა და მოღვაწეობის უკანასკნელმა ათწლეულებმა, ახსოვდათ და უნდოდათ ხსომებოდათ მხოლოდ შემდეგი ნახევრად სინამდვილე - ნახევრადლეგენდა: 1814 -1815 წლებში, ჯერ პარიზის ზავის დადებით 1814 წ. 30 მაისს, შემდეგ ვენის კონგრესზე 1814-1815 წლების შემოდგომაზე და ზამთარში მისი დამტკიცების მიღწევით, ტალეირანმა დაიცვა საფრანგეთის საზღვრები ფეოდალურ-აბსოლუტისტური პრუსიისაგან, კლერიკალურ-მონარქიული ავსტრიისაგან, იხსნა საფრანგეთის კოლონიების ნაწილი ინგლისელთა მხრივ მიტაცებისაგან. ტალეირანს შემდეგ უნდოდა ეიძულებინა ბურბონები შერიგებოდნენ ბურჟუაზიის მომავალ ბატონობას, მაგრამ ამაოდ, - მის ბრძნულ რჩევებს ყური არ ათხოვეს და ბურბონები, შეეკრნენ რა კლერიკალურ-ფეოდალურ რეაქციას, საბოლოოდ დაიღუპნენ; მაშინ იმავე ტალეირანმა, როგორც ეს თვითონვე განაცხადა 1830-1834 წლებში ლონდონში თავის ელჩად ყოფნის შემდეგ, „ივლისის რევოლუციას სამოქალაქო უფლება მოუპოვა ევროპაში“, და დაიცვა რა ბელგია აბსოლუტისტურ სახელმწიფოთა დიპლომატიური მოწოლისაგან, აქაც კვლავ გაუწია სამსახური ბურჟუაზიის განთავისუფლებისა და კონსოლიდაციის საქმეს საფრანგეთსა და ბელგიაში, ხოლო ამით ევროპაშიაც. ამიტომაც, აცხადებდნენ ბერნეს მსგავსი ადამიანები, რა ცოდვებიც უნდა აწვეს კისერზე, - თავისი სიცოცხლის ბოლოს პროგრესული ისტორიული როლი შეასრულაო... „მე ვემსახურებოდი საფრანგეთს ყველა რეჟიმის დროსო“, - იმეორებდნენ ცბიერი თავადის მიერვე ნათქვამ სიტყვას.

ასეთი იყო ნახევრადსინამდვილე-ნახევრადლეგენდა, ბურჟუაზიული ლიბერალების მიერ ტალეირანის სასარგებლოდ უაღრესად „სტილიზებული“ მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის ეს ისტორია. უზომოდ აზვიადებდნენ ტალეირანის პირად როლს საფრანგეთის ტერიტორიის მთლიანობის შენარჩუნების საქმეში 1814-1815 წლებში პარიზსა და ვენაში, ამასთან სავსებით უგულვებელყოფდნენ გადამწყვეტ ზეგავლენას რუსეთისას, რომლის პირდაპირ ინტერესებში შედიოდა საფრანგეთის დაცვა დაქუცმაცებისაგან; ამ დაქუცმაცების შესახებ კი ბევრი ოცნებობდა, განსაკუთრებით პრუსიაში, სადაც დიდხანს ვერ პოულობდნენ ნუგეშს, როცა მათ უარი უთხრეს ელზასისა და ლოთარინგიის მიცემაზე. მაგრამ ტალეირანის დიპლომატიური „ხელოვნება“, რა თქმა უნდა, არასაკმარისი იქნებოდა იმისთვის, რათა ბლიუხერისა და მის მსგავსთა კლანჭებისაგან დაეცვათ საფრანგეთი 1814, ან 1815 წელს. რაც შეეხება ტალეირანის, როგორც ბურჟუაზიის დამცველისა და თავადაზნაურული რეაქციის წინააღმდეგ მებრძოლის როლს რესტავრაციის პერიოდში, აქაც შეგვიძლია გავიხსენოთ ჩვენ მიერ მოტანილი 1814-1817 წლების დოკუმენტები, მაჩვენებელი იმისა, რომ ამ შემთხვევაშიაც „სინამდვილე“ ლეგენდით იყო შელამაზებული, არას ამბობდნენ ტალეირანის რეაქციის მხარეს გადახრილ „ზიგზაგებზე“. დაბოლოს, უეჭველია, ტალეირანის მოღვაწეობამ ლონდონში ხელი შეუწყო ივლისის ბურჟუაზიული მონარქიის პოლიტიკურ კონსოლიდაციასა და საფრანგეთის მაშინდელი უაღრესად მორყეული პოზიციების განმტკიცებას საერთაშორისო ურთიერთობის დარგში, მეტადრე სწორედ დასაწყის პერიოდში, 1830 წ. საარჩევნო რეფორმის წინა პერიოდის მძაფრი კლასობრივი ბრძოლით, როდესაც კონსერვატორები პარალიზებულნი იყვნენ და მოკლებულნი სამუალებას, უფრო აქტიური საგარეო პოლიტიკა ეწარმოებინათ; ბევრი რამ აიხსნება (სწორედ ბელგიის საკითხში, 1831-1832 წლებში) იმიტაც, რომ ნიკოლოზ პირველი ხელფეხმეკრული იყო პოლონეთის გამო. ტალეირანის, როგორც მსოფლიო ისტორიის „მკეთებელი“ ერთ-ერთი „ღმერთის“ პირადი ისტორიული როლის სწორედ ამგვარმა უზომო გაზვიადებებმა გამოიწვია ენგელსის ზემოაღნიშნული უარყოფითი გამონათქვამი ტალეირანის, მეტერნიხისა და ლუი-ფილიპეს როლის შესახებ.

ამგვარი გაზვიადებანი ადრეც, როცა მათ „გერმანელი ბიურგერები“ გამოთქვამდნენ და შემდეგაც, როცა მათ განმეორებას ფრანგი დ ინგლისელი „ბიურგერები“ და ისტორიკოსებიც შეუდგნენ, გამომდინარეობდა იქიდან, რომ არ შეეძლოთ თუ არ სურდათ რამდენადმე მაინც სერიოზულად გაეთვალისწინებინათ საფრანგეთსა და ევროპაში არსებული იმ სოციალურ-ეკონომიური და პოლიტიკური ვითარების მთელი კომპლექსის გადამწყვეტი მნიშვნელობა, რომელშიც მოუხდა ცხოვრება და მოღვაწეობა ტალეირანს.

მაგრამ ამ ადამიანს, რომელსაც ბედი ასე სწყალობდა სიცოცხლეში, სიკვდილის შემდეგაც გაუმართლა. გამარჯვებულმა ბურჟუაზიამ გადაწყვიტა ელიარებინა იგი ერთ-ერთ უთვალსაჩინოეს თანამებრძოლად, ამ ბრძოლის „გმირული“ პერიოდის ერთ-ერთ მოღვაწედ, ვისგანაც დიდი დახმარება ნახა საბოლოო გამარჯვების მოპოვებაში. მაშინვე დავიწყებულ და პატიებულ იქნა ტალეირანის ურიცხვი პირადი ცოდვანი, რომელთაგან ცალკე აღებული თითოეულიც კმაროდა იმისათვის, რათა სახელი გაეტეხა და ლაფში ამოესვარა ნებისმიერი პოლიტიკური მოღვაწე. ის კი არა, მასთან მეგობრობაც კი დაიწყო უმწიკვლო და უმკაცრესი ზნეობის როიკოლარმა, სწორედ იმ ადამიანმა, რომელსაც ლიბერალური პარტიის სინდისს, საზოგადოებრივი მორალის ჩირაღდანსა და ურყევ დამცველს უწოდებდნენ. მეორე მხრივ, გმირების მოდური კულტი, რამაც ამ დროს მოიკიდა ფეხი ისტორიოგრაფიაში კარლეილის ცნობილი წიგნის „გმირები და გმირული ისტორიაში[157]“ ზეგავლენით, რომელიც გამოვიდა მალე ტალეირანის სიკვდილის შემდეგ, აქეზებდა ტალეირანის მაშინდელ და შემდეგდროინდელ ბიოგრაფებსაც დაენახათ მასში სწორედ ისტორიის „მკეთებელი“ და „ღმერთი“, ფეოდალურ-აბსოლუტისტური რეაქციისაგან ახალი, რევოლუციისშემდეგდროინდელი ბურჟუაზიული საფრანგეთის „მხსნელი“. ეს განდიდება მას შემდეგაც გრძელდებოდა, რაც კარლეილის გახმაურებული წიგნი დავიწყებას მიეცა. ტალეირანს არა მარტო თვლიდნენ ფეოდალიზმის წინააღმდეგ მებრძოლი ბურჟუაზიული საფრანგეთის განსახიერებად, და ადარებდნენ მას ამ მხრივ ნაპოლეონს (არც მეტი, არც ნაკლები!) არამედ მთელი ეს კურიოზული გატაცებანი, როგორც უკვე ვთქვით, ფრანგი დიპლომატის შესახებ არსებულ ბურჟუაზიულ ლიტერატურაში დღემდე არ არის სავსებით ლიკვიდირებული: მაგალითად, გულელმო ფერეროს წიგნი გამოცემულია 1840 წელს, მაგრამ ასე გგონია, თითქოს „გმირების კულტით“ გატაცების შუაგულ პერიოდში იყოს დაწერილი[158].

ამგვარი იყო ტალეირანის სიკვდილის შემდეგდროინდელი ლეგენდა. ამ ლეგენდის შექმნა ძველი თავადის სიკვდილამდე ჯერ კიდევ ორთვენახევრით ადრე დაიწყო, როცა თავისი უკანასკნელი სიტყვა წარმოთქვა აკადემიაში და ისეთ აპოთეოზს მიაღწია აკადემიაშიც, პრესაშიც, საფრანგეთშიც და საზღვარგარეთაც. ეს მისი სიტყვა, არსებითად, ერთიანად თავხედურ გამოწვევას წარმოადგენდა, შეგნებულად მივიწყებას, უგულვებელყოფას იმ სიმართლისა, რომელიც თვითონაც იცოდა თავის შესახებ. მსმენელებმა, რომლებმაც მქუხარე ოვაციებით გააცილეს ორატორი, და მრავალმა იმათგანმაც, ვინც მის შესახებ წერდა შემდგომში, ასევე თითქმის პირი შეკრეს დაევიწყებინათ ან ეპატიებინათ მისთვის მისი ხანგრძლივი ცხოვრების ეს საშინელი სიმართლე.

მისი სრული თავდაჯერება, უნარი: აღუშფოთებელი გამომეტყველებით და თავაწეულს ევლო ცხოვრების გზაზე, მოწყალებდ, როგორც თავისთავად ნაგულისხმევი რამ, მიეღო მოწიწების გამოხატულებანი, საგონებელში აგდებდა და თავგზას უბნევდა არა მარტო მის მსმენელებს მორალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა აკადემიაში 1838 წ. 3 მარტს.

ისინიც კი, ვისაც არ უყვარდა და არც პატივს სცემდა ტალეირანს, მაგალითად გერცენი, იბნეოდნენ და გაოცებულნი იყვნენ ტალეირანის აბსოლუტური ამორალობის წინაშე, ამორალობისა, რომელიც შეერთებული იყო სულის მუდმივ უღრმეს სიმშვიდესთან და თავის რაღაც ვითომდა „სიმართლის“ შეგნებასთან. მათ ზოგჯერ ისეც კი ეჩვენებოდათ, რომ ტალეირანი თავს გრძნობდა არა მოქმედ პირად, როგორც ეს იყო სინამდვილეში, არამედ, ასე ვთქვათ, მაყურებლად, მჭვრეტელად, დამკვირვებლად, წუთისოფლის ამოებათაგან განდგომილ მოაზროვნედ. „როგორ უნდა შესძლო მოვლენების შიგ შუაგულში ჩათრეულმა ადამიანმა გამოიჩინო მშვიდი და ბრძნული მიუდგომლობა მაყურებლისა, ხომ არ არის ამისთვის საჭირო იქცე ტალეირანად ან გოეთედ?“ - კითხულობდა გერცენი[159]. და ის, ლაპარაკობდა რა ტალეირანის პოლიტიკური „უპარტიოების“ შესახებ, როგორღაც ვერ ბედავდა თანასწორობის წინაშე გაეევლო ტალეირანსა და ფუშეს შორის და ეღიარებინა, რომ ისინი იყვნენ სავსებით ერთნაირად ეგოისტურნი (თავკერძანი): „არიან სხვაგვარი ადამიანები, რომელნიც იმიტომ არ ეკუთვნიან პარტიას, რომ ან ეს არასერიოზულია, ისინი რომ საერთო ინტერესებზე დაბლა იდგნენ, მაგალითად, ტალეირანი, ან უხამსურად თავკერძანი არიან და ანგარიშს უმორჩილებენ საერთო ინტერესებს, - მაგალითად, ფუშე.[160]“ სამწუხაროდ, თავის ამ ადრინდელ, ინტიმურ დღიურში, რომელსაც მხოლოდდამხოლოდ თავისი თავისათვის წერდა და სადაც თავის აზრს ხშირად დაუმთავრებელს სტოვებდა, გერცენი არ განმარტავს უფრო ზუსტად და გასაგებად - სახელდობრ რაში ხედავს ერთგვარ განსხვავებას ტალეირანის „მორალსა“ და ფუშეს „მორალს“ შორის.

გერცენის მოპირდაპირე პოლიტიკურ პოლუსზე მდგომი ვიტროლი, რომელიც 1814 წელს ტალეირანის მფარველობითა და მითითებით იმდენს იღწვოდა ბურბონების ტახტზე მოხმობისათვის, უფრო კატეგორიულ განცხადებას იძლევა. მისი მონარქიული მოწიწების გრძნობა გვირგვინოვანი პიროვნებებისადმი აღუშფოთებულია იმით, რომ ტალეირანი, „ეგ ბებრუხანა, დიდი ბრიტანეთის მეფის თანხლებით დასეირნობდა ლონდონის ქუჩებში“ და მიღებულ იქნა მის მიერ, როგორც თავისი ქვეყნის სტუმარი; და რომ საფრანგეთის მეფემ „ვალდებულად ჩათვალა თავი დასწრებოდა დიდებულ აღსასრულს (la mort fastueuse) ამ უდიდესი

კომედიანტისას!“ და ვიტროლი, გონებაშეზღუდული ფანატიკოსი, მაგრამ პირადად პატიოსანი ადამიანი, მწარედ შენიშნავს: „საზოგადოებრივი ზნეობა ჯერ არასოდეს მოსწრებია მსგავს მაგალითს, სანახაობას ამგვარ გარყვნილებათა და ამდენ ბიწიერებათა, რომელთაც მუდამ თან სდევდა წარმატება და მოჩვენებითი დიდება! აი სად არის მისი გენია, და ამ მხრივ არავისი შედარება არ შეიძლება მასთან“.

თავისი თავის შეფასების მოცემას მარტო აკადემიის საჯარო სხდომაზე როდი ცდილობდა ტალეირანი... „იცით თუ არა, ჩემო ძვირფასო, - უთხრა მან (გარდაცვალებამდე ცოტა ხნის წინ) ტიერს, - რომ მორალური თვალსაზრისით მე მუდამ ყველაზე უფრო დისკრედიტირებული ადამიანი გახლდით, როგორც კი ევროპაში ყოფილა უკანასკნელი ორმოცი წლის მანძილზე, და რომ, მიუხედავად ამისა, მუდამ ვიმყოფებოდი ან ხელისუფლების სათავეში, ან ხელისუფლების სათავეში დაბრუნების წინ?“

თავის სიკვდილისწინა პოლიტიკურ ანდერშში დასძენდა: „მე ოდნავადაც არ ვემდური ჩემს თავს იმის გამო, რომ ვემსახურებოდი ყველა რეჟიმს, დირექტორიიდან მოყოლებული ვიდრე იმ დრომდე, როცა ამ სტრიქონებს ვწერ, რადგან მე დავისახე იდეა მემსახურა საფრანგეთისათვის, როგორც საფრანგეთისათვის, რა მდგომარეობაშიც უნდა ყოფილიყო ის“. რა თქმა უნდა, მისი მოწინააღმდეგენი და შემდეგდროინდელი კრიტიკოსები აცხადებდნენ, ამგვარი ფრაზებით შეუძლია გული დაიმშვიდოს მხოლოდ ისეთმა კაცმა, რომელსაც სინდისის ნატამალიც არ გააჩნიაო.

მაგრამ ტიერთან წარმოთქმული სიტყვები, უდავოა, გულწრფელად გამოხატავდა თავად ტალეირანის ფილოსოფიას. და ის, რომელმაც თავისი კარიერის დასაწყისიდანვე გააკეთა არჩევანი ბურჟუაზიის სასარგებლოდ და იმ კლასის წინააღმდეგ, რომელსაც წარმოშობით, აღზრდით, გემოვნებით, ჩვევებითა და კავშირ-ნაცნობებით თვითვე ეკუთვნოდა, ყოველთვის მოგებული გამოდიოდა, რადგან იმ ისტორიულ პერიოდში ბურჟუაზია ყოველთვის იმარჯვებდა და არაფერს შეეძლო წინააღმდეგობის გაწევა, - გამოსადეგი კაცი იყო მუდამ, რადგან ბურჟუაზიას ბევრი არ ჰყავდა ტალეირანისთანა ჭკვიანი. ტალეირანმა წინდაწინვე იცოდა, რომ ამასთან ლანძღვა-გინება არ ასცდებოდა. მაგრამ ისიც უწყოდა, რამდენიც არ უნდა ელანძღათ, გვერდს მაინც ვერ აუვლიდნენ. იცოდა (და იწინასწარმეტყველა) პოლიტიკური ძლევამოსილება ტიერისა, იმჟამად ახალგაზრდა ლიბერალური მინისტრისა, რომელსაც მთელი მისი ლიბერალობის მიუხედავად უკვე ჰქონდა თავის პოლიტიკურ სათვალავში მხეცური გასწორების ფაქტი რესპუბლიკელებთან 1834 წელს. ტალეირანმა იცოდა, რომ ბურჟუაზია კიდევ დიდხანს იქნება მაგრად „მჯდომი



უნაგირზე“, იმ უნაგირზე, რომელზე შეჯდომაშიც თვითონ ეხმარებოდა, და რომ კიდევ დიდხანს ექნება საშუალება თავისი მსახურების გულუხვად დასაჩუქრებისა. ტიერი კი უკვე 1834 წ. აჯანყების ჩაქრობის დროს ტრანსნონენის ქუჩაზე მოწყობილი ხოცვა-ჟლეტით ამკარად იძლეოდა იმედს მომავალში, რომ, საჭიროების შემთხვევაში, პარიზსაც სულ ერთიანად გადააქცევდა ტრანსნონენის ქუჩად (რაც მართლაც შეასრულა პარიზის კომუნის ბარბაროსულად ჩახშობის დროს 1871 წელს). ასე რომ, ტიერს, შესაძლოა, ბრწყინვალე მომავალი შეხვედროდა, იმაზე არა ნაკლები, ვიდრე ტალეირანის წარსული იყო. პატრონი ღრმადმოხუცებულ დიდგვაროვან არისტოკრატისა და მარსელის წვრილი ბურჟუაზიის ახალგაზრდა ნაშიერისაც - ერთი და იგივე საზოგადოებრივი კლასი გახლდათ. ტალეირანი თავადაზნაურობის წინააღმდეგ ბრძოლაში ემსახურებოდა ამ კლასს, ტიერი კი - პროლეტარიატის წინააღმდეგ ბრძოლაში. და ტალეირანი, კეთილსივანი კარიერისტი, ტიერის სახით მიესალმებოდა კარიერისტს, რომელსაც ბედმა არგუნა წარმატებას მიაღწიოს, რადგან ტიერიც „მარჯვედ“ მოიქცა ცხოვრებაში, „კარგ ცხენზე“ დასვა არჩევანი.

ხოლო თუ ამ ორ ადამიანს შორის არსებულ განსხვავებებზე ვილაპარაკებთ, უნდა ვაღიაროთ, რომ ტალეირანისთვის ბურჟუაზიის საქმე არა მარტო კარიერის ამბავი, არამედ სისხლხორცეული საქმეც გახლდათ. კლასობრივი გრძნობა მასში გაცილებით უფრო ძლიერი იყო, რადგან იგი თავად წარმოადგენდა თხემით ტერფამდე ბურჟუას. ტალეირანი კი, ასე ვთქვათ, გარედან დაექირავა ბურჟუაზიას, როგორც კონდოტიერი, და გასამრჯელოსათვის თავისი სამსახური შესთავაზა იმ კლასს, რომელიც, მისი განჭვრეტით, გამარჯვებას მოიპოვებდა და უხვ საფასურსაც გაიღებდა. მაგრამ რაც შეეხება პირადად, თავისი ჩვევებით გემოვნებით, მსოფლალქმით ყოველთვის ძველი რეჟიმის დროინდელ დიდებულად რჩებოდა და როგორც შექსპირის მეფე ლირში „ყოველი გოჯი იყო მეფე“, ასევე თავად ტალეირანში ყოველი გოჯი იყო არისტოკრატი.

ტიერისათვის, ისევე როგორც ლაფიტისათვის, როგორც გიზოსათვის, კაზიმირ პერიესათვის, და მთელი მათი თაობისათვის, ბურჟუაზია წარმოადგენდა სამყაროს გვირგვინს და კაცობრიობის მშვენებას, ხოლო ივლისის ბურჟუაზიული რევოლუცია - უმესანიშნავეს და იდეალურ ბედნიერ ბოლოს, უკანასკნელ წერტილს, რომელიც კეთილმა განგებამ დასვა ბედის წიგნში. ტალეირანისათვის კი ბურჟუაზია ეს იყო მხოლოდ ისეთი კლასი, რომელსაც სწორედ აი იმ მომენტში, როცა ის, ტალეირანი, ცხოვრობს და მოღვაწეობს, მეტად კარგი პირობები აღმოაჩნდა, რის გამოც საჭიროა სწორედ მასთან მუშაობა, მისი თანამდგომობა, და არა მის მოწინააღმდეგეთა რიგებში ყოფნა. ხოლო 1830 წ. რევოლუცია, მხცოვან დიპლომატის პოლიტიკური

ფილოსოფიის თვალსაზრისით, საფრანგეთის ისტორიის მარტოოდენ ერთ-ერთ ეპიზოდთაგანს წარმოადგენდა, რომელსაც შემდეგ, თავის დროზე, სხვა ეპიზოდები მოჰყვება, ადვილი შესაძლებელია სავსებით საპირისპირო ხასიათისა შედეგების მიხედვით. მაგრამ ამ შორეული მომავლის ამბებზე მსჯელობა ტალეირანს არ უყვარდა. ამას გარდა, არც ის ავიწყდებოდა, რომ ოთხმოც წელს გადააბიჯა და, ყოველ შემთხვევაში, პირადად მისთვის ივლისის რევოლუცია უკანასკნელია, რომლის ნახვასაც მოესწრო.

1838 წ. გაზაფხულზე, აკადემიის სხდომის შემდეგ, 84 წლის მოხუცის ავადმყოფური მდგომარეობა მკვეთრად გაუარესდა. სწორედ სიკვდილის წინ, თავისი ნათესავის, ჰერცოგის ქალ დინოს, დაჟინებული თხოვნით იგი შეურიგდა კათოლიკურ ეკლესიას და თვით რომის პაპისაგან მიიღო „ცოდვათა მიტევება“, რასაც მორწმუნეთა თვალში მისი მრავალცოდვილი სული ეშმაკის მიერ უკვე ჩასავლებად მომზადებული კლანჭებისაგან უნდა გადაერჩინა: „თავადი ტალეირანი მთელი თავისი სიცოცხლე ატყუებდა ღმერთს, სწორედ სიკვდილის წინ კი უცებ ხახამშრალი დატოვა სატანა“, - მოსწრებულად შეუნიშნავს იმ დღეებში ვიდაცას ურწმუნო, ძველი ვოლტერიანელისა და დამცინავი ცინიკოსის - ერთ დროს ეკლესიისაგან განკვეთილ ოტენის ყოფილი ეპისკოპოსის - რომის პაპთან და კათოლიკურ ეკლესიასთან ამ მოულოდნელი და კურიოზული შერიგების გამო.

1838 წ. 17 მაისს მეფე ლუი-ფილიპე თავის დასთან, პრინცესა ადელაიდასთან ერთად გამოსათხოვებლად მივიდა მომაკვდავთან, რომელიც ყველას ანცვიფრებდა თავისი სრული სიმშვიდით და იმდენი კიდევ მოახერხა, ნახევრად უკვე ენაჩავარდნილს მოხდენილი კარისკაცული ქათინაური ეთქვა ლუი-ფილიპესათვის.

გავიდა რამდენიმე საათი მეფის დარბაზობის შემდეგ და თავადი ტალეირანიც მიიცვალა.

# სქოლიო

- [1] კ.მარქსი და ფ. ენგელსი. თხზ., ტ. 4, გოსპოლიტიზდატი, 1955, გვ. 471.
- [2] ა. გერცენი. თხზულებებისა და წერილების სრული კრებული ლემკეს რედაქციით, ტ. III., პგ., 1919, გვ. 116. რუს. გამოცემა.
- [3] იქვე. გვ. 125.
- [4] მაგალითად, „ნამყოსა და ფიქრების“ თავში, რომელსაც „მთის მწვერვალები“ ჰქვია, კავურს გერცენი ირონიულად „პატარა ტალეირანს“ უწოდებს.
- [5] კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზ., ტ. X, პარტიზდატი, 1933, გვ. 378.
- [6] Sainte-Beuve. Monsieur de Tal'evrand. Paris, 1880, გვ. 15.1 სენტ-ბევის ეს სტატიები პირველად 1869 წლის დამდეგს გამოქვეყნდა გაზეთ „Le Temps” -ში.
- [7] Chaque jour diminue la sympathie pour Louis XVI dont M. Taleyrand a dit q'uil montra le courage d'une femme en couches”. Stendhal. Courrier anglais, t. III, 1935, p. 76 (Paris, le 20 mai 1836).
- [8] ტალეირანი - ქალბატონ ლიმბესკს, 1789 წ. 9 ოქტომბერი. G. Lacour-Gayet. Taleyrand (1755.- 1838), t. IV, Melanges, Paris, 1935., p. 21-28. შემდგომ - „Melanges” -ი.
- [9] Bernard de Lacombe> Talleyrand, eveque d' Autun. D'apres des documebts ineits, Paris, 1903 p> 197 et 229.
- [10] ო. ს ტ ა რ ო ს ე ლ ს კ ა ი ა - ნ ი კ ი ტ ი ნ ა. 1789-1794 წ. წ. საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუციის პერიოდის მეცნიერებისა და ტექნიკის ისტორიის ნარკვევები.
- [11] „Memoires et relations politiques du baron de Vitroles” t. III, Paris, 1885, p. 5.51 (Notes).
- [12] Taleyrand in America as a financial promoter. 1795. 1796. Unpublished letters and memoirs. In three volumes”. Volume II Translated and edited by Hans Huth and Wilma Pigh. Washington> 195.2

ჩვენ ხელთ გვქონდა ამ სამტომიანი გამოცემის მარტო ერთი (მეორე) ტომი, მაგრამ ის ტალიერანის ამერიკაში ჩასვლით იწყება, ბოლო დოკუმენტები კი უკვე 1796 წ. დასაწყისითაა დათარიღებული. ასე რომ გაურკვეველია, რა შინაარსისაა პირველი და მესამე ტომი. ფრანგული დედანი დღემდე არ გამოცემულა. კრებული მთლიანად ინგლისურ ენაზეა დაბეჭდილი.

[13] იქვე, გვ. 126.

[14] Anna Bowman Dodd. Talleyrand. The training of a statesman. 1755.-1838. New York, 1927, p. 312-315.

[15] Stendhal. Lucien Leuwen. T. I Paris, 1929, P. 61 Vous n'avez pas la peau assez dure pour ne pas sentir le mépris public. Mais on s'y accoutume. On n'a qu'à mettre sa vanité ailleurs. Voyez M. de N. [„modele: prince de Talleyrand”]. On peut même se servir à l'égard de cet homme célèbre que quand le mépris est devenu lieu commun il n'y a plus que les sots qui l'expriment”.

[16] „Melanges”, p.215.

[17] ტალიერანის მიერ დაუსახელებელ ამ „მატყუარებს“ ამერიკელებმა ირონიულად „იქს, იგრეკ, ზეტი“ შეარქვეს. ასეცაა აღნიშნული ამერიკულ ისტორიოგრაფიაში მთელი ეს ინცინდენტი: „x, y, z”.

[18] ტალიერანი - ოლივს. 1797 წ. 10 მაისი. „Melanges”, p; 51-52;

[19] C.L.Lokke. Pourquoi Talleyrand ne fut pas envoyé à Constantinople. “Annales historiques de la révolution française”, tome dixième, 1933, p.153-159

[20] პირველად გამოაქვეყნა სრული სახით 1932 წ. ლაკურ-გაიემ (C. Lacour-Gayet. Talleyrand, t.III 1815-1838).

[21] საგარეო პოლიტიკის არქივი. საგარეო საქმეთა სამინისტროს კანცელარია, №3712, საქარალდე: France. Ministère. Talleyrand. № 1. 1801, f. 2. Recu le 15. Mars 1801. „...je dois vous exprimer la satisfaction, que je prouve de voir arriver le moment, où par des discussions franches et approfondies sur tous les objets d'intérêt commun, il sera possible de consolider la paix du continent et de préparer l'affranchissement des mers. (Paris, le 12 ventose de l'an 9 de la République. A Son Excellence M. le comte de Rostopschin, ministre d'Etat et des affaires étrangères)”.

[22] საგარეო პოლიტიკის არქივი, საქადალდე. Ministere Talleyrand. 1802. Project d'une letter au minister Talleyrand. №3. Le 5. Juillet 1802.ხელმოწერილია: P-ce Alex. Kourakine: „...je partage vivement la satisfaction que vous me temoignez de l'heureux resultat de votre travail avec le C. de Morkoff sur les indemnities germaniques, mais j'eprouve une plus particuliere encore de pouvoir vous annoncer que l'Empereur n'a fait aucune difficulte d'y donner son approbation”.

იქვე: „...ses instruction (რეგენსბურგში მივლენილ ბიულერისადმი მიცემული) sont de se conserter pour tout ce qui peut avoir rapport aux indemnities avec le minister de la Republique et de faire des demarches communes... pour obtenir l'effect de l'intervention de deux gouvernement et la consolidation des arrangement proposes. C. de Morkoff est charge de faire connaitre au Premier Consul ce que l'Empereur desire encore en faveur du duc de Meclenbourg-Schwerin et du prince-eveque de Lubec... II me reste a desirer, citoyen Ministre, que le success reponde a notre commune attente et on doit l'esperer et d'impartialite du plon et du poids attaché a une aussi puissante meditation”.

[23] Paris, le 30 vendemiaire, an XI (22 octobre 1802). Melanges”. P.66.

[24],„Melanges“, p. 70-72.

[25] Saint-Beuve. Monsieur de Taleyrand, p. 85 (ეს -1869 წ. სტატიების გადანაბეჭდია დამატებებით).

[26] Stendhal 1. Napoleon, t. 1. Vie de Napoleon, Paris, 1929, p.92.

[27] იქვე, გვ.95;

[28] იქვე, გვ.98;

[29] ტალეირანი - ვიალს (დესპანი შვეიცარიაში). “Melanges”. p.81

[30] თავ. პ. ვიაზემსკი. თხზულებათა სრული კრებული, ტ. VIII („ძველი უბის წიგნაკი“), სპბ, 1883, გვ. 349. ვიაზემსკი კარგად იცნობდა ყველა პარიზულ ამბებს, იმპერიისა და რესტავრაციის ხანის ურთიერთობათ, თავისი ახლო მეგობრის ალექსანდრე მიხეილის ძე ტურგენევის მეშვეობით, რომელიც ასევე კარგად იცნობდა პარიზს, როგორც მოსკოვს ან პეტერბურგს (თუ უკეთ არა).

[31] Stendhal 1. Napoleon, t. 1. Vie de Napoleon, p. 123-124.

[32] Le comte Charles de Nesselrode a son pere, la Haye, la 13 janvier 1805. "Lettres et papiers du chancelier comte de Nesselrode. 1760-1850. Wxtraits de ses archives..." t III. Paris, 1905, p.12.

[33] Memories, documents et ecrist divers... de Metternix...", t. II, Paris, 1880, p. 235-236. Metternich a Stadion. Paris, le 25. Septembre 1808.

[34] იქვე, t II. P. 261-262. Metternich a stadion. №130.

[35] 1.,Lettres et pappiers du chancelier comte de Nesselrode", t. III. P.225.

[36] ეს უძვირფასესი დოკუმენტი (მეტერნიხის პატაკი ავსტრიის მინისტრ სტადიონისადმი) ნაპოვნ იქნა და პირველად დაიბეჭდა Emile Dard-ის მიერ ჟურნალში „REVUE DES DEUX Mondes” (I mars 1935.)და გადაბეჭდა ლაკურგაიემ მის მიერ გამოცემულ ტომში Melanges”. P. 99-100 აგრეთვე Dard-ის წიგნში „Napoleon et Talleyrand”, P., 1935.

[37] იხ. სტატია „La vengeance de Taleyrand”. „Revue des deux Mondes” -ში, ტ. XX. 1935., გვ. 219. ეს სტატია ზოგიერთი სახის სარედაქციო ცვლილებით ავსტრიის მიერ შემდგომ გადაბეჭდილ იქნა მის „Napoleon et Talleyrand” ში და 195.0 წ. გერმანულ გამოცემაში „Napoloen und Talleyrand”.

[38] საგარეო პოლიტიკის არქივი:France. Ministere. Resepcion> Talleyrand a. S. M. l'Empereur. 1809, №1 ტალეირანის ხელით დაწერილი, le 10 fevrier 1809. „Sire, toutes Les Letters de votre Majeste imperial ajoutent a ma reconnaissance, a mon attachement, a mon respect pour Elle. Je sens profondement les bontes qu'Elle accorde amon neveu et a moi: je la supplie de me les continuer. Sire< j'admire votre noble et sage perseverance dans le project de correspondance que vous avez concu> Je propose a Mr Speranski M. Dupont qui par la variete des parties de l'administration dans lesquelles il a ete employe me parait l'homme le plus capable de suivre habiliment la partie de la correspondance don't il me parle. C'est un humme de bien, fort instruit et susceptible d'un grand attachement>>> Mr> Speranski< si< ce choix lui parait convenable< aura la bonte d"ecrire directement a M. Dupont pour lui faire connaitre les intentions de Votre Majeste et le mettre a porter de les rempolir. Sire< je ne puis mettre aux pieds de Votre Majeste Imperiale rien qui soit au – dessus de mon respect et de mon devouement”.

[39] “Lettres et papiers du chancelier comte de Nesselrode”, t.III, Paris, 24 mars- 5 avril 1810; Paris. 26 mars- 7avril 1810; p.236-237.

[40] იქვე, 27 mai =8 juin, 1810, p.262-263.

[41] საგარეო პოლიტიკის არქივი. საგარეო საქმეთა სამინისტრო, №35.5.3, წერილი №3, 1809 წ. 9 მაისი. ხელმოწერილია: Prince de Benevent.

[42] საგარეო პოლიტიკის არქივი. საგარეო საქმეთა სამინისტრო, № 375.3, წერილი №5. ხელმოწერილია: P-ce de Benevent. Paris, 23 octobre 1809. „Vous faites aussi una petite caresse aux angleis; elle monte que votre fidelite au sisteme (sic) continental n'exclut pas une sorte de bienveillance conciliatrice: par la vous entrouverez ches les autres paissances une route a des idees plus liberals et vous indiqueez que votre cabinet verrait avec plaisir qu'on y revint”.

[43] საგარეო პოლიტიკის არქივი. № 3743, წერილი №4 მეორე გვერდი წერილისა.

[44] Lettres et papiers du chancelier comte de Nesselrode”.t. III, Paris. 13.25 juin 1810, p. 270-271.

[45] იქვე, t. III, Paris. 15.26 juin 185.0, p. 282-283.

[46] “Lettres et papiers du chancelier comte de Nesselrode”, t. III, Paris, 6/18 juin 1810, p. 268-269.

[47] Letres et papiers du chancelier comte de Nesselrode”. T III. P. 305.-305.

[48] იქვე, t III. P. 307 და სხვ.

[49] იქვე.t III. P. 313.

[50] იქვე t. III, Paris, 2-15. Janvier1811, P.316.

[51] იქვე. T. III Fontainebleau, 23 octobre -5. Novembre 1810, p. 298

[52] Lettres et papiers du chancelier comte de Nesselrode”, t. III, 5.-16 fevrier 1811. p. 318-319.

[53] იქვე. T. III.

[54] Lettres et papiers du clanceprier comte de Nesselrode”, t. III, Paris 9-21 avril 1811 p.35.1-35.2.

[55] იქვე, t III, Paris, 5-17 juin 1811, p. 362.

[56] საგარეო პოლიტიკის არქივი. საგარეო საქმეთა სამინისტრო. №25.33. Le prince Alexandre Kourakine a S. E. M. le comte Romanzoff, (Paris, le 23 mars (5. Avril) 1812.

[57] საგარეო პოლიტიკის არქივი. საგარეო საქმეთა სამინისტრო №2433, Le prince Alexandre Kourakine a S.E. M. le comte Romanzoff, (Paris, le 23 mars (4 avril) 1812.

[58] საგარეო პოლიტიკის არქივი. საგარეო საქმეთა სამინისტრო №9049, დაშიფრული პატაკი კურაკინისა გრაფ სალტიკოვისადმი. Pavillion Coislin. Coteau de Bellevue. პატაკის #318. Le 7 juin 1812. მიღებულია 30 ივნისს

[59] Memories du general de Caulaincourt, duc de Vicence..., t. II, Paris, 1933 p. 221.

[60] იქვე, t. II, P. 251.

[61] იქვე, t. II, P. 253.

[62] იქვე, T, II, P. 275..

[63] „Memoires du general de Caulancourt, duc de Viecece”, t. II. P. 332.

[64] ეს ნაწყვეტი შარლ რემიუზას გამოუქვეყნებელი მემუარებიდან პირველად ლაკურ-გაიემ დაბეჭდა 1935. წ. დოკუმენტების კრებულში „Melanges” p. 113-144.

[65] სხვა ჩვენებით სინამდვილეში არა 75, არამედ 63 სენატორი გამოცხადებულა.

[66] Memoires et relations politiques du baron de Vitroles”, t. I. Paris, 1885, p.119.

[67] კ. მ ა რ ქ ს ი და ფ. ე ნ გ ე ლ ს ი. თხზ., ტ I, გვ.531. (რუს. გამოც.).

[68] კ.მ ა რ ქ ს ი და ფ. ე ნ გ ე ლ ს ი. თხზ., ტ. XI. ნაწ. 2. გვ. 589. (რუს. გამოც.).

[69] Memoires du general de Caulaincourt, duc de Vicence”, t. III. P. 85-86.

[70] ა. გ ე რ ც ე ნ ი. თხზულებებისა და წერილების სრული კრებული ნ. ლემკეს რედაქციით, ტ. XV, გვ.575. (რუს.გამოც.).

[71] Stendhal. Napoleon, t. I. Vie de Napoleon, Paris, 1929, p. 227-278. ეს სტენდალის პირველი ტომია, საერთო სათაურით „Napoleon”. იმავე საერთო სათაურიან მეორე ტომს სხვა ქვესათაური აქვს. „Meomires sur Napoleon”. მის ციტირებას სხვა ადგილას ვახდენ. ეს არის სტენდალის ამ ორივე ტომის ერთადერთი სრული მეცნიერული, საუკეთესო გამოცემა, Louis Royer-ის საერთო რედაქციით. ორივე ტომი სტენდალის



თხზულებათა სრული კრებულის Arbet et champion-ისეული გამოცემის (Paris, 1929) ნაწილია.

[72] Stendhal I. Le Rouge et le Noir. T. II. P. 54-56. M. Descontis aura un nom dans l'histoire... il a fait la Restauration avec l'abbé de Pradt et M. de Talleyrand et Pozzo di Borgo. (Paris, 1932).

[73] Stendhal. Correspondance, t. IV, Paris, 1935., p. 282. (A sa soeur Pauline, le 15 avril 1815, №3).

[74] ტექსტი ამ ოფიციალური დოკუმენტისა იხ. Stendhal, Correspondance, t. IV. P. 281. №571. C. Adhesion aux actes du Senat. Paris, le 7 avril 1814. ხელმოწერილია; De Beyle.

[75] საგარეო პოლიტიკის არქივი. საგარეო საქმეთა სამინისტროს კანცელარია №1633. Campagnes de France. Sejour de Paris. Le Prince de Benevent. Reception. 1814 №500. ხელმოწერილია: Le P-ce de, Benevent, Paris, le 15. Mai 1814.

[76] იქვე, №1635. კანცელარია, 1815, №505, Au prince de benevent Paris, le 8-20 mai 1815.

[77] საგარეო პოლიტიკის არქივი. საგარეო საქმეთა სამინისტრო, №9052, Paris, Reception. Le general Pozzo di Borgo, 1814 პოცო და ბორგო - ალექსანდრე პირველს, Paris, le 25 juin 1814; პოცო დი ბორგო - ნესელროდეს, le 18-30 avril 1814 და სხვანი იმავე საქაღალდეში. №9052.

[78] Ch. Dupuis. Le ministere de Talleyrand en 1814, t. II Paris, 1920. P. 2.

[79] Ch. Dupuis. Le ministere de Talleyrand en 1814, t. II, p 98-96.

[80] „Memoires du general de Caulaincourt, duc de Vicence”, t. III. P. 246.

[81] პრელიმინალური შეთანხმება ჯერ კიდევ 23 აპრილს მოხდა.

[82] საგარეო პოლიტიკის არქივი: საგარეო საქმეთა სამინისტრო, კანცელარია №1633. Campagnes de France: Sejour de Paris. Le Prince de Benevent. Reception. 1814. აღნიშვნები თითქოს წერილზე: სპზ, საგარეო საქმეთა სამინისტროს მთავარი არქივი და ციფრი წითელი მელნით: №503. თარიღი ბოლოში ტალიერანის ხელს ეკუთვნის (როგორც მთლიანად წერილიც): 13 juin 1814 ხელმოწერილია: Veuillez agreer, Sire avec Votre bonte accouume. L'hommage dy profound respect avec lequel je suit, Sire, de Votre Majestre le plus humble et tre obewissant sevitour le Prince de Benevent. - ეს წერილი ტალიერანსაც მოაქვს თავის მემუარებში და შილერსაც ალექსანდრეს შესახებ

დაწერილი თავისი შრომის III ტომში. მე ვსარგებლობდი დედნისეული ტომით, რომელიც თავიდან ბოლომდე ტალეირანის ხელითაა დაწერილი, ხელმოწერილი და დათარიღებული.

[83] თითქმის ამავე სიტყვებით გამოეხმაურა ტალეირანი ლუდოვიკო მეთვრამეტის უგუნურ საქციელს, როცა ამ უკანასკნელმა 1814 წ. აპრილში უარი თქვა ჰერცოგ დე ლიანკურის მიღებაზე მხოლოდ იმიტომ, რომ ჰერცოგს მონაწილეობა ჰქონდა მიღებული დამფუძნებელი კრების 1789 წ. 4 აგვისტოს ღამის ცნობილ სხდომაზე, რომელზედაც გადაწყდა სენიორიალური უფლებების გაუქმება. აი რა სახით მოაღწია ტალეირანის აზრმა ლიტონ- ბულვერამდე; „The king, you say, will look back on the past, but Natura had placed the eyes of men in the front of their heads, in order that they may look forward. (Sir Henry Lytton Bulwer. Historical charical characters: Taleyrand, Cobbett, Mackintosh, Conning, vot. L, Lpt., Teuchnitz, 1868, p. 230. Talleyrand, the politic man).

[84] „Sir, je convient que Vous avez vu a Paris beaucoup de mecontents; mais en ecartant encore la promptitude de la derniere revolution, et la surprise de tant de passions, toutes agitees en meme temps, qu'est ce que Paris après tout? Rien qu'une ville d'appointement. La cessation seule des appointements a averti les parisiens du despotism de Bonaparte. Si l'on avait continue de player les gens en place, c'est en vain que les provinces auraient gemi de la tyranie. Les provinces, voila la vraie France, c'est la qu'on benit reellement la maison de Bourbon et que l'on proclame votre heureuse victoire”.

[85] 1 „Mais, Sire, que votre ame genereuse sache avoir un peu de patience! Vrai bon francais que je suis, permettez moi de vous demander en vieux langage francais de neus loaisser reprendre l'ancienne accoutumamance (ხაზგასმა ტალეირანისაა - E. T.) de l'amour de nos rois: ce n'est pas a vous a refuser de monprendre l'influence de ce sentiment sur une grande nation.”

[86] იქვე. D'ailleurs les prinsipes liberaux marchent avec l'esprit du siècle, iul faut qu'on y arrive et si Votre Majeste veut se fier a ma parole. Je Lui promets que nous auron de la monarchie liee a la liberie, qu'Elle verra les homes de merite, accueillis et places en France. Et je garantis a Votre gloire le Bonheur de montre pays” 2

[87] ch. Dupuis> le ministere de Talleyrand en 1815., t II. P. 170.

[88] Ch. Dupuis. Le ministere de taleyrand en 1814 T. II p 170.

[89] ბომბელი-მეტერნიხს. le 15 septembre 1814; Ch. Dupuis. Le ministere de Talleyrand an 1814, t.II, p. 202.

[90] Bellio au prince de Valachie (intercepta). Vienne, le 3 octobre 1815. „Les dessous du Cong es de Vienne”, t. paris, 1917. P. 218, №269. ამ სათაურით ორ მოზრდილ ტომადაა გამოცემული პატაკები ავსტრიის საიდუმლო აგენტებისა, რომლებსაც მეტერნიხმა დაავალა ვენაში შეკრებილ დიპლომატებისათვის თვალყური ედევნებინათ ფარულად.

[91] Hager a'Empereur, Vienne, le 13 octobre 1814. „Les dessous du Congres de Vienne”. T I, p. 271, №344.

[92] Rapport a Hager. Vienne, le 13 octobre 1814. იქვე, t. p. 279. №355. 1917 წ., ჰაბსბურგთა იმპერიის განადგურების კვირაძალზე ფრანგებმა მოახერხეს ხელთ ეგდოთ ფარული ცნობები ავსტრიის საიდუმლო პოლიციისა, რომელიც ვენის კონგრესის მუშაობის მთელი პერიოდის განმავლობაში სისტემატურად თვალყურს ადევნებდა იქ შეკრებილ ხელმწიფეებსა და დიპლომატებს. გამოსცა ეს საინტერესო დოკუმენტი H. Weill-მა ორ დიდ ტომად პარიზში, 1917 წელს, სათაურით „Les dessous du Congres de Vienne”.

[93] Schmidt a Hager. Vienne, la 17 octobre 1814, „Les dessous du Congres de Venne”. T. I. p. 326. №439.

[94] ხელთნაგდები წერილი (intercepta), დანიშნული ჰერცოგის ქალ ცვაიბრუკენსკაიასთვის იქვე. T. I. p. 390. №439.

[95] იქვე, t. I. p. 304, №397.

[96] Nota a Hager. Vienne, 30 septembre 1814. იქვე, t. I, p. 182, №221. ისინი წერენ არა note, არამედ ლათინურად: nota.

[97] Rapport a Hager. Vienne. Le octobre 1814 „Les dessous du Congres de Vienne”, t. I 184, №224.

[98] Rapport a Hager. Vienne. Le 10 octbre 1814. „Les dessous du Congres de vienne” t, I p. 200, №329.

[99] Hager. Vienne, le 7OCTOBRE 1814. ამ პატაკებს არ აქვს საგანგებო სათაურები, აგენტთა ჯგუფის უფროსის გვარით აღინიშნება. ამ შემთხვევაში გვართ: Hager. „Les dessous du Congres de Vienne,” t. I, p. 241, №304.

- [100] Nota a Hager, Vienne, le 7 octobre 1815..იქვე, t. I, p. 25.0. №302.
- [101] ტალეირანის სიტყვები პრინც ანტონ საქსონელისადმი ნათქვამი. Nota a Hager. Vienne, le 6 octobre 1814, იქვე, t. I, p. 235 №294.
- [102] Stendhal. Courrier angrais, p. 19-20. M. le proience de Talleyrand l’homme de France qui a l’esprit le plus vil et les passions les plus viles... C’est M. de Talleyrand qui inventa cette excellente mystification”.
- [103] Rapport a Hager. Vienne, le 9 octobre 1815. „Les dessous du Congres de Vienne, t. I,p. 258, №324
- [104] Hager. Vienne, le 15. Novembre 1815.,იქვე, t. I, p. 525, №767.
- [105] იქვე, Vienne, le 13 novembre 1814, იქვე, t. I, p.522, №762.
- [106] საგარეო პოლიტიკის არქივი, საგარეო საქმეთა სამინისტრო, #9055. ბუტიაგინი-გრაფ ნესელროდეს. Paris, le 7/19 octobre 1814, #107.
- [107] Correspondance inedited du prince de Talleyrand et du roi Louis XVIII pendant le Congres de Vienne... (ed. M. G. Pallain). Paris, 1881, p.76-78, #8.
- [108] Ch. Dupuis. Le ministere de Talleyrand en 1814, t. II, p. 204.
- [109] Correspondance inedited du prince de Talleyrand et du roi Louis XVIII, Vienne, le 25 novembre 184.. №XXII, p. 148-149.
- [110] ყველაზე სრული და მეცნიერული გამოცემა ვენის კონგრესის დოკუმენტებისა საერთოდ. ხოლო 1814 წ. ნოემბრისა და დეკემბრის ქაღალდებისა კერძოდ. იხ. დოკუმენტების ოთხტომიან Angeberg -ის რედაქტირებულ გამოცემაში „Le Congres de Vienne, et les traits de1814 Precede et siuvi des actes diplomatiques qui s’y rattachent. Avec une introduction historique. Par... Capefique”. ჩვენთვის აქ საინტერესო კვირები, რომლებიც წინ უსწრებდნენ 1815 წ. 3 იანვრის საიდუმლო ტრაქტატის დადებას, იხ. მეორე ტომში. 1864.
- [111] Corespondance inedited etc., Vienne, le 4 Janvier 1815, p. 209 №36.
- [112] „Traite secret d’alliance defensive, conclu a Vienne entre Autriche, la Grande Bretagne et la France contre la Russie et la Prusse, le 3 Janvier 1815”. მის სრულ ტექსტს სამი გევრდი უჭირავს (589-591), დოკუმანტთა კრებულის ოთხტომიან დ’ანგებერგისეულ გამოცემის II ტომში: „Le Congres de Vienne et les traits de1815”, Paris, 1864.

[113] საგარეო პოლიტიკის არქივი, საგარეო საქმეთა სამინისტრო. №9055 ბუტიაგინი - გრაფ ნესელროდეს (წერილი №110), Paris, le 14/26 octobre 1814.

[114] 1Le tour du pin au marquis de Bonnay, Vienne, le 8 decembre 1814, Les dessous du Congres de Vienne”, t.I. p. 657, №1010. ავსტრიელი აგენტების ხელთნაგდები წერილი.

[115] Honore de Balzac. Le pere Goriot. Paris, Ed. B; Eislicthe que. Larousse, p. 98.

[116] საგარეო პოლიტიკის არქივი, საგარეო საქმეთა სამინისტრო, №8305.. Naples. Reseption. Le Comte Mocenigo 1815. შიფრი, ფრანგულად ნათარგმნია შიფრით. Naples, le 27 juillet (8 aout) 1815. მოჩენიგო - გრაფ ნესელროდეს, №119.

[117] იქვე, შიფრი №122, Naples le 31 aout (12 septembre), 1815, მოჩენიგო - გრაფ ნესელროდეს.

[118] „mélanges”, p. 140.

[119] „Melanges”, გვ. 160.

[120] საგარეო პოლიტიკის არქივი. საგარეო საქმეთა სამინისტრო, №11812. C. de V France. Reception, 1815, №113. Prinncce Talleyrand a M. Le comte de Nesselrode, Vienne, le 13 mars 1815.

[121] იქვე, №115, Prince de Talleyrand a M. le comte de Nesselrode, Vienne, le 21 mars 1815.

[122] „Memoires du general de Caulaincourt, duc de Vicence”, t. I. P.191.

[123] იქვე, t. I. p.192.

[124] საგარეო პოლიტიკის არქივი. №1752. Bruxelles. Le 5-7 avril, 1816 (№ პატაკისა 331) პოცო დი ბორგო - გრაფ ნესელროდეს.

[125] Stendhal. Courier anglais. T. III. P.102.

[126] საგარეო პოლიტიკის არქივი, Vienne-Congres-Ministere, 1815, №11781-11786. ნესელროდე-ალექსანდრეს. Vienne, le 16 mai 1815 (95-96).

[127] საგარეო პოლიტიკის არქივი, საგარეო საქმეთა სამინისტრო, №9052, 1815.. Pozzo di Borgo a Nesselrode, Paris, le 1-26 septembre 1815..

...Votre Excellence est déjà informée de la différence qui existe dans les éléments de sa composition. Le France de Talleyrand cherche constamment à attacher avec deux extrêmes sans se compromettre avec personne. Sa paresse et sa réserve lui permettent toujours de parler des choses, lorsqu'elles sont faites et d'en parler dans le sens qui deviant de dominant soit à la cour, soit dans le public sans avoir égard au mérite de l'affaire”.

[128] საგარეო პოლიტიკის არქივი, №1752, პატაკის №338. Grand, le 21 avril- 3mai 1815. პოცო დი ბორგო - გრაფ ნესელროდეს.

[129] იქვე. №1752 Bruxelles, le 10-22 juin 1815 (პატაკი №371). პოცო დი ბორგო - გრაფ ნესელროდეს.

[130] Souvenirs sur la Revolution par le general comte de Rochechouart. Paris, 1889, p. 395-396.

[131] „Ou veux-tu, que je me retire, traître?” - „Out u voudras, imbecile!” ეს თვით ფუშემ პირადად უამბო გრაფ რომეშუარს.

იქვე გვ.5.06.

[132] G. H. Pertz. Das Leben des ministers reiherrn von Stein. B. IV, Berlin, 1851, S.549.

[133] G. H. Pertz. Das Leben des ministers reiherrn von Stein, B. IV, Berlin, 1851, S. 363-364.

[134] Sir Henry bytton-Buiwer. Historical characters, V. I, p. 277 (Talleyrand the politic man).

[135] „Souvenirs sur la Revolution. L'Empire et la Restauration.” Paris,1889, p.411.

[136] „Melanges”, p.161.

[137] საგარეო პოლიტიკის არქივი. საგარეო საქმეთა სამინისტრო, №9062. პოცო დი ბორგო - გრაფ ნესელროდეს. №79. Paris, le 25 jsnvier (6 fevrier) 1816.

[138] საგარეო პოლიტიკის არქივი, საგარეო საქმეთა სამინისტრო, №9063. წერილი №203 (წითელ მელნიანი 145). პოცო დი ბორგო - გრაფ ნესელროდეს Paris, le 23 juin (5jiulet) 1816.

[139] საგარეო პოლიტიკის არქივი. საგარეო საქმეთა სამინისტრო, №9067. კანცელარია. პატაკი №364. პოცო დი ბორგო - ნესელროდეს, Paris le 2-14 Fevrier 1817.

[140] საგარეო პოლიტიკის არქივი. საგარეო საქმეთა სამინისტრო, №9067, Annexe au №526 des depeches du general Pozzo (sic!) en date du 21 septembre 3 octobre. Reponses aux questions addresses au general Pozzo di Borgo par M> le comte de Capodistrial, de Franzesbrun endate du 28 aout – 9 septembre 1817. Paris, le 21 septembre- 3 octobre 1817.

[141] საგარეო პოლიტიკის არქივი. საგარეო საქმეთა სამინისტრო, №9067, წერილი №365, le 2/14, fevrier 1817.

[142] იქვე, პატაკი №415. პოვო დი ბორგო - გრაფ ნესელროდეს. Paris, le 8-20 avril 1817.

[143] Stendhal. Courrier anglais, t. IV, p.87: „Ce discours, memorable en politique a pris rang sur le champ en literature. L’opinion publique a dit: l’on n’a rien vu d’egal depuis les beaux jours de Mirabeau.”

[144] Stendhal. Corespondance, t. v, p.285, M837. Versailles, le 10 Janvier 1830.

[145] Stedhal. Courrier angrais, t. IV, p. 81 (le fevrier 1825). „...Cet home d’Etat adroit qui depuis trente ans temoigne tant de chairvoyance politique en prevoyant les destins futures de la France a demontre aux ultras dans des memoires divers qu’il est impossible de restaurer l’ancien regime”.

იქვე, გვ.99. „Vieux et ruse Talleyrand qui magle ses soixantedix printempt est tencore la meillieure tete de la France... Mais les chefs actuels ont tellement, conscience de leur proper insuffisance en presence du genie de Talleyrand qu’ils ont re fuse de lui confier la direction de leurs affaires sous le ridicule pretext qu’il est un des homes les plus immoraux de France”.  
იქვე. გვ. 101: „Les chefs des émigrés, les Montmorency, les Talaru etc. sont tout-a-fait depourvus de capacite, aussi s’ils ne se laissent pas conduire par Talleyrand, le coquina de plus adroit d’europe, ils ne feront qu’accumuler stupidement sottise sur sottise”.

[146] Sdendhal. Lucien Leuwen, t. II. Paris, 1929, p.240-241. „Et que desirez vous que je soie?” demanda Lucien d’un air simple. „Un coquina, reprit le pere, Je veux dire un home polituque, un Martignac, je n’irai pas jusqu’a dire in Talleyrand..., II me faut un premier minister coquina et amisant, comme Walpole ou M. de Talleyrand” (იქვე, ტ. I, გვ. 175).

[147] „Puisque M. de Talleyrand – avait-il dit –se rattache au nouveau gouvernement francais, ce gouvernement doit avoir necessairement des chances de duree”. ასევე ვკითხულობთ გრაფ მოლეს მემუარებში. მე ვეძიე, მაგრამ საგარეო პოლიტიკის ჩვენს არქივში ვერ ვპოვე დამადასტურებელი საბუთი ამ სიტყვებისა, რომლებსაც ნიკოლოზ პირველს მიაწერენ.

[148] საგარეო პოლიტიკის არქივი. საგარეო საქმეთა სამინისტრო. Copie d'une dépêche du comte Pozzo di Borgo au comte Matuszewie en date de Paris, du 3-15 septembre 1830.

[149] საგარეო პოლიტიკის არქივი. Copie d'une dépêche en chiffres du comte Pozzo de Borgo en date de Paris, le 11-23 septembre 1830 №102.

[150] „Melanges” („Ecrits inedit de Talleyrand”). P.274

[151] „Melanges”, p.190-192.

[152] Sainte-Beuve. Monsieur de Talleyrand, p.229.

[153] ლუდვიგ ბერნეს „პარიზული წერილების“ ამასწინანდელ მშვენიერ თარგმანში, რომელიც „გოსლიტიზდატმა გამოსცა მოსკოვში (1938), ეს ადგილი მოთავსებულია 148-149 გვ.

[154] „Le public de Paris, - ajoutait mon pere- s'il entent parler d'une bassesse ou d'une trahison utiles, s'ecrie: Bravo, voila un bon tour a la Talleyrand, et il admire” (Stendhalo> Lucien Leuwen, t. I, p.110).

[155] Syendhal Lucien, t. I, p. 115.. „...le puis vivre avec des homes incapables d'idees fines, si vertueux qu'ils soient; je prefereraiis cent fois les moeurs elegantes d'une cour corrompue. Washington m'eut ennuye a la mort et j'aime mieux me trouver dans le meme salon que M. de Talleyrand”.

[156] Stendhal. Correspondance, t. V, p. 149. A baron de Mareste, le 22 avril, 1818.

[157] „On heroes, hero-worship and the heroic in history”. წიგნი კარლეილისა გამოვიდა 1841 წელს. რუსულად ითარგმნა სათაურით: „გმირები და გმირული ისტორიაში“.

[158] G. Ferrero. La reconstruction. Talleyrand a vienne, 1814-1815, Paris, 1941.

[159] ა. გერცენი. თხზულებებისა და წერილების სრული კრებული. ნ.ლემკეს რედაქციით, ტ. III, გვ. 405.

[160] იქვე. გვ. 125.

<https://www.facebook.com/groups/ELLIB/>